

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია  
მართლმადიდებლობა – 2000

წმინდა აღმსარებელი ამბროსი  
(ხელაია) და აფხაზეთი

*კრებული შეადგინა, გამოკვლევა  
და კომენტარები დაურთო  
ჯემალ გამახარიაძე*

თბილისი 2006

**მთავარი რედაქტორი ჯემალ გამახარია**

**Главный редактор Джемал Гамахария**

სარედაქციო საბჭო: დეკანოზი ბიძინა (გუნია), ელდარ ბუბულაშვილი, მათა გელანტია, სერგო ვარდოსანიძე, თეიმურაზ მჟავია, სერგი საჯაია, ანზორ სიჭინავა

Редакционный совет: протоиерей Бидзина (Гуния), Элдар Бубулашвили, Серго Вардосанидзе, Майа Гелантия, Теймураз Мжавия, Серги Саджая, Анзор Сичинава.

**ISBN 99940-67-81-8**

Академия наук Абхазии  
Православие – 2000

Святой Исповедник Амвросий  
(Хелая) и Абхазия

*Сборник составил, исследованием  
и комментариями снабдил  
Джемал Гамахария*

Тбилиси 2006



## ამბროსი ხელაია და აფხაზეთი

საქართველოს უდიდეს მამულიშვილთა გვერდით სრულიად გამორჩეული ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) — კომუნისტურ ტირანიასთან შეურიგებელმა მებრძოლმა, დამხობილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ფეხქვეშ გათელილი ეროვნული ღირსებისა და სარწმუნოების დაცვისათვის წამებულმა მწყემსმთავარმა, რომელსაც საკუთარი ხალხის სულიერი, თუ გნებავთ, პოლიტიკური წინამძღოლის მეტად რთული მისია სამშობლოსათვის უდიდესი განსაცდელის ჟამს დაეკისრა. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა — როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სოხუმის ეპარქიაში მსახურობდა თუ მოგვიანებით, საკუთარი ნების წინააღმდეგ, სამშობლოდან შორს გადასახლებაში იმყოფებოდა; სინოდალურ კანტორაში თუ მონასტერში მსახურობდა, ჰყონდიდებოდა თუ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა; მხურვალე წირვა-ლოცვებს აღავლენდა, სჯულის კანონს ასწავლიდა თუ მნიშვნელოვან სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომებს ქმნიდა; სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელის სავარძელში თუ განსასჯელის სკამზე ან ციხეში იჯდა — ყველგან და ყოველთვის მიმართული იყო წმინდა სამების — ენა, მამული, სარწმუნოების დაცვისაკენ. ამბროსი ხელაია არა მხოლოდ იცავდა ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ამ უნივერსალურ ილიასეულ

ფორმულაში ჩადებულ იდეას, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა მას. ეს არის ენა, მამული, სარწმუნოებისათვის თავგანწირვა, გამოხატული გენიალურობამდე მარტივი და უკვდავი სიტყვებით: “სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი რაც გნებავთ ის უყავით” (1924 წ. მარტი).

ამბროსი ხელაიას მოწამებრივი ცხოვრების ობიექტური გაშუქება საბჭოთა პერიოდში არ იყო ნებადართული. სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში ის ძალზე იშვიათად მოიხსენიებოდა, თანაც, როგორც წესი, მხოლოდ 1922 წ. თებერვალში გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმთან, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ან კომპარტიის ანტირელიგიურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შეფასებებიც შესაბამისი იყო. ასე, მაგალითად, მონოგრაფიაში “ანტისაბჭოთა პოლიტიკის კრაზი გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე” (თბ., 1964) ი. ჩიქავა წერდა: “გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს თავი გამოყო საქართველოს ანაფორიანმა კონტრევოლუციამ. სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ (ბესარიონ ხელაია) საეკლესიო საბჭოს და ქართველი ხალხის სახელით გენუის კონფერენციას თხოვნით მიმართა საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებისათვის, მაგრამ სასულიერო კონტრევოლუციას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მისი სულისჩამდგმელები საბჭოთა მართლმსაჯულებამ

ღირსეულად დასაჯა” (გვ. 149-150; იხ. აგრეთვე გვ. 159-160). იგივეს წერდა უფრო ადრე ი. კაჭარავა (საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925 წ.წ.). თბ., 1958, გვ. 284). “საქართველოს ისტორიის ნარკვევების” VIII ტომში (თბ., 1976) ამბროსი ხელაია ერთადერთხელ მოიხსენიება პარაგრაფში: “კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია” (გვ. 192). კომენტარები აქ ზედმეტია (იხ. აგრეთვე ი. კვესელავა. ანტირელიგიური ღონისძიებები საქართველოში 1921-1925 წ.წ. — მაცნე. ისტორიის... სერია. 1979, №1, გვ. 73-84, და ა.შ.).

საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ამბროსი ხელაია იყო ანაფორიანი კონტრევილუციონერი, კლასობრივი მტერი, ბნელეთის მოციქული და ა.შ. მიუხედავად ამისა, ბ. ლომინაძემ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1. თბ., 1975, გვ. 354) და რ. მეტრეველმა (საქართველოს ისტორია. ლექსიკონი I. თბ., 1979, გვ. 46), გაკვრით მიუთითეს რა მის ანტისაბჭოურობაზე, ყურადღება მაინც დიდი ერისკაცის დამსახურებებზე გაამახვილეს.

ამბროსი ხელაიას პიროვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში. სამშობლოდან გაძევებული მამულიშვილებისათვის იგი იყო “ქართველი ერის ყოვლად ღირსეული მამა”, “მარად საამაყო მწყემსმთავარი” (გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1. თბ., 2001, გვ. 273). სპ. კედიას გაზეთმა “ბრძოლამ” 1927 წ. (№22) გამოაქვეყნა თბილისიდან გამოგზავნილი

წერილი “კათოლიკოს ამბროსის გასამართლება”. მასში საინტერესოდ არის აღწერილი 1922 წ. მარტის სამარცხვინო სასამართლო პროცესის მსვლელობა, წარმოჩენილია კათალიკოს-პატრიარქის, სხვა სასულიერო პირთა სიმტკიცე და მამულიშვილობა (იქვე, გვ. 338-342). ამბროსი ხელაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ “დამოუკიდებელ საქართველოში” (№17) რ. ინგილოს (რაფიელ ივანიკვი; 1921 წ. სექტემბერში არჩეული იყო საკათოლიკოსო საბჭოში) ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილი “კათალიკოზი ამბროსი”, რომელშიც მიმოხილული და შეფასებულია განსვენებულის მიერ განვლილი გზა, მათ შორის, აფხაზეთში მოღვაწეობის პერიოდი. ავტორი, კარგად იცნობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას და იქ გამწესებული მღვდელმთავრის საქმიანობას, რამაც საშუალება მისცა გაეკეთებინა ზუსტი შეფასებები და დასკვნები. იგი წერდა: “ამ გაუტანლობისა და ინტრიგობის ხანაში მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანილი ამბროსი ბრძნულად და განსაცვიფრებელის პოლიტიკური ნიჭით განაგებდა ცხუმ-ბედიის (ცხუმ-აფხაზეთის — ჯ.გ.) მეტად საპასუხისმგებლო ეპარქიას. მისი გავლენა და პოპულარობა აფხაზეთში დღითიდღე იზრდებოდა და ბოლოს იგი შეიქმნა მუნ ცენტრალურ პიროვნებად, რომელიც ამ კუთხეში განასახიერებდა საქართველოს მთლიანობის იდეას.

აფხაზეთში მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაჰყო მთელი ჩვენი დამოუკიდებლობის ხანა. დევნული და შეწუხებული, ძირბუდიანად გაძარცვული წითელი არმიელების მიერ, ის 1921 წლის ზაფხულში ჩამოვიდა



ტფილისში, რათა შესდგომოდა კათალიკოზის მოსაყდრეობის შესრულებას მისი უწმინდესობის ლეონიდის გარდაცვალების გამო” (გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 2. თბ., 2001, გვ. 328-329).

საინტერესოა აგრეთვე ივ. ზურაბიშვილის წერილი — “ორი მღვდელმთავარი” (გაზ. საქართველო, 1930, №4), რომელიც რუსეთში ბოლშევიკების მიერ არაერთხელ დასჯილ პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების (1925 წ.) შემდეგ აღსაყდრებული, საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებული სერგისა და ქართველი კათოლიკოს-პატრიარქის — ამბროსის შედარებით დახასიათებას შეიცავდა. “არა, მიტროპოლიტ სერგიმ ვერ გამოიჩინა სულის ის სიმაღლე და სიმტკიცე, რომელიც ჰმართებდა ეკლესიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ მღვდელმთავარს და რომლის შესანიშნავი მაგალითი მისცა მთელ ქვეყნიერებას მეორე მღვდელმთავარმა ამბროსიმ, — წერდა ივ. ზურაბიშვილი.

სად იყო ეკლესიის დღევანდელისებური დევნა, როდესაც ამ დიდებულმა ღვთისმსახურმა ხმა აღიმალა და მედგრათ წინააღმდეგ თავის ქვეყნის, თავის ერის მტარვალთ...

კათალიკოზ ამბროსისათვის თავისუფალი ეკლესია განუყრელი იყო ერის თავისუფლებასთან, — ერს, რომელსაც წაართვეს დამოუკიდებლობა, არც რჯულს შეარჩენდნენ და არც ეკლესიას.

ამიტომაც არ შეუშინდა ეს დიდებული მამულიშვილი და ქრისტეს მცნებათა ღირსეული მოციქული არცა წამებას და არცა სიკვდილს,

გაბედულად დაგმო თავის ერის მტერთა უდიერობა და ქვეყანას ამცნო თავის ქვეყნის წამება და წვალება.

და, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა ძალმომრეობამ ერის ამ გაბედულ გამოსარჩლებისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რა სადა და ამასთან მშვენიერისა და ღრმა გრძნობით აღსავსე სიტყვებით უპასუხა ამ უმსგავს განაჩენს: “სული ჩემი უფალს ეკუთვნის, გული – ერს, სხეულს კი რაც გნებავთ ის უყავით”!

ორი მღვდელმთავარი!

ზეცისა და მიწისადმი, სინდისისა და ჭეშმარიტებისადმი მოვალეობის ორი შეგნება” (გურამ შარაძე. დასახ. ნაშრომი, ტ. 2, გვ. 707-709).

აკრიტიკებდა რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას დევნილობაში, რომელიც ვერ მოურიგდა ეროვნულ ძალას, შალვა ამირეჯიბი წერდა: “ეროვნულმა საქართველომ ქართველი კათოლიკოსი ამბროსი, კონსტანტინე აფხაზი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი წარმოშვა” (გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI. თბ., 2005, გვ. 429).

ამრიგად, ქართული ემიგრაცია, ემიგრანტული პუბლიცისტიკა ღირსეულ პატივს მიაგებდა უწმინდესსა და უნეტარეს ამბროსის, უმაღლეს შეფასებას აძლევდა მის ღვაწლს სამშობლოს წინაშე (იხ. აგრეთვე გურამ შარაძე დასახ. ნაშრომი ტ. 6, გვ. 322, 355; ჟ. გუშაგი, 1986, №10 — თ. რაჭველიშვილის წერილი ამბროსი ხელაიას დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით, და სხვ.), თუმცა საზღვარგარეთ არ შექმნილა და ვერც შეიქმნებოდა (შესაბამისი მასალების

უქონლობის გამო) სერიოზული გამოკვლევა აღნიშნულ პრობლემატიკაზე.

სსრ კავშირის რღვევისა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ზეობის პერიოდში უკვე საქართველოშიც გახდა შესაძლებელი წამებული მღვდელმთავრის მოღვაწეობის ცალკეული ასპექტების გაშუქება. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ტაბუდადებულ თემას შეეხო, იყო ცნობილი ღვთისმეტყველი აკაკი მინდიაშვილი, რომელმაც 1988 წ. ჟურნალ “მნათობში” (№10) გამოაქვეყნა ამბროსი ხელაიას ისტორიული სიტყვა 1924 წლის მარტის კომუნისტურ სასამართლოზე; მანვე აღნიშნულ თემას მიუძღვნა წერილი “ორი სიმართლე არ არსებობს” (სახალხო განათლება, 1989, 15 მარტი). მათ მოჰყვა სხვა ავტორთა პუბლიკაციები ჟ. “მნათობში” (1989, №9. — მ, ხუციშვილი, ს. ლეკიშვილი. კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო), გაზ. “კომუნისტში” (1990 წლის 7 ოქტომბერი — რ. დავიდოვის წერილი), ასევე მის მემკვიდრე “ახალ საქართველოში” (1990, 16 ნოემბერი. — კ. ტოტოჩავა. დოკუმენტები მოგვითხრობენ), რომლებიც ისევ და ისევ 1924 წლის სასამართლოს თემას შეეხებოდნენ.

1994 წელს ედიშერ გიორგაძემ მოკლე წინასიტყვაობით გამოსცა კრებული “კათალიკოსი ამბროსი (ხელაია)”. იგი წარმოადგენდა “პირველ ცდას ამბროსი ხელაიას სულიერი ხატის შექმნისა” (კათალიკოსი ამბროსი, გვ. 4). ეს მცდელობა გარკვეულწილად წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა კრებულში გაპარულია ბიოგრაფიული ხასიათის უზუსტობანი (იხ. აგრეთვე ქართული საბჭოთა

ენციკლოპედია, ტ. 1, გვ. 354), რომლებმაც გავლენა მოახდინეს შემდგომ პუბლიკაციებზეც. ასე, მაგალითად, მცდარია მტკიცება იმის თაობაზე, რომ ამბროსი ხელაია რუსეთში პირველად 1905 წ. გადაასახლეს (კათალიკოსი ამბროსი, გვ. 3). სერიოზული შეცდომებია ამ მხრივ დაშვებული კრებულში მოთავსებულ წერილში “ამბროსი ხელაია თბილისის სასულიერო სემინარიაში”; იგი მცირე შემოკლებით გადმობეჭდილია ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან “ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ.წ.”, რომელიც 1916-1917 წლებში (ავტოკეფალიის აღდგენამდე) გამოვიდა (იხ. გვ. 305-307); მასში მოთავსებულია ცნობები ქართველ სასულიერო პირებზე. არ არის სწორი, თითქოს სოხუმის ეპარქიის მღვდელი ამბროსი “მალე გახდა მთელი სოხუმის ბლალოჩინიც”, რომ იგი ბერად 1901 წ. შეიმოსა, რომ “1908 წელს კურთხეულ იქნა არქიმანდრიტად და დადგენილ იქნა სამეგრელოში ორი მონასტრის წინამძღვრად, მერე გადმოყვანილ იქმნა თფილისში და დანიშნეს სინოდის წევრად და ფერისცვალების ტაძრის წინამძღვრად” (კათალიკოსი ამბროსი გვ. 6).

ამბროსი ხელაიას პიროვნების მიმართ მკვლევართა ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მისი წმინდანთა დასში შერაცხვის (1995 წ.) შემდეგ. 1996 წელს გაზეთ “მადლში” შუქრი ჭელიძემ ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილი ორი წერილი გამოაქვეყნა: “სრულიად საიდუმლო დოკუმენტები წმინდა ამბროსის შესახებ” (25 ოქტომბერი, №7-8) და “ჭელიძის უდაბნო” (10 დეკემბერი, №9-10). ამავე გაზეთში

მოთავსებულია გივი კობახიძის “კათალიკოსი ამბროსი” (მაღლი, 1996, 28 ივნისი, №5), რომელიც მრავალ უზუსტობას შეიცავს. სოხუმის ეპარქიაში მღვდელი ამბროსი არა 1896 წლამდე, როგორც წერილში ვკითხულობთ (ასეთი უზუსტობა ადრე ჩვენც დავუშვით. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тб., 1997, с. 743), არამედ 1897 წ. ბოლომდე მოღვაწეობდა; არც ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტი ყოფილა იგი სამი წლის განმავლობაში — 1901-1904 წლებში; თბილისში გადმოყვანა და სინოდალური კანტორის წევრად დანიშვნა 1904 წ. არ მომხდარა. გ. კობახიძეც იზიარებს მოსაზრებას 1905 წ. ამბროსის რუსეთში გადასახლების შესახებ. სამწუხაროდ, ყველა ეს უზუსტობა განმეორებულია ბ. ლომინაძის წერილში “ამბროსი” (საქართველო. ენციკლოპედია, I. თბ., 1997, გვ. 123), აგრეთვე ვ. გურგენიძესთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ამბროსი ხელაიას რუსეთში გადასახლებას 1906 წლით ათარიღებს, რაც ასევე მცდარია (ვ. გურგენიძე. ამბროსი ხელაია — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. — ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1997, გვ. 110-120; მისივე — წმ. მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წ. II, თბ., 1997, გვ. 118-119). გამოჩენილი მწყემსმთავრის ბიოგრაფიული მონაცემები დამახინჯებულია თ. კოლხელის პუბლიკაციაშიც (საქართველოს წამებული პატრიარქი — ამბროსი თავდადებული. — აია, 1997, №2, გვ. 112), რომელიც ძირითადად ე. გიორგაძის მიერ გამოცემულ კრებულს ეყრდნობა.

ამბროსი ხელაიას ღვაწლის მეცნიერული გააზრების ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს გოჩა საითიძის სტატია “წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის” (ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი. თბ., 2000, გვ. 77-94), რომელსაც წინ უძღოდა ავტორის კიდევ ერთი ვრცელი საგაზეთო პუბლიკაცია (წამებული ივერიის ეკლესიისა ამბროსი ხელაია. — სახალხო გაზეთი, 1999, 23-29 მარტი). სამწუხაროდ, მანაც ნაწილობრივ გაიმეორა წინამორბედი ავტორების მიერ ამბროსი ხელაიას ბიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებით დაშვებული ზოგიერთი უზუსტობა. კერძოდ, ამბროსის მღვდლად კურთხევა 1886 წელს არ მომხდარა, არასწორად არის მითითებული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად დანიშვნის თარიღიც — 1904 წ.

ამბროსი ხელაიას მიეძღვნა არაერთი წერილი, რომელთა ავტორები არიან ი. ნიჟარაძე (ქართული უნივერსიტეტი, 1998, 23 ნოემბერი), დ. გეგეშიძე (რანი ვართ ქართველნი, 1999, №3-4), თ. ლაბაძე (ახალი შვიდი დღე, 1999, 26 მარტი — I აპრილი), დ. გიორგობიანი (ახალი შვიდი დღე, 2000, 24-30 მარტი), ა. ბრეგვაძე (საქართველოსათვის. თბ., 2002), თ. ჩიბურდანიძე (ფუძე, 2005, №№3-7) და ა.შ. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ მოთავსებულია საცნობარო ხასიათის კრებულებში “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბ., 2000” (ქ. ნადირაძის წერილი) და “მეოცე საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს. თბ., 2005” (შემდგენელ-გამომცემელი

დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე). სწორ მონაცემებთან ერთად, მათშიც მრავლად ვხვდებით ისეთ უზუსტობებს, რომელთა დაშვება მსგავსი ტიპის გამოცემებში მიუღებელია (ეს ეხება აგრეთვე პუბლიკაციებს: ზ. ჟვანია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელთმთავარნი. ქუთაისი, 1994, გვ. 23-26; Православная энциклопедия, т. 2. М., 2001, с. 139-140, და ა.შ.). მცდარია მოსაზრება ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ამბროსი ხელაიას უსტ-მედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშვნის, ამ თანამდებობიდან ჭელიშის მონასტერში გადმოყვანის, 1905 წელს კი რუსეთში გადასახლების თაობაზე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 190-191; იხ. აგრეთვე: ზ. ჟვანია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი. — სხალთის ზარები, 1996, №3, მარტი). ერთი წერილიდან მეორეში გადადის მტკიცება, თითქოს სინოდალური კანტორის წევრად ამბროსის დანიშვნა მოხდა 1904 წელს; კვლავ და კვლავ იწერება, რომ რუსეთში იგი 1905 წელს გადაასახლეს და ა.შ. (XX საუკუნის მოღვაწეები, გვ. 16-19), თუმცა ვაჟა კიკნაძემ 2001 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში (“ამბროსი ხელაიას უცნობი წერილი კირიონ სამაგლიშვილისადმი”) დაასაბუთა, რომ არქიმანდრიტი ამბროსი 1904 წელს უკვე იმყოფებოდა გადასახლებაში (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული. I. ისტორიის სერია. გორი, 2001, გვ. 25-30), მაგრამ ეს გადასახლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არა 1904 წელს, არამედ ოდნავ ადრე განხორციელდა.

ამბროსი ხელაიას მოღვაწეობა (მათ შორის აფხაზეთის მიტროპოლიტის თანამდებობაზე) მოკლედ არის განხილული ს. ვარდოსანიძის მონოგრაფიებში — “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წ.წ.” (თბ., 2000); “საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წ.წ.” (თბ., 2001); “სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.).” (თბ., 2005). ეს უკანასკნელი დიდი მამულიშვილისადმი სპეციალურად მიძღვნილი პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი სერიოზული გამოკვლევაა. იმედია, მას სხვა, უფრო სქელტანიანი შრომებიც მოჰყვება.

არსებული ლიტერატურის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ქართული ისტორიოგრაფია ვალშია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინაიდან მისი გამრული, მოწამებრივი ცხოვრება და მოღვაწეობა, უაღრესად საინტერესო პუბლიცისტურ-მეცნიერული მემკვიდრეობა კვლავაც შეუსწავლელი რჩება; შეუსწავლელია ამბროსი ხელაიას ბიოგრაფიაც კი, განსაკუთრებით პერიოდი 1908 წლის ბოლომდე (რუსეთში მეორედ გადასახლებამდე), 1918-1921 წლები და ა.შ. უკიდურესად მწირია წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რის გარეშეც შეუძლებელია საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევების შექმნა. დღემდე არ არის გამოცემული ამბროსი ხელაიას შრომების კრებული თუ კრებულები. მკვლევარებს სათანადოდ ვერ გაუაზრებიათ ის გარემოება, რომ ამბროსი ხელაიას, აგრეთვე წარმოშობით მარტვილელი მისი წინაპრების (სასულიერო პირების) მთელი ცხოვრება აფხაზეთთან



იყო დაკავშირებული. ამიტომ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა დღემდე ვერ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. იშვიათ და სასიამოვნო გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ნუგზარ პაპუაშვილის ნაშრომი “ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან” (თბ., 2005), თუმცა არ ვეთანხმებით “თანამედროვე ქართველი მართლმადიდებლების თუ მართლმადიდებლობის დამჩემებელი მოქალაქეების საგრძნობი ნაწილის” ავტორისეულ კრიტიკას, ქვეყანაში დღეს არსებული სარწმუნოებრივი ვითარების, კონფესიათაშორისი ურთიერთობების, ჩვენი აზრით, ტენდენციურ შეფასებებს (გვ. 10-11). ნ. პაპუაშვილმა რუსულ (დედანი) და ქართულ (მისეული თარგმანი) ენებზე ხელახლა გამოაქვეყნა ამბროსი ხელაიას თავის დროზე (1906 წ.) გამოცემული, შემდგომში კი თითქმის მივიწყებული ნაშრომი “სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან””. ავტორმა მას ვრცელი გამოკვლევა (ასევე ქართულ-რუსულ ენებზე) და კომენტარები დაურთო. ნაშრომი აშკარად არის წინგადადგმული ნაბიჯი ამბროსი ხელაიას შემოქმედების, მისი მოღვაწეობის შესწავლის გზაზე. ნ. პაპუაშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილი წერილების შედარებითი სიმრავლის მიუხედავად, მისი “ამომწურავი და დაზუსტებული ბიოგრაფია ჯერაც არ მოგვეპოვება” (გვ. 13). მან თავად სცადა ამ ბიოგრაფიის დაზუსტება, რაც ნაწილობრივ მოახერხა, მაგრამ, შესაბამისი წყაროების უქონლობის გამო და არსებული

ლიტერატურის ზეგავლენით, მრავალი შეცდომაც დაუშვა თუ გაიმეორა.

ნ. პაპუაშვილმა გამოთქვა დასაბუთებული მოსაზრება XIX ს. 90-იან წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნებული, ჩვენთვის ადრეც ცნობილი (მაგრამ უცნობი იყო ავტორი) ზოგიერთი წერილის ამბროსი ხელაიასადმი კუთვნილების შესახებ. უკვე ეჭვს არ უნდა იწვევდეს გაზეთ “ივერიაში” 1890 წ. 30 აპრილს “ზ.ხ.”-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული კორესპონდენციის (გუდაუთის უბანში მისიონერ ამბროსი კავკასიძის სტუმრობას ეხება) ავტორის ვინაობა. ამიტომაც ჩავრთეთ იგი წინამდებარე კრებულში (დოკ. №7). გავიზიარეთ ნ. პაპუაშვილის ვარაუდი გაზეთ “ცნობის ფურცელში” (1896 წ. 21 დეკემბერი) მოთავსებული ანონიმური კორესპონდენციის (მისიონერ ევტიხი მამინაიშვილის აფხაზეთში ყოფნის შესახებ) ამბროსი ხელაიასადმი კუთვნილების თაობაზე და მასაც მიუჭინეთ ადგილი კრებულში (დოკ. №12). რაც შეეხება კიდევ ერთ კორესპონდენციას, რომელშიც აღწერილია არქიმანდრიტ ამბროსის (კავკასიძე) ს. გუფში ყოფნა (ივერია, 1890 წ. 19 მაისი), მისი სტილიდან გამომდინარე, სხვა ავტორს, ჩვენი აზრით, გუფის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელს და იმავე სოფლის პედაგოგს, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ, პატრიოტულად განწყობილ პიროვნებას — პარმენ ფარეიშვილს უნდა ეკუთვნოდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ არქიმანდრიტ ამბროსის (კავკასიძე) სამურზაყანოში მოგზაურობა სოფ. დიხაზურგის სკოლის პედაგოგმა, თბილისის სასულიერო სემინარიადამთავრებულმა

(1888 წ.) პანკრატი ბარნაბიშვილმა აღწერა (ივერია, 1890, 2 ივნისი). ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის III ტომში (ნაკვ. I, გაზ. ივერია 1886-1892 წ.წ.) არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძის აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ “ივერიაში” 1890 წ. გამოქვეყნებული კორესპონდენციები შეცდომით ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილ წერილებად და მიჩნეული (გვ. 83). ეს შეცდომა, სამწუხაროდ, ჩვენც გავიმეორეთ ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия. Тб., 1997, с. 743).

ნ. პაპუაშვილის წიგნში, ბუნებრივია, ყურადღება წერილის “სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”” ანალიზზე არის გამახვილებული. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორისეულ შეფასებებს. “ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში” წარმოადგენს სერიოზულ ნაშრომს ჩვენთვის საინტერესო თემაზე.

წინამდებარე კრებული რამდენიმე ძირითად ამოცანას ისახავს — ამბროსი ხელაიას ბიოგრაფიის დაზუსტებას შესაბამისი წყაროების გამომზეურებით, აფხაზეთში მისი მოღვაწეობის დოკუმენტურ გაშუქებას, აფხაზეთისადმი მიძღვნილი სამეცნიერო და პუბლიცისტური შრომების გამოცემას.

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე, კრებულს დართული აქვს გამოკვლევა და კომენტარები. მისი ძირითადი ნაწილი ორი თავისაგან შედგება: I. დოკუმენტები, მასალები, ქადაგებები; II. სამეცნიერო შრომები და პუბლიცისტური წერილები. ვინაიდან ამ სახის ნაშრომი პირველად მომზადდა, ის ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან; არც

კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შრომების ნუსხაა, ალბათ, სრული და ამომწურავი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი დიდი უმრავლესობა პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში.

მზად ვართ, მაღლიერებით მივიღოთ სპეციალისტთა და მკითხველთა საქმიანი შენიშვნები.

\* \*

\*

დღემდე საყოველთაოდ იყო მიღებული მოსაზრება ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას 1861 წლის 7 ოქტომბერს (ავტორთა უმეტესობა) თუ 7 ოქტომბერს (ს. ვარდოსანიძე და სხვ.) მარტვილში დაბადების შესახებ. დოკუმენტი №1 — სოფ ინჩხურის წმ. გიორგის ეკლესიის სამეტრიკო წიგნის ჩანაწერი საბოლოოდ არკვევს, რომ ბესარიონ ხელაია დაიბადა 1861 წლის 7 (19) ოქტომბერს (იხ. აგრეთვე დოკ. №118), მაგრამ არა დაბა მარტვილში, არამედ მასთან ახლომდებარე სოფელ ინჩხურში; ერთ კვირაში — 15 (27) ოქტომბერს ბავშვი იქვე მოინათლა. მამა — ზოსიმე დავითის ძე ხელაია 1860 წ. 15 იანვრიდან იყო დიაკონი (ილორში), ხოლო 1860-1895 წლებში ილორის წმ. გიორგის ეკლესიის შტატისანი (შტატგარეშე შემდგომშიაც აგრძელებდა სამსახურს) მღვდელი გახლდათ; დედა — ბზეხა ნიკოლოზის ასული 1872 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა (დოკ. №3). დაახლოებით XIX ს. 40-ნი წლებიდან სამურზაყანოში (მათ შორის ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში 50-ნი წლების დასაწყისიდან)

მსახურობდა მღვდლად ბესარიონის ბაბუა — დავით ხელაია. ჩვენი მონაცემებით, ის არის კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1862-1863 წლების ანგარიშში ილორის ეკლესიის მღვდლად დაფიქსირებული დავიდოვი (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 928). როგორც ჩანს, ზოსიმე იმ დროისათვის მეორე მღვდელი იყო ილორში, ამიტომაც არ მოხვდა მისი სახელი ზემოთმითითებულ ანგარიშში. დავითის ძმა — ეგნატე ხელაია 1845 წლიდან აფხაზეთში ემკეტის (აკვასკის) მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელია (ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 15555, ფ. 9). სწორედ ემკეტში, ბიძასთან მიიღო დაწყებითი სასულიერო განათლება ზოსიმე ხელაიამ (დოკ. №4).

ამრიგად, ხელაიების დიდი ოჯახი წარმოშობით კი იყო ახლანდელი მარტვილის რაიონიდან, მაგრამ მისი წევრები XIX ს. შუახანებიდან მუდმივად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ აფხაზეთში, თანაც არ წყვეტდნენ კავშირს მშობლიურ სოფელთან. ამაზე მეტყველებს ბესარიონის სოფ. ინჩხურში დაბადება და ნათლობა.

ბესარიონ ხელაია ილორში გაიზარდა, პირველდაწყებით განათლებას ოჯახში ეზიარა; 1867 წლისათვის უკვე მზად იყო ჩასარიცხად ბიჭვინთისსასულიერო სასწავლებელში, რომელიც მალე უნდა გახსნილიყო (არ გახსნილა); 1872-1873 წლებში ოჩამჩირის სკოლაში (გაიხსნა 1872 წელს) სწავლობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ პატარა ბესარიონს არაერთი შესაძლებლობა ექნებოდა უშუალოდ ეხილა ოჯახთან დაახლოებული აფხაზეთის

ეპისკოპოსი წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე), აგრეთვე XIX საუკუნის უდიდესი სასულიერო მოღვაწე წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), რომელიც 1868 წლის 27 მაისს ილორის ეკლესიას სტუმრობდა.

1873 წ. 12 წლის ბესარიონმა სწავლის გაგრძელების მიზნით აფხაზეთი, ილორი დროებით დატოვა, მაგრამ მთელი ცხოვრება დარჩა აფხაზეთელად. მოგვიანებით (1900 წ.) სოხუმის ეპისკოპოსი არსენ იზოტოვი, ყაზანის სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობას აცნობებდა რა აკადემიის სტუდენტ ამბროსი ხელაიას კავშირზე “ყოველივე რუსულის მოწინააღმდეგეებთან” (გვ. 453), აღნიშნავდა, რომ იგი სოხუმის ოლქშია დაბადებული (уроженец). ამბროსი ხელაიას სამი ცნობილი ფსევდონიმიდან ორი — “სამურზაკანეც” და “კორენბედიელი” (მისი აზრით, “ილორელი”) — აფხაზეთელობას უსვამს ხაზს (არც ერთი ფსევდონიმი სამეგრელოს არ უკავშირდება); აფხაზეთს ეკავა უმთავრესი ადგილი მის შემოქმედებაშიც მაშინ, როცა სპეციალურად სამეგრელოზე თითქმის არაფერი დაუწერია.

1873-1879 წლებში ბესარიონ ხელაია მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეა, ხოლო მომდევნო 6 წელიწადი — თბილისის სასულიერო სემინარიისა. ამ უკანასკნელს 1885 წელს წარმატებით ამთავრებს პირველი თანრიგით და სტუდენტის წოდებით (დოკ. №5), რაც მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა სამსახურში მოწყობისას.

კრებულში წარმოდგენილი ნამსახურობის ნუსხები (послужные списки) და სხვა მასალები (დოკ.

№№ 5, 6, 8, 9, 11, 13, 24, 33, 118), რომელთა შორის უმნიშვნელო შეუსაბამობებია, ერთობლიობაში აბსოლუტური სიზუსტით აფიქსირებენ ამბროსი ხელაიას მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის სხვადასხვა ეტაპებს და გამორიცხავენ შემდგომში დიდი ერისკაცის ბიოგრაფიის დამახინჯებას.

1887 წლის 25 მარტს სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ სტუდენტი ბესარიონ ხელაია ჯერ სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკონად, ხოლო იმავე წლის 19 აპრილს დაბა დახოვსკოეს (სოჭი) მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლად აკურთხა. აქ იგი ახალგაზრდა მეუღლესთან — თანასოფლელ (ილორელ) ელიზავეტა ალექსის ასულ მერჭულესთან ერთად 1892 წლამდე ცხოვრობდა და მსახურობდა. პირველი ვაჟიშვილი ანდრია (Андріан), რომელიც 1888 წელს შეეძინათ, რამდენიმე თვისა გარდაეცვალათ. 1891 წლის ნამსახურობის ნუსხის მიხედვით, ხელაიებს ჰყავდათ 2 წლის ნინო და 8 თვის ალექსანდრე, მოგვიანებით (დაახლოებით 1896 წელს) კიდევ ერთი ქალიშვილი – ანა შეეძინათ.

1892 წლის 29 სექტემბრიდან ბესარიონ ხელაია სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელია; იმავე წლის 11 ოქტომბერს ეპისკოპოს აგაფადორის მიერ ახლადშექმნილი ეპარქიალური საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის (ევალეზოდა უძველესი ტაძრების აღდგენა და სხვ.) წევრი და ხაზინადარი ხდება. 1892 წლის 20 ოქტომბრიდან 1893 წლის პირველ აგვისტომდე ბესარიონ ხელაია სოხუმის ეპარქიის პირველი საბლალოჩინო ოლქის (გუდაუთის უბნის) ბლალოჩინი მღვდელია. ისტორიულ ლიტერატურაში

კი შეცდომით არის მითითებული, რომ ამბროსი ხელაიას თითქოს მთელი ქ. სოხუმის (ზ. ჭიჭინაძე) ბლალოჩინის თუ სოხუმის პირველი ბლალოჩინის წოდება მიენიჭა (ნ. პაპუაშვილი). როგორც დავინახეთ, სინამდვილეში მან გუდაუთის უბნის ანუ I საბლალოჩინო ოლქის ბლალოჩინის თანამდებობა დაიკავა, რაც დიდი წარმატება იყო ახალგაზრდა მღვდლისათვის. ამ თანამდებობაზე, ჩვენი მონაცემებით, მან ღვაწლმოსილი პიროვნება — იოსებ ბერძენიშვილი (ბერძენოვი) შეცვალა, რომელიც შავი ზღვის ოლქში გაამწესეს.

1893 წლის 10 ივნისს ბლალოჩინი მღვდელი ბესარიონ ხელაია, ერთდროულად, ხელმოკლე სასულიერო პირთათვის მზრუნველი საეპარქიო კომიტეტის წევრად და ხაზინადარად, იმავე დღესვე საეპარქიო სარევიზიო კომისიის წევრადაც დაინიშნა. ერთ კვირაში — 1893 წ.17 ივნისს იგი სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი ხდება. მტკიცება, თითქოს ეს თანამდებობა მან 1892 წელს დაიკავა, (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 189) სინამდვილეს არ შეეფერება.

1894 წლის 26 აპრილს ბესარიონ ხელაია სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულის კანონის მასწავლებლად, იმავე წლის 26 აგვისტოს კი — სოხუმის საეპარქიო საეკლესიო სამმოს, მასში შემავალი სასწავლო საბჭოს წევრად და საქმისმწარმოებლად (მდივნად), კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა. იმავე წელს ეპარქიის ხელმძღვანელობამ მღვდლებისა და



მედავითნეების კანდიდატების გამომცდელი კომისიის წევრად, ხოლო 1895 წ. 17 აპრილს ქ. სოხუმში არქიელის სახლის მშენებლობის კომიტეტის წევრად დაამტკიცა. იმავე წლის 8 ივლისს იგი სოხუმის ოლქის სამღვდელოების ყრილობას თავმჯდომარეობდა. მაშინ მიიღო შენიშვნა ეპ. არსენისაგან ყრილობის ოქმების შედგენისას გამოჩენილი “დაუდევრობისათვის” (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 3). მაგრამ ეს არ იყო პირველი “უთანხმოება” ახალ ეპისკოპოსსა და ბესარიონ ხელაიას შორის. 1895 წ. აღდგომა დღეს ეპ. არსენმა მამა ბესარიონს სახარების ქართულ ენაზე წაკითხვა აუკრძალა იმ მოტივით, რომ “აქ საქართველო არ არის” (დოკ. №44). ეპისკოპოსმა თავის ამ განცხადებაზე ბესარიონ ხელაიას ადექვატური პასუხი მიიღო: “აქ საქართველოა და არა რუსეთი” (დოკ. №19).

1896 წ. აგვისტო-სექტემბერში ბესარიონ ხელაია ახალი დებულების (დამტკიცდა 1896 წ. 26 თებერვალს) საფუძველზე ჩამოყალიბებული საეპარქიო საეკლესიო საბჭოსა და სასწავლო საბჭოს მუდმივ წევრად ინიშნება; საქმისმწარმოებლის (მდივნის) თანამდებობაზე კი 1897 წ. 23 იანვარს იგი საკათედრო ტაძრის მღვდელმა, სერპუხოველმა გიორგი გოლუბცოვმა შეცვალა. ეს არ იყო უბრალო სამსახურებრივი გადაადგილება. იმ დროისათვის ბესარიონ ხელაიას უკვე ჰქონდა მოხვეჭილი ქართველი ნაციონალისტის, აფხაზეთში თედო სახოკიას ხელმძღვანელობით მოქმედი “ქართული პარტიის” აქტიური წევრის სახელი. სხვა თანამოაზრეებთან ერთად ის აქტიურად იცავდა ქართულ ინტერესებს აფხაზეთში, სადაც საერო და სასულიერო ადმინისტრაცია უხეში ფორმებით

რუსიფიკაციის პოლიტიკას ატარებდა. მღვდელი ბესარიონ ხელაია სოხუმის შოვინისტ ეპისკოპოს არსენისაგან ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა. ეპისკოპოსმა კი მისი შევიწროვება და გიორგი გოლუბცოვით ჩანაცვლება გადაწყვიტა. როგორც არქიებისკოპოსი ავრაამი (ივანოვი) მოგვიანებით წერდა, ბესარიონ ხელაიას სოხუმიდან წასვლა და ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელება დიდწილად მის წინააღმდეგ დაწყებულმა დევნამ განაპირობა (დოკ №121). ყოველივე ამას ოჯახური ტრაგედიაც დაემატა — 1896 წელს (და არა 1893 წ., როგორც წერს ნ. პაპუაშვილი; იხ აგრეთვე დოკ №118) ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა. ბესარიონი სამი მცირეწლოვანი შვილის, მათ შორის ერთი წლის ანას აღზრდით, ზოგადად დედის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, დიდი ოჯახის (მამის) დახმარებით მან მოახერხა სწავლის გაგრძელება ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც მისაღები გამოცდების გარეშე ჩაირიცხა (დოკ №17). ამასთან დაკავშირებით 1897 წ. ივლისში ბესარიონ ხელაიამ სამსახურებრივი საქმეები საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დ. მაჭავარიანს და სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის ბერძენ მღვდელს — ა. ივანოვს გადააბარა (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 2), ხოლო იმავე წლის 15 ნოემბერს ეპარქიაში დაკავებული ყველა თანამდებობიდან განთავისუფლდა (დოკ №24). ეს თანამდებობები (მათ შორის საკათედრო ტაძრის კანდელაკისა — 1898 წლის 10 იანვარს) შოვინისტმა ეპისკოპოსმა შოვინისტ გიორგი გოლუბცოვს ჩააბარა. ქალაქის საზოგადოება დიდი

გულისტკივილით შეხვდა ცნობას საყვარელი მოძღვრის სოხუმიდან წასვლის შესახებ (დოკ №16).

1900 წლის 11 თებერვალს, როგორც პრესა იუწყებოდა, სტუდენტი ბესარიონ ხელაია ყაზანის სასულიერო აკადემიასთან არსებულ ეკლესიაში ბერად აღიკვეცა ამბროსის სახელით (დოკ №18). აქედან ჩანს, რომ ცნობები ბერად 1899 წ. 11 თებერვალს აღკვეცის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს (დოკ №№ 24, 33, 118).

1901 წლის ივნისში მამა ამბროსიმ წარმატებით დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია (ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით) და სამშობლოში დაბრუნდა. მტკიცება, თითქოს აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობა მან უსტ-მედვედსკოეს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაიწყო (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 190) სინამდვილეს არ შეეფერება.

სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ იმ ცნობას, რომლის საფუძველზე ს. ვარდოსანიძე თვლის, რომ ყაზანის შემდეგ ამბროსი ხელაია მცირე ხნით კვლავ სოხუმში მსახურობდა (... ამბროსი, გვ. 6). კრებულში წარმოდგენილი მასალებიდან კი დგინდება, რომ ყაზანიდან დაბრუნებული ამბროსი ხელაია 1901 წლის 15 ოქტომბერს ეგზარქოსმა ფლაბიანემ თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერში ჩარიცხა (შტატგარეშე), ხოლო 11 დეკემბერს — იმავე მონასტრის დროებით მმართველად დაინიშნა. ამბროსი ხელაიას შემდგომი მოღვაწეობის პერიოდიც (1908 წლამდე) ავტორთა უმრავლესობას არასწორად აქვს გაშუქებული. კერძოდ, ეს ეხება ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად

დანიშვნისა და არქიმანდრიტის ხარისხში აყვანის თარიღს. ავტორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მამა ამბროსის ჭელიში გამწესება 1901 წელს მოხდა, ალბათ, ჟურნალ “მწყემსში” 1901 წლის 15-30 ნოემბერს (№22) გამოქვეყნებულ დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილს, სხვა დაუზუსტებელ ინფორმაციებს ეყრდნობიან.

დეკანოზ დ. ღამბაშიძის წერილიში “ფრიად სასიამოვნო მოვლენა” მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა მამა ამბროსი ხელაიამ, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა რუსეთში მაღალი თანამდებობები მიეღო, უარი თქვა “სხვა ქვეყანაში სამსახურზე და ამისთანა მცირე ადგილზე აღირჩია სამსახური. პატივი მის მამულის სიყვარულობას! პატივი და დიდება მის გაბედულობას და თავმდაბლობას, — ვკითხულობთ წერილში. — ჭემმარიტად მკვნესარი გული იხარებს და დაკარგული იმედი გიბრუნდება მომავალზე... ჭემმარიტად შესანიშნავი და სასიხარულო მოვლენაა ჩვენს საზოგადოებაში მამა ამბროსის მიერ (ხელაიას) ასე მცირე ადგილზე სამსახურის აღრჩევა” (მწყემსი, 1901, №22, გვ. 2-3). დეკ. დ. ღამბაშიძე არ წერს, რომ მამა ამბროსი უკვე დანიშნულია ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად (თუმცა პრინციპულად ეს საკითხი ნამდვილად ყოფილა გადაწყვეტილი 1901 წელს), მაგრამ მისმა პუბლიკაციამ, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა მკვლევარები (ნ. პაპუაშვილი. ამბროსი, გვ. 15 და სხვ.). ნამსახურობის ნუსხების (დოკ. №№ 24, 33) მიხედვით (იხ. აგრეთვე კომენტ. 51), მამა ამბროსი ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა 1902 წ. 7 მარტს, არქიმანდრიტის ხარისხში აყვანა კი მოხდა

რამდენიმე დღით ადრე — 1902 წლის 3 მარტს. ჭელიშის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო ამბროსი ხელაიას სასულიერო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1902 წლის 28 აგვისტოს გაზეთი “ივერია” იუწყებოდა ჭელიშის მონასტერში 30-მდე უძველესი ხელნაწერისა და მეფე დავით-ნარინის ვერცხლის ბარძიმის აღმოჩენის შესახებ. “ჭელიშში ათამდე ბერია და მონასტრის წინამძღვრად ეხლახანს გამწესდა არხიმანდრიტი ამბროსი (მღვდლობაში ხელაია)”, წერდა გაზეთი. იმავე წლის 5 ოქტომბრის ნომერში (№211) “ივერიაში” გამოქვეყნდა სოსიკო მერკვილაძის “წერილი რაჭიდან”, სადაც ჭელიშის მონასტერზე და მის ახალ წინამძღვარზეც იყო საუბარი. ტაძრის დღესასწაულ-ზე (მარიამობაზე)მისული ავტორი მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად წირვას დასწრებია. “წირვის შემდეგ მამა ამბროსიმ წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება, რომლის გაგონებამაც მრავალ მლოცველს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა”, — წერდა ს. მერკვილაძე. მოკლე დროში მამა ამბროსის ხალხის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. კითხვაზე, — “როგორია, ძმობილო, თქვენს უდაბნოს ახალი წინამძღვარი”, — ს. მერკვილაძემ ადგილობრივებისაგან ასეთი პასუხი მიიღო: “ღმერთმა კარგი დაგმართოსთ, კარგი რამა გვყავს მამა ამბროსი; რომ იტყვიან, ღვთის ენა-პირი ასხიაო, სწორედ ის არის, ამ ხნის კაცი გახლავართ და ჯერ მაგისტანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვილისთანა ქადაგება გაგვიგონიაო”.

გაზ. “ივერია” (1903, 4 სექტემბერი, №188) მკითხველებს აუწყებდა, რომ მამა ამბროსი “მეცნიერულის აზრით დადის რაჭის ეკლესიებში სანახავად, იძიებს და იკვლევს ძველთა საეკლესიო ნაშთთა: ჯვართა, ხატთა და ხელნაწერთა”. ამ მოგზაურობებისა და შემდგომში ამბროსი ხელაიას მეცნიერული მუშაობის შედეგები კარგად არის ცნობილი (ს. ვარდოსანიძე. ... ამბროსი, გვ. 7-8 და სხვ.).

გაზ. “ივერიამ” 1903 წლის 5 ოქტომბერს პირველ გვერდზე შემდეგი შინაარსის პირველი ინფორმაცია (გაზეთის აზრით, ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა) გამოაქვეყნა: “ჭელიშის (რაჭაშია) მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) გადაუყვანიათ დონის ეპარქიაში უსტ-მედვეჟის სტანიცის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად”. ეს გადაყვანა, კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მოხდა 1903 წლის 6 სექტემბერს და არა 1904 (ვ. გურგენიძე, ნ. პაპუაშვილი), მითუმეტეს, 1906 (ზ. ჟვანია) წლებში.

რამ განაპირობა არქიმანდრიტ ამბროსის ასე მოულოდნელად რუსეთში გადაყვანა, ფაქტიურად გადასახლება?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უეჭველად ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან ამბროსი ხელაიას მჭიდრო კავშირში უნდა ვეძიოთ. 1903 წლის აპრილის მეორე ნახევარში ეგზარქოსმა ალექსიმ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს ერთი კვირა ი. ვოსტორგოვთან ერთად აფხაზეთში (ახალ ათონში, გუდაუთაში, ლიხნში, სოხუმში, დრანდაში) გაატარა, სადაც შეხვდა და ესაუბრა ოლქის უფროს ვ.

პროგულბიკის, შეაგროვა “ინფორმაცია” თუ რა “დიდი განსხვავება” იყო თურმე ქართულ და მეგრულ ენებს შორის, რათა სამრევლო სკოლებში სწავლების მეგრულ ენაზე შემოღების აუცილებლობა დაესაბუთებინა (ამ მოგზაურობის შესახებ იხ. Прибавление к Духовному Вестнику Грузинскаго Экзархата, 1903, №22, с. 10-47; 1904, №1-2, с. 20-36; Духовный Вестник Грузинскаго Экзархата, 1904, №4, с. 26-41 — ი. ვოსტორგოვის წერილები). მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ეგზარქოსმა სრულიად საიდუმლო წერილი აფრინა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ კ. კ. პობედონოსცევის სახელზე, სადაც წერდა, რომ ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი, სოხუმის ოლქის უფროსის ხელთ არსებული ინფორმაციით, ძალიან ხშირად ჩამოდის აფხაზეთში, ხვდება საეკვო პირებს, რომლებიც გამოირჩევიან «противлением объединительным стремлениям русскаго правительства; о. Амвросий устраивает какие-то тайные совещания, разъезжает тайно по селениям, и всегда в результате его разъездов получают приговоры и прощения сельчан о введении в школы грузинскаго языка преподавать» (დოკ. №20). ჩვენი ღრმა რწმენით, ეს წერილი გახდა ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ამბროსი ხელაიას საქართველოდან გაწვევისა.

კიდევ ერთი მიზეზი მამა ამბროსის გადასახლებისა ჭელიშის ქართული მონასტრის აღორძინებას, ამ მიზნით ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიებების წამოწყებას უკავშირდება, რომელთა შესახებ 1903 წ. 18 ივნისს გაზ. ივერიაში გამოქვეყნებულ წერილში — “ჭელიშის მონასტერი და მისი

წინამძღვარი” — იყო საუბარი. ავტორი — მღვდ. სიმონ ჭელიძე (მომავალში მიტროპოლიტი) ქართულ საზოგადოებას აუწყებდა, რომ ჭელიძის მონასტერი ძველ დროში მთელს რაჭაში სასულიერო განათლების მთავარი კერა იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში სამონასტო ცხოვრებაშეჩერდა, ვინაიდან მომრავლდნენ სემინარიელები; ამ უკანასკნელებს კი ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ნაკლებად ეხერხებოდათ; აღნიშნულ გარემოებას მიაქცია ყურადღება მამა ამბროსიმ, - წერდა ს. ჭელიძე, — და იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს ნებართვით გადაწყვიტა “ის სემინარიელნი, რომელნიც სამღვდლოდ ემზადებიან, უთუოდ ვარჯიშობდნენ საღმრთო წერილის კითხვაში ამ მონასტრის ზღუდეთა შორის. აზრი ყოვლად პატიოსანია და, იმედია, ახლო მომავალში განხორციელდება. მაშინ ჩვენს მონასტრებს ხომ სიცოცხლეს მოვამატებ”. გაზეთი საზოგადოებას აცნობებდა, რომ მამა ამბროსი “დაბრძანდება რაჭის ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველ ეკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს.”. რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი სასულიერო მთავრობისათვის არქიმანდრიტ ამბროსის საქმიანობა, განსაკუთრებით ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის მცოდნე და პატრიოტულად განწყობილ სასულიერო პირთა მომზადება თუ გადამზადება მიუღებელი იქნებოდა, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეპისკოპოს კირიონის ხელმძღვანელობით ფეხს იკიდებდა მოძრაობა მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამ იდეის აქტიური მხარდამჭერი ნ. დურნოვო მწვავე



წერილებს ბეჭდავდა რუსულ პრესაში. გაზ. “ივერია” 1903 წ. 28 ოქტომბერს თავის მკითხველს აუწყებდა გაზეთ “გრაჟდანიში” (№№74 და 75) გამოქვეყნებული ნ. დურნოვოს წერილების შესახებ, რომლებშიც ქართული ეკლესიის აწინდელ მდგომარეობას ეძღვნებოდა სტრიქონები “სავსე მწარე სიძმართლითა და მხურვალე თანაგრძნობითა”. სოხუმში ყოფნის პერიოდიდან ნაციონალისტად ცნობილ არქიმანდრიტ ამბროსის, რომელიც კვლავაც აქტიურად აგრძელებდა პატრიოტულ საქმიანობას, მათ შორის აფხაზეთშიც, მთავრობა, როგორც ჩანს, საშიშ პიროვნებად მიიჩნევდა.

ყოველივე ამან განაპირობა 1903 წ. სექტემბერში ამბროსი ხელაიას რუსეთში გადასახლება. 1902 წელს საქართველოს მოაშორეს ავტოკეფალიის იდეის სულისჩამდგმელი ეპისკოპოსი კირიონი. 1903 წელს მას მიაყოლეს ამ იდეის მხურვალე მხარდამჭერი და დიდი პატრიოტი არქიმანდრიტი ამბროსი. სამშობლოდან შორს მყოფი მამულიშვილები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობის შენარჩუნებას (ვ. კიკნაძე. დასახ. ნაშრომი).

1905 წლის 14 ივლისს ეპისკოპოსმა ლეონიდემ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას წარუდგინა მოხსენება იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპარქიების წარმომადგენლად კანტორის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას დანიშვნის შესახებ.

1905 წლის 5 აგვისტოს ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენება სინოდალურმა კანტორამ მოიწონა; 10 სექტემბერს ეგზარქოსმა შესაბამისი თხოვნით დონისა და ნოვოჩერკასკის ეპისკოპოს ათანასეს (რომლის

ეპარქიაშიც შედიოდა უსტ-მედვედსკოე) მიმართა. მან კი 1905 წლის 28 სექტემბერს წერილობითი თანხმობა განაცხადა არქიმანდრიტ ამბროსის თბილისში გადმოყვანაზე (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 48994, ფ. 3, 5-6). ამ აუცილებელი წინასწარი პროცედურების შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია 1905 წლის 24 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა (დოკ. №25). ამრიგად, მტკიცება, მამა ამბროსის 1904 წ. სინოდალური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის (გ. საითიძე. წამებული ივერიის ეკლესიისა ამბროსი ხელაია. — სახალხო გაზეთი, 1999, 23-29 მარტი; ნ. პაპუაშვილი. ამბროსი) ან 1905 წ. რუსეთში გადასახლების (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 191), 1906 წ. საქართველოში დაბრუნებისა და იმავე წელს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის (ნ. პაპუაშვილი. ამბროსი) შესახებ უსაფუძვლოა.

სინოდალურ კანტორაში ამბროსი ხელაია იმერეთის, გურია-სამეგრელოს და აფხაზეთის ეპარქიებს წარმოადგენდა. უფრო ლოგიკური და გამართლებული იქნებოდა, მონასტერი მისთვის დასავლეთ საქართველოს რომელიმე ეპარქიაში მიეცათ. სასულიერო ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში გაითვალისწინა ამბროსი ხელაიას 1902-1903 წლების გამოცდილება (დოკ. №25) და იგი აფხაზეთიდან რაც შეიძლებოდა შორს დაასაქმა.

სამშობლოში დაბრუნებამდე რამდენიმე თვით ადრე (1905 წლის 6 მაისს) არქიმანდრიტი ამბროსი წმ.

ანას II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1906-1907 წლებში სინოდალურმა კანტორამ დონის კონსისტორიიდან მიიღო ექვსი წერილი, რომლებითაც ითხოვდა თუ მოითხოვდა ამბროსი ხელაიასათვის მისი ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით 30 მანეთის დაქვითვას. მან კი მხოლოდ 5 მან. გადაიხადა, რაც ეცნობა დონის კონსისტორიას (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 48994, ფ. 31-41). რატომ არ იხდიდა მამა ამბროსი მოთხოვნილ თანხას (ალბათ, მიღებული ორდენი იმდენი არ უღირდა) დოკუმენტებიდან ცნობილი არ არის (იხ. გვ. 43).

ამბროსი ხელაიას საქართველოში დაბრუნება, რაზეც ის სულ ოცნებობდა (დოკ. № 22), დროში დაემთხვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის გაშლილ ბრძოლას, ამ მიზნით ეპისკოპოსების — კირიონისა და ლეონიდეს პეტერბურგში გამგზავრებას (იხ. “წმინდა მღვდელმთავრე კირიონ II და აფხაზეთი. თბ., 2006). როგორც მოსალოდნელი იყო, მამა ამბროსი აქტიურად ერთვება ამ ბრძოლაში. 1906 წ. 14 თებერვალს ეპ. ლეონიდესთან პეტერბურგში გაგზავნილ წერილში იგი ასე აყალიბებს საკუთარ (და თანამოაზრეთა) პოზიციას: “დათმობა არაფრისა და რასაც ძალით მოგვცემენ, ვემორჩილებით მხოლოდ დროებით; როდესაც მოხერხებულ დროს ვნახავთ, ვეცდებით განვახორციელოთ, რაც პეტიციებშია ნათხოვნი” (დოკ. №26). წერილში გამოთქმულია პრინციპული მოსაზრება, რომ ქართული მხარე არ უნდა დაეთანხმოს ავტოკეფალიის საკითხის რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე განხილვას, ვინაიდან იგი არ

მიიღებდა სასურველ გადაწყვეტილებას (იხ. აგრეთვე დოკ. № 29); გარდა ამისა, — წერდა მამა აბროსი, — “კრებას არ წაურთმევია ჩვენთვის ავტოკეფალური წესწყობილება ჩვენის ეკლესიისა და არც შეუძლია იმის მოცემა, რაც de iure უკვე გვაქვს, მხოლოდ ფაქტიურად ძალმომრეობამ წაგვართვა” (დოკ. № 26).

ამბროსი ხელაია მხურვალედ მიესალმა სოხუმში ეპისკოპოს კირიონის დანიშვნას. ურთიერთობა ორ გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეს შორის უფრო ინტენსიური გახდა. ამაზე მიუთითებენ კრებულში წარმოდგენილი და ადრეც გამოქვეყნებული (“წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი”) მთელი რიგი დოკუმენტები (დოკ. №№ 27, 28, 30, 31).

არქიმანდრიტი ამბროსი მღვდლებთან — კ. ცინცაძესა (პირითადი ავტორი) და ა. თოთიბაძესთან ერთად არის თანაავტორი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტისა. «Какой тактики должно держаться грузинское духовенство при восстановлении родной церкви в автокефальных правах»? (დოკ. №29). სამწუხაროდ, იგი არ არის ჯეროვნად შეფასებული ისტორიოგრაფიაში, არსებობს კრიტიკული მოსაზრებებიც (ვაჟა კიკნაძე. ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა. თბ., 2003, გვ. 94-95). უნდა გავითვალისწინოთ, რომ დოკუმენტი შექმნილია მას შემდეგ, რაც რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბიროს სხდომებზე, მიუხედავად ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდეს ძალისხმევისა, ავტოკეფალიის საკითხი ჩავარდა და იმპერატორის 1906 წ. 11 აგვისტოს ბრძანებულებით განსახილველად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას გა-დაეცა. ყველა

ხედავდა, რომ ეს ავტოკეფალიისათვის უარის თქმას ნიშნავდა. ამ პრინციპულად ახალი ვითარებისა (როცა საერთოდემოკრატიული მოძრაობა რუსეთში დასუსტდა, იმპლავრა რეაქციამ და სასულიერო თუ საერო ხელისუფლების მხრიდან ავტოკეფალიაზე უარის თქმა გარანტირებული იყო) და მოსალოდნელი საფრთხეების (აფხაზეთის ეპარქიის ჩამოცილება, ფილეთიზმი) გათვალისწინებით შეიქმნა აღნიშნული დოკუმენტი. მისი ავტორები რეალურად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას და მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის უფრო ხელსაყრელი სასტარტო პირობების შექმნას ისახავდნენ მიზნად.

მათი აზრით, საჭირო იყო ჯერ ეკლესიის განთავისუფლება საერო ხელისუფლების დიქტატისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ ქართული და რუსული ეკლესიების გამიჯვნა; არჩევითობის პრინციპის აღდგენა, რუს ხალხთან და მის ეკლესიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, რუსეთის საეკლესიო კრებაზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვაზე უარის თქმა (რადგანაც იგი აუცილებლად უარყოფით გადაწყვეტილებას მიიღებდა და ამ გზით ქართული ეკლესიის მხოლოდ დე-ფაქტო უუფლებობას დე-იურედ აქცევდა) და გარკვეულ დრომდე ავტოკეფალიის საკითხის ღიად დატოვება (და არა მასზე უარის თქმა), ეკლესიის ეროვნული პრინციპით დაყოფის (ფილეთიზმი) ვერაგული გეგმების ჩაშლა, ისტორიული საქართველოს საკათალიკოსოს ტერიტორიაზე ფართო ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი ცალკე სამიტროპოლიტოს შექმნა ხუთი

ეპარქიის შემადგენლობით. მათ შორის ერთ-ერთი იქნებოდა აფხაზეთ-სამეგრელოს ეპარქია.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რამდენად რეალური და შორსმჭვრეტელოური გახლდათ ამბროსი ხელაიას და მისი თანამოაზრეების მიერ ახალ ვითარებაში წამოყენებული ტაქტიკური გეგმა. მართალია, მსგავსი პროექტის წამოყენება მაშინ, როცა ქართული სამღვდელოება და საზოგადოება ცხუმელი ეპისკოპოსის — კირიონის მეთაურობით სრული ავტოკეფალიისათვის იბრძოდა, შეცდომა იქნებოდა, მაგრამ 1906 წლის ბოლოსათვის, როცა იმპერიული ცენტრის პოზიცია გაირკვა, როცა დემოკრატიულმა რევოლუციამ მარცხი განიცადა და გაიმარჯვა რეაქციამ, საჭირო იყო ახალი ტაქტიკა, შუალედური მიზნის დასახვა.

სხვადასხვა შუალედურ ვარიანტებზე საუბარი ადრეც ყოფილა. ასე, მაგალითად, როცა ილია ჭავჭავაძე და გიორგი ჟურული 1905-1906 წლების მიჯნაზე უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ა.დ. ობოლენსკის შეხვდნენ და ქართული ეკლესიის პრობლემებზე ისაუბრეს, არჩევით ეგზარქოსზე თანახმანი იყვნენ (წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 440). გარდამავალი პერიოდისათვის ეს იდეა არც კირიონისა და ლეონიდესათვის იყო უცხო და მიუღებელი 1906 წლის პირველ ნახევარშიც კი (იქვე, გვ. 111, 113 და ა.შ.). აი, რას წერდა ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგიდან ი. ჩიჯავაძეს 1906 წლის 2 იანვარს: “ჩვენი საეკლესიო კითხვები კარგ დროს ირჩევა... ახლა აქ არიან საქართველოს უკეთესი წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, აგრეთვე აქ არის

დ.ზ. მელიქიშვილი. კერძო კრებები ექნებათ, რა თქმა უნდა, აქაურ ქართველებს და რასაც გადასწყვიტავენ, ჩვენ იმას უნდა დავადგეთ. ქართველობას გადაუწყვეტია ჯერ-ჯერობით ქართველი ეგზარქოსი — მიტროპოლიტის დანიშვნაზედაო (ხაზგასმა ჩვენია — ჯ.გ.), თუმცა ყველას გულში კათალიკოსობის აღდგენა სურს” (წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 93).

ამგვარ მოსაზრებას თუ ჰქონდა არსებობის უფლება 1906 წ. იანვარში, მით უმეტეს, წლის ბოლოსათვის, როცა ვითარება უარესობისაკენ შეიცვალა, არქიმანდრიტ ამბროსის, მღვდლების კ. ცინცაძისა და ა. თოთიბაძის პროექტი, რომლის რეალიზება, ყველაფერთან ერთად, შოვინისტებს აფხაზეთის ეპარქიის თემით მანიპულირების საშუალებასაც მოუსპობდა, სავსებით მისაღები უნდა ყოფილიყო მოწინავე ქართული საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე იგონებდა, ეს დოკუმენტი “ზოგმა ავტოკეფალიაზე უარის თქმად მიიჩნია. ერთი ასეთთაგანი აღმოჩნდა პროფესორი ა. ცაგარელი, რომელმაც ეგ ამბავი ა.ს. ხახანაშვილს აცნობა. ა.ს. ხახანაშვილმა წერილი თავის ნათესავს, მღვდელ თ. ლაფერაშვილს გამოუგზავნა, გაიგე, ვინაა ავტორიო (ფურცელზე ეწერა: მღვდელთა ჯგუფის აზრი). ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიმალებოდით და საკმაოდ გაგვიტყდა სახელი. შემდგომ პროფესორი ცაგარელი (დ.ზ. სარაჯიევის სახლში, სადაც ბინად იყო ხოლ-მე) სამი საათი მელაპარაკა და მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ ფურცლის აზრი არ გამოხატავდა ავტოკეფალიაზე

უარის თქმას” (კალისტრატე ცინცაძე. ჩემი მოგონებებიდან. თბ., 2001, გვ. 125-126).

არქიმქანდრიტი ამბროსი მალე იქცა მნიშვნელოვან ფიგურად საქართველოში, საერთოეროვნული მასშტაბის მოღვაწედ; იგი იყო ილია ჭავჭავაძისა და ეპისკოპოს კირიონის ერთგული მიმდევარი, ერის ერთ-ერთი წინამძღოლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დიდი ილიას ცხედრის წინაშე 1907 წ. 8 სექტემბერს სიონის ტაძარში წარმოთქმულ ბრწყინვალე სიტყვაში მან დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა “შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმსრულებლები იმ ცნებებისა, რომელიც განსვენებულმა თავისი მოღვაწეობით გვიანდერმა ჩვენ” (ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. თბ., 1907, გვ. 173). ილიას “ცნება” კი უპირველეს ყოვლისა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გახლდათ.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრის უშუალო მოვალეობებთან ერთად მამა ამბროსი მრავალ სხვა დავალებასაც ასრულებდა, როგორც ეს იყო სოხუმშიც. 1906 წლის 3 მარტს ხელმოკლე სასულიერო პირთათვის სამზრუნველოს (попечительство) თავმჯდომარედ, 9 მაისს კი საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ (ამხანაგი) დაამტკიცეს, ხოლო 10 სექტემბერს საგამოცდო კომისიის წევრად დანიშნეს; 1907 წ. 30 მაისიდან იმავე წლის სექტემბრის ბოლომდე თბილისის ფერისცვალების პირველი კლასის მონასტერს მართავდა; 1907 წ. 29 ოქტომბერს დაინიშნა აგრეთვე მცხეთის საპატრიარქო ტაძრის აღმდგენი



კომიტეტისა და სინოდალურ კანტორასთან შექმნილი საცენზურო კომიტეტის წევრად.

სინოდალურ კანტორაში მუშაობას არქიმანდრიტი ამბროსი მშვენივრად უთავსებდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრობას; იყო მონასტერთან არსებული სოფ. ხაშმის (საგარეჯოს რაიონი) სკოლის გამგე და ამ სკოლის ხარჯებით მის მიერვე დაარსებული ჭრა-კერვის სკოლის ხელმძღვანელიც. 1908 წლის 29 თებერვალს ეგზარქოსმა ნიკონმა საქართველოს ეპარქიის სასწავლო საბჭოს წარდგინებით აღნიშნულ სკოლებში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის მამა ამბროსი მწყემსმთავრული კურთხევით და მადლობით დააჯილდოვა შესაბამისი სიგელის გადაცემით.

1908 წლის 8 მაისს ამბროსი ხელაიამ განცხადებით მიმართა ეგზარქოს ნიკონს და 28 ივნისიდან 20 ივლისამდე შვებულება სთხოვა (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 48994, ფ. 42). 28 მაისს კი ეგზარქოსი მოკლეს. ამის შემდეგ იწყება ახალი და უმძიმესი ეტაპი მამა ამბროსის ცხოვრებაში.

ეგზარქოსის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდა სარევიზიო კომისია უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორის ვ. იაცკევიჩისა და სინოდის სამეურნეო სამმართველოს ჩინოვნიკის ნ. სპერანსკის შემადგენლობით. მათ შეამოწმეს საქმისწარმოება საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, ეგზარქოსის კანცელარიაში, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში. 1908 წლის 22 დეკემბერს უწმ. სინოდმა მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში და

მიიღო დადგენილება არქიმანდრიტ ამბროსის სინოდალური კანტორის წევრობიდან და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრობიდან განთავისუფლების შესახებ; იმავე დადგენილებით გადაწყდა მისი გადაყვანა «в число братии Троицкого монастыря Рязанской епархии, поручив его особливому надзору преосвященнаго Рязанскаго, епископа Никодима и запретить его в священнослужений впред до особаго распоряжения» (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 143). ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება უწმინდესმა სინოდმა ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ ყოველგვარი სამხილის გარეშე მიიღო. “რაკი მკვლევლები ვერ იპოვეს, მთავარეპისკოპოს ნიკონის “იდეური” მოწინააღმდეგეების დევნა დაიწყო, — იგონებდა კალისტრატე ცინცაძე. — ერთ ასეთ მოწინააღმდეგედ სინოდის რევიზორმა სინოდის კანტორის წევრი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) მიიჩნია, რომელმაც უარი თქვა 1906 წ. 8 სექტემბერს ეგზარქოსს დიდუბის ეკლესიაში წაჰყოლოდა” (კ. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 135).

1909 წლის 22 იანვარს, საღამოს ქ. თბილისში სამღვდელოებისა და საზოგადოების წარმომადგენლებით გადაჭედილ ფერისცვალების მონასტერში ჩატარდა არქიმანდრიტ ამბროსისთან გამოსამშვიდობებელი პარაკლისი, რათა ეთქვათ «последнее «прости» своему любимому архимандриту» (Новости Закавказья, 1909, 24 იანვარი). ასეთი გულთბილი მეგობრული გაცილება «удел только немногих избранных», — წერდა გაზ. “ზაკავკაზსკოე ობოზრენიე” (1909 წ. 25 იანვარი). ხალხი ტიროდა იმის

გამო, რომ «любимец грузинского духовенства архимандрит Амвросий, по фамилии Хелая с высокой должности члена Грузино-Имеретинской конторы и настоятеля Иоанно-Крестительскаго монастыря смещен Св. Синодом без объяснений причин и сослан в Рязанский Троицкий монастырь в число простой братии» (Закавказское Обозрение, 1909, 25 января). მამა ამბროსი სიმშვიდეს იწარჩუნებდა და იქით ამხნევებდა თავის თაყვანისმცემლებს, მოუწოდებდა მათ «уповать всегда на правосудие Неба» (იქვე); მიიღო ძვირფასი საჩუქარი — წმ. ნინოს ხატი, რომელიც «утешит его в трудные минуты неминуемой грусти по далекой милой родине», — წერდა გაზეთი “ნოვოსტი ზაკავკაზია” (1909 წ. 24 იანვარი). მონასტრიდან არქიმანდრიტი ამბროსი პირდაპირ სადგურში გაემგზავრა და გაუდგა გზას შორეული რუსეთისაკენ. მანამდე კი მეფისნაცვალს — ი. ვორონცოვ-დაშკოვს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომელშიც ითხოვდა «сделать строгое расследование о причинах его заточения, так как его высылают из Грузии без всякого суда и следствия» (Н. Дурново. Мутный источник. М., 1909, с. 13).

არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას რიაზანში გადასახლებაზე უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ სამღვდელთაზე, საზოგადოებაზე. 1909 წლის 11 თებერვალს ი. ჩიჯავამე გადასახლებაში მყოფ ეპ. კირიონს აცნობებდა, რომ, “5 თებერვალს მიიცვალა მოხუცი ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი — ჯ.გ.); ამბროსის გადაყვანამ დიდი გავლენა იქონია მასზე, სულ დაეცა სულით; მეტადრე შენი შელახვა, ხომ თქმა არ უნდა, ძალიან სწუხდა” (ვაჟა

კიკნაძე. ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, გვ. 115). ამბროსის დასაცავად (ისევე, როგორც ეპ. კირიონისა და სხვათა) ხმა აღიმადლა საქართველოს რუსმა მეგობარმა ნ. დურნოვომ, რომელმაც სპეციალური ბროშურა მიუძღვნა სახელმწიფო სათათბიროში 1908 წ. 10 დეკემბერს ცნობილი შავრაზმელის ვ. პურიშკევიჩის გამოსვლას, როცა მან ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ქართველი სასულიერო პირები დაადანაშაულა (იხ. მისი «Мутный источник»). მამა ამბროსი, — წერდა ნ. დურნოვო, — «весьма корректный, добросовестный, высокой нравственности и прямоты Человек, говоривший всегда правду в синодальной конторе и защищавший в ней своих соотечественников; как член конторы, он отличался деловитостью и энергией» (Н. Дурново. Мутный источник, с. 21).

რიაზანის სამეზბის მონასტერში არქიმანდრიტი ამბროსი უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა, რის შესახებაც მოგვიანებით თავადვე წერდა (გაზ. საქართველო, 1917, 9 მარტი). ამავე დროს არ იცოდა და არც არავინ ეუბნებოდა, თუ რისთვის ისჯებოდა ასე სასტიკად. 1909 წ. 7 აპრილს უწმინდესმა სინოდმა განიხილა სამი დოკუმენტი: 1. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1909 წლის 21 იანვრის მოხსენება, რომელსაც თან ერთვის განცხადება არქიმანდრიტ ამბროსისა, «просящего о разрешении ему прибыть лично в С. Петербург для ознакомления с мотивами, которые могли привести Святейший Синод к решению об увольнении его от службы в конторе и настоятельства в Иоано-Крестительской пустыни или,

если это не будет дозволено, о предъявлении ему обвинения по пунктам»; 2. დავით (კაჭახიძე) ალავერდელის განცხადება არქიმანდრიტ ამბროსის უდანაშაულობისა და მისი საქმის შესწავლის აუცილებლობის შესახებ; 3. თვითონ ამბროსი ხელაიას 1909 წ. 18 თებერვლის განცხადება უწმ. სინოდის სახელზე მისი საქმის გამოძიების დაჩქარების თაობაზე. დადგენილებაში კი ჩაიწერა, რომ «Святейший синод не усмотривает оснований к удовлетворению вышеизложенной просьбы архимандрита Амвросия и посему определяет: Вышеупомянутыя заявления архимандрита Амвросия и епископа Алавердскаго Давида оставить без последствия; о чем для объявления просителям послать Грузино-Имеретинской синодальной конторе указ» (საპატრიარქოს არქივი, აეწ. 2, ს. 539, ფ. 71).

მამა ამბროსის საქმის გამოძიება მაინც დაიწყო. მას აწარმოებდა უკიდურესი შოვინისტი, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ყოფილი ობერ-პროკურორი, რუსეთის ისუტიციის მინისტრი (1906-1915 წ.წ.) ი.გ. შეგლოვიტოვი. გამოძიებამ ამბროსი ხელაიას დანაშაული ვერ დაადასტურა (გვ. 352) და 1910 წლის დასაწყისში ღვთისმსახურების უფლება აღუდგინეს, მაგრამ არა საქართველოში. 1910 წლის 4 თებერვალს იგი ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას უფლის ფერისცვალების პირველი კლასის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, იმავე წლის 24 დეკემბერს ნოვგოროდის კონსისტორიამ ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინის თანამდებობაც შეუთავსა.

ხელისუფლებისათვის მთავარი იყო ყოველივე რუსულის მოწინააღმდეგედ შერაცხულ ნებისმიერ ქართველს საკუთარ სამშობლოში არ ემსახურა; საქართველოდან შორს კი უბოძებდა მას მეტნაკლებად შესაფერის თანამდებობას საკმარისი ხელფასით და ცხოვრების შედარებით ნორმალური პირობებით. ასე მოხდა 1903 წელსაც, როდესაც მამა ამბროსი ჭელიშის მონასტრიდან დონის ეპარქიაში “დააწინაურეს” ბევრად მეტი ხელფასით (2100 მან.). მაშინაც და ამჯერადაც იგი საქართველოში დაბრუნებისათვის იღწვოდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ — 1912 წ. აგვისტოში მოახერხა სამშობლოში, მათ შორის აფხაზეთში შვებულებით ჩამოსვლა. იყო ილორში (მამა-პაპისეულ სახლში), ბედიამი, სოხუმში, სადაც ეპისკოპოს ანდრიას შეხვდა (გვ. 486-491), და სხვ

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ამბროსი ხელაიამ სრულ რეაბილიტაციას, ანუ სამშობლოში სამსახურის უფლების მოპოვებას, 1917 წლამდე ვერ მიაღწია — ყველა მისი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ბოლოს, როგორც 1915 წ. აგვისტოში თვითონვე წერდა, “პირადადაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ცოდვები, მაგრამ როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდესმეო” (კათალიკოსი ამბროსი, გვ. 30). მამა ამბროსი კარგად ხვდებოდა, რომ ისჯებოდა არა კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ უწმ. სინოდის შოვინისტური პოლიტიკის გამო, რომელიც “უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარე ყოფნას, როგორც მათი შეხედულებით, არასაიმედო პირისას” (იქვე).

ერთ-ერთი მცდელობა სამშობლოში დაბრუნებისა არქიმანდრიტ ამბროსის 1914-1915 წლების მიჯნაზე ჰქონდა. ეპისკოპოსი ლეონიდე და საქართველოში დარჩენილი სხვა თანამოაზრე სასულიერო პირები ცდილობდნენ ალავერდის ეპისკოპოსად მის გამწესებას. ეპისკოპოს კირიონის წერილიდან (1915 წ. 16 იანვარი) ტარას კანდელაკისადმი ირკვევა, რომ მან ეს ამბავი კირიონთან ერთად მაშინ პეტერბურგში მყოფი ამბროსისაგან შეიტყო; თვითონაც სცადა დახმარების გაწევა. “აქ ზოგიერთ წევრებთან წავიყვანე და ვსთხოვე ეპისკოპოსობა”, — წერდა ეპ. კირიონი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. კირიონის ფონდი, ს. 181).

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას თითო თითზე არ დაუკარებია თავისი ყოფილი წევრის ღირსების და უფლებების დასაცავად. უფრო მეტიც, 1909-1916 წლებში იგი წერილს წერილზე აგზავნიდა უწმინდეს სინოდში, რიაზანის ეპისკოპოსთან, შემდგომში — ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიაში და მოითხოვდა ამბროსი ხელაიასათვის ოთხი მანეთისა და ათი კაპიკის დაქვითვას იმ მოტივით, რომ საქართველოდან გასახლებისას მასზე არასწორად (4,1 მანეთით მეტი) გაუციათ თურმე სამივლინებო თანხა (ცსია, ფ. 789, აღწ. 1, ს. 48994, ფ. 45-48). მამა ამბროსი კი “დავალიანებას” ჯიუტად არ იხდოდა. თუ გავიხსენებთ, რომ 1906-1907 წ.წ. გარკვეული თანხის გადახდას მოითხოვდა მისგან დონის სასულიერო კონსისტორია, ხოლო საქართველოდან გაძევებულ ეპ. კირიონს სოხუმის ეპისკოპოსი დიმიტრი 1910 წ. 1,5 მანეთს ედავებოდა

(წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 338-339, 470-471), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო შერისხული პიროვნებების შემდგომი დევნის, შეურაცხყოფის, მოთმინებიდან გამოყვანის რაღაც მეთოდი, რომელმაც ამ შემთხვევაში ეფექტურად ვერ იმუშავა.

სამშობლოს მოწყვეტილი ამბროსი მისთვის ჩვეული ენერჯითა და შრომისმოყვარეობით აგრძელებდა მოღვაწეობას ნოვგოროდის ეპარქიაში, რისი დასტურიც არის 1913 წ. 6 მაისს მიღებული ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი. დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, მას არც ფული აკლდა (ამაზე ეპ. კირიონიც მიუთითებდა 1915 წ. 16 იანვრის წერილში), მაგრამ ამით სულაც არ იყო კმაყოფილი და ბედნიერი. იმ პირების გასაგონად, ვინც სხვანაირად ფიქრობდა, ამბროსი ხელაია 1915 წ. აგვისტოში წერდა, რომ მათ “ალბათ ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა, არ გამოუცდიათ იგი სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი, თუ ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე” (კათალიკოსი ამბროსი, გვ. 31).

ამბროსი ხელაიასათვის, ისევე, როგორც რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველებისათვის, დიდად სასიხარულო მოვლენა იყო მიტროპოლიტ პიტირიმის (საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი) ნებართვით პეტერბურგში ქართული ეკლესიის დაარსება. “ყველა იქ მყოფ ქართველს სახეზე სადღესასწაულო მხიარულება აღბეჭდვოდა, მით უმეტეს, რომ საერთო ლოცვაში მათ გვერდს უმშვენებდნენ წამებულნი



ივერიის ეკლესიისანი — ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი და, აგრეთვე ეპისკოპოსი ანტონი”, — წერდა გაზეთი “საქართველო” 1917 წ. 26 იანვარს.

დადგება დრო და მომავალი მკვლევარი დეტალურად შეისწავლის აქიმანდრიტ ამბროსის (ასევე ეპ. კირიონის) მოღვაწეობას ექსორიაში, მათ შორის 1910-1917 წლებში. გამომზეურდება დღეს უცნობი მრავალი მასალა, რომელიც კიდევ უფრო სრულყოფილად და ახალი კუთხით წარმოაჩენს დიდი მამულიშვილის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის ხატებას. ერთ-ერთი დასკვნა წინასწარაც შეიძლება გაკეთდეს: გადასახლებაში მყოფი ამბროსი ხელაიას ფიქრები და ძალისხმევა მხოლოდ საქართველოსაკენ, მისი ფუნდამენტური ინტერესების დაცვისაკენ, მშობლიური აფხაზეთისაკენ იყო მიმართული. ამის დასტურია მისი მეცნიერულ-პუბლიცისტური შემოქმედება, რომლის ნაწილი წარმოდგენილია წინამდებარე კრებულში. ეს შემოქმედება განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ნოვგოროდის ეპარქიაში ყოფნის პერიოდში, როცა მარტო გაზეთ «Петроградские Ведомость»-ში 1912, 1916-1917 წლებში 10-ზე მეტი წერილი გამოაქვეყნა, მათ შორის რამდენიმე აფხაზეთის პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი (გვ. 486, 548-579). 1912 წელს ამბროსი ხელაიას წერილი გამოვიდა სოხუმის ეპარქიის ჟურნალში «Сотрудник Закавказской Миссии» (№20). 1913 წელს გაზეთ «Закавказье»-ს რვა ნომერში დაიბეჭდა მისი ორი წერილი ილორის ეკლესიის ირგვლივ მაშინ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. პირველი

მათგანი მცირე შემოკლებებით გადმობეჭდა ჟურნალმა «Сотрудник...» (1913, №№10-13), რასაც მოჰყვა საპასუხო კრიტიკული წერილი იმავე ჟურნალში (1913, №№16-17).

ყოველივე ამას თუ დავუმატებთ ჟურნალებში “განთიადი” (1915, №№2, 3, 10) და “ცხოვრება” (1915, №№ 2, 3, 5; 1916, №№1, 9, 10, 11, 15, 17, 18; 1917, №№ 1-4) გამოქვეყნებულ მასალას — “მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში”, აგრეთვე მამა ამბროსის მიმართვას (1915 წ. 25 ნოემბერი) პეტროგრადის მიტროპოლიტად დანიშნულ საქართველოს ეგზარქოს პიტირიმისადმი, მის სიტყვას წმ. ნინოს ხსენების დღეს 1917 წ. 14 იანვარს (კ. კეკელიძის სახ. ხელმაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 259,260) და ა.შ., იოლად დავრწმუნდებით, რომ შორეული ნოვგოროდის ეპარქიის მონასტრების ბლადოჩინის, ძველ-რუსულ ქალაქ სტარაია რუსაში მოღვაწე არქიმანდრიტ ამბროსის უმთავრესი საზრუნავი მაინც საქართველო და მშობლიური კუთხე — აფხაზეთი იყო.

1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ და იმპერიაში განხორციელებულმა გარდაქმნებმა არქიმანდრიტ ამბროსის გაუხსნეს გზა სამშობლოსაკენ. იგი მხურვალედ მიესალმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას (1917 წ. 12 მარტი); სულ მალე კი განცხადებით მიმართა ნოვგოროდის ეპისკოპოსს და კავკასიაში გამგზავრების მიზნით ერთთვიანი შვებულება ითხოვა. 1917 წ. 28 მარტს თხოვნა დაკმაყოფილდა; მეორე დღეს მამა ამბროსიმ საშვებულებო ბარათიც მიიღო (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 17, 18). ჩვენთვის ჯერჯერობით

უცნობია, გამოიყენა თუ არა მან ეს შვებულება. შესაბამისად, არ ვიცით რამდენად საფუძვლიანია გ. საითიძის მტკიცება სამშობლოში არქიმანდრიტ ამბროსის 1917 წ. აპრილის დასაწყისში ჩამოსვლის თაობაზე (სახალხო გაზეთი, 1999, 23-29 მარტი). აქვე განსჯისათვის დავსძენთ, რომ 1917 წ. 12 აპრილს სოხუმში დანიშნულ საეკლესიო კრებაზე ეპ. კირიონს და არქიმანდრიტ ამბროსის მოელოდნენ (დოკ. №34).

1917 წლის 26 ივნისს ნოვგოროდის სასუ-ლიერო კონსისტორიამ არქიმანდრიტ ამბროსის აცნობა, რომ ეპარქიის ხელმძღვანელობის 13 (26) ივნისის განჩინებით იგი განთავისუფლებულია მონასტრების ბლალოჩინის თანამდებობიდან, ხოლო ორი დღის შემდეგ კონსისტორიამ მას ასეთი ბრძანება გაუგზავნა: «*Определением епархиального начальства от 12-13 июня с.г. Вам разрешен просимый отпуск*» (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 14, 19). ამჯერად შვებულება არქიმანდრიტ ამბროსის პეტროგრადში ჩამოსული ქართული ეკლესიის დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სჭირდებოდა. ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე 1917 წ. ივნისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს დასაწყისამდე ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესი დონის ხელმძღვანელებთან. ქართული დელეგაცია შეხვდა და ესაუბრა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ვ.ნ. ლოვოს, მის ამხანაგ ა.ვ. კარტაშოვს, რომელიც მალე

სარწმუნოების მინისტრი გახდა, დროებითი მთავრობის ახალ თავმჯდომარეს — ა. კერენსკის, მინისტრ ი. წერეთელს, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს — კ. ჩხეიძეს, უწმ. სინოდის თავმჯდომარეს — მთავარეპისკოპოს სერგის, სინოდის წევრებს — მიხეილ სამარელს, ანდრია უფელს (სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი) და სხვებს. ბოლო შეხვედრა ქართულმა დელეგაციამ 1917 წ. 2 აგვისტოს უწმინდეს სინოდში გამართა. მოლაპარაკებებს პეტროგრადში დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. რუსული მხარე მხოლოდ ეროვნულ ავტოკეფალიაზე იყო თანახმა (კ. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 186-205).

არქიმანდრიტი ამბროსი ქართული დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად თბილისში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო საეკლესიო ცხოვრებაში; ცხადია, მონაწილეობდა პირველი საეკლესიო ყრილობის მუშაობაში (1917 წ. 8-17 სექტემბერი), რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II აირჩია. ყრილობას აფხაზეთ-სამურზაყანოს 22 წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის ამბროსი ხელაიას უმცროსი ძმა, ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი პორფირი ხელაია. მამა ამბროსიმ დელეგატებს გააცნო მის სახელზე აფხაზეთიდან მიხეილ ანჩაბაძის მიერ გამოგზავნილი მისალოცი წერილი (დოკ. №35).

აფხაზეთის დელეგატთა თვალსაზრისის გათვალისწინებით, ყრილობამ შექმნა ეპარქია, “ცხუმ-ბედიისა (ტერიტორია ძველი ეპარქიების დრანდისა, იმავე ცხუმისა, ბედიისა და ბიჭვინთისა), ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით, კათედრა

მღვდელმთავრისა — ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია იქვე, მღვდელმთავრის პატივი არის — “ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოსი” (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 782).

1917 წლის 17 ოქტომბერს ამბროსი ხელაია ხელდასხმულ იქნა ჭყონდიდელად, მიტროპოლიტის ხარისხის მინიჭებით. ახლად შექმნილი ცხუმ-ბედიის ეპარქია დროებით (ქართული ეკლესიის იურისდიქციის მთელს აფხაზეთზე გავრცელებამდე) ჭყონდიდის ეპარქიას მიეწერა. კრებულში შეტანილი დოკუმენტები ნაბიჯ-ნაბიჯ აშუქებენ ეკლესიურად აფხაზეთის შემოერთების რთულ და საკმაოდ ხანგრძლივ (ორწლიან) პროცესს, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქების — ჯერ წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II, მისი ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდეს საერთო ხელმძღვანელობით მიტროპოლიტი ამბროსი წარმართავდა. ეს პროცესი საკმაოდ ვრცლად არის აგრეთვე გაშუქებული ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფიაში “აფხაზეთი და მართლმადიდებლობა”, (გვ. 772-842).

ვინაიდან რუსეთის ეკლესია არ ცნობდა ქართული ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, ცდილობდა შეენარჩუნებინა დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 14 ივლისს დამტკიცებული დებულების საფუძველზე შექმნილი ე.წ. კავკასიის რუსული ეკლესიის საეგზარქოსო (მასში რუსების გარდა სხვა ეროვნებებსაც შეეძლოთ გაერთიანება სურვილის მიხედვით); სოხუმში იჯდა ამ საეგზარქოსოსადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი

სერგი. პირველ ეტაპზე დედა ეკლესიის შემადგენლობაში აფხაზეთის მხოლოდ ქართული სამრევლოები შევიდნენ (დოკ. №№ 37, 52, 94). მიტროპოლიტი ამბროსი არაერთხელ ჩავიდა აფხაზეთში, მათ შორის სოხუმში (დოკ. №№ 35, 56, 61 და ა.შ.). შთამბეჭდავი იყო მისი გამოსვლები სოხუმის საკათედრო ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე 1918 წ. 1 სექტემბერს, ასევე მეორე დღეს — გიორგი შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე (დოკ. №№ 44-46). იგი ერიდებოდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას, მოქმედებდა წინდახედულად, ითვალისწინებდა რა პოლიტიკურ ფაქტორებს, მათ შორის იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ 1918 წ. 11 ივნისს თბილისში დადებული ხელშეკრულების თანახმად აფხაზეთის სტატუსს საბოლოოდ გამოარკვევდა მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად არჩეული უფლებამოსილი ორგანო (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, с. 414). მხედველობაში იყო მისაღები აგრეთვე პრორუსული ძალების აქტიურობა განსაკუთრებით მაშინ, როცა თეთრგვარდიელები აღწევდნენ წარმატებას ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ეს ყოველივე აჭიანურებდა ქართული ეკლესიის გამთლიანებას. პარალელურად რუსეთის ეკლესია, მისი წარმომადგენლები აფხაზეთში — ეპ. სერგი, საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, იმ დროს მოსკოვში მყოფი დეკ. გიორგი გოლუბცოვი 1917-1918 წლებში ცდილობდნენ კავკასიის საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის ძველი გეგმის ხორცშესხმას, სანამ ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას მთელს

აფხაზეთზე გაავრცელებდა (იხ. Дбар Д. Религиозные тенденции в современной Абхазии. М., 1999; წიგნის ერთ-ერთ თავში — «История вхождения Сухумской епархии в Грузинский Католикосат: правда и домыслы» - ტენდენციურად არის გაშუქებული აფხაზეთის ეკლესიური შემოერთების ისტორია, თუმცა საინტერესო ფაქტობრივი მასალაც არის მასში წარმოდგენილი, სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიისაგან მოწყვეტის მცდელობის შესახებ).

ბოლშევიკურმა ანარქიამ, რომელმაც მოიცვა რუსეთი და რომელმაც ამიერკავკასიაში, მათ შორის აფხაზეთშიც შემოაღწია 1918 წ. გაზაფხულზე, ხელი შეუშალა შოვინისტთა ზრახვების განხორციელებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ სამუდამოდ ჩაშალა მათი გეგმები აფხაზეთთან მიმართებაში, თუმცა გარკვეული საფრთხე მაინც არსებობდა და დღესაც არსებობს. ამ საფრთხის განეიტრალებას ცდილობდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი. 1918 წ. 26 დეკემბრის წერილში საკათოლიკოსო საბჭოსადმი, იგი უცხო ქვეყნის სამსახურში მყოფი სოხუმის ეპისკოპოსის საქართველოს ხაზინიდან დაფინანსების წინააღმდეგ გამოვიდა (დოკ. №52).

1919 წლის დასაწყისში ჩაიშალა სოხუმის ეპარქიის თვითმდგომ (самостоятельный) რუსულ ეპარქიად გარდაქმნის გეგმა (დოკ. №№ 54, 57).

ეპისკოპოს სერგისა და სხვა რუს ღვთისმსახურთა ქმედებები პირდაპირ კავშირში იყო თეთრგვარდიელი გენერლების მ. ალექსეევის, ა. კოლჩაკისა და ნ. დენიკინის წარმატება-

წარუმატებლობასთან. თეთრგვარდიელთა გამარჯვებით გამხნეებული ეპ. სერგი უარს ამბობდა ქართულ სამღვდელთაობასთან, მათ შორის მიტროპოლიტ ამბროსისთან ყოველგვარ ურთიერთობაზე და, როგორც კრებულში შეტანილი ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს (დოკ. №63), სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით უმაღლეს საეკლესიო სამმართველოს ემორჩილებოდა.

ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის შერჩევა. აფხაზეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც აცნობიერებდა ავტონომიური აფხაზეთის მოსახლეობისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობას, 1919 წ. შემოდგომისათვის მკვეთრი ნაბიჯები გადადგა. იმ დროისათვის უკვე იყო გადაწყვეტილი საკითხი რეგიონის სტატუსის შესახებ — 1919 წლის 20 მარტს აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო აქტი, რომლის ძალითაც აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა (Дж. Гамахария, Б. Гогия Абхазия, გვ. 435). სწორედ 1919 წლის მარტიდან სხვა სამსახურში გადაყვანილი ეპისკოპოსი სერგი სოხუმში არ იმყოფებოდა; მოიხსნა ასევე საფრთხე თეთრგვარდიელთა მხრიდან, რომლებიც გაგრიდან აფხაზეთში შემოჭრას გეგმავდნენ.

1919 წ. 1 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატმა (მთავრობამ) მიიღო დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ (დოკ. № 94, პ. 12). 3 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესიების



დროებით მმართველად არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი დაინიშნა, რომელიც იმ პერიოდში აფხაზეთში მსახურობდა. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დ. ემუხვარის რეკომენდაციითა და სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით დროებითი მმართველის თანამდებობაზე ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი დაინიშნა (დოკ. №66). თავდაპირველად იოანე მარგიშვილის დანიშვნა და ერთ კვირაში მისი შეცვლა, ჩვენი აზრით, აიხსნება სურვილით ესოდენ მაღალი რანგის მღვდელმთავარს და უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას — ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის არ მიეღო მონაწილეობა 1919 წლის 1 სექტემბრის დეკრეტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ შესაძლო დაპირისპირებებში და წვრილმან კინკლაობებში, რისი წინააღმდეგიც ყოველთვის იყო თავად მიტროპოლიტიც (დოკ. №61). რაიმე გართულების შემთხვევაში იურისტი და არქიმანდრიტი იოანე მკვეთრი მოქმედებებით აღკვეთდა ყოველგვარ უკანონობას და თვითნებობას. როცა სულ მალე გაირკვა, რომ სერიოზული დაპირისპირებები, განსაკუთრებით აფხაზური სამრევლოების მხრიდან მოსალოდნელი არ იყო, მიტროპოლიტი ამბროსი ჭყონდიდის ეპარქიისათვის დროებით მიწერილი ცხუმ-ბედიის კათედრის მართვას უშუალოდ შეუდგა. პირველ რიგში, მან ქონება ჩაიბარა და საეპარქიო საგანგებო კრებისათვის მზადებას შეუდგა (დოკ. №№ 73, 76). კრება 1919 წ. 7 ოქტომბერს ჩატარდა. მან მოისმინა მიტროპოლიტ ამბროსის ბრწყინვალე

მოხსენება (დოკ. №78) და მისი ძირითადი დებულებების გათვალისწინებით ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. ამიერიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ერთიანი ქართული ეკლესიის ორგანული ნაწილი გახდა (დოკ. №№ 79, 81, 82). იმავე დღეს — 7 ოქტომბერს — კრებამ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის თანამდებობაზე ამბროსი ხელაია აირჩია (დოკ. №80). კრების გადაწყვეტილებები სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ 1919 წლის 28 ოქტომბერს დაამტკიცა (დოკ. №№ 87, 88). მანმადე 17-23 ოქტომბერს სოხუმს სტუმრობდა უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (დოკ. №№ 83, 85). — როგორც მიტროპოლიტმა ამბროსიმ აღნიშნა, XVII ს. ბოლოდან ეს იყო კათოლიკოს-პატრიარქის აფხაზეთში ჩასვლის პირველი შემთხვევა (დოკ. №83).

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის გაერთიანება საეკლესიო და საერო კანონების სრული დაცვით განხორციელდა, თანაც მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე. ბოლო მოეღო აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფის (ფილექტიზმი) ანტიკანონიკურ პრაქტიკას, ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისათვის მის გამოყენებას. ამიტომაც არ მოსწონდათ შოვინისტებს და მათთან ალიანსში მყოფ სეპარატისტებს აფხაზეთში განხორციელებული საეკლესიო რეფორმა (იხ. ჯ. გამახარია. აფხაზეთი, და მართლმადიდებლობა გვ. 811-822; დოკ. №94), ცდილობდნენ ეს საკითხი აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე ან საერთაშორისო დონეზე განხილვის საგნად ექციათ.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მთელი ძალისხმევა ეპარქიის შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით ფინანსური, საკადრო, უძველესი ტაძრების აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული (დოკ. №№ 91, 100-102, 104; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 826-834). რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების პირობებში, რასაც საქართველოს ხელისუფლების ანტიეკლესიური პოლიტიკაც ემატებოდა, ჩანაფიქრის სრულად განხორციელება ვერ მოხერხდა. კრებულში წარმოდგენილი 1919-1921წწ. გამოსვლები, ქადაგებები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, რელიეფურად წარმოაჩენენ ამბროსი ხელაიას პიროვნებას, კიდევ ერთხელ მკაფიოდ ადასტურებენ, რომ იგი იყო დიდი ეროვნული და სასულიერო მოღვაწე, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო აფხაზეთში (დოკ. №№44,45,77,84, 90,96,99). ყველა მისი გამოსვლა სარწმუნოების განმტკიცების აუცილებლობას, თავისუფლების, სამშობლოს სიყვარულისა და აღორძინებული ქართული სახელმწიფოს დაცვის თემას, ქვეყანაში არსებულ სხვა საჭირბოროტო პრობლემებს შეეხებოდა.

სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობამ 1921 წლის თებერვალ-მარტში. ანტიქართული ლოზუნგებით გასაბჭოებული აფხაზეთი რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიურომ (კავკასიის მმართველი ორგანო) ს. ორჯონიკიძის მეთაურობით

არალეგიტიმური გზით — ბათუმში ჩატარებული თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე – დროებით (რვა თვით) თბილისის იურისდიქციიდან გამოიყვანა და თვითონ დაიმორჩილა. ეს უკანონო აქტი საქართველოს დასჯისა და დამოშმინების მიზნით იქნა ჩადენილი. საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში ერთ-ერთი პირველი შეტევა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინააღმდეგ განახორციელა. მოგვიანებით ამის თაობაზე ამბროსი ხელაიამ განაცხადა: “სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის... მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება. მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება... 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა... ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესვე” (დოკ. №117).

მიტროპოლიტი ამბროსი მისთვის ჩვეული მოთმინებითა და სიმტკიცით იტანდა შევიწროებას (დოკ. №121) აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. უფლის განგება კი მას გაცილებით უფრო მძიმე ჯვარს უმზადებდა. 1921 წლის 11 ივლისს გარდაცვლილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დაკრძალვის (17 ივლისი) შემდეგ

გამართულმა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომამ მიტროპოლიტი ამბროსი კათოლიკოსის მოსაყდრედ აირჩია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრებამ, რომელიც 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში ჩატარდა, ფარული კენჭისყრით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია. დედაქალაქში ჩამოსულმა ახლადარჩეულმა კათოლიკოს-პატრიარქმა პირველი მღვდელმსახურება ნახევარი წლის წინ საბჭოთა რუსეთთან ომში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას მიუძღვნა (დოკ. №109). ამით იგი ღიად დაუპირისპირდა დამპყრობლებს. 1921 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში შესრულდა უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის აღსაყდრება (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, წ. III. თბ., 2003, გვ. 149). ახალმა მწყემსმთავარმა მრევლს ისტორიული მნიშვნელობის სიტყვით მიმართა, რომელიც ამავე დროს წინასწარმეტყველურიც იყო. მან დაახასიათა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ეროვნული ცნობიერებისა და მისი საძირკვლის — ეკლესიის ნგრევა. “ასე იქცევინ ისინი, — უშიშრად განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, — ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდა გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია და ჩაუყარონ ახალი, ინტერნაციონალობის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი, უსარგებლო და უნაყოფო ამნაირი ცდა... ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ეს

მოგვცემს ძალას შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება, ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც” (დოკ. №110).

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის მუდმივი ზრუნვის საგანს კვლავაც აფხაზეთი წარმოადგენდა, სადაც გრძელდებოდა რეპრესიები ეპარქიის წინააღმდეგ. ამ ვითარებაში მთავარი ამოცანა იყო აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შენარჩუნება. 1921 წ. 15 ოქტომბერს — კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების მეორე დღესვე აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრივი იურისდიქციის დროებით არარსებობის პირობებში მოხერხდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილის კურთხევა, რომელიც მცხეთის საკრებულო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ შეასრულა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისა და ალავერდელი მიტროპოლიტის – პიროსის თანამწირველობით (სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ. 106-107). იოანემ ბოლშევიკების მიერ დარბეული კათედრა ჩაიბარა. 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის სსრ საქართველოს სსრ-ს ნაწილი გახდა (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ 796-797). ამით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფის საფრთხეც შემცირდა. ახალი ეპისკოპოსის პოზიციების განმტკიცების მიზნით სოხუმის საკათედრო ტაძრის დეკანოზად 1921 წ. ცნობილი ქართველი (საინგილოელი) მისიონერი ტარას ივანიცკი დაინიშნა, რომელიც 1899-1903 წ.წ. აფხაზეთში

მოღვაწეობდა (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 562). იგი დროებით ე.წ. განმახლებელთა მოძრაობას შეუერთდა. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად სოხუმში დაბადებული და გაზრდილი, სტავროპოლის ეპარქიაში მოღვაწე მღვდელი ანტონ გიგინეიშვილი მოიწვია (ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე. თბ., 2004, გვ. 87). იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ცხუმელმა ეპისკოპოსმა კირიონმა 1906 წ. გუდაუთის სკოლის მასწავლებლად დანიშნა, რის გამოც ი. ვოსტორგოვმა რუსთა შევიწროებაში დაადანაშაულა. სწორედ ანტონ გიგინეიშვილი ჰყავდა ეპ. კირიონს მხედველობაში, როცა ი. ვოსტორგოვის ცილისწამებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებაში უწმინდეს სინოდს წერდა: «И там мною совершено тяжелое преступление – при трех русских учителях... я осмелился назначить одного Сухумскаго грузина, при том студента Ставропольской семинарии» (წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 300). ამის შესახებ წერდა მღვდელი ტ. ჯოხთაბერიძეც ეპ. კირიონის დასაცავ წერილში (იქვე, გვ. 253). 1952-1956 წლებში მიტროპოლიტი ანტონ გიგინეიშვილი უკვე ცხუმ-აფხაზეთის კათედრას განაგებდა (იქვე).

მიუხედავად საკადრო ღონისძიებების გატარებისა, ვითარება აფხაზეთში საკმაოდ რთული იყო, რაც საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებულ და მათგან მართულ განმახლებელთა მოძრაობის

გააქტიურებას უკავშირდებოდა (ირინე არაბიძე. “განახლების მოძრაობა” ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). — მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ. 154-166). იოანე მარგიშვილის გარდა სოხუმში კიდევ ორი ეპისკოპოსი იჯდა — ავრაამი (ივანოვი) — ე.წ. “ცოცხალი ეკლესიის” წარმომადგენელი, რომელმაც სოხუმის ეპარქიაში სამსახური ახალგაზრდა ბესარიონ ხელაიასთან ერთად დაიწყო (დოკ. №№ 11, 121), და რუსეთის ტრადიციული ეკლესიის წარმომადგენელი პავლე (სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წ.წ., გვ. 108). ასეთ ვითარებაში უხდებოდა სამსახური იოანე მარგიშვილს. 1922 წ. 10 მარტს ის კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ატყობინებდა: “მე ვდგავარ თქვენს მიერ არჩეულ გზაზე, რის გამოც საყოველთაოდ მაქვს გამოცხადებული, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარში არ ვწირავ იმ დრომდის, ვიდრე მას არ ჩამაბარებენ სავსებით” (დოკ. №113). მიტროპოლიტი იოანე 1925 წელს მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) შეცვალა. იგი ოპოზიციაში ედგა კათოლიკოს-პატრიარქს; ცხუმელად ფორმალურად იწოდებოდა, ვინაიდან ეპარქიაში იშვიათად იმყოფებოდა. ამით ისარგებლეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ანტირელიგიური პროპაგანდის დროშით გაძარცვეს და გაანადგურეს ქართული ეკლესია-მონასტრები (სერგო ვარდოსანიძე. იქვე, გვ. 70).



უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი მეტყურადღებას ვერ მიაქცევდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, ვინაიდან რეპრესიულ საბჭოთა რეჟიმთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. საქართველოს ისტორიას მუდამ შემორჩება მისი გმირობა — გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე (1922 წ. 10 აპრილი — 19 მაისი) მემორანდუმის გაგზავნა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, საბჭოთა ხელისუფლების მხილება როგორც წინასწარი ჩვენებების მიცემისას, ისე 1924 წ. მარტის ე.წ. სასამართლოზე, ბოლშევიკების დადანაშაულება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობაში, ქართული ტერიტორიების გასხვისებაში, ენის დისკრიმინაციაში, ეკლესიის განადგურებაში (დოკ. №№ 114-117). კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი არა მხოლოდ ამხელდა კომუნისტურ საოკუპაციო ხელისუფლებას, არამედ მზად იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან ერთად ებრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. “რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ველარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრახ ქართულ სიცოცხლესო”, — უთქვამს მის უწმინდესობას, როგორც ამის შესახებ დავით ვაჩნაძე მოწმობს (გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV. თბ., 2003, გვ. 547-548).

ქართველი ერის ღირსეული სულიერი მამა ვერ გატეხეს გაუთავებელმა დაკითხვებმა საგანგებო კომისიის კაბინეტებში, “სასამართლო” პროცესმა, პატიმრობამ (1924 წ. 19 მარტს 7 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს), განთავისუფლების (1925 წ. 10 მარტი) შემდეგ საბჭოთა სპეცსამსახურების

მეცადინეობით ეკლესიაში შექმნილმა მძაფრმა დაპირისპირებამ, კომუნისტური პრესის ფურცლებზე მუდმივმა ლანძვამ და ცილსწამებებმა. იგი ზეადამიანური მოთმინებით იტანდა ტანჯვა-წამებას, ვინაიდან ღრმად სწამდა მომავალი გამარჯვებისა, ვინაიდან გრძნობდა დიდ სიყვარულს ქართველი ერისა. ხალხის უსაზღვრო თანაგრძნობამ კათოლიკოს-პატრიარქისადმი შეუშალა ხელი ხელისუფლების წაქეზებით ამბოხებულ სამღვდელოებას, აელო ხელში სრული ძალაუფლება. 1926 წ. 26-27 დეკემბერს ქუთაისში ჩატარებულმა უკანონო საეკლესიო კრებამ შექმნა დროებითი საეკლესიო მმართველობა და გააუქმა საკათოლიკოსო საბჭო. 1927 წ. იანვარში დროებითმა მმართველობამ ეპარქიებს “სახელმძღვანელოდ და სათანადო განკარგულებისათვის” აცნობა, რომ “თანახმად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ქრისტეფორეს ა.წ. იანვრის თარიღითგან №23 მოხსენებისა და ამ მოხსენებაზე დადებული მისი უწმინდესობის 23 რეზოლუციისა, საკათოლიკოსო საბჭო ითვლება გაუქმებულად და მის ნაცვლად დაარსებულია სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა საეკლესიო მეოთხე ყრილობის მოწვევამდე.

დროებითი მმართველობის შემადგენლობა — ს.ს. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, წევრნი — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე, ალავერდელი ეპისკოპოსი მელქისედეკი და ურბნელი ეპისკოპოსი სიმეონი...” მმართველობაში შედიოდნენ აგრეთვე დეკანოზები დ. კანდელაკი, ნ. მაჭარაშვილი, დ. ხახუტაიშვილი და

მოქალაქე კ. სვიმონიშვილი (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 140).

მეამბოხებმა 1926 წლის 28 დეკემბერს ხელისუფლების ხელშეწყობით მოახერხეს ამ ორგანიზაციის ოფიციალური რეგისტრაცია (სერგო ვარდოსანიძე.... ამბროსი, გვ. 52).

1927 წ. 20 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისაგან მოითხოვა წერილობითი პასუხი კითხვაზე — ცნობდა თუ არა იგი მას კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. პასუხმაც არ დააყოვნა: “1927 წ. თებერვლის 20. მოხსენდეს მის უწმინდესობას, რომ დრ. მმართველობა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სცნობს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად და უზენაესი დაწესებულების ხელმძღვანელად”. დროებითი მმართველობა “ღრმა მწუხარებას” გამოხატავდა მისი უწმინდესობის ავადმყოფობის გამო, რაც არ აძლევდა მას თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას; ამასთან, იმედს გამოთქვამდა, “რომ ღვთის შეწევნით მალე დაუბრუნდება მშობლიო ეკლესიის სასარგებლო მოღვაწეობას”. დოკუმენტს ხელს აწერდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე (დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით) და მმართველობის სხვა წევრები (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 141).

ჯანმრთელობა შერყეული, ბოლო დღეებში კი მეტყველებაც დაკარგული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი 1927 წ. 29 მარტს,

დილის 3 საათსა და 45 წუთზე გარდაიცვალა (იქვე, ფ. 103-106). 3 აპრილს დაიკრძალა სიონის საკათედრო ტაძარში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1995 წლის (და არა 1996 წელს — იხ.: Православная энциклопедия, т. 2, с. 140) 17 სექტემბრის სხდომამ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს დანიელის (დათუაშვილი) მოხსენების საფუძველზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანთა დასში შერაცხა წმინდა აღმსარებლის სახელწოდებით; ხსენების დღედ დააწესა 16 (29) მარტი (მადლი, 1995, 30 სექტემბერი).

\* \*

\*

წმინდა ამბროსი აღმსარებელი სერიოზული მეცნიერი და მგზნებარე პუბლიცისტი გახლდათ. ეს არის დიდი და ცალკე თემა, რომელიც ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. პაპუაშვილის ზემოთხსენებულ წიგნს. დღემდე არ არსებობს წმინდანის შრომების სრული ბიბლიოგრაფია. წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია რუსეთის გაზეთებში, რომლებიც საქართველოს ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და არქივებში დაცული არ არის (ყოველ შემთხვევაში, სრულად მაინც), ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ნაშრომის ხელნაწერის აღმოჩენა ვერ ხერხდება (მაგალითად, «Селение Илори и Илорская Св. Георгиевская церковь» და ა.შ.). ამ და სხვა მიზეზების

გამო პრაქტიკულად შეუძლებელია ამჟამად წმ. ამბროსი აღმსარებლის თხზულებათა სრული კრებულის (კრებულების) შედგენა, თუმცა ეს სულიერი საზრდო ძალიან სჭირდება ჩვენს ეკლესიას, საზოგადოებას. მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. ამიტომაც გადაწყდა წინამდებარე თემატურ კრებულში თავი მოგვეყარა ამბროსი ხელაიას იმ შრომებისათვის, რომლებიც დღეისათვის ხელმისაწვდომია და აფხაზეთისადმია მიძღვნილი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სრულად ინარჩუნებენ აქტუალობას; პრობლემები, რომლებზეც არის მათში საუბარი, არა თუ არ მოხსნილან დღის წესრიგიდან, არამედ კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინეს. ამდენად, წმინდა ამბროსი აღმსარებლის შრომების გამოცემას აქვს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან დაგვეხმარებიან აფხაზური პრობლემის, მისი ცალკეული ასპექტების უკეთესად გააზრებაში.

ერთ-ერთი პირველი სერიოზული წერილი, რომელიც ამბროსი ხელაიამ “სამურზაკანეცის” ფსევდონიმით 1899 წელს გაზეთში «Черноморский Вестник» (6 მაისი) გამოაქვეყნა, იყო «Голос Самурзаканца» (გვ. 422). მას თავისი წინაისტორია აქვს. 1899 წლის 22 თებერვალს (6 მარტს) გაზეთმა «С. Петербургские Ведомости» (№52) გამოაქვეყნა კორესპონდენცია «Сухум». იგი ხელმოუწერელია. არსებობს მცირე ალბათობა იმისა, რომ «Сухум» ამბროსი ხელაიას (ან თედო სახოკიას) კალამს ეკუთვნოდეს. მისი ავტორი რუსულ საზოგადოებას აუწყებდა იმ აღმამფოთებელი ფაქტის შესახებ, რომ 14

იანვარი — საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორი წმ. ნინოს ხსოვნის დღე, ეპისკოპოს არსენის განკარგულებით, არ იქნა აღნიშნული სოხუმის ეპარქიაში; 1897 წლიდან მთელს სამურზაყანო-აფხაზეთში წირვა-ლოცვა მხოლოდ ძველ-რუსულ ენაზე აღესრულებოდა; ეპისკოპოსი არ ასრულებდა უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებას სოხუმის ეპარქიის ქართულ (მეგრულ) სამრევლოებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების (ხოლო აფხაზეთში — რუსულად, მაგრამ ცალკეული ლოცვების აფხაზეთ ენაზე შესრულებით) შესახებ. მიუხედავად ბრძანებულებისა, არსენმა მხოლოდ მერხეულში, აბაჟაყვასა და ფახულანში აღადგინა ქართული ღვთისმსახურება. დანარჩენი სამრევლოები, მათ შორის მთელი სამურზაყანოსი, არაქართულ სამრევლოებად გამოაცხადა და მათ მიმართ ძალაში დატოვა 1897 წლის საკუთარი განკარგულება; სტატიის ავტორს მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმად, ოლქის მოსახლეობა 106 719 ადამიანს შეადგენდა, აქედან 60 ათასამდე იყო ქართველი; გაკეთებულია მცირე ექსკურსი სამურზაყანოს ისტორიაში იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მხარე იყო და არის სამეგრელოს ნაწილი, მისი მოსახლეობის სალაპარაკო ენა — «Исключительно мингрельский диалект». სამურზაყანოს 40299 მაცხოვრებლიდან მხოლოდ 800 შეუძლია აფხაზეთადაც საუბარი, — ნათქვამია კორესპონდენციაში. სამურზაყანოელთა ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით ავტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალ.

ცაგარელის წიგნსაც (Мингрельские этюды, вып. I) იშველიებდა. სოხუმის მოსახლეობის წარმომადგენლების თხოვნა ქალაქში ქართული ეკლესიის აშენების, 1898 წ. 14 იანვარს — წმ. ნინოს ხსენების დღეს სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების, ცნობილი მისიონერისა და საზოგადო მოღვაწის, ალათი შერვაშიძის (გენერალ გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე), ასევე პ. ბარკალაიას თხოვნა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აღდგენის თაობაზე ეპისკოპოს არსენს უყურადღებოდ დაუტოვებია; კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ აღგილებზე საერო ხელისუფლება დევნიდა იმ პირებს, ვინც ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღდგენას მოითხოვა; ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო ცნობილი ოჩამჩირელი საზოგადო მოღვაწე ფარნა დავითაია. რელიგიურ ჩაგვრას განიცდიდა აგრეთვე ბერძნული მოსახლეობა, — წერდა ავტორი. კორესპონდენცია შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: »Местное население, не видя никакой возможности разрешить этот животрепещущий вопрос на месте, намерено ходатайствовать пред Св. Синодом об учинении распоряжения, чтобы вышеозначенный указ Синода о совершении богослужения в церквях Сухумской епархии, последовавший 3 сентября 1898 года, был приведен в исполнение».

კორესპონდენციას «Сухум» გამოეხმაურა ცნობილი რენეგატი კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი. 1899 წ. 31 მარტს — 3 აპრილს გაზეთში «Черноморский Вестник» (№№ 72-75) გამოვიდა მისი

ვრცელი წერილი «Имеют ли право Самурзаканцы называть себя мингрельцами». ავტორი საოცარ ტენდენციურობას და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებდა აფხაზეთის ისტორიის საკითხებში. წერილის სათაურში დასმულ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად და სამურზაყანოელთა აფხაზობის “დასამტკიცებლად” გაზეთის 3 აპრილის ნომერში (№75) ავტორს ერთადერთი არგუმენტი მოჰყავდა — 7 თავადური, 7 აზნაურული და 6 გლეხური გვარის იდენტურობა როგორც სამურზაყანოელებში, ისე აფხაზებში. კ. მაჭავარიანი ამ შემთხვევაში არ იყო ორიგინალური, იგი იმეორებდა მამის — დეკანოზ დავით მაჭავარიანისა (იხ. კომენტ. 19) და გენერალ ნ. ბარტოლომეის მიერ 1864 წელს გამოქვეყნებული წერილის — «Нечто о Самурзакани» დასკვნებს საერთო გვარებთან დაკავშირებით (Записки Кавказского Отдела Императорскаго русскаго географическаго общества, кн. VI. Тифлис, 1864. Смесь, с. 75), აგრეთვე ა. ვედენსკის მოსაზრებებს (Сборник сведений о кавказских горцах. Вып. VI. Тиф. 1872, с. 14-16). მათ “არგუმენტებს” იყენებდნენ ადრე და იყენებენ დღესაც როგორც შოვინისტები (Л. Воронов. Абхазия - не Грузия. М., 1906, с. 27-29), ისე სეპარატისტები (С. Басария. Абхазия в географическом, этническом и экономическом отношении. Сухуми, 1923, с. 102; Т. Ачугба. О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии. Сухуми, 2006, с. 43-44, и т.д.).

ამბროსი ხელაიას «Голос Самурзаканца» სწორედ რენეგატ კ. მაჭავარიანის წინააღმდეგ დაიწერა. მასში უტყუარ ისტორიულ წყაროებზე მითითებით



ნაჩვენებია, რომ სოხუმის ოლქი ისტორიულად მდინარე ფსირცხამდე მეგრელებით იყო დასახლებული, მაგრამ შემდგომში ისინი სამურზაყანოს საზღვრებამდე შეავიწროვეს. წერილის დასასრულს ამბროსი ხელაიამ გამოთქვა სურვილი, რათა ვ. მაჭავარიანს განემარტა ისტორიულ წყაროებში არსებული მონაცემები საკამათო საკითხთან დაკავშირებით.

საპასუხო წერილში «Ответ Самурзаканцу» (Черноморский Вестник, 1899, 8-9 мая, №№102-103) ვ. მაჭავარიანმა ექვსქვეშ დააყენა პრ. კესარიელისა და ა. ლამბერტის ცნობების სანდოობა და ბედიელ გლებთან, ვინმე ურუს-გუასთან “დიალოგის” საფუძველზე კვლავ იმეორებდა – სამურზაყანოელები მაინც აფხაზები არიანო. ის უარყოფდა მტკიცებას, რომ სამეგრელოს სამთავროს საზღვარი მდ. ფსირცხასთან გადიოდა. თუ ეს ასე იყო, - ვკითხულობთ გაზეთში, - «где же тогда находилось обширное Абхазское царство или обширное Абхазское владетельное княжество? Где же жили абхазские цари, наводившие панику на Мингрелию, Имеретию, Гурию и даже Грузию? Где же восседали абхазские католикосы и самостоятельные абхазские епископы?» (9 მაისი, № 103). ასეთ ბრიყვულ კითხვებს სვამდა ვ. მაჭავარიანი, თუმცა შეუძლებელია მას არ სცოდნოდა თუ ვინ იყვნენ აფხაზი მეფეები, ეპისკოპოსები და კათოლიკოსები. იგი აშკარად იმპერიული ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, ამახინჯებდა რა საქართველოს ისტორიას.

ამბროსი ხელაიამ საკადრისი პასუხი გასცა ვ. მაჭავარიანს წერილში «Ответ г. Мачавариани»

(Черноморский Вестник, 1899, 17, 18,19 июня, №№133-135). ვინაიდან ოპონენტმა არ მოიტანა და ვერც მოიტანდა კონკრეტულ ისტორიულ მასალას საკუთარი ვერსიის დასამტკიცებლად, ვინაიდან “კვლევის” მისეულ მეთოდს (ისტორიული წყაროების უგულვებელყოფა და “ზღაპრებზე” დაყრდნობა) არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერებასთან, ამბროსი ხელაიამ აღნიშნული წერილით (გვ. 425) დაასრულა დისკუსია კ. მაჭავარიანთან. ამ უკანასკნელმა კი იმავე გაზეთის მომდევნო ნომრებში (1899, 20 ივნისი, №136; 23 ივნისი, №138) გამოაქვეყნა «Последнее слово Самурзаканцу». მასში კარგად გამოჩნდა, თუ ვის დაკვეთას ასრულებდა კ. მაჭავარიანი. იგი ასე მიმართავდა ამბროსი ხელაიას: «Вы все хотите довести границу Мингрелии до реки Галидзги или Кодори. Но не забывайте, что одно Мингрельское селение недалеко от границы Имеретии до сих пор носит название «Кодор». Двигайте лучше мингрельцев в Лазику. Язык мингрельский гораздо ближе к лазскому, чем абхазскому... Повторяем, что если мингрельский владетель владел временно какой-либо частью Абхазии, то это еще не значит, что Абхазия или Самурзакань была Мингрелией. Греки очень долго владели Абхазией и Мингрелией, но они были настолько благоразумны, что ни тогда, ни теперь не считали эту территорию и не считают за Грецию» (1899, 20 ივნისი, №136). კ. მაჭავარიანი არ ეთანხმება რუს არქეოლოგ ვ. სიზოვს, რომელმაც სოხუმის მიდამოებში XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ მის მიერ აღმოჩენილი კულტურის ნაშთები «носят

главным образом печать грузинской культуры». სამაგიეროდ, წერილის დასკვნით ნაწილში მეგრული და აფხაზური სახელების შედარების საფუძველზე შეეცადა სამურზაყანოელები კვლავ აფხაზებად გამოეცხადებინა. მაჭავარიანის პიროვნების წარმოსაჩენად მოვიტანთ მის კიდევ ერთ “არგუმენტს” ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ: «Вы найдете массу надписей на грузинском языке и в Сванетии, и в Артвинском округе, но это не дает вам право говорить, что сванетцы и артвинцы тоже мингрелцы». აი, ლოგიკა გადაგვარებული ქართველისა, რომლის ოჯახი აფხაზეთში რუსულ საქმეს ემსახურებოდა.

კ. მაჭავარიანის ძირითადი “არგუმენტები” და დებულებები დღემდე ცოცხლობენ სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში, რომლის ერთე-ერთი მესამირკვლე (Абхазия не Грузия-ს ავტორ ლ. ვორონოვთან და სხვა შოვინისტებთან ერთად) თავადაც არის.

სამურზაყანოელთა ეროვნული კუთვნილების საკითხი მეტისმეტად პოლიტიზირებული იყო XIX საუკუნეში. რუსულმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა სამურზაყანოელთა ვინაობა — რომ ისინი მეგრელები (ქართველები) იყვნენ და არა აფხაზები. სამურზაყანო აფხაზეთზე ადრე — 1805 წლის 9 ივლისს შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. იმ დღეს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა სოფ. ბანძაში სამურზაყანოს მფლობელები რუსეთისა და სამეგრელოს ერთგულებაზე დააფიცა: “როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისა ყმა ვიყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენს ქვეყნით ძველთაგან

ცყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა” (Акты, ტ. 2, გვ. 527), — ნათქვამია დოკუმენტში (ფიცში), რომელსაც ხელი ლევან და მანუჩარ შერვაშიძეებმა მოაწერეს.

როცა ზოგიერთები სამურზაყანოელებს აფხაზებად მიიჩნევდნენ, როგორც უკვე ვნახეთ, ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი თავადები, გარდა ჩქოტუებისა, იყვნენ აფხაზები. სამწუხაროდ, მათ არ იცოდნენ (ან არ უნდოდათ სცოდნოდათ) თუ როდის და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა სამურზაყანოში არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაცია. ისტორიოგრაფიაში კარგად არის გარკვეული, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, რომელიც მეგრელებით იყო დასახლებული, XVII ს. ბოლოსათვის აფსუები (თანამედროვე აფხაზები) დაეპატრონენ. ამის შესახებ წერდნენ რუსი ისტორიკოსებიც, მათ შორის ვ.ნ. ტატიშევი (1684-1750 წ.წ.). მის დროს, ე.ი. XVIII ს. პირველ ნახევარში აფხეთში//აფხაზეთში, რომელიც ადრე ჩრდილოეთ სამეგრელო იყო, წინა საუკუნეებისაგან განსხვავებული ეთნიკური სიტუაცია შეიქმნა: «Авхети... часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы имянуют Авхазос, наши древние имяновали обезы. **Ныне оной большую часть кубанцы наполняют**» (В.Н. Татищев. История Российская, т. 1, М., - Л., 1962, с. 171). ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვებით დიდი მეცნიერი გასაგებად გვეუბნება, რომ ჩრდილოეთ სამეგრელოში ნაცვლად ობეზებისა, ე.ი. ქართველებისა (მეგრელებისა), ამჟამად ცხოვრობენ ყუბანელები — ჩერქეზულ-ადიღური ტომები.

იგივეს წერდა მოგვიანებით კავკასიაში ცნობილი ისტორიკოსი, ყუბანის ოლქის შესწავლის მოყვარულთა საზოგადოების მდივანი ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, რომელმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აფხაზეთს და თვითონაც საკმაო ხანს წებელდაში ცხოვრობდა. იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ აფხაზეთმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ — XVI-XVII საუკუნეებში — გადმოლახეს გაგრის ქედი, ქლუხორის, მარუხის და სხვა უღელტეხილები; «Абхазцы не всегда обитали там, где теперь живут, а предания их и многие исторические данные и обычай указывают, что они пришли с севера и потеснили картвельские племена пока не остановились у Ингури» (А.Н. Дьячков-Тарасов. Гагры и их окрестности. Тифлис, 1903, с. 36-37; misive – Бзыбская Абхазия. - Известия Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества, т. XVIII. Тифлис, 1905, с. 85; მისივე – Абхазия и Сухум в XIX столетии. — Известия..., т. XX. Тифлис, 1909-1910, с. 152, 210). უამრავი ქართული და უცხოური წყარო ადასტურებს ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვის დასკვნებს (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия...).

რეგიონში დამკვიდრებულმა აფსუებმა მონებად აქციეს ადგილობრივი მოსახლეობა და თანდათანობით მოახდინეს მისი დენაციონალიზაცია, აფსუიზაცია. ეს მეტად მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა XVIII-XIX საუკუნეებში და შესანიშნავად აქვს გაანალიზებული მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს (იხ. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, გვ. 20-30). სრულიად აშკარაა, რომ თანამედროვე აფხაზი ერი

ადგილობრივი ქართული ქრისტიანული მოსახლეობისა და ჩამოსული, მაგრამ გაბატონებული წარმართული ადიღური ტომების — აფსუების წარმომადგენელთა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა.

ჩამოსულებმა პირველ რიგში ქართველი თავადაზნაურობა და მართლმადიდებელი სამღვდელოება გაანადგურეს როგორც დადიანების მთავარი სამხედრო-პოლიტიკური და სულიერი დასაყრდენი ძალა. ასე, მაგალითად, სოფ ჭალას (ჭლოუს) მფლობელი მერაბ ჯაიანი, რომელიც გამოექცა დამპყრობლებს და ენგურის მარცხენა მხარეს გადავიდა, აფხაზეთის კათოლიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი მირთმეულ პირობის წიგნში წერდა: “ესე მტკიცე წიგნი მოგართვი თქვენ კათალიკოსს ბატონ გრიგოლს ჩვენ, ჯაიანმა მერაბ, რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და მერმე ამ ხელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ კოპალაისშვილი და სასახლის ადგილი გვიბოძეთ...” (ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. თბ., 1921, გვ. 159-150). მერაბ ჯაიანის ბედი დღევანდელი აფხაზეთის მთელმა ქართულმა თავადაზნაურობამ გაიზიარა. ჩამოსულთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, როგორც იმ პერიოდში იქ მყოფი კათოლიკე მისიონერები მოწმობენ, ასზე მეტი სასულიერო პირი იქნა განადგურებული, დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველეს (მ. თამარაშვილი. ისტორია

კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 209-212).

იგივე პროცესები წარიმართა თანამედროვე გალის რაიონში, სადაც რუსების მოწმობით, აფსუა-აფხაზები ჩამოსახლდნენ «не отдельными семьями, а целыми организованными общинами» (Утверждение русскаго владычества на Кавказе, т. XII. Тб., 1902, с. 417). სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, თანამედროვე გალის რაიონში ჩამოსახლებულებმა თავიანთი სიმცირის გამო ვერ მოახერხეს ადგილობრივი მოსახლეობის აფსუიზაცია. მოხდა პირიქით, მათ თვითონ განიცადეს დენაციონალიზაცია და თანდათანობით გაქართველდნენ. ეს ხდებოდა ბუნებრივად და არა ძალდატანებით — გაქართველდა გაბატონებული ფენა და აფხაზი თავადების მიერ ბზიფიდან ჩამოყვანილი სულ რამდენიმე გლეხური გვარი.

გააფხაზებული ქართული გვარების (რომელთაც თანამოგვარეები ჰყავთ ენგურის მარცხენა მხარეს) რაოდენობა დღეს შეუდარებლად უფრო მეტია, ვიდრე გაქართველებული აფხაზური გვარებისა (იხ. გვ. 437-438). რომ არა რუსული იმპერიალიზმის ცნობილი ხრიკები, — ეს ნათესაური ფაქტორი უნდა გამხდარიყო არა მტრობის, არამედ ერთიანობისა და მეგობრობის მყარი საფუძველი.

ყოველივე ამის შემდეგ სამურზაყანოელი თავადების ეროვნული წარმომავლობითა და რამდენიმე სხვა გაქართველებული აფხაზური გვარით ჟონგლირება სეპარატისტების მხრიდან შეიძლება მხოლოდ ერთ რეალურ მიზანს ემსახურებოდეს —

საკუთარი თავის მოტყუებას. გალის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების შეცვლა, მიუხედავად კოლოსალური ძალისხმევისა, ვერ მოხერხდა XVIII-XIX საუკუნეებში, მითუმეტეს ვერ მოხერხდება XXI საუკუნეში. მაგრამ ეს თემა გამოიყენებოდა ადრე და გამოიყენება დღესაც სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეთნიკური მანიპულაციებისათვის. XIX ს. 50-იანი წლების ბოლომდე, როცა რუსებისათვის სამეგრელოს სამთავრო წარმოადგენდა პლაცდარმს მუდმივად ამბოხებების ალში გახვეულ აფხაზეთში დამკვიდრებისათვის, სამურზაყანო ქართულ რეგიონად იყო მიჩნეული. 1840 წლამდე იგი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, შემდგომში (1840 წელს) სამურზაყანოში დამყარდა რუსული მმართველობა (რუსეთმა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს ამ ტერიტორიისათვის 1845 წელს 25 ათასი ვერცხლის მანეთი გადაუხადა (Акты, т. 10, с. 248-249) და ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარა; როცა 1857 წ. სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა და იქაც რუსული მმართველობა შემოიღეს, სამურზაყანოს საბოქაულო, ასევე სვანეთი კვლავ მის შემადგენლობაში დააბრუნეს, ვინაიდან, მეფისნაცვალ ა. ი. ბარიატინსკის თქმით, დაკავშირებული იყვნენ «с нею разными племенными отношениями» (Акты, т.12, с. 1321). 1864 წ. ივნისში გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო; შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომლის შემადგენლობაში სამურზაყანოც შეიყვანეს როგორც ერთგვარი “კომპენსაცია” სამთავროს გაუქმებისათვის და რუსეთისათვის არასაიმედო აფსუა-აფხაზთა საპირწონე ძალა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში.



ამ ეტაპზეც რუსული ხელისუფლება სამურზაყანოელებს მეგრელებად განიხილავდა და წირვა-ლოცვაც, როგორც ეს ისტორიულად ხდებოდა ამ კუთხეში, ქართულ ენაზე აღევლინებოდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან აფხაზობა მაჰაჯირობის შედეგად უკიდურესად დასუსტდა, იგი უკვე რეალურ პოლიტიკურ ძალას და რაიმე საფრთხეს იმპერიისათვის აღარ წარმოადგენდა. იმავდროულად იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილ ქართველობაში ფეხი მოიკიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. ქართული ეროვნული იდეები სწრაფად ვრცელდებოდა აფხაზეთშიც. ამ ვითარებაში პოლიტიკურად დასუსტებულ აფხაზობას იმპერიამ ახალი — ანტიქართული ფუნქცია მიანიჭა. შეიცვალა პოლიტიკა სამურზაყანოს მიმართაც. ხელისუფალნი ცდილობდნენ, სამურზაყანოელების ხან “ახალ ეთნოსად” გამოცხადებას (იხ გაზეთი *Кавказ*, 1892, №77. ი. პანტიუხოვის წერილი «Самурзаканцы»), ხან სამეგრელოს მოსახლეობასთან ერთად “მეგრელ ერად” შერაცხვას, შესაბამისად წირვა-ლოცვისა და სწავლების მეგრულ ენაზე შემოღებას (იხ. *Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе, за 1887 год. Тифлис. 1888, с. 71*), ან კიდევ დასუსტებულ აფსუა-აფხაზებთან მიერთებას ისე, რომ აფხაზთა გაძლიერება არ გამოეწვია (1897 წელს მოსახლეობის აღწერისას აფხაზები და სამურზაყანოელები ერთად აღწერეს, მაგრამ როგორც კავკასიელი მთიელები და ჩერქეზები (იხ. *ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 593-594*).

ხელისუფლების ყველა მცდელობამ, მოეწყვიტათ სამურზაყანო ქართველი ერისაგან, სრული კრაზი განიცადა. კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1898-1901 წ.წ. ანგარიშში სამურზაყანოელთა ვინაობის საკითხს გარკვეული ყურადღება დაეთმო. მასში ვკითხულობთ: «С древнейших времен эта часть нынешней Сухумской епархии состояла часть Грузинского царства и, как и теперь, всегда была заселена народом грузинского племени... В принадлежности Самурзаканцев к грузинскому племени не может быть никаких сомнений... Этим то грузинским происхождением Самурзаканцев объясняется то обстоятельство, что они, несмотря на усиление турецкой власти на Черноморском побережье, несмотря на отпадение соседних абхазцев от православия, до конца остались верными вере своих отцов и ни разу не изменяли ей» (Отчет состоящего под августейшим покровительством Ея Величества, Государыны Императрицы Марии Федоровны, общества восстановления православнаго христианства на Кавказе за 1898, 1899, 1900 и 1901 годы. Тифлис, 1903, с. 88-89).

ხელისუფლება, როგორც იქნა, მიხვდა თუ ვინ იყვნენ სამურზაყანოელები ეთნიკურად. მათი ქართველობა 1906 წელს თვით ი. ვოსტოროვმა აღიარა (წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 462-463), 1916 წ. — უწმ. სინოდმა (გვ. 548); 1917 წელს ამ აზრს სოხუმის ეპისკოპოსი სერგიც დაეთანხმა (გვ. 580). მოსახლეობისათვის კი ეს პრობლემა არასოდეს არსებობდა. რაც არ უნდა ეწერათ ზერელე დაკვირვების შედეგად ცალკეულ მოგზაურებს XVIII-XIX ს.ს. თუ კ.

მაჭავარიანის მსგავს ადამიანებს, შოვინისტებს (ლ. ვორონოვი და ა.შ.), რომლებსაც ეყრდნობიან სეპარატისტები (ტ. აჩუგბა), სამურზაყანოელები დარჩნენ ქართველებად, თუმცა ამ საკითხით მანიპულირება კვლავაც გრძელდება. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს 1899 წელს ამბროსი ხელაიას მიერ კ. მაჭავარიანის წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილების მნიშვნელობას ისტორიული მეცნიერებისათვის, თუ გნებავთ პოლიტიკისათვის. აღნიშნულ თემას იგი სხვა ნაშრომებშიც ეხება (გვ. 448, 449. 548, 580 და ა.შ.).

ქართული პუბლიცისტიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ამბროსი ხელაიას «По поводу статьи «Голос из Сухума»» (გვ. 440). იგი 1906 წლის მარტში, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ი. ვოსტორგოვის მიერ გაზეთ “კოლოკოლში” (1906, №45) “რუსის” (Русский) ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილის წინააღმდეგაა მიმართული. ი. ვოსტორგოვი ცდილობდა აეტეხა განგაში 1906 წ. 3 თებერვალს ეპისკოპოს კირიონის სოხუმის კათედრაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხედავდა, რომ ამით საფრთხე ექმნებოდა აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების, ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკას, რომელსაც წლების განმავლობაში თავადვე ახორციელებდა. როგორც ჩანს, ამბროსი ხელაია ძლიერ შეაშფოთა მორიგმა შოვინისტურმა გამოლაშქრებამ გაზ. “კოლოკოლში”. 1906 წ. 8 მარტის წერილში ცხუმელ ეპისკოპოს კირიონისადმი (იგი ჯერ კიდევ პეტერბურგში იმყოფებოდა, სადაც ქართული ეკლესიის

ავტოკეფალიის საკითხები იხილებოდა) იგი მიესალმებოდა გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავრის სოხუმში დანიშვნას და წერდა, რომ ამ აქტმა ძლიერ გაახარა ქართული სამღვდელოება, მაგრამ “პოლიტიკანებს, როგორც ეტყობა, ლახვრად დაესო გულში”; მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ “ზნელი ძალების წარმომადგენლები ვერ შეიგნებენ და აკი კიდევ “ხულიგნურად” გამოილაშქრეს თქვენს წინააღმდეგ გაზ. “კოლოკოლში”. იმედია, ღირსეულ პასუხს გასცემთ. შეიძლება თქვენს შემდეგ მეც რაიმე მოვახსენო ამ ხულიგნური წერილის ავტორს” (დოკ. №27). სამი კვირის შემდეგ — 1906 წ. 31 მარტს ცხუმელი ეპისკოპოსი მღვდელ ი. ჩიჯავაძისგან ასეთ ინფორმაციას იღებს: “დღეს ამბროსიმ წამიკითხა სტატია პასუხათ კოლოკოლისა შენზე «Голос из Сухума». საუცხოვო რამ არის, ისეთი საბუთები მოჰყავს, რომ უკეთესი არ იქნება. ერთი კარგი ბროშურა გამოვა. გაზეთებში და ჟურნალებში ვერ დაიბეჭდება — დიდია და ბროშურათ კი ძალიან კარგია. როცა ჩამოხვალ აქ წაგაკითხამთ” (წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 134). სოხუმში ეპ. კირიონი პირველად 1906 წ. 3 აპრილს ჩამოვიდა, თანაც თბილისის გავლით. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გამოქვეყნებამდე გაეცნო ამ ნაშრომს. «По поводу статьи «Голос из Сухума» 1906 წ. 1-15 მაისის «Духовный Вестник Грузинскаго Экзархата»-ში (№9-10) გამოვიდა, რომელიც საქართველოდან მისი რედაქტორის — ი. ვოსტორგოვის გაძევების (1905 წლის მარტი) შემდეგ რამდენადმე ლიბერალური გახდა. წერილი 1906 წ. ცალკე ბროშურადაც დაისტამბა. მთავარი ღირებულება

ამ ნაშრომისა არის საფუძვლიანი კრიტიკა რუსიფიკატორული საეკლესიო და სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელიც ვერა თუ ვერ აღწევდა მიზანს, უკუშედეგებს იძლეოდა.

«По поводу статьи «Голос из Сухума»-ს საკმაოდ კვალიფიციური ანალიზი მოცემული აქვს ნ. პაპუაშვილს (ამბროსი..., გვ. 52-65). იგი აღნიშნავს, რომ ამბროსი ხელაიას მიზანი (როგორც თვითონვე წერდა), იყო (1) აფხაზეთის ქართული სამღვდელთა დაცვა, (2) ქრისტეს ეკლესიის ინტერესების დაცვა და (3) კავკასიაში ქართველთა და რუსთა ინტერესების სწორი გაგება. “ამ სამი მომენტის შესაბამისად, — წერს ნ. პაპუაშვილი, — ფაქტები, საკითხები და თეორიები, რომელთაც ავტორი ასაჩინოებს, შეგვიძლია სამ კატეგორიად დავაჯგუფოთ: 1) ფაქტოლოგია, ისტორიოგრაფია, პოლიტოლოგია და კონფლიქტოლოგია; 2) მისიოლოგია; 3) ეკლესიოლოგია და თეოლოგია” (იქვე, გვ. 55-56). ამბროსი ხელაიას ნაშრომი ამ სქემის მიხედვით არის გარჩეული. ვეთანხმებით რა ავტორის ძირითად შეფასებებს (რაც გვანთავისუფლებს ამ თემაზე ვრცელი საუბრისაგან), ვერ დავეთანხმებით, რომ ამ წერილში ფაქტობრივად ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის იდეაა გამოხატული, თუმცა არც ისე მკაფიოდ (იქვე, გვ. 60-61). სინამდვილეში ამბროსი ხელაია 1906 წელს (წერილში «По поводу статьи...» იგი შეშფოთებას გამოთქვამს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მოთხოვნით პრესაში გამოქვეყნებული წერილების გამო — გვ. 445) და შემდგომშიაც, როცა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი საქართველოს დემოკრატიულმა

მთავრობამ წამოაყენა, ამ იდეას მხარს არ უჭერდა. რუსული სამღვდელოების მრავალ წარმომადგენელთან ერთად იგი ილაშქრებდა პეტრე პირველის რეფორმის (1721 წ.) შედეგად პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმებისა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ობერ-პროკურორის მეშვეობით ეკლესიაზე სრული კონტროლის დაწესების წინააღმდეგ. საუბარი იყო პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენაზე და არჩევითობის პრინციპის შემოღებაზე, არა სახელმწიფოსაგან, არამედ საერო ხელისუფლებისაგან გამიჯვნაზე. საქართველოს მესამე საეკლესიო კრების წინასწარი სათათბიროს IV სხდომის (1920 წლის მარტ-აპრილი) მიერ შემუშავებულ პროგრამულ დოკუმენტში, რომელიც საკათოლიკოსო საბჭოს, აგრეთვე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინასაყრილობო პლატფორმას წარმოადგენდა, დაგმოხილი იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მთავრობისეული გეგმა (ჯ. გამახარია. აფხაზეთი, გვ. 824-825). ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს ამბროსი ხელაიას ნამდვილი პოზიცია.

ვინაიდან რუსეთის პოლიტიკის არსი საქართველოს მიმართ 1906 წელთან შედარებით ბევრად არ შეცვლილა, აღნიშნული პოლიტიკის ამბროსი ხელაიასეული კრიტიკა უაღრესად თანამედროვედ ჟღერს. მისი გაცნობა და ღრმად გააზრება სასარგებლო იქნება როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით რუსული საზოგადოებისათვის, სასულიერო თუ პოლიტიკური წრეებისათვის, მეცნიერებისათვის.

ამბროსი ხელაიას ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილ ნაშრომთა სიას

მიეკუთვნება «Желательно ли обращение Илорской церкви в русский женский монастырь»? (გვ. 492). ეს არის გამოხმაურება სოხუმის ეპისკოპოს ანდრიას (უხტომსკი) წერილზე მის მიერ დაარსებულ ჟურნალში «Сотрудник Закавказской Миссии» (1912, 15 ნოემბერი, №22) სათაურით — «Из жизни Илорского прихода». ეპისკოპოსმა მხარი დაუჭირა ვითომ ილორის საზოგადოების “ნათელ აზრს”, მოქვის მაგალითისამებრ, დედათა მონასტრის დაფუძნების შესახებ. ამ განზრახვას წინ აღუდგა არქიმანდრიტი ამბროსი; გაზეთ “ზაკავკაზიეს” 1913 წლის 10-11 აპრილის ნომრებში (№№82-83) “ამბერის” ფსევდონიმით გამოაქვეყნა ვრცელი წერილი «Желательно ли...» მცირე შემოკლებებით იგი გადმობეჭდა ჟურნალმა «Сотрудник» და წინ საკმაოდ კეთილგანწყობილი წერილიც წაუშეშვარა (1913, №10). მოგვიანებით იმავე ჟურნალმა (1913, №№16-17) მკაცრად გააკრიტიკა “ამბერის” წერილი და ილორში დედათა მონასტრის გახსნას დაუჭირა მხარი. 1913 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში გაზეთ “ზაკავკაზიე“-ს ექვს ნომერში კვლავ “ამბერის” ფსევდონიმით გამოვიდა წერილების სერია საერთო სათაურით — «По поводу превращения Илорского храма в русский женский монастырь» (გვ. 505).

ილორის ტაძართან დაკავშირებულ წერილებში წამოჭრილია პრობლემათა მთელი სპექტრი, გაანალიზებულია აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზები, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი

თეოლოგიურ საკითხებს, კერძოდ ხალხური რელიგიისა და მართლმადიდებელი ქრისტიანული ნორმების ურთიერთმიმართების პრობლემას, რომლის წინაშე პირველი მოციქულებიდან მოყოლებული მუდამ იდგნენ მისიონერები.

წერილში «Желательно ли...» ამბროსი ხელაია საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს აფხაზეთში უკვე დაფუძნებული რუსული მონასტრების საქმიანობის შედეგებს. იგი შეახსენებდა მისიონერული მიზნებისათვის ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების მოსურნე ეპისკოპოს ანდრიას, რომ ანალოგიური მიზნით დაფუძნდა ახალი ათონის, ბიჭვინთის, დრანდისა და მოქვის მონასტრები, მაგრამ რეალურად უკუშედეგი მივიღეთ. ავტორი თვლის, რომ ხალხისათვის ყველაზე სათაყვანებელი უძველესი ტაძრების, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების არა იმდენად მისიონერული, არამედ ასიმილაციური პოლიტიკის ცენტრებად გადაქცევამ მათ დაუკარგა ძველი დიდება, ისინი ვერ იქცნენ აფხაზეთის მოსახლეობაში რელიგიის, ზნეობისა და ცოდნის საწყისების გავრცელების წყაროდ. ამის საილუსტრაციოდ წერილში მოტანილია ეპისკოპოს ანდრიას განცხადება «С.-Петербургские Ведомость»-ში (1913, №30), რომ ახალი ათონის დიდებული ტაძრებიდან 10-15 კილომეტრში დაინგრა მართლმადიდებელი ეკლესიები, რომ აფხაზეთმა დაივიწყეს ქრისტეს მოძღვრება და მეჩეთების აშენება სურთ. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაია სავსებით ლოგიკურად სვამდა კითხვას, სად იყო აფხაზეთის რუსული მონასტრების გავლენა მუსულმან



აფხაზებზე, თუ მათ ამ მონასტრების თითქმის ორმოცწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მეჩეთების აშენების მოთხოვნილება გაუჩნდათ, რაც ადრე არასოდეს ყოფილა. აფხაზებმა დაკარგეს თაყვანისცემა უძველესი ტაძრებისადმი, რითაც ადრე გამოირჩეოდნენ. გამომდინარე აქედან, ამბროსი ხელაია ასკვნის: »Таким образом, ясно, что обращение грузинских святынь в русские монастыри не только не приносит пользы местному населению в религиозно-нравственном отношении, но и, напротив, отзывается положительно вредно, так как он теряет значение религиозных центров для народов Закавказья» (გვ. 501). იგივე ბედი ეწევა ილორის ეკლესიას, ამტკიცებდა ავტორი, რუსულ დედათა მონასტრად მისი გადაკეთების შემთხვევაში. გარდა ამისა, დაირღვეოდა მთელი ქართველი ხალხის საკუთრების უფლება, ვინაიდან ილორის წმ. გიორგის ეკლესია არა მხოლოდ ილორელების, არამედ მთელი ერის სალოცავი იყო.

წერილების სერიაში «По поводу превращения...» ამბროსი ხელაია რუსულ მონასტრებს კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ქართველთა დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა. იყო მაგალითები, როცა მსურველები ახალი ათონისა და დრანდის მონასტრებში არ ჩარიცხეს. მოქვის დედათა მონასტერში კი ჩარიცხეს მონაზვნად ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ თანდათანობით აიძულეს დაეტოვებინა იქაურობა. ყოველივე ამის შემდეგ დამაჯერებლად არ ჟღერდა ილორის მონასტრის დაფუძნების მსურველთა სიტყვები იმის შესახებ, რომ იგი რუსულ-ქართული

იქნებოდა, თანაც ქართული თუ შერეული ღვთისმსახურებით.

ილორის ტაძრის რუსულ მონასტრად გადაკეთებისას მის არქიტექტურას რესტავრაციის საბაზით დამახინჯების საფრთხე ელოდა, როგორც ეს მოხდა სხვა მონასტრებში და როგორც ამის შესახებ შეშფოთებით წერდა გრაფინია პ. უვაროვა (გვ. 513, 515).

ამბროსი ხელაიამ უარყო ოპონენტის მტკიცება, თითქოს სოლიდური შემოსავლების მქონე ეკლესია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა განათლების სფეროს. წერილში მოტანილი სტატისტიკური მონაცემები კი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდნენ — ილორის ეკლესიას მატერიალური თვალსაზრისითაც მეტი სარგებლობა მოჰქონდა სოხუმის ეპარქიისათვის, ვიდრე ბევრად უფრო შემოსავლიან რუსულ მონასტრებს. ილორის ეკლესიის რუსულ მონასტრად გადაკეთების “მთხოვნელები” სწორედ ამ შემოსავლების ხელში ჩაგდებას ისახავდნენ მიზნად.

ამბროსი ხელაია შეეხო აფხაზეთში ქრისტიანობის ისტორიისა და თავისებურებების საკითხს. მისი აზრით, XVII საუკუნეში ბიჭვინთა «была окружена надвинувшимся из-за Гагр народом, который под влиянием турок забыл веру отцов». გაგრის იქითა მხრიდან მოსული ხალხის (იგულისხმებიან აფსუები, მაგრამ ამბროსი შეგნებულად არ აკონკრეტებს მათ ვინაობას) თავდასხმების გამო აფხაზეთის — დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსებმა ბიჭვინთა დატოვეს (სინამდვილეში ეს მოხდა XVI ს. შუახანებში) და იძულებით გელათში გადავიდნენ. ამის შემდეგ, როგორც ამბროსი ხელაია წერდა, ხატისა და ჯვრის

თაყვანისცემამ წარმართული ხასიათი მიიღო; იყო შემთხვევები, როცა ეკლესიების დახურვის გამო მორწმუნეები ხის ფულუროში სპეციალურად მოთავსებულ ჯვარს ეთაყვანებოდნენ. ჯვრის დაკარგვის შემდეგ თაყვანს სცემდნენ იმ ხეს. წარმართული ხასიათი მიიღო დანგრეული ეკლესიების თაყვანისცემამაც. ამბროსი ხელაია სინანულს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში გრძელდებოდა ქრისტიანული ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური წარმოდგენების წარმართობაში გარდასახვა მაშინ, როცა მისიონერები უძველესი დროიდან, პირიქით, ცდილობდნენ წარმართული ზნე-ჩვეულებებისათვის მართლმადიდებლური შიინაარსი მიეცათ.

ოპონენტებს არ მოეწონათ ეს მსჯელობა და ჩათვალეს, რომ “ამბერი” სარწმუნოებას ცრურწმენისაგან ვერ ანსხვავებდა. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაიამ ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული საკითხი და ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. მისი აზრით, მისიონერი ვალდებულია ღრმად გაერკვეს ხალხურ წესჩვეულებებში, რელიგიურ წარმოდგენებში, პატივი სცეს მათ და გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში. ის მისიონერ-ასიმილაციორები, რომლებიც ცდილობდნენ ცრურწმენების მოსპობას, ფაქტობრივად აფხაზებს რწმენას ართმევდნენ; ცრურწმენის ძალადობით მოსპობა ხალხურ რელიგიაში ჩაბუდებული ჭეშმარიტების ნასახის მოსპობას იწვევდა. რუსული მონასტრების მომრავლების გზით აფხაზთა ცრურწმენების მოსპობისა და ხალხის ასიმილაციის მოსურნეებს ამბროსი ხელაია პასუხობდა,

რომ კი არ უნდა მოვსპოთ ხალხური ჩვეულებები, რომლებიც ეროვნული ფიზიონომიის ნაწილს შეადგენენ, არამედ «очистить национальные обычай, нравы и особенности от суеверного элемента или лучше сказать, стараться бы в эти обычаи влить христианское содержание - христианизировать, а не уничтожить их, ибо путем уничтожения национальных обычаев цель ассимилирования народов, к чему стремятся современные миссионеры, не достигаются, а только обезвериваются они. Вот как я понимаю миссионерское служение среди такого народа, какими являются абхазцы...» (გვ. 542).

ავხაზეთში არსებული სავალალო სარწმუნოებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს არქიმანდრიტი ამბროსი რუსული მონასტრების ასიმილატორულ მისწრაფებებში ხედავდა; გამოთქვამდა რწმენას, რომ ეპ. ანდრია მიხვდებოდა, თუ რამდენად საზიანო შეიძლება გამხდარიყო მართლმადიდებლობისათვის კიდევ ერთი რუსული მონასტრის დაფუძნება ავხაზეთში და ხელს აიღებდა თავის განზრახვაზე.

ამბროსი ხელაიას წერილების ბოლო ნაწილი 1913 წ. 14 დეკემბერს გამოქვეყნდა. ერთ კვირაში — 22 დეკემბერს ანდრია უხტომსკი (რომელიც მიხვდა, რომ შეცდომაში იყო შეყვანილი) უფის ეპისკოპოსად დაინიშნა. 1914 წლის 24 იანვარს მან სოხუმი დატოვა. ამბროსი ხელაიას წერილების ზეგავლენით სასულიერო ხელისუფლებას ილორის წმ. გიორგის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების საკითხი შემდგომში არ დაუსვამს.

1917 წ. ბოლოს ქართული ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციაში, როგორც ზემოთ ითქვა, გადმოვიდნენ აფხაზეთის ქართული სამრევლოები, მათ შორის მთელი სამურზაყანო. სოხუმის რუსი ეპისკოპოსი სერგი იძულებული გახდა ელიარებინა სამურზაყანოელთა ქართველობა — მაგრამ არ ეთანხმებოდა ორი სამრევლოს — ილორისა და ბედიის გადაცემას ქართული ეკლესიისათვის, ვინაიდან ამ სოფლების მაცხოვრებლებს აფხაზებად მიიჩნევდა. ამას დაემატა ზაქარია ედილაშვილის (ედილი) წერილი “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”, რომელიც გაზეთ “საქართველოში” (1918, 11-13 იანვარი, №№8-10) გამოქვეყნდა. მასში ილორი არ იყო მიჩნეული სამურზაყანოს ნაწილად. ეს ყოველივე გახდა საბაზი ჭყონდიდელი მიტროპოლიტის — ამბროსის მიერ გაზ. “საქართველოში” (1918, 31 იანვარი) “ამბერის” ფსევდონიმით წერილის გამოქვეყნებისა სათაურით: “ილორის ბედი” (გვ. 580). უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არის ნაწილი (ამონარიდი) თუ მოკლე შინაარსი გამოუქვეყნებელი და დღემდე დაკარგული დიდი ნაშრომისა «Селение Илори и Илорская Св. Георгиевская церковь».

წერილში დამტკიცებულია, რომ სამურზაყანოს ეთნიკური საზღვარი არის მდ. ღალიძგა. მიტროპოლიტი ამბროსი იშველიებს XVIII-XIX ს.ს. უცხოელ, მათ შორის რუს ავტორთა შრომებს და ასაბუთებს ილორის ეთნიკურ-ადმინისტრაციულ კუთვნილებას სამურზაყანოსადმი, თუმცა მოგვიანებით ასიმილაციური პოლიტიკის გამტარებელმა რუსულმა ხელისუფლებამ სოფელი

მისი მოსახლეობის (ქართველების) ნების წინააღმდეგ ჩამოაშორა სამურზაყანოს და კოდორის (ოჩამჩირის) უბანს მიაწერა.

1918 წ. ივლის-აგვისტოში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს სოჭის ოლქი (ქ. სოჭში 5-6 ივლისს შევიდნენ), აიღეს ქ. ტუაფსეც, (1918 წ. 26 ივლისი), მაგრამ მალე დატოვეს და მდ. შახეზე გამაგრდნენ. ქვეყნის მთავრობა, ასევე აბხაზთა სახალხო საბჭოს პატრიოტული ნაწილი ქვეყნის ისტორიული საზღვრის აღდგენისათვის იბრძოდა (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия. გვ. 415, 756-758). საქართველოსათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას მიტროპოლიტმა ამბროსიმ მიუძღვნა საფუძვლიანი გამოკვლევა “საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით” (გვ. 589). სამწუხაროდ, ეს წერილი მეცნიერთა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ თემაზე არათუ 1918 წლამდე, შემდგომშიაც კი (პავლე ინგოროყვამდე) ასეთი დონის სპეციალური გამოკვლევა არ დაწერილა.

ამბროსი ხელაია დამაჯერებლად უარყოფს იმ დროისათვის საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას (თვით ქართველ მეცნიერებს შორისაც კი), თითქოს ნიკოფსია იყო იგივე ანაკოფია და ქვეყნის ისტორიული საზღვარიც ვითომ აქვე გადიოდა. მაგალითისათვის მას მოჰყავს მ. ჯანაშვილი, რომელიც მცდარ პიზიციას იდგა. ანაკოფიას ნიკოფსიად მიიჩნევდა კ. მაჭავარიანი (Описательный путеводитель по гор. Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913, с. 228). იგივეს წერდნენ ვ. ი. ჩერნიაევსკი (იხ. Пятый археологический съезд. Протоколы предворительного комитета, с. 20), მ.

ბროსე (Histoire de la Georgie, I, გვ. 61, შენიშვნა 3), ფრედერიკო დიუბუა დე მონპერე (Путешествие вокруг Кавказа, 1. Сухуми, 1937, с. 131) და სხვები.

მიტროპოლიტი ამბროსი მრავალფეროვან და უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით უჩვენებს, რომ ნიკოფსია, იგივე ძველი ლაზიკა, ტუაფსეს ჩრდილოეთით მდებარეობდა. ისტორიულად სწორედ იქ გადიოდა საქართველოს სახელმწიფო და ეთნიკური საზღვარი. ამასთან დაკავშირებით ავტორი სვამს კითხვას — “თუ რა შეხედულების უნდა ვიყოს აფხაზთა რეალურ მოსახლეობაზე XVII საუკუნემდის” — და თვითონვე პასუხობს, რომ “ამაზე სიტყვის ჩამოგდება სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ჩემის აზრით, ჯერჯერობით მოუხერხებელია” (გვ. 602). ასეთი პასუხით მან ფაქტობრივად გამოხატა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე. ამ თემას იგი სხვა შრომებში თუ გამოსვლებშიც არაერთხელ ეხება (გვ. 212, 330, 423, 429, 448, 554-555, 602, 667 და ა.შ.). ამბროსი ხელაიას შეხედულება თანამდეროვე აფხაზების (აფსუების) XVII საუკუნეში ჩამოსახლების შესახებ (მანამდე აქ მხოლოდ ქართველები მოსახლეობდნენ) კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნ. ბერძენიშვილის, ჩვენი აზრით, ღრმად მცდარ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აფხაზთა მიერ ქრისტიანობის მხოლოდ ზედაპირული შეთვისება რეგიონში მართლმადიდებლური სარწმუნოების “უცხო” - ქართულ (ასევე ბერძნულ) ენებზე გავრცელებამაც

განაპირობა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 593-594, 603)\*.

წერილის შესავალ და დასკვნით ნაწილებში ამბროსი ხელაია აყენებდა საქართველოს ისტორიული უფლებების შეგნებისა და გათვალისწინების აუცილებლობის საკითხს. საქართველოს სწორედ ისტორიული უფლებით ეკუთვნოდა სოჭის ოლქი, მაგრამ თუ იგი მაინც დაიკარგებოდა ჩვენი შეუგნებლობითა და მტერთა ძალმომრეობით, — ნათქვამია წერილში, — “მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შემორჩეს, რომ მან გააღვიძოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება და მისცეს მას იმისი ცნობა მაინც, რომ საქართველოს ძლიერების დროს ჩვენი საზღვარი ტულაჰესსაც იქით სცილდებოდა” (გვ. 602).

ამბროსი ხელაიას ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი გახლავთ 1920 წ. დაწერილი “ზედია და ბედიის ტაძარი” (გვ. 606). მკვლევარები კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ კიდეც ამ ნაშრომის მეორე ნაწილს — “ზედიის ტაძარი”, რომლის ხელნაწერი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. პირველი, თანაც გამოქვეყნებული ნაწილი კი თითქმის დავიწყებას მიეცა და ბოლო პერიოდში მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო

---

\* ეს მოსაზრება, რომელიც პირველად 1907 წელს გამოითქვა (Л. Воронов. Абхазия – не Грузия. М., 1907, с. 18-19), ლოგიკურად გამომდინარეობს მტკიცებიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუათა უძველესი დროიდან მკვიდრობის შესახებ. როგორც ვხედავთ, ერთი სიყალბე წარმოშობს მეორეს, და ა. შ.



წრისათვის თუ არის ცნობილი (გაზ. მიწა, 1920, 11-14 ნომბერი). იგი მთავრდება ავტორის დაპირებით: “ამის შემდეგ მოვიყვანთ რამდენიმე ცნობებს ბედიის დიდებული ტაძრის ისტორიიდან” (გვ. 620). სხვადასხვა გარემოებათა (ძირითადად პოლიტიკური ხასიათის) გამო მაშინ ვერ მოხერხდა პუბლიკაციის გაგრძელება, მალე გაზ. “მიწა”-ც დაიხურა. კრებულში ორივე ნაწილი ავტორისეული საერთო სათაურით ქვეყნდება როგორც ერთიანი ნაშრომი, ვინაიდან ირკვევა, რომ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული ამბროსი ხელაიასაც.

გამოქვეყნებულ ნაწილში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ავტორი ვრცლად აშუქებს ბედიის, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის ისტორიას უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე — ლევან V დადიანის მიერ ბედიის ციხე-სიმაგრის აღებამდე.

მეორე, გამოუქვეყნებელი ნაწილი, რომელიც უფროა ცნობილი სპეციალისტებისათვის, ეძღვნება ბედიის ტაძრის ისტორიას დაარსებიდან — X ს. ბოლოდან 1920 წლამდე. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის ფონზე განხილულია ბედიის საეპისკოპოსოს დაარსებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეხება რა გუდაყვის კათედრის გაუქმებისა და ბედაში მისი გადატანის საკითხს, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეს მოვლენა “უნდა ყოფილიყო შედეგი საქართველოს სამეფოს აღორძინებისა, რომელსაც მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაცია” (გვ. 623). იგი კიდევ ერთხელ იმეორებს ტერმინს — “ნაციონალიზაცია” (გვ. 624), რომელიც გაცილებით უფრო სწორი და მისაღებია,

ვიდრე შემდგომში დამკვიდრებული “ქართიზაცია” თუ “გაქართველება”. ასე, მაგალითად, ქართული ენის დამკვიდრება დასავლეთ საქართველოში როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს იმის გამოხატულებად მიაჩნდა, “თუ რა შორს იყო წასული მეგრული თუ აფხაზური ფეოდალური საზოგადოების გაქართველება” (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 620)\*. ნ. ლომოური მომხრეა ამ “ყოველმხრივ დასაბუთებული დებულებისა” (მაშინ, როცა არავითარი დასაბუთება ნ. ბერძენიშვილს, არც თავად ნ. ლომოურს არ მოუციათ) და აცხადებს, რომ “VIII-IX ს.ს-ში ხდება ქართულ ეთნიკურ ერთეულთა კონსოლიდაცია ერთიან ფეოდალურ ეროვნებად ქართველი (ქართის) ტომის მეთაურობით; აფხაზი ტომები, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა, გენეტიკურად არაქართველი ტომები, მოექცნენ ქართულ ფეოდალურ ეროვნებაში” (ნოდარ ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 48). სხვა არაქართველ ტომებში ნ. ლ. მოური მეგრელებსა და სვანებს გულისხმობს (იქვე).

---

\* ერთი მედლის ორი მხარეა დასავლეთ საქართველოს – ეგრის-აფხაზეთის VII-IXსს. გაქართველების თეორია და თითქმის ერთდროულად ზოგადქართულ ცნობიერებას მოკლებულ პირთა მიერ წამოყენებული (XXს.50-იანი წლების დასაწყისში) ბრალდება ე.წ. მეგრელიზაციისა. ერთსაც და მეორესაც არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან, მით უმეტეს მეცნიერებასთან და თავსმოხვეულია საბჭოთა რეჟიმის მიერ.

საქმე გვაქვს საკითხისადმი ორ პრინციპულად განსხვავებულ, ერთმანეთთან შეუთავსებელ მიდგომასთან. ამბროსი ხელაიას მიხედვით, მთელი დასავლეთ საქართველო, ისტორიული კოლხეთი, ეგრის-აფხაზეთი, დასახლებულია მხოლოდ ქართული ტომებით; კონსტანტინოპოლისაგან პოლიტიკური და საეკლესიო გამიჯვნის შემდეგ ქართველებმა (აფხაზებმა, მეგრელებმა) უარყვეს თავსმოხვეული ბერძნული და დაუბრუნდნენ საკუთარ ეროვნულ, ნაციონალურ ენას — ქართულს, ანუ მოახდინეს ეკლესიის (ასევე სახელმწიფო ცხოვრების, კულტურის, იდეოლოგიის) გაეროვნულება, განაციონალურება, ნაციონალიზაცია. იგივე შეხედულებას ავითარებდა უფრო ღრმად და საფუძვლიანად პავლე ინგოროყვა, რომელიც ასევე ხმარობდა ტერმინ “ნაციონალიზაციას” (პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 244).

საპირისპირო მოსაზრება ეყრდნობა თვალსაზრისს, რომ კოლხეთი თითქოს იყო მრავალეროვნული გაერთიანება, რომ VII-IX საუკუნეებში ქართვებმა მოახდინეს კოლხეთში მცხოვრები “არაქართველი” აფხაზების, მეგრელებისა და სვანების გაქართველება (რა გზით? რა მეთოდებით?), რასაც კონსტანტინოპოლის გავლენისაგან განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფო და საეკლესიო ცხოვრებაში ქართული ენის გაბატონება მოჰყვა.

ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოს, რომელიც იმთავითვე ქართული რეგიონი იყო, არაფერში სჭირდებოდა “გაქართველება”; უფრო მეტიც,

აფხაზეთის სამეფო (ტაო-კლარჯეთთან ერთად) თავად წარმოადგენდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის მთავარ კერას (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1998, გვ. 108-114). მეორეც, VII-IX ს.ს. (და შემდგომშიაც) არაბთა მიმართ უფლის ქვეშ მყოფ დაშლილ, დაქუცმაცებულ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართველთა მეტოქეობის, აგრეთვე ქართველთა და სომეხთა დაპირისპირების ასპარეზად ქცეულ ქართლს, როცა თბილისში ხალიფას ან არმენიის ვალის მიერ დანიშნული ამირა იჯდა და თავად საჭიროებდა შველას, “გაქართველებას”, არანაირად არ შეეძლო ძლიერი სახელმწიფოს (აფხაზთა სამეფო) მქონე “არაქართველების” ასიმილაცია. ეს არის პავლე ინგოროყვას თეორიის (რომელიც შეიქმნა დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, წმ. მღვდელმონაწამე კირიონის, წმ. ამბროსი აღმსარებლის და სხათა შეხედულებების განვითარების შედეგად) პარტიულ-ადმინისტრაციული წესით აკრძალვის შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ პოლიტიკური მოტივებით შეთხზული ანტიმეცნიერული კონცეფცია; მას უნდა აეხსნა მიზეზი საქართველოს “არაქართულ” რეგიონებში, პირველ რიგში, აფხაზეთში ისტორიულად მხოლოდ ქართული კულტურის არსებობისა და განვითარებისა, რაც თურმე “გაქართველების” შედეგი ყოფილა. აღნიშნული თეორია არამეცნიერული და მიუღებელია არა მხოლოდ VII-IX საუკუნეებთან მიმართებაში, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი

პერიოდისთვისაც (იხ. ამის შესახებ — ტარიელ ფუტკარაძე. ქართველები. ქუთაისი. 2005).

ვფიქრობთ, ამბროსი ხელაიას ტერმინი “ნაციონალიზაცია” ზუსტად ასახავს IX-X ს.ს. დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებს და დროა აღსდგეს იგი თავის უფლებებში, ნაცვლად “გაქართველების” საბჭოური თეორიისა.

ნაშრომში “ბედია და ბედიის ტაძარი” დიდი ყურადღება ეთმობა ეპიგრაფიკას. აღსანიშნავია, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში — 1900 წელს სამშობლოში ჩამოსულმა ამბროსი ხელაიამ ბედიის ტაძარი მოინახულა, გაეცნო მის ეპიგრაფიკას; პირველმა ამოიკითხა ანტონი ჟვანის ძის სახელი წარწერაში ილორის მეორე ხატზე, რომელიც თავის დროზე აკად. მ. ბროსეს ვერ შეუნიშნავს; 1912 წელს კი, — წერს ავტორი, — გვექონდა შემთხვევა, გვეთქვა რამდენიმე სიტყვა საწინააღმდეგოდ “სოხუმელი არქეოლოგების” იმ აზრისა, რომლითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრება და მოღვაწეობა მიტროპოლიტ ანტონი ჟვანის ძისა ეკუთვნის ვითომ XIV საუკუნეს (Сотрудник, 1912, წ., №20, გვ. 312 და 313)”. აღნიშნული წერილის (ჟურნალ “სოტრუდნიკის” მითითებული ნომრის) მოძებნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ბედიის ტაძრის ეპიგრაფიკის, როგორც ისტორიული წყაროს, ანალიზის საფუძველზე ამბროსი ხელაია ცდილობს დაადგინოს მასში მოხსენიებული ისტორიული პიროვნებების ვინაობა, გაარკვიოს ტაძრის, ასევე მის გარშემო არსებული სხვა ნაგებობების (სამიტროპოლიტო სასახლის) აშენებასა და

რესტავრაციასთან დაკავშირებული საკითხები (გვ. 626-634).

ნაშრომში საუბარი არის ბედიის გულანზე, აგრეთვე რელიკვიებზე; პირველად მასში არის საკმაოდ ვრცლად გაშუქებული ბედიის ვლაქერნის ხატისა და ღვთისმშობლის სარტყლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია (გვ. 642-653); გარკვეული უზუსტობებით, მაგრამ ძირითადად მაინც დადგენილია ბედიელთა რიგი, ნაჩვენებია მათი ადგილი და როლი ქვეყნის საეკლესიო თუ საერო ცხოვრებაში (გვ. 654-661). ავტორი ყურადღებას ამახვილებს შინაგან სამონასტრო ცხოვრებაზე, აკეთებს დასკვნას, რომ ბედიის მონასტერში იერუსალიმის ეკლესიის წესი მოქმედებდა (გვ. 663-664). ამბროსი ხელაიამ ამჯერადაც ვერ აუარა გვერდი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებს და ბედიის კათედრის XVIII ს. ბოლოს დაცარიელების მიზეზებზე საუბრისას გაიმეორა თედო ჟორდანიას დასკვნა აფხაზთა მიერ გაგრის ვიწრობების გადალახვისა და XVII საუკუნეში გუდაუთის მაზრის დაკავების შესახებ, რასაც იქიდან ქართველთა ერთი ნაწილის გადასახლება, ხოლო მეორე ნაწილის მომხვედურებში გათქვეფა მოჰყვა (გვ. 667).

დასკვნით ნაწილში ავტორმა ბედიის ტაძრის აღდგენის აუცილებლობას, მის სარწმუნოებრივ, ეროვნულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ნაშრომის — “ბედია და ბედიის ტაძარი” — მთელი რიგი დებულებები გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. რა თქმა უნდა, მასში გვხვდება სადავო და ზოგჯერ არასწორი დასკვნებიც (იხ. გ. კალანდია. ოდიშის

საეპისკოპოსოები. თბ., 2004, გვ. 77-122; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. თბ., 2005, გვ. 21-74; გ. არახამია. ვლადიკავკასიის ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარში. — მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ. 100-107 და ა.შ.). მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად ამ თემაზე. მისი ავტორი — ამბროსი ხელაია კი წარმიგვიდგება როგორც უნიჭიერესი მკვლევარი.

\*\*\*

კრებული “წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი” კარგ სამსახურს გაუწევს ქართულ სამღვდელოებას, მეცნიერებს, სასულიერო და საერო სასწავლებელთა სტუდენტობას. იგი განკუთვნილია აგრეთვე ფართო მკითხველისათვის.

მადლობას მოვახსენებ პროფ. ლია ახალაძეს რჩევებისათვის, მკვლევარ ანზორ სიჭინავას — კრებულში შესული რამდენიმე დოკუმენტის (№№ 1,2,20,35) მოწოდებისათვის, საპატრიარქოს პრესსამსახურის თანამშრომელ ლუარსაბ ტოგონიძეს — ფოტომასალისათვის, სიმონ და ხათუნა გოგიძეებს — ინტერნეტით აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში დახმარებისათვის.

კრებულის მომზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში დახმარება გაგვიწიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის წამყვანმა სპეციალისტებმა როზა

ცინდელიანმა და დავით ჟვანიამ, აგრეთვე სტუდენტებმა ლელა არღვლიანმა და მაია გულედანმა.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ ილორის მკვიდრის, ამჟამად რუსეთში მცხოვრები შესანიშნავი პიროვნებისა და პატრიოტის თემურ გელენავას მიმართ, რომლის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი სახელოვანი თანასოფლელის — ამბროსი ხელაიას “პეტროგრადსკიე ვედომოსტში” გამოქვეყნებული წერილების ერთი ნაწილის თბილისში გადმოგზავნა.

პირთა საძიებელი შეადგინეს რუსუდან ხარეზავამ, სალომე გამახარია და სოფიო გამახარია.

**პროფესორი ჯემალ გამახარია**



## Амвросий Хелая и Абхазия

Имя Католикоса-Патриарха Всея Грузии Амвросия (Виссариона Хелая) занимает особое место в когорте великих сынов отечества. На него выпала тяжелейшая миссия духовного и, в известной мере, политического предводителя собственного народа в условиях свержения государственной независимости, установления большевистской тирании, попытки уничтожения основы грузинского национального самосознания – православной церкви. В период разгула красного террора легально он один защищал честь и достоинство своего народа. Бессмертны слова Святейшего и Блаженнейшего, брошенные палачам, приговорившим его суровому наказанию (март 1924 г.): «Душа моя принадлежит Всевышнему, сердце - Грузии, а с телом делайте что хотите».

В годы советской власти невозможно было объективно изучать мученическую жизнь и деятельность Амвросия Хелая. В историографии его имя встречалась редко и то в связи с борьбой компартии Грузии с «рясоносной контрреволюцией» (Ю. Качарава. Советская Грузия в период восстановления народного хозяйства (1921-1925 г.г.). Тб., 1958, с. 284. На груз. яз. Очерки истории Грузии, т. 8. Тб., 1976, с. 192. На груз. яз., и др.).

Высокую оценку деятельности Святейшего и Блаженнейшего Амвросия давала лишь эмигрантская публицистика. В некоторых статьях (например, Р. Иваницкого, выступавшего под псевдонимом Ингило) весьма положительно оценивалась его роль в период

управления Цхум-Абхазской епархией; И. Зурабишвили в статье «Два архиерея» дал сравнительную характеристику Католикоса-Патриарха Грузии Амвросия и России – Сергия (примирившегося с советской властью), показав при этом нравственное преимущество первого (Г. Шарадзе. История грузинской эмигрантской журналистики, т. 2. Тб., 2001. с. 328-329; 707-709. – На груз. яз.).

В период перестройки и подъема национально-освободительного движения в Грузии появились посвященные Амвросию Хелая первые публикации, подготовленные А. Миндиашвили, М. Хуцишвили, С. Лекишвили, К. Тоточава и другими (Мнатоби, 1988, №10; 1989, №9; Народное образование, 1989, 15 марта; Ахали Сакартвело, 1920, 16 ноября и др.). Все они освещали в основном судебный процесс против Католикоса-Патриарха, состоявшийся в марте 1924 г., а так же содержание его послания на Генуэзской международной конференции (1922 г.).

Из последующих работ можно выделить подготовленный Е. Гиоргадзе сборник «Католикос Амвросий (Хелая)», вышедший в 1991 г. (на груз. яз.), статьи В. Гургенидзе (Джвари вазиса, 1997, I), Г. Саитидзе (Историани. Тб., 2000) и другие. Деятельность Амвросия Хелая получило освещение в монографиях С. Вардосанидзе – «Православная церковь Грузии в 1917-1927 г.г. (Тб., 2000. На груз. яз.)», «Православная апостольская церковь Грузии в 1917-1952 г.г.» (Тб., 2001. На груз. яз.). Ему же принадлежит небольшая, но пока единственная специальная монография «Святейший и

Блаженейший Амвросий, Католикос-Патриарх Всея Грузии» (Тб., 2005. На груз. яз.). В 2005 году вышла книга «Амвросий (Хелая) о церковной политике России в Абхазии». Ее автор Н. Папуашвили включил в книгу известную статью самого Амвросия «По поводу статьи «Голос из Сухума»» (на русском и грузинском языках – перевод Н. Папуашвили), снабдив ее довольно обширным и интересным исследованием, а также комментариями.

Несмотря на то, что список работ, посвященных Амвросию Хелая, довольно внушителен, большинство из них носят популярный характер и во многих случаях повторяют друг друга. В них много ошибок, связанных с биографией выдающегося архипастыря; весьма слабо изучена его непосредственная деятельность в Абхазии, давнишние и очень тесные связи с этим краем, где священниками Илорской Св. Георгиевской церкви служили сначала дед Амвросия - Давид, затем отец – Зосим, а позже младший брат - Порфирий. Должным образом не изучено его богатое научное и публицистическое наследие, значительная (если не большая) часть которого посвящена злободневным проблемам Абхазии, ее духовной жизни.

Настоящий сборник преследует целью уточнение биографии Амвросия Хелая с приведением соответствующих источников, документальное освещение его деятельности в Сухумской (Цхум-Абхазской) епархии, публикацию принадлежащих ему научных и публицистических работ по Абхазии.

Учитывая то обстоятельство, что сборники аналогичного содержания раньше не выходили, неизбежны погрешности, неточности; список представленных в сборнике документов, а так же трудов самого Амвросия, надо полагать, является неполным, хотя необходимо подчеркнуть, что большинство из них публикуются впервые.

Готовы с благодарностью принять замечания специалистов и читателей.

\* \*

\*

По общепринятому в литературе мнению, Виссарион Зосимович Хелая родился 7 сентября (так считает большинство) или 7 октября (С. Вардосанидзе и др.) 1861 г. в местечке Мартвили. Документ №1 – запись в метрической книге Инчхурской (в Мартвильском районе) Св. Георгиевской церкви окончательно устанавливает, что Виссарион Хелая родился 7 (19) октября 1861 года, но не в Мартвили, а в с. Инчхури. Там же он был крещен 15 (27) октября. Отец Виссариона – Зосим и дед – Давид были священниками и служили в Абхазии. Давид Хелая священствовал в Самурзакани примерно с 40-х годов XIX века, а с начала 50-х годов почти 10 лет служил в Илорской Св. Георгиевский церкви. Брат Давида - Игнатий с 1845 г. служил священником Эшкетской (Очамчирский р-н.) Архангельской церкви, где он дал первоначальное духовное образование своему племяннику – Зосиму

Давидовичу Хелая, ставшему в январе 1860 г. диаконом, а в том же году священником Илорской церкви (док. №4). Таким образом, предки Виссариона Хелая, хотя и были по происхождению из Мартвильского района, с середины XIX века служили и постоянно жили в Абхазии.

Здесь же (в Илори) воспитывался и провел детство Виссарион. Первоначальное образование он получил в семье, а в 1867 году был уже кандидатом для зачисления в Пицундское духовное училище (док. №2), открытие которого намечалось в ближайшее время (не открылось). Виссарион Хелая являлся коренным жителем Абхазии. Епископ Сухумский Арсений в 1900 году в докладе против Виссариона называет его уроженцем Сухумского округа (с. 453).

Виссарион Хелая в 1872-1873гг. учился в Очамчирской школе (открыта в 1872 году). В 1873-1879 годах он ученик Мартвильского духовного училища, а в 1879-1885 г.г. – Тбилисской духовной семинарии. Послужные списки, составленные самим Амвросием Хелая (док. №№ 5, 6, 8, 24, 33), а так же другие материалы (док. №№ 9, 11, 13, 118), несмотря на незначительное различие между ними, с абсолютной точностью устанавливают отдельные этапы пройденного им пути и исключают в будущем искажения биографии великого сына Грузии.

25 марта 1887 г. он был рукоположен во диакона к Сухумскому кафедральному собору, с 19 апреля того же года более пяти лет служил священником Сочинской Михаила Архангела церкви; с 29 сентября 1892 г. до 15

ноября 1897 г. – священник Сухумского кафедрального собора; одновременно, с 20 октября 1892 г. по 1 августа 1893 г. исполнял должность благочинного I Сухумского благочиннического округа (т.е. Гудаутского участка), а с 17 июня 1893 г. был ключарем кафедрального собора; исполнял многие другие обязанности, в том числе в сфере церковного образования. В силу противоречий с епископом Сухумским Арсением, проводившем самими грубыми методами политику руссификации (см. док. №№ 19, 44), решил оставить Сухуми и с 1897 года продолжил учебу в Казанской духовной академии. А это было связано с трудностями семейного характера. В 1896 г. у него умерла молодая супруга (еще раньше – 1889 г. потерял первого сына, не дожив до одного года) и остались трое детей, воспитанию которых отец уделял огромное внимание. С помощью пожилого отца Виссарион Хелая сумел продолжить учебу. 11 февраля 1900 года он пострижен в монашество в церкви академии и наречен Амвросием (док. №18). В 1901 году, успешно окончив учебу в академии, некоторое время служил временно-управляющим Тбилисского Спасо-Преображен-ского монастыря. 3 марта 1902 г. возведен в сан архимандрита и назначен настоятелем Челишского (в Рачах) монастыря. За активную научную работу, вызывавшейся в выявлении и обработке уникальных материалов по всем церквам Рача-Лечхуми, разные патриотические начинания, явное сочувствие автокефалистам, интенсивную связь с грузинским движением в Абхазии, куда он часто ездил (см. док. №20), власти решили в след за еп. Кирионом удалить из

Грузии и Амросия Хелая. 6 сентября 1903 г. он назначается смотрителем Уст-Медведицкого духовного училища Донской епархии. По ходатайству епископа Имеретинского Леонида (док. № 23) – одного из лидеров движения автокефалистов – 24 ноября 1905 г. его возвращают на родину в качестве члена Грузино-Имеретинской синодальной конторы и настоятеля Иоанно-Крестительской пустыни (в Гареджи) Грузинской епархии.

Вернувшись в Грузию, Авросий Хелая активно включился в движение за восстановление автокефалии родной церкви (док. №№ 26, 29); в те годы он становится видным духовным и общественным деятелем, завоевавшим широкую популярность среди духовенства и собственного народа. Видимо, это явилось главной причиной его новой высылки из Грузии. Указом Св. Синода от 22 декабря 1908 г. Амвросий Хелая переведен в число братии Троицкого монастыря Рязанской епархии, заподозренный в причастности к убийстве (28 мая 1908г) экзарха Грузии Никона. Целый год он провел под строжайшим надзором и в тяжелых бытовых условиях; к тому же был лишен права священнослужения. Комиссия даже самого И.Г. Шегловитова (министра юстиции в 1906-1915 г.г.), изучавшая дело архимандрита Амвросия вынесла оправдательное заключение и указом от 4 февраля 1910 года Св. Синод назначил его (все же лишив права возвратиться на родину) настоятелем Старорусского первоклассного Спасо – Преображенского монастыря Новгородской епархии. 24 декабря того же года

Новгородская духовная консистория весьма опытного и образованного архимандрита Амвросия назначила благочинным монастырей епархии. Все его попытки и неоднократные просьбы о возвращении в Грузию не были удовлетворены.

Наряду с исполнением своих прямых служебных обязанностей, он ни на минуту не переставал думать и заботиться о своей родине, о чем говорят многочисленные статьи, опубликованные им в 1912-1917 г.г. в Петрограде и Грузии по самым разным проблемам родной церкви. Значительная их часть посвящалась состоянию христианства в Абхазии (с. 486-491, 548-579).

Демократическая революция в России в феврале 1917 г. Амвросию Хелая открыла путь в Грузию; он сердечно приветствовал восстановление автокефалии Грузинской церкви 12 марта 1917г., а с середины июня (освободившись от должности благочинного монастырей Новгородской епархии) до начала августа 1917 г. в составе грузинской церковной делегации – совместно с епископом Антонием Гиоргадзе (руководитель делегации) и протоиереем Калистратом Цинцадзе – вел переговоры с высшими руководителями страны и Св. Синода по правовым вопросам Грузинской церкви. Желаемых результатов они не принесли; российская сторона согласилась на национальную (но не на территориальную) автокефалию, что было неприемлемо для грузинского духовенства и общества.

В августе 1917 г. Амвросий Хелая навсегда вернулся в Грузию; был активным участником первого Всегрузинского церковного собора (8-17 сентября 1917



г.), на котором огласил приветствие кн. М. Анчабадзе из Самурзакано и в связи с этим сделал доклад о грузино-абхазских взаимоотношениях (док. №35); 15 октября 1917 г. Католикосом-Патриархом Всея Грузии, Святейшим и Блаженнейшим Кирионом II рукоположен во епископа Чкондидского и возведен в митрополиты. К Чкондидской (Гурийско-Мегрельской) епархии была временно приписана и образованная решением I собора Цхум-Бедийская епархия. В Сухуми тогда еще сидел русский епископ Сергей, не признававший автокефалию Грузинской церкви и подчиненный экзарху Кавказа. Всегрузинский Католикосский Совет с благословения Кириона II, а после его трагической кончины – нового архипастыря Леонида, под непосредственным руководством митрополита Амвросия провел большую работу по постепенному распространению церковной юрисдикции на всю Абхазию. На первом этапе удалось вернуть в лоно церкви - матери только грузинские приходы Абхазии, составлявшие большинство (док. №№ 37, 52, 94). Митрополит Амвросий до осени 1919г. неоднократно приезжал в Абхазию, в г. Сухуми (док. №№ 36, 56, 61). Он действовал целенаправленно, но осторожно с учетом различных факторов, в том числе политического характера.

Параллельно, представители русской церкви в Абхазии еп. Сергей, особенно настоятель Сухумского кафедрального собора протоиерей Г. Голубцов, находясь в Москве, добивались от Всероссийского церковного собора, а так же Патриарха Тихона осуществления старого плана выделения Сухумской епархии из состава

экзархата до тех пор, пока Грузинская церковь не распространила свою юрисдикцию на всю Абхазию (Дбар Д. Религиозные тенденции в современной Абхазии. М., 1999). Большевицкая анархия, охватившая Россию и проникшая в Закавказье, в том числе в Абхазию, помешала осуществлению этого плана. Необходимо так же отметить, что и Российское патриаршество не форсировало принятие решения, опасаясь еще большего ухудшения отношения с Грузинской церковью.

Действия еп. Сергия находились в прямой зависимости от успехов или неудач белогвардейских генералов М. Алексева, А. Колчака и Н. Деникина, которых он поддерживал, хотя у митрополита Амвросия были сведения о его связях и с большевиками (док. №52). Он отказывался от общения с Чкондидским митрополитом, с любыми представителями Грузинской церкви, исполняя предписания временного высшего церковного управления Юго-Восточной России (док. №63). Долго так продолжаться, естественно, не могло. Необходимо было дожидаться благоприятного момента, чтобы предпринять в отношении представителя иностранной церкви законные, но решительные шаги. Такой момент настал к осени 1919 года. Комиссариат (правительство) Абхазии 1 сентября 1919 г. издал декрет об управлении православными церквями (док. №,94 п. 8); объявил Сухумскую епископскую кафедру вакантной (еп. Сергей, получив новое назначение, с марта 1919 г. не находился в Абхазии) и 3 сентября временноуправляющим Сухумской епархией назначил

архимандрита Иоанна Маргишвили, служившего тогда в Абхазии. 11 сентября на эту должность был назначен митрополит Амвросий (док. №66). После соответствующей подготовительной работы, 7 октября 1919 г. было созвано епархиальное собрание духовенства и мирян. Оно приняло историческое решение о вступлении Цхум-Абхазской епархии в состав Грузинской церкви, что было с воодушевлением принято в Тбилиси (док. №79). В тот же день – 7 октября 1919 г. митрополитом Абхазии собрание избрало Амвросия Хелая. 28 октября 1919 г. Всегрузинский Католикосский Совет утвердил принятые на собрании решения, в том числе об избрании архиерея. А перед этим – 17-23 октября 1919 г. в Абхазии с большими почестями был принят Католикос-Патриарх Всея Грузии Леонид (док. №№ 83, 85). Как отметил митрополит Амвросий, с конца XVII в.(с начала XVIII в.) это был первый случай посещения католикоса в Абхазию (док. №83).

Необходимо подчеркнуть, что объединение Грузинской церкви произошло с полным соблюдением церковных и государственных законов и исключительно мирным путем. Был положен конец антиканонической практике деления церкви по национальному принципу (филетизм), использованию духовенства в политических целях. Часть русского духовенства (Г. Голубцов и др.), отказавшаяся признать и служить в Цхум-Абхазской епархии, продолжила антигосударственные действия, за что и была выслана из пределов Грузии (док. №94). Белогвардейцы, покровительствовавшие им, пытались вопрос о реформе управления епархией сделать

предметом обсуждения на международном уровне; этот вопрос по инициативе прорусской и пробольшевитской оппозиции 18 ноября 1919 г. рассматривался на заседании Народного Совета Абхазии. После продолжительных и острых прений, по предложению депутата И. Пашалиди, Совет признал удовлетворительными разъяснения по этому поводу комиссара просвещения Абхазии И. Лордкипанидзе.

В сложное в экономическом и политическом отношениях время все усилия Цхум-Абхазского митрополита были направлены на сохранение и укрепление епархии – решение финансовых, кадровых, издательских и других вопросов (док. №№ 91, 100-102, 104). Однако советская агрессия и свержение Грузинской Демократической Республики в феврале-марте 1921 г. прервали процесс обновления епархии. В советизированной под антигрузинскими лозунгами Абхазии для духовенства создались невинносимые условия. Одним из первых актов новых властей Абхазии явилась атака против епархии, архиерейского дома, разрушение домово́й епископской церкви, разгром епархиальной канцелярии, уничтожение архивных документов, в том числе имеющих научное значение, оставлене митрополита Амвросия и духовенства без крыши над головой (док. №117) и т.д. Архипастырь Абхазии с терпением выносил все тяготы и лишения (док. №121). А Всевышний готовил ему более тяжелую и ответственную миссию. III церковный собор, состоявшийся в Гелати 1-5 сентября 1921 г., в связи с кончиной Католикоса-Патриарха Леонида избрал нового

Архипастыря. Им стал Цхум-Абхазский митрополит Амвросий. 14 октября 1921 г. в Мцхетском кафедральном соборе состоялась его интронизация.

И после этого он не переставал заботиться о Цхум-Абхазской епархии; уже 15 октября 1921 г. рукоположил во епископа Абхазии апхимандрита Иоанна Маргишвили (док. №111). В целях укрепления его позиции в 1922 г. в Сухуми был направлен известный миссионер, служивший в Абхазии 1899-1903 г.г., Т. Иваницкий, но на некоторое время он примкнул к т.н. обновленцам. Святейший и Блаженнейший Амвросий настоятелем Сухумского кафедрального собора пригласил уроженца Сухуми, служившего священником в Ставропольской епархии Антона Гигинеишвили. Еще в 1906 г. Сухумский епископ Кирион назначил его учителем Гудаутской школы (он окончил к тому времени Ставропольскую духовную семинарию), за что был подвергнут критике со стороны И. Восторгова (см. об этом: Святой Священномученик Кирион II и Абхазия. Тб., 2006, с. 253, 300). Впоследствии Антон Гигинеишвили стал Цхум-Абхазским митрополитом (1952-1956 г.г.).

Ситуация в Абхазии была весьма сложной. Кроме Цхум-Абхазского епископа Иоанна в Сухуми сидел епископ т.н. живой церкви, обновленец Авраам (Иванов), служивший в Сухумской епархии с 90-х годов XIX в. и находившийся в те годы (а также в 1919-1921 г.г.) в близких отношениях с Амвросием Хелая (док. №121), и представитель русской традиционной церкви еп. Павел (С. Вардосанидзе. Православная церковь Грузии в 1917-1927 г.г., с. 108). В этих условиях еп. Иоанн старался

защищать интересы Грузинской церкви, позицию Католикоса-Патриарха.

В 1925 г. Иоанна Маргишвили сменил митрополит Христофор (Цицкишвили). Сотрудничая с советской властью и находясь в оппозиции Католикосу-патриарху, он редко бывал в Цхум-Абхазской епархии, чем воспользовались местные власти и под знаменем антирелигиозной пропаганды ограбили грузинские церкви и монастыри (С. Вардосанидзе. Там же, с. 70).

Достойный духовный предводитель собственного народа Святейший и Блаженнейший Амвросий продолжал борьбу с коммунистическим режимом. В летопись Грузии навсегда вписаны его подвиги – обращение к участникам Генуэзской международной конференции (10 апреля – 19 мая 1922 г.) с призывом к цивилизованному человечеству оказать помощь грузинскому народу, ставшему жертвой советской агрессии; разоблачение на допросах и судебном процессе (март 1924 г.) антигосударственной, антинародной политики советской власти в Грузии, обвинение России и руководителей республики в свержении грузинского независимого государства, разделе его территорий, дискриминации грузинского языка, разгроме церкви (док. №№ 115, 117). Он не только разоблачал коммунистов, но даже готов был с оружием в руках сражаться против большевиков в рядах повстанцев Какуца Чолокашвили (Г. Шарадзе. История эмигрантской журналистики, т. IV. Тб., 2003, с. 547-548. На груз. яз.).

19 марта 1924 г. советский суд приговорил католикоса-патриарха к лишению свободы на 7 лет и 9 месяцев, но через год был освобожден по амнистии.

бюрократического коллегиума<sup>63</sup>, получит свободно избранного канонического главу и вырвется из крепких оков бюрократии, то у нея не будет уже ни охоты, ни расчета держать под своей зависимостью, в рабстве свою старейшую сестру – церковь грузинскую, свидетельницу православия ея самой. В противном же случае, т. е. в случае предположения о том, что и свободная русская церковь не возвысится до мысли об освобождении от ея зависимости грузинской церкви, нужно будет поставить крест сначала над русскою церковью, а потом уже над грузинскою, - «рабовладелица», как не дорожащая Христовой свободой и недостойная этой свободы, погибает вместе со своей «рабой». Но мы не малодушествуем, мы твердо верим, что идеже Дух Господень (а где и быть Ему, как не в церкви Божией), **тут и свобода**, мы твердо верим, что свободная русская церковь с любовью и радостью отпустит на свободу столетнюю пленницу свою, пленницу не по ея вине, церковь грузинскую, разъединится с нею мирно и полюбовно **телесне**, чтобы при этом разъединении блюсти дрожащее в христианстве, - **единение духа и союз мира**. И если это случится не сегодня-завтра, то сокрушаться об этом и отчаиваться не следует: от неуместной поспешности дело скорее может испортить, чем довести до желанного конца, а от продолжительной, вдумчивой и усердной работы и только под этим условием дело можно сделать и прочнее и лучше.

К такому же заключению приводит нас и данное вопросу об автокефалии Грузинской церкви направление: Высочайшим соизволением Государя-

Императора, 11 августа сего года последовавшим, «вопрос об автокефалии Грузинской церкви передан на обсуждение предстоящего Всероссийского собора». Не сомневаясь нисколько, что предстоящий Всероссийский собор, сам по себе неправоспособен разрешить переданное на его «обсуждение» дела, мы тем не менее боимся, что, ссылаясь на высочайшее соизволение, многие из епископов русской церкви (единственные члены собора с решающим голосом) признают себя правомощными произнесет об автокефалии Грузинской церкви окончательное (и конечно отрицательное) суждение и через то создадут конфликт уже между церквями грузинского и русского. Поэтому, оставаясь на почве наличной действительности и считаясь с законом соотношения сил, мы должны приложить все усилия к тому, чтобы Всероссийский собор не вошел в разрешения переданного на его «обсуждение» вопроса и не поставил грузинскую церковь в условия, еще более худшие, чем синодально-эксаршеский режим. Такие песимистические ожидания наши основываются вот на чем. В России нас или вовсе не знают или знают очень плохо: все то, что печатается в официальных отчетах г. обер-прокурора Св. Синода и в большинстве газет, наводит на мысль, что христианство если не насаждено в Грузии эксархами, то во всяком случае сохранено и стережено именно ими и их наперсниками, и что в настоящее время даже духовенство Грузии (не исключая и епископов) настолько мало проникнуто духом христианства, что открыто «стоит во главе возстания» мерешашагося в

«неблагодарной Грузии» лицам «с образованием», хоть и не «вахмистра», но безусловно «с душой погромщика»... К сожалению, в незнании нашей церкви, нашего народа повинны не только люди заурядные и не видевшие нашей страны, но и такой видный и образованный архиерей, как преосвященный Стефан Могилевский, проживший среди нас несколько лет<sup>64</sup>. По словам преосвященного Стефана, **«сепаративныя стремления** грузинскаго племени к церковному обособлению донныне чрезвычайно сильны». Если уже знакомый с нами один из просвещеннейших архиереев русских так плохо понимает стремления грузинскаго племени к сохранению культурно-национальных своих черт и к национальному самоопределению, то что в праве требовать мы от большинства архиереев русских и будущих членов Всероссийскаго собора, знающих нас со слов «Московских Ведомостей», «Новаго Времени», «Колокола», «Голоса Кавказа», «Летописи русскаго патриотическаго общества» и подобных им изданий!!...

В виду же того, что предстоящий Всероссийский собор так или иначе будет служить выразителем голоса всей русской церкви, войти в конфликт с которой грузинской церкви нет никакого расчета (это значило бы войти в конфликт с русским народом, чего так страстно желают авторы отныне знаменитой и знаменательной докладной записки Св. Синоду – политиканствующие начальники Тифлисских духовно-учебных заведений и некоторые русские законоучителя и священники епархии)<sup>65</sup>, то мы в интересах блага грузинской церкви должны показать русской церкви в лице собора, что

грузины не сепаратисты и не шовинисты, и что стремления грузин направлены к созданию таких условий жизни церкви, при которых наилучшим образом должно быть достигнуто исполнение заповеди Спасителя: Будьте совершенны... и. поэтому, если русская церковь поможет грузинской создать именно такие условия, мы готовы возстановление грузинской церкви в автокефальных ея правах отложить до поры до времени, и доказать тем воочию русской церкви, а не «перелетным» искателям теплых мест, чинов и орденов на Кавказе, что домогаясь возстановления своей автокфалии, грузинская церковь имеет в виду изыскать наилучший способ насаждения и развития Царствия Божия на земле и больше ничего.

Исходя из вышеизложенного и желая нелицемерно , чтобы: 1) от грузинской церкви не осталось одно лишь наименование, 2) разрывом внешней связи с русскою церковью не посеять раздора между братскими народами – русским и грузинским, 3) снять с грузинского духовенства обвинения в сепаратизме и шовинизме и 4) избежать гибельного для церкви филетизма, мы полагаем: не вводя предстоящий Всероссийский собор в искушение произнесет окончательное слово по вопросу о возстановлении грузинской церкви в автокефальных ея правах, и, отдавая при настоящем положении дела предпочтение тактике выжидательной, - вопрос об автокефалии грузинской церкви оставить открытым до более благоприятного времени, а на этот раз постараться добиться от Всероссийского собора:

1. Образования на территории древнегрузинского каталикосата пяти епархий:

а) Абхазо-Мингрельский (Сухумский округ, уезды Сенакский, Зугдидский), б) Имеретино-Гурийско-Сванетский (область Батумский, уезды Озургетский, Кутайсский, Шорапанский, Ланчхутский и Рачинский), в) Карталино-Ахалцихский (уезды Горийский, Ахалцихский, Ахалкалакский, -кафедра в Гори), г) Кахетино-Закатальский (уезды Телавский, Сигнагский, Тианетский и Закатальский округ – кафедра в Телаве) и Мцхето-Тифлиссский (уезды Тифлиссский, Душетский и Борчалисский<sup>2</sup>);

2) образования из этих епархий особого митрополичаго округа с правом окончательного решения дел учебно-судебно-административных;

3) ограничения контроля Всероссийскаго собора или синода над законодательною деятельностью округа лишь до определения степени ея соответствия или несоответствия обще-церковным каноническим нормам;

4) права применять в пределах округа лишь те определения Всероссийскаго собора или синода, кой признает, ввиду местных условий, целесообразными окружной собор или митрополичий синод.

5) применения к округу в одинаковых с русской церковью степенях начал: соборности, выборнаго, участия мирян в церковном управлении и устранения

---

<sup>2</sup> Паству Бакино-Елисаветопольскую и Карско-Эриванскую, как присоединенную к Грузинскому экзархату внешним только образом, нужно будет выделить в особую епархию (или епархии) с непосредственным подчинением Св. Синоду.



вмешательства гражданской власти во внутренние дела церкви;

6) обеспечения материально грузинского духовенства на одинаковых с российским духовенством условиях;

7) предоставления Мцхета-Тифлисскому митрополиту<sup>3</sup> места по чести среди митрополитов русских по старшинству священства.

ცხოვ, გ. 1458, სწ. 1, ს. 174, გ. 25-26.

---

<sup>3</sup> При всем этом мы настойчиво подчеркиваем, вопроса о национальности первоиерарха Грузинской церкви не выдвигать, так как при выборном начале необходимо избрать достойнейшего, - независимо от того, будет ли он по происхождению русский, грузин, грек или осетин<sup>66</sup>.

**№30. არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას  
წერილი ცხუმის ეპისკოპოს კირიონისადმი  
თავად ემუხვარის შუამდგომლობის  
დაკმაყოფილების თხოვნით**

1906 წ. 21 აგვისტო

ყ~დ სამღვდლო მწყემსმთავარო!

ამ წერილის მომრთმევი თავადი ემუხვარი ძალიან პატიოსანი და პატივცემული კაცია. ის შუამდგომლობს ერთი ჩემი ნაშეგირდალი იორდანე სერგინავასთვის, რომელმაც ეგზამენი უნდა დაიჭიროს და შემდეგ, თუ ღირსი აღმოჩნდება მღვდლობის ადგილის, მღვდლობის ღირსი გახადოთ, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება<sup>67</sup>. იმედია, ამ დიდად პატივცემულ და სასარგებლო კაცის შუამდგომლობას არ დააგდებთ უყურადღებოთ და აუსრულებთ თხოვნას.

მოგიკითხავთ და გისურვებთ გამარჯვებას.

თქვენი მეუფების ერთგული

**არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია**

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
კირიონის ფონდი, ს. 1321.

№31. არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას  
წერილი ცხუმის ეპისკოპოს კირიონისადმი  
იონა ცხაკაიას მღვდლად დანიშვნის  
თხოვნით<sup>68</sup>

1906 წ. 25 აგვისტო

ყნდ უსამღვდელოესო მწყემსმთავარო!

კვალად და კვალად გაწუხებთ თხოვნით, მაგრამ დარწმუნებული ვარ არ გეწყინებათ და არც ასრულებას დაიზარებთ, თუ ეს სათხოვარი შეეხება გაჭირებული და დაჩაგრულის შეწევნას.

ამის მომტანი იონა ცხაკაია აგერ ათი წელიწადია მასწავლებლობს, პირადად დაახლოებით ვიცნობ და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ნამდვილი სასარგებლო, კარგის მიმართულების არის. ამას არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენისათვის ბრძოლაში სამურზაყანოში. ამნაირი მიმართულებისათვის თქვენი წინა მოადგილეებისაგან (წინამორბედებისაგან — ჯ. გ.) დევნილი იყო და თუმცა ბევრჯელ აღძრულა შვამდგომლობა ბლალოჩინისაგან მის კურთხევის თაობაზედ, ეგზამენიც მოსთხოვეს და რიგიანათაც დაიჭირა, მას მღვდლობის ადგილს არ აძლევდნენ და მხოლოდ «иметь в виду»-თი ასაზრდოებდნენ. ამ კანდიდატის ღირსებაზე პირადად შეუძლია მოგახსენოს მ(ამა) ბესარიონ კაპანაძემ და ბლალოჩინმაც. ახლა გაწუხებთ და გთხოვთ მიაქციოთ მას ყურადღება. თუ შეიძლება მიეცით ბარლებში მღვდლობის ადგილი. აქ ბარლებში აუშენებიათ მეორე ეკლესია, რადგან

შტატის ეკლესია ერთი ნაწილისათვის შორია, და აღუძრავთ შვამდგომლობა ცალკე მღვდლის დანიშვნაზე. ეს საქმე თქვენს კანცელარიაშია და მოითხოვეთ და თუ შესაძლებელი იყოს (ჩემის აზრით კი საჭიროა ამ დროს მიექცეს ყურადღება ხალხის თხოვნას), მიეცით იქ მღვდლობა ამ კანდიდატს. მე დარწმუნებული ვარ, ამნაირ კანდიდატს სასულიერო სასწავლებლის კურს დამთავრებულთაგან ძნელათ შეხვდებით. მეტადრე ის არის საინტერესო, რომ ნამდვილი ჩვენებური იდეებით არის გამსჭვალული და ამ ასპარეზზე მოღვაწეობს.

თუ ეს არ მოხერხდეს, გთხოვთ მას არ მოაკლოთ ყურადღება და პირველი ვაკანსია მას არ ააცილოთ.

თქვენი ყ~დ უსამღვდელოესობის ერთგული ამბროსი — არხიმ(ანდრიტი).

P. S. გისურვებთ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, თქვენს მოღვაწეობას კი სრულ გამარჯვებას

ამბროსი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
კირონის ფონდი, ს. 1324.

**№32. არქიმანდრიტ ამბროსის  
გამოსათხოვარი სიტყვა აფხაზეთის ყოფილი  
ეპისკოპოსის – ალექსანდრეს (ოქროპირიძე)  
დაკრძალვაზე**

1907 წ. 16 ნოემბერი

“ეგრეთ ჰბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა” (მათეს სახ. თ. 5, 16)

ესეც კიდევ ერთი მსხვერპლი ამ მოკლე დროში. გაუმაძღარ და შეუბრალებელ სიკვდილმა საქართველოს მოსტაცა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. თუმცა კაცი ღვთისაგან დაწესებულ კანონს ვერ გადაუვა და ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ კიდევაც გადააცილა თავის ხანგრძლივ სიცოცხლით იმ ზომას, რომელიც დადებულია რჩეულთათვის (ფსალმ. 89,10), მაგრამ ამ ნაირ ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანთა მიცვალებას კაცის გული მაინც ვერ ურიგდება, მას უნდა ყოველთვის ჰყავდეს იგი სამშობლო მხარის ნუგეშად.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს თავდადებული მოღვაწეობა მშობლიურ ეკლესიის და სამშობლო მხარის აღორძინებისათვის უდიდესი მისაბაძი მაგალითია ჩვენ ქართველთათვის, მისი სხივოსანი სათნოებანი სახე მუდმივი საუკეთესო გზის მაჩვენებელია.

“ეგრეთ ბრწყინავდიან ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა”-ო, გვიბრძანებს ქრისტეს წმიდა მოძღვრება და გვითითებს ამ ღირსეულ ცხედარზე, — განსვენებულის ხანგრძლივ, სათნოებიან და სახელოვან მოღვაწეობაზე.

რომელი ერთი განსვენებულის სათნოებით სავსე ხანგრძლივ, ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრების

მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება?! ჩვენ არ ძალგვიძს ამ მოკლე სიტყვაში სავსებით დავახასიათოთ მისი ღირსაღსანიშნავი ცხოვრების ყველა მხარეები, ამისათვის საჭიროა მეტი დრო და მეტი ნიჭი და მჭევრმეტყველება.

განსვენებულმა ყოვლად სამღვდელომ გვასწავლა ჩვენ, რამდენათ შეიძლება ამ უკუღმართ დროშიაც ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანენი, — ქრისტიანული იდეალების მატარებელნი, როგორც მატარებელი ჭემმარიტი ქრისტიანული სიყვარულისა, — იმ სიყვარულისა, რომელიც ყველას ერთ რიგათ უნდა ეფინებოდეს, — არ არჩევდეს ახლობელს არა ახლობელისაგან, — რომელიც უნდა ავიწყებინებდეს პირად ინტერესებს და აბედვინებდეს სიცოცხლის შეწირვას მოყვასისათვის, — როგორც მატარებელი ამნაირი სიყვარულისა, ის თავის ცხოვრებით გვიმტკიცებს, რომ ეს ქრისტესაგან მის მიმდევართათვის დახატული იდეალი ამ ქვეყნად შესაძლებელია განხორციელდეს. ჯერ ისევ სტუდენტობის დროს, როდესაც ყაზანის მხარეში ხოლერა მძვინვარებდა, განსვენებული უშიშრად და თავგანწირულად ემსახურებოდა ამ საშინელი სენით შეპყრობილთ განურჩევლად მათი ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა, მისი თავგანწირულობა მოძმეთათვის, მისი მოურიდებლობა ამ საშინელი და მეტადრე მაშინ თავზარდამცემ სენისა აცვიფრებდა ყველას, რაც ხაზგასმით აღნიშნულია თვით ყაზანის აკადემიის ისტორიაში. ეს ერთი ფაქტიც მშვენიერად ახასიათებს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ქრისტიანულს ცხოვრებას. ასეთივე დარჩა განსვენებული უკანასკნელ

წუთამდის. ის თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ამ ქვეყნად მრავალფერად ასრულებდა ამ დიად მცნებას, — მცნებას მოძმეთა სიყვარულისას.

მისი ქველმოქმედება, მისგან აღდგენილნი ქართველთა კულტურის მაჩვენებელი ნაშთები, მისგან გამოცემული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ჩვენ წინაპართა ნაწარმოებნი, მისის საფასით აღდგენილნი, მშობლიური გალობა, მისი შრომა და სიქველე მამულის შვილთა აღზრდაში, — ბერობის აღდგენა-გამლიერებისათვის ზრუნვაში და მრავალი სხვა მისი ამნაირი ღვაწლი ყველასაგან ცნობილია. მისი ღრმა სარწმუნოება ცხოვრებაში განხორციელებული, სიყვარული სამშობლო ქვეყნისა თვით მისი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მჭიდროდ შეკავშირებული, — მისი პირუთვნელობა, უშიშრობა ამ სოფლის უფალთა და ძლიერთა მხილებაში და მრავალი სხვა მისი სათნოებანი სულის თვისებანი ხდიდა მას ნამდვილ წარმომდგენელად იმ ძველი ჩვენი წმ. მამათა, რომელთა მრავალმხრივმა ღვაწლმა დაიცვა ჩვენი სარწმუნოება, ენა და ეროვნება მოზვავებულ-აუარებელი მტერთაგან. ყველა ამაებზე უკვე ბევრი თქმულა და დაწერილა და მეც აქ არას ვიტყვი.

ვიტყვი ორიოდ სიტყვას მხოლოდ იმაზე, რაც აქ არ თქმულა, — განსვენებულის მოციქულებრივ მოღვაწეობაზე აფხაზეთში. ღმერთმა პირველ ხანებში მას არგუნა სამსახური და მოღვაწეობა ამ საქართველოს განაპირა მხარეში ჯერ როგორც აფხაზთა შვილების აღმზრდელს, შემდეგ როგორც მისიონერ-მქადაგებელს და ბოლოს როგორც მწყემსთ-მთავარს. ის მუდამ თავგანწირულათ ემსახურებოდა აფხაზთა მოქცევის

საქმეს, — არ ზოგავდა საკუთარ საშვალელებს შკოლათ დაარსებისათვის, — თავის ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ (იხ. დოკ. №2 და კომენტ. 5 – ჯ. გ.), — მედგრად იცავდა სამღვდელოების და სამწყსოს ინტერესებს, უხვად ეწეოდა ქვრივ-ობოლთა, მის და სამწყსოს შორის არსებობდა მამამშვილური კავშირი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულზე. მას არ უყვარდა მდიდრული ცხოვრება, სცხოვრობდა თითქმის ეგრეთვე სადათ, როგორც ერთი უკანასკნელი ღარიბი მის სამწყსოთაგანი. ეს სადა ცხოვრება, ეს ხალხთან სიახლოვე ხდიდა მას ნამდვილ ძველ მშობლიურ ეკლესიის მწყემსთ-მთავართა მსგავსად.

მოვიყვან ერთს მაგალითს იმისას, თუ რანაირი გავლენა ჰქონდა განსვენებულის ამნაირ ცხოვრებას ხალხზედ, რანაირი უზომო ნდობა ჰქონდა დამსახურებული თვით მაჰმადიან აფხაზთა შორის. 1866 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ აფხაზების უმრავლესობა იძულებული გახდა გადასახლებ-ულიყო ოსმალეთში.

ამ უბედურ დროს, როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტიანის სახელის მატარებელი საზიზდარი იყო, მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდნენ.

აი, ამ ხანებში მწყემსთ-მთავართან შემოდის ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავისის თორმეტი წლის შვილით. როდესაც ყოვლად სამღვდელომ ჩვეულებრივი ალერსიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსვლის მიზეზი, უკანასკნელმა



მოახსენა შემდეგი: “შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო შენთან, მეტი არა გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი”-ო.

თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს, რომელიც განსვენებულის მეოხებითა და საფასით აღიზარდა და მღვდელობაში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში.

ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია. ამნაირ განწყობილობას სამწყსოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა. იწყეს აფხაზთა ქრისტიანობის მიღება, რომელიც კიდევ დამთავრდა თითქმის 80-იან წლებში ნეტარ ხსენებული აფხაზეთის მეორე მოციქულის (ეპ. გაბრიელის – ჯ. გ.) დროს. ამის შემდეგ განვლო საკმარისმა დრომ, ქრისტიანული საქმე პროგრესულად დენის ნაცვლად რეგრესიულად მიმდინარეობს. უკანასკნელი ცნობებით, რამდენიმე სოფელმა უკვე უარყო ქრისტიანობა. მიზეზი ცხადია: არ არიან ალექსანდრე-გაბრიელისებრი მოციქულნი.

ნეტარხსენებულო მწყემსო-მთავარო, სხვა შენი მრავალ მხრივ ღვაწლთან ერთად ამასაც არ დაივიწყებს ქართველი ერი, აფხაზეთის ქრისტიანი ნაწილი და იქაური სამღვდელოება.

განისვენე, ქართველთა მამაო და კეთილო მწყემსთმთავარო, ზეგარდმო მადლით ცხებულო მოღვაწევ, აღმაშენებლად წოდებულო<sup>69</sup>, — განისვენე ამ შენგან განახლებულ-გამშვენებულ ტაძარში. ეს წმ. ტაძარი იქნება საუკუნო შენგანვე შემნილი ნივთიერი ძეგლი შენს საფლავზე და ყოველ ქართველის გულში კი გედგმება სამუდამო უხილავი ძეგლი.

ილოცე, ჩვენო ახალო ღვთის წინაშე შუამდგომელო, — ილოცე სხვა ჩვენ წმ. მამებთან ერთად სამშობლო მხარის ქრისტიანულად და კულტურულად აღყვავებისათვის. ამინ.

**არქიმანდრიტი ამბროსი**

სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შევსებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. გვ. 9-13 (თბ., 1908 ?).

**№33. Послужной список настоятеля  
Старорусского Спасо-Преображенского  
монастыря архимандрита Амвросия  
за 1915 год.**

1915 год

— Должность духовная, степень и имя.

Настоятель Старорусского Спасо-  
Преображенского монастыря архимандрит Амвросий.

— **Каких лет.**

55.

— **Где и чему обучался.**

Кандидат Богословия Казанской Духовной Академии.

— **Из какого звания, как в мире именовался, холост или вдов, когда пострижен в монашество и где.**

Из духовного звания, сын священника, в мире именовался Виссарион Хелая, вдов, пострижен в монашество 11 февраля 1899 года в церкви Казанской Духовной Академии (док. №18 – Дж. Г.).

— **Какия проходил и проходит послушания, когда рукоположен в священнослужители, не совершил ли особенных каких-либо по службе деяний и чем был награжден. Годы, месяцы и числа.**

По окончании полного курса наук в Тифлисской духовной семинарии с званием студента в 1885 г. Преосвященным Геннадием, епископом Сухумским 25 марта 1887 г. рукоположен в диакона к Сухумскому кафедральному собору. 1887 г., 25 марта.

Рукоположен во священника к Михаила Архангельской церкви посада Сочи. 1887г., 19 апреля.

Награжден набедренником. 1891г. 24 сентября.

Перемешен в г. Сухум к кафедральному собору. 1892 г., 29 сентября.

Назначен действительным членом и казначеем епархиальной церковно-археологической комиссии. 1892 г., 11 октября.

Назначен благочинным 1-го Сухумского благочинического округа. 1892 г., 20 октября.

За усердные и полезные труды по исполнению благочинческих обязанностей преосвященным Агафадором, епископом Сухумским преподано ему Божие и архипастырское благословение с внесением в формуляр. 1893 г. 10 июня (док. №24 – Дж. Г.).

Назначен членом и казначеем Сухумского епархиального попечительства о бедных духовного звания. 1893 г. 10 июня.

Назначен постоянным членом ревизионной комиссии. 1893 г., 17 июня.

Назначен ключарем Сухумского кафедрального собора. 1893 г., 17 июня,

Назначен законоучителем Сухумской горской школы. 1894 г., 26 августа (док. №24 – Дж. Г.).

Назначен членом и делопроизводителем Сухумского епархиального церковного братства и епархиального училищного совета. 1894 г., 26 августа.

Назначен наблюдателем Сухумской, Ново-Афонской и Лыхненской школ общества возстановления православного христианства на Кавказе.

Назначен членом экзаменационной комиссии для испытания кандидатов на священнические, диаконские и псаломщические места. 1895 г., 17 апреля.

Резолюцией преосвященного Арсения Сухумского от 15 мая (док. №24 – Дж. Г.) 1897 г. за №1684, согласно прошению, ввиду поступления в Казанскую Духовную Академию уволен от епархиальной службы. 1897 г., 15 ноября.

Пострижен в монашество в церкви Казанской Духовной Академии. 1899г., 11 февраля (док. №18 – Дж. Г.).

Окончил курс Казанской Духовной Академии со степенью кандидата богословия. 1901 г., июня.

Высокопросвященным Флавианом, экзархом Грузии зачислен в число братии Тифлисской Спасо-Преображнского монастыря. 1901 г., 15 октября.

Назначен временноуправляющим Спасо-Преображнского монастыря. 1901 г., 11 декабря.

Указом Святейшаго Синода назначен настоятелем Челишсского монастыря Имеретинской епархии с возведением в сан архимандрита. 1902 г., 3 марта (коммент. 51 – Дж. Г.).

Указом Св. Синода назначен смотрителем Уст-Медведицкого духовного училища. 1903 г., 6 сентября.

За усердную службу награжден всемилостивейше орденом Св. Анны 2-й степени. 1905 г., 6 мая.

Указом Св. Синода назначен членом Грузино-Имеретинской Св. Синода конторы и настоятелем Иоанно-Крестительской пустыни. 24 ноября 1905 г.

Журнальным постановлением Грузинского попечительства о бедных духовного звания, утвержденным экзархом Грузии, назначен председателем означенного попечительства. 1906 г., 3 марта.

Журнальным постановлением комитета церковного музея грузинского духовенства, утвержденном епархиальным начальством, назначен членом и товарищем председателя комитета. 1906 г., 9 мая.

Назначен членом экзаменационной комиссии, учрежденной при синодальной конторе. 1906 г., 10 сентября (док. №24 – Дж. Г.).

Указом синодальной конторы от 30 мая 1907 г. за №6831 назначен управляющим Тифлиским первоклассным Спасо-Преображенским монастырем, каковым управлял по сентябрь месяц того же года. 1907 г., 30 мая.

Назначен членом комитета по возобновлению Мцхетского Патриаршего собора. 1907 г., 29 октября.

Назначен членом цензурного комитета, учрежденного Св. Синодом при Грузино-Имеретинской синодальной конторе. 1907 г., 29 октября.

Во внимание к усердию, выразившемуся в засвидетельствовании Грузинского епархиального училищного совета в особо выдающейся деятельности по делу заведывания Хашмийскою школою и открытой им на средства монастыря школы кройки и шитья Высокопреосвященным Никоном, экзархом Грузии преподано ему Божие и архипастырское благословение с выражением архипастырской благодарности и с вручением на это особой грамоты. 1908 г., 29 февраля.

Указом Св. Синода переведен в число братии Троицкого монастыря Рязанской епархии. 1908 г., 22 декабря.

Указом Св. Синода назначен настоятелем Старорусского первоклассного Спасо-Преображенского монастыря Новгородской епархии. 1910 г., 4 февраля.

Указом Новгородской духовной консистории назначен благочинным монастырей. 1910 г., 24 декабря.

Награжден орденом Владимира 4-й степени. 1913  
г., 6 мая.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 22-26.

**№34. მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძის<sup>70</sup>  
წერილიდან თედო სახოკიასადმი —  
სოხუმში დანიშნული სამღვდელოების  
კრებისა და მასზე სავარაუდოდ ეპისკოპოს  
კირიონისა და არქიმანდრიტ ამბროსის  
დასწრების შესახებ**

1917 წლის 29 მარტი

ძმაო თედო.

მოგიკითხავ, გილოცავ თავისუფლებას...

12 აპრილს სოხუმში კრებაა დანიშნული სამღვდელოების და მთხოვეს მე აუცილებლად დავესწრო, ერისკაცებიც კიდევ იქნებიან მოწვეულნი. გთხოვ მომწერო, შენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცეთ სოხუმში და სად რა დადგენილებები გამოვიტანოთ. თუმცა მე და კოწია მაჯგანამემ<sup>71</sup> შევიძმუშავეთ რა უნდა ვქნათ, მაგრამ შენი აზრებიც კარგი იქნება, როგორც ეკლესიის სამმართველოს წევრის და სოხუმის ვითარების მცოდნე პირისა. ძალიან კარგს იზამ თუ წამოხვალ. მე აქიდან 10 აპრილს დილით უნდა წავიდე სოხუმში. შენ აქ 9 აპრილს უნდა იქნე. მანამ ამბროსიც (ხელაია – ჯ. გ.) მოვა და შეიძლება კირიონიც და რჩევას

მოგვცემენ<sup>72</sup>. პასუხს მალე ველი. თუ საჭიროა მომწერე და აღდგომის კვირას ტფილისში მივალ.

შენი ტროფიმ ჯობთაბერიძე.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
თედო სახოკიას ფონდი, ს. 1825.

**№35. კორესპონდენცია სრულიად  
საქართველოს საეკლესიო კრებაზე  
აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით  
არქიმანდრიტ ამბროსის, ეპ. კირიონისა  
და რაფიელ ჩქოტუას გამოსვლების შესახებ.**

1917 წ. 9 სექტემბერი

შემდეგ არქ. ამბროსი მინდობილობით ჰკითხულობს მისალოც დეპეშას სამურზაყანოდან გამოგზავნილს თავად მიხ. ანჩაბაძისაგან<sup>73</sup>: აფხაზეთის საზოგადოება ძმური საღმრთო მიესალმება მოძმე ერს, ულოცავს დღესასწაულს და აუწყებს აფხაზეთის საქართველოსთან შეერთებას. დეპეშაში მოკლედ აღწერულია ისტორიული დატეხი, რომელნიც აფხაზეთის საქართველოსთან ერთობლივ ცხოვრებას მოწმობენ, სწორედ ის ფაქტი, რომ ბაგრატ III, მეფე აფხაზეთა და ქართველთა, დასაფლავებულია ბედიის მონასტერში, მაჩვენებელია იმ სულიერი კავშირისა, რომელიც არსებობს აფხაზეთსა და საქართველოს შორის. შემდეგ დეპეშა იგონებს ვოსტორგოვის ხანას,



აღფიოროვ-გოლუბცოვის მოღვაწეობას და დასძენს, რომ კრება არ წინააღმდეგეს აბხაზეთის სურვილს საქართველოსთან ეკლესიურად შეერთებაზედ.

დეპეშის შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი არკვევს ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას და კითხულობს ისტორიული ხასიათის რეფერატს. პროკოფი კესარიელის, ნეანდერის, პაისი და დოსითეოზ პატრიარქების სიტყვებით ამტკიცებს — რამდენად ძლიერი ყოფილა ძველად სარწმუნოება ლაზისტანში და ეხლანდელ აბხაზეთში.

**ეპ. კირონი.** მ. ამბროსის მოხსენებაში აბხაზეთის საკითხი ცოტა ვერ იყო გაშუქებული, არ იყო გაშუქებული, არ იყო მოხსენებული ის ვერაგი პოლიტიკა, რომელსაც ძველი რუსეთის მთავრობა აფხაზეთში აწარმოებდა, რომელიც იქითკენ მიიხრებოდა, რომ აბხაზეთი საქართველოსთვის ჩამოეცალათ და ჩერნომორიის გუბერნიაზე მიეწერათ. რომ ხელი შემეცარა ასეთ ვერაგ განზრახვისათვის, მდიდარ და დამოუკიდებელ ოროილის ეპარქიიდან ღარიბ სოხუმის ეპარქიაში გადამიყვანეს და ამ დადგენილებას დავემორჩილე. აბხაზეთის შესახებ მე პეტერბურღში მაშინ დავბეჭდე წიგნაკი, სადაც ბევრი საგულისხმო ცნობა მაქვს მოხსენებული<sup>74</sup>. მათზე კი მამა ამბროსის არა უთქვამს რა.

**რაფ. ჩქოტუა**<sup>75</sup> (სამურზაყანოელი დელეგატი) მიესალმება კრებას აბხაზეთის სახელით და თანაც დიდ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ გამრუსებელ პოლიტიკის წყალობით ის მოკლებულია საშუალებას მშობლიურ ქართულ ენაზე მიესალმოს მოძმე ქართველ

ერს და მიულოცოს დღევანდელი ეროვნული დღესასწაული.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ჩხოტუა რუსულად ლაპარაკობდა, კრება კმაყოფილებით შეხვდა და ჩუმი “ვაშათი” დააჯილდოვა (წესრიგით ხმაურობა აკრძალულია).

გაზ. მეგობარი, 1917, 16 სექტემბერი.

**№36. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა  
მიტროპოლიტ ამბროსისადმი ცხუმის  
(აფხაზეთის) კათედრის აღდგენის მიზნით  
სოხუმის ეპარქიის დათვალიერების შესახებ**

1917 წ. ნოემბერი

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, ჭყონდიდელ  
მიტროპოლიტ ამბროსის

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ  
ამა წლის 2 გიორგობისთვის თავის სხდომაზე იქონია  
მსჯელობა ცხუმის (აფხაზეთის) კათედრის აღდგენის  
შესახებ.

ეს კათედრა ძველად იყო ცხუმ-ბედიის  
ეპარქიებისა (ტერიტორია ძველი ეპარქიების: დრანდის  
— იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა) —  
ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით,

კათედრა მღვდელმთავრისა იყო ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია იქვე.

ცხუმის კათედრას ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სარწმუნოებრივი-საეკლესიო კავშირი აერთებდა მრავალ საუკუნეთა გამავლობაში ქართველ ერს აფხაზებთან ძმურის კავშირით.

სამწუხაროდ, მრავალ მიზეზებისა გამო, ეს კავშირი ქართველთა და აფხაზთა შორის, ცოტა არ იყოს, შესუსტდა.

საკათალიკოზო საბჭოს აზრით, საქართველოს ეკლესიის აღდგენა და მომავალი უეჭველი აღორძინება მისი თავდება, რომ შესაძლებელი უნდა იყოს კვლავ გაძლიერება ქართველთა და აფხაზთა შორის ძმური კავშირისა და სარწმუნოებრივ-საეკლესიო ერთობისა.

ვინაიდან დღეს აფხაზეთი არის მიწერილი ჭყონდიდის ეპარქიაზე, საკათალიკოზო საბჭო მოგმართავთ თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას და გთხოვთ მიმოვლოთ ეს მხარე (აფხაზეთის) და გააცნოთ ადგილობრივნი მკვიდრნი თუ რაოდენად მოუცილებელი საჭიროება არის, როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზთათვის განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს.

შედეგი თქვენის მოგზაურობისა და მეცადინეობისა კეთილ ინებეთ აცნობოთ საკათალიკოზო საბჭოს.

საკათალიკოზო საბჭოს წევრი –  
(ხელმოწერილია).

კანცელარიის გამგე.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 5-5<sup>ა</sup>.

**№37. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ  
უწმინდეს და უნეტარეს კირიონ  
მეორისა და მიტროპოლიტ ამბროსისათვის  
წარდგენილი სამურზაყანოს სამღვდელოების  
კრების ოქმი ჭყონდიდის ეპარქიის  
შემადგენლობაში დროებით გაერთიანების  
შესახებ**

1917წ. 12 დეკემბერი

1917 წელსა დეკემბრის 12 დღესა. ამ რიცხვს შედგა დაბა გაღში სამურზაყანოს ნაწილის და სოფელ ილორის, სამღვდელოების და სამრევლოთა წარმომადგენლების შეერთებული კრება. თავმჯდომარედ იქმნა ამორჩეული მღვდელი სამსონი სვანიძე, ხოლო მდივნად მღვდელი ბათლომე ხარებავა, ამის შემდეგ კრება შეუდგა დღევანდელი მომენტის მიერ გამოწვეული სხვადასხვა საკითხების გარჩევას, საკითხების, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას. ვინაიდან სამურზაყანო შესულია საქართველოს საკათოლიკოსოში კრებამ ერთხმად დაადგინა:

1) სანამდე გამოირკვევოდეს, სამურზაყანო-აფხაზთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება ეკლესიური ცხოვრების მხრივ, დროებით მიეკედლოს ჭყონდიდელის სამიტროპოლიტოს და დღეის

რიცხვიდან მოსკოს ყოველივე დამოკიდებულობა სოხუმის ეპისკოპოზი სერგი და მისი კანცელარიასთან.

2) კრებამ დაადგინა დაარსდეს სამურზაყანოში სამი საეკლესიო საოლქო საბჭო: ა) დ. გაღში, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) პირველი და მეორე გაღი, ბ) ხუმუშქური, გ) რეჩხი, დ) პაპიჩონი, ე) რეფი, ვ) შეშელეთი, ზ) ბარდები, თ) ქვემო ბარდები, ი) ნაბაკევი, ი) თავილონი პირველი და მეორე, იბ) ოტობაია პირველი და მეორე, იგ) ნაჭკადუ და ივ) ზემო ცხირი; ბ) დ. აჩიგვარში, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) ილორი, ბ) ბედია პირველი და მეორე, დ) სანავარდო, ვ) მუხური, ზ) წარჩე, ც) გუდავა პირველი და მეორე, ი) ოქუმი, ია) ღუმურიში და იბ) ჩხორთოლი; გ) ს. ჭუბურხინჯი, სადაც შედის შემდეგი მრევლები: ა) ფახულანი, ბ) საბერიო პირველი, მეორე და მესამე, ე) დიხაზურგა, ვ) ჭუბურხინჯი პირველი და მეორე და ზ) ცხირი.

3) დაარსდეს ყოველივე ეკლესიასთან სამრევლო საბჭო.

4) საოლქო საბჭოსი მწევრებად ამოირჩეს დ. გაღში მღვდელნი სამსონი სვანიძე, ალექსანდრე რურუა და აბელი ჩეხერია, მთავარი დიაკონი ნიკანდრე ანჯაფარიძე, მედავითნე დიმიტრი კაკუბავა და აქესენტი ჭანტურია, ხოლო ერის კაცთაგან ზოსიმე ქეცბაია და სოსრანი ქორქია. დ. აჩიგვარაში მღვდელნი კონსტანტინე მაჯგანაძე, ბათლომე ხარეზავა და ხარიტონი შელია, მედავითნენი ანტონი შარანგია, ალექსანდრე ხოჭავა და კონსტანტინე გეგეჭკორი, ხოლო ერის კაცისაგან მიხა თარბაია, დედორე გვილავა და ნიკო ბენია.

ს. ჭუბურხინჯში – მღვდელნი ნიკოლოზი ჭედია, აქვსენტი რურუა და სამსონი მაჯგანაძე, დიაკონი ეგნატე შონია, მედავითნე მელიტონი ანჯაფარიძე, ერის კაცთაგან – გიორგი ჯახია და კოსტა პატარაია და 5) ოქმის დედანი დარჩეს დ. გალში, ხოლო ასლი გაეგზავნოს კატოლიკოსი პატრიარხი კირიონი მეორეს და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროს<sup>76</sup>. თავმჯდომარე მღვდელი სამსონ სვანიძე. მდივანი მღვდელი ბათლომე ხარებავა<sup>77</sup>.

დედანთან სწორია: მდივანი გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიისა – ხელმოწერა.

მდივნის თანაშემწე.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 3-3ა.

**№38. გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს მიმართვა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსადმი აფხაზეთის ქართული სამრევლოების ჭყონდიდის მიტროპოლიტის დროებით დაქვემდებარებაში გადასვლის თაობაზე ეპისკოპოს სერგის<sup>78</sup> მიერ გამოცხადების აუცილებლობის შესახებ**

1918 წ. 23 იანვარი

თანახმად თვისი დადგენილებისა, 16 ამა თვიდან №2-თა, გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო სთხოვს საკათალიკოსო საბჭოს მიმართოს წინადადებით სოხუმის ეპისკოპოსს, რათა

უკანასკნელმა თავის მხრით გამოუცხადოს მის ეპარქიაში მყოფ ქართულ მრევლს, რომ ისინი შეერთებულნი არიან საქართველოს ეკლესიასთან, ხოლო ეპარქიალური მართვა-გამგეობის მხრით დროებით ექვემდებარებიან ჭყონდიდელ მიტროპოლიტს.

საბჭოს წევრი დეკანოზი კ. ჭანტურია.

მდივანი ხელმოწერა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 2.

**№39. Письмо Всегрузинского Католикоского  
совета епископу Сухумскому Сергию о  
включении грузинских причт Абхазии  
в состав Чкондидской епархии**

21 февраля 1918 г.

Сим доводится до сведения Вашего преосвященства, что по постановлению Католикоского совета (журнал заседания № ) все грузинские причты вверенной Вашему преосвященству Сухумской епархии, Абхазии и Самурзакани включаются в состав Чкондидской Гурийско-Мингрельской епархии.

Совет Каталикосата просит Ваше преосвященство сделать подлежащее распоряжение, чтобы вышеуказанные причты епархии вашего преосвященства впред по всем делам сносились с своим непосредственным архипастырем

Высокопреосвященнейшим Амвросием, митрополитом Чкондидским.

Член совета католикосата.

Управляющий канцелярией.

За секретаря подпись.

საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 468, ფ. 3.

**№40. Обращение Всегрузинского  
Католикосского совета председателю  
Абхазского национального совета Варламу  
Шервашидзе (копия городскому голове)  
с просьбой об оказании содействия  
митрополиту Амвросию**

23 августа 1918 г.

Приглашенному для богослужения по Георгию Шервашидзе<sup>79</sup> митрополиту Амвросию Католикосский совет просит оказать содействие (см. док. №№ 41-46 – Дж. Г.).

Председатель совета.

საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 689, ფ. 7.

**№41. Обращение Всегрузинского  
Католикосского совета к генерал-губернатору  
Абхазии Г. Мазнишвили о содействии  
митрополиту Амвросию**



23 ავგუსტა 1918 გ.

Грузины и абхазцы – сухумцы на панихиду по Георгию Шервашидзе пригласили митрополита Амвросия. Для совершения богослужения требуется храм, которого нет у грузин. Католикосский совет просит Вас оказать митрополиту содействие во всем, особенно устройении служения каком либо храме (док. №№ 40, 42-46 – Дж. Г.).

Председатель совета.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 6.

**№42. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა ქალაქ  
თბილისის სადგურის უფროსისადმი  
მიტროპოლიტ ამბროსის სოხუმში  
გამგზავრებასთან დაკავშირებით**

1918 წ. 27 აგვისტო

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო პატივისცემით გთხოვთ, მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ამბროსის, რომელიც ფოთით მიემგზავრება ქალაქ სოხუმში სამსახურისა გამო 28 მარიაშობის თვეს სადამოს 10 საათზე და 30 წ., მიეცეს მთლიანად ორადგილიანი პირველი კლასის კუპე (დოკ. №№ 40, 41, 43-46 – ჯ. გ.).

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 5.

### №43. Свидетельство

27 августа 1918 г.

Дано сие из Совета Католикосата своему присутствующему члену, вызванному на летнюю сессию Высокопреосвященному Амвросию, митрополиту Чкондидскому, в том, что он в настоящее время по делам службы следует в г. Сухум и Совет Грузинского Католикосата просит все власти оказать ему законное содействие, что подписью и приложением печати удостоверяется (док. №№ 40-42, 44-46 – Дж. Г.).

Член Католикосского Совета,

Секретарь прот. К. Цинцадзе.

საპატრიარქოს არქივი, აღწ., 1, ს. 689, ფ. 4.

### №44. ამბროსი ხელაიას სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე

1918 წ. 1 სექტემბერი

“მადლი თქვენდა მშვიდობა ღვთისა მიერ  
მამისა და უფლისა ჩვენისა იესო  
ქრისტესა” (გალატ. 1,3)

მოციქულის ამ სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, მართლმადიდებელნო ქართველნო, წევრნო საქართველოს ეკლესიისანო! სიყვარულით მოგესალმებით.

მე დიდი ხანია ვეძებდი შემთხვევას, მენახა ამ ღვთივდაცულ ქალაქის ქართველობა, მინდოდა გამეგო აქაური მდგომარეობა, თქვენი ქრისტიანული მისწრაფებანი, თქვენი მშობლიური, აწ უკვე თავისუფალი ეკლესიის ინტერესების დაცვის სურვილი, ამ მისწრაფებისა და სურვილის სიღრმე-სიდიადის რაოდენობა. ჰქონდა სხვა საბუთიც ამ ჩემს სურვილს. სოხუმი ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია. აქ აღმეხილა მე პირველად გონების თვალი, აქ ვმსახურობდი როგორც მოძღვარი და, კიდევ თქვენშიც ვხედავ ნაცნობ პირებს, რომელთანაც მქონია სულიერი კეთილი განწყობილება. აქ გავიგე და შევიგნე ჩვენი ეკლესიის მონობაში ყოფნის აუტანლობა, მდგომარეობის სიმწვავე, — ის, რომ მორწმუნე ერი გამეფებული არაქრისტიანული რეჟიმის გამო ჩქარის ნაბიჯით მიექანებოდა გაურწმუნოების გზაზე. აქ გადაგვარება-გარუსების პოლიტიკა უკიდურესად იყო გამეფებული. აქ ჩამესახა პროტესტის გამოცხადების აუცილებლობა. აქიდან — სოხუმიდან იწყება ჩემი ეკლიანი გზით სიარული, აქ იყო დასაბამი ჩემი ტანჯვა-დევენულობა-ვაება-უბედურობისა. მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ სოხუმი იყო აგრეთვე დასაბამი ჩემის ახლანდელის შედარებით ბედნიერებისა, ვინაიდან მე ბედნიერათ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ვიხილე ის, რასაც ელტვოდნენ ბევრნი მამულისშვილნი, მაგრამ ვერ იხილეს, ე.ი. მაქვს

საშვალეზა თქვენთან ერთად გავიზიარო ბედნიერება ეკლესიურად და ეროვნულად თავისუფლებაში ყოფნისა. მაშ, ჩემთვის ყოველთვის სასიხარულო იყო და იქნება თქვენი ნახვა, თქვენთან ყოფნა, რომ დავრწმუნდე თქვენს სარწმუნოებრივად და ეროვნულად განმტკიცების გზაზე დადგომაში (ეკლესიის აშენების საქმე და თურქიას<sup>80</sup> სიტყვები).

დიახ, ჩვენი ეროვნული ეკლესია ახლა თავისუფალია, მისი ბედ-იღბალი ახლა ჩვენს ხელშია და ვისაც აინტერესებს სარწმუნოებრივი კითხვები, ვინც მის აუცილებელ საჭიროებაში დარწმუნებულია, მისი გამაგრებას ხელი უნდა შეუწყოს. ვისაც სწამს ჩვენი ეკლესიის ამაგი წარსულში, — ის, რომ მან — დედა ეკლესიამ — მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიცვა ჩვენი ეროვნება, შეგვანახვია ჩვენი ვინაობა, გვიხსნა გადაგვარება-განადგურებისაგან, — რომ მის შვილთა და მის წიაღში შექმნეს მდიდარი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, მოგვცა ის მდიდარი საგანძური ლიყერატურულ ნაწარმოებთა, რომლის მცირე ნეშტი, რაც ბარბაროს მტერთა ხელს გადაურჩა, — შენახულია ჩვენს და სხვა ქვეყნების მუზეუმებში და რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავთ უცხო ქვეყნების მეცნიერები, — ვისაც სწამს ყველა ეს და შეგნებული აქვს, უსათუოდ ისიც უნდა იწამოს, რომ ამნაირი ეკლესია პატივისაცემია, ის სამომავლოშიაც შეიძლება მოუტანოს სარგებლობა მშობლიურ ერს.

ამ ერთწელიწად ნახევრის წინ ჩვენმა ეკლესიამ მიიღო თავისუფლება, დააღწია თავი ასი წლის მონობას, აიყარა მონობის ბორკილები. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ყველამ ხელი უნდა მოვუშართოთ

ეროვნულ ეკლესიას, გავამაგროთ მისი თავისუფლება, რადგან ეს მოპოვებული თავისუფლება ჩვენ მიგვაჩნდა ეროვნულ თავისუფლების საფუძვლად, ქვაკუთხედად. აკი მართალიც გამოდგა. ამ ორი-სამი თვის წინათ ჩვენ ვედირსეთ პოლიტიკურ-ეროვნულ თავისუფლებასაც. ეკლესიის მოღვაწენი და თვით ეკლესიაც გამოდგნენ პიონერებად ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლების საქმისათვის. მაშ, ღირსია ჩვენი ეკლესია ყურადღებისა.

ჩვენი ეკლესია წააგავს ახლადგანკურნებულ ავადმყოფს, რომელსაც ფეხები იმდენათ არ გამაგრებია, რომ მას საშიშროება არ მოელოდეს დაუხმარებლად სიარულის დროს. საჭიროა მხარში ამოდგომა, დახმარება, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში სიდამბლეში მყოფი და ახლადგანკურნებულ და ფეხადგმული ეკლესიამ შეიძლოს გამოიჩინოს ის ცხოველმყოფელი ძალა და უნარი მოქმედებისა, რომლითაც ის განთქმული იყო ძველად. იოანე კესარიელი იტყვის თავის “ფიზიოლოგიაში” იმ ერთნაირ ხვლიკზე, რომელიც დაბერდება და კბილებ ჩაცვინული ხდება და მღვიმეში სძინავს. ასი წლის შემდეგ ის გამოდის მზეზე, მისი ყვითელი კანი ლურჯად აბრწყინდება, კბილები ამოუდის და ახალგაზრდავდება. საქართველოს ეკლესიაც ასი წელიწადი დამწყვდეული იყო მოუძღურებელი, მოქმედების უნარისაგან გაძარცვული, მაგრამ ახლა მას მოხვდა მზის სხივები და ისიც გადახალისდება-გაბრწყინდება. ეს მოხდება მხოლოდ ჩვენის მეოხებით და ხელშეწყობით. ამის იმედი, ვესავ უფალსა ჩემსა, ჯერ კიდევ არა გვაქვს დაკარგული.

მე ვითვლები დროებით მმართველად და მწყემსმთავრად ამ მხარეში ბინადარ ქართველებისა. რაც უფრო ადრე დაარსდება აქ განზრახული ეპარქია, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის აქაურ მკვიდრთა ქრისტიანულად და ეროვნულად განმტკიცების საქმეში. მე ამისი დიდი მომხრე ვარ და რამდენათაც შემემძლება ვეცდები შევუწყო ხელი ამ კითხვის გადაწყვეტის დაჩქარებას.

სანამ ეს მოხდებოდეს, მე ჩემის შეგნებისა და გვარად მაქვს სურვილი ვემსახურო თქვენს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას და ეროვნულ საქმის განმტკიცებას. იმედი მაქვს, ამაში ხელს შემიწყობთ. უთქვენობით, თქვენი დაუხმარებლად მე არა შემემძლება რა. ვერ მივაღწევ იმას, რომ ჩემ მოღვაწეობამ გამოიღოს სასურველი ნაყოფი. რაში უნდა გამოიხატოს თქვენი დახმარება? შეუძლებელს არაფერს მოგთხოვთ. თქვენგანით დიდი დახმარება იქნება ჩემთვის ქრისტიანულ მოვალეობის აღსრულება თქვენგან და ეროვნული საქმის შეგნება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ განაპირა მხარეში.

აქ საჭიროთ ვრაცხ აღვნიშნო ის, თუ რანაირათ მესმის მე ეროვნული საქმის განმტკიცება. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სხვა ერის წარმომადგენლებმა არ იფიქრონ, ვქადაგებდე იმას, რის წინააღმდეგ ვიბრძოდი ამ მხარეში გადაგვარების მოტრფიალეთაგან გამეფებულ რეჟიმის დროს. ამნაირი პოლიტიკა დაგმობილია ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებით. ეკლესიაში არ არის განსხვავება ხალხთა შორის, სისხლით შთამომავლობით სხვადასხვაობას არა

აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

თვითოეულ ხალხს აქვს უფლება შეინახოს თავისი ენა, ზნე-ჩვეულობა და ნაციონალური მიდრეკილებანი. თითოეულ ხალხმა უნდა ადიდოს ღმერთი თავის ენაზე. ამაშია მხოლოდ ეკლესიის სიმშვენიერე. თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენათ ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნულობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში.

თუ თქვენ იქნებით გამსჭვალული ქრისტიანულ ცხოვრებისადმი მიდრეკილებით, თუ თქვენში იქნება დამკვიდრებული ერთმანეთის ძმობა, ერთობა და სიყვარული, თუ თქვენს ცხოვრებაში იქნება შემღებისდაგვარად გატარებული სახარების იდეალები, მაშინ თქვენ ჩემს მაგიერათ უსიტყვოდ, მაგრამ ყოველ სიტყვაზე უფრო მკაფიოდ და ხმამაღლად, თვით ცხოვრებით, იქნებით ქრისტიანულ სწავლების მქადაგებელნი. თქვენ იქნებით ლამპარნი, მანათებელნი გარემოს კაცთა შორის იმდენათ, რომ ისინი ადიდებენ მამასა ჩვენსა ზეცათასა. სარწმუნოების საქმეში მწყემსმთავრის მისიაც, მიზანიც ამაში გამოიხატება.

ამ ოცდაორი წლის წინად ჩემი აქ მსახურობის დროს, მე განვიზორახე ხელის მოწერა ქართულ ეკლესიის ასაშენებლად თანხის შესადგენათ.

პირველმავე, რომელსაც მე მივმართე, ცივი წყალი გადაასხა ამ ჩემ წადილს და მისწრაფებას. “რა გვაქვს სამდურავი რუსებთან, რისთვის უნდა გამოვეყოთ, რათ გვინდა საკუთარი ეკლესია, ქართული წირვა-ლოცვა, რუსებმა გაგვანათლეს, ღვთის წყალობით კარგა გვესმის რუსული ენა; რუსებმა გაგვაბედნიერეს, გვიხსნეს სიღარიბისაგან, მათი წყალობით გვაქვს პატივი და სიმდიდრე, რისთვის უნდა ვაწყენინოთ მათო და უარით გამომისტუმრა. ამას ბრძანებდა ის ქართველი, რომელიც სხვაზე უფრო შეგნებულად მიმაჩნდა, რომელიც ხედავდა ჩვენს მონობას! მადლობა ღმერთს, ახლა გავიზარდეთ ეროვნულათ, თუმცა მას შემდეგაც არ გვიზრუნია საკუთარი ეკლესიის აღშენებისათვის.

ჩვენზე უფრო მცირერიცხოვან ერს აუშენებია აქ შესაფერი ეკლესია და ჩვენ კი უბრალო სამლოცველოც არა გვაქვს?! მახსოვს “პეტროგრადის უწყებებში” ერთი აქაური ბერძნის მღვდელთაგანი უსაყვედურებდა ქართულ საზოგადოებას ეკლესიისადმი გულგრილობას, იმას, რომ აქამდისაც ვერ აუშენებია საკუთარი ტაძარი, მაგრამ ის არ იხსენიებდა იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ამნაირი გულგრილობა სარწმუნოებისადმი. აი, მაგალითი იმისა, თუ რანაირად იდევენბოდა ყოველივე ქართული. ეს ტაძარი მოწამეა იმისა, რომ იმას, ვინც ახლა ამ ამბიონიდან გებაასებათ — მაშინ სობოროს მღვდელს — აღდგომა დღეს (1895 წელს — ჯ.გ.) აღუკრძალეს ქართულად სახარების წაკითხვა მაშინ, როდესაც მკვდარ ლათინთა ენაზეც იქნა წაკითხული! მის შეკითხვაზე, რა იყო ამისი მიზეზი,



მიიღო პასუხი “აქ საქართველო არ არისო” (პასუხი იხ. დოკ. №19 – ჯ. გ.). აღკრძალული იყო ქართულად სიტყვის წარმოთქმა და ან რაიმე მღვდელმოქმედების შესრულება ეკლესიის გარეთაც. ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ ტაძარში ოდესმე გაისმოდა ქართული წირვა-ლოცვა, — რომ შესაძლებელი იქნებოდა აქ ქართველ მღვდელმთავრის შემოსვლა, მაგრამ ეს ახლა სინამდვილეა. დრონი იცვალნენ.

როდესაც ვხედავ აქ ამდენ ხალხის შემოკრებას, საბუთი მეძლევა ვიფიქრო, რომ დროების გამოცვლასთან ერთად აქ ქართველობაც გამოიცვალა საუკეთესოდ, — ამის გამო იმედი მეზადება, რომ ისიც დაუბრუნდება თავის კეთილმყოფელ დედა ეკლესიას. ღმერთმა ჰქმნას.

გავათავებ იმით, რითაც დავიწყე “მადლი თქვენდა მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა”.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 9.

## **№45. მიტროპოლიტ ამბროსი ხელაიას სიტყვა გიორგი შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სალამოზე**

1918 წ. 2 სექტემბერი<sup>81</sup>

როდესაც ჩვენ ვასრულებთ ხსოვნას დაუვიწყარი გიორგი შერვაშიძისას, როდესაც გვინდა მისი სული

შევავედროთ უფალს და როდესაც წარმოვიდგენ მის ცხოვრებას, მაგონდება იოანე ღვთისმეტყველის სიტყვები: “ნეტარ არიან, რომელნი მიიცვლებიან ღვთისა მიერ” (აპოკ. 14. 13)

ამნაირ პირთათვის არ არის საშიში სიკვდილი. ის საშიში და სატირალია მხოლოდ ცოდვილთათვის. ღვთისა მიერ მიცვალბულთათვის ის არის სასურველი ბოლო ამქვეყნიური ტანჯვისა, ღმერთი მათ ჰპირდება ტანჯვისაგან მოსვენებას, ის გვეუბნება, რომ “სიკვდილი კაცთათვის მოსვენებააო”?! (აპოკ.14. 13 — ჯ.გ.) საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ამქვეყნად მხოლოდ ტანჯვაა და თუ ამ ცხოვრებაში ვხედავთ რაიმე ბედნიერებას, მხოლოდ იმდენად, რამდენად ის უკავშირდება მომავალ გარდაუვალ ცხოვრებას, მისკენ მივყავართ.

ძველი ფილოსოფოსი პლატონი ერთ თავის თხზულებათაგანში (ფედონში) მოგვითხრობს ერთ სცენას უდიდესი ფილოსოფოსის სოკრატის ცხოვრებიდან. სოკრატი გაანთავისუფლეს საპყრობილიდან მხოლოდ იმისათვის, რომ მოემზადოს სიკვდილისათვის რამდენიმე წამით სიკვდილის წინეთ. ის ზის თავის სარეცელზე, მას შემოხვევიან თვალცრემლიანი მისნი მოწაფენი, მაგრამ ის აუშფოთველად ხელს უსვამს რკინის ბორკილებისაგან დასივებულ ფეხებს, არ უსაყვედურებს თავის ბედს, მსაჯულებს, რომელთაც მიუსაჯეს მას სიკვდილი და სრულიად დაწყნარებულად მისცემია კეთილშობილურ აზროვნებას<sup>82</sup>.

აუხსნელია, მეგობარნო ჩემნო, ის, რასაც ადამიანი უწოდებს (ბედნიერებად) სიამოვნებად და

განსაცვიფრებელია ის, რომ ეს სიამოვნება მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან, რაც მისი წინააღმდეგია — ტანჯვასთან. ისინი ეწევიან კაცს ერთად, ერთსა და იმავე დროს, მაგრამ თუ ვინმე ეძებს ერთ მათგანს, მან უთუოდ უნდა განიცადოს მეორეც, ვითომ ისინი განუყრელნი იყვნენ და დასაბამიც ერთი ჰქონდეთ. ამქვეყნად არ არის ბედნიერება გარდუვალი ცხოვრების წარმოუდგენლად. ხშირად ბედნიერებას ვეძებთ იქ, სადაც ის არ არის, ვაღწევთ იმას, რასაც ველტვოდით, ბედნიერებათ ვსთვლიდით, მაგრამ ბედნიერება შორს გარბის ჩვენგან და ვრჩებით მოტყუებული. ის არ არის არც სიმდიდრეში, არც ადგილ-მამულებში, სასახლეებში და არც ამქვეყნიურ დიდებაში. მამ სად არის ბედნიერება? რაშია ცხოვრების აზრი? ეს ბედნიერება უნდა ვეძიოთ არა ჩვენს გარეშე, არამედ ჩვენს შინაგან არსებაში. “სასუფეველი ცათა თქვენშია” (ლუკა, 17, 21 — ჯ.გ.), — ბრძანა მაცხოვარმა. რწმენა, სულიერი კმაყოფილება, რაც ტანჯვაშიაღ შესაძლებელია, ბედნიერებაა. ეს აძლევდა სოკრატეს სულიერ სიმშვიდეს, მას სწამდა, რომ კმაყოფილებას მიიღებდა მეორე ცხოვრებაში.

ერთი ტურგენიევის თხზულების “ფაუსტის”<sup>83</sup> გმირი ამბობს, რომ ცხოვრება არ არის სიამოვნება, არამედ აუტანელი შრომა. უარყოფა და მხოლოდ უარყოფა, აი საიდუმლო მისი აზრი, ეს არის არა იმაში, რომ კაცს აუსრულდეს თავის ოცნებანი და სასიამოვნო სურვილნი, არამედ “მოვალეობის აღსრულება”. აი, რისთვის უნდა იზრუნოს კაცმა. ჩვენ ახალგაზრდობაში ვოცნებობთ თავისუფალ მოქმედებაზე, მას ეს ეპატიება, მაგრამ ცხოვრების სისასტიკემ უნდა დაგვარწმუნოს,

რომ ვინც არ ასწევს ცხოვრების მძიმე ტვირთს მოვალეობისას, ვინც არ შეზღუდავს თავის თავისუფლებას მოვალეობის შესრულების ბორკილებით, ის ვერ მიაღწევს ბედნიერებას, ვერ მიიღებს სულიერ სიამოვნებას. ერთი სიტყვით, ბედნიერება მოვალეობის აღსრულებაშიაო, - ამბობს ტურგენიევის გმირი. ჭეშმარიტებაა.

განსვენებული გიორგი შერვაშიძეს ამქვეყნად არ უნახავს რამე, გარდა ტანჯვისა და მწუხარებისა. მან დაჰკარგა დიდება, დაჰკარგა ქონება, განიცადა უკიდურესი დევნულობა და სამშობლო მხარიდან ექსორიობა. ის არც ეძებდა ამქვეყნიურ დიდებას. მან უარყო ის წარჩინება-უპირატესობანი, რომელნიც მას მიენიჭა როგორც მოწყალემა; ყველა ესენი მან უკან დაუბრუნა იმასვე, ვისგანაც ებოძა. მიუხედავად ყველა ამისა, ის მაინც ბედნიერათ გრძნობდა თავს, რადგანაც ასრულებდა მოვალეობას.

განსვენებული ემსახურებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეს. ის მართალი იყო, რადგანაც ადგა ჭეშმარიტების გზას, იმ გზას, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენ ისტორია. მართალია, ხალხის განვითარება ემორჩილება გარკვეულ კანონებს, მაგრამ სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში ეს კანონები სხვადასხვანაირად მოქმედებენ და ეს დამოკიდებულია პირობების სხვადასხვაობაზე. ხალხის ხასიათი, მისი ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი მხარისა, სადაც ხალხი სცხოვრობს, ჰავის ადგილობრივი პირობები, ნიადაგის ასეთი თუ ისეთი ნაყოფიერება და მრავალი სხვა

აძლევს თავის ხასიათს ზოგადი კანონებს ხალხის ცხოვრებაზე.

ამ კუთხეს უცხოვრია ისტორიულად, კულტურულად და სარწმუნოებრივად საქართველოსთან ერთად. ეს ისტორიული სინამდვილეა იმ დროისათვისაც, როდესაც აფხაზებს ეჭირათ მთელი სივრცე შავი ზღვის სანაპიროსი ნიკოპსიითგან — ტულაპსეს ზემოთ — სოტირიოპოლამდე (ბიჭვინთამდე — ჯ.გ.). ამ კავშირზე გვეუბნება ჩვენ იმნაირი კულტურული ნაშთების სიმრავლე, როგორიც არიან: ბიჭვინთა, ლიხინი, პსირცხა, დრანდა, მოქვი და სხვანი. ყველა ეს გვეუბნება, რომ ღრმად იყო ჩაყრილი საძირკველი კულტურულ ერთიანობისა და როგორ გინდათ ახლა გამოუცვალოთ მიმართულება ამ ცხოვრებას, მოაბრუნოთ უკან ისტორიის ჩარხი, შექქმნათ ახალი ცხოვრების გზა. ხალხს უყვარს თავისი წარსული, ის ეძებს იქ თავის იდეალებს, რადგანაც აწმყო არის შედეგი წარსულისა. ნუ იტყვით, რომ ეს დამღუპველია და ამის ნება არ უნდა მივსცეთ ხალხსაო. ეს მხოლოდ სიტყვები იქნება, რადგანას ეს ბუნებრივ-პსიხოლოგიური მოთხოვნაა ადამიანისა.

შენ გინდა დაანგრიო ძველი საუკუნოების განმავლობაში შექმნილი ტრადიციები, მაგრამ, ოჰ უგუნურებავ, შენ ანგრევ იმ საფუძველს, რომელიც გაღრმავებულია ხალხის ცხოვრებაში. წარმოვიდგინოთ, მიაღწიე საწადელს, სამაგიეროდ შენ უნდა დაიწყო ახალი საძირკველის ჩაყრა იმავე სიღრმეში, რომელშიაც იყო ძველი და ხანგრძლივი გონებრივ-სულიერი მუშაობა. ვინ მოგცა შენ ამისი უფლება და ძალა?

მგრეველო, მოიფიქრე, შეძლებ აუნაზღაურო ხალხს ის, რასაც მას ართმევ და რაც მას გაუკეთებია დიდის შრომა-ჯაფით საუკუნოების განმავლობაში? ხალხის მტერია ის, ვინც მოუფიქრებლად ამას ცდილობს. ის დაანგრევს ამ მტკიცე საძირკველს, მაგრამ შეძლებს კი ახლის ჩაყრას და თუ შეიძლებს, რამდენი შრომა, რამდენი ჯაფა, რამდენი დრო მოუნდება ამ მუშაობას? განა სასარგებლო იქნება ხალხმა შესწყვიტოს კავშირი ძველ კულტურასთან; ის ხალხი, რომელიც უარყოფს ისტორიულ გზას, რომელიც არ იხელმძღვანელებს ისტორიულის გამოცდილებით, რომელსაც არ უნდა ძველი კულტურა, სწყვეტს მასთან კავშირს, ძნელად შეიძლებს გამოვიდეს კულტურულად განვითარების გზაზე, ვერ წავა წინ ჩქარის ნაბიჯით.<sup>84</sup>

აი, განსვენებულ გიორგის კარგად ესმოდა ეს. თავის სიცოცხლე მოანდომა ამ ერთობის განმტკიცებისათვის შრომას. საჭიროა მისვლით მის ანდერძს, ძმურათ გავუწოდოთ ხელი ერთმანეთს, შევერთდეთ და შეერთებულის ძალით გამოვიდეთ ჩვენი მომავალი ბედ-იღბლის შესაქმნელად.

აქ შეიძლება დამისვით კითხვა: შენ ჰქადაგებ აფხაზ-ქართველთა საერთო ძველ კულტურის საფუძველზე შეერთებით მოქმედებაზე, მაგრამ რანაირათ უყურებს ეკლესია ამას? რანაირი უნდა იქნეს ეკლესიური ურთიერთობა ხალხთა შორის? არ დაადგება საქართველოს განთავისუფლებული ეკლესია იმ გზას, რომელსაც ადგა ის ეკლესია, რომელიც გაბატონებული იყო აქამდის? არ იქნება იგი გადაგვარების პოლიტიკის მაწარმოებელი?

შეძლებისდაგვარად ვიძლევი პასუხს.

უმთავრესი შინარსი ქრისტიანულ მოძღვრებისა არის სიყვარული. როდესაც მკვიდრდება კაცთა შორის ქრისტიანული სიყვარული, მყარდება იმნაირი დამოკიდებულება, იმდენათ აერთებს, რომ შეუძლებელი ხდება არსებობდეს მათ შორის სიძულვილი, მტრობა და უთანხმოება. სიყვარული და სარწმუნოება ჰქმნიან სულიერ ერთობას მათ შორისაც კი, რომელნიც შთამომავლობით ერთტომისანი არ არიან. ამისათვის ეკლესიაში შთამომავლობის სხვადასხვაობას არ აქვს მნიშვნელობა, ყველანი თანასწორნი არიან ღვთის წინაშე.

თვითოეულ ხალხს აქვს თავისი ზნე-ჩვეულებანი, მიდრეკილებანი, თავისი ნაციონალური ეკლესიური ტრადიციები. არავის არა აქვს უფლება მათ შეეხოს და შეცვალოს, მოსპოს ვითომ იმისათვის, რომ ეკლესიაში დაამკვიდროს ერთიანობა მღვდელმსახურებისა. ეს არ იქნება გამომხატველი სარწმუნოებრივი ერთიანობისა თანასწორთა შორის, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციულისა. ნაციონალური განსვავებანი შენახული უნდა იქმნენ. თითოეულ ხალხმა უნდა ადიდოს ღმერთი თავის დედაენაზე. მხოლოდ ის მღვდელმსახურება, ის სწავლა-მოძღვრება მოქმედებს კაცზე, რომელიც სრულდება დედა ენაზე. მხოლოდ მშობლიური სიტყვა ჩასწვდება გულის სიღრმემდის, მხოლოდ ის აახმაურებს მგრძნობიარე სიმებს ჩვენის სულისას, აღუძრავს სარწმუნოებას.

ამაშია, როგორც გუშინაც ვსთქვი, (დოკ. №44 – ჯ. გ.) სიმშვენიერე ქრისტეს ეკლესიისა და ამ სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა იოანე ოქროპირი.

“თუნდაც გაემგზავრო შენ ინდოელებისაკენ, ამბობს იგი, რომელთაც პირველად ეფინება მზის სხივები, თუნდაც გაემგზავრო ოკეანეზე ან ბრიტანიის კუნძულებზე, თუნდაც მოხვდე ევქსინის პონტოზე, თუნდაც მიაღწიო ჩრდილოეთის ქვეყანას, ყველგან გაიგონებ, როგორ ყველანი მსჯელობენ იმაზე, რაც სწერია საღმრთო წერილში, სხვადასხვა ენით, მაგრამ ერთის სარწმუნოებით. ხედავ სიდიადეს სამოთხისას, რომელიც შეიცავს მთელს ქვეყნიერებას” (იხ.: გვ. 475 – ჯ. ბ.).

აი, აქ არის ერთობა მსოფლიო ეკლესიისა და არა სამღვდელმსახურო ენის ერთიანობაში, ეკლესიის უფლებათა ერთიანობაში. ძენი ივერიის ეკლესიისანი მუდამყამს იყო ამ მიმართულებისა, არასდროს დევნიდა სხვის რწმენას. ისტორია არ გვაძლევს ენის დევნულობის მაგალიტებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრივ ფართე თავისუფლება როგორც საერო, ეგრეთვე ეკლესიურ — სარწმუნოებრივ სფეროშიც.

ამნაირია ქართველი ერის მიმართულება ახლაც. ამნაირივეა ქართული ეკლესიის მისწრაფება. ის არ ფიქრობს სხვის გადაგვარება-გადაქართველებაზე, ის მუდამ ხელს უწყობს, რომ ყველა ერმა შეინახოს თავისი ეროვნული სახე, თავისი ვინაობა. მოიგონეთ გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, რომელიც მედგრად მოითხოვდა, რომ სემინარიაში გაეხსნათ აფხაზური ენის კათედრა, მაგრამ...<sup>85</sup> მოიგონეთ 1885 წლიდან აქ ყოფილ მღვდელმთავრებში<sup>86</sup> — კირიონ ეპისკოპოსი, რომელმაც დაჰგმო გადაგვარების მიმდევართა პოლიტიკა, რომელმაც მტკიცე საძირკველი (ჩაუყარა) აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის



თარგმნის საქმეს<sup>87</sup>. ამას არ დაივიწყებს აფხაზთა მრავალტანჯული ერი, რომლის მაგიერად მე მუხლი მოვიდრიკე მისი ცხედრის წინაშე; მხოლოდ ეკლესია იბერიისა მოელის, რომ აფხაზეთი არ შესწყვეტს მასთან სარწმუნოებრივ კავშირს, კავშირს კულტურულს, რის განმტკიცებას ემსახურებოდა განსვენებული გიორგი.

შევევედროთ უფალს, განუსვენოს გიორგის სულს წიაღსა შინა აბრაამისასა, ხოლო ჩვენ მოგვცეს უფალმა შეგნება, სურვილ-მისწრაფება მივსდიოთ მის ანდერძს და განვახოეციელოთ იგი ცხოვრებაში ქართველთა და აფხაზთა საბედნიეროთ.

**კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 18.**

## **№46. კორესპონდენცია გიორგი შერვაშიძის ხსოვნის აღნიშვნისა და მიტროპოლიტ ამბროსის ქ. სოხუმში სტუმრობის შესახებ**

**1918 წ. სექტემბერი**

ცნობილ საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის აღსანიშნავად მის პატივის მცემელ აფხაზ-ქართველთა, სხვათა შორის, განიზრახეს პირველ სექტემბრისათვის მისი მოსახსენებელ წირვა-პანაშვიდის შესასრულებლად მოწვევა სოხუმში ჭყონდიდელ მიტროპოლიტის ამბროსისა. ეს უკანასკნელი საკათალიკოზო საბჭოს მორიგ სესიაში გაწვევის გამო

იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ ის სრული თანაგრძნობით შეხვდა სოხუმელ აფხაზ-ქართველთა ამგვარ კეთილ მამულიშვილურ მისწრაფებას და არ დაიზარა ამ მეტად შემაწუხებელი მიმოსვლის დროს თბილისიდან სოხუმში გამგზავრება, მით უფრო, რომ სახელოვან ქართველის გასვენებას 19 თებერვალს ბოლშევიკების მიერ გამოწვეულ საშინელ არეულობისა<sup>88</sup> გამო ბევრი მისი თაყვანის მცემელი ვერ დაესწრო და ამისათვის მისი დასაფლავება მოქვის ტაძარში მოხდა მეტად უფერულად და სადად. მოსახსენებელ დღეთ დანიშნული იყო პირველი სექტემბერი.

31 აგვისტოს დღისით, 10 საათზე მიტროპოლიტი ამბროსი ფოთის პორტის უფროსის ჯავახიშვილის ნათავაზებ მოტორი “გიდროგრაფით” გამოემგზავრა ფოთიდან სოხუმისაკენ თანხლებით არქიმანდრიტ ნაზარისა<sup>89</sup>, ფოთის ტაძრის კრებულისა და ქუთაისიდან საგანგებოდ მიწვეულის მგალობელთა გუნდისა. ამინდი იყო მეტად საამო და წყნარი, ზღვის ღორების გამუდმებული თამაში ჩვენი გემის მახლობლად ართობდა და აქცევდა ყველას და განსკუთრებით კი მგალობელთა გუნდის პატარა ბავშვებს, რომელნიც პირველად მიემგზავრებოდნენ ზღვით. მშვენიერი და ლამაზი სამეგრელო-აფხაზეთის ზღვის სანაპიროები, შემკული მდიდარი თვალ უწვდენელი ტყეებით და სხვა და სხვა ტროპიკული მცენარეებით, მგზავრებზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა და ამავე დროს წარმოდგენა იმისა, რომ ეს ჩვენი ედემისებრ მშვენიერი ტურფა ქვეყანა დღეს ჩვენს საკუთარ ხელშია და ჩვენს საკუთარ სახელმწიფოს შეადგენს, ყველას გულში

იწვევდა აუწერელ სიხარულსა და ბედნიერებას, და ამ სიამოვნების განცდის ნიადაგზე არა ერთხელ და ორჯელ ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტის წინადადებით გემზე შესრულებულიყო გუნდის მიერ ეროვნული გიმნი და სხვა ქართული პატრიოტული სიმღერები; ბავშვების ტკბილი ხმების წკრიალი ატკობდა სმენას და სიამით გაისმოდა ზღვის სივრცეში.

სოხუმში ჩვენ მოგველოდნენ სალამოს შვიდ საათზე, მაგრამ ჩვენმა გემმა, გასათობ მასალის სიმცირის გამო, 10 საათზე ძლივს მიაღწია ნავთსადგურს, სადაც მიტროპოლიტს, ჩვენდა გასაკვირველად, დაუხვდნენ მხოლოდ ზოგიერთი კომიტეტის წევრნი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ 7 საათისათვის სოხუმის ნავთსადგურზე ჭყონდიდელის შესაგებებლად მოზღვავებულმა ხალხმა იფიქრა ალბად, მიტროპოლიტი ხვალ მოდისო და დაიშალა. კომიტეტის წევრებმა მიტროპოლიტი საგანგებო მატარებლით მხლებლებითურთ წაიყვანეს ცნობილ ვაჭრის სამსონ ნინუას სახლში, სადაც მათი მეუფებისათვის განემზადებინათ ბინა.

მეორე დღეს ქალაქში დილით ელვასავით გავრცელდა ამბავი ქართველ მღვდელმთავრის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მოსვლისა და, როდესაც 9-ს ნახევარზე გაისმა სოხუმის საკათედრო ტაძრის ზარის ხმა, ურიცხვმა ადგილობრივ აფხაზ-ქართველობამ მიაშურა საკრებულო ტაძარს, რათა გაიგონოს და დასტკბეს ქართული სამღვდელმთავრო წირვის მოსმენით. სწორედ 10 საათზე მობრძანდა თვით მიტროპოლიტი, რომელსაც ეკლესიის გალავანთანვე

მიეგება ხალხი, გამომთხოველი მისგან ლოცვა-კურთხევისა.

ტაძარში მიტროპოლიტმა მიჰმართა რა ხალხს მოციქულებრივი მისაღმებით, სხვათა შორის, სთქვა: “შესრულდა ოცდა ორი წელი მას შემდეგ, რაც მე იძულებით დავსტოვე ეს ჩემი საყვარელი ქალაქი და ტაძარი, სადაც ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი და ვმღვდელთვმსახურებდი. იმ დროს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი იმისთანა უკუღმართ და ჩვენი დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ ამ ტაძარში ერთი ასამაღლებელიც არ წარმოითქმოდა ქართულად; აღდგომას წაიკითხებოდა სახარება ხოლმე მრავალ სხვა და სხვა ენებზე, ქართული სახარება კი ყოველთვის განგებ იყო დატოვებული, რომ ამ საშუალებით მოესპოთ, გაექარწყლებიათ და აღმოეფხვრათ ქართველების გულში სამშობლო ქვეყნისა და ეკლესიის სიყვარული. თუმცა უტყუარ ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საზღვრები არამც თუ სოხუმს, ტუაპსეს იქითაც გადასცილდებოდა, მაგრამ ისინი სოხუმს, ჩვენი მოძმე აფხაზების დედაქალაქს, რუსეთად სთვლიდნენ და ამნაირის აზრებით და გრძნობებით ჰკვებავდნენ და ზრდიდნენ მკვიდრ მცხოვრებთ. დღეს კი დადგა სხვა გარემოება, ისტორიამ ასი წლის ბოროტი უსამართლობა გაასწორა და იქ, სადაც პირველი საუკუნიდან მშობლიურ ენაზე გაისმოდა ღვთის ვედრება, დღეს ხელახლა შესაძლებელი გახდა მისი აღდგენა, ჩვენ ყველანი დღეს ამის მოწმენი ვართ და სწორეთ ამ სასიამოვნო გარემოებამ შეგკრიფათ თქვენ დღეს ასე ბლომათ”.

შემდეგ დაიწყო წირვა. დიდი ტაძარი გაქედლია ხალხით, მოსულან რუსებიც. გაისმის ტკბილი ქართული გალობა, სულგანაბული ისმენს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადათ ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული. ეტყობა დიდი გულნაკლულნი ყოფილან აქაურნი მკვიდრნი იმით, რომ დღემდე მოკლებული იყვნენ ამ გვარ სულიერ სიამოვნებას. წირვის გათავებისას ყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა კვლავ მიჰმართა ხალხს გრძნობიერი სიტყვით და განუმარტა მას მიზანი მისი სოხუმში მოსვლისა: გიორგი შერვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულება, დაასურათხატა განსვენებულის მოღვაწეობა, პოლიტიკური და ეროვნული მისი იდეალები და მისწრაფებანი, შეეხო აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულებას და ურთი-ერთობას უძველეს დროიდან; რუსების ამ უკანასკნელ ხანის აფხაზ-ქართველთა გამთიშველ პოლიტიკას. “არც ძველად, სთქვა მიტროპოლიტმა, როდესაც ჩვენი ეკლესია თვით განაგებდა თავის ბედს, არ უწარმოებია და არც, რასაკვირველია, ეხლაც არ აწარმოებს მასზე უფრო მცირერიცხოვან ერების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას. საქართველოს ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენლნი ამ გვარად მოქმედებდნენ, წარმოიდგინეთ, იმ დროსაც კი, როდესაც აქ საშინლად ბობოქრობდა ჩვენი ხალხის გამანადგურებელ რუსის სინოდალური საეკლესიო პოლიტიკა. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ სულმნათი ეპისკოპოსი გაბრიელი,

რომელიც აფხაზთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების საუკეთესო საშუალებად სთვლიდა სემინარიაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებას. მეორე ქართველმა მოღვაწე მღვდელმთავარმა, აწ უკვე განსვენებულმა კათალიკოსმა კირიონმა თავის სოხუმში ყოფნის დროს ბევრი აფხაზთა ეროვნების სასარგებლო საქმეები გააკეთა, სხვათა შორის, ჩაუყარა მტკიცე საფუძველი საღმრთო წერილის და სამღვდელმსახურო წიგნების გადათარგმნის საქმეს აფხაზურ ენაზე (დოკ. №45, კომენტ. 85-87 – ჯ. გ.). აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდნენ ისე, რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი ელფერი მსგავსად იმისა, როგორც სხვა და სხვა საამო სუნის ყვავილები, თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოო და მშვენიერ თაიგულს”. თავისი დიდ მნიშვნელოვანი სიტყვა (მისმა) მეუფებამ იმით დაამთავრა, რომ მსმენელთ კვლავ მოაგონა ანდერძი განსვენებული გიორგი შერვაშიძისა, რომ აფხაზეთი უსაქართველოდ არ ივარგებს და საქართველო უაფხაზეთოთ და ურჩია ამ ორივე უმახლობლეს მონათესავე ტომთა სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ ამ სახელოვანი ადამიანის დიდებული აზრების შეთვისება და ახლო მომავალში მათი განხორციელება. ნაწირვებს ეკლესიის გალავანში ჭირისუფალთა თხოვნით მიტროპოლიტმა გადაიხადა რევოლუციის მებრძოლთა საფლავებზე პანაშვიდი და შემდეგ, დალოცა რა ხალხი, ეტლით დაბრუნდა თავის ბინაზე, სადაც ზევით დასახელებულმა უხვმა და

სტუმართმოყვარე მასპინძელმა ნინუამ გაუმართა მას ნადიმი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ აფხაზთა საბჭოს წევრნი ვარლამ შერვაშიძის მეთაურობით, სოხუმის ყველა ეროვნებათა საბჭოს წარმომადგენელნი და მრავალი საპატიო პირნი.

სადილობამდის ჭყონდიდელ მიტროპოლიტს წარმოუდგა აფხაზთა საბჭოს ხუთი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია. დეპუტაციის მეთაურმა ვ. შერვაშიძემ მოახსენა მის მეუფებას, რომ ამჟამად მზად არის ნიადაგი აფხაზ-ქართველთა შორის ძველი მეგობრობის განახლება-განმტკიცებისა. აფხაზთა განკერძოებული მოქმედება გაუგებრობის შედეგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რუს-თათართა პროვოკაციული მოქმედება. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მათ მეუფებას, შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო მთავრობასთან, რომ 1) გაენთავისუფლებინათ უბრალო ეჭვით ან პროვოკატორთა ცილისწამებით დატუსაღებულნი; 2) შეეჩერებინათ დამნაშავეთა დახვრეტა; “სამაგალითოდ და შეუბრალებლად დამნაშავეთა დასჯა”, სთქვა ბ. შერვაშიძემ, “სამართლიანი და კანონიერია და ამის წინააღმდეგ არავინ არაფერს იტყვის, მაგრამ უდანაშაულო ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების აწიოკება, მათი სარჩო-საბადებლისა და სახლ-კარის განადგურება აღემატება ყოველგვარ მტარვალობას”; 3) მთავრობამ აუნაზღაუროს აფხაზებს ზოგიერთი ჯარის ნაწილების უკანონობით მიყენებული ზარალი და 4) თუ შესაძლებელი იქნეს თვით საკათალიკოზო საბჭომ გამოუგზავნოს განადგურებულ და გადაბუგულ აფხაზთა ოჯახებს თავისი წვლილი; ამას ექმნება დიდი

მორალური მნიშვნელობა ხალხისათვის და ხელს შეუწყობს აფხაზ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას. მიტროპოლიტმა დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით მოუსმინა ყოველივე ეს აფხაზთა თავმჯდომარეს და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება. 4 საათზე მიპატიჟებულნი დასხდნენ სადილად. ნადიმის დროს ბევრი საგულისხმიერო სიტყვები წარმოითქვა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრულ კეთილ განწყობილების დამყარების საჭიროებაზე მიტროპოლიტიდან დაწყებული სხვა და სხვა საპატიო და სასულიერო და საერო პირთაგან და ყველა (ეროვნულ) საბჭოთა წარმომადგენელთა მიერ. სიტყვებში შეეხნენ, სხვათა შორის, რუს-ქართველთა და ბერძენ-ქართველთა დამოკიდებულებას. ნადიმის დროს თავ. ჯოტო შერვაშიძემ გადასცა მიტროპოლიტს 1 000 მანეთი პრემია იმისთვის, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს აფხაზებზე (დოკ. №58, 59 – ჯ. გ.). მეორე დღეს დილით კვლავ მოვიდა მიტროპოლიტთან აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე ჯოტო შერვაშიძე (ასეა ტექსტში – ჯ. გ.), უკანასკნელი მეტად დაღონებული იყო. მან ამცნო ჭყონდიდელს რომ აფხაზთა საბჭოს უკანასკნელი ცნობებით აფხაზთა სოფლებში კვლავ ჰქონდა ადგილი სახლების გადაწვას. "ებლა – მოახსენა მიტროპოლიტს შერვაშიძემ, ზედმეტია თქვენი შუამდგომლობა სამხედრო მთავრობის წინაშე და უსარგებლოა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. აწი თვით გარემოებათა მსვლელობას მივანდოთ აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების გამორკვევა". მიუხედავად ამგვარ მეტად გამწვავებულ



მდგომარეობისა, 3 სექტემბერს ყოვლად სამღვდელმთავრომ არქიმანდრიტ ნაზარის თანხლებით ინახულა საავადმყოფოში გენ. მაზნიაშვილის მოადგილე ავადმყოფი პოლკოვნიკი თუხარელი, რომელთანაც მიტროპოლიტს ჰქონდა ხანგრძლივი ბაასი ამ ბოლო დროს აფხაზეთში მომხდარ ამბების გამო. მათმა მეუფებამ, როგორც ზედმიწევნით მცოდნემ აფხაზეთა ზნე-ჩვეულებისა და ხასიათისა, მისცა ბ. თუხარელს ფასდაუდებელი ცნობები აფხაზ-ქართველთა შორის კეთილ განწყობილების დასამკვიდრებლად. გამოთხოვებისას მიტროპოლიტმა, თანახმად აფხაზეთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებისა, აღძრა ბ. თუხარელის წინაშე შუამდგომლობა და პოლკოვნიკმა სიტყვა მისცა, რომ მის შუამდგომლობას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და შესაძლებლობისამებრ შესრულებული იქნება. მართლაც, მეორე დღეს ადგილობრივმა სოხუმის გაზეთმა «Наше Слово»-მ (კომენტ. 108 – ჯ. გ.) გამოაქვეყნა, რომ პოლკოვნიკმა თუხარელმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტის შუამდგომლობით გაანთავისუფლა 8 ტუსადი აფხაზი და აგრეთვე გაუგზავნა ფიცხელი ბრძანება პოლკოვნიკ კარგარეთელს ოჩამჩირეში, რომ მის მისვლამდის სახლ-კარის გადაწვა შეჩერებული იქნეს, გამოყვანილი იყოს ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის.

4 სექტემბერს მიტროპოლიტი დაესწრო ხალხით გაჭედილ ადგილობრივ თეატრში განსვენებულ გ. შერვაშიძის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ საღამოს, რომელზედაც წაკითხულ იქნა განსვენებულის ბიოგრაფია, მისი ზოგიერთი დაუბეჭდავი ლექსები.

ქუთაისის გუნდმა შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და საერო სიმღერები.

მათმა მეუფებამ სოხუმში ყოფნის დროს დაათვალიერა სატუსალო, საავადმყოფო და ერთი ქალაქის განაპირა მდებარე სოფელი და მათი დროებითი ეკლესია. ხალხი დიდის აღტაცებით და სიხარულით შეხვდა მღვდელმთავარს; მან დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აჰყვნენ ბოლშევიკურ დამღუპველ მოძრაობას. მიტროპოლიტმა სოხუმში დაჰყო ერთ კვირამდე. ამ შემთხვევით ისარგებლა ბევრმა აფხაზეთის სხვა და სხვა კუთხის საერო და სამღვდლო საპატიო და გავლენიანმა პირმა, რომელთაც ინახულეს მათი მეუფება და მსჯელობდნენ ჩვენი პოლიტიკურ და საეკლესიო კითხვებზე. მიტროპოლიტი ყველას შესაფერ დარიგებასა და რჩევას აძლევდა.

ცხრა სექტემბერს სოხუმში ტუაფსედან მოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სწრაფმავალი გემი 'ტავრიდა', რომლითაც ყოვლად სამღვდლო მიტროპოლიტი უკანვე ფოთში დაბრუნდა. საზოგადოთ მათი მეუფების ყოფნამ სოხუმში ადგილობრივ მცხოვრებლებზედ და კერძოდ აფხაზებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ჭახრაკი.**

**საქართველო, 1918, 2 ოქტომბერი.**

**№47. Телеграмма митрополита Амвросия  
протоиерею Д. Маргания<sup>90</sup> с просьбой прибыть  
в Тбилиси**

19 сентября 1918 г.

Очамчира, протоиерею Маргания

Католикосский совет вызывает Вас на три месяца с сохранением за Вами прихода, содержания на время вызова 500 рублей в месяц с отводом квартиры. Можете привести сына, примут в семинарию.

**Митрополит Амвросий.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 9.

**№48. Телеграмма протоиерея Д. Маргания  
митрополиту Амвросию о невозможности  
выехать в Тбилиси**

30 сентября 1918 г.

Тифлис, католический дом,  
митрополиту Амвросию

Тяжелое семейное положение, хозяйство и отсутствие средств не дают возможности выехать пока. Протоиерей Маргания.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 8.

**№49. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს დავალება თავის  
სამეურნეო გამგეობას მიტროპოლიტ  
ამბროსის აფხაზეთში მოგზაურობის**

ხარჯების ანაზღაურების შესახებ

**1918 წ. 1 ოქტომბერი**

საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია გაცნობებით სათანადო აღსრულებისათვის, რომ საკათალიკოზო საბჭომ ამა თვის 30 (აღბათ სექტემბერს – ჯ. გ.) განაჩინა: ასანაზღაურებლად იმ ხარჯებისა, რომელიც გამოწვეულია მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ამბროსის აფხაზეთში მოგზაურობით, მიეცეს მიტროპოლიტს ამბროსის ქრისტიანობის აღმდგინებელი საზოგადოების თანხიდან ხუთი ათასი მანეთი.

საკათალიკოზო საბჭოს

კანცელარიის გამგე დეკ. კ. ცინცაძე.

მდივანი დეკ. მ. ნაცვლიშვილი.

საქმის მწარმოებელი ლ. ლეჟავა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 18.

**№50. Письмо Чкондидского митрополита  
Амвросия в Сухумское казначейство о порядке  
финансирования Сухумского кафедрального  
собора**

**14 октября 1918 г.**

На основании постановления Закавказского комиссариата от 9 февраля сего 1918 года, кредит на содержание Сухумского кафедрального собора за указанный год открыт по Кутаисской палате в ведение епархиального собора вверенной мне митрополии, каковым однако же советом приостановлен, по уважительным причинам, перевод означенного кредита в Сухумское казначейство по назначению.

Ввиду изложенного, прошу Сухумское казначейство прекратить Сухумскому кафедральному собору выдачу содержания за с.г. впредь, пока не будет открыт по сему казначейству соответствующий кредит в установленном порядке.

**Чкондидский митрополит Амвросий.**

С подлинным верно: секретарь – подпись.

Сверял: делопроизводитель.

საპატრონოს არქივი, ადწ. 1, ს. 463, ფ. 13.

**№51. Письмо епископа Сухумского Сергия в  
городское казначейство о продолжении  
финансирования кафедрального собора и  
решение Кутаисской палаты по данному  
вопросу**

**20 октября – 16 ноября 1918 г.**

Дошло до моего сведения, что в Сухумском казначействе получено от Чкондидскаго митрополита Амвросия отношение от 4 текущего октября за №2219 с просьбой о прекращении выдачи содержания по Сухумскому кафедральному собору впредь до открытия по казначейству соответствующаго кредита в установленном порядке.

Так как назначенный (наверное означенный – Дж. Г.) собор с его причтом и доселе числится в составе Сухумской епархии, т.е. находится в моем ведении, то я, не нахожу никакого законнаго основания к прекращению выдачи содержания как личному составу причта, так и на потребности собора. А поэтому прошу казначейство продолжать выдачу такового содержания в порядке, установленном казначейством. Сергий, епископ Сухумский.

Настоящее отношение, а так же отношение митрополита Чкондидскаго от 4 октября за №2219, Сухумское казначейство имеет честь представить в Кутаисскую казенную палату на ее разрешение. 30

октября 1918 г. №5507. Казначей Н.Н. Ст., Бухгалтер Н.Н.

Кутаисская палата при сем препровождает настоящую переписку в Совет Грузинскаго Католикосата на рассмотрение (см. док. №55 – Дж. Г.). Ноября 16 дня 1918 г. №43992 И. д. начальника отделения Н.Н., и.о. бухгалтера Н.Н.

С подлинным верно: подпись.

Сверял столоначальник.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 14.

**№52. მიტროპოლიტ ამბროსის წერილი  
სრულიად საქართველოს საკათალიკოსო  
საბჭოსადმი სოხუმის ეპარქიაში არსებული  
ვითარების შესახებ**

**1918 წ. 26 დეკემბერი**

სოხუმის ეპარქიის 56 ეკლესიის კრებულთა ჯამაგირები გადმორიცხულ იქმნა მთავრობისაგან ჩემს განკარგულებაში. ამასთან 36 კრებულისათვის ჩემ მიერ გახსნილი იქმნა კრედიტი სენაკის და ფოთის ხაზინებში, ხოლო ხუთი ეკლესიის კრებულთათვის — სოხუმის ხაზინაში. დანარჩენთათვის არ გამიხსნია კრედიტი, რადგან ისინი არ გადმორიცხულან ჯერაც ჩემს ეპარქიაში. ამ უკანასკნელთაგან ათი კრებულისათვის, არ ვიცი რა უფლებით, კრედიტი გაუხსნია სოხუმის ეპისკოპოსს.

რაც შეეხება სოხუმის სობოროს კრებულს, მისთვის უკანასკნელათ (გაუციათ) ჯამაგირი ჩემდა დაუკითხავად და ამისთვის შევაჩერე (დოკ. №№ 50, 51 – ჯ. გ.). ეს კრედიტი გადმორიცხულია ჩემს განკარგულებაში იქაურ ქართველთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა რუსთათვის, რადგან ქართველთა რიცხვი ქ. სოხუმში თითქმის თვრამეტი ათასამდეა, რუსების კი არ აღემატება შვიდი-რვა ათასს, ხოლო საკრებულო ტაძარში წირვა-ლოცვა სრულდება მხოლოდ რუსულ ენაზე, რადგანაც ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა სოხუმის ქართველთათვის ქართველი მღვდლის დანიშვნა და წელიწადიც თავდება. მე შემემძლო გამეხსნა ეს კრედიტი სოხუმის ეპისკოპოსის განკარგულებაში, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სოხუმის საკრებულო-ტაძარში ქართველთათვის წირვა-ლოცვა არ სრულდება დრო გამოშვებით მაინც და ჩემს მიმართვას სოხუმის ეპისკოპოსმა სერგიმ ერთხელაც არ ინება ჩემთვის პასუხი გაეცა. როგორც ჩემთვის შემდეგში ცხად იქმნა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ იგი ჩვენს ეკლესიას და მის იერარქიას არ სთვლის მართლმადიდებლურ ეკლესიათ და კანონიერ იერარქიად. ამის გარდა ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ სოხუმის ეპისკოპოსი არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას და სოხუმის საკრებულო ტაძარში მისი ბრძანებით ადავლენენ ღვთისადმი ვედრებას არა საქართველოს, არამედ რუსეთის მეუფებისათვის. ეპისკოპოსის სერგის რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობის მომხრეობაზე საკათალიკოზო საბჭომ უკვე იცის ჩემის მოხსენებიდან



(181 გვ. ამა წლისა №37). მე არ მიმაჩნია სამართლიანად ჩვენი რესპუბლიკის ხაზინამ აძლიოს კრედიტი იმ ეკლესიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგალში მყოფი, არ იწყნარებს მის ქვეშევრდომობას.

ეპ. სერგი განაგებს ეკლესიურად შავი ზღვის სანაპიროების იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ანაპიდან საქართველოს საზღვრამდის. მაშასადამე, ის უნდა ითვლებოდეს ეპისკოპოსად რუსეთის ტერიტორიის მცხოვრებთათვის და არა საქართველოს რესპუბლიკის ნაწილის მცხოვრებთათვისაც და, თუ ითვლება ორ სახელმწიფოში მოსამსახურეთ, ცხადია, რომ ეს ხდება არა კანონიერად, და საქართველოს რესპუბლიკის ხაზინამ არც უნდა აძლიოს ამნაირი მღვდელმთავრის საკათედრო ტაძრის კრებულს ჯამაგირები, მით უმეტეს, რომ ამ ტაძარში ქართველთათვის არ სრულდება წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

ამისთვის, ჩემის აზრით, როგორც სოხუმის, ისე აფხაზეთის იმ მრევლების კრედიტები, რომელიც გახსნილია ჩემს განკარგულებაში იქაური ქართველების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შემდეგშიაც უნდა დარჩეს ჩემს განკარგულებაში და ამის თაობაზე ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს მოახდინოს სათანადო განკარგულება (დოკ. №55 – ჯ. გ.).

**ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 16-17.**

**№53. მიტროპოლიტ ამბროსის წერილი  
სრულიად საქართველოს საკათალიკოზო  
საბჭოსადმი სოხუმის სკათედრო ტაძარში  
ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღების  
აუცილებლობის შესახებ**

**1918 წლის 26 დეკემბერი**

ქალაქ სოხუმში ქართველ მცხოვრებთა რიცხვი აღწევს თვრამეტ ათასამდე და ამდენი მართლმადიდებელი ხალხი დარჩენილია უეკლესიოდ და უწირვა-ლოცვოდ მშობლიურ ენაზე. სოხუმის საკათედრო ტაძრის კრებულში არის ერთი ქართველი მღვდელი (მ. გვაზავა – ჯ. გ.), მაგრამ მას უფლება არა აქვს ამ ტაძარში შეასრულოს წირვა-ლოცვა ამ ენაზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ საქართველოს ფარგალში მყოფ ქალაქში საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებაც იქმნეს დაკმაყოფილებული და სოხუმის ქართველობაც მოითხოვს, რომ მისი უფლებებიც აღდგენილ იქმნეს და იმ საკრებულო ტაძარში, რომელშიც მასაც უდევს წილი, სრულდებოდეს მორიგეობით ქართულ-რუსულ ენებზე წირვა-ლოცვა.

ამისთვის ვთხოვ საკათალიკოზო საბჭოს აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, მიეწეროს სოხუმის ეპისკოპოს სერგის, დაკმაყოფილებულ იქმნას სოხუმელ ქართველების ეს კანონიერი სურვილი და ქართველ

მღვდელს და წიგნის მკითხველ-მგალობლებს, რომელნიც სოხუმის ტაძარში შეასრულებენ წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე, ჯამაგირი მიეცეს იმ კრედიტიდან, რომელიც გახსნილია ჩემს განკარგულებაში სოხუმელ ქართველთათვის.

**ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 18.**

**№54. Обращение Закавказского русского  
национального совета в управление  
Грузинского Католикосата об образовании  
самостоятельной русской епархии  
в Сухумском округе**

**31 декабря 1918 г.**

Закавказский Русский Национальный Совет просит выдать монаху Драндсаго успенскаго монастыря Никону метрические выписи и все архивные дела церковных приходов Сухумской епархии с 1868 г., необходимыя этой епархии, которая с 1 января 1919 года будет считаться самостоятельной русской епархией (см. док. №57 – Дж. Г.).

Председатель совета – подпись.

Секретарь совета – подпись.

председатель юридического отдела – подпись.

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 19.**

**№55. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს წერილი თბილისის  
სახაზინო პალატას სოხუმის საკათედრო  
ტაძრის კრედიტების მიტროპოლიტ ამბროსის  
განკარგულებაში გადაცემის შესახებ**

**1919 წ. 10 იანვარი**

გიგზავნით რა თანდართულ მიწერ-მოწერას (დოკ. №№50, 51 – ჯ. გ.), სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია პატივისცემით აცნობებს ტფილისის სახაზინო პალატას, რომ სოხუმის ეპარქიის საკათედრო ტაძრის კრედიტები იმყოფება მაღალყოვლადუსამღვდელოესის ჭყონდიდელ მიტროპოლიტის განკარგულებაში.

**საკათალიკოზო საბჭოს**

**კანცელარიის გამგე**

**კ. ცინცაძე.**

**მდივანი**

**მ.ნაცვლიშვილი.**

**საქმის მწარმოებელი**

**ლ. ლუჯავა.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 15.**

**№56. მიტროპოლიტ ამბროსის მიმართვა  
სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო  
საბჭოსადმი აფხაზეთ-სამურზაყანოში  
მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურების  
შესახებ**

1919 წ. 30 იანვარი

რადგანაც მეტად საჭიროა აფხაზეთ-სამურზაყანოს შემოვლა მრევლების დასათვალისწინებლად, რაც აუცილებლად ითხოვს დიდად საგრძნობელ ხარჯებს, უმდაბლესად ვსთხოვ საკათალიკოსო საბჭოს აღმომიჩინოს შემწეობა, რომ ეს ხარჯები დაფარულ იქმნას ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების თანხებიდან.

**ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი.  
საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 13.**

**№57. Ответное письмо от имени  
правительства республики Закавказскому  
русскому национальному совету о  
недопустимости создания самостоятельной  
русской епархии в Сухумском округе**

7 февраля 1919 г.

По поводу Вашего отношения в Грузинский Католикосский Совет от 31 декабря 1918 г. за №9377, об

образований с 1 января 1919 года самостоятельной русской епархии в Сухумском округе и о выделении для нея архивных документов с 1868 года (док. №54 – Дж. Г.), Грузинский Каталикосский Совет препроводил ко мне для сообщения Вам следующее заключение:

1) Выделить для предполагаемой епархии метрические книги и все архивные дела церковных приходов Сухумской епархии с 1868 года нельзя, т.к. в Сухумской епархий Синодального периода были не одни русские приходы, но и нерусские, и что первых сравнительно с последними было ничтожное количество.

2) В Сухумском округе по определению Грузинского церковного собора уже существует самостоятельная епархия, которая временно приписана к Чкондидской епархии. С образованием самостоятельной русской епархии, названная церковная территория должна разделиться на две части, а это если то допустить, необходимо должен произойти с согласия и решения Грузинской церкви, а не русского духовного начальства;

3) Проектируемая епархия предполагается находиться в составе русской церкви, между тем, по каноническим правилам, на территориях Грузинской церкви не может быть такой епархии, которая ей не подчинялась бы. Если это неизвестно Русскому Национальному Совету, во всяком случае должно быть известно русской церковной власти;

4) Образование такой епархии не может быть допущено и с политической точки зрения, т.к. на

территории Грузинской Республики не может быть такой организации, хотя и церковной, которая, подчинялась бы органу, в другом государстве находящемуся: русские же епархии в Грузии признают над собою не только Грузинской церковной власти, но и правительственной и подчиняются церкви, находящейся в Русском государстве.

Сообщая настоящие соображения Каталикосского Совета, которые Грузинское Правительство вполне разделяет, прошу Русский Национальный Совет подумать, если это от него зависит, не об образовании новой епархии, а об установлении правильных канонических и политических взаимоотношений существующих в Грузии русских приходов с Грузинской церковно-правительственной власти.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 24-24<sup>ა</sup>.

## **№58. სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქ ლეონიდეს სამადლობელო წერილი ჯოტო შერვაშიძისადმი**

**1919 წ. 4 მარტი**

მის ბრწყინვალეობას ჯოტო შერვაშიძეს,  
თქვენო ბრწყინვალეობავ,  
მოწყალო ბატონო!

მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ მოახსენა საკათალიკოსო საბჭოს, რომ თქვენ გადაეცით მის მეუფებას 1000 მანეთი პრემიად მისაცემად მისთვის, ვინც დასწერს საუკეთესო თხზულებას ქართველთა და აზნაურთა

ურთიერთობაზე უძველესი დროიდან (დოკ. № 46 - ჯ. გ.).

მოისმინა რა დიდი ხალისით ზემოაღნიშნული მოხსენება მეუფე მიტროპოლიტისა, საკათალიკოზო საბჭომ, მომანდო მე გამოგიცხადოთ მისი გულითადი მადლობა შეწირულობისა და მზრუნველობისათვის მშობლიური ერისა და ეკლესიისათვის.

სიამოვნებით ვასრულებ საკათალიკოზო საბჭოს მინდობილობას და შევსთხოვ ზეციერს მამას, განამრავლოს დღენი ცხოვრებისა თქვენის ბრწყინვალეებისანი სიმრთელითა და კეთილისყოფით მამულისა და ეკლესიის სასარგებლოდ.

მოვიწევ რა თქვენზედ ღვთის მადლსა და კურთხევას, დავრჩები თქვენს ბრწყინვალეების ღრმად პატივისმცემელი.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, გვ. 14.

**№59. საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა  
მიტროპოლიტ ამბროსისადმი ჯოტო  
შერვაშიძისათვის კათოლიკოს-პატრიარქის  
წერილის გადაცემის შესახებ**

1919 წ. 4 მარტი

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ,  
მაღალყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო და  
მოწყალეო მამაო!



გაახლებთ რა ამასთან უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილს თ(ავად) ჯოტო შერვაშიძესთან, გთხოვთ გადაგზავნოთ იგი კუთვნილებისამებრ (დოკ. №№ 46, 58 - ჯ. გ.).

თქვენი მეუფების მდაბალი მოსამსახურე  
საკათოლიკო საბჭოს კანცელარიის გამგე.  
საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 689, ფ. 15.

**№60. მიტროპოლიტ ამბროსის წერილი  
სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო  
საბჭოსადმი სოხუმში მისი ერთ-ერთი წევრის  
მივლინების დაჩქარების შესახებ**

**1919 წლის 17 მარტი**

პატივი მაქვს ვსთხოვო საკათოლიკოზო საბჭოს მაცნობოს, როდის იქნება აღსრულებული საკათოლიკოზო საბჭოს დადგენილება ერთ-ერთ წევრის სოხუმში გაგზავნის შესახებ იქაურ ეკლესიურ საჭიროების მოსაწესრიგებლად<sup>1</sup>. საჭიროა საქმის დაჩქარება, რადგანაც სოხუმის ქართველობა დაბეჯითებით მთხოვს სოხუმის საკათედრო ტაძარში დავნიშნო ერთი მღვდელი და ერთი დიაკონი, რის ასრულებაც ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია, ვინაიდან საკათედრო ტაძარი სხვის ხელშია. მასთან ისიც უნდა მოვახსენო საკათალიკოზო საბჭოს, რომ სოხუმის ქართველობა, როგორც მე გადმომცეს, ძალიან

გულნატკენია იმით, რომ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი მთავრობა ასე ვითომ გულგრილად ეკიდება საქმეს და აგვიანებს ეროვნული საბჭოს თხოვნის ასრულებას; ჩემი შეხედულებით, უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხის მისწრაფებას ეკლესიურ საქმისადმი და დაჩქარებით იქნეს დაკმაყოფილებული მისი სამართლიანი მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ხალხის გულის აცრუება ეკლესიურ საქმეზე და უკანასკნელისადმი სრული გულგრილობა მომავალში.

**ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 27.**

**№61. მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენება  
სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო  
საბჭოსადმი აფხაზეთში გაწეული მუშაობის  
შესახებ**

**1919 წ. 21 მაისი**

წერილისა გამო 30 აპრილიდან №2106-თა, პატივი მაქვს მოვახსენო ზემოხსენებულ საბჭოს შემდეგი: სოხუმის ქართველობა შუამდგომლობდა, რომ საკათალიკოზო საბჭოს გაეგზავნა სოხუმში ვინმე წევრთაგანი იქაური საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად (კომენტ. 91 – ჯ. გ.). ამ გადაწყვეტილებამდის მივიდნენ სოხუმელები იმ მოსაზრებისა გამო, რომ ჩემი, როგორც მღვდელ-

მთავრის, გარევა იმნაირ საქმეში, სადაც საჭირო იყო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, არ მიაჩნიათ სასურველად. ამავე აზრის იყო თვით საკათალიკოზო საბჭოც სოხუმელთა შუამდგომლობის გარჩევის დროს, რის გამო სოხუმში წასვლა და საქმის მოგვარება დაეკისრა ერთ თავის წევრთაგანს. ახლა კი ზემოხსენებული წერილით მეცნობა, რომ დანიშნულ წევრს სოხუმში გამგზავრებაზე უარი განუცხადებია და ამ მიზეზისა გამო საბჭო იძულებული გამხდარა თავისი უწინდელი დადგენილება და შეხედულობა გამოეცვალა და დაედგინა, რომ სოხუმის საეკლესიო საქმეები მოწესრიგდნენ ჩემის ხელმძღვანელობით და, რომ ჩემდა დასახმარებლად თავის წევრს გაგზავნის სოხუმში მხოლოდ მაშინ, როდესაც მე იქ გავემგზავრები<sup>92</sup>. ამის გამო პატივი მაქვს მოვახსენო საკათალიკოზო საბჭოს, რომ თუ მას სასურველად მიაჩნია ჩემი ამ საქმეში გარევა და თუ ეს არ გამოიწვევს რაიმე უხერხულობას, მაშინ მე თვითონ სხვის დაუხმარებლად ვიტვირთებ საქმის მოწესრიგებას აქტიურ ნაბიჯების გადაუდგმელად, რადგან ეს არ უნდა შეეფერებოდეს მღვდელ-მთავრის ხარისხს, და რადგან სხვისგან გადადგმული მოსალოდნელი აქტიური ნაბიჯებში მე თანაზიარი და პასუხის მგებელი არ შემძლია ვიყო.

დამოუკიდებლად ამისა, მოვახსენებ საკათალიკოზო საბჭოს, რომ ზემოხსენებული წერილის მიღების შემდეგ ამ თვის პირველ ნახევარში გავემგზავრე სოხუმში და უკვე გავმართე მოლაპარაკება სოხუმელ ქართველობასთან და აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე და წევრებთან ამ საკითხის გამო,

აგრეთვე მოვამზადე ნიადაგი სოხუმის ეპისკოპოსთან ამ საქმეზე მშვიდობიან მოლაპარაკებისათვის, რომლის გამართვა გადაიდო სხვა დროისათვის, რადგანაც ეპისკოპოსი სერგი ამ ხანად სოხუმში არ იმყოფება (1919 წ. მარტიდან არ ყოფილა – ჯ. გ.). ამ დღეებში მივემგზავრები სარევიზიოდ სამურზაყანო და აფხაზეთში — სოხუმში ჩავაღწევ, ალბათ, ერთი თვის შემდეგ და მაშინ მოვახსენებ საკათალიკოსო საბჭოს, რა შედეგი ექნება ჩემს იქ ყოფნას.

**ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 31-32.

**№62. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოზო საბჭოს წერილი სოხუმის  
ქართული ეროვნული საბჭოსადმი  
მიტროპოლიტ ამბროსის მიერ იქაური  
საეკლესიო საკითხების მოგვარების  
ვალდებულების საკუთარ თავზე  
აღების შესახებ**

1919 წ. 17 ივნისი

პასუხად თქვენის ამა წლის იანვრის 23, №10 წერილისა, საკათალიკოზო საბჭო პატივისცემით გაცნობებთ, რომ სოხუმის ქართველთა საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება იტვირთა თვით



являюшимся представителем Грузинской церкви, отколовшейся от Российской, но если Сухумское грузинское православное население нуждается в Сухумской Кладбищенской церкви, разрешить передать такуюю названному населению. О чем вашему преосвященству и послать указ. 21 июня 1919г.

Екатеринодар.

**Член Управления Дмитрий, Архиепископ Таврический.**

**Управляющий Канцеляриею Е. Махароблидзе.**

Настоящая копия с подлинным верна:

**Секретарь Сухумской Епархиальной Канцелярии протоиерей Трофим Джохтаберидзе.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 68.

## **№64. Телеграмма Католикоса-Патриарха Всея Грузии Леонида архимандриту Иоанну<sup>94</sup>**

**7 сентября 1919 г.**

Об избрании Вашем Сухумское правительство должно сообщить Чкондидскому митрополиту, который дасть мне заключение.

**Католикос Леонид.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 956, ფ. 54<sup>ა</sup>.

**№65. Телеграмма католикоса-патриарха Всея  
Грузии Леонида комиссару просвещения  
Абхазии И. Лорткипанидзе**

**12 сентября 1919 г.**

Согласно ходатайству председателя комиссариата Эмухвари, временное управление Цхум-Бедийской епархии поручено митрополиту **Амвросию**.

**Католикос Леонид.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 36.**

**№66. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის წერილი აფხაზეთის  
კომისარიატის თავმჯდომარე  
დ. ემუხვარისადმი ცხუმ-ბედიის ეპარქიის  
დროებით მმართველად მიტროპოლიტ  
ამბროსის დანიშვნის შესახებ**

**1919 წ. 13 სექტემბერი**

სიამოვნებით გაცნობებთ, მოწყალეო ბატონო, რომ საკათალიკოზო საბჭომ, თანახმად თქვენი შუამდგომლობისა, ამა თვის 11 ცხუმ-ბედიის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო ჭყონდიდის

მიტროპოლიტს მაღალყოვლად უსამღვდელოეს ამბროსის.

მოვიწვევ რა თქვენზედა ღვთის მადლსა და კურთხევას, დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი  
ლეონიდი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 38.

**№67. არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილის  
წერილი სოხუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს  
მიტროპოლიტ ამბროსის დაუყოვნებლივ  
ჩამოსვლის აუცილებლობის შესახებ**

1919 წლის 13 სექტემბერი

ვინაიდან, თანახმად კათოლიკოზისაგან შინაგან საქმეთა კომისრის სახელზე მიღებულ დეპეშისა, დროებით მართვა-გამგეობა დაევალა მიტროპოლიტ ამბროსის და მით მე ვიქმენ განთავისუფლებული ჩემი მოვალეობისაგან, ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ქართულ ეროვნულ საბჭოს, იშუამდგომლოს წინაშე სახალხო განათლების კომისრის ბ. ივანე ლორთქიფანიძისა, რათა ოქუმის, სადაც მე ვითვლები მომრიგებელ მოსამართლედ, უმაღლეს ოთხ-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორად ვიქმნე განწესებული.

ეროვნულ საბჭოს უნდა მოვახსენო, რომ ჩემი დანიშვნა ინსპექტორად ოქუმში უკვე გადაწყვეტილი საქმეა. მე თანხმობა უკვე განვუცხადე ნაწილის



უფროსს, ბ-ნ პ. საბაშვილს, მაგრამ 1 ენკენისთვის დეკრეტის (დოკ. №94, პ. 8 – ჯ. გ.) გამოცხადებამ შეაყოვნა ეს საქმე. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ბ-ნი ივანე გეგია, გალის ერობის წევრი და მასთან სამოსწავლო ნაწილის გამგე, გადაჭრით მოითხოვდა ჩემს ინსპექტორად დანიშვნას ოქუმიში. მან ბ-ნი ემუხვარიც კი ინახულა, მაგრამ მიიღო ასეთი პასუხი: არქიმანდრიტი იოანე ჩვენ თვით გვჭირდება სოხუმში და ამიტომ მას ვერსად ვერ გავუშვებთო.

დღეს მე რომ ცარიელა კედლებს ვუყურო, ამ ყურებაში ხსენებულ ადგილზე სხვას დანიშნავენ, მე კი ქვიშაზე დავრჩები.

ვიმედოვნებ, რომ ეროვნული საბჭო მიაქცევს ჩემს მოხსენებას ჯეროვან ყურადღებას.

ამასთან უნდა შევნიშნო, რომ უმთავრესი, ჩემის აზრით, გაკეთდა. ახლა ჯერი ჩემი მოადგილეების უნარსა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული.

დღეს, სხვათა შორის, ერთი კვირის დევნა-წვალეების შემდგომ ვედირსე სოხუმის საკათედრო ტაძრის ქონების წიგნის გოლუმბცოვისაგან ჩაბარებას, რაც თავისთავად უდრის თვით “სობოროს” ხელში ჩაგდებას.

ვეთხოვები რა სოხუმის ქართველობას, მე როგორც საქართველოს ერთგული — მოსიყვარულე შვილი და მასთან სრულიად პირუთვნელი, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს ხმა მალლივ და გულახდილად განვაცხადო, რომ არათუ მიტროპოლიტი ამბროსის, არამედ თვით კათოლიკოზ ლეონიდეს და მის ყველა მიტროპოლიტებსაც ერთად რომ დაეკისროს სოხუმის ეპარქიის მოვლა-პატრონობა, მაშინაც კი ვერას

გააწყობენ და ვერავითარ კეთილ შედეგს ვერ მიაღწევენ, თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც ხვალვე არ გაჩნდება აქ და არ ჩაიბარებს იმ ციხე-სიმაგრეს, იმ სამხედრო შტაბს, რომლების გასაღებიც დღეს ჩემს ხელთ არის. თუმც კი მტერი თანდათან უფრო მეტს ენერგიას იკრებს და გაშმაგებულად მეომება. იმ დიდ დავლას, რომელიც მე მარგუნა ბედმა, პატრონობა უნდა, უფრო მეტს დარაზმა – სამზადისს მოითხოვს! იარაღის დაყრა დღეს სამშობლოს ღალატად ჩაითვლება.

თუ ხვალ-ზეგ მიტროპოლიტი ამბროსი ცხუმის კიდეს ნავით მოადგება მწყემსმთავრული კვერთხით, მაშინ მე ვიწყებ ლიტანიობას, რადგან მით დავრწმუნდები, რომ თვე ნახევრის ფიქრსა და შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. მაგრამ თუ მას, ჩვენი კათოლიკოზის ლოცვა-კურთხევით სურს ჩვენს დაწყლულებულს სხეულს მოუაროს, ტფილისს-ფოთიდან სხვა და სხვა დეკრეტებისა და ბრძანებების საშუალებით, მაშინ მე ვიტყვი, “ტიკინების კომედიის ერთ-ერთი როლის შემსრულებელთაგანი ვყოფილვარ მხოლოდ და მეტი არაფერი. დეკრეტი კი მხოლოდ საპნის ბუშტია”.

გვადირსოს ღმერთმა მიტროპოლიტ ამბროსის ხილვა ამ ორი-სამი დღის განმავლობაში.

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 956, ფ. 32-33.**

**№68. Телеграмма И. Лорткипанидзе  
Католикос-патриарху Леониду**

**14 сентября 1919г.**

Вашу телеграмму (док. №65 – Дж. Г.) считаю нецелесообразной и сильно осложняющей дело на месте, а посему слагаю всякую ответственность за дальнейшее течение событий.

**Лорткипанидзе.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 39.

**№69. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს დეპეშა მიტროპოლიტ  
ამბროსისადმი**

1919 წ. 15 სექტემბერი

ახალ განკარგულებამდე ნუ ინებებთ წაბრძანებას სოხუმში.

**კათალიკოზი ლეონიდე.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 37.

**№70. Сообщение комиссариата Абхазии  
архимандриту Иоанну о назначении  
митрополита Амвросия временно  
управляющим Цхум-Бедийской епархией**

17 сентября 1919г.

Согласно ходатайству председателя комиссариата Абхазии Д.К.Эмухвари, Католикоским Советом временно управляющим Цхум-Бедийской епархией назначен митрополит Чкондидский Амвросий, о чем сообщается Вам для сведения и исполнения.

**За председателя Лорткипанидзе.**

**Управляющий делами К. Чантурия.**

**საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 956, ფ. 40.**

**№71. Уведомление управляющего делами  
комиссариата Абхазии Архимандриту  
о. Иоанну о его новом назначении**

**18 сентября 1919 г.**

Сим уведомляю, что комиссариатом Абхазии вы назначены в качестве представителя правительства членом «Комиссии по приему Сухумских епархиальных учреждений и Кафедрального Собора». Поэтому поручается Вам явиться к Митрополиту Амвросию и от него получить надлежащие инструкции.

**Управляющий делами К. Чантурия.**

**საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 956, ფ. 41.**

**№72. Телеграмма митрополита Амвросия  
католикосу-патриарху Всея Грузии Леониду о  
вступлении во временное управление  
Сухумской епархией**

**18 сентября 1919 г.**

Прибыв 16 сего месяца в Сухум, семнадцатого  
вступил во временное управление Сухумской епархией.

**Митрополит Амвросий.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 41.**

**№73. მიტროპოლიტ ამბროსის დეპეშა  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდესადმი საეპარქიო კრების  
დანიშვნის შესახებ**

**1919 წ. 19 სექტემბერი**

ჩავთვალე რა ეს მოუცილებლათ საჭიროდ, მე 7  
ოქტომბრისათვის მოვიწვიე სოხუმში არაჩვეულებრივი  
საეპარქიო კრება საეპარქიო საქმეთა მოსაწესრიგებლათ  
საერთოთ, კერძოთ ახალი მღვდელმთავრის ასარჩევათ.  
კრებას შეადგენენ ორი წარმომადგენელი თითო

სამრევლოდან — მღვდელი და ერისკაცი. მოგახსენებთ  
რა ამას, გამოვითხოვ თქვენი უწმინდესობისგან  
შესაფერი განკარგულებას.

**მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 40.**

**№74. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს წერილი  
მთავრობის თავმჯდომარე ნოე  
ჟორდანიასადმი ცხუმ-ბედიის ეპარქიის  
დროებით გამგებლად მიტროპოლიტ  
ამბროსის დანიშვნის შესახებ**

**1919 წ. 24 სექტემბერი**

მოწყალეო ბატონო,  
ნოე ნიკოლოზის ძევ!

სიამოვნებით გაცნობებთ მოწყალეო ბატონო,  
რომ აბხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარემ ბატონმა  
დ. ემუხვარმა მომართა საკათალიკოზო საბჭოს  
თხოვნით მოაწესრიგოს აბხაზეთის ეკლესიის საქმეები,  
ვინაითგან ამ წლის ენკენისთვის პირველითგან  
სოხუმის კათედრა თავისუფალია.

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ,  
მიიღო რა მხედველობაში, რომ საქართველოს ეკლესიის  
1917 წლის კრების განჩინებით ცხუმ-აფხაზეთის  
ეპარქია შედის საკათალიკოზოს ფარგლებში, ამა

ენკენისთვის 11 სხდომაზედ ცხუმ-ბედიის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესს, ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ამბროსის.

მოვიწვევ რა თქვენზედა ღვთის მადლსა და კურთხევას, დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი.

სრულიად საქართველოს (კათოლიკოს-პატრიარქი).

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 43.

**№75. სრულიად საქართველოს  
საკათოლიკოსო საბჭოს მიმართვა  
რესპუბლიკის მთავრობას კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს აფხაზეთში  
გამგზავრებისათვის საჭირო თანხების  
გამოყოფის შესახებ**

1919 წ. 24 სექტემბერი

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს მომართა აფხაზეთის კომისარიატმა თხოვნით, მოაწესრიგოს აფხაზეთის საეკლესიო მართვა-გამგეობა.

საკათალიკოზო საბჭომ ენკენისთვის 11 ცხუმ-ბედიის ეპარქიის დროებითი მმართველობა მიანდო ყოვლადსამღვდელო ამბროსი ჭყონდიდელს, ხოლო საქმის თავითგანვე ჯეროვნად მოწყობა სთხოვა კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდეს, რისთვისაც საჭიროა მისი უწმინდესობის სოხუმში გამგზავრება.

მისი უწმინდესობის ამ საქმეზედ ამალით გამგზავრება მოითხოვს დაახლოებით 15-20 ათას მანეთს, რაც საკათალიკოსო საბჭოს არ მოეპოვება.

ამის გამო საკათალიკოსო საბჭო პატივისცემით სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, გადმოსცეს საბჭოს განკარგულებაში ერთდროული დახმარების სახედ ზემოთაღნიშნული მიზნისათვის 15-20 ათასი მანეთი<sup>95</sup>.

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრი დევ. კ. ცინცაძე.

მდივანი

საქმის მწარმოებელი

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 43.

**№76. Акт о передаче дел бывшим  
управляющим православными церквами  
Абхазии архимандритом Иоанном митрополиту  
Амвросию**

**30 сентября 1919 г.**

1919 года сентября 30 дня бывшим управляющим православными церквами Абхазии архимандритом Иоанном вновь назначенному управляющим Сухумской епархией Чкондидскому митрополиту Амвросию сданы нижеследующие документы и вещи:



1) Опись имущества Сухумской крестовой церкви и архиерейского дома, выданная епископом Арсением 20 января 1898г.

2) Опись имущества Сухумской архиерейской церкви, выданная епископом Дмитрием<sup>96</sup> 7 января 1909 г.

3) Опись хозяйственного имущества Сухумского архиерейского дома, выданная епископом Дмитрием 7 января 1909 г.

4) Приходо-расходная книга Сухумского архиерейского дома.

5) Книга государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя Сухумского архиерейского дома за №14. 589 на сумму 3 р. 9 коп.

6) Книга государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя епископа Сухумского на расширение Сухумской крестовой церкви за № 15001 на сумму 282 р. 4 коп.

7) Книга государственной сберегательной кассы при отделении государственного банка г. Сухума на имя Сухумского архиерейского дома за №1405 на сумму 13 р. 33 коп.

8) Книга государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя архиерейской крестовой церкви за №6519 на сумму 100 р.

9) Книга государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя Сухумского архиерейского дома за №18485/14616 на сумму 668 р. 66 коп.

10) Книга Сухумской государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя Сухумского архиерейского дома за №149, на сумму 1500 р. (билетами).

11) Книга Сухумской государственной сберегательной кассы при Сухумском казначействе на имя Сухумского архиерейского дома за №406, на сумму 2000 р. (билетами).

12) Книга Тифлисской конторы госбанка в приеме вклада на годовое хранение 4% государственной ренты на сумму 2000 р., приказ Сухумскому архиерейскому дому за №49198.

13) расписка Тифлисской конторы госбанка в приеме вклада 4% государственной ренты на государственное хранение на сумму 500 р., принадлежащей Сухумскому архиерейскому дому №49197.

14) Расчетная книга Азовско-Донского коммерческого банка в г. Сухуми на имя Сухумского архиерейского дома №714 на сумму 1503 р. 34 коп.

15) Расчетная книга Сухумского общезаимного кредита на Сухумского архиерейского дома за №790, на сумму - .

16) Чековая книга Сухумского общества взаимного кредита на Сухумского архиерейского дома за №790.

17) Чековая книга Азовско-Донского коммерческого банка на имя Сухумского архиерейского дома за № 714.

18) Расчетная книга Сухумского общества потребителей «Хозяйн» на имя Сухумского архиерейского дома за № 17.

19) Проект на пристройку капитального сарая к конюшне во дворе архиерейского дома в г. Сухуме, одобренный горуправлением 3 июня 1915г.

20) Копия плана участка земли, отведенной Сухумскому архиерейскому дому из участка казенной земли под №9, Сухумского округа Кутайсской губернии (все земли в участке 470 десятин)<sup>97</sup>, от 12 декабря 1901 г., за №16.998.

21) Проект капитального сарая, навес для дров, одобренный горуправлением 12 марта 1911 г., за №607.

22) План арендаторских участков земли Сухумского архиерейского дома, составленный на 3 мая 1911 г.

23) Проект на постройку надворного каменного флигеля на участке №6, в кварт. литер «Ж» на Колюбякинской улице во владение Сухумской епархии, одобрен 14-17 мая 1902 г. за №1430.

24) Список приходов Сухумской епархии.

25) Разносная книга Сухумской епархиальной канцелярии на 1917 г. за №3555.

26) Приходо-расходная книга Сухумского епархиального совета за 1919 г.

27) Опись имущества Сухумского кафедрального собора.

28) Приходо-расходная книга Сухумского кафедрального собора на 1918-1919 гг.

29) Книга государственной сберкассы при Сухумском отделе госбанка на имя Сухумского кафедрального собора, за №2528 на сумму 40787 р. 49 коп.

30) Три расписки Сухумского отдела госбанка в приеме вклада на государственное хранение, принадлежащего причту Сухумского кафедрального собора за №№ 682, 75/379-225, всего на сумму 300 р.

31) Книга для записи доходов и расходов казенных сумм, отпускаемых на содержание певчих; выдана епископом Кирионом 19 сентября 1906 г. за №2877.

32) Ведомость Сухумского кафедрального Александра-Невского собора за 1918 г.

33) Книга государственной сберкассы при казначействе на имя Сухумского епархиального училищного совета за №19153, на сумму 162 р. 95 коп.

34) То же самое Сухумского училищного совета за № 18045, на сумму 220 р. 55 коп.

35) То же самое на имя канцелярии Сухумского епархиального училищного совета за №20334, на сумму 151 р. 25 коп.

36) То же самое на имя школы совета общества возстановления православного христианства на Кавказе за №020105/17987, на сумму 1009 р. 39 коп.

37) Опись имущества Сухумского епархиального училищного совета.

38) Хронологический каталог фундаментальной библиотеки Сухумского епархиального училищного совета с 1909г.

39) Алфавитный каталог библиотеки Сухумского епархиального училищного совета.

40) Инвентарная книга Сухумского епархиального училищного совета.

41) Бухгалтерская книга Сухумского епархиального училищного совета с 1910 г.

42) Приходо-расходная книга Сухумского епархиального попечительства о бедных духовного звания на 1917 г.

43) Квитанционная книга Сухумского епархиального попечительства о бедных духовного звания с 1910 года.

44) Расписка Сухумского казначейства о принятии на хранение 4% государственной ренты, принадлежащей Сухумскому епархиальному попечительству о бедных духовного звания за №53, на сумму 1000 рублей.

45) Книга государственной сберкассы при Сухумском казначействе на имя попечительства о бедных духовного звания Сухумской епархии на сумму 1249 р. 70 коп., за №18.233.

46) То же самое на имя похоронной кассы при Сухумском епархиальном попечительстве о бедных духовного звания за №10994 на сумму 789 р. 73 коп.

47) Книга Сухумской государственной сберкассы за №5, на имя попечительства о бедных духовного звания Сухумской епархии на сумму 9600 р. (билетами).

48) Повестка Сухумской почтово-телеграфной конторы на имя Смирнова относительно перевода по почте 40 р. 62 коп., от 17 января 1918г.

49) Две пишущие машины («Ундервуд» и «Келенгтон»).

50) Торговые счета.

51) Большие ножницы.

52) Столик для машин.

53) Две чернильницы.

54) Печать Сухумской архиерейской крестовой церкви.

55) Две печати Сухумской епархиальной канцелярии.

56) Две печати Сухумского епархиального совета.

57) Штемпель Сухумского епархиального совета.

58) Две подушки для печати.

59) Наличные деньги в количестве 40 р. 75 коп., оказавшиеся в квитанционной книге Сухумского Епархиального попечительства о бедных духовного звания.

60) Пресс-папки (?).

61) Револьвер с 5 патронами.

Все означенные внесены, акт принял митрополит Амвросий.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 956, ფ. 27-28<sup>ა</sup>.

**№77. მიტროპოლიტ ამბროსის ქადაგება  
სობუმში სარწმუნოების განმტკიცების  
აუცილებლობის შესახებ**

5 ოქტომბერი 1919 წ.<sup>98</sup>

ძმანო, ქრისტიანენო! დღეს წაკითხული სახარება ღირსია გაწაფული ყურადღებისა; ის გვასწავლის რამდენათ მიიზიდავს ის ჩვენზე ღვთის მადლს.

(შინაარსი სახარებისა). ქანანეველი დედაკაცი...<sup>99</sup>

დიდია ძალა სარწმუნოების. სარწმუნოებამ განკურნა განრღვეული<sup>100</sup>, დიდი იყო სარწმუნოება რომელის ასისტავისა, რომელზედაც ბრძანა ქრისტემ, მთელ ურიასტანში არ მიხილავს ამნაირი სარწმუნოებავო. და განიკურნა მონა მისი, რომელზედაც სთხოვდა ქრისტე-მაცხოვარს<sup>101</sup>. სარწმუნოებამ განკურნა ის დედაკაცი, რომელიც 12 წელი იტანჯებოდა უკურნებელის სნეულებით და რომელმაც ფარულად შეახო ხელი ქრისტეს კალთებს და განიკურნა<sup>102</sup>. სარწმუნოებამ ჰქმნა ის, რომ ქრისტესთან ჯვარცმული ავაზაკი გახდა სამოთხის მკვიდრი<sup>103</sup>. რა არ ჰქმნა შესაძლებელად მოციქულების სარწმუნოებამ? ისინი გაუნათლებელნი, ღარიბნი, ფეხშიშველნი მიმოივლიან მთელ მაშინ ცნობილ ქვეყნიერებას, სძლევენ მეფეთა, დიდებულთა, მეცნიერთა და სწავლულთა, სძლევენ წარმართობას, ურწმუნოებას და ქრისტეს სახარებას მოჰფენენ დედამიწას, ყველას დაუმორჩილებენ მას.

განა კერძო ცხოვრებაში და კერძო საქმეებშიაც არა აქვს მნიშვნელობა სარწმუნოებას? ვინ არ იცის, რომ რწმენა ანიჭებს კაცს გამარჯვებას? თუ კაცს სწამს დაწყებული საქმე, მაშინ ის დაწყებისთანავე ის ნახევრად გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ ადამიანს დაწყებული საქმის შესაძლებლობა თვითონ არა სწამს, არა აქვს რწმენა, რომ ღმერთი

მისცემს მას გამარჯვებას, მაშინ ძალიან, ძალიან საეჭვოა ის სისრულეში მოიყვანოს, მასში გაიმარჯვოს. რა მეომარი იქნება ის, რომელსაც ომის დროს არა სწამს, რომ გაიმარჯვებს, რომელთაც არა სწამთ, რომ მათ ღმერთი შეეწევა? ამნაირივე მხედრობა გაჭირვების დროს თვით გარბის ბრძოლის ველიდან, რის მაგალითები მოგვცა წარმართული წლების უმაგალითო ომებმა.

როდესაც ჯარში შეიტანეს ურწმუნოება, მას წაერთვა სიმტკიცე, წაერთვა უნარი და სურვილი სამშობლოს დაცვისა.

მორწმუნე ოჯახის ცხოვრება ტკბილი და სათნოებია, ოჯახის წევრთა შორის სუფევს სიყვარული, თანხმობა, შრომისმოყვარეობა, ზომიერება, სმა-ჭამა-სიმხიარულებაში, — ერთი სიტყვით, ის, რაც ანიჭებს კაცს ბედნიერებას.

მორწმუნე დედ-მამანი სასარგებლონი არიან სამშობლოსათვის, რადგან ზნეობა-სარწმუნოებით აღსავსე შვილებს უზრდიან მას; იმნაირ შვილებს, რომელთაც შეუძლიათ თავის მოღვაწეობით მოუტანონ სამშობლოს სარგებლობა. ხოლო ურწმუნოება ოჯახის დამრღვევია, ზნეობრივი ნიადაგის გამომცლებელი ცხოვრებაში. რა შვილები უნდა აღუზარდონ ეკლესიას და სამშობლოს იმ დედ-მამამ, რომელთაც თვითონ არა აქვთ სარწმუნოება, არ იზიარებენ სახარების იდეალებს, არ მისდევენ მის ზნეობრივ სწავლას? ამნაირი ოჯახი უნდა ჩაითვალოს ავადმყოფ ოჯახად და უბედურია ის ხალხი, ის სახელმწიფო, ის ერი, რომელიც შესდგება ამნაირის ერთეულებისაგან; მაშინ თვით ერიც



დაავადებული და სუსტი იქნება და ამნაირი ერი მიექანება გადაგვარება-განადგურებისაკენ.

სარწმუნოება ანიჭებს კაცს ბედნიერებას, სულის სიმშვიდეს სიკვდილის ჟამსაც კი, ის ნუგეშისმცემელია, რადგან მას სწამს, რომ სიკვდილი მხოლოდ მიცვალებაა, გარდასვლაა მომავალ სანეტარო ცხოვრებაში. ურწმუნოთა უკანასკნელი ჟამი ცხოვრებისა ვოლტერისებურად აღშფოთებული და აუტანელია.

მოვიხსენიებ იმასაც, რომ უსაფუძვლოა ის აზრი, რომელიც გავრცელებულია ჩვენს ახალგაზრდობაში, ვითომ სარწმუნოება იყოს მტერი თავისუფლებისა. ეს აზრი აშენებულია გაუგებრობაზე. ან თუ შეგნებულად ამბობენ და იმეორებენ ამას, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირი მქადაგებელნი არიან მტერნი ნამდვილის თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლების დამყარება, მისი გამაგრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხში განვამტკიცებთ სარწმუნოებას. თავისუფლება უნდა ემყარებოდეს ქრისტეს ზნეობრივ იდეალებზე, მისი მცნებების აღსრულებაზე. უამისოდ თავისუფლება გარდიქმნება თვითნებობად, როგორც ამას ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს ჩვენში ადგილი, და ხალხს მოუტანს სარგებლობის წილ მავნებლობას.

ამის დასაბუთება ახლა შორს წაგვიყვანს და ამისთვის, რომ მეტად არ დავღალო თქვენი ყურადღება, სხვა დროისთვის გადავდებ. აქ ვიტყვი მხოლოდ, რომ მოციქული პავლეც დღეს წაკითხული სამოციქულოში გვეუბნება ამ ზნეობრივი ცხოვრების საჭიროებაზე ხალხის კეთილდღეობისათვის, ხოლო თავისუფლებაც საჭიროა მხოლოდ ხალხისათვის, მისი

კეთილდღეობისათვის და სულიერად ამაღლებისათვის. მაშასადამე, სარწმუნოება საჭიროა თავისუფლების გამაგრება-გაფართოებისათვის.

მაშ, მივხედოთ, მორწმუნენო, ქანანეველის ღრმა სარწმუნოებას და მაშინ ჩვენი ცხოვრება იქნება მშვიდი, მყუდრო, ზნეობრივად ამაღლებული, და მაშინ იქნება ნამდვილი ახლად მოპოვებული ჩვენი თავისუფლება; მხოლოდ მაშინ ჩვენი ცხოვრება გადიქნება იმ სასუფეველად, რომელზედაც გვითხრა ქრისტემ, რომ ის ჩვენ შიგან არისო (ლუკა, 17, 21 – ჯ. გ.).

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 38.

**№78. Выступление митрополита Амвросия на  
чрезвычайном епархиальном съезде<sup>104</sup>  
в Сухуми**

**7 октября 1919 г.<sup>105</sup>**

Приветствую настоящее чрезвычайное собрание духовенства и мирян; оно должно совершить дело чрезвычайной важности, оно должно найти тот исторический путь, которым шествовала Абхазская церковь в продолжении длительного ряда веков до начала 19-го столетия, оно должно восстановить древнюю связь местной церкви с Иверской католической церковью для того, чтобы совместно дружиною работою осуществлять заветы Христа. Значение этого первого в жизни местной церкви чрезвычайного собрания велико и потому всем членам собрания необходимо относиться с подобающей вдумчивостью и

серезностью к поставленным для осуществления задач(ам). Национальная рознь здесь не должна сказаться и помешать общеполозному делу, ибо мы, если хотим быть членами Христовой церкви, не должны идти в этом деле в разрез с требованиями Евангельского учения. Взгляд же христианского учения на это нам должен быть известен.

В христианской церкви разность плотского происхождения не имеет значения, в ней нет ни эллина, ни иудея, ни скифа и ни варвара, но все едины, все равны.<sup>106</sup> По этому никакой народ не должен считать себя привилегированным в церкви Христовой. Все должны быть объединены верою и любовью. Национальные особенности каждого народа во взглядах и богослужебных обрядах должны сохраняться и уважаться.

Каждый народ должен славить Бога и поучаться на своем языке. Только те церковные службы, те назидания действены, которыя предлагаются верующим на их родном яыке. Только родная речь способна постигнуть в глубину человеческого сердца, затронуть самыя чувствительныя струны человеческой души, настроить религиозно. Иноязычье архипастырей и пастырей нетерпимо в церкви Христовой. Проповедующий на незнакомом языке, по апостолу, кимвал<sup>107</sup> звучит и потому не может принести пользы.

Поэтому мы должны отказаться от той нетерпимости к инородцам, какия царила в бывшей Сухумской епархии. Любовь, братство и единение с теми, которые не станут отказываться от христовых

заветов; вот какого должно быть направление нашей христианской жизни.

Таким именно духом любви и терпимости к русским отличалась вся моя деятельность в Сухуме за короткое время моего временного управления Сухумской епархией, как это увидит почтенное собрание из нижеследующего очерка этой деятельности.

Вступив 17 сентября в исправление обязанностей по управлению Сухумской епархией, я от 18.. см. газ. «Наше слово»<sup>108</sup>, № 21... (так в тексте – Дж.Г.).

На мое предложение высказаться, как бы они (русские) хотели устроить дело удовлетворения религиозных нужд русского населения города, раз они не желают продолжать службу под моим управлением, прот. Голубцов просил повременить до созыва приходского собрания, которое должно высказаться по этому поводу. С разрешения Комиссариата русские 28 сентября имели свое приходское собрание, на повестку котораго поставлены были следующие вопросы: - см. дальше протокол собрания.<sup>109</sup>

После такой неприемлемой резолюции, всякие переговоры мною уже прекращены, ибо двух взаимно друг друга исключających прав при соборе не может быть; право определено уже декретом комиссариата (док. №94 п. 8 – Дж.Г.) и никаких уступок на этот счет я не мог сделать.

Разрешение же служения в соборе, предложенное и обещенное мною русским, вытекало не из им непринадлежащего права, а из моего стремления братски протянуть руку помощи православным русским нашего

города и дать им возможность удовлетворять свои религиозные потребности. Подобные уступки диктовались не правом, а христианским братолюбием. В народе, как мне стало известно, стали меня обвинять в излишней слабости и уступчивости, но такая тактика необходима была, ее требовало не только наше христианское учение, но и собственная наша польза, ибо этим способом действия русским отрезан путь к обвинению нас в человеконенавистничестве и нехристианских действиях. Мы, изведав горечь несправедливаго попраiania наших религиозных интересов за время рабства нашей церкви, не должны быть несправедливыми к другим в деле удовлетворения их религиозных потребностей.

Правда, замедлялся прием собора, но это зависело от того, что при соборе причт, которому нужно было сдать собор и соборное имущество, еще не укомплектован.

Много мешало правильному течению по приему дел по управлению епархии, по устройству съезда и правильной постановке вопросов то обстоятельство, что до сих пор не мог получить из Тифлиса директив и руководственных указаний. На мою телеграмму от 18 сентября с сообщением о вступлении моем во временное управление Сухумской епархией (док. №72 – Дж. Г.) от Его Святейшества Католикоса-Патриарха Леонида получена следующая телеграмма на мое имя: «Душевно поздравляю с вступлением в управление Сухумской епархией, радуюсь за дорогих братьев абхазцев. Бог да ниспошлет Вам полный успех».

19-го числа того же месяца мною послана на имя Католикоса-Патриарха такая телеграмма: «Признав крайне необходимым, на 7-е октября созываю в Сухуме Чрезвычайный епархиальный съезд для урегулирования епархиальных дел вообще, а в частности, для избрания нового архипастыря. Состав съезда по одному священнику и одному мирянину от каждого прихода. Донося об этом, испрашиваю соответствующих указаний Вашего Святейшества» (док. №73 – Дж. Г.).

Не получив на это ответа, 25 сентября я опять послал телеграмму: «Прошу сообщить Ваш взгляд на устройство управления Сухумской епархией. Желательно ли сейчас же избрать епископа. В случае необходимости благоволите указать нам кандидатов. Средств для содержания епископа и учреждений пока нет». В ответ на это 27-го получена такая телеграмма Его Святейшества: «Съезд духовенства благославляю. Скоро буду в Сухуме, все объясним». На это извещение я 29 числа ответил: «Приветствую Ваше решение посетить Сухум. Благоволите сообщить точно когда и каким путем пожелаете». Несмотря на все это, до сих пор не получено указаний от Католикосата, но все же я решаюсь поставить на разрешение съезда следующие вопросы:<sup>110</sup>

декрет

- а). О каноническом устройстве и зависимости Сухумской епархии в связи с декретом;
- б). Изыскание средств содержания Сухумской епархии;
- в). Избрание епископа;
- г). Соборный штат;

д). Избрание членов епархиального совета и епархиального суда;

е). Разделение епархии на округа;

ж). Открытие курсов для приготовления священно-церковнослужителей и изыскание средств для этого и

з). В связи с этим вопрос о здании и положении церквей Илорской и Сухумской Кладбыщенской.

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 306.

## **№79. Постановление №2 Чрезвычайного собора православного духовенства и мирян Цхум-Абхазской епархии**

**7 октября 1919 г.**

1919 года октября 7-го Чрезвычайный Собор православного духовенства и мирян Абхазского края, заслушав декрет Комиссариата Абхазии от 1 сентября 1919 г. (док. №94, п. 8 - Дж. Г.) и приняв во внимание, с одной стороны, многовековую культурно-историческую связь нашего края с Грузией и с, другой – то обстоятельство, что со вступлением на автономных

началах Абхазии в состав Грузинской Демократической Республики недопустимо здесь существование инодержавной церковной власти, постановил: 1) На территории автономной Абхазии восстанавливается самостоятельная епархия Грузинского Католикосата с наименованием ее Сухумско-Абхазского. 2) Во главе епархии стоит самостоятельный епископ, имеющий кафедру и резиденцию в г. Сухуме.. 3) В состав Сухумо-Абхазской епархии входят все, без различия национальностей, приходы, монастыри и церковные учреждения между реками Ингури и Мехадырем.<sup>111</sup>

4) Пользуясь свободой в делах внутренней жизни и церковно-приходского распорядка, Сухумо-Абхазская епархия находится к центральным органам Грузинского католикосата в каноническом отношении в таких же отношениях, как и другие самостоятельные епархии Грузинской церкви. 5) Во церковно-гражданском отношении правовое юридическое положение Сухумо-Абхазской епархии в Демократической Республике Грузии нормируется конституцией автономной Абхазии (см. док. №87 – Дж. Г.).

Подлинник за надлежащими подписями.<sup>112</sup>

С подлинным верно: Временно исполняющий обязанности секретаря Сухумской епархиальной канцелярии **В. Хоштария**.

საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 463, ფ. 49<sup>ა</sup>.



**№80. Постановление №4 Чрезвычайного  
собора православного духовенства и мирян  
Цхум-Абхазской епархии**

**7 октября 1919 г.**

1919 года октября 7-го Чрезвычайный Собор православного духовенства и мирян Абхазского края под председательством архимандрита о. Иоанна имел суждение о замещении вакантной кафедры Сухумско-Абхазского епископа и наметил единственным кандидатом на сию кафедру Высокопреосвященного митрополита Амвросия Чкондидели. По изъявлении же Его высокопреосвященством своего согласия на занятие сей кафедры, собор единогласно и единодушно избрал высокопреосвященного Амвросия епископом Сухумским (см. №88 – Дж. Г.).

Подлинник за надлежащими подписями.

С подлинным верно: Временно исполняющий обязанности секретаря Сухумской епархиальной канцелярии **В. Хоштария.**

საპატრიარქოს არქივო, ადწ. 1, ს. 463, ფ. 51.

**№81. Телеграфное сообщение Цхум-Абхазского  
митрополита Амвросия об объединении  
Цхум-Абхазской епархии с Грузинской  
церковью**

**9 октября 1919 г.**

Святейшему Леониду, Католикосу-Патриарху  
Всея Грузии.

Копия редакциям «Борьба» и «Обновление».

Чрезвычайный Собор православнаго духовенства  
и мирян Абхазско-Самурзаканскаго края единомышленно и  
единогласно постановили седьмого сего октября снова  
объединиться с Грузинской церковью; просим Ваше  
Святейшество благословить венец лета новой жизни  
Сухумской епархии апостольским, отеческим  
посещением, а Католикосатский Совет – причислить нас  
с любовью в состав Католикосата.

**Председатель Собора Митрополит Амвросий.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 46.**

**№82. დეკანოზ კ. ცინცაძის დეპეშა  
სოხუმიდან საეპარქიო კრების  
გადაწყვეტილების შესახებ და კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს პასუხი**

**1919 წ. 9 ოქტომბერი**

თბილისი, უწმინდეს კათოლიკოსს ლეონიდს!  
აქაურმა კრებამ განაჩინა შემოერთება  
საკათალიკოსოსადმი, ეპისკოპოსად აირჩია ამბროსი  
ჭყონდიდელი.

**დეკანოზი ცინცაძე.**

ჩემი პასუხი

**სოხუმი, მიტროპოლიტ ამბროსის,  
აფხაზეთ-სამურზაყანოს მორწმუნე ერს  
და სამღვდელოებას!**

დედა ეკლესიასთან შემოერთებით და  
მღვდელმთავრის საუცხოვო არჩევნებით აფხაზეთის  
საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაიწერეს  
თავი სამშობლოს მატთანში. ლოცვა-კურთხევა  
შემოერთებულ ჩემს ძეთა და ასულთ, ხოლო შენ  
ტკბილი სალამი და ძმური მილოცვა თავისუფალი  
აფხაზეთის ღირსეულ მწყემსმთავარს.

**კათალიკოზი ლეონიდი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 47-47<sup>ა</sup>.**

**№83. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის სიტყვა სოხუმში კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდესთან შეხვედრაზე**

**1919 წ. 17 ოქტომბერი<sup>113</sup>**

უწმინდესო და უნეტარესო მამამთავარო!

კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ადმრა გული შენის უწმინდესობისა მოხილვად ჩვენის ამ განაპირა კუთხისა. მართალია, უწინაც გიხილავსთ ეს მხარე, ვინაიდგან შენი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთი კუთხე ჩვენის სამშობლოსა არ დაგრჩენიათ მიმოუხილავი. ყველგან გითესიათ ღვთის სიტყვა, მაგრამ ახლანდელი შენი — უუმაღლესი ხარისხითა აღჭურვილის — მობრძანება სულ სხვაა, განუზომლად უფრო დიდმნიშვნელოვანია. XVII საუკუნის დამლევადან აფხაზეთს არ უხილავს კათოლიკოზ-პატრიარქი,<sup>114</sup> ვინაიდან ამის შეუძლებლობა შექმნა ოსმალეთის გავლენის გამძლიერებამ ამ მხარეში.

ჯერ ჩვენს პროვინციებს არ უხილავს ახლადადღენილი ჩვენი ავტოკეფალურ ეკლესიის მამათმთავარნი და ჩვენი ქალაქი ბედნიერად სთვლის თავს, რომ პირველობა ამაში მას ერგო.

აფხაზეთი ას ათი წლის მონობის შემდეგ<sup>115</sup> განიცდის იმ ხანას, როდესაც მან უნდა მოიგონოს და მონახოს თავისი ისტორიული გზა და შეუერთდეს დედა კათოლიკე ივერიის ეკლესიას. ისტორია კი გვეუბნება, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი ეკლესია მთლიანი იყო, სარწმუნოებაც ჰყვავდა ამ მხარეში, რაზედაც მკაფიოდ გვეუბნება აბო ტფილელის ცხოვრება. მაშინ ეს მხარე კულტურულადაც მაღლა იდგა. ამის მოწამენი და დამადასტურებელნი არიან: ბიჭვინთა, ლიხინი, პსირცხა, დრანდა, მოქვი, ბედია, ტაძრების ნანგრევები წებელდაში, რომელთა შესახებ ამ დღეებში მივიღე ცნობები და სხვანი. ყველა ამ დიდებულ ნაშთებზე ღრმად არის ბეჭედი ქართველთა

და აფხაზთა მჭიდრო კავშირისა, ძმურად ხელი ხელჩაკიდებულის შეერთებულის მუშაობისა.

საჭიროა ამ ძველი გზის მონახვა, ამ კავშირის განახლება, ძველებური სარწმუნოების და კულტურის გაღრმავება ამ მხარეში, აფხაზ-ქართველთა კვლავ ძმურად ჩაჰკიდონ ხელი ერთმანეთსა და შეერთებულის ძალით გამარჯვებულად იარონ ცხოვრების გზაზე ამ არსებობისათვის ხალხთა შორის უმაგალითო ჭიდილის დროს, რომ არ შთაინთქან მოზღვავებულ და მახვილით გარემომდგარ მტერთა ოკეანეში. ძალა ერთობაშია. ეს შეიგნეს აქაური მოწინავე მოღვაწეებმა და ხალხმა — აფხაზეთი ეკლესიურად გაერთიანდა საქართველოსთან (დოკ. №№ 79-82 – ჯ. გ.). ამ ერთობის მხოლოდ განმტკიცებით შეიძლება ჩვენ და განსაკუთრებით კი აფხაზებმა შეინარჩუნონ თავისი ვინაობა, ენა, ზნე-ჩვეულებანი, ნაციონალური თავისებურება-მიდრეკილებანი; ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ანიჭებს ხალხს ნაციონალურ ელფერს. ამაშია საფუძველი აფხაზთა მომავლის კეთილდღეობისა.

ამნაირი ერთობის გასამტკიცებლად მართლაც ღირდა შეგეწუხებიათ თავი და მიგელოთ შრომა ამ მხარის ნახვისათვის. კურთხეულ იყოს თქვენი ჩამოზრდანი ამ ღვთივდაცულ ქალაქში.

შემოვედ, უწმინდესო და უნეტარესო მამამთავარო, ამ მრავალ უსამართლოების მოწამე წმ. ტადარში; იმ ტადარში, რომელშიაც არ ჰგუობდნენ წირვა-ლოცვას და თვით აღდგომის დღესაც კი, როდესაც მიღებული წესით ყველა ენაზე იკითხება სახარება, აღკრძალული იყო მხოლოდ ქართულ ენაზე

სახარების მოსმენა; შემოვედ, გვაკურთხე და ჩაჰბერე, უწმინდესო მამამთავარო, ცხოველმყოფელი ძალა ჩემს მოღვაწეობას ამ მხარეში. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა (ფს. 117 (118), 26. — ჯ.გ.).

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 40.

## №84. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის ქადაგება ოჩამჩირეში

1919 წ. 28 ოქტომბრის შემდეგ<sup>116</sup>

კურთხეულ არს ღმერთი და უფალი ჩვენი, რომელმაც ღირსმყო შემესრულებინა ამ წმ. ტაძარში<sup>117</sup> წირვა, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მომცა საშუალება ვიქონიო თქვენთან სულიერი ურთიერთობა და მწყემსმთავრული გავლენა. ამიერთაგან თქვენ ხართ ნამდვილნი წევრნი ივერიის ეკლესიისანი და ამას ექნება დიდი გავლენა, რომ აფხაზეთის მკვიდრნი გაერთიანდნენ საქართველოსთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სარწმუნოებრივ-ეკლესიურადაც.

საქართველომ აღადგინა თავისი ისტორიული უფლებები; თავისი მომავალი ბედი დაუკავშირა იმ დროებას, როდესაც ის იყო თავისთავის პატრონი, როდესაც მთლიანი საქართველოსთან შეკავშირებული იყო კულტურულათ აფხაზეთიც. მან უნდა გამონახოს თავისი ისტორიული გზა კულტურულად განვითარებისათვის.

ისტორიულ გზის ხსენებაზე მეტყვიან: “ჩვენ უკან არ ვიხედებით, ჩვენ ველტვით მხოლოდ მომავალსაო,

მაგრამ ამნაირი ახლა ზოგიერთ მიმართულების მიმდევართაგან ქადაგებული აზრი და შეხედულობა შემცდარია. ჩვენ ახალ ცხოვრებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ წარსულის გამოცდილებით; “დადექით გზათა ზედა და იკითხენით საუკუნეთანი, იხილეთ რომელ არს გზა კეთილი და ვიდოდეთ მას ზედა” (იერ. 6, 16). (გაგრძელება იხ. ქადაგება 87).<sup>118</sup>

1. დღესაც, როგორც წარსულ კვირას წაკითხული სახარება გვეუბნება იმის თაობაზე, რომ ჩვენ ღვთის მოწოდებას მივსდით, არ ვექმნეთ ურჩნი თუ არ გვინდა მივიღოთ სასჯელი ღვთიასგან. იყო კაცი მეუფე, რომელმაც გამართა ქორწილი მისა თვისისა (მათე, 22, 1-14).

2. ვინ იგულისხმება იგავში. ებრაელები, წინასწარმეტყველნი, და ისინი, ვინც არ იმოსებიან საქორწინე ტანისამოსით: ვისაც არა აქვთ კეთილნი საქმენი, სათნოებიანი ცხოვრება, არ ემზადებიან სასუფევლისათვის ამ სათნოებიანი ცხოვრებით.

3. ნუ განვიკითხავთ ებრაელებს, რომელთაც მიიღეს თავისი, რაც ერგებოდათ, რომელნი გაგდებული და დასჯილ არიან არა საქორწილო ტანსაცმლის — კეთილი ცხოვრების და სათნოების უქონლობისა გამო. მივაქციოთ ყურადღება ჩვენს ცხოვრებას, ჩვენც (ხომ) არ ვემსგავსებით ებრაელებს... ჩვენც გვიხმობს ღმერთი, მაგრამ იერემიას სიტყვების არ იყოს, ჩვენ განვიზრახეთ და ვეუბნებით ურთერთს: “არა ვუსმინო მასო” (იერ. 6, 17); ანუ განა ასე არ ვეუბნებით ღმერთს, როგორც ეს მოთხრობილია იობის წიგნში? განა ჩვენში არ არიან იმნაირნი, რომელნიც ეტყვიან უფალსა: “განგვეშორე ჩვენგან, არა გვნებავს ცნობად გზათა შენთა, რაი სახმარ

და სარგებელ არს, რათა ვმონოთ და ვუსმინოთ მას (იოზი, 21, 14-15)? განა ხშირად ჩვენი ურწმუნონი არ იმეორებენ ფარაონის სიტყვებს: “ვინ ხარ შენ, რამეთუ ვისმინოთ ხმა შენი? არა ვიცი უფალი” (გამოსვლა, 5, 2); ანუ ფელიქსისაებრ არ ვიქცევით, რომელმაც მის სიმართლე და მოთმინებაში დარიდების შედეგად უთხრა მოციქულ პავლეს: “აწ ამას ჟამსა წარვედ და ჟამსა მას მოცალესა მოგიწოდო შენ” (საქმე წმიდათა მოციქულთა, 24, 25). ე.ი. თავის დასაღწევად, მისთვის უსიამოვნო მქადაგებლის მოსაცილებლად ჩვენც ხშირათ ვამბობთ, ახლა არ მცალია, მერე მოგისმენ, მერე შევასრულებ შენს დარიგებას.

4. ის, ვინც შემოვიდა არასაქორწინო ტანისამოსით, გრძნობდა თავის დანაშაულს, მას აწუხებდა სინდისი და ამის გამო ვერაფერი მიუგო უფალს. თვითოეულ ჩვენგანში ისმის ის ხმა, რომელსაც ჩვენ ვეძახით სინდისს. სინდისი გვეუბნება ჩვენ, რომ ვერიდოთ ბოროტებას, გვასწავლის, გვიჩვენებს რა არის კეთილი და რაა ბოროტი. ბოროტისათვის გვაწუხებს, გვამხელს, გვექეზნის, ხოლო კეთილისათვის სიამოვნებას გვგვრის და გვაგრძნობიებს კმაყოფილებას. ის გვეუბნება “იარე ეკლიანი გზით, გზით ქველმოქმედებისა და სათნოებისა და მის ბოლოს ნახავ საუკუნო ნეტარებას”. სინდისი თხოულობს ჩვენგან ვიწამოთ ღმერთი, მისი მსახურება გვიყვარდეს, ვიყოთ პატიოსანნი, სათნოებიანნი და აღმასრულებელნი მოვალეობისა; გვეუბნება, რომ უსჯულოებისათვის დასჯილნი ვიქნებით განსჯა-განკითხვის ჟამს.

5. თვითოეულ ჩვენგანს მიაქვს ამ განსჯა-განკითხვისათვის თავისი გული, რომელიც არის



სარწმუნოების, სათნოების, სიყვარულის და საზოგადოთ ვნებათაღელვის სამყოფი. ეს გული შეიძლება წავამსგავსოთ გადაშლილ წიგნს, რომლის ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი კეთილი საქმეები, მაგრამ გვერდი ცარიელია. მეორე კი უნდა იყოს დაუწერელი, მაგრამ გადაწერილი ჩვენის ცოდვებით და უსჯულოებით. აი გული კაცისა სამსჯავროს წინაშე. ღმერთი ეტყვის, მასში უნდა ყოფილიყო სიყვარული, სათნოება და (სიტყვა გამოტოვებულია — ჯ.გ.), მაგრამ ცარიელია; ხოლო უსჯულოება, შეუბრალებლობა და ბოროტებით სავსეა და ამისთვის საჭირო სინანულის ცრემლებით განგებანა...

6. სინდისი კაცის შინაგანი სამსჯავროა. დამნაშავეს შეუძლია დაემალოს კაცობრივ სამსჯავროს, ხოლო სინდისის მხილებას, მის მსჯავრს ვერასგზით დაემალება. დიდი სატანჯველია სინდისის მხილება, აუტანელია. იმპერატორი კონსტანტინე და მისი ძმა თეოდოსი... ბავშვის მკვლელი აბბა ზოსიმესთან...

7. რაც შეიძლება ხშირათ და გულდადებით იკითხეთ წიგნი თქვენის სინდისისა. “როდესაც შენ სადამოს დაწვები, როდესაც განმარტოებული ხარ და არავინ გიშლის, დაძინებამდის გაშალე წიგნი შენის სინდისის და იკითხე, გამოიკვლიე, ხომ არ შესცოდე რამე სიტყვით ან საქმით” (Златоуст<sup>118a</sup>) და თუ აღმოჩნდა, რომ გვაქვს დანაშაული, თუ გვამხილოს ცოდვაში, მაშინვე ეცადე მიჰმართო სინანულს. შეინახე სინდისი, რომ ის მუდამ იყოს წმიდა და არ გვამხილებდეს, არ გვტანჯავდეს.

ჰ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 39.

**№85. დ. დავითაშვილის წერილიდან  
აფხაზეთში სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს  
სტუმრობის შესახებ**

**1919 წ. 30 ოქტომბერი<sup>119</sup>**

...სოხუმთან მისვლისას გაისმა ზარბაზნის გრიალი, — ნიშანი ძვირფასი სტუმრის მოახლოებისა; პირველს მოჰყვა მეორე, მესამე ხმა, შეიქმნა ზღვის ნაპირს ჩოჩქოლი. სანაპიროზე მდგომ გემზე საამოდ დაფრიალებდნენ საქართველოს ბაირაღები. ბაქანი ხალხით იყო გატენილი. სადგურზე თავისუფალი ადგილი აღარსად სჩანდა. სანაპირო ქუჩა ხალხით გაჭედულია. ჩვენი გემი მისრიალდა ნაპირზე. ბაქნის კუთხიდან გამოიმართა ნავი, რომელშიაც გამოჩნდა ფეხზე მდგომი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი და მასთან წინადვე გაგზავნილი დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი კალისტრატე ცინცაძე. პირველი ესენი მიესალმნენ კათოლიკოსს; მათ შემდეგ გემში ჩამოვიდნენ აფხაზეთის მთავრობის და ქალაქის წარმომადგენელი. მიტროპოლიტი და დეკ. ცინცაძე გაემართნენ ტაძარში მათ უწმინდესობის დასახვედრად. ცოტა ხნის მოცდის შემდეგ ნავი მორთვეს კათოლიკოსსაც. ბაქანზე ასვლისას მას დაუხვდა სასალამო სიტყვით ადგილობრივ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ა. გრიგოლია (კომენტ. 137 – ჯ. გ.). მას შემდეგ წარსდგა სოხუმის ქალთა საზოგადოების წარმომადგენელი ქ-ნ ანჩაბაძისა.<sup>120</sup> ორივეს მეუფემ მადლობა გამოუცხადა და გამოსთქვა

იმედი, რომ ახლად აღორძინებულ თავისუფალ სამშობლოში ქალთა საზოგადოებაც არ დაზოგავს თავის ძალღონეს, რომ იგი ღირსეულ მემკვიდრედ ჩაირიცხოს ისეთ დიდებულ ადამიანთა, როგორც იყვნენ თამარი, ნინო და სხვანი. ამის შემდეგ მეუფე გაემართა ქალაქისაკენ. ბაქანის ორთავე მხარეს იდგნენ მოსწავლენი და ჯარები. გაისმა საამო ქართული ჰიმნი. მიმავალ კათოლიკოზს ხალხი თან მისდევდა. მის უწმინდესობას სთხოვეს ეტლში ჩაბრძანება, რომელსაც ირგვლივ შემოხვეული მოქალაქენი მისდევდნენ საეპარქიო ტაძარში. აქ მეუფეს მიეგება ქართული და ბერძნული სამღვდელოება მიტროპოლიტ ამბროსის წინამძღოლობით, რომელმაც შესაფერი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ეს ის ტაძარია, რომელშიც აღდგომის დღესაც კი აკრძალული იყო ქართულ ენაზე სახარების კითხვაო (დოკ. №83 – ჯ. გ.). გადახდილ იქნა პარაკლისი, რის შემდეგ კათოლიკოზმა მეტად გრძნობიერ სიტყვით მიმართა დამსწრეთ. შაბათს კათოლიკოზმა ილოცა ტაძარში და კვირას სწირა მიტროპოლიტის თანამსახურებით. თანამწირველად იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსი მღვდლები. წირვა სწარმოებდა სამ ენაზე. იმ დღეს მათმა უწმინდესობამ მღვდლად აკურთხა ბერძენი ვინმე საბა ლაზარაიდი, ხოლო მიტროპოლიტმა – რუსი ნიკ... წირვაზე დამსწრე საზოგადოებას კათოლიკოზმა მიმართა სიტყვით. ორშაბათს, 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე მეუფე ლეონიძმა ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი,<sup>121</sup> რომელსაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ თავიანთ სამშობლოს სამსახური; განუმარტა თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ

ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს, რომ იგი განმტკიცდეს, აღორძინდეს. რადგან გარნიზონში ბევრი მეგრელებიც ერია, მათ უწმინდესობის სიტყვა მეგრულ ენაზე გადასცა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ. ჯარისკაცები და მათი ხელმძღვანელები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. საათის პირველზე კათოლიკოზი გამოესალმა და აქიდან წაბრძანდა სასაფლაოს და ბერძნების ეკლესიის დასათვალიერებლად, საიდანაც დაბრუნდა 2 საათზე.

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, მათი უწმინდესობა თავის ამალით წაბრძანდა ახალ ათონის მონასტერში. წინამძღვარი და ბერები (რიცხვით 80-მდე) მიეგებნენ ტაძარში ზარის საზეიმო რეკით; გადახდილ იქნა პარაკლისი, რომელზედაც ილოცეს საქართველოს მთავრობისა და კათალიკოზ ლეონიდეს დღეგრძელობისათვის. პარაკლისის გათავებისას მისმა უწმინდესობამ მიმართა მეტად გრძნობიერი სიტყვით და აღნიშნა, რომ ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი ვისმე დევნით. ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ დათვალიერებულ იქნა ყოველივე საყურადღებო. საათის ორზე სტუმრებს მიართვეს საუზმე და სამ საათზე მათი უწმინდესობა დაბრუნდა სოხუმში. მეორე დღეს 22 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე დანიშნული იყო მიტროპოლიტის ბინაზე კრება, რომელზედაც უნდა დასწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენელნი. საგანი კრებისა — ახალ ეპარქიის მოწყობა, მოწესრიგება. მოსმენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა ეპარქიის შესანახად. მეტად საყურადღებო იყო ეს სხდომა. ეპარქიის შესანახად საკმარისი მნიშვნელოვანი ხარჯის დაკისრება იყო საჭირო და, ერთის შეხედვით,

ადამიანს უნდა ეფიქრა, რომ სოციალისტური მთავრობა ასე ადვილად ვერ იკისრებდა საეკლესიო საქმისათვის ასეთი ხარჯის გადახდას, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა, თითქოს ყველას დაავიწყდა პარტიული ჟინიანობა-ფანატიკურობა და შეთქმულები ყოფილიყვნენ უსათუოდ მივეშველოთ ეპარქიის გამტკიცებასო. სულ ნახევარ საათში გადასწყვიტეს ის, რაც შეიძლება სხვას მთელი დღის საღაობოდ ეყოფოდა. ერთხმად გამოსთქვეს აზრი, რომ ეკლესიის საკითხი დღეს ეროვნული საკითხიაო და მოვალენი ვართ ყველა ზომა მივიღოთ, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ გაიყინოსო. მიტროპოლიტს ამბროსის აღუთქვეს სრული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება. ასე გასინჯეთ, საეკლესიო მგალობელთა გუნდის შენახვის ხარჯიც კი არ იყო დატოვებული უყურადღებოდ. მას თვეში ესაჭიროებოდა 10000 მ. ერთხმად დაადგინეს ეს სავალდებულოდ გაუხადონ სოხუმში არსებულ ფილარმონიულ საზოგადოებას. სხდომის დამთავრებისას კათოლიკოზმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეთ და აღნიშნა, რომ ხელი-ხელ ჩართული საქმიანობით ბედნიერი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყანაო.

დილით ამავე დღეს კათოლიკოზ-პატრიარქი ბრძანდებოდა დრანდის მონასტერში. აქ ბერებს გვიან გაგებოდათ მათი უწმინდესობის განზრახვა და მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ. აქაც მეუფემ სიტყვით მიმართა და მცირე საუბრის შემდეგ დაბრუნდა ისევ სოხუმში. 23 ოქტომბერს, ხუთშაბათს სოხუმის საზოგადოებას გაემართნა ნადიმი, რომელზედაც მიწვეულ იქმნა მათი უწმინდესობა თავისი ამალით.

ნადიმს დაესწრო მთელი აფხაზეთის მთავრობა და სოხუმის ინტელიგენცია, აფხაზების წარმომადგენელნიც. სუფრაზე წარმოთქმულ იქნა ბევრი საგულისხმო სიტყვები, რომლის დედა აზრი იყო ის, რომ ეკლესია და საეკლესიო საკითხი ქართველ ერისათვის უბრალო შეუმჩნეველი საკითხი არ არის და რომ ამას მთავრობაც ანგარიშს უწევს. გარკვევით გამოითქვა ისიც, რომ სამღვდელოება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ყოველთვის სამშობლოს ერთგულნი ყოფილან და არიან დღესაც. ერთმა ადგილობრივ მთავრობის პირმა ისიც კი განაცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის პროგრესული სარწმუნოება და არა რეტროგრადული, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია...<sup>122</sup>

**გაზ. საქართველო, 1919 წ. 30 ოქტომბერი.**

## **№86. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის ქადაგება ურწმუნოების წინააღმდეგ**

**1919 წ. 9 ნოემბერი<sup>123</sup>**

ადრინდელი დრო, დრო ურწმუნოებისა არ შეადგენს ერთადერთ გამონაკლისს კაცობრიობის ცხოვრებაში. ყოველ დროს ჰყოლია თავისი პირმოთენნი, იმნაირი პირები, რომელთაც ამა ქვეყნის მძლავრების უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღვთისა და სინდისისა, რომელთაც ამ შემთხვევაში ალაპარაკებს და ამოქმედებს არა ჭეშმარიტება და სამართლიანობა, არამედ პირადი ინტერესები. დღეს წაკითხული

სამოციქულო მოგვითხრობს და გვამღევეს ამის საგულისხმიერო მაგალითს.

რომის იმპერატორები ავგუსტოსი და ტიბერიოსი<sup>124</sup> ებრაელებს აძლევდნენ თავისუფლებას ჰქონოდათ და შეენახათ თავიანთი ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ქრისტიანებს კი სდევნიდნენ. იყვნენ იმნაირნი პირნი, რომლებიც დევნულობის ასაცილებლად ურჩევდნენ გალატიაში მცხოვრებ ქრისტიანებს აესრულებინათ გარეგნულად ზოგიერთი ებრაული სარწმუნოებრივი ჩვეულებანი და მათ შორის წინადაცვეთაც. ეს საჭიროთ მიაჩნდათ იმისთვის, რომ აეცილებიათ თავიდან დევნა, დაცინვა და დაეცვათ თავიანთი პირადი ინტერესები. ამათ ეშინოდათ კაცთა უფრო, ვიდრე ღმრთისა და სინდისისა. ისინი თავის რწმენას ღალატობდნენ და არ უნდოდათ ეჩვენებიათ თავიანთი სარწმუნოება, — ქრისტეს მიმდევრობა. აი, ამნაირი მიმართულებას გალატელთა ქრისტიანთა ჰგმობს მოციქული პავლე<sup>125</sup> და გვირჩევეს, რომ ჩვენს რწმენას, ჩვენს ქრისტეს მიმდევრობას კაცთა შიშით ან სხვათა მიზეზით არ უნდა ვუღალატოთ. არ უნდა გვქონდეს პირმოთნეობა და უშიშრათ ვაღიაროთ ჩვენი სარწმუნოება.

ახლაც, ჩვენს დროში, ბევრნია იმნაირნი, რომელთაც კაცთა უფრო ეშინიათ, ვიდრე ღვთისა. ბევრია, რომელთა სწამთ ღმერთი, აქვთ სარწმუნოება, თავიანთ თავს სთვლიან ეკლესიის შვილებათ, მაგრამ ფარულად ინახავენ თავის სარწმუნოებას, რადგანაც ეშინიათ, რომ ქრისტიანობის მიმდევრობისთვის არ განიცადონ დევნულობა. ამის ასაცილებლად ურწმუნოთ აჩვენებენ თავს, ერიდებიან ქრისტიანულ

მოვალეობის ასრულებას. ერთი მორწმუნემ ერთ ჩემს სამწყსოისაგან განიზრახა შესამოსელის და სამკაულის ყიდვა ადგილობრივი ეკლესიისათვის. მალულად მივიდა მოძღვართან, გადასცა ფული, სთხოვა გამოეწერა, რაც საჭირო იქნებოდა იმ პირობით, მისი შემომწირველის პიროვნება არ იქნეს გამომჟღავნებული. მას ეშინოდა, რომ არ მოეკვლათ. ეს იყო შარშან. ახლა კი გარემოება შესამჩნევად შეიცვალა და არ არის მოსალოდნელი ამნაირი შიში — განა ეს არ არის დასაგმობი მოციქული პავლესებური სიტყვებით, რაც ჩვენ გვესმა დღეს.

ამნაირ შიშს აორკეცებს ის გარემოება, რომ ეს მშიშარანი და შიშის გამო სარწმუნოების მოღალატენი ჰფიქრობენ, რომ კაცს უფრო შეუძლია მათ ავნოს, ვინაითგან კაცი უფრო სულმოკლე და შეუბრალებელი, ღმერთი კი მრავალმოწყალე და სულგრძელია. ადამიანს არა აქვს იმდენი მოთმინება და სულგრძელობა, რომ მოგვიტეოს ჩვენი შეცდომა და დანაშაული.

ბევრია იმნაირნი, რომლებზედაც მოქმედებს ცრუ სირცხვილი. უარყოფა, ურწმუნოება ახლანდელ დროში ნიშანია დაწინაურების, კულტუროსნობის და განათლებისა, ხოლო სარწმუნოება არის ნიშანი გაუნათლებლობის და ჩამორჩენისა. ბევრს, რასაკვირველია, ეთაკილება, რომ მიიღონ გაუნათლებლად და ამის ასაცილებლად ძალაუწებურად ეხვევა ურწმუნოების სამოსელში, თუმცა გულით მორწმუნეა. მაგრამ ეს უსაბუთო სირცხვილია. კაცმა თავისი რწმენა არ უნდა დამალოს, არ უნდა რცხვენოდეს მისი აშკარად და საჯაროთ



ადიარებისა. პირიქით, რწმენის დალატი დასაგმობია. საბრალოა ამნაირი ადამიანი და არ არის ღირსი თანაგრძნობა-პატივისცემისა.

ბევრი მორწმუნეთაგანი იძულებულია ურწმუნოების, ღვთის უარყოფის, ეკლესიის და სახარების უარმყოფელის ნილაბი გადიფაროს პირი სახეზე პირადი ინტერესებისათვის. საზიზღარია ამნაირი პიროვნება. ის თავის რწმენას, სულიერ მოთხოვნილებას ანაცვლებს თავის კუჭს, თავის პირუტყვულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, თავის წუთიერ ვითომდა კეთილდღეობას. ეს მისთვის საჭიროა იმისთვის, რომ მიიღოს თბილი ადგილი, დიდი ჯამაგირი, მაგრამ საზოგადოებისათვის უსარგებლოა და ხშირად მავნებელიცაა, რადგან უპრინციპოა და თავისი რწმენით ვაჭრობს.

აი, ამნაირია უმრავლესობის ახლანდელი მდგომარეობა ჩვენში. და მოციქული პავლე გალატელებთან ერთად გვეუბნება, რომ შესაბრალისია, საზიზღარია ამნაირი მიმართულების კაცი, გვირჩევს ვიყოთ ნამდვილი ადამიანები. და ჩვენც უნდა მივსდიოთ, გავსწორდეთ, ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანები, მივსდიოთ ჭეშმარიტებას, სიმართლეს, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა. გვეშინოდეს არა კაცისა, არამედ მხოლოდ ღვთისა. არ უდალატოთ ჩვენს სარწმუნოებას, რწმენას. იმას, ვისაც ეშინის უფლისა, არ მოელის საშიშროება კაცთაგან, როგორც ამბობს ძველი ბრძენი ზირაქი (სიბრძნე ზირაქისა I-II თავები – ჯ. გ.), ვინაითგან ის არის სასოება მისი (ზირაქი).

მადლობა ღმერთს, ჩვენი საზოგადოება, მორწმუნენ(ი) თანდათან ერკვევიან, თანდათან

უბრუნდებიან სარწმუნოებას, — ჩვენ ის აღარ ვართ, რაც ვიყავით შარშან და განსაკუთრებით შარშანწინ. ამაში დამარწმუნა მე ამ ზაფხულის მოგზაურობამ. ეს ჩვენდა სასიხარულოდ თვალსაჩინოდ ემჩნევა ჩვენი ქალაქის მცხოვრებთაც. ვეცადოთ კიდევ უფრო მოუბრუნდეთ ქრისტეს ცხოველმყოფელ სარწმუნოებას.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 43.

**№87. სრულიად საქართველოს  
საკათოლიკოსო საბჭოს წერილი ცხუმ-  
აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისადმი  
საეპარქიო კრების №2 განჩინების  
დამტკიცების შესახებ<sup>126</sup>**

1919 წ. 17 ნოემბერი

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის.  
თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,  
მოწყალეო მეუფეო და მამაო!

პატივისცემით მოვახსენებ თქვენს მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობას, რომ საკათალიკოზო საბჭომ ამა წლის ოქტომბრის 28 განიხილა თქვენი მეუფების მოხსენება №374 და განაჩინა: 1) განჩინება №2 ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელო და საერო არაჩვეულებრივი კრებისა (დოკ. №79 - ჯ. გ.) დამტკიცებულ იქმნას; 2) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია მიღებულ იქმნას საკათალიკოზოს გამგეობაში; 3)

ყოველივე ზემოაღნიშნული მოხსენდეს რესპუბლიკის მთავრობას და მომავალ საეკლესიო კრებას.

თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის უმორჩილესი მსახური, საკათალიკოზო საბჭოს კანცელარის გამგე დეკანოზი კ. ცინცაძე.

მდივანი დეკანოზი მ. ნაცვლიშვილი.

საქმის მწარმოებელი ლ. ლეჟავა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 57<sup>ა</sup>.

**№88. სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს წერილი  
მიტროპოლიტ ამბროსისადმი ცხუმ-აფხაზეთის  
საეპარქიო საგანგებო კრების  
მიერ მისი მღვდელმთავრად არჩევის  
დამტკიცების შესახებ**

1919 წ. 17 ნოემბერი

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას,  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის!

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,  
მოწყალეო მეუფეო და მამაო!

პატივისცემით მოვახსენებ თქვენს მაღალ  
ყოვლადუსამღვდელოესობას, რომ ამა წლის  
ოქტომბრის 28 საკათალიკოზო საბჭომ განაჩინა: 1)  
დამტკიცებულ იქმნას ცხუმ-აფხაზეთის მღვდელთა და  
ერის კაცთა არაჩვეულებრივი კრების განჩინება (დოკ.  
№80 - ჯ. გ.) ჭყონდიდელი მიტროპოლიტის

მაღალყოვლად უსამღვდელოესის ამბროსის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად არჩევისათვის; 2) ეცნობოს ეს განჩინება მაღალყოვლადუსამღვდელოესს მიტროპოლიტს ამბროსის და ცხუმ-აფხაზეთის და ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოებს; 3) მიეცეს წინადადება ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოს მიიღოს ზომები ჭყონდიდელ მღვდელმთავრის არჩევისათვის; 4) დაევალოს ჭყონდიდის ეპარქიის მართვა-გამგეობა ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე მაღალყოვლადუსამღვდელოესს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ამბროსის და 5) ეს განჩინება მოხსენდეს მომავალ საეკლესიო კრებას.

თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის უმორჩილესი მსახური, საკათალიკოზო საბჭოს კანცელარის გამგე დეკ. კ. ცინცაძე.

მდივანი დეკ. მ. ნაცვლიშვილი.

საქმის მწარმოებელი ლ. ლეჟავა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 56<sup>ა</sup>.

**№89. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს წერილი საქართველოს  
მთავრობისადმი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის  
შემოერთებისა და მის დაფინანსებასთან  
დაკავშირებული საკითხების შესახებ**

**1919 წ. 10 დეკემბერი**

ვაცნობებთ რა სიამოვნებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ აზხაზეთის მრევლთა და სამღვდელოების წარმომადგენელთა კრების ამა წლის ღვინობისთვის 7 განჩინებით ცხუმის ეპარქია შემოუერთდა საქართველოს საკათალიკოზოს, პატივისცემით ვსთხოვ უზენაეს მთავრობას, შეუმსუბუქოს საქართველოს ამ განაპირა კუთხეს საეპარქიო დაწესებულებათა და სამღვდელოების შენახვა. თუმცა სახელმწიფოს ესეთი მზრუნველობა მოითხოვს ჩვენის ხაზინისაგან რამდენიმე ას თუმანს ყოველ თვიურად, მაგრამ მცირედის ხარჯით ჩვენ მოვიგებთ აზხაზთა გულს და განვამტკიცებთ საფუძველს ახალი კავშირისა.

ჩემის და საკათალიკოზო საბჭოს წევრთა აზრით ამ საქმისათვის საჭიროა:

1) განგრძობა იმ კრედიტისა, რომელსაც დღესაც აძლევს ცხუმის ეპარქიის ქართველ სამრევლოების კრებულთ საქართველოს რესპუბლიკის ხაზინა — ფულად 3163 მ. 98 კაპ.

2) განახლება იმ კრედიტისა, რომელსაც იძლეოდა რუსეთის ხაზინა და რომელსაც აძლევდა ამ

ეპარქიის სამღვდელოებას ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი 1918 წლის თებერვლის 9 განჩინებით — თვიურად 1638 მან. 63 კაპ.

3) გაღება იმ კრედიტისა, რომელსაც აძლევდა რუსეთის ხაზინა ცხუმის ეპისკოპოსს და მის კანცელარიას 1918 წლის მარტის 3 დამატებით — თვიურად 2302 მ. 50 კ.

და 4) გაღება იმ დამატებისა, რომელიც გამოწვეულია დღევანდელი სიძვირით, — თვიურად 16303 მან. 96 კაპ.

ხოლო სულ თვეში 23408 მან. 34 კაპ.

საქმის დასაჩქარებლად და აზხაზთა შორის ბოროტის ენების ასალაგმავად უმთავრესი ნაწილი ამ ხარჯისა ჯერ-ჯერობით მაინც შეიძლება გაღებულ იქმნას ათმილიონიან ფონდითგან (დოკ. №97 – ჯ. გ.).

ამასთან ერთად წარმოვადგენ საჭირო ხარჯთაღრიცხვას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 77.

**№90. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის სიტყვა ჯარისკაცთა წინაშე  
სახალხო გვარდიის<sup>127</sup> მეორე წლისთავთან  
დაკავშირებით**

1919 წ. 12 დეკემბერი

“მახვილო, ვიდრემდის არა დასცხრები,

კვლავ ეგე ქარქაშსა შენსა, განისვენე და დასცხერ” (იერემია, 47, 6).

ასე კვნესოდა გამუდმებული ომებისაგან გულდათუთქული წინასწარმეტყველი იერემია, როდესაც იგი ხედავდა თავისი სამშობლოს უბედურებას. არ სცხრება ახლაც მახვილი, არ ისვენებს და ძალაუნებურათ ვურიგდებით იმას, რომ ღმერთს შევსთხოვოთ მოანიჭოს ჩვენს მხედრობას მტრებზე გამარჯვება, ვურიგდებით აუცილებლობას, ვიდღესასწაულოთ არა მშვიდობიანი მუშავობა, არამედ მებრძოლთა ინსტიტუტის დაარსების წლისთავი, — იმ მებრძოლთა, რომელნიც აუცილებლობას მოუშორებია თავიანთ ოჯახებში შრომა-მუშაობისათვის.

ბრძოლა და სისხლისღვრა, საუბედუროთ, ჯერკიდევ საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისათვის და იმისათვის გულის სიღრმიდან გილოცავთ, მამულისშვილნო, ამ დღესასწაულს, ორი წლისთავს საქართველოს სახელოვანი სახალხო გვარდიის არსებობის და მოღვაწეობისას. დიდმნიშვნელოვანია ეს დღე პირად ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ისტორიაში. დიდია ღვაწლი საქართველოს გვარდიისა ჩვენი თავისუფლების განმტკიცების საქმეში. ბევრი მტერი აღმოაჩნდა ჩვენს თავისუფლებას, ხოლო ამ მტერთა შორის განსაკუთრებით საშიშროებას წარმოადგენს შავ რეაქციის მოტრფიალე მოხალისენი. ყველანი დასცხენ, ხოლო ესენი არა სცხრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ უკანასკნელ დროს წითელი ლაშქარი<sup>128</sup> ძალზე ერეკება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფრონტებში

მათი მდგომარეობა კრიტიკულია, ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ეწევა. ყაჩაღურათ წაიყვანა ჩვენი გემი ჭოროხი, მათი სამხედრო გემები ფირალობენ ჩვენს საზღვრებში, ფოთში სროლაც აუტეხიათ. თავისუფლების მტრები არ სცხრებიან.

ბევრი სისხლი დაღვარა სახალხო გვარდიამ, კერძოთ და საზოგადოთ ჩვენმა ჯარმა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მის დასაცავად გარემომდგარ მტერთაგან. ყველგან სახელოვნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. მაშ, იმედია, შავრაზმელ მოხალისეებსაც ჩვენი მხედრობა აჩვენებს თავის სიმამაცეს და დაარწმუნებს, რომ საქართველო აბუჩად ასაგდები არ არის, რომ საქართველო ისტორიულად გამოცდილია თავის სამშობლოს დაცვაში და არავის არ შეალახვინებს სისხლით და ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას.

ჩვენი მთავრობა არ თანაუგრძნობს სისხლისღვრას, ამაში ის ეთანხმება ქრისტიანულ მომღვრების მისწრაფებას. სახარება წინააღმდეგია სისხლისღვრისა. ომების მოსპობას შეჰხაროდნენ წინასწარმეტყველნი; ისინი მწარე სინამდვილით დაღონებულნი მწუხარებით მოსთქვამდნენ “მახვილო, ვიდრემდის არა დასცხრები...”, ისინი სიხარულით ელოდნენ შორეულ მომავალში მაინც იმ დროს, ოდეს შესაძლებელი იქნება თხა და მგელმა ერთად იძოვონ და საომარი იარაღები გადაკეთდეს მიწის სამუშაო იარაღებად.<sup>129</sup> მაგრამ ახლო მომავალში ამისი მოლოდინი შეცდომა იქნება. ისტორიული მსვლელობა იძულებული ჰყოფს ჩვენს ერს შეურიგდეს მწარე სინამდვილეს. ისტორია მეორდება. მუდამ ამნაირი იყო



ჩვენი ხალხის ცხოვრება-მდგომარეობა. ვინ არ მტრობდა მას? სპარსელები, ოსმალები, მონღოლები, სელჩუკები, რომაელები, ბიზანტიელები, მთიელები, გადამთიელები და მრავალნი სხვანი სცდილობდნენ მოესპოთ ჩვენი ერისთვის თავისუფლება, დაპატრონებოდნენ ჩვენს სამოთხესებურ ქვეყანას, მაგრამ პატარა საქართველო, როგორც ბიბლიური პატარა დავითი, წინაღუდგებოდა ხოლმე გოლიათებს და ხმლით იცავდა თავის სამშობლოს.<sup>130</sup>

რა აძლევდა მას ძალას მრავალ საუკუნეების განმავლობაში წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში იმ აუარებელ და მძლავრ მტრებთან, რომელნიც რკინის რკალივით გარსშემორტყმოდნენ ჩვენს სამშობლოს? ამაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარწმუნოებას, რომელიც თუ ხალხში განმტკიცდა, ჭეშმარიტად სასწაულმოქმედი. ამისთვის არ შემძლია არ გამოვსთქვა ჩემი სიხარული იმის შესახებ, რომ თქვენ, სამშობლოს შვილნო და მამულის იმედნო, ეს თქვენი და მთლად ქართველობის დღესასწაული დაუკავშირეთ ეკლესიას, ღვთის მოგონებას, მისდამი ვედრებას. ამისთვის დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მცველი, მფარველი და შემწე მტერთაგან სამშობლოს დაცვაში იქნება თვით ღმერთი.

ძველად ქართველობა უძლეველი იყო სარწმუნოებით და მამულის სიყვარულით. ეს აძლევდა მას სიმხნეს. ტკბილი იყო მისთვის სარწმუნოების და მამულისათვის სიკვდილი, რადგან ეკლესია სარწმუნოებასთან ერთად უნერგავდა მას მამულის სიყვარულსაც. მარაბდის ომში საბრძოლველად გამოვიდა მროველი მიტროპოლიტი დიმიტრი, აზიარა

ხალხი ბრძოლის წინ და თვითონ თავის მაგალითით ამხნევებდა მეზობლებს და კიდევაც შეეწირა სამშობლოს, მოკლული იქმნა ბრძოლის ველზე.<sup>131</sup> ამნაირი მაგალითები ჩვენს ისტორიაში ბევრია.

ძველად მორწმუნე ქართველს საბრძოლველად მიმავალს, თან მიჰქონდა ჯიბით მშობლიური მიწა და მით ეზიარებოდა ბრძოლის ველზე სიკვდილის წინ და იტყოდა: “მექმნეს მშობლიური მიწა ზიარებადო”. ამდენათ დიდი იყო მასში სარწმუნოება და სამშობლოსადმი სიყვარული.

თქვენც გიღვივით გულში ის გრძნობა მამულის სიყვარულისა და, როდესაც მას გააორკეცებს სარწმუნოება და ეკლესიისადმი სიყვარული, მაშინ უძლეველი იქნებით, მაშინ სირცხვილელ იქნებიან მტერნი ჩვენის თავისუფლების.

მაშ, განიხარე ტკბილო სამშობლოვ, შენი საუკეთესო შვილნი შემოკრებილან დღეს სადღესასწაულოდ, რომ ამით მტკიცედ შეკავშირდნენ ჩვენის თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად.

განიხარე შენც, დედა ეკლესიავ, შენნი შვილნი შენ გიგონებენ, შენს ლოცვა-კურთხევას წარიმძღვარებენ თავის სამშობლოს დასაცველად მოღვაწეობაში.

ღმერთო, მიეცი ამათ ძალა საქართველოს მტერთაგან ხსნაში, რომ სამშობლომ შეიძლოს თავისუფლების განმტკიცება და კულტურის გზაზე ჩვენი ერის ჩქარის ნაბიჯით სიარული.

**კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 43.**

**№91. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი  
ამბროსის დეპეშა სრულიად საქართველოს  
საკათალიკოზო საბჭოსადმი მიძიმე  
ფინანსური მდგომარეობის შესახებ**

**1919 წ. 18 დეკემბერი**

ადგილობრივი მთავრობა და საზოგადოება არავითარ დახმარებას არ იძლევიან. საეპარქიო დაწესებულებათა შესანახად ვსთხოვ თქვენს უწმინდესობას საგანგებო დეპუტატით თხოვით ცენტრალურ მთავრობას აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხუმის ეპარქია შეიძლება გაუქმდეს. შედეგი ინებეთ გვაცნობით (დოკ. №93 – ჯ. გ.).

**მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 64.**

**№92. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდესადმი  
სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითი  
საეკლესიო მმართველობის ბრძანებულებისა  
და ეპარქიაში არსებული რთული ვითარების  
შესახებ**

**1919 წლის 19 დეკემბერი**

მის უწმინდესობას კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს,

თქვენო უწმინდესობავ,  
მოწყალეო მამამთავარო!

სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებით  
საეკლესიო მართველობამ, უკაზით 21 ამა წლის  
ივნისიდან № 31-ი წინადადება მისცა ცხუმის ყოფილ  
ეპისკოპოსს სერგის, რომ მას დამოკიდებულება არ  
ქონოდა ჩემთან, რადგან მე ვარ წარმომადგენელი  
საქართველოს ეკლესიისა, რომელიც “ჩამოშორდა  
რუსეთის ეკლესიას”. ეს განკარგულება ცხუმის ყოფილი  
საეპარქიო მთავრობის მიერ გაეგზავნა  
შესასრულებლად სოხუმის ოლქის რუსთ მონასტრების  
და ეკლესიების წინამძღვრებს.

თუმცა ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი  
და ძმანი სათანადო პატივით დახვდნენ თქვენს  
უწმინდესობას, მაგრამ, როგორც ბოლო დროს  
აღნიშნული მონასტრის წარმომადგენლობამ

განმიცხადა, წინამძღვარი და ძმანი მონასტრისა ცნობენ თავის თავს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიონ რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველობის განკარგულებას; მასთან კი მათ არ სურთ საქართველოს ეკლესიასთან შეწყვიტონ კავშირი. სხვა მონასტრები კი ჩემთან უარეს დამოკიდებულებაში არიან, ხოლო სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილმა რუსთა კრებულმა პირდაპირ განმიცხადა, რომ მას არ შეუძლია დაემორჩილოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს, რადგან ეს მას, კრებულს, აკრძალული აქვს რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ. ასევე მოიქცა გაგრის ეკლესიის კრებული (კომენტ. 171 – ჯ. გ.).

რომ ყოლიფერს ზემოხსენებულს ბოლო მოეღოს და ამიერკავკასიის ყველა ნაწილებში აღდგენილ იქნას საქართველოს ტერიტორიალური ეკლესია, როგორც ამას მოითხოვს საეკლესიო კანონები, ამისათვის საჭიროა, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ცნობილი იქმნას აღმოსავლეთის პატრიარქიებს მიერ, ხოლო ეს რომ მოხდეს, აუცილებელი საჭიროა გაიგზავნოს აღმოსავლეთში საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც, ჩემის აზრით, უნდა შევიდეს ერთი მღვდელმთავარი, ერთი მღვდელი და ერთი ერის კაცი. ამ საქმეში უსათუოდ დაგვეხმარება საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში.

ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება დაჩქარებით, რადგან, როგორც საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოს ცნობაა საჭირო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ისე საჭიროა საქართველოს ეკლესიის

ავტოკეფალიის აღდგენის ცნობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ.

თუ სოხუმის ეპარქიის რუსების მონასტრები ჩამოგვშორდა, ეს საქართველოს ეკლესიისათვის არამც თუ სასურველი არ არის, არამედ სხვადასხვა მხრით ძლიერი საზიანოც იქნება. ამასთანავე ვუდგენ თქვენს უწმინდესობას სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსთის ეკლესიის დროებითი მართველობის 21 ივნისის უკაზის (დოკ. №63 - ჯ. გ.) პირის პირს.<sup>132</sup>

თქვენის უწმინდესობის მსასოებელი და მორჩილი, ამბროსი, მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 66-67.

**№93. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ლეონიდეს დეპეშა ცხუმ-აფხაზეთის  
მიტროპოლიტ ამბროსისადმი  
მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების  
შესახებ**

1919 წ. 20 დეკემბერი

მიტროპოლიტ ამბროსის!

შუამდგომლობა (დოკ. №№ 89-91 - ჯ. გ.) აღსრულებულია. ყოველთვიურად 23409 მანეთის გადადებისათვის იშუამდგომლეთ აფხაზეთის კომისარიატთან . მხარი დაგვიჭირონ ცენტრალურ მთავრობასთან დეპეშით, რომლის გამოგზავნა

გვაცნობეთ, რათა დეპუტაციით წარვსდგეთ მთავრობასთან.

კათოლიკოზი ლეონიდი.

საპატრიარქოს არქივი, ადწ. 1, ს. 463, ფ. 65.

**№94. Справка Грузинского Католикосата  
для Министерства иностранных дел  
о положении в Сухумской епархии**

25 декабря 1919 г.

На запрос Министерства иностранных дел,<sup>133</sup> Совет Католикосата Всея Грузии имеет честь сообщить нижеследующее:

1. Сухумский край – неотделимая часть Грузии, а Сухумская епархия одна из тринадцати епархий Католикосата Всея Грузии: епархия эта в течении многих столетий входила и входит поныне в состав Грузинской церкви.

2. При признании Российским Временным Правительством Грузинской церковной автокефалии в 1917 г. Сухумская епархия обнимала Самурзакань, Абхазию и часть Черноморской губерний и во главе этой епархии сидел епископ Русской церкви, преосвященный Сергей.

3. После признания Грузинской церковной автокефалии, приходы Черноморской губернии отошли во вновь образованную Российскую Черноморско-Новороссийскую епархию; под управлением же

Преосвященного Сергия, вопреки церковным канонам пребывавшего на территории Католикосата Всея Грузии и Грузинской Республики, остались шесть приходов русских, одиннадцать греческих, двадцать девять абхазских и пятьдесят пять грузинских.

4. Вследствие же внесения Российскими церковною и гражданскою властями в вопросе о Грузинской церковной автокефалии чуждого церковным канонам национального принципа – филетизма грузинские приходы само собою отошли в Католикосат Всея Грузии.

5. В числе оставшихся в ведении преосвященного Сергия церковей находился и Сухумский Кафедральный Собор, построенный по стараниям грузинского епископа Гавриила на средства казенный и собранный по подписке.<sup>134</sup>

6. За исключением находящейся на окраине города и тоже построенной грузинским епископом Александром Кладбищенской Георгиевской церкви, Кафедральный собор единственная церковь во всем городе, громадное большинство населения которого всегда состояло из православных грузин; ныне же грузин насчитывается в Сухуми десятками тысяч, а русских две-три сотни, религиозная потребность которых со предупредительностью обслуживаются на славянском языке грузинскою иерархией.

7. В марте 1919 года из Сухума выехал преосвященный Сергий и получил новое назначение, в следствие чего Грузинская церковная область естественно освободилась от епископа Русской церкви.



8. Вследствие такого оборота дела, Комиссариат Абхазии 1 сентября сего года издал декрет по управлению православными церквями Абхазии, в каковом декрете, между прочим, сказано: а) считать Сухумскую архиерейскую кафедру вакантною и принять меры к скорейшему ее замещению постоянным и самостоятельным епископом; б) находящийся в городе Сухуме кафедральный собор с причтовым домом, архиерейский дом и здание бывшего училищного совета признать национальным достоянием Автономной Абхазии; в) временно до избрания епископа, назначить управляющего православными церквями Абхазии в городе Сухуме; г) отвести управляющему под квартиру архиерейское помещение с предоставлением ему права пользоваться всеми теми средствами к содержанию, какия имелись до его времени в распоряжении Сухумского епископа.

е) Предоставить управляющему право непосредственного заведывания архиерейским домом и Драндским монастырем.

9. Согласно ходатайству Комиссариата Абхазии, Совет Католикосата Всея Грузии временное управление Сухумской епархии поручил Чкондидскому Митрополиту Амвросию, которому до того времени подведомственны были грузинские приходы Сухумской епархии включительно до городской Кладбыщенской Георгиевской церкви.

10. По вступлении Митрополита Амвросия во временное управление всей Сухумской епархией, высокопреосвященный письменно предложил

протоиерею Голубцову, священнику Протопопову и секретарю Автономову остаться на своих местах и продолжать службу в епархии под временным его руководством, но они, в виду запрещения временным высшим церковным управлением на Юго-Востоке России иметь общение с представителями Грузинской церкви, письменно отказались исполнить предложение Его Высокопреосвященства (док. №78 – Дж. Г.).

11. Согласно декрету Комиссариата Абхазии от 1 сентября, высокопреосвященный митрополит Амвросий созвал на 7 октября сего года Чрезвычайный Собор духовенства и мирян Сухумской епархии для упорядочения церковных дел вообще и для избрания епископа в частности.

12. Чрезвычайный Собор Сухумской епархии, членами которого состояли настоятели и по одному представителю каждого прихода абхазских, греческих, грузинских и русских церквей, - вынес следующее постановление: Чрезвычайный Собор православного духовенства и мирян Абхазского края, заслушав декрет Комиссариата Абхазии от 1 сентября 1919 года, и приняв во внимание, с одной стороны, многовековую культурно-историческую связь нашего края с Грузией и, с другой, то обстоятельство, что со вступлением на автономных началах Абхазии в состав Грузинской Демократической Республики не допустимо здесь существование инодержавной церковной власти, постановил: а) На территории автономной Абхазии восстанавливается самостоятельная епархия Грузинского Католикосата с наименованием ее Сухумско-Абхазскою; б) Во главе

епархии стоит самостоятельный епископ, имеющий кафедру и резиденцию в г. Сухуме.

в) В состав Сухумо-Абхазской епархии входят все, без различия национальностей, приходы, монастыри и церковные учреждения между реками Ингури и Мехадырем (док. №79 – Дж. Г.).

13. Означенное постановление Чрезвычайного Собора Комиссариатом Абхазии одобрено, а Советом Каталикосата Всея Грузии принято к сведению и решено доложить очередному Собору Грузинской церкви (док. №87 – Дж. Г.).

14. Так же Чрезвычайным Собором избран епархиальный архиерей, члены епархиального совета и настоятель и ключарь кафедрального собора, которые приняли все имущество Сухумского Собора по описи, надлежаще составленной в присутствии представителя Комиссариата Абхазии.

15. Таким образом, имущество принадлежащее Сухумской епархии и ныне принадлежит ей, а если некоторые члены кафедрального причта и епархиального совета не пожелали остаться на службе в **самоопределившейся** Сухумской епархии, то от этого произошла лишь замена одних лиц другими.

16. Как явствует из всего изложенного, Кафедральный собор и церковное имущество Сухумской епархии находится в руках законопоставленных лиц и учреждений и потому никому возвращено быть не может и вывозу из пределов Грузинской Республики не подлежит.

17. Протоиерей Голубцов, священник Протопопов и секретарь Автономов высланы из Сухума за антиправительственную пропаганду и попытки возбудить одну часть населения против другой.

18. Тифлисский же военный собор построен на казенные средства для удовлетворения религиозных нужд Тифлисского гарнизона и с таковым назначением остается до сих пор. 28 июня сего года происходило заседание комиссии с участием англичан – майора Урбурант и главного священника мистера Коннор, по вопросу о пользовании военным собором русским духовенством, но в комиссии русские отказались от совместного с грузинами пользования собором по соображениям канонического характера. Журнал заседания комиссии генералом Бич отправлен в Лондон.

Член Совета Грузинского Католикосата протоиерей К. Цинцадзе.

Секретарь М. Нацвлишвили.

Делопроизводитель Л. Лежава.

საპატრიარქოს არქივი, ადწ. 1, ს. 463, ფ. 70-72.

**№95. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესადმი  
სოხუმში სასულიერო პირთა მოსამზადებელი  
სასწავლებლისთვის შენობის გამოყოფის  
აუცილებლობის შესახებ**

1920 წ. 7 იანვარი

მის უწმინდესობას კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს

თქვენო უწმინდესობავ,  
მოწყალეო მამამთავარო!

რწმუნებულ ჩემდამი ეპარქიაში მღვდლის 15 ადგილია თავისუფალი და ამ ადგილებზე მთხოვნელებიც არ არიან, რადგან მომზადებული კანდიდატები, განსაკუთრებით აბხაზების სამრევლოებისათვის არ არიან. ამისა გამო იძულებული ვარ ან ძლიერ ნაკლებად მომზადებული პირი ვაკურთხო მღვდლად და ან ადგილები დავტოვო თავისუფლად. ეს, რასაკვირველია, ძლიერ მავნებელია როგორც სარწმუნოებისათვის, ისე ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის, რადგან უმღვდლოდ დარჩენილი აბხაზები ღებულობენ მაჰმადის სარწმუნოებას, რაც ხელს უწყობს მცხოვრებლებში ოსმალოსადმი სიმპატიის გაძლიერებას.

მიიღო რა ეს მხედველობაში, აბხაზეთის მღვდელთა და ერის კაცთა არაჩვეულებრივმა კრებამ გადაწყვიტა გახსნას ე. სოხუმში სამღვდლო პირთა მოსამზადებელი სასწავლებელი (კურსები), ხოლო ამისთვის საშუალების გარდა საჭიროა ბინა. ბინად კი გამოსადეგია ყოფილი საეპარქიო სამოსწავლო და სამრევლო სკოლის შენობა, რომელიც ჯერ-ჯერობით საეპარქიო უწყებას ეკუთვნის, მაგრამ ქალაქი აპირებს შენობის ჩამორთმევას. აგრეთვე აბხაზეთის კომისარიატიც კი ფიქრობს, რომ აღნიშნული შენობა მას დარჩეს, თუმცა კომისარიატის თავმჯდომარემ პირობა

მოგვცა შენობის დაბრუნების შესახებ, თუკი ის კომისარიატს დარჩება.

მოვახსენებ რა ამას თქვენს უწმინდესობას, უმორჩილესად გთხოვთ კეთილ ინებოთ და მიმართოთ ცენტრალურ მთავრობას სათანადო შუამდგომლობით, რომ ზემო დასახელებული შენობა თავის ინვენტარით დარჩეს სასულიერო უწყებას სამღვდელო პირთა მოსამზადებელი სასწავლებლის მოსათავსებლად (დოკ №100 – ჯ. გ.).

თუკი ტფილისის ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობა მთავრობამ დაუტოვა სასულიერო უწყებას, მითუმეტეს საჭიროა, რომ მთავრობა ასე მოიქცეს აბხაზეთის ეპარქიისათვის.

**თქვენი უწმინდესობის მსასოებელი  
მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 74-75.**

## **№96. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსის სიტყვა დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით**

1920 წ. 28 თებერვალი<sup>135</sup>

“თქვენ აზნაურებისა (თავისუფლებისა)  
ჩვენებულ ხართ, ძმანო, განა ხოლო  
აზნაურობა ნუ მიზეზად ხორცთა, არამედ

სიყვარულისა, მისთვის ჰმონებდით  
ურთერთარს” (გალატ. 5, 13)

ამ სიტყვებით მოგვმართავს მოციქული პავლე და ამით გვიმტკიცებს, რომ თავისუფლება არის ნიჭი ღვთისა. ეს სიტყვები საუკეთესოდ შეეფერება დღევანდელ დღესასწაულს, წლისთავს ამ თავისუფლების დაბრუნებისა. ვამბობთ “დაბრუნებისა”, ვინაითგან ეს ნიჭი ღვთისა წაგვერთვა ამქვეყნიურის უსამართლობით და ძალმომრეობით. 28 თებერვლის (ახ. სტ. 12 მარტის – ჯ. გ.) აქტმა დაგვიბრუნა ეს თავისუფლება და, რასაკვირველია, ეს დღე მათთვის, ვინც მოტრფიალეს თავისუფლებისა, ვინ მას მოელოდა და მისთვის იბრძოდა, არის დიდი სიხარულის დღე.

დიახ, ახლა დამყარდა იმნაირი წესწყობილება, როდესაც ხალხის სინდისმა თვალ-ყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას, ვისაც ცხოვრება აყენებს მართვა-გამგეობის სათავეში. ახლა პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს უფლებამოსილთა თვითნებობისაგან, ვინაითგან დაიმსხვრა ბორკილები, რომლითაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში შებოჭილი ვიყავით, თვითეული ჩვენგანი პასუხისმგებელია მხოლოდ ღვთის და სინდისის წინაშე, წინაშე მართლმსაჯულებისა და კანონისა. საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს დღე, როგორც დღე დამფუძნებელი კრების მოწვევის და ამ გზით ჩვენი თავისუფლების გამაგრებისა და კანონიერების გზაზე დადგომისა. დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამისთვის, მამულიშვილნო, წრფელის გულით გილოცავთ ყველა ამას. ეკლესია და ქრისტეს სწავლა დამცველია თავისუფლებისა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთი რუსეთის მეცნიერი, რომელმაც შესწირა თავი თავისუფლებისთვის ბრძოლას, ამბობს: “ქრისტიანობას სწამს შეერთება იესო ქრისტეს პიროვნებაში ღვთისა და კაცისა, შეერთება მიწიერის და ზეციერისა, ღვთაებრივის და კაცობრიულისა და მოითხოვს ამნაირსავე შეერთებას, ამნაირსავე ღმერთკაცობას ყველა მორწმუნისგან, ყველა ჩვენგანმა უნდა თავის არსებაში განასახიეროს ღმერთი სიტყვით და საქმით”. ჩვენ უნდა ჩვენს ცხოვრებაში განვახორციელოთ ზნეობრივი მხარე, რომელიც აძლევს სიმაგრეს და ძალას ჩვენს მოქმედებას. თავისუფლება უნდა გამოიხატოს მოძმეთადმი სიყვარულში, პატივისცემაში მოძმის პიროვნებისა, მისი რწმენისა და მისწრაფებისა. თუ ჩვენ სიტყვით ვქადაგებთ თავისუფლებას და საქმით მას ვარღვევთ და ვსცდილობთ მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, მაშინ ეს იქნება არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა.

რას ვხედავთ ახლა? არის განხორციელებული ჩვენში პიროვნების დაფასება? საუბედუროთ, არა. პიროვნების დაფასება გარეშე პარტიული თვალსაზრისისა არ არსებობს.

ჩვენში ძველ წესწყობილების დროს ზიზღს იწვევდა დიდების მოყვარეობა იმათი, ვინც მთავრობის მაღალ საფეხურებზე მსახურობდა, მაგრამ ახლაც არ ვხედავთ ამ დიდებისმოყვარეობას დემოკრატიულ არისტოკრატის, ახალ მოდის თავადობას?



მეტრთამეობა უწინდელის მოხელეებისა განსაცვიფრებლად მიგვაჩნდა, მაგრამ ამაში ახლა ჩამოვრჩებით ძველ მოხელეებს?

უწინ გვეჯავრებოდა სისხლისღვრა, ახლაც განაკაცი კაცისათვის მგელი არ არის? განა ერთმანეთის შეუბრალებლობა ახლაც იმნაირად არ მეფობს, როგორც ძველად?

რა არის ამის მიზეზი? რისთვის არ განგვკურნა ჩვენ თავისუფლებამ? მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ მოღვაწეობაში და მოქმედებაში ნამეტანათ შევამცირეთ ზნეობრივი ელემენტი. განვდევნეთ შკოლიდან<sup>136</sup> და ცხოვრებიდან ქრისტეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა, ურომლისოდ ჩვენი მოღვაწეობა ცალმხრივია, მას არ ასულიერებს ღვთის სასოება ჩვენში, ერთმანეთის სიყვარული, ურომლისოდ თავისუფლება იღებს არასასურველ მიმართულებას.. უამისოდ თავისუფლება ორივე გვერდით მჭრელი მახვილია, რომელმაც შეიძლება მოგვიტანოს სარგებლობის წილ მავნებლობა, გაამეფოს ანარქია. ამისთვის თავისუფლება, პეტრე მოციქულის თქმით, არა საფარველად უკეთურებისა უნდა გვექონდეს, არამედ ძმათა სიყვარულისათვის (პეტრე, I, 2, 1-7), ხოლო პავლესით — “არა მიზეზად ხორცთა”, არამედ სიყვარულით ურთიერთარს მორჩილებისათვის (გალატ. 5, 13), მშვიდობა და ძმურის სიყვარულის დაბრუნებისათვის ამქვეყნად. “უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ და შეიჭმებოდეთ, იხილეთნვე უკვე ურთიერთარს განილინეთ” (ibid 5,15).

ვიმეორებ, დავუდვათ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქრისტეს ზნეობრივი სწავლა, მისი

იდეალების ცხოვრებაში განხორციელება და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიყოთ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი.

შევევდროთ უფალს მოგვცეს მან ამნაირი მიმართულება და მაშინ გვექნება ნამდვილი თავისუფლება, მაშინ გაიფურჩქნება ჩვენი სამშობლო მხარე და ვიქნებით ბედნიერნი.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 44.

**№97. ამონაწერი რესპუბლიკის მთავრობის  
სხდომის ჟურნალიდან — ცხუმ-აფხაზეთის  
ეპარქიისათვის ფინანსური დახმარების  
აღმოჩენის შესახებ**

**1920 წ. 28 თებერვალი**

მოისმინეს — მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა: სოხუმის ეპარქიისათვის დახმარების აღმოსაჩენად ყოველთვიურად 23408 მან. და 34 კაპ. გად(ადების) შესახებ.

დაადგინეს: გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მოხსენებაში აღნიშნული საჭიროებისათვის ყოველთვიურად 23408 მან. და 34 კაპ. ათმილიონიანი ფონდიდან მანამდე, სანამ საბოლოოთ გამოირკვევა საკითხი ეკლესიისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

**საქმისმწარმოებლის მაგიერ – ხელმოწერა.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 91.**

**№98. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის სიტყვა ალ. გრიგოლიას შვილის  
— ვახტანგის დაკრძალვაზე<sup>137</sup>**

1920 წ. 31 მარტი

მოკლეა, მართლმადიდებელნო ქრისტიანნო, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება. იშვიათი და მოკლეა დღენი ჩვენი ამქვეყნიური ბედნიერებისა. უფრო ხშირია ჩვენთვის მწუხარება და ვაება. ამას გვიდასტურებს ჩვენ საღმრთო წერილიც. მოიგონეთ ებრაელთა მეფე დავითი, რომელი მეტად ცხოველად და პოეტურად გამოთქვამს და ხატავს თავის სულიერ ტანჯვას; მოიგონეთ იერემია და მისი გოდება, იობი და მისი ტანჯვა. ეს არის ოხრვა მთელის კაცობრიობისა.

არ არის კაცი, არ არის ოჯახი, რომელიც იყოს იმდენათ ბედნიერი, რომ არ გამოსცადოს ტანჯვა და მწუხარება. მრავალნაირი ავადმყოფობა, სიღარიბე, ბედნიერების უცბათ დაკარგვა, უკმაყოფილობა, მტრობა და მრავალი სხვა სამწუხარო მოვლენანი და შემთხვევანი ძალიან ხშირად არღვევენ ოჯახურ ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. მაგრამ ყველა ამ სამწუხარო მოვლენათა უფრო აუტანელი ტანჯვის მომგვრელი უბედურებაა სიკვდილი საყვარელის არსებისა. არავითარი მწუხარებას არ შეუძლია შეედაროს იმ მწუხარებას, რომელსაც იწვევს ოჯახის წევრის დაკარგვა. ვის არ გამოუცდია ამნაირი

მწუხარება და ან, თუ არ გამოუცდია, არ მოელის მომავალში გამოსცადოს? სიკვდილი ჩვენთვის რაღაც საიდუმლოებაა.

აი, ახლაც. გაზაფხულის ნიავმა შემოგვბერა. ბუნება იღვიძებს, მკვდრებით დგება, სიცოცხლის ნიშნებს უკვე იჩენს, აჰყვავდება გარემო, ფრინველნი და ყოველნი ცხოველნი ხარობენ, სიცოცხლის, ახალი სიცოცხლის წარმოშობა-გაგრძელებისათვის ემზადებიან; წმიდა ეკლესია მოახლოებული უდიდესი დღესასწაულით გვეუბნება ქრისტეს აღდგომასთან ჩვენს აღდგომაზედაც მომავალი დაუსრულებელი ცხოვრებისათვის, — აქ კი ჩვენ წინ კუბო და სიკვდილია თავისი შეუბრალებლობით, აქ კი ნორჩი სიცოცხლეს, რომლისგან მოველოდით გაფურჩქვნას და მომავალში საზოგადოებისათვის მოღვაწეობას, ბოლო მოღებია შეუბრალებელი სიკვდილისაგან! აქ რაღაც ჩვენთვის გაუგებარი ერთმანეთის წინააღმდეგობათა შეხამებაა; გაუგებარი და ამ გაუგებრობით მწუხარება-უიმედობის მომგვრელია ჩვენთვის საზოგადოთ ადამიანის და, კერძოთ და მითუმეტეს, ახლობელ მოსიყვარულე და სასიყვარული ადამიანის სიკვდილი. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ პირველ შეხედვით, ხოლო როდესაც ჩაუკვირდებით მას, სულ სხვაში დავრწმუნდებით. იმ წინააღმდეგ მოვლენათა შეხამება ამ ცხედართან რაღაც სიმბოლურია და გვასწავლის იმას, რომ სიკვდილი არ არის ჩვენი არსების მოსპობა, არამედ ადგილის და მდგომარეობის გამოცვლა, ის არის მხოლოდ გარდაცვალება.

რასაკვირველია, საჭიროა ნუგეში, მაგრამ ჩემი ენა, ჩემი სიტყვა უძლურია ამისთვის. რა გინდ დიდ

გავლენიანი და მჭევრმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, ამ მწუხარების დღეებში მას მაინც არ შეუძლია სრულიად გააქარვოს მწუხარების სიმწვავე. რამდენათ აუტანელია ის წამი, როდესაც სამუდამოთ სდუმდებიან ის ბაგენი, რომელთაგან ჩვენ გვესმოდა მუდამ ალერსი და სიყვარული, როდესაც ვშორდებით ამ მოსიყვარულე არსებას, ოჯახის იმედს?! რა ძნელი ასატანია, როდესაც ძვირფას არსებას მივასვენებთ საუკუნო განსასვენებელი ადგილისაკენ, როდესაც ვაბარებთ მას ცივ სამარეს?! დიდია ამისგან გამოწვეული მწუხარება და ბედნიერია ის, ვინც დასძლევს ამ მწუხარებას, რადგან ამაში იხატება დიდი სარწმუნოებრივი ძალა და ღვთისადმი მორჩილება.

სად უნდა ვეძიოთ ნუგეში, ვის შეუძლია შეუმსუბუქოს მას მწუხარება, ოხვრა და ტანჯვა? ის სწავლა, რომელიც შესძლებს ამას, ჩვენ უნდა ვიწამოთ და მივიღოთ ჭეშმარიტ სწავლად, მას შეგვიძლია ვერწმუნოთ. აი, შემთხვევა, როდესაც შეუძლიათ დაამტკიცონ ჭეშმარიტება თავისი სწავლა-მოდღვრებისა იმათ, რომელნიც ჰპირდებიან ხალხს ბედნიერებას. დიდს არაფერს მოვსთხივთ. სცენ ნუგეში იმ უბედურებას, რომელნიც გარს შემოხვევიან მიცვალებულის ცხედარს, ეთხოვებიან მას, რომ მიაბარონ საყვარელი არსება ცივ სამარეს. აი, აქ დაამტკიცონ მათ, სდგას თუ არა მათი ახალი სწავლა-მოდღვრება ქრისტეს უკვდავ სწავლაზე მაღლა?

ბევრნი არიან კაცობრიობის და მეტადრე ტვირთმძიმეთა, მამვრალთა და მწუხარება-ტანჯვაში მყოფთა ვითომდა მანუგეშებელნი. აი, მატერიალისტები, რომელნიც იძლევიან საშინელ და

შემადრწუნებელ ნუგეშს. არ არის უკვდავება... (იხ. დეკ. სიმონოვის ცხედარზე თქმული...)<sup>138</sup>

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 45.

## **№99. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს**

1920 წ. 26 მაისი

მოგილოცავთ ამ დიდ და დიდმნიშვნელოვან დღეს საქართველოს განთავისუფლება-გათვითცნობიერებისას, მის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებისას. ეს დღე სასიხარულოა ყველა ერთგული მამულის შვილისათვის; მათთან ერთად მშობლიური დედა-ეკლესიაც ხარობს, ვინაითგან ის მომხრეა თავისუფლებისა, მანაც ბრძოლით მოიპოვა ეს თავისუფლება ერის თავისუფლებაზე ადრე; ხარობს, რომ ეკლესიური თავისუფლება დაედვა საფუძვლად სახელმწიფოებრივი თავისუფლებას. ეს გარემოება გვეუბნება, რომ ჩვენი ეკლესია არ არის ღირსი დევნისა, რომ ის არ არის კლერიკალობის მიმდევარი და რომ უსამართლობა და მავნებელია ტრაფარეტულად მივსდით საფრანგეთის მაგალითს ეკლესიასთან ურთიერთობის დამყარების საქმეში.<sup>139</sup> ჩვენში ეკლესიის თავისუფლებას მოყვა ერის თავისუფლება და დედა-

ეკლესიაც თავის შვილთ უგზავნის ლოცვა-კურთხევას, ულოცავს თავისუფალ განვითარების გზას.

საქართველოს ისტორია გვიმტკიცებს, რომ ეკლესიამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს სამშობლოს, იხსნა ის გადაგვარება-განადგურებისაგან; მრავალი საუკუნოების განმავლობაში აუარებელ მძლავრ მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სარწმუნოება ამაგრებდა და აძლევდა სიმხნეს ქართველ ერს და ეს მრავალმოწამე ერი, ეს იობი ხალხთა შორის, გამოვიდა გამარჯვებული და შეინახა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ეროვნული ელფერი. ესეც ცოტაა, აი, აუარებელი სიმრავლე მონუმენტალურ ნაშთებისა, რომელთა გარეგნული ხუროთმოძღვრული მოხაზულობა, მეცნიერთა სიტყვით, მისულა უმწვერვალეს განვითარებამდის. აი, სიმრავლე ხელთნაწერებისა, გონების ნაწარმოებებისა, რომელთა მეოხებით ჩვენ გვიცნობენ საზღვარგარეთ კულტურულ წინაპართა შვილებათ. აი, დღეს წმ. ეკლესია იხსენიებს ექვთიმე ათონელს — მთარგმნელს და მწერალს XI საუკუნისას, რომლის ნაწარმოებთა სიმრავლე განსაცვიფრებელია. ყველა ამას აზის ბეჭედი სარწმუნოებრივ-ეკლესიური.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია და მუდამუამ იფარავდა მას. მაგრამ თქვენ იტყვით, რისთვის ახლა არ გვეხმარება დედა ღვთისა მველებურადო? რისთვის მოგვაკლდა მისი მფარველობაო?

არა, ახლაც არა ვართ მოკლებული ღვთისმშობლის მფარველობას და ღვთის მოწყალებას, მაგრამ ჩვენ ჩვენის მცირე მორწმუნეობისა გამო არ ვხედავთ მას, არ გვინდა დავინახოთ. მოიგონეთ

უკანასკნელი სამი წელიწადი. რა საშიშროება არ მოელოდა ჩვენს სამშობლოს? ფრონტიდან დაბრუნებული ჯარი გვემუქრება წალეკვას, მაგრამ აგვცდა, გადავრჩით უვნებლად.<sup>140</sup> ანარქია და სამოქალაქო ომმა მოიცვა მთელი რუსეთი, ჩვენში კი, თუმცა იყო ნიადაგი, სცდილობდნენ შინაური და გარეული მტრები, მან ვერ მოიკიდა ფეხი;<sup>141</sup> ამხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ მეზობლები: ოსმალნი,<sup>142</sup> სომხები<sup>143</sup> და რუსის მოხალისენი,<sup>144</sup> მაგრამ მოგვეცა ძალა; მოგვადგა დიდი გრიგალი ბოლშევიზმისა,<sup>145</sup> მაგრამ ესეც აგვცდა; ბოლოს ახლაც გვეომება სხვისგან ზურგმომაგრებული ყოფილი ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო (ადერბაიჯანი),<sup>146</sup> მაგრამ სირცხვილელ იქმნება ეს მოღალატეც... ვისი ხელი მოქმედებს ამ შემთხვევაში? ვინ გვიფარავს?

თვით სათავეში მყოფნი და პასუხისმგებელნი პოლიტიკაში გვეუბნებიან: “გარემოება ხელს გვიწყობსო”, მაგრამ რაა ეს გარემოება? განა ეს ყველა ბრმა შემთხვევაა? განა მასში არ არის აზრი და წესრიგს არ ექვემდებარება? ვინ არის ამ მიზანშეწონილობის, კანონიერობის მიზეზი? ვინ აძლევს ამ შემთხვევა-გარემოებებს აზრს, თუ არა ღმერთი. ამ დასკვნამდე მიდის მორწმუნე ადამიანი და მართალიცაა ის.

იესო ქრისტეს მოწაფენი ერთხელ გენისარეთის ზღვაზე ნავით მიდიოდნენ; იყო შუა ღამეს გადაცილებული. ამოვარდა ქარი, დაიწყო ღელვა, მათ საშიშროება მოელისთ, შეშინებულნი არიან. ამ დროს ხედავენ ზღვის ზედაპირზე მოდის ქრისტე, მათ მიიღეს მოჩვენებათ და უფრო შეშინდნენ. ქრისტე მაცხოვარმა



უთხრა მათ: “ნუ გეშინისთ, მე ვარო” და დამშვიდდა ბუნება.<sup>147</sup> ახლაც ჩენთანაა ქრისტე.

როდესაც პეტრე იხრჩობოდა, ზღვაში მომავალ ქრისტეს შესთხოვა: “უფალო, მიხსენ მეო”; მან გაუწოდა ხელი და უთხრა: “ნუ გეშინის, მე შენთანა ვარო”.

მაშ, თავისუფალო სამშობლოვ, ნუ შეგეშინდება ცხოვრების ტალღების. ჩვენთან არს ღმერთი და როდესაც პეტრესაებრ შევსთხოვთ მას: “უფალო, გვიხსენ ჩვენო”, ის გვეტყვის: “გამხნევდით, ნუ გეშინისთ, მე თქვენთანა ვარო”. მაშინ ჩვენ მარტონი არ ვიქნებით: ჩვენი შემწე იქნება ღვთისმშობელი და ქრისტე მაცხოვარი.

მაშ, მოვიკრიბოთ, აღვიჭურნეთ სარწმუნოებით და ღვთისადმი სასოებით და ამას შეუერთოთ თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი. მაშინ მტრები სირცხვილეულ იქმნებიან და ჩვენი ერის თავისუფლებაც განმტკიცდება. მაშინ ჩვენი სიხარულიც იქმნება სრული და სამარადისო.

“უკეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ვინა არს ძვირის მყოფელ ჩვენდა” (რომ. 8, 31).

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 46.

**№100. ამონაწერი რესპუბლიკის მთავრობის  
სხდომის ჟურნალიდან — ცხუმ-აფხაზეთის  
მიტროპოლიტ ამბროსის შუამდგომლობის  
დაკმაყოფილების შესახებ**

1920 წ. 12 აგვისტო

მოისმინეს:

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება:

ა. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის შუამდგომლობა საეპაეციო მთავრობის გამგეობაში სამოსწავლო საბჭოს შენობის დროებით დატოვების შესახებ (დოკ. №95 - ჯ. გ.).

დაადგინეს:

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის შუამდგომლობა ყოფილი სამოსწავლო საბჭოს შენობის საეპარქიო მთავრობის განკარგულებაში დროებით დატოვების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.<sup>148</sup>

დედანთან სწორია:

საქმის მწარმოებელის მაგიერ – ხელმოწერა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 123.

**№101. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს ეპარქიის ფინანსური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ**

1920 წ. 8 სექტემბერი

აფხაზეთის კათედრის მდგომარეობა აუტანელია უსახსრობის გამო. მართალია, მთავრობამ იწევა კრედიტის გახსნა, მაგრამ ამ კრედიტს არ შეუძლია უზრუნველყოს ეპარქიის დაწესებულებათა

მოსამსახურენი. კანცელარიაში იღებენ ჯამაგირს 825 მანეთიდან 1025 მანეთამდე თვეში. სხვა საეპარქიო კანცელარიათა მოსამსახურენი იღებენ დამატებებს; ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო კანცელარიის მოხელენი ამ მხრივ წარმოადგენენ გამონაკლისს. ეპარქიიდან არ არის შემოსავალი. პირიქით, ის როგორც განაპირა ქვეყანა, სადაც ქრისტიანობა დაცემულია, სადაც მაჰმადიანობა თანდათან მძლავრდება, თხოულობს განსაკუთრებულ ხარჯებს სამისიონერო მოგზაურობისათვის, რომლის დროს მქადაგებელთათვის საჭიროა ქრისტეს სწავლის მოძღვრებას თან მიაღწეონ ქველმოქმედება, ღარიბ-ობოლთათვის შემწეობის აღმოჩენა. მარტო სიტყვით აფხაზეთში არა გარიგდება რა. საშუალება კი არსაიდან სჩანს. არა გვაქვს კურსები ადგილობრივ მკვიდრთაგან სამღვდლო კანდიდატთა მოსამზადებლად უსახსრობის გამო. ეკლესიები დანგრეულ-მოუწყობელნი არიან. აფხაზეთის მღვდლები არ არიან უზრუნველყოფილნი. აფხაზეთაგან კი არა აქვთ რაიმე შემოსავალი, ამის გამო აფხაზი მღვდლები აფხაზეთა შორის სამსახურს გაურბიან და ეძებენ საშუალებას გადავიდნენ არააფხაზეთა სამრევლოებში. ამ დროს ის მცირეოდენი შემოწირულობაც, რომელიც ეძლევა მთავრობისაგან, თავ თავის დროზე არ მოგვდის. აგერ ხუთ თვეზე მეტია ჩვენთვის კრედიტი არ გაუხსნიათ.

ამისთვის საეპარქიო მმართველობა სთხოვს საკათალიკოზო საბჭოს იშუამდგომლოს, დაჩქარებით გახსნილ იქმნას კრედიტი და ჩვენც მოგვეცეს ის დამატებები, რომელიც ეძლევა არა მარტო საერო

დაწესებულებათა მოხელეებს, არამედ საეპარქიო სხვა ეპარქიების კანცელარიების მოხელეებსაც.

დამატებები საჭიროა თვით მღვდელმთავრისთვისაც და სამღვდელოებისათვის, განსაკუთრებით ქალაქის სამღვდელოებისათვისაც, თუ მათ არ ექნებათ რაიმე კერძო სხვა სამსახური.

მიტროპოლიტი ამბროსი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 126.

**№102. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს ეპარქიის  
გადარჩენის მიზნით დაფინანსების საჩქაროდ  
აღდგენის აუცილებლობის შესახებ**

1920 წ. 26 ოქტომბერი

აგერ მეშვიდე თვეა ჩვენი კრედიტი არ გახსნილა. უსახსრობის გამო იძულებული შევიქენი კანცელარიის მოხელენი დამეთხოვა. მე გავხდი მდივანი, რეგისტრატორი და გადამწერიც. ამას ვუნდები და ეპარქიაში სიარულზე ლაპარაკიც მეტია. თუ საკათალიკოსო საბჭოს ნებავს იარსებოს სოხუმის ეპარქიამ და რამე კეთდებოდეს აფხაზეთში, საჭიროა მეტი ყურადღება და მზრუნველობა ამ სამისიონერო ეპარქიისათვის.

ამისთვის ხელახლა და უკანასკნელად ვთხოვ  
საკათოლიკოზო საბჭოს მიიღოს ზომები, აღგვიდგეს  
ყველა თვეების კრედიტები და დაჩქარებით.

**მიტროპოლიტი ამბროსი.**

**საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 127.**

### **№103. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის გამოსვლა სოხუმის რაზმის მესამე წლისთავთან დაკავშირებით**

**1921 წ. 14 იანვარი**

1. მამულისშვილნო! გილოცავთ სამი წლის თავს  
თქვენის რაზმის არსებობისას. ამ სამი წლის წინ ის იყო  
ჯერ კიდევ სუსტი, როგორც ახალშობილი ჩვენი  
მხედრობა იყო ჩვილი, გამოუცდელი, მაგრამ ის  
მოინათლა ომების ქარცეცხლში, გაიზარდა,  
დავაჟკაცდა, გაძლიერდა. ის გახდა მამულის იმედი,  
მისი მედგარი მცველი, მტერთა მძლე.

2. მის გაძლიერებას, მის ძლევამოსილებას ხელს  
უწყობდა სარწმუნოება. ყოველ საქმეში დიდია  
მნიშვნელობა რწმენისა. ის საქმე, რომლის დაძლევა  
სწამს კაცს, დაწყებისთანავე ნახევრად გათავებულია  
გამარჯვებით. ხოლო როდესაც ჩვენ დარწმუნებულნი  
ვართ, რომ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ჩვენი დამხმარეა,  
მაშინ მხედრობაც უძლეველია. როდესაც მამულის  
დაცვას ვუკავშირებთ სარწმუნოების დაცვასაც, მაშინ  
მხედრობა გალომებულია. ამ სარწმუნოების და

მამულის დაცვის მისწრაფებით ძლიერი იყო ძველად ჩვენი სამშობლო, ამით ლომგულობდა ქართველი მხედარი. ეს იყო მიზეზი, რომ ის ადვილად იგერიებდა უთვალავ მტრებს, რომელნიც პატარა საქართველოს რკინის რკალივით გარსშემორტყმოდა და იყო მათთვის საშიში; ამით შეინახა მან თავისი ვინაობა, თავისი ელფერი, ნაციონალური ზნე-ჩვეულება.

3. დიდი ტიმური (თემურ ლენგი — ჯ.გ.), რომელიც ამბობდა, რომ ქვეყნების დაპყრობა ჩემთვის არის გართობა აგეთივე, როგორც ჭადრაკის თამაში, ტიმური, რომლის ომებს ადარებდნენ ქარიშხალს ყოვლის გამანადგურებელს, ჩააფიქრა საქართველომ. და ათქმევინა, მან მიიპყრო მთელი მისი ყურადღება. ორი დიდი ექსპედიცია, რომელიც მას დიდათ დაუფასეს — როგორც გაზი... (ასეა ტექსტში – ჯ. გ.)

მეორე არაუნაკლულესი აღმოსავლეთის საშიშროება — შახ-ნადირი<sup>149</sup> — მარტყოფში...<sup>150</sup>

4. მე დიდი მაღლობელი ვარ, რომ თქვენი რაზმის თუ ათასეულის არსებობის სამი წლისთავი დაუკავშირეთ სარწმუნოებას, რომ გაიხსენეთ ღმერთი, მას სწირავთ მაღლობას. ეს ჩვენი მხედრობის ზრდაში დიდი სანუგეშო მოვლენაა.

5. რამ იხსნა საქართველო იმ ქარიშხალებისაგან, რომლებმაც მას უვნებლად თავს გადაუარეს ან, უკეთ ვსთქვათ, მოულოდნელად განზე გაუარეს. ამ სამი წლის განმავლობაში, თუ არა ღვთის განგებულობამ, რომელიც ჩვენ გვეწევა. მისი შემწეობით ჩვენ, ვით პატარა დავითმა, ვსძლიეთ გოლიათები (ფსალმუნნი, 151, 1-7 – ჯ. გ.).

6. გისურვებთ თქვენ დღეგრძელობას, ღვთის მფარველობას, სიმხნევას და მტერთა ზედა ძლევას.

სამი წლისთავი სოხუმის რაზმისა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 48.

**№104. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის წერილი სრულიად საქართველოს  
საკათალიკოსო საბჭოს ეპარქიის მძიმე  
ფინანსური მდგომარეობის შესახებ**

1921 წ. 1 თებერვალი

ამით პატივი მაქვს ვაცნობო საკათალიკოზო საბჭოს მისი წარსული წლის 17 დეკემბრის მოწერილობაში (№8099) კრედიტი 17081 მ. 84 ქ.. სოხუმის ხაზინაში ჯერაც არ გახსნილა. რასაკვირველია, არ გახსნილა არც ის კრედიტები, რომელზედაც საბჭოს კანცელარია მაცნობებს 21 იანვრიდან ამა წლის №112 და 113-თა.

თუ საკათალიკოზო საბჭო არ მიიღებს ცხუმ-აფხაზეთის კათედრის უზრუნველყოფისათვის ზომებს (ეს კრედიტი რომ გაგვეხსნას, მაინც საკმარისი არაა მღვდელმთავრისათვის 3000 მან. და კანცელარიისათვის — 7000-მდე, რადგან დანარჩენი კრედიტისა ეკუთვნის ეპარქიის სამღვდელოებს), მაშინ ამ ეპარქიის არსებობას ცუდი ბოლო მოელის, რაც სამწუხაროდ, უნდა განვუცხადო ცენტრალურ მთავრობას.

მიტროპოლიტი ამბროსი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 143.

**№105. სრულიად საქართველოს  
საკათოლიკოსო საბჭოს წერილი ცხუმ-  
აფხაზეთის საეპარქიო მმართველობას  
სოხუმის ხაზინაში კრედიტის გახსნის  
შესახებ**

1921 წ. 21 თებერვალი

საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია პატივისცემით აცნობებს საეპარქიო მმართველობას, რომ ამასთანავე მოხდენილია სათანადო განკარგულება სოხუმის ხაზინაში 25000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1920-21 წ. ხარჯთაღრიცხვის \$41, მუხ. 1 მიხედვით, მთავრობის 1920 წ. ნოემბრის 30 დადგენილებით გადადებული ყოველთვიურად ცხუმის ეპარქიის შესანახად ა.წ. თებერვლის ხარჯების დასაფარავად.<sup>151</sup>

საკათალიკოზო საბჭოს სამეურნეო განყოფილების გამგე დეკ. ბენ. კონტრიძე

მდივანი დეკ. ი. კაპანაძე.

საქმის მწარმოებელი დეკ. ტყემალაძე.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 141.



**“№106. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ  
ამბროსის სიტყვა მორწმუნე  
და ქველმოქმედის – საჩინო იოსელიანის  
ცხედართან**

**1921 წ. 22 თებერვალი**

”პატიოსან არს წინაშე ღვთისა სიკვდილი  
წმიდათა მისთა”.<sup>152</sup>

საზოგადოდ, მორწმუნენო, სიკვდილი ადამიანთათვის მწუხარების მომგვრელია. ძნელია ადამიანი თავისთავად შეურიგდეს იმ აზრს, რომ ის სამუდამოდ შორდება საყვარელს და მოსიყვარულე არსებას. სინამდვილე მის გულს აწყლულებს და რამდენათ უნუგემო და აუტანელი იქნებოდა მისი მდგომარეობა, რომ მას ამ შემთხვევაში არ ეხმარებოდეს სარწმუნოება. რწმენა იმისი, რომ ეს მოვლენა საზოგადოა, ამას ვერავინ ასცდება, სიკვდილის შემდეგაც არის ცხოვრება საუკუნო და სხვა — ყველა ეს იმედისმომცემი და დამამშვიდებელია. ამ შემთხვევაში არა მარტო ჭირისუფლების სარწმუნოებას აქვს მნიშვნელობა, არამედ თვით განსვენებულის, ვინც უნდა იყოს ის, რწმენა-შეხედულობასაც; იმას თუ როგორ ატარებდა ის ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორ მოიხმარა მან ის ტალანტი, რომელიც მისთვის ღმერთს მიუნიჭებია; როგორ აასრულა მან ამქვეყნიური მოვალეობა. განსვენებული საჩინო საჩინოდ და კეთილად ხმარობდა ღვთისგან მისთვის მიცემულ ნიჭს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ის უსწავლელი ნასწავლზე უფრო დიდს ნიჭს და უნარს იჩენდა მოქმედებისას. რაც ყველამ იცის... “თუ არა ვართ ნასწავლი წიგნებით, შეგვიძლია გაუხეპირებელ ბუნების კანონით ავირჩიოთ ის, რაც სასარგებლოა”, ამბობს ბასილი დიდი. ამაში გამოიხატება ცხებულება ღვთისაგან. ამით განსვენებული უხვად იყო დაჯილდოებული. და ამით მან შეიძინა ქონება, რომელსაც უხვად ხმარობდა კეთილი საქმისათვის.

მას არ უსწავლია წიგნებიდან, მაგრამ მან იცოდა, როგორ უნდა მოპყრობოდა მოძმეს, იცოდა, რომ ბოროტება არის ის, რაც არ გინდა სხვისაგან შენს თავზე განიცადო. ამიტომ ის მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა კეთილ საქმეში, შემწეობას აძლევდა ღარიბს და გაჭირვებულს. ის იყო ქრისტიანული ქველმოქმედი, მარცხენამ არ იცოდა რას შობოდა მარჯვენა.<sup>153</sup>

კაცის სულმა უსწავლელადაც იცის ის, რაც შესაფერია მისი ბუნებისათვის და ეს ნიჭიც უხვად ჰქონდა მას ღვთისაგან მიცემული. ის იყო ღრმა მორწმუნე ადამიანი, ამ უკანასკნელ დროსაც, ამ ურწმუნოების ხანაში, როდესაც ქართველს სასირცხვოდ გადაქცევია ეკლესიაში სიარული, პირნათლად ასრულებდა ამ მოვალეობას. ბევრი გაუკეთებია და ბევრი შეუწირავს ეკლესიისათვის, ჩემთვისაც უთქვამს, რაც უნდა გაეკეთებია მომავალში.

განსვენებულის ამ თვისებების გამო ეს ცხედარი მასწავლებელია ჩვენთვის, ის გვეუბნება, რომ ამაებში მას წავბამოთ. ერთი დიდი ნაკლი აქვთ შეძლებულ ქართველებს. სიკვდილის წინ არ ზრუნავენ დაუტოვონ რამე საზოგადო საქმეს, ეკლესიას, სამშობლოს. ამნაირ

ანდერძს ბასილი დიდი ემახის სულის საზრდოს და გვეუბნება, რომ დარჩენილი ქონების ერთი ნაწილი უანდერძე შენს სულსაო. ამით შეუძლია ადამიანს დაიმსახუროს ხსოვნა და მადლობა შთამომავლობისა. დიდი ძეგლები მდიდრების საფლავზე ხშირად არ იქცევენ კაცის ყურადღებას, ხოლო უბრალო ჯვარი სათნოცხოვრებიანი კაცის საფლავზე, კაცისა, რომელმაც აღბეჭდა გზა ცხოვრებისა კეთილი საქმეების მაგალითებით, იწვევს ჩვენს ყურადღებას და ძალაუვნებურათ გადაგვაწერინებს პირჯვარს. ბასილი დიდი წმ. მამანტის ხსენების დღეს ამბობს მის შესახებ შესხმას. იხსენიებს მის ცხოვრებიდან მხოლოდ იმას, რომ ის იყო ერთ დროს მწყემსი და დასძენს, რომ მდიდარი ძეგლები — მავზოლეები არ იქცევიდა ხალხის ყურადღებას, ხოლო საფლავმან ღარიბი მწყემსისამ აამოძრავა მთელი ქვეყანაო.<sup>154</sup>

ამისათვის საჭიროა ცხოვრების გზა გავიაროთ კეთილად, რომ ვიყოთ სხვებისთვის გზის მაჩვენებელი და სიკვდილის ჟამს ღვთისაგან მოცემული ქონების ერთი ნაწილი დაუტოვოთ ჩვენს სულსაც კეთილი საქმეებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, განსვენებული არჩილ-საჩინო, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია, რომელიც იყო ღრმა მორწმუნე, სიკვდილის ჟამსაც არ დაივიწყებდა ამ მოვალეობას. ამის სურვილი კიდევაც გამოუთქვამს, მაგრამ არ დასცალებია, ვინაითგან ის არ მოელოდა სიკვდილს. დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოს ამ გაჭირვების ჟამს, როდესაც მას მტრები შემოესია თითქმის ყოველის მხრიდან,<sup>155</sup> როდესაც მისთვის საჭიროა უხვი ხელი, ის რომ ცოცხალი იყოს, ახლაც მოგვეცემდა მაგალითს

კეთილი საქმისათვის სიუხვისა და მამულის სიყვარულისას.

ამნაირად განსვენებული (წარმოადგენდა) მაგალითს ჭკუის გამჭრიახობისას, სარწმუნოების, კეთილმოქალაქეობის და საზოგადო საქმისათვის მზრუნველობისას. ამნაირ ადამიანთა სიკვდილი “პატიოსან არს წინაშე ღვთისა” და ეს ცხედარიც გვეუბნება მობაძავ ჩემდა იყავითო.

ღმერთმან განგისვენოს კეთილო ადამიანო!

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 49.

**№107. ეპისკოპოს პიროსის (ოქროპირიძე)<sup>156</sup>**

**დეკემბერი მიტროპოლიტ ამბროსის  
კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ  
არჩევისა და თბილისში ჩამოსვლის  
აუცილებლობის შესახებ**

1921 წ. 18 ივლისი

დეკ. ხელაიას — ოჩამჩირი-ილორი, нарочная.

დეკ. არისტარხ კალანდარიშვილს — Ново-Сенаки.

დეკ. გვაზავას — სოხუმი

მიტროპოლიტი ამბროსი არჩეულია კათოლიკოსის მოსაყდრედ; აცნობეთ, საჩქაროთ ჩამობრძანდეს.

ეპისკოპოსი პიროსი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 44.

26 ივლისი 1921 გ.

Очамчири, нарочным Илори, протоиерею  
Порфирию Хелая,  
Прот. Гвазава, Сухум  
Передайте митрополиту Амвросию,  
Католикосский совет просит поспешить с приездом.  
Епископ Пир.  
საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 45.

**№108. მიტროპოლიტ ამბროსის საპასუხო  
წერილი სრულიად საქართველოს  
საკათოლიკოსო საბჭოს თბილისში  
ჩამოსვლის თაობაზე საბჭოს  
წინადადებასთან დაკავშირებით**

1921 წ. 1 აგვისტო

რადგანაც, როგორც მეცნობა საბჭოს  
კანცელარიისაგან (19 ივლისი 1921 წ. №1578), მორიგი  
საეკლესიო კრება დანიშნულია გელათის მონასტერში 1  
სექტემბრისათვის ახალი სტილით, მე ამჟამად არ  
მიმაჩნია მიზანშეწონილად ახლავე ჩამოსვლა  
ტფილისში, ვინაითგან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც  
საქმეები მოსაწესრიგებელია. ამისათვის აგვისტოსთვის  
მეორე ნახევარში გავემგზავრები ქალაქ ქუთაისში  
საეკლესიო კრებაზე დასასწრებად, რასაც  
პატივისცემით ვაცნობებ საკათოლიკოსო საბჭოს.

მიტროპოლიტი ამბროსი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 46.

**№109. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვა  
— “მამულისათვის დახოცილთა  
ნახევარი წლისთავზე თქმული  
ტფილისის სამხედრო ტაძარში”**

1921 წ. 18 სექტემბერი

მართლმადიდებელნო ძმანო და დანო! პირველი მღვდელმსახურება ჩემს მიერ სამწყსოში შემხვდა ამ წმ. ტაძარში, შემხვდა დღეს, როდესაც სრულდება ხსენება იმათი, რომელნიც შეიწირნენ მსხვერპლად ჩვენთა ცოდვათათვის. ეს არის მიზეზი, რომ ჩემს პირველ წირვას დაესწრო ამდენი საზოგადოება. ღმერთს ენება, რომ სამსახური დამეწყო მოწყვეტილ მამულიშვილთათვის ლოცვა-ვედრების ღვთისადმი აღვლენით.

დიახ, ჩვენ ვიხსენებთ დღეს იმათ, ვინც ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარეს. ეს ჩვენი ქრისტიანული მოვალეობაა, მაგრამ ვიკითხოთ, რისთვის დაიხოცნენ? რა იყო მიზეზი მათი უდროოდ ამ წუთისოფლის გამოსალმებისა? ვიტყვი გაბედულად, რომ ისინი იყვნენ მსხვერპლნი ჩვენის უსჯულოებისა, ჩვენის ცოდვებისა და შეცდომებისა წინაშე ღვთისა და მამულისა. ეს სინამდვილეა, ვინაითგან აწმყო არის შედეგი სულისა. ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი, სარწმუნოება, სახარების

უკვდავი იდეალები, მოძმეთა სიყვარული, კაცი კაცისათვის შეიქმნა მგელი. ვიძახით ერთობა, სიყვარული და თანასწორობაზე და ყველა ეს, თუმცა მშვენიერი, სანატრელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. არ არსებობს ნამდვილი ძმობა და თანასწორობა. ამის მაგიერ გამეფებულია ჩვენში შური, მტრობა და სიძულვილი. თუ გვინდა, რომ არ მეორდებოდეს ამნაირი მოვლენანი, ერთი რომელთაგანის მოსაგონებლად აქ ვართ შეკრებილნი, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ სარწმუნოებას, გავატაროთ, განვახორციელოთ ჩვენს ცხოვრებაში ქრისტეს იდეალები თანასწორობის, ძმობისა და სიყვარულისა.

ერთგულნი მამულიშვილნი იცავენ თავის სამშობლოს და არავის შეუძლია, არავის აქვს უფლება, სთქვას, რომ ისინი, ვის ხსენებასაც დღეს ვასრულებთ, არ ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი მამულის სიყვარულით, მისთვის არ დაეღვარათ სისხლი, ვინაითგან, უეჭველია, მათ ამოდრავებდათ მამულის დაცვის სურვილი. შეიძლება ბევრმა ეს არ გაიზიაროს, მაგრამ მათ ანგარიში უნდა გაუწიონ დახოცილთა სულის ვედრებას, მათ ფსიხოლოგიას, მათს რწმენას.

როგორც გინდა არ ვიფიქროთ, რა აზრისანი არ უნდა ვიყოთ, მაინც უნდა ვიწამოთ, რომ მათი სისხლი სამშობლოს მიწაზე დანთხეული არის წმიდა, ვინაითგან მას ამნაირათ ჰქმნის არა მარტო ის, რასაც ჩვენ მათზე ვფიქრობთ, არამედ თვით მათი სულისკვეთება, რომელმაც მათ მისცა ძალა თავი გაეწირათ.

ქართველთა ერის ისტორია სისხლით არის დაწერილი. ამ ისტორიაში ბევრი რამ არის ჩამაფიქრებელი, ცრემლების მომგვრელი, მაგრამ მასში პოეზიაც ბევრია. მართალია, სამშობლოს თავგადასავალს ქართველი თვალცრემლიანი იგონებს, მაგრამ ამ ცრემლებში იხატება მომავლის იმედიც, პოეტური აღმაფრენა. ეს არის სამწუხარო, მაგრამ სიხარულის მომგვრელი ცრემლები.

როდესაც ჩვენი ისტორია გვეუბნება, რომ წარსულში ქართველი ერის ცხოვრება იყო სავსე ტრაგიზმით, რომ მას რკინის რკალივით გარშემორტყმოდნენ აუარებელნი მტერნი, მას ემუქრებოდნენ გადაგვარება-ჩანთქმით, რომ ამის საშუალებად მიაჩნდათ ქრისტიანულ სარწმუნოების მოსპობა, და მაჰმადის სჯულის ძალით გავრცელება, რომ სცდილობდნენ შეეგინებიათ მათი წმიდათა წმიდა, რასაკვირველია, გული გვიწუხს. მაგრამ როდესაც წარმოვიდგენთ ჩვენი წინაპართა სიმბნე-სიმამაცეს, მათს ეკლესიის და სამშობლოს სიყვარულს, მათთვის თავდადებას, როდესაც ისტორია გვეუბნება, რომ ქართველი მიდიოდა მტრის მოსაგერიებლად და ჯიბით თან მიჰქონდა მშობლიური მიწა, სიკვდილის წინ მით ეზიარებოდა და იტყოდა: “მექმნეს მე ზიარებად სამშობლოს მტვერიო”, რომ მისთვის ტკბილი იყო სარწმუნოებისა და მამულისათვის სიკვდილი, რომ ქართლის დედა არა იმაზე სწუხდა, რომ მამულს და ეკლესიას შვილი შესწირა, არამედ იმაზე, რომ მეტის შეწირვა ვერ შეიძლო, როდესაც ყველა ამას წარმოვიდგენთ, გული სიხარულით გვევსება, ვამაყობთ, გვებადება მომავლის იმედი, რომ



ის ხალხი, რომელსაც ასე უყვარს სამშობლო, არ მოკვდება, მას აქვს მომავალი.

აი, ის სისხლიც, რომელსაც დღეს ჩვენ ვიგონებთ, ამნაირის მნიშვნელობისაა; ის არის თავდები მომავალი თაობის სიმხნე-მამაცობისა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ წინაპართა სული მამულის სიყვარულისა, მისთვის თავდადებისა, არ გამქრალა ჩვენს ხალხში და, მაშასადამე, შეგვიძლია იმედით ვუყუროთ მომავალს.

დაე, მათი ხსენება იყოს საუკუნო ქართველი მამულისშვილების გულში, რომ ამით მათში ინერგებოდეს ის სულისკვეთება, რომელმაც მომავალშიაც არაერთხელ უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო, შეანახვინოს მას თავისუფლობა და სარწმუნოება.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 52.

## №110. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მისი კურთხევის დღეს

1921 წ. 14 ოქტომბერი

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნო, ქართველ ერის მოძღვარნო სამღვდელო და სამონაზონო პირნო და აქ შეკრებილნო მორწმუნენო!

უღრმესი გულწრფელობით აღსავსე მადლობას გწირავთ, რომ მიიღეთ შრომა და ამ საღმრთო წირვაზე აღავლინეთ მხურვალე ვედრება ყოვლად მოწყალე ღვთისადმი სული წმიდის მადლის შემწეობის გამოსათხოვრებლად ჩემი უღირსებისათვის!

რა უნდა ვსთქვა ამ ჩემთვის დიდმნიშვნელოვანი წამებში დიდებული სვეტიცხოვლის ამბიონიდან, საიდანაც გაისმოდა მრავალ მჭევრმეტყველ მამათმთავართა მკვეთრი სიტყვა. მეკარგება გაბედულობა, როდესაც ამ ისტორიულ ამბიონზე ვდგევარ და როდესაც წარმოვიდგენ ჩემს უღირსებას. მეხატება წარსული ჩემი ცხოვრება, რომელშიც მე ნათლად ვხედავ ღვთის ჩემს უღირსებაზე განგებულებას, მზრუნველობას, ვხედავ, რომ ხელი უფლისა იყო ჩემ ზედა და მარონინებდა იმ გზით, რომელიც არა სთნდა სულსა ჩემსა და რომელიც კაცობრიულ წარმოდგენით უნდა ამეცილებია თავიდან, რომელიც არ მინდოდა სოფლიური მიდრეკილებათა და ქეთფიც ხელობისა გამო ჩემისა. ახლაც მწამს, მომიწოდა უფალმა ამ დიდი და მძიმე მსახურებისათვის, მაგრამ რა მეტეჟმის მორჩილების მეტი და ამ წამებშიაც რა შემფერის თუ არ დუმილი.

მოციქულებს მოუწოდა უფალმა და ისინი არა სიტყვებით მიმართავენ მას, არა იმას სცდილობენ, რომ თავისი მჭევრმეტყველობით მოაწონონ ვისმეს თავი, არამედ მორჩილება-დუმილით სტოვებენ ყველაფერს და მისდევენ მომწოდებელს. გენისარეთის ტბაზე მესათხველნი ითვალისწინებდნენ არა აწმყოს, არამედ იმას, რომ გახდებოდნენ “მესათხველედ კაცთა” (მათე, 4. 10),<sup>157</sup> შემოივლიდნენ მთელ ქვეყნიერებას, სძლევდნენ

მეცნიერთა, მეფეთა და დიდებულთა ამა ქვეყნისათა, დაამხოზდნენ წარმართობას და ქრისტეს სახარებას მიანიჭებდნენ გამარჯვებას. მიუხედავად ამნაირი დიდი მომავლის წინაგრძნობისა, მათ ირჩიეს დუმილით და სიტყვის მიუგებლად მისდიონ ქრისტეს მოწოდებას. მით უმეტეს მე არა მეთქმის რა, როდესაც მომავალშიც ვერას ვხედავ, არა ვხედავ, რომ შევიძლო რისიმე საყურადღებოს გაკეთება.

ან მართლაც რა უნდა ვსთქვა ჩემს უღირსებაზე? მაგრამ ამის შესახებ უკვე მაქვს ნათქვამი სხვა დროს და სხვა ადგილას და არ გავიმეორებ. მხოლოდ ვიტყვი პავლე მოციქულთან ერთად — “მე უძლურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა” გავიყოფდი თქვენს შორის (I კორინთ. 2,3).

მამათმთავრობის ტვირთის სიმძიმეზე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა, მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიძულვილით და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამოაშკარაება. მაგრამ ვიცი ქვეყნის მთელი მოციქულის სიტყვებისა, რომ მომწოდებელი ღმერთია, ვინაითგან “არავინ თავით თვისით მიიღოს პატივი, არამედ რომელნი წოდებულ არიან ღვთისა მიერ” (ებრ., 5,4) და რომ “ყოველი მღვდელმთავარი, კაცთაგან მოყვანებული, კაცთათვის დადგეს იგი ღვთისა მიერ” (ibid, 5.1). მაშასადამე, ჩემი უღირსებაც, ვიმეორებ, ღვთისაგან მოწოდებულია ამ დიდ თანამდებობაზე და ის მომცემს ძალას ხალხისათვის მსახურებისას, ვინაითგან მოციქული

პავლესთან ერთად მეც მეუბნება უფალი “ძალა ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო” (2 კორინთ. 12,6).

გამოვთქვა წუხილი სარწმუნოების დაცემის შესახებ ჩვენში? მაგრამ ესეც არ უნდა იყოს საჭირო. მახსოვს, რომ ჩემ წინამოადგილემ განსვენებულმა ლეონიდემ ამ ამბიონიდან კათოლიკოზობაზე აყვანის დღეს ბრძანა, რომ საქართველოს ეკლესია ოთხივე კუთხივ შავი ღრუბლით არის მოცული და სწუხდა, ვაი თუ ვერ გავფანტო ეს საბედისწერო ღრუბლებიო. მდგომარეობის უნუგეშობის დასამტკიცებლად მან მსმენელებს მიუთითა ამ დიდებულ ტაძრის აწინდელ მდგომარეობაზე და ბრძანებდა, რომ სვეტიცხოველის ტაძარი არ არის ამ შემთხვევაში გამონაკლისი. “ღვთის სახლი დღეს თითქმის ყველგან პატივაცრილია, დარბეული, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროვებულია. სამღვდელოება და მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხებას, ქრისტიანობა მრავალთ დაუსახავთ მოსასპობათ, მოკლედ, დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ და მისი მდგომარეობა მოგვაგონებს “კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დასწუნებულსაო”.” ამნაირად ახასიათებდა განსვენებული მამათმთავარი ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას 1919 წელს და დასძენდა, რომ ვაი თუ ვერ გავაკეთო რამეო. გადავხედოთ ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას. რას ვხედავთ ახლა? ვხედავთ, რომ ეკლესიის მდგომარეობა არამც თუ არ გამოკეთებულა, არამედ ბევრად უფრო გაუარესებულა, მის გარშემო შავი ღრუბლები უფრო და უფრო საბედისწეროთ გამხდარა. რისთვის ვერ შესძლო ეკლესიურ საქმის განახლება-გამოკეთება ამ დიდად

ნიჭიერმა და მჭევრმეტყველ — პატრიოტ მღვდელმთავარმა? მისთვის, რომ მას გარემოება ხელს არ უწყობდა, მის გარშემო მჭიდროთ ვერ შეკავშირდნენ ეკლესიის კეთილდღეობისათვის თავდადებულნი მორწმუნენი. ეს ნათლად ამტკიცებს ჩემი სიტყვების სინამდვილეს, იმ სიტყვებისას, რომელიც წარმოვსთქვი სიონის ტაძარში პირველად შესვლის დროს, რომ თუნდაც გენიოსი გვყავდეს ეკლესიურ ცხოვრების სათავეში, ვერას გაარიგებს თუ თვით შეგნებულ მორწმუნეთა არ გაუწიეს მას დახმარება.

მაგრამ შორს ჩვენგან უიმედობა, ვინაითგან წარსულ ივნის-ივლისის სოფლების შემოვლამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში დამარწმუნა, რომ ხალხმა პირი იბრუნა სარწმუნოებისაკენ, რომ მას სწყურია სარწმუნოებრივი სწავლა-მოდღვრების მოსმენა, რომ მას ეს სადღეისო აუცილებელ მისწრაფება-მოთხოვნილებად გახდომია, რასაც უწინ ადგილი არ ჰქონდა. ხალხის ამ გარდაქმნაში, სარწმუნოებისაკენ პირის დაბრუნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ნუ გაგიკვირდებათ, სოციალისტ-პროპაგანდისტებს, მათი სარწმუნოების საწინააღმდეგო ქადაგებას, მათგან ხალხის წმიდათა წმიდის შეგინება-შელახვას. დიახ ხალხში არის სარწმუნოება, ის აქამდის დაფერფლილი იყო, ახლა კი თანდათან ღვივდება. განა ამასვე არ გვიმტკიცებს დღევანდელი დღესასწაული, ეს სვეტიცხოველის თაყვანისსაცემად მოსულ მორწმუნეთა სიმრავლე და განა ყველა ეს არ გვარწმუნებს, რომ შორს უნდა იყოს ჩვენგან უიმედობა.

ჩვენს უიმედობაზე ღმერთი მოგვიგებს იმაზე მეტს, გვანუგეშებს უფრო მეტად და საგრძნობელად,

ვინემ ანუგემა წინასწარმეტყველი ილია, როდესაც ის ისრაელთა ურწმუნოებისა გამო აქაბის<sup>158</sup> დროს სასოწარკვეთილებაში შთავარდა. “დამიტევებიეს ისრაელისა შვიდი ათასი მამაკაცი, რომელთა არა მოუდრიკნეს მუხლნი მათნი ბაალს” (3 მეფეთა, 19,18). თუ ღმერთმა მაშინ ილიას უთხრა ეს სიტყვები, რომ არიან კიდევ შვიდი ათასი მორწმუნენიო, ახლა ის მიგვითითებს ამ სვეტიცხოველის და სხვა ტაძრების დღეობების დროს ზღვა მლოცველებზე, რომელთაც ქედი არ მოუხარეს ახლანდელ ურწმუნოებას და უღმერთობის ქადაგებას.

მაშასადამე, ნუ შეძრწუნდებიან გულნი ჩვენი, ვესავთდეთ უფალსა. დადგება და მოახლოებულიც უნდა იყოს ის დრო, როდესაც ამ მორწმუნე ხალხიდან გამოვლენ ჩვენი ეკლესიის განახლება-აღორძინების საქმეში დამხმარენი და ჩვენ ეკლესიურ ცხოვრების სათავეში მყოფნი არ ვიქნებით მარტონი. ამის საბუთს გვაძლევს არა ამერეთი მარტო, არამედ იმერეთიც, სადაც ხალხი სარწმუნოებრივი საქმეში კიდევ უფრო გათვითცნობიერებულია. სარწმუნოებრივ საქმეში ამერ-იმერნი ერთმანეთში შეთანხმებულ-შეკავშირებულნი არიან. ამ მხრივ დიდებულია დღევანდელი დღესასწაული სვეტიცხოველობა. ეს არის არა მარტო დღესასწაული ტაძრისა, არამედ ამერ-იმერთა გამოხმაურება, მათი მჭიდროდ შეკავშირება ეროვნულად და ეკლესიურად, ვინაითგან ჩემი უღირსება, არჩეული ცათამოხადავ გელათის თაღებქვეშ, ამ ხახულის, აწყურის, გელათის და ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების სავანეში, საქართველოს ემბაზმა — სვეტიცხოველმა, დღეს

ლოცვა-კურთხევით მიმიღო. ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ იმერ-ამერის კავშირი სიმბოლურად გამოიხატა ჩემს არჩევა-კურთხევაში.

დღევანდელი ჩვენი ერის მდგომარეობა იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ცვალებადია, არ იცვლება მხოლოდ მისი სარწმუნოებრივი განცდა. ამისათვის საუკეთესო მატარებელი და დამცველი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია. ერის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა არ მოასწავებს ეროვნული სარწმუნოების შეცვლას. პოლიტიკურ რწმენაში და ცხოვრების ცვალებადობაში, სადაც ხშირათ ეროვნული იდეალებიც დავიწყებას მიეცემიან, უცვლელია მხოლოდ სარწმუნოებრივი ცხოვრების ნორმები, რის გამოც ეკლესიაში ეროვნული იდეაც სამარადისო და შეურყეველია.

ხალხი მჭიდროთ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიას და სამშობლოს, ვინაიტგან ის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარწმუნოების, სამშობლოს დაცვისათვის, მაგრამ სარწმუნოების დაცვაში ხედავდა უსათუოდ მამულის დაცვასაც. ეს მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და აუცილებელ მოთხოვნილებათ. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიხოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან. მრავალ საუკუნოების განმავლობაში ამ მისი (ცხოვრების) ღრმად ჩაყრილ საძირკველზე მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შემეცნებისა და როგორ გნებავთ ახლა

ის საძირკველი გამოუცვალოთ ამ დიად შენობას და ჩაუყაროთ ახალი ამავე სიღრმეში? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა, საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვით შენობას? თუ ეს მოსახერხებელია და საშიშარიც არ არის, მაშინ გკითხავთ, ამ ახალ საძირკველის გამაგრებისათვის რამდენი საუკუნის განუწყვეტელი მედგარი შრომის განმეორებაა საჭირო ხალხისათვის? ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო, სასურველი? ასე იტყვიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდათ გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია და ჩაუყარონ ახალი — ინტერნაციონალიზმის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი, უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა. ერთადერთი შედეგი ამისა შესაძლებელია მხოლოდ ის იქმნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის ეროვნულ განვითარებას.

აი, რას უნდა ჩაუფიქრდეს არა მარტო ეკლესიის მორწმუნე წევრი, არამედ ყველა, ვისაც თავის მოღვაწეობის მიზნად დაუსახავს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მისთვის სამსახური.

მაშ, მორწმუნენო მამულიშვილნო, ორივე — ეკლესიაც და სამშობლოც, ტკბილია, ორივე წმიდათა წმიდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიხოლოგია და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო. პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ის



მოგვცემს ძალას შევანახვიოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.

აი, ამნაირად არა ხალხის საზოგადოდ, რომელსაც ინსტინქტად გახდომია ამის შეგნება, არამედ ინტელიგენციის გადაქმნის მოლოდინი მომცემს მე ძალას ჩემი ცხოვრების მიწურული საღამო შევსწირო ჩვენი ეკლესიის და ერის კეთილდღეობას, მათ სამსახურს. მხოლოდ ამ იმედით ვიტვირთე ეს დიდი ჯვარი მამამთავრობისა და ჩვენი მრავალტანჯულ ეკლესიის საჭეთმპყრობელისა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 53.

**№111. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქ ამბროსის სიტყვა ცხუმ-აფხაზეთის  
ეპისკოპოს იოანეს (მარგიშვილი)<sup>159</sup>  
კურთხევისას**

1921 წ. 15 ოქტომბერი

ყოვლად სამღვდელო იოანეს ეპისკოპოს ცხუმ-აფხაზეთისას კურთხის ჩაბარების დროს.

ყოვლად სამღვდელო იოანე!

მოგილოცავ იმ მადლს სულიწმიდისას და დიდ ხარისხს, რომელიც შენ დღეს მიიღე. გახსოვდეს, რომ ეს არის არა მარტო ხარისხი, არამედ დიდი ჯვარი,

რომელიც შენ უნდა ატარო მომავალს შენს ცხოვრებაში. შენ უნდა იყო მზათ თავი დასდო ცხოვართათვის. შენი სამსახური ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში განსაკუთრებული იქნება. შენ, როგორც მწყემსმთავარმან, არა მარტო კეთილ სამოვარზე უნდა არონინო პირმეტყველნი ცხოვარნი, არამედ ეძიო დაკარგულნიც, რომელნიც უნდა აღიყვანო შენს მხრებზე და მოჰგვარო ქრისტეს. ამნაირ გზადაკარგულ ცხოვარს წარმოადგენს აფხაზეთის მკვიდრთა საგრძნობელი ნაწილი.

აფხაზეთი მუდამ იყო საქართველოს ნაწილი და მასთან საუკეთესო ნაწილიც ჩვენის მშობლიურის ეკლესიისა. აქ, როგორც გვეუბნება წმ. აბო თბილელის ცხოვრება, ჰყვავდა ეკლესიური ცხოვრება. ამის დამადასტურებელია სიმრავლე დიდებულ ნაშთებისა, რომელთაგან ბიჭვინთა, ლიხინი, ფსირცხა, დრანდა, ილორი და ბედია გადაურჩნენ ჟამთა ვითარებას და მტერთა ბარბაროსობას.

ეს მხარე დასახლებული იყო ქართველთა მოდგმის ხალხით და ეკლესიური ცხოვრება ძალიან მაღლა იდგა XVII ს. ნახევრამდე, როდესაც აფხაზთა გადმოლახეს გაგრის სივიწროენი და კაპუეტის მდინარე და დაიმორჩილეს მთელი გუდაუთის მხარე, დაიწყო მაჰმადიანობის პროპაგანდა. ეს განსაკუთრებით გაძლიერდა რუსების კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის აგრესიულმა დენამ კავკასიისაკენ, მისმა მიდრეკილებამ აქაურ მკვიდრთა დამორჩილებისამ გამოიწვია მის წინააღმდეგ მთიელთა ბრძოლა და ახალი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მოძღვრება მიურიდებისა, რომელიც მიმართული იყო

რუსების და განსაკუთრებით მათი სარწმუნოების წინააღმდეგ. მიურიდობა სცდილობდა მაჰმადის სარწმუნოების გავრცელებით შეეერთებიათ ყველა კავკასიელები მტრების საწინააღმდეგოდ. ამისთვის აფხაზეთში მეტისმეტად გაძლიერდა მაჰმადიანობის ქადაგება და აფხაზთაგან ბევრი გადუღდა ქრისტიანობას.

მაშასადამე, შენს ახალ სამწყსოში სამკალი ბევრია და შენგან საქართველოს ეკლესია მოითხოვს თავდადებულ მუშაობას, რომ აფხაზეთში ისევ ძველებურად გაბრწყინდეს ქრისტიანობა, რაშიაც ღმერთი იყოს შენი შემწე.

მიიღე კვერთხი ესე ჩემი უღირსების ხელთაგან, ვითარცა თვით ქრისტეს მარჯვენიდან, რომელიც ამ წამს აქ ჩვენთან არის. ის გაგზავნის შენ დაკარგულ ცხოვართა სამებრად და იყო კვერთხი ესე ნიშნად იმ ძალისა და სიმხნისა, რომელიც საჭიროა, რომ აასრულო მაცხოვრის ბრძანება, მოიძიო დაკარგულნი პირმეტყველნი ცხოვარნი და ყველა ერთად ამოვო, ასაზრდოვო ქრისტეს სწავლითა.

კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 54.

**№112. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს იოანეს  
სიგელი ამ თანამდებობაზე მისი  
დანიშვნის შესახებ**

1921 წ. 15 ოქტომბერი

# წყალობითა ღმერთისათა

უმდაბლესი ამბროსი მთავარეპისკოპოზი  
მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად  
საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქი

დიდმან მღდელთმოდუარმან ჩუენმან, უფალმან და ღმერთმან სოფლისამან, რომელმან დაადგინა ეკლესიასა შინა თვისსა მოციქულნი, წინასწარმეტყველნი და მოძღუარნი, ცხოველმყოფელთა განგებულებითა თვისითა აღაშენა სამწყსო ღვთივდაცულისა ეპარქიისა ცხუმ-აფხაზეთისა, რომელსა შინა ერისა მიერ მორწმუნისა აღრჩეულო არქიმანდრიტო იოანე განწესებულ ხარ წესისაებრ წმიდისა სამოციქულოისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა ეპისკოპოზად და თანაშეწევნითა ყოვლაღმიდისა სულისა ქრისტეს აქეთ 1921 წელსა ოქტომბრის ათხუთმეტსა დღესა, მცხეთას, სუეტსა ცხოველსა და კუართსა საუფლოსა, დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა ათორმეტთა მოციქულთასა, ხელდასხმულ ხარ ჩუენ მიერ თანადგომითა ყოვლადასამღვდელოთა მწყემს-მთავართა: ნაზარ ქუთათელისა და პიროს ალავერდელისა, რათა ზრუნავდე შენდამი რწმუნებულისა სამწყსოსათვის მოძღურებისაებრ ცხოვრებისა ჩუენისა

სრულმყოფელისა იესო ქრისტეისა და წმიდათა მისთა მოციქულთა და კანონთა წმიდათა კრებათა. ჯერ-არს შენდა ეპისკოპოზო იოანე, რათა ეკრძალო თავსა შენსა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ეგე შენ სულმან წმიდამან დაგადგინა მწყემსად ეკლესიასა უფლისა და ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა, ვითარცა მწე ღმერთისაი, სასე ექმენ სამწყსოსა შენსა სიტყვითა, სლვითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა; იყავ სწავლულ, მყუდრო, სასიერ, მშვიდობით განმსწავლელ წინააღმდგომთა მათ, ნუ თავხედ, ნუ გულმწყრალ, ნუ მოღვინე, ნუ მოლაღვე, ნუ საძაგელის-შემძინე, არამედ სტუმრის მოყუარე, კეთილის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს მომთმინე, თავსმდებელ სარწმუნოებისა, სიტყვისა, რათა შემღებულ იყო ნუგეშინის-ცემადცა მოძღურებასა მას შინა ცხოვრებისასა. ღუაწლი კეთილი მიმოიღუაწე, სარწმუნოებაი დაიმარხე უბიწოდ და ურცხუენელად, ნუ თავსა შენსა სათნო ეყოფი, არამედ მრავალთა, რათა ცხონდნენ; უკუეთუ იხილო შჯულის-გარდასვლიაი რაიმე, გინა თუ საცთური სარწმუნოებისაი, ზედაადევ ჟამითი-უჟამოდ, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინი ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა; ჰმოდღურიდე ხუცესთა და დიაკონთა სამწყსოისა შენისასა, რათა ჰმსახურებდნენ აღშენებასა და ცხოვრებასა მათდამი რწმუნებულთასა, ამისთვის, ხელთა ადრე ნუ ვის დაასხამ, რათა არა სხვისა ცოდვათა ეზიარო. ისწრაფე, რათა არა თუ თავთა თვისთა, არამედ რწმუნებულთაცა მათდა ჭემმარიტებათა სახარებისათა გზასა ცხოვრებისასა ეკლესიათა და სახლთა შინა მარადის ასწავლიდეს.

იყავ ქადაგ, მოციქულ, მოძღვარ მორწმუნეთა და ურწმუნოთა, მართლმკუთებელ სიტყვისა ჭეშმარიტებისა, მაოტებელ სამწყსოსისაგან შენისა ყოვლისა უსჯულოებისა და ცრუმორწმუნოებისა. დაიცევ ეკლესიათა შინა და მონასტერთა წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ გარდამოცემულნი წესნი, იღუაწე კითხვათა შინა საღმრთოთა წერილთა, კანონთა წმიდათა მსოფლიოთა და ადგილობითა კრებათა და წიგნთა წმიდათა მამათსა, რათა განმზადებულ იყო მარადის სიტყვისა-მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდეს შენგან სიტყუასა და მოძღურებასა ცხოვრებისასა. ისწრაფე მიმოხილვად სამწყსოი შენი წლითი-წლად, რათა ნაკლული იგი განაგო, ბიწიერი განმართო უცებნი და იჭუნეულნი დამოძღურო და ყოველივე აღაშენო სიტყვისა-ებრ ღმრთისა, კანონთა წმიდათა მამათა და მოძღურებათა ეკლესიისათა. ხოლო საჭიროთა შინა შემთხუევათა ეძიებდე ხელმძღვანელობასა სრულიად საქართველოს ეკლესიის მამათ-მთავრისასა.

გულის-ხმის ყოფად სამღვდელოთა შენდა მოვალეობათა და სარწმუნებელად ყოველთა, ვითარმედ შენ კურთხეულ ხარ და ხელდასხმულ ეპისკოპოზად ღმრთივდაცულისა ცხუმ-აფხაზეთის სამწყსოისა, მოცემულ არს შენდა სიგელი ესე ხელითა ჩუენითა მოწერილი და ბეჭდითა საკათოლიკოზოითა დამტკიცებული ქალაქსა შინა ტფილისს წელსა ქრისტეს აქეთ 1921 ოქტომბრის დღესა.

მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ. 4.

№113. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს იოანეს წერილი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი ეპარქიაში არსებული ვითარების შესახებ<sup>160</sup>

1922 წ. 10 მარტი

მის უწმინდესობას, უწმინდეს და უნეტარეს ამბროსის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოზს!

პასუხად თქვენი უწმინდესობის შეკითხვისა უმდაბლესად მოგახსენებთ, რომ აქაური საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნით, თუმც მე ძალიან ვეწინააღმდეგებოდი, სოხუმის საკათედრო ტაძარში ვსწირე დღემდე მხოლოდ სამჯერ — შობას, ნათლისღებას და ნინობას. სამჯერ კიდევ ჩემი პირადი სურვილით ვსწირე ბერძნებში.

საზოგადოდ კი ღვთისმსახურების აღსრულების საკითხში მე ვადგევარ თქვენ მიერ აღრჩეულ გზას, რის გამოც საყოველთაოდ მაქვს გამოცხადებული, რომ მე საკათედრო ტაძარში არა ვსწირავ იმ დრომდე, ვიდრე მას არ ჩამაბარებენ სავესებით.

გარდა ამისა, მე ყოველგვარი ზომები მაქვს მიღებული, რათა ეს საჭირობოროტო საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ გარდასწყდეს. პრინციპიალურად აქაურ მთავრობაში საკითხი უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი.

ნინოობას მე ვსწირე ქართულად, თუმც მლოცველთა ნახევარს რუსობა შეადგენდა, ხოლო შობა-ნათლისღებას — ბერძნულ-ქართულ და სლავიანურ ენებზე. სახარებაც იმავე სამ ენაზე იქმნა წაკითხული (ორი ასამაღლებელი აფხაზურადაც წარმოვსთქვი). შობა-ნათლისღებას მლოცველთა სამ მეოთხედს რუსობა წარმოადგენდა. აი, სწორედ ამ ორ დღეს დიდ გამოსვლაზე აუარებელი რუსობის თვალთა წინაშე ერთგვარ ტაქტიკურ მოსაზრებით (შერიგება-შეერთების მიზანი) მოვიხსენიე სხვათა შორის რუსეთის პატრიარქი, რასაკვირველია, მე-6 ადგილლას ამგვარად: Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх Всея Грузии и Мцхета-Тифлисского архиепископа Амвросия да поможет Господь Бог в царствии своем всегда, ныне и присно и во веки веков. მეორედ — Святейших и Блаженнейших патриархов Вселенских: Дамиана Иерусалимского, Григория Антиохийского, Кирилла Александрийского, Мелентия Константинопольского и Тихона Московского да поможет Господь Бог в царствии своем всегда, ныне и присно и во веки веков.

ამგვარი ჩემი მოქმედებით რუსობის — ვასილ ჰამფილოვის აღმფოთებული და მოწამლული სინდისი დავამშვიდე და დავუმტკიცე მათ, რომ ქართველი ერი



არა დროს ყოფილა დაბრმავებული ფანატიზმით (დღეს შეგნებული რუსობა ჩვენს მხარეზეა).

ამგვარს ტაქტიკას ჩემგან მოითხოვს სოხუმში არა თუ მარტო დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, არამედ თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეც, რომელიც ოდესმე, ჯვარსა ზედა მიმსჭვალული, ლოცავდა მტანჯველთა თვისთა: “მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმიან” (ლუკა 23, 34 – ჯ.გ.).

რაკი მე დამასმენელის წყალობით, თქვენი რისხვა დავიმსახურე, ამ “დიდი შეცოდებით” და თქვენი შეკითხვით მე მომაყენეთ ერთგვარი უნდობლობის ჩრდილი, ამიტომ დღეიდან აღარ გავბედავ ჩვენი ეკლესიის თავისუფლების მტერის — კირ-ტიხონის მოხსენებას მე-ნ ადგილზე. თუ ინებებთ, უწმინდესო მეუფეო, აღარც ბერძენ-ასურელ პატრიარქთ მოვიხსენიებ. ამასაც კი კადნიერად დავსძენ, რომ ასეთი მოქმედება ჩემი (არმოხსენება) იქნება ჩემი სურვილისა და ქრისტიანულ რწმენა-შეხედულების საწინააღმდეგო, მაგრამ მე, რასაკვირველია, ჩემს მთავრობას უნდა დავემორჩილო.

ხოლო, რაც შეეხება სოხუმის ეპარქიის დღევანდელ მდგომარეობას, უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ ეპარქია ჯერ-ჯერობით იმყოფება იმავე სამწუხარო მდგომარეობაში, რომელშიაც თქვენ დასტოვეთ იგი.

ჩემი თვლისში მოსვლა საქმისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს<sup>161</sup> და აი, მაშინ პირადად მოგახსენებთ უფრო დაწვრილებით ყოველივე გარემოების შესახებ.

თქვენი უწმინდესობის მორჩილი და ერთგული  
ეპ. იოანე.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ. 16.

**№114. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი  
ამბროსის საგანგებო კომისიაში  
დაკითხვის ოქმიდან**

1922 წ. 12 ივნისი

1922 წლის 12 ივნისს დაკითხულ იქნა საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი (ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) — 62 წლისა, უმაღლესი განათლებით, რომელმაც მის მიერ გენუის კონფერენციის სახელზე გაგზავნილი მოწოდების თაობაზე უჩვენა შემდეგი:

გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მოწოდება რედაქტირებული იყო ჩემს მიერ და ჩემს მიერვე ხელმოწერილი.

კითხვა: რა დოკუმენტური მონაცემები გაქვთ იმისა, რომ ქართველი ხალხი სულს დაფავს, არ ძალუძს ხმის ამოდება და უბედურ მდგომარეობაში იმყოფება.

პასუხი: ცნობებს ხალხის ასეთი მდგომარეობის შესახებ პირადი დაკვირვებით ვიღებდი. ეს ამბავი სოხუმის ოლქში ხდებოდა, სადაც მე საუბარი მიხდებოდა მორწმუნეთა შორის რელიგიურ საკითხებზე. რაც შეეხება ეკლესიაში პოლიტიკური

ხასიათის საუბრებს, ასეთებს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან ამ საკითხზე არც მე მითქვამს რაიმე და არც სხვებისთვის დამინებებია. ეკლესიის კედლებს გარეთ იყო ლაპარაკი პოლიტიკურ თემაზე, მაგრამ ინიციატივა ჩემგან არ მოდიოდა. მორწმუნენი თვითონ ეხებოდნენ პოლიტიკის საკითხებს. სოხუმის ოლქში ძალიან ხშირად ხდებოდა ხოლმე, როცა აგიტატორები ეხებოდნენ რელიგიას, შეურაცხყოფდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას. ასეთივე მოვლენები იყო მენშევიკების ბატონობის დროსაც და მე ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი და ამის თაობაზე მივმართავდი მენშევიკურ მთავრობას. სოფლად ასეთ აგიტატორებად ქართველები გვევლინებოდნენ. ასე მოქმედებდნენ სამღვდელოების წინააღმდეგ საქართველოს სხვა ადგილებშიც. გადაჭრით არ შემიძლია ვსთქვა, რომ ეს მთავრობის აგიტატორები იყვნენ, მაგრამ მეც და ხალხიც ვფიქრობდით, წარმომადგენლები მთავრობის მოხელეები გახლდათ. უშუალო დამოკიდებულება ქართველ ხალხთან არ მქონია, მაგრამ ჩემთან მოდიოდნენ მორწმუნენი, ერის ადამიანები, სამღვდელოებისა და სხვა საზოგადოების წარმომადგენლები, ჩემთან მოდიოდნენ წმინდა საეკლესიო საკითხებზე და მორწმუნეთა წარმომადგენლები არ ეხებოდნენ პოლიტიკას. მე არ ვიღებდი მათ პოლიტიკის საქმეთა გამო, მაგრამ საუბრისას მთავრობაზეც ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, მათი ცუდი მდგომარეობის კვალობაზე. ჩემთან მოსულ არც ერთ წარმომადგენელს არ უთხოვია, რომ მე მათი სახელით მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. ჩემთან მოსულ

წარმომადგენელთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ რელიგიისა და მორწმუნეთა მდგომარეობა ახლანდელი მთავრობის ხელში გაცილებით უარესი იყო ეკონომიური, ეროვნული და სხვა თვალსაზრისით.<sup>162</sup>

ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1997, გვ. 115-116.

**№115. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი  
ამბროსის წერილიდან საქართველოს  
საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კოტე  
ცინცაძისადმი გენუის კონფერენციაზე  
გაგზავნილ მემორანდუმთან დაკავშირებით**

1922 წ. 26 ივნისი

ამა თვის 1-ს თქვენს მიერ გამოძახებული ვიყავი საგანგებო კომისიაში ჩვენებათა მისაცემად, შესახებ მემორანდუმისა, რომელიც ჩემს მიერ გაიგზავნა გენუის კონფერენციაზე. მე მოგეცით თქვენ ფართო ახსნა-განმარტება მემორანდუმის გასაშუქებლად, რათა არც მთავრობას და არც საზოგადოებას არ ეფიქრა, თითქოს მე უარყოფდე მემორანდუმში მოხსენებულ პუნქტებს.

ვფიქრობდი, რომ ჩემი ახსნა-განმარტებანი ამომწურავი იქნებოდა საქმის სათანადო წარმოებისათვის, მაგრამ თქვენ მიერ დანიშნულმა

გამომძიებელმა მოქალაქე ქავთარაძემ 4 დღის წინათ გამომიძახა ჩვენში და დამავალდებულა მონაცემებით დამემტკიცებინა მემორანდუმში ნახსენები პუნქტები. ამის გამო აუცილებლად მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: ყველასათვის ნათელია, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველომ რუსეთის დიდ რევოლუციაში; ამიტომ იგი, საქართველო, დიდ იმედებს ამყარებდა ამ რევოლუციაზე, და მართლაც, რევოლუციის პროცესში ქართველმა ერმა მიაღწია სრულ დამოუკიდებლობას და სამი წლის მანძილზე თავის საქმეებს მართავდა თავისი სუვერენული ნების მიხედვით.

საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო რსფსრ-ს საბჭოთა ხელისუფლებამაც 1920 წლის 7 თებერვლის (უნდა იყოს 7 მაისის — ჯ.გ.) ხელშეკრულებით, იმ საზღვრებში, რომლებიც განსაზღვრულია იმ ხელშეკრულებაში. მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში ჩვენს საზღვრებში შემოჭრილმა რუსეთის არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და მოსპო ქართველი ერის სუვერენიტეტი. ამას მოჰყვა საქართველოს დაქუცმაცება: მისი ერთი ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანს, მეორე — სომხეთს, მესამე აღმოჩნდა ახლადშექმნილი ავტონომიური ოსეთი (საზღვრების თაობაზე იხილე 1921 წლის 5 მაისისა და 6 ნოემბრის დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუქა), ცალკე რესპუბლიკათა სახით გამოიყვნენ აფხაზეთი და აჭარისტანი. საქართველოს რკინიგზა შეუერთდა რუსეთის რკინიგზას. საქართველოს არმია შეერია საქართველოში მოქმედ რსფსრ წითელ არმიას.

ქართული ენა განიდევნა რკინიგზის სამმართველოდან, იგი შევიწროვებას განიცდის სხვა დაწესებულებებშიც...

შეურაცყოფას განიცდიან ხალხის მამები... ბინებიდან აგდებენ მღვდლებსა და საეკლესიო მამებს...

მე, როგორც სიტყვის, პრესის, სინდისის თავისუფლებათა და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მომხრეს (ყველაფერ ამას საბჭოთა ხელისუფლებაც აღიარებს) და ამასთან მორწმუნე საქართველოს ნეტარ მამას, არ შემემლო ხმა არ ამემალღებინა ზემოთქმულის კვალობაზე. მე მოვიხადე მოვალეობა ღვთისა და მშობლიური ხალხის წინაშე, ხოლო თუ ეს დანაშაულად ჩამეთვლება, მზადა ვარ მთელი ხალხის წინაშე ვაგო პასუხი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.

ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1997, გვ. 112.

**№116. ამონაწერი კათოლიკოს-პატრიარქ  
ამბროსის წინააღმდეგ გამართული  
საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს  
საჯარო სხდომის ოქმიდან**

1924 წლის 11 მარტი

თავმჯდომარე — გითხრათ თუ არა რამე ლეონიდმა განძეულობის გატანის და დამალვის შესახებ?

ამბროსი — არაფერი უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა, რადგანაც მე ვიყავი სოხუმის ეპარქიაში, სადაც მისვლა-მოსვლა არ იყო. ლეონიდს ცოცხალს ვერ მოვუსწარი.

მნათობი, 1989, №9, გვ. 117-118.

## №117. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საბოლოო სიტყვიდან სასამართლოზე

1924 წ. მარტი

...ჩვენ, — საკათალიკოსო საბჭოს მთელ შემადგენლობას — ბრალად გვედება ის, რომ არ შევასრულეთ მთავრობის წინადადება, გაგვეგზავნა წარმომადგენელი ყოფილი სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის დროს დასასწრებლად და რომ არ მოვისურვეთ ჩვენის ხელით ჩაგვებარებინა იგი არა სარწმუნოებრივი მიზნებისათვის მოსახმარად. საკათალიკოსო საბჭომ ეს თავისთვის ჩათვალა მიუღებლად, რაც მას ჩამოერთვა წინააღმდეგობის გაწევად, მოღალატეობად, აჯანყებისაკენ ხალხის მოწვევად და სხვ...

1) დანაშაულად მითვლიან იმასაც, რომ მცხეთის და სიონის განძების დამალვა ვიცოდი. ამნაირი ბრალდება მიმაჩნია გაუგებრობად, ვინაითგან ნივთების ქუთაისში წაღების დროს მე ვმსახურობდი სოხუმში და ნივთების დამალვა მოხდა უჩემოდ; 2) არც ჩემი და არც სხვების ჩვენებიდან არ სჩანს, რომ ეს მე

ვიცოდი ნივთების აღმოჩენამდე. საიდან და როგორ არის ეს ბრალდება შეთხზული, არ ვიცი და 3) მართლაც რომ ვყოფილიყავი დამალვის მონაწილე, მაშინაც ვერ ჩავთვლიდი ჩემს თავს დამნაშავედ, ვინაითგან სამღვდელოება მოვალე იყო ეზრუნა ეკლესიის ქონების დაცვისათვის და უხსოვარ დროიდან არეულობის და მტრების შემოსევის დროს განძეულობის დაცვისათვის მიმართავდნენ ამ საშუალებას, ამან შეგვინახა იგი. როდესაც მისი გადატანა მოხდა ქუთაისში, ეს განძეულობა არ შეადგენდა მთავრობის კუთვნილებას. ეს მოხდა ძველი მთავრობის დროს, როდესაც ეკლესიას არ ჰქონდა ჩამორთმეული საკუთრების უფლება. თუნდაც ჩამორთმეული ჰქონოდა, მაშინაც სამღვდელოების მოვალეობა იქნებოდა, რადგან მის ხელში იქნებოდა მისი მოვლა-დაცვის საქმე. ამის შემდეგ განსაცვიფრებლად მიმაჩნია საბრალდებო ოქმში ხმარება სიტყვის “გატაცება”, მეტის თქმას ამის შესახებ არ ვსთვლი საჭიროდ.

უმთავრესი ბრალდება ჩემს საწინააღმდეგოდ წამოყენებულია, როგორც საბრალდებულო ოქმიდან სჩანს და როგორც პროკურორის სიტყვიდანაც მესმა, არის კონტრრევოლუცია. ჩემი კონტრრევოლუციონერობა გამოიხატა გენუის კონფერენციაზე ჩემ მიერ წერილის გაგზავნაში, მაგრამ არ მესმის რა იყო კონტრრევოლუციონერული ჩემს წერილში. ნუთუ ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც ეს მას უნდა, მაგრამ ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის? უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ მანვე ამართა დროშა,



რომელზედაც მსხვილის ასოებით წააწერა: “მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება”. ეს ლოზუნგი იმდენად აღმაფრთოვანე-ბელი, სანეტარო და სასურველი იყო, რომ მისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ. ასეც მოხდა, თვით ნიკოლოზ მეორის მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე<sup>163</sup> ერთადმი თავის მიმართვაში ამბობს, რომ ის იბრძვის ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის. მეტყვით, ეს განცხადება არ იყო გულწრფელი და მეც სავსებით გეთანხმებით, მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს არა იმას, გულწრფელი იყო ეს განცხადება თუ არა, არამედ იმას, რომ მთავარსარდალი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ცხოვრების სინამდვილისათვის, აღეარებია ის, რასაც თვითონაც არ თანაუგრძნობდა. დიახ, ის წამოაყენა ცხოვრებამ და მას ყველაზე უწინ ანგარიში გაუწია სოციალისტურმა ხელისუფლებამ, მაგრამ სტალინის სიტყვით, მეორე ინტერნაციონალმა და მისმა ლიდერმა კაუტციმ ეს ლოზუნგი ჩამოაქვეითეს კულტურულ ავტონომიამდე, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიური მხარე დაუტოვეს ისევ გაბატონებულ ერებს. საბჭოთა ხელისუფლებამ კი გააფართოვა ის მცირე ერებისათვის პოლიტიკურად გამოყოფის უფლების მინიჭებამდე.<sup>163ა</sup>

აი, ეს თვითგამორკვევის უფლება თხოულობს, რომ თითოეულმა ერმა თავისი ცხოვრება და მართვა-გამგეობა მოაწყოს ისე, როგორც თვითონ მოისურვებს და თუ სტალინის სიტყვა შეიცავს ჭეშმარიტებას, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ გააფართოვა თვითგამორკვევის ლოზუნგი და მცირე ერებს უბოძა უფლება პოლიტიკური გამოყოფისა, თავისუფლება – სუვერენობისა, მაშინ ცხადია თვით გამორკვეული და

სუვერენული ერისათვის თავისუფლების წართმევა ამ ლოზუნგის დარღვევადაც უნდა ჩაითვალოს. მეტი არც მე მითქვამს რა.

მე არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიას, ჩემთვის სულერთია რომელი პარტიის ხელში იქნება მართვა-გამგეობა, რომელს ექნება ძალაუფლება და რომლის დიქტატურა იქნება დამყარებული, ამის განხილვაში შესვლა ჩემი საქმე არ არის, მხოლოდ მრწამს და სასურველად მიმაჩნია მართვა-გამგეობა დამყარებული იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე. ხალხის სურვილი ჩემთვის კანონია. ამ სურვილზე დამყარებული წესწყობილება მარგებელია ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის და მისი კულტურულად წინმსვლელობისათვის. მე არ გამეგონა, რომ მომხდარიყო ხალხის დაკითხვა ამის შესახებ და ამის გამო; როდესაც პირველი დაკითხვის დროს დამისვეს კითხვა, არჩეულია თუ არა ხალხისაგან ახლანდელი ჩვენი მთავრობაო, მეტი რომ არ მეთქვა, ვუპასუხე, არ ვიცი მეთქი. როდესაც დამკითხველმა საყვედურით მითხრა, როგორ, ინტელიგენტმა კაცმა არ უნდა იცოდე, რომ წარსულ თებერვალს (ეს იყო 1922 წელი) იყო ყრილობა და მან აირჩიაო, მე ბოდიში მოვიხადე და მხოლოდ შევნიშნე, რომ მაშასადამე 1921 წ. თებერვლიდან 1922 წ. თებერვლამდის — ერთი წლის განმავლობაში — აურჩევლად უმსახურნია მეთქი და ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან ერთი წელიწადი საჭიროც იქნებოდა ხალხის დაწყნარებისა და თვითგამორკვევისათვის. ჩვენ, ეკლესიის მსახურნი კი იმ აურჩეველ მთავრობასაც კი ვცნობდით, ვინაითგან ანგარიშს ვუწევდით ფაქტს — ეროვნული მთავრობის

არსებობას და არ შევდიოდით კანონიერება-  
უკანონობის განხილვაში...

...მახსოვს პუტიკოვიჩის<sup>164</sup> გეოგრაფია, რომელშიც თითოეული კუთხის აღწერა დასურათებული იყო ადგილობრივ მკვიდრთა ტიპებით. ველიკორუსი გამოყვანილია: დიდი, ახოვანი, კმაყოფილი სახით და ამაყი გამომეტყველებით და ქვეშ მიწერილი ჰქონდა: “Хозяин земли русской”. სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი იყო მონის და დაჩაგრულის გამომეტყველებით. თვით შკოლა აწვდიდა ხალხს ამ დიდმპყრობელობით იდეას და რა გასაკვირია, რომ მის მისწრაფებათ იქცა ყველასათვის ეცქირათ, როგორც მონებისათვის, მათ ქვეშევრდომთათვის. ოცდაათიოდე წლის წინათ მოწმე გავხდი შემდეგი სანახაობისა: ქ. სოხუმის ბულვარი, ზღვის პირად მრავალი მოსეირნე, აქვე დგას ორი რუსი ძალზე შეზარხოშებული, ერთი მათგანი უჩვენებს თოვლიან მთებზე და ეუბნება მეორეს: «Эти горы наши... Все народы там живущие наши подданные и все здесь гуляющие нам подчинены».

და დააბოლოვა იმნაირი სიტყვებით, რომლების მოყვანა აქ არ შეიძლება. 1905 წ. მე ვიყავი დონის ოლქში და, როდესაც გავრცელდა ხმა, რომ კავკასიაში, საქართველოში გამოცხადდა თავისუფლება რუსეთის ბატონობიდან, ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეკითხებოდნენ როგორც ქართველს, ნუთუ მართლა საქართველო გამოეყოფა რუსეთსო. ეს შეუძლებლად მიაჩნდათ. მით უფრო, რომ ადგილობრივი რუსობაც ასე ფიქრობდა, როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მართლა დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, სოხუმის რუსობა ვერ ურიგდებოდა საქართველოს

თავისუფლებას. დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი გაიძახოდა: “როგორ შეიძლება საქართველო იყოს თავისუფალი, ეს დროებითია, მოვა ჩვენი ჯარი და ისევ დავიმორჩილებთო”. საქართველოს თავისუფლება სასაცილოდ მიაჩნდათ. მას ასახელებდნენ: «Кукурузная республика» ანუ «Республика на 1/2 часа». ბატონობის იდეაზე აღზრდილი ბუნებრივად გულკეთილი ადგილობრივი რუსი მოსურნე იყო ბატონობისა და თანასწორობას ვერ გუობდა.

...მაგრამ ძნელი სათქმელია ქართველი კომუნისტები, ვისი სურვილის აღმასრულებელნი იყვნენ. ერთი კი ცხადია, მათ სურდათ, საქართველო შესულიყო დიდი რუსეთის ფარგლებში...

ეროვნული ცხოვრების მიმდინარეობაში დეფექტების მაჩვენებელი ფაქტებიო, მკითხავენ. არ ვიცი, საჭიროა ფაქტების მოყვანა თუ არა. ამბობენ, რომ მდგომარეობა ახლა უარესია, ვინემ იყო იმ დროს, როცა ჩემი წერილი იგზავნებოდა გენუსის კონფერენციაზე. უარესობისას მე ვერას ვიტყვი, რადგან უკანასკნელი წელიწადი პატიმრობაში მყოფობისა გამო მოწყვეტილი ვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ თუ ეროვნული ცხოვრების მდგომარეობის უარესობა სინამდვილეა, მაშინ საჭიროა გამოირკვეს სად არის ამის მიზეზი. ჩვენი კომუნისტების ენერგია, შრომის მოყვარეობა და ქართველი ერის საკეთილდღეოთ ზრუნვა მრწამს და ამისთვის, ვფიქრობ, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ გარეშე პირობებში — ჩვენში მოქმედ გარეშე ძალების სიძლიერეში. იმედია, ჩვენი მუშაკების ენერგია შეებრძოლება ამ ხელის შემშლელ პირობებსაც და

დაძლევს მათ ერის საკეთილდღეოდ. ამხელად კი მაინც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ა. დაწესებულებებში ყველაზე უკეთ მე ვიცნობ საგანგებო კომისიას, რადგან ორ წელიწადზე მეტი ჩემი ცხოვრება მასთან იყო დაკავშირებული. ჩემი პირველად ამ დაწესებულებაში შესვლის დროს თავმჯდომარის კაბინეტის კარებთან მჯდომ დარაჯს ვკითხე ქართულად რაღაც, ხოლო მან მიპასუხა: «Я по грузински не знаю». მე, რადგან ვიცოდი რუსული, მივიღე დაკმაყოფილება, მაგრამ რა ქნას რუსულის უცოდინარმა? მას მეკარესთანაც მოენე სჭირდება.

აფხაზეთიდან ჩამოვიდა გლეხი, შვილი ჰყავდა დაპატიმრებული ჩეკაში და მისი ნახვა უნდოდა. იარა მთელი ორი თვე და ვერავის გააგებია თავისი სურვილი, რადგან ჩეკაში წამყოლი მოენის შოვნა ძნელია. მერე ურჩიეს და თხოვნით მიმართა ჩეკას თავმჯდომარეს, რამაც გასჭრა, მიიღო დაკმაყოფილება, მაგრამ რამდენი დაუჯდა საწყალ გლეხს შვილის ნახვა? წამოსვლის დროს გაყიდა ხარ-კამეჩები სახარჯოდ და დაჰკარგა ორი საუკეთესო თვეების (მაისი და ივნისი), როდესაც აფხაზეთში წარმოებს ხვნა-თესვა სიმინდისა (სოფლის მუშაობა).

დააპატიმრეს ჩემთან მყოფი მღვდელმონაზონი ეფრემი. გავუგზავნეთ სადილი ქართულად დაწერილი ბარათით, დამიბრუნეს უკან, არ მიიღეს, ბარათი რუსულად უნდა იყოს დაწერილი.

იქვე მოპასუხე ემუდარება გამომძიებელს, მომიყვანეთ მოენე და მალაპარაკეთ ქართულადო, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა და დაასაბუთა

ამნაირად: «Все равно и по грузински будет врать, как и по русски»...

ბ. ფოსტა. იმ ხანებში, როდესაც გავგზავნე წერილი გენუაში, ჩემმა კანცელარიამ გაგზავნა წერილი დუშეთის მაზრაში. დააბრუნეს ამანათზე რუსული წარწერით, რომ მისამართი რუსულად უნდა იყოს დაწერილი.

გ. რკინის გზა. უკანასკნელ დრომდე აქ ქართული განდევნილი იყო...

დ. ამბობენ, რომ უმთავრეს საფინანსო დაწესებულებაში — სახელმწიფო ბანკში — ქართველის სამსახური იშვიათია და თუ ვინმე მსახურობს, უკავია სულ დაბალ მოსამსახურის ადგილი.

ე. განათლების კომისარიატში მხოლოდ შარშან გადავიდნენ საქმის ქარულ წარმოებაზე. 1923 წლის მაისის თვეში გამოვიდა კომისარიატის ბრძანება ამის შესახებ.

ვ. რაღაც სამედიცინო დაწესებულებაში უნდოდათ აერჩიათ პასუხისმგებელი მდივანი ქართული ენის უცოდინარი. კრების დამსწრეთაგანმა განაცხადა, რომ საქართველოს ფარგლებში მოსამსახურისთვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა და ამისთვის მას «Раб. Правда»-მ უწოდა შოვინისტი და პურიშკევიჩი.

სხვა მაგალითების მოყვანას მე არ შევუდგები, მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუხვიო იმ შეკითხვებს, რომლებსაც აძლევდნენ ყოფილი მენშევიკები ხელისუფალთ 1923 წლის აგვისტოს ყრილობის დროს, რადგან ეს შეკითხვები ხალხის სურვილების მაჩვენებელი არიან.

ზ. თქვენ ამბობთ, ეუბნებიან ყოფილი მენშევიკები კომუნისტებს, რომ რუსეთის პროლეტარიატი არავის მისცემს ნებას, რომ ქართული ენა იქმნეს დაჩაგრულიო. თუ ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებელია, რისთვის ჩვენმა პროლეტარებმა, კომუნისტებმა და ხელისუფლებამ არ უნდა იზრუნოს და მიიღოს ზომები ამის შესახებო.

როდესაც ქართველი მსახურობს ქარხანაში, ვალდებულია თუ არა ის უყვარდეს თავისი სამშობლო თუ არაო.

თ. რა საჭირო იყო საქართველოს დაყოფა ავტონომიებად, განსაკუთრებით რა საჭირო იყო ოსეთის და აჭარის რესპუბლიკების დაარსება. საჭიროა თუ არა ყველა მაზრის თემს და სოფელს ჰქონდეს ავტონომიური უფლებებიო.

ი. როდის გავა რუსეთის ჯარი საქართველოდანო.

კ. როდესაც ქართველი გლეხი — რუსულის უცოდინარი — მიდის რომელიმე დაწესებულებაში, ვალდებულია თუ არა ის თავისთვის მოენე თვითონ იმოვოსო.

ლ. მიაქციეს ყურადღება ტფილისში ხალხის გამრავლებას და ცრემლში ამოვლებული ირონიით ამბობდნენ: “მარქსმა სთქვა, ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდით და არას დროს არსად არ უთქვამს ყველა ქვეყნის პროლეტარებო ტფილისში შეერთდითო” და სხვ.

ჩაუკვირდით ამ შეკითხვებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ხალხი რაღაცით არ არის კმაყოფილი, რაღაც აწუხებს მას და ვერ გრძნობს თავს

ბედნიერად. ჩაუკვირდით და თქვენ იმასაც დაინახავთ, რომ მე იმისთანა არაფერი მითქვამს, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდეს და მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლებოდა ჩამეთვალოს.

შეიძლება ვინმემ მომცეს შეკითხვა, რომ ამდენს ვლავარაკობ ეროვნული კითხვების შესახებ და თითქმის არაფერი მითქვამს ეკლესიის მდგომარეობაზე, მაგრამ განა საჭიროა რაიმეს თქმა ეკლესიის მდგომარეობაზე? თითოეული ჩვენგანი, რომელიც ხალხის ცხოვრებას უკვირდება, ნათლად ხედავს ეკლესიის ცხოვრების სინამდვილეს, ხოლო ვისაც ისტორია უსწავლია ან გასცნობია ოდნავ მაინც, მან იცის, რომ ამნაირი დევნულობა, როგორც ჩვენში მოხდა, ისტორიამ არ იცის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს, როდესაც მორწმუნენი იძულებულნი იყვნენ თავიანთი სარწმუნოებრივი მოვალეობების აღსასრულებლად ჩამძვრალიყვნენ კატაკომბებში. იმნაირი სისასტიკე, როგორც ჩვენში გამოიჩინა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც რუსეთში და არც სხვა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში.

სად იყო ამ სისასტიკის მიზეზი? ამბობენ, რომ ამის მიზეზი იყო თვით ხალხი. მას არ უნდოდა ეკლესიები, სამღვდელოება და სარწმუნოებაო, მაგრამ მართალია ეს? სასულიერო მთავრობის თანდასწრებით ეკითხათ ხალხისათვის ფარული ხმის მიცემის საშუალებით, თორემ პირდაპირ გამოთქმას ხალხი ვერ ბედავს, რომ ამან არ გამოიწვიოს რეპრესიები ან რაიმე



ბუგეულში მომხდარი უბედურების მსგავსი.<sup>165</sup> თუ ფარული დაკითხვის შემდეგ მორწმუნეთა რიცხვი მცირე აღმოჩნდებოდა, მაშინ ჩვენ თვითონ დავეკეტავდით ეკლესიას და მორწმუნეთ მივაწერდით სხვა სამრევლოს...

როდესაც ხალხის ურწმუნოების მტკიცება არ გამოდგა საკმარისად, დევნულობის მიზეზად გამოაცხადეს ჩემი გენუის კონფერენციისადმი მიმართვა და დაიწყეს მტკიცება, რომ მანამდის არ ყოფილა სარწმუნოების დევნაო. თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ ხალხის სურვილი აქ რა შუაშია და თუ ხალხის სურვილი იყო ეკლესიების დაკეტვა, უჩემწერილოდაც მოხდებოდა ის, რაც მოხდა. მეორეს მხრით, საკადრისი იქნებოდა მთავრობისათვის ჩემი დანაშაულისათვის ხალხის დასჯა სარწმუნოებრივად? მაგრამ ვიკითხოთ, მართალია ის მტკიცება, რომ ჩემი წერილის გაგზავნამდის არ ყოფილიყოს ვითომ დევნა სარწმუნოებისა? როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენდნენ და რომელნიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას. მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი

თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება. მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა. 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა და მღვდელმსახურთა შევიწროვება, რის გამო ზოგიერთი მღვდელთაგანი იძულებული გახდა სოფელში შეეფარებია თავი და თავის რიგის შესასრულებლად იქიდან ეარა ქალაქში და სხვ. ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესავე...

ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, რამაც შემძინა აუწერელი დევნულობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი, მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე სამშობლოდან ექსორიობა. ორჯერ ვიყავი გადასახლებული რუსეთში და ორჯერვე სამშობლოში დამაბრუნა რევოლუციამ (1905-1907წწ.). განსაკუთრებით სასტიკი იყო ჩემთვის მეორე გადასახლება, რომელიც მოხდა 1907 (1909 წ. – ჯ. გ.) წლის იანვარში: წართმეული მქონდა ზოგიერთი უფლებები — არ მქონდა უფლება წირვა-ლოცვისა და მღვდელ მსახურებისა ისევე როგორც ახლა — ამ ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ეს უფლება წამართვა სათანადო მთავრობამ, ხოლო ახლა საერო მთავრობამ, რომელსაც ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა. ჩემი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მე ავლნიშნავ სამ

მომენტს, რომელიც დამახასიათებელია ახლანდელი ჩემი მდგომარეობისა. მეორე ექსორიობის დროს, მთელი 1909 წლის განმავლობაში, ჩემი საქმე ჰქონდა ხელში გენერალ-პროკურორს, ყოფილ იუსტიციის მინისტრს, ცნობილ შეგლოვიტოვს,<sup>166</sup> მაგრამ მანაც ვერ სცნო შესაძლებლად ის გადაეცა სასამართლოსათვის. შესაძლებელია, ამ არარუსების მოძულესაც ეკლესიური თავისუფლების საკითხი მიაჩნდა იმდენად ნაზ და პატივსაცემ საკითხად, რომ მისი სასამართლოსათვის გადაცემა შეუფერებლად მიაჩნდა. ამის გამო საქმე მოსკო და მე დამიბრუნეს უფლებები, გარდა სამშობლოში დაბრუნებისა.

2. 1917 წლის რევოლუციამ მომიწრო ქ. სტარაია რუსაში, ნოვლოროდის გუბერნიაში, სადაც ვიყავი დანიშნული მონასტრის წინამძღვრად. რევოლუციის პირველ ხანებში სტ. რუსაში იყო არეულობა, სახლების რბევა, ძარცვა და ჩემი მონასტერიც განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მას მოელოდა დიდი საშიშროება და არ ვიცოდი, რა საშუალებისათვის მიმემართა. ახალმა რევოლუცი-ურმა მთავრობამ სრულიად მოულოდნელად დამიბარა თავის ერთ კრებაზე და შემეკითხა, თანახმა ვარ თუ არა, რომ მთავრობამ იკისროს მონასტრის დაცვაო. მე, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადე და მადლობაც გადავუხადე მზრუნველობისათვის და მართლაც ამის შემდეგ მონასტერს არ ჰქონია არავითარი საშიშროება. ამის გამო, როდესაც პეტროგრადში გამიწვიეს მონაწილეობის მისაღებად იმ დელეგაციაში, რომელიც საქართველოდან იყო გაგზავნილი ეკლესიის თავისუფლების რუსეთის მთავრობისაგან

დადასტურებისათვის, სამი თვის განმავლობაში იქ ყოფნის დროს სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რადგან მონასტრის დაცვის საქმე უზრუნველყოფილად მიმაჩნდა, რასაც დადასტურებს იქ მყოფი დელეგაციის ერთი წევრთაგანი. რა იყო მიზანი მონასტრისათვის რევოლუციონერული მთავრობის ამნაირი ყურადღებისა? რასაკვირველია, არა ჩემი თვალების სიმშვენიერე, ჩემდამი სიყვარული, არა მათი ღრმა სარწმუნოება და სიყვარული მონასტერ-ეკლესიებისადმი, რადგან სტარაია რუსას რევოლუციონერები თითქმის ყველა არაქრისტიანები იყვნენ, არამედ ის გარემოება, რომ მე ვიყავი დასჯილი და ექსორიაციოფილი საქართველოდან თავისუფლების ძებნისათვის.

მესამე შემთხვევა, რომლის აღნიშვნა მინდა, ეხება საბჭოთა ხელისუფლების ხანას. პირველი დაკითხვის დროს, 1922 წლის ივნისში, დამკითხველი მაძლევს კითხვას: ნიკოლოზ მეორის დროს ვიყავი მე დასჯილი თუ არა. ვუპასუხე, რომ მთელი ჩემი სამსახური გავატარე დევნულობაში და ორჯერ რუსეთშიც ვიყავი გადასახლებული, მაგრამ ნუთუ ესეც მინუსია ჩემი ცხოვრებისა-მეთქი. მიპასუხა: “არა, ეს უცილობელი პლიუსი არისო”.

როდესაც ამ სამ მომენტს ვითვალისწინებ ახლა, ვერ მომიხერხებია ისინი შევუთანხმო ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ მიზეზი დევნულობის ერთი და იგივე იყო როგორც ნიკოლოზ მეორის დროს, ისე შემდეგაც და ვერ გამიგია, როდის ვიყავი დამნაშავე, მაშინ, როდესაც შეგლოვიტოვმაც კი ვერ მიმცა თავისუფლების ძებნისათვის სამართალში, თუ ახლა,

იმავე დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. თუ 1917 წელს, როგორც თავისუფლების მძებნელს, პატივით მეპყრობოდნენ რევოლუციონერები, ახლა უადრესი სოციალისტური მიმართულების დროს, როდესაც გამოცხადებულია მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება, და მაშასადამე თავისუფლებისაც, ვერ გამიგია, რისთვის უნდა ვიდევნებოდე და ვიდგე ეროვნულ სასამართლოს წინაშე, როგორც დიდი დამნაშავე.

თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, თუ ამის უფლებას მაძლევს ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება, თუ საბჭოთა ადგილობრივი მთავრობის საწინააღმდეგო არა მითქვამს რა და მხოლოდ ვიცავდი მის დამოუკიდებლობას, თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდმპყრობელობის საწინააღმდეგოდ, იმ დიდმპყრობელობისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევს ერთი ჩვენი უმაღლეს ხელისუფალთაგანი,<sup>167</sup> თუ საბჭოთა ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ მე ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვა და დიდმპყრობელობის დასაგმობად ხმის ამოღება.

ვათავებ და ვიტყვი, რომ მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალით შეხედავს ეროვნული უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნება. ასევე განაჩენი დაგვანახებს იმასაც, საბჭოთა ხელისუფლება მართლა იზიარებს ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევისას, თუ ეს

მხოლოდ იდეალია, რომლის განხორციელებას უნდა ველოდოდით შორეულ მომავალში. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოდებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თითქმის 37 წლის განმავლობაში.

ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამოდებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, — იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამიტაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი — იყოს ნება ღვთისა! — და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: “ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა” (ლუკა 23, 28)

**მნათობი, 1988, №10, გვ. 147-161.**

**№118. ცნობები კათოლიკოს-პატრიარქ  
ამბროსის ბიოგრაფიისა და  
შრომების შესახებ**

**1927 წ. 29 მარტის შემდეგ**

ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ (მღვდლის ზოსიმეს ძე) ხელაია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თფილისის მთავარეპისკოპოსი, დაბადებულია 1861 წლის ოქტომბრის 7/19, უსწავლია თავდაპირველად მამის ოჯახში.

1871-1873 წწ. ოჩამჩირის ერთკლასიან სამონასტრო სკოლაში (დაარსდა 1872 წელს – ჯ. გ.);

1873-1879 წ.წ. სამეგრელოს (მარტვილში) სასულიერო სასწავლებელში;

1879-1885 წ.წ. ტფილისის სასულიერო სემინარიაში;

1897-1901 წ.წ. ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

1887 წ. გამწესებულია მღვდლად სოჭში;

1892 წ. გადაყვანილია ცხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკად (მღვდლად – ჯ. გ.);

1893 წ. (1896 წ. – ჯ. გ.) დაქვრივდა;

1899 წ. (1900 წ. – ჯ. გ.) აღკვეცილ იქმნა (აკადემიაში) ბერად, ამბროსის სახელწოდებით;

1902 წ. გამწესებულ იქმნა ჭელიშის (რაჭა) მონასტრის არქიმანდრიტად;

1904 წელს (1903 წ. – ჯ. გ.) — უსტმედვედიცის (დონბასში) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად;

1906 წ. (1905 წ. – ჯ. გ.) — უწმინდესის სინოდის საქართველოს კანტორის წევრად და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს (გარეთ კახეთი) წინამძღვრად, 1909 წ. (ნიკონ ექზარქოსის სიკვდილის შემდეგ) გადასახლებულ იქმნა რიაზანის სამების ტაძარში მღვდელმოქმედების აკრძალვით; 1910-1917 წ.წ. ეწეოდა წინამძღვრობას სტარაია რუსას (ნოვგოროდის გუბერნია) მონასტრისას. 1917 წ. ოქტომბრის 15 ხელდასმულ იქმნა ჭყონდიდელად, მიტროპოლიტის პატივის მინიჭებით. 1919 წლის ოქტომბრის 28 გადაყვანილ (დამტკიცებული – ჯ. გ.) იქმნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად, 1921 წ. ენკენისთვის 7 არჩეულ იქმნა, ხოლო მწიფობისთვის (ოქტომბერი — ჯ.გ.) 14 აღყვანილ იქმნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საყდარზე სვეტიცხოველში. 1923 წ. იანვრის 12 დაპატიმრებულ იქმნა წინა წელში გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნისათვის, 1924 წ. მარტის 23 (19) უზენაესის სასამართლოს მიერ მიესაჯა 10 (7 წლით და 9 თვით – ჯ. გ.) წლის იზოლაცია, მაგრამ საკავშირო ცაკის მესამე სესიის დადგენილებით 1925 წ. მარტის 8 განთავისუფლებულ იქმნა დანარჩენის სასჯელისაგან.<sup>168</sup> 1927 წლის მარტის 29 გარდაიცვალა.

გარდა საეკლესიო “სიტყვათა” და “ქადაგებათა” (უდიდესი ნაწილი დაუსტამბავია) კათოლიკოსს მოთავსებული აქვს 1887-1917 წ.წ. ქართულ-რუსულ პერიოდულ გაზეთებში მრავალ პოლემიკურ-პუბლიცისტური წერილი, ზოგი საკუთარი სახელის ხელმოწერით — ზოგი კი სამურზაყანოელის, კორენბედიელის და ამბერის ფსევდონიმებით.



საზოგადო ხასიათი ამ წერილებისა მიმართულია ქართველი ერისა და ეკლესიის გარუსების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილები, მოთავსებული «Петроградские Ведомость»-ების 1912-1917 წ.წ., Сотрудник закавказской миссии 1912-1913 წ.წ., Закавказье, 1913 წ. და Вестник Грузинскаго экзархата, 1906 წ. ნუმრებში (უკანასკნელი ცალკედ არის გამოცემული — По поводу статьи Голос из Сухума-ს სათაურით, 1906 წ.).

ხსენებულის გარდა აქვს წმინდა მეცნიერული ხასიათის ნაწერები:

1. ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა( საქართველოს სიძველენი, ტ. 1, ცალკეც არის გამოცემული).

2. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (რ. ფანცხავას “განთიადი” და ცხოვრება — 1915-1917 წ.წ.)

და დაუსტამბავი:

3. Борьба христианства с исламом в Грузии<sup>169</sup> — საკანდიდატო თხზულება (მაგისტრის ხარისხის მისაღებად საკმარისად ცნობილი პროფესორ-სპეციალისტის მალოვის მიერ).

4. Дневник на 1909 год. მეტად საინტერესო თხზულება რიაზანის (მონასტერში) დაწერილი.

5. Сел. Илори и Илорская Св. Георгиевская церковь.

6. Учение двенадцати апостолов как источник сведений по церковному праву.

ბევრი კიდევ პატარ-პატარა წერილები.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 144.

**№119. დეპეშა სოხუმის საკათედრო ტაძრიდან  
უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის  
გარდაცვალებასთან დაკავშირებით**

1927 წ. 31 მარტი

თბილისი, სიონის სობორო, მიტროპოლიტ  
ქრისტეფორეს.<sup>170</sup>

კრებული და სოხუმის საკათედრო ტაძრის საბჭო  
აცხადებს მის გულისტკივილს დამსახურებული  
კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე დეკანოზი გვაზავა.

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 91.

**№120. დეპეშა გაგრის სამრევლო საბჭოდან<sup>171</sup>  
უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის  
გარდაცვალებასთან დაკავშირებით**

1927 წ. 4 აპრილი

თბილისი, საკათოლიკოზო საბჭო

თავზარი დაგვცა კათოლიკოსის გარდაცვალებამ.

გაგრის სამრევლო საბჭო მასში შემავალი სამწყსოთი  
უგულითადეს მწუხარებას განიცდის. საუკუნო ხსენება  
მას.

დეკანოზი ვეკუა.

საპატრიარქოს არქივი. აღწ. 2, ს. 539, ფ. 95.

**№121. Письмо-соболезнование архиепископа  
«обновленцев» Абхазии Аврама (Иванова) на имя  
Цхум-Абхазского митрополита Христофора в  
связи с кончиной Католикоса-Патриарха  
Амвросия**

**4 апреля 1927 г.**

Ваше Высокопреосвященство,  
Высокопреосвященнейший Владыко  
Христофор,

Сегодня 3 апреля узнал из газет о смерти Блаженного Амвросия, первосвятителя св. православной Иверской церкви. Смерть многострадального исповедника веры глубоко меня опечалила, он был лучшим моим руководителем в первые дни моего иерейского служения в Сухуме. По неисповедимым судьбам Божиим он рано лишился супруги и эту потерю он нес с глубкою преданностью воле Божии, весь предавшийся воспитанию лишившихся матери детей своих и служению церкви.

Восторговская национальная политика по русификации края не оставила и его, он вынужден был оставить Сухум и поступить в Казанскую академию вдали от своих детей и любимой им Родине.

По окончании курса ему недолго пришлось служить родной церкви и он сослан был в монастырь; Бог хранил своего избранника, коего освободил от уз и

поставил настоятелем Старорусского монастыря, где он мог жить, учить спокойно без надзора жандармов и заниматься литературным трудом.

Низвержение монархии дало возможность ему приехать на родину для служения своей родной церкви, где в это время назревал вопрос об авто(но)мии Иверской церкви; благодаря неутомимой деятельности ученого архимандрита Амвросия, автокефалия Иверской церкви объявлена и был избран католикосом Кирион, тоже опальный, а блаженный Амвросий получил Сухумскую кафедру в тяжелое время, когда политические партии оспаривали друг у друга власть.

Молодому (так в текстк – Дж. Г.) иерарху пришлось бежать из Сухума ; по возвращении не имел пристанища и вынужден был жить в церковном доме Кладбыщенской церкви Ефрема Цхакая.

В то время ему пришлось потерпеть неприятностей и от своих близких и врагов. Покойный все переносил с терпением и христианскою кротостью, за что Господь наградил его саном католикоса всей Иверской церкви. Повидимому, испытания должны были прекратиться для него, но Бог «кого любит, тех и наказывает». Ему, первосвятителю, пришлось принять высший крест за правду в деле защиты святой веры. Он, как Св. Максим Исповедник,<sup>172</sup> присуждался к тюремному заключению, где он потерял свое здоровье, наконец, окружающие его неверие и разруха церковно-христианской жизни нанесли ему и нравственный удар и он, праведник, оставил этот суетный мир; но святая душа первосвятителю не расстанется с любимой его Иверской

церковью. Верую, что святые молитвы такого исповедника вознесутся к престолу Божьему и милости Всеблагаго полуются на осиротевшую Иверскую церковь и оставших верных Христовому Завету.

Блаженный Амвросий не нуждается в нашем плаче, ибо святые выше земного плача; напротив, мы, оставшиеся без него, достойны сожаления и плача, как лишенные его первосвятительских молитв и завет о нашем спасении.

Будем молиться Господа о даровании святителям осиротевшей Иверской церкви духа премудрости в деле избрания достойного заместителя дорогому усопшему, и умелого руководителя и опытного кормчаго для направления церковного корабля на тихую пристань, где нет волнений и тревог.

Ваше Высокопреосвященство! молю Вас и других уважаемых архипастырей св. Иверской церкви к Вашим молитвам о дорогом почившем, позволить и мне, грешному<sup>173</sup> пред великим исповедником, присоединить и мои грешные молитвы об упокоении его праведной и многострадальной души.

Прошу Вас передать его осиротевшим детям и внукам мое сердечное сочувствие в постигшем их и всех, знавших Блаженного Амвросия, глубоком горе, господ да утешит их в великой и тяжелой потере. Добрые друзья не оставят их без помощи.

Я глубо(ко) скорблю, что в августе месяце (19)26 г. в бытности моей в Боржоме, не имел времени видеть больного друга Свят. Амвросия и просить его своих молитв. Надеялся быть в Тифлисе по делам греческих


церквей, о чем и просил ему в середине августа, но ответа от него не получил и затем сам заболел и так, к великому сожалению моему, не пришлось выдаться с ним.

Вашего Высокопреосвященства смиренный во Христе брат

Архиепископ **Авраам.**

საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 133-134.





ამბროსი ხელაია — რიაზანის სამეზბის მონასტრის  
ტუსალი. 1909 წ.





ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი  
პეტერბურგში. 1910 წლის თებერვალი.



სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია  
(უხტომსკი)




არქიმანდრიტი ამბროსი შვილებთან – ანა (უკანა  
პლანზე), ნინო და ალექსანდრესთან ერთად. ქ. სტარაია  
რუსა.



ქართული ეკლესიის დელეგაციის წევრები  
პეტერბურგში: არქიმანდრიტი ამბროსი, დელეგაციის  
ხელმძღვანელი — ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე),  
დეკანოზი კალისტრატე  
(ცინცაძე). 1917 წლის ზაფხული.



მიტროპოლიტი ამბროსი.



მღვდელი (შემდგომში დეკანოზი) ტროფიმი  
ჯოხთაბერიძე.



ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მესამე საეკლესიო კრების დელეგატებს შორის; მისგან მარჯვნივ სხედან მიტროპოლიტები ნაზარი (ლექავა - კათოლიკოს-პატრიარქობის ერთ-ერთი კანდიდატი ამბროსი ხელაიასთან ერთად), დავითი (კაჭახიძე), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე); მარცხნივ - ეპისკოპოსი პიროსი. გელათი, 1921 წლის 1-5 სექტემბერი.



ამბროსი ხელაია კათოლიკოს-პატრიარქად  
კურთხევის დღეს სვეტიცხოველში; მისგან მარცხნივ და  
მარჯვნივ სხედან მიტროპოლიტი ნაზარი და  
ეპისკოპოსი პიროსი.  
1921 წლის 14 ოქტომბერი.



1922 წლის 14 ოქტომბერი. მცხეთაში სვეტიცხოვლობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ. **I რიგი:** სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე, შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი - 1888-1929), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანე (მარგიშვილი, შემდგომში მიტროპოლიტი - 1874-1929) კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (1861-1927), ჭყონდიდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე, შემდგომში მიტროპოლიტი - 1872-1935), ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი - 1873-1932). **II რიგი:** სტუდენტი გაბრიელ ჩაჩანიძე (შემდგომში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი - 1901-1956), მთავარდიაკონი სიკო(სიმონ) მონასელიძე (შემდგომში დეკანოზი +1945), დიაკონი ნიკოლოზ ბოლღაშვილი, (შემდგომში მღვდელი +1962), დეკანოზი ლაზარე ნათიძე, მღვდელმონაზონი ეფრემი (სიღამონიძე, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი - 1896-1972).





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი პატიმრობის  
შემდეგ.

## კომენტარები

1. ბესარიონ ხელაიას მამა — ზოსიმე 1860 წლიდან 1895 წ. 20 მაისამდე ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად მსახურობდა; შემდგომშიაც, როგორც შტატგარეშე მღვდელი, განაგრძობდა იქვე სამსახურს.

2. სამეტრიკო წიგნში მოგვიანებით გაჩნდა მინაწერი: “Справка верна. Имер(етинское) от(деление) №1717/454 1871г. დამატებულ არს სტრიქონი კანტორის რეზოლუციით კვ-ს (26) მაისიდგან ჩყობ-ს (1872) წლისა.

ჩვენ კანტორისა არხიმანდრიტი ბესარიონ.”

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის იმერეთის განყოფილება (Имер. от.) ამით ადასტურებდა, რომ კანტორის გადაწყვეტილებით მონაცემებში ამბროსი ხელაიას მამის — ზოსიმეს შესახებ ჩაემატა მისი სამსახურის ადგილის მითითება: “ილორის წმინ. გიორგის ეკლესიისა” (იხ. გვ. 123). ბესარიონი (დადიანი) 1874 წლამდე იყო სინოდალური კანტორის წევრი, 1874-1885 წ.წ. — სამეგრელოს ეპისკოპოსი (ვიკარი), 1886 წლიდან — ალავერდელი ეპისკოპოსი, 1898-1900 – წლებში იმერეთის ეპისკოპოსია.

3. ალექსანდრე (ოქროპირიძე), — წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (1824-1907 წ.წ.). აფხაზეთის ეპისკოპოსად დაინიშნა 1861წ. 21 ნოემბერს, ეკურთხა 1862წ. 4 მარტს. 1869-1882 წ.წ. გორის ეპისკოპოსი და ქართლ-კახეთის პირველი

ქორეპისკოპოსია; 1882-1886 წ.წ. გურიის ეპარქიას მართავდა; 1886-1898 წ.წ. კვლავ გორის ეპისკოპოსია, 1898-1903 წ.წ. — გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

4. საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წ.წ.

5. სიაში სულ 30 ბავშვია, აქედან 11 — ბიჭვინთისა და დრანდის ოლქებში მომსახურე მღვდლების შვილები, 7 — აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს აღზრდილები, 12 — აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონებში (გარდა სამურზაყანოსი) მაცხოვრებელ საერო პირთა შვილები. ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1867 წლისათვის მთლიანად იყო მზად ფუნქციონირების დასაწყებად, არ ჯდებოდა იმპერიული საგანმანათლებლო, ანუ ასიმილაციური პოლიტიკის ჩარჩოებში, ამიტომ მისი გახსნის გეგმა ჩაიშალა.

5<sup>ა</sup>. შემდგომში გახდა ათარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი (იხ. გვ. 388).

6. ამბროსი ხელაიას ბაბუა — დავითი, ჩვენი მონაცემებით, ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად მსახურობდა XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე.

7. ეს უნდა იყოს ის აფხაზი ალექსანდრე მარღანია, რომელიც ქუთაისში სწავლობდა და 1875 წელს ქალაქში დაფუძნებული ხალხოსნური წრის აქტიურ წევრადაა ცნობილი (Г.А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Сухуми, 1979, с. 85).

8. ტარასი (ტარიელ ელიავა) — სამეგრელოს ეპისკოპოსი 1865 წ. 30 აგვისტოდან 1871 წ. 4 იანვრამდე.

9. გერონტი (პაპიტაშვილი) — აფხაზეთის ეპისკოპოსი 1857 წ. 7 ოქტომბრიდან; 1859 წ. 16 ნოემბერს სამეგრელოს ეპოსკოპოსად დაინიშნა, მაგრამ 1862 წ. დასაწყისამდე აფხაზეთის კათედრასაც განაგებდა, 1862 წ. 19 მაისიდან 1869 წ. 30 მაისამდე – გორის ეპისკოპოსი.

10. ამბროსი ხელაიას უმცროსი ძმა; 1895 წ. 4 ივნისს პორფირი ილორის ეკლესიის მღვდლად (მამის მიერ განთავისუფლებულ ადგილზე) დაინიშნა. მანამდე ის ბესლახუბის წმ. ონოფრეს ეკლესიის მედავითნედ მსახურობდა (Духовный Вестник Грузинского Экархата, 1895, №16, 15 августа, с. 8); წლების მანძილზე იყო ილორის მეორე მღვდელი. XX ს. 30-ნ წლებშიც აგრძელებდა იქვე სამსახურს დეკანოზის ხარისხით. ხელაიების დიდი ოჯახის წევრები — დავითი, ზოსიმე და პორფირი ზედიზედ სულ ცოტა 80 წლის განმავლობაში მსახურობდნენ სახელგანთქმული ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში.

11. გაბრიელი (ქიქოძე) — წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (1825-1896 წ.წ.) — გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, 1860 წ. 2 ივლისიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო იმერეთის ეპისკოპოსი. 1869 წ. 30 მაისიდან 1886 წ. 15 თებერვლამდე პარალელურად აფხაზეთის ეპარქიასაც მართავდა.

12. 1884 წლის 22 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებული სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების წესდების 176-ე მუხლის შესაბამისად, “მოსწავლენი, რომელთაც პირველ რიგში დაასრულეს სრული კურსი სემინარიაში, იღებენ სტუდენტის წოდებას”. 177-ე მუხლის მიხედვით, სტუდენტებს

ენიჭებოდათ უპირატესობა სასულიერო სამსახურში შესვლისას “მათ წინაშე, რომელთაც ეს წოდება არ მიუღიათ”; სამოქალაქო სამსახურში სტუდენტებს მეთოთხმეტე კლასის ჩინით იღებდნენ. 178-ე მუხლი კი სტუდენტის წოდების არმქონე მოსწავლეთა სამოქალაქო სამსახურში მიღების წესს განსაზღვრავდა (მწყემსი, 1885, №10, 15 მაისი, გვ. 2; წესდება გამოქვეყნებულია — მწყემსი, 1855, №№3, 5-7, 10-13).

13. გენადი (პავლინსკი)სოხუმის პირველი რუსი ეპისკოპოსი; დაინიშნა 1886 წ. 29 ნოემბერს, ეკურთხა იმავე წლის 28 დეკემბერს; 1889 წ. 31 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალულია ახალი ათონის მონასტერში. სოხუმის ახალ ეპისკოპოსად 1889 წ. 21 მაისს ალექსანდრე ხოვანსკი დაინიშნა.

14. სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია 1874 წ. გაიხსნა; 1877 წ. მაისში რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაზიანდა. 1887 წლისათვის მისი აღდგენა არ იყო დასრულებული, ამიტომ თავიდან ღვთისმსახურების ჩატარება ახალგაზრდა მღვდელს — ბესარიონ ხელაიას ყოფილი სამხედრო ნაწილის ბარაკის ტიპის ეკლესიაში უხდებოდა; მისი ხელფასი 788 მანეთს შეადგენდა წელიწადში, რაც ბევრად აღემატებოდა აფხაზეთში არსებულ ხელფასებს (300-350 მან.).

15. 1887 წლის ნამსახურობის ნუსხაში, რომელიც სიტყვასიტყვით ემთხვევა 1888 წ. ნუსხას, დამატებით აღნიშნულია, რომ ბესარიონ ხელაია თავის მოვალეობას ასრულებდა გულმოდგინედ, ხოლო მისი 18 წლის მეუღლე ელიზავეტა მერჭულე დახასიათებულია

როგორც “ძალიან კარგი” ყოფაქცევის ადამიანი (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 41289, ფ. 50).

16. ამბროსი (კავკასიძე) XIX ს. 90-ნ წლებში საკმაოდ პოპულარული სასულიერო მოღვაწე იყო საქართველოში; 1896 წ. 15 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა 45 წლის ასაკში (იხ. მის შესახებ — *Духовный Вестник Грузинского Экзархата*, 1896, №12, 15 июня с. 22-26).

16<sup>ა</sup>. სამხედრო სამსახურში აფხაზთა გაწვევის საკითხთან დაკავშირებით როგორც რუსეთში, ასევე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იხ.: ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 564-565, 822-823.

17. ამბროსი კავკასიძემ სიტყვა შეასრულა — 1890 წელს ლიხნის სკოლა ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას გადაეცა, პედაგოგებად მოავლინეს სამურზაყანოელი ი. ლაკერბაია და კ. თოლორაია.

18. აგაფოდორი (პრეობრაჟენსკი) — სოხუმის ეპისკოპოსი 1891 წ. 2 მარტიდან 1893 წ. აგვისტომდე; მან პირველმა შეიტავსა დრანდის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა (შემდგომში სოხუმის ყველა ეპისკოპოსი ითავსებდა დრანდის მონასტრის წინამძღვრობას). სოხუმიდან ის სტავროპოლში გადაიყვანეს, სადაც 1894 წელს გამოსცა წიგნი “Успенско-Драндский общежительный монастырь”. აგაფოდორი 1893 წ. 21 აგვისტოს დანიშნულმა ეპისკოპოსმა პეტრემ (დრუგოვი) შეცვალა.

19. დეკანოზი დავით მაჭავარიანი (1820-1905 წ.წ.) — 1850 წლიდან მსახურობდა სამურზაყანოს ბლალოჩინად, 1868 წლიდან აფხაზეთის უფროსი

ბლალოჩინია, 1885 წლიდან — სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი; გარკვეული დამსახურება მიუძღვის აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და სწავლა-განათლების შემოღების საქმეში. დავით მაჭავარიანი იყო წინააღმდეგობრივი პიროვნება; პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლოდ სამურზაყანოელებს აფხაზეთად ასაღებდა. ვითომ აფხაზეთა მასობრივი “მონათვლისათვის” კი (სამურზაყანოელები მუდამ ქრისტიანები იყვნენ) იგი დიდ პატივში ჰყავდა ხელისუფლებას, უხვად აჯილდოებდა და გაზრდილ ხელფასს უხდიდა, რასაც ქართველთა “მონათვლისათვის” ვერ მიიღებდა. ყირიმის ომის დროს ეგზარქოსთან არაერთხელ დაასმინა თავისი სამწყსო, ასევე აფხაზეთის მთავარი; აშკარად მოკლებული იყო ზოგადქართულ ცნობიერებას, თუმცა სიცოცხლის ბოლო წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის გავლენით პოზიცია ოდნავ შეიცვალა. მის ოჯახში აღიზარდა ანტიქართველი კ. დ. მაჭავარიანი (იხ. გვ. 64-68).

20. არსენი (იზოტოვი) – სოხუმის ეპისკოპოსი 1895 წ. 17 იანვრიდან 1905 წ. 26 მარტამდე, ქართველთმობულე, შოვინისტი, რუსიფიკაციის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი; მრევლმა იგი განდევნა სოხუმიდან, რომელიც საბოლოოდ 1905 წ. 10 აპრილს დატოვა. საზეიმო გაცილება 82 წლის ყოფილ ეპისკოპოსს ნოვოროსიისკში (სოხუმში მოსახლეობის შიშით ვერ გაბედეს) მოუწყვეს (1905 წ. 11 აპრილი) (Прибавление к Духовному Вестнику Грузинского Экзархата, 1905, №15, 1 августа, с. 14-16).

21. წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის სოხუმის საეპარქიო სამძო ჩამოყალიბდა 1891 წ. 27 დეკემბერს, განაგებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებსაც; მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას აფხაზთა შორის საგანმანათლებლო და სამისიონერო მუშაობა წარმოადგენდა (ქცსა — ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.160, ს. 175, ფ. 31).

22. 1896 წ. 26 თებერვლის “წესდებულებანი მართლმადიდებელი აღსარების უწყების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ” ამ სკოლების მართვის ფუნქციას ცენტრში უწმინდეს სინოდს (მასთან არსებულ სასწავლო საბჭოს), ხოლო რეგიონებში — მღვდელთმთავარს (ეპარქიალურ სასწავლო საბჭოს და მის სამაზრო განყოფილებებს) აკისრებდნენ. მღვდელთმთავარს უფლება ჰქონდა საეპარქიო სასწავლო საბჭოს მოვალეობის შესრულება საეპარქიო სამძოს საბჭოსათვის დაევალებინა იმ პირობით, რომ სასწავლო საბჭოს და სამძოს ცალ-ცალკე საფინანსო ანგარიში ექნებოდათ. წესდების 27-ე მუხლის თანახმად, საეპარქიო სასწავლო საბჭო შედგებოდა თავმჯდომარის, ცხრა მუდმივი წევრის, საეპარქიო სკოლების ზედამხედველისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლისაგან. მუდმივი წევრების გარდა ირჩევდნენ საპატიო წევრებსაც იმ პირობაგან, რომლებიც საეკლესიო სკოლებს დახმარებას უწევდნენ. საბჭოს თავმჯდომარეს მღვდელთმთავარი ნიშნავდა, საქმისმწარმოებელს (მდივანს) არჩევდა



თავმჯდომარე და ამტკიცებდა მღვდელმთავარი (მწყემსი, 1896, №7, გვ. 1-4).

23. საბჭოს ნამდვილ და საპატიო წევრებად დასახელებულთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ცნობილი პიროვნებები იყვნენ. ასე, მაგალითად, პოლიცმეისტერი, შემდგომში ქალაქის თავის თანაშემწე ვ.ი. კოტლიაროვი გახდა სოციალ-დემოკრატი და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის საბჭოდან 1906 წ. ეპ. კირიონმა გამოიყვანა (იხ. წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 251, 287-288); ვ. იასტრებოვი — ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი და ეპ. არსენის მარჯვენა ხელი იყო; მასაც ეპ. არსენთან ერთად მოუწია სოხუმიდან გაქცევა 1905 წლის დასაწყისში. ბერძენი მღვდელი ავრამი (ივანოვი) წლების მანძილზე იყო ბლალოჩინი მღვდელი (თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონებისა). საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეუერთდა ე.წ. განმახლებლებს და 1923 წლიდან გახდა მათი ეპისკოპოსი აფხაზეთში, შემდეგ არქიეპისკოპოსის ხარისხიც მიიღო (იხ. დოკ. №121). გიორგი გოლუბოვი სოხუმის საკათედრო ტაძარში 1895 წ. 16 ივნისიდან 1919 წლის 9 ოქტომბრამდე მსახურობდა ჯერ მღვდლად, 1898 წ. 10 იანვრიდან კანდელაკად (ბესარიონ ხელაიას შემდეგ) და 1905 წ. 8 თებერვლიდან წინამძღვრად (დავით მაჭავარიანის შემდეგ). როგორც უკიდურესი შოვინისტი, რომელიც არ შეურიგდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ დამოუკიდებლობას, ქვეყნიდან გაასახლეს; დ. აჯამოვი მამის მხრიდან იყო სპარსული წარმოშობის, დედა ჰყავდა გააფხაზებული

სომეხი (ქცსა, ფ. 186, აღწ. 1, ს. 755, ფ. 20-21). თვითონ ცნობილი აფხაზი პედაგოგი გახდა. მისი შვილი გ. აჯამოვი 1917 წ. ნოემბერში აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს, 1918 წ. ივნისში მონაწილეობდა აფხაზთა დელეგაციაში, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს მთავრობასთან. საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება იყო გენერალი გ.ა. შერვაშიძე (გარდაიცვალა 1898 წ. 2 თებერვალს). ვ.ა. ბრაკერი სოხუმის ოლქის უფროსი იყო 1892 წ. 12 სექტემბრიდან და ეს თანამდებობა 90-ნი წლების ბოლომდე ეკავა (ქცსა, ფ. 186, აღწ. 1, ს. 8, ფ. 309-320; ს. 755, ფ. 17, 20). მ.ი. რაძევიჩს მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა ეკავა 1886 წ. აპრილიდან 1888 წ. აპრილამდე, აგრეთვე 1892-1893 წ.წ.; 1896 წლის აგვისტოსათვის იგი მესამედ უნდა იყოს დანიშნული ამ თანამდებობაზე (ქცსა, ფ. 130, აღწ. 1, ს. 82, ფ. 26<sup>ა</sup>; ს. 755, ფ. 186, აღწ. 1, ს. 8, ფ. 422-453).

24. თედო სახოკია (1868-1986 წ.წ.) — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სოხუმის მკვიდრი; სათავეში ედგა აფხაზეთში ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

25. მიხეილ გვაზავა სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდლად 1898 წ. 25 იანვარს დაინიშნა; 1927 წელსაც იქვე მსახურობდა დეკანოზის ხარისხით (დოკ. №119).

26. ს. გორგაძე (1876-1920 წ.წ.) — ცნობილი მეცნიერი (ისტორიკოსი) და საზოგადო მოღვაწე; ამბროსი ხელაიას თანაკურსელი ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

27. ჟურნალ “მწყემსის” რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე.

28. 1918-1921 წ.წ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე (1861-1921 წ.წ.).

29. დიმიტრი (აბაშიძე) — გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი 1904-1905 წ.წ.; უღალატა ავტოკეფალიის იდეას და რუსეთში გადაიხვეწა (იხ. დოკ. №22).

30. კირიონი — იხ. “წმინდა მღვდელმთავრე კირიონ II და აფხაზეთი”. თბ., 2006.

31. დავითი — ერისკაცობაში ექვთიმე კაჭახიძე (1872-1935 წ.წ.). 1907-1935 წ.წ. იყო ალავერდის, პიატიგორსკის, ჭყონდიდის, ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსი, ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი; ოპოზიციაში ედგა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის.

32. წერილი ცალსახად ადასტურებს, რომ ბესარიონ ხელაია ბერად 1900 წელს აღიკვეცა; სამსახურებრივ ნუსხაში კი მითითებულია 1899 წელი (დოკ. №№24, 33). ალბათ, ამ დროიდან ის უკვე ეწეოდა ბერულ ცხოვრებას.

33. დათარიღებულია შინაარსის მიხედვით.

34. ანთიმოზ ჯუღელი (1846-1925 წ.წ.) — ცნობილი სოხუმელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ვალიკო ჯუღელის მამა.

35. ი. კერესელიძე — XIX ს. 70-ნი წლების ბოლოდან მოღვაწეობდა აფხაზეთში, ცნობილი მისიონერი, ოჩამჩირის უბნის ბლალოჩინი. მრავალწლიანი სამსახურის შემდეგ 1898 წლის აგვისტოში ქუთაისში გადაიყვანეს, რისი მიზეზი, როგორც დოკუმენტიდანაც კარგად ჩანს, იყო ბლალოჩინის ხანგრძლივი ბრძოლა რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1894 წელს მან საჩივარი შეიტანა სოხუმის საეპარქიო კანცელარიაში ადგილობრივი არარუსი მღვდლების

შევიწროების თაობაზე (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 5) 1898 წ. 30 აგვისტოს ოჩამჩირის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა მამა იოანეს და ულრმესი პატივისცემის ნიშნად მაცხოვრის ხატი მიართვა.

36. იოანე ჩხენკელი — 1869 წლიდან ოქუმის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის მღვდელი, 1880 წლიდან — სამურზაყანოს ბლალოჩინი; აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, შემდგომში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის — აკაკი ჩხენკელის (1874-1959 წ.წ.) მამა.

37. თ. სახოკიას მსგავს წერილებს შორის ყველაზე გახმაურებული იყო “Из Сухума” (С. Петербургские Ведомости, 1900, 1 (14) ივლისი).

38. იგულისხმება მწერალი გიორგი წერეთელი (1842-1900 წ.წ.), რომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1919 წ. 19 იანვარს, სოხუმის ქართული საზოგადოების მოთხოვნით, დეკანოზმა დ. მაჭავარიანმა საკათედრო ტაძარში პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაიხადა.

39. იოანე კავჟარაძე — რენეგატი ქართველი მღვდელი (იხ. წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 443).

40. ზ. ედილი — ზაქარია ედილაშვილი (1873-1956 წ.წ.) — ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. როგორც ექიმი-ვეტერინარი, XX ს. დასაწყისში სოხუმის ოლქში მუშაობდა.

41. ალექსი — საქართველოს ეგზარქოსი 1901-1905 წ.წ.

42. დათარიღებულია შინაარსის მიხედვით.

43. კ.პ. პობედონოსცევი — უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი 1880-1905 წლებში, რუსიფიკაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი. აღნიშნული წერილი გახდა რეალური საფუძველი როგორც ამბროსი ხელაიას რუსეთში გადასახლებისა (1903 წ. 6 სექტემბერი), ისე ალექსანდრე ოქროპირიძის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის თანამდებობიდან განთავისუფლებისა.

44. ამ საქმის შესახებ დაწვრილებით იხ. — ა. სილაგაძე, ვ. გურული. დასახ. ნაშრომი; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 582-609 და ა.შ.

45. ჩვენი მონაცემებით, ბ. ფანცულაია იყო გუფის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი, ბ. გაბისონია — I ჭუბურხინჯის ამაღლების ეკლესიისა; ბართლომე ხარებავა — I გუდავის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზ მ. ხარებავას შვილი — 1897-1898 წ.წ. მსახურობდა კოდორის უბნის მისიონერად, შემდგომში სხვადასხვა დროს — კინდლის იოანე ნათლისმცემლის და ცხენისწყლის წმ. გიორგის ეკლესიების მღვდლად.

46. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა თ. გერშელმანმა, რომელიც აფხაზეთის ქართულ სამღვდელოებას გარუსების პოლიტიკის მთავარ მოწინააღმდეგე ძალად მიიჩნევდა, სოხუმის ოლქის უფროსს – პოლკოვნიკ ვ. პროგულბიციკის მოსთხოვა დაწვრილებითი მონაცემები სოხუმის ეპარქიაში შემავალი სამრევლოების (მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა, სასულიერო პირები მათი ეროვნებისა და განათლების მითითებით, ღვთისმსახურების ენა და ა. შ.) შესახებ. 1899 წ. 26 მაისს გენერალ-გუბერნატორს სოხუმიდან მიეწოდა შემდეგი

მონაცემები (ფრჩხილებში ჩასმულია ჩვენს მიერ დამატებული მონაცემები, რომლებიც ვერ მოხვდნენ მონოგრაფიაში “აფხაზეთი და მართლმადიდებლობა”, გვ. 843-865):

სოხუმის საკათედრო ტაძარი – წინამძღვარი დეკ. დ. მაჭავარიანი, მღვდლები – ა. ივანოვი, გ. გოლუბოვი, მ. გვაზავა, მ. პოკროვსკი (XIX ს. 80-90 წლებში აქ მსახურობდნენ აგრეთვე მღვდლები – ი. ბერძენიშვილი, ი. პეტრენკო, პ. ბაზილევსკი, მედავითნენი – ა. სვეტლოვი, ა. კალინინი, ა. მასხარაშვილი, გ. დოლონაძე, ს. მარკოვი, ნ. ერმოლოვი).

ბირცხის ღვთისმშობლის შობის – დ. ტიტოვი (ბერძენი).

### გუდაუთის უბანი

გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის – ი. ჩაჩანიძე.

ბაკლანოვკის სერგი რადონეჟელის – ბესარიონ კაპანაზე (მედავითნეებად 90-წლებში მსახურობდნენ ე. კვირკველია, მ. ფილიპოვი, დ. ნოსოვი).

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების – ი. ლაკერბაია (მედავითნეებად 90-წლებში მსახურობდნენ ი. შავდია, ს. ივანოვი, ს. ნოდია, ს. კვაჭანტურიძე).

აჭანდარის აღდგომის – დ. ხოჭოლავა (1904-1905 წწ. მედავითნეებად მსახურობდნენ ს. მიხელიძე, გ. ნოდია).

დურიფშის მიქაელ მთავარანგელოზის – ნ. კირთაძე (90-წი წლებიდან 1905 წლის ჩათვლით

მედავითნეებად მსახურობდნენ ს. კვაჭანტურიძე, ს. ნოდია, პ. ბენედიქტოვი, ვ. კულაკოვი).

ზვანდრიფშის პეტრე-პავლეს – დ. გუბელაძე (1901-1905 წწ. მედავითნეებად მსახურობდნენ გ. თუმანოვი, ვ. გვაზავა).

მუგუპირხვის ილია წინასწარმეტყველის – ბესარიონ ჟორდანია (1904 წლამდე მსახურობდა მღვდელი მ. ციშა, 90-ნი წლებიდან 1905 წლის ჩათვლით მედავითნეები იყვნენ თ. ხორავა, ა. ჭალაგანიძე, ს. ფონია).

ჯირხვის ბასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის – გ. ჭირაქაძე. ოთხარის წმ. ეკატერინეს – ი. წივწივაძე.

ბარმიშის წმ. გიორგის – აბაკუმ თოფურიძე (1904 წლიდან მედავითნეა პ. კვარაცხელია).

ბლაბურხვის წმ. გიორგის – ი. ნაჭყებია (1913 წლამდე მედავითნე იყო კ. ბარციცი).

კალდახვარის წმ. გიორგის – ი. ოსიძე.

პეტრეპავლოვსკოეს (პეტროვსკაიას) პეტრე-პავლეს – ა. გალახოვი.

### გუმისთის უბანი

ნიკოლაევკის ღვთისმშობლის შობის – ა. სახოკია (მანამდე მღვდელი იყო ლ. ჯიქია, 1904წ. დანიშნეს ა. ბაჟანოვი; მედავითნეებად მსახურობდნენ ნ. ივანოვი, 1904 წლიდან – ს. რუმიანცევი).

ფშაფი-დრანდის მიქაელ მთავარანგელოზის – დ. ხუციევი (ხუციშვილი).

ბესლეთკის (აბჟაყვის) წმ. გიორგის – ი. ბერულავა.

მერხეულის წმ. გიორგის – ს. ჯაში.

აკაფა – კელასურის წმ. გიორგის – ოქროპირ (იოანე) სოხაძე (დიაკონად 1905წ. მსახურობდა ვ. შენგელია).

ანდრეევსკაიას წმ. გიორგის – ნ. ლამფრიანიდი.

კონსტანტინოვსკაიას წმ. კონსტანტინესა და ელენეს – ა. მილოპულო.

გეორგიევსკაიას წმ. გიორგის – ი. ფილიპიდი.

მარინინსკაიას წმ. ხარლამპის – ნ. კერეზიტი (90-ნი წლებში მედავითნეები იყვნენ ი. ხიონიდი, ვ. ტიტოვი).

ალექსანდროსკაიას წმ. ალ. ნეველისა და წმ. ნიკოლოზის – გრ. ზაპალსკი (მანამდე მღვდლები იყვნენ, ნ. ლამფრიანიდი, მ. ივანოვი; 1904წ. მედავითნედ დაინიშნა ს. დოდენკო).

პავლოვსკაიას იოანე ნათლისმცემლის – მ. ივანოვი (მანამდე იყო გრ. ზაპალსკი).

მიხაილოვსკოეს პეტრე-პავლეს – პავლე კეხიოპულო.

ეკატერინოვსკაიას წმ. ეკატერინეს – ს. ტექტონიდი (მედავითნე – ი. კრესნოხოლოვი).

ოლგინსკოეს წმ. დიმიტრი სოლუნსკის – გ. ლამფრიანიდი (მედავითნე იყოს თ. სტამბოლოვი).

### კოდორის უბანი

ოჩამჩირის აღდგომის – დ. მარღანია (90-ნი წლების პირველ ნახევარში მედავითნე იყო ვ. ქურდაგია).



ილორის წმ. გიორგის – პორფირ ხელაია (1905 წლამდე ერთ-ერთი მღვდელი იყო ნ. ბენდელიანი, 90-ნი წლებიდან 1905წ. ჩათვლით მედავითნეებად მსახურობდნენ ე. გაჩეჩილაძე, მ. ბრეგაძე, ი. ბრეგაძე, ტ. კარპენკო, ი. ხოჭავა).

მოქვის ღვთისმშობლის მიძინების – ი. ჟორდანია (90-ნი წლებიდან 1904წ. ჩათვლით მედავითნეები იყვნენ ს. მანჯგანაძე, დ. კრასტილევსკი, ვ. საჯაია, ო. ცხაკაია, თ. შავდია).

არადუს მაცხოვრის – ნ. ნოდია (90-ნი წლებში მედავითნეები იყვნენ ი. ბრეგაძე, ე. კიკვაძე).

შუაწყლის ღვთისმშობლის შობის – კ. თოფურიძე.

ათარის წმ. გიორგის – ანდრონიკ გეგეჭკორი.

კვიტოულის წმ. გიორგის – ა. საჯაია (1904წ. ნოემბერში შეიქმნა კვიტოულის ახალი ქვის ეკლესიის მშენებლობის კომიტეტი სოხუმის ოლქის ეფროს ვ. პროგულბიციკის თავმჯდომარეობით; წევრები იყვნენ უბნის უფროსი ჩიგოგიძე, მღვდელი ა. საჯაია, მრევლიდან – ი. თორდუა, ვ. ჭურღულია).

ტამიშის წმ. ნიკოლოზის — თ. ურიდია.

ჯგერდის აღდგომის — ს. ჩხაიძე (90-ნი წლებიდან 1905 წ. ჩათვლით მედავითნეები იყვნენ ს. ბურჭულაძე, ვ. ჩიხლაძე, ს. კვირკველია).

კინდლის იოანე ნათლისმცემლის — ბართლომე ხარებავა (1895 წლამდე მღვდელი იყო გ. ჩომახოვი — ჩომახიძე? — 1901 წლამდე მედავითნეა ვ. ხარებავა).

ჭლოუს ამაღლების — ვ. მაქაცარია.

ტყვარჩელის 12 მოციქულის კრების — ს. კვაჭანტურაძე (1904 წლიდან მედავითნედ მსახურობდა ზ. მიქაია).

გუფის პეტრე-პავლეს — ბ. ფანცულაია (90-ნი წლების მეორე ნახევარში მედავითნეებად მსახურობდნენ ნ. მარკელია, ა. ბენდელიანი, პ. ქურდაგია).

ემკეტის მთავარანგელოზის — ი. გობეჩია (მედავითნე — ო. ცხაკაია).

ბესლახუბის წმ. ონოფრეს — მ. ასათიანი (1905 წლიდან მედავითნეა ტ. კარპენკო).

ფოქვეშის წმ. გიორგის — ლ. საჯაია (1905 წლიდან მედავითნეა ევგ. რურუა).

## სამურზაყანოს უბანი

I ბედიის ღვთისმშობლის მიძინების — ნ. ავალიანი.

II ბედიის წმ. ანდრია მოციქულის — პ. ხაჟომია (90-ნი წლებიდან 1905 წლის ჩათვლით მედავითნეებად მსახურობდნენ ვ. ქიქოძე, დ. ხვინგია; 1905 წ. 7 ოქტომბერს მედავითნედ დანიშნეს ი. სტალინის თანაკლასელი (გორის სასწავლებელში და თბილისის სემინარიაში) და ახლო მეგობარი, პროფესორ შოთა გოგობიას მამა – დორიმედონტ გოგობია).

I გუდავის წმ. გიორგის — მ. ხარებავა.

II გუდავის მთავარანგელოზის — ი. კვარაცხელია (მანამდე მღვდელი იყო ლ. საჯაია; 1896 წლიდან მედავითნედ მსახურობდა ვ. ბენდელიანი).

ოხურეის წმ. ნინოს — ე. გაჩეჩილაძე (1897-1905 წ.წ. მედავითნეა ევგ. რურუა).

ოქუმის (I) ღვთისმშობლის ხარების — ი. ჩხენკელი.

ოქუმის (II) იოანე ნათლისმცემლის — ი. კავჭარაძე.

დიხაზურგის მაცხოვრის ამალლების — ვ. ასათიანი.

მუხურის მთავარანგელოზის — დ. მასხულია (1904 წლამდე მღვდლად მსახურობდა ვ. შონია, შემდეგ — ტ. ადონია).

საბერიოს (I) ღვთისმშობლის შობის — ვ. მანჯგანაძე (1895 წლიდან მღვდელი იყო პ. ფარეიშვილი).

საბერიოს (II) წმ. გიორგის — ბ. ჩხიკვაძე

საბერიოს (III) წმ. გიორგის — ა. ქავთარაძე (მედავითნე — ე. კვირკველია).

ცხირის პეტრე-პავლეს — ზ. ჩხეტია.

ფახულანის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების — ტ. ადონია.

წარჩეს ღვთისმშობლის მიძინების რ. ჭალაგანიძე.

რეჩხის წმ. ნიკოლოზის — ა. კობახიძე (1905 წლიდან დიაკვანია ვ. შენგელია).

ნაჭკადუს ამალლების — ი. რურუა (შტატგარეშე მღვდლად მანამდე მსახურობდა ი. კვარაცხელია; 1897 წლიდან მედავითნე იყო მიტროფანე კვარაცხელია).

რეფის იოანე ნათლისმცემლის — ბლადოჩინი მღვდელი ანტონ სვანიძე (უნდა იყოს იგივე სამსონ სვანიძე; 1904 წელს დროებით რეფიდან სანავარდოში მღვდლად გადაყვანილი ალ. რურუას ნაცვლად დაინიშნა ა. ჭიჭინაძე. მალე ა. რურუა კვლავ რეფში დაბრუნდა, ა. ჭიჭინაძე — სანავარდოში).

გალის (I) წმ. გიორგის — ს. თოფურიძე.

გალის (II) ღვთისმშობლის მიძინების — ნ. ნოდია.

ჭუბურხინჯის (I) ამაღლების — ბ. გაბისონია.

ჭუბურხინჯის (II) ილია წინასწარმეტყველის — დ. ხონელიძე.

თაგილონის ღვთისმშობლის მიძინების — კ. შონია.

ნაბაკევის წმ. გიორგის — ლ. ობოლაძე.

ხუმუშქურის ფერისცვალების – ა. მასხარაშვილი (90-ნი წლებიდან 1903 წლის ჩათვლით მედავითნეები იყვნენ დ. ცხაკაია, პ. ცხაკაია, ვ. ასათიანი, ა. ნოდია).

ოტობაიის (I) ღვთისმშობლის შობის – სპ. რურუა (90-ნი წლებში მედავითნეებად მსახურობდნენ ვ. ასათიანი, ს. მანჯგანაძე, პ. ცხაკაია).

ოტობაიის (II) თევდორე ტირონის – ევსტაფი რურუა (მედავითნეებად 1904-1905 წლებში მსახურობდნენ თ. შავდია, ი. ცაგურია).

ბარლების წმ. გიორგის – გ. ცხაკაია.

შეშელეთის იოანე ღვთისმეტყველის – ბ. ბუჯანაძე.

ჩხორთოლის წმ. გიორგის – ს. თოლორაია (1905 წლიდან მედავითნე იყო ნ. თოლორაია).

სანავარდოს წმ. გიორგის – ა. ჭიჭინაძე (1901 წლიდან მედავითნე იყო ი. ბენდელიანი; 1904წ. დროებით მღვდლად დაინიშნა ალ. რურუა). – იხ. ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფ. 186, აღწ. 1, ს. 69, ფ. 2-9; იხ. აგრეთვე Духовный Вестник Грузинского Эчзархата, 1891, №19, გვ. 5; 1892, №3, გვ. 5; 1893, №10, გვ. 9; 1894, №8, გვ. 12; 1895, №1, გვ. 7-9; №5, გვ. 5-6; №11, გვ.

9; №16, გვ. 8; 1897, №1, გვ. 7-8; №4, გვ. 7; №9-10, გვ. 5-7; №12, გვ. 6; №14, გვ. 7; №17, გვ. 5; №23, გვ. 6-7; 1900, №3, გვ. 4; 1901, №6-7, გვ. 7-8; №8, გვ. 11; №9, გვ. 8; 1904, №1-2, გვ. 7. №15, გვ. 9; №17, გვ. 36-37; №21, გვ. 10; №23, გვ. 7; 1905, №1, გვ. 4; №3-4, გვ. 11; №7, გვ. 7; №9, გვ. 7; 1906, №1-2, გვ. 15-17 და ა. შ..

სოხუმის ოლქის სამღვდელოების ეროვნული შემადგენლობა (64 ქართველი, 10 ბერძენი, 4 რუსი, 2 აფხაზი) – დიდი უმრავლესობის ქართველობა გახდა მიზეზი მსჯელობისა «О степени виновности их» (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 590-592, 600 და ა. შ.)

46. გურია-სამეგრელოს მაშინდელმა ეპისკოპოსმა, ცნობილმა რენეგატმა დიმიტრიმ (აბაშიძე) გაზეთში «Русь» (1905, №74) გამოაქვეყნა წერილი ნ. დურნოვოს სტატიის («Инородцы ли Грузины». – «Русь, №60) წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ნ. მარის მძაფრი კრიტიკა (ცნობის ფურცელი, 1905, 13, 14 აპრილი) და ამბროსი ხელაიას გამომხატურება.

47. ვაკანსია ჩნდებოდა კანტორის წევრის გიორგი ალადაშვილის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით (დაინიშნა 1905 წ. 27 აგვისტოს). სწორედ მის მიერ გამონთავისუფლებული ადგილი დაიკავა ამბროსი ხელაიამ კანტორაში.

48. დოკუმენტის შედგენის დროს ამბროსი ხელაია იყო 44 წლის.

49. 1915 წ. შედგენილ ნამსახურობის ნუსხაში მითითებულია, რომ ბესარიონ ხელაიას წახალისება

ეპისკოპოს აგაფოდორის მიერ მოხდა 1893 წ. 10 ივნისს (დოკ. №33).

50. 1915 წ. შედგენილ ნამსახურობის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ბესარიონ ხელაია მთიელთა სკოლის სჯულისკანონის მასწავლებლად 1894 წ. 26 აგვისტოს დაინიშნა (დოკ. №33).

51. ფლაბიანე — საქართველოს ეგზარქოსი 1898-1901 წ.წ.

52. 1902 წ. 3 მარტს მოხდა ბერმონაზონ ამბროსი ხელაიას არქიმანდრიტის ხარისხში აყვანა, ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად კი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1902 წ. 7 მარტის №3050 ბრძანებულებით დაინიშნა (ცსია, ფ 488, აღწ. 1, ს. 25496, ფ. 1,2).

53. ამბროსი ხელაიას შვილების შესახებ ჯერჯერობით ცოტა რამ არის ცნობილი. — იხ. “ქართული წიგნი”, 2001, №1, იანვარი (ნინო ამბროსის ასულ ხელაიას და მისი ქალიშვილის — თამარის შესახებ); ”პატრიარქის შთამომავალნი. ანა კლდიაშვილის მოგონება” (ს. ვარდოსანიძე. ...ამბროსი, გვ. 102-109). იხ. აგრეთვე გვ. 366.

54. ნიკონი — საქართველოს ეგზარქოსი 1906-1908 წლებში.

55. მამა მარკოზი (ტყემალაძე) — სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი (გოჩა საითიძე. წამებული..., გვ. 93).

56. საუბარი უნდა იყოს ეპ. კირონისა და ლეონიდეს მიერ უწმ. სინოდის განსაკუთრებული სათათბიროს პროექტის მიმართ (საეგზარქოსოს რეორგანიზაციის ცალ-ცალკე წერილობით

გამოთქმული მოსაზრების შესახებ. როგორც ჩანს, ორივე დოკუმენტის გამოქვეყნების თაობაზე პეტერბურგიდან ოპერატიულად მიღებული თანხმობის შემდეგ ისინი გაზეთმა «Возрождение»-მ 1906 წლის 24 თებერვალს (9 მარტს) დაბეჭდა.

57. არისტრახ ჭიჭინაძე — XIX ს. 70-იან წლებში (1880 წლამდე) სამურზაყანოს ბლალოჩინის – იოანე ჭიჭინაძის შვილი; თბილისის სასულიერო სემინარიის არასრული კურსის დამთავრების შემდეგ მსახურობდა აფხაზეთში; 1890 წლიდან იყო სოფ. პლასტუნკის მღვდელი, 1896 წლიდან ჯერ კინდლის, შემდეგ სანავარდოს მღვდელია. ცხუმის ეპისკოპოსმა კირიონმა არქიმანდრიტ ამბროსის თხოვნა დააკმაყოფილა. არისტრახ ჭიჭინაძის ფორმულიარში ვკითხულობთ, რომ იგი 1906 წლის მარტში “согласно прошению перемещен в настоящий (მუხურის — ჯ. გ.) штатный приход преосвященным Кирионом, где состоял заведующим Мухурской двухклассной и Пуцхурской однокласной школы» (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 56320, ფ. 54); 1908 წლის მარტიდან გახდა II საბლალოჩინო ოლქის ბლალოჩინის თანაშემწე, 1910 წლის აპრილიდან – ბლალოჩინი (იქვე, ფ. 55).

58. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ცხუმელმა ეპისკოპოსმა II საბერიოს ეკლესიის მღვდლად ბესარიონ ჩხიკვაძის გარდაცვალების შემდეგ, ამბროსი ხელაიას შუამდგომლობის გათვალისწინებით, აკურთხა პართენ ცხაკაია, რომლის ფორმულარში ვკითხულობთ: “Рукоположен во диакона 19 августа 1906 г. , а во священники был рукоположен 20 августа 1906 г. и определен на штатное священническое

место при 2-й Саберийской Богороднической церкви». იმავე წლის 17 დეკემბერს პართენ ცხაკაია ემკეტში (აკვასკა) გადაიყვანეს, ხოლო იქაური ეკლესიის მღვდელი იოანე გობეჩია «перемещен во II Саберийской Богородничной церкви Кирионом, епископом Сухумским» (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ც. 53087, ფ. 28; ს. 54950, ფ. 101).

59. დათარიღებულია შინაარსის მიხედვით.

60. ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენება საქართველოს ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნდა კრებულში: «Отзывы епархиальных архиереев по вопросу о церковной реформе», ч. III; კირიონის მოხსენებები იხ. კრებულში “წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 387-422.

61. მღვდელი კალისტრატე ცინცაძე (1866-1952 წ.წ.) — იმ პერიოდში ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1952 წ.წ.

62. ა. თოთიბაძე — სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი.

63. იგულისხმება იმპერატორ პეტრე პირველის 1721 წლის 25 იანვრის ბრძანებულება რუსეთში პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმებისა და სინოდის შექმნის შესახებ.

64. სტეფანე (არხანგელსკი) — მოგილიოვის ეპისკოპოსი, XX ს. დასაწყისში იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი.

65. რუსულმა სამღვდელოებამ — სასულიერო სასწავლებელთა წარმომადგენლებმა, ბლალოჩინებმა და



დეპუტატებმა რუსული ეკლესიებიდან თავიანთ კრებაზე (1906 წ.) მიიღეს მოხსენებითი ბარათი უწმინდესი სინოდისათვის წარსადგენად; ითხოვდნენ დამოუკიდებელი რუსული ეპარქიის დაარსებას ეპისკოპოსის ადგილსამყოფელით თბილისში (წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 457-458).

66. ერთი შეხედვით, ეს მიუღებელი პოზიცია ლოგიკურად გამომდინარეობდა დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზნიდან: «показать... что грузины не сепаратисты...». არჩევითობის პრინციპის შემოღება თავისთავად მოხსნიდა ქართული ეკლესიის სათავეში არაქართველთა თუ ანტიქართველთა მოხვედრის საფრთხეს, ამიტომ ავტორებს ზედმეტად მიაჩნდათ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

67. არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას ეს თხოვნა ცხუმელმა ეპისკოპოსმა ვერ შეასრულა. ი. სერგინავა მხოლოდ 1908 წ. იანვარში ეკურთხა მღვდლად პაპიჩონის წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში (მანამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თითქმის 10 წლის განმავლობაში); 1910 წლიდან ზემო ცხირის წმ. ნიკოლოზის და მისთვის მიწერილი პაპიჩონის ეკლესიების მღვდელია (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 53087, ფ. 6). წერილში მოხსენიებული თავადი ცნობილი ქართული ორიენტაციის მოღვაწე მელიტონ ემუხვარი უნდა იყოს.

68. ცხუმელმა ეპისკოპოსმა აღნიშნული შუამდგომლობა ვერ დააკმაყოფილა. იონა ცხაკაია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1895-1908 წლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა; მხოლოდ 1908 წლის 10 აპრილს აკურთხეს

მღვდლად ქვემო ბარდების იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 56385, ფ. 43).

69. ეპისკოპოს ალექსანდრესადმი მიძღვნილ ერთ-ერთწერილში ნათქვამი იყო, რომ ისტორია მას ალექსანდრე აღმადგენელს უწოდებსო (მწყემსი, 1897, №9-10). ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ამბროსი ხელაიას.

70. მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე — სხვადასხვა დროს მსახურობდა სამეგრელოში, (ზუგდიდში), აფხაზეთში (1906-1907 წ.წ.), ბათუმში, ისევ სამეგრელოში; ბოლოს კი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ამბროსიმ 1919 წ. ოქტომბერში სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დანიშნა; იყო საეპარქიო კანცელარიის გამგე, აგრეთვე საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარე.

71. კონსტანტინე მანჯგანაძე — ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი 1906 წლიდან (მანამდე თავილონის წმ. გიორგის ეკლესიაში მსახურობდა). 1908 წლიდან იყო ბლალოჩინი მღვდელი.

72. ტრ. ჯოხთაბერიძის განცხადება, რომ 1917 წ. 9-10 აპრილს ამბროსი ხელაია ჩამოვა სოხუმში, სტარაია რუსადან შვებულებით (იხ. გამოკვლევა) სამშობლოში მის დაბრუნებაზე შეიძლება მიუთითებდეს. სხვა, უფრო დამაჯერებელი საბუთი ამის შესახებ ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. უეჭველია, რომ არქ. ამბროსი და ეპ. კირიონი 1917 წ. აპრილში სოხუმში არ ყოფილან.

73. მიხეილ ანჩაბაძე — სოფელ ოტობაიის მკვიდრი, სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტის ჯამბულ ანჩაბაძის ბაბუა; იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა. ამრიგად,

საეკლესიო ყრილობაზე სამურზაყანოდან გამოგზავნილი მოლოცვის ავტორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე ანჩაბაძე არ ყოფილა (იხ. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 792).

74. ეს განცხადება დამატებითი არგუმენტია ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ცხუმელის ავტორობით პეტერბურგში გამოცემული ბროშურა “აფხაზეთი” ეკუთვნის ეპისკოპოს კირიონს. მიმდინარე წელს ნატო ბუკიას მიერ გამოცემულ კრებულში მოთავსებული ერთ-ერთი დოკუმენტი საბოლოოდ უსვამს წერტილს ამ საკითხს. 1906 წ. 26 მარტს ი. ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში ეპ. კირიონი წერდა: “პირველი წიგნაკი «Абхазия (церковно-исторический эскиз) соч. Цхумели უკვე დაიბეჭდა. წერის ყაიდაზედ მიჰხვდები ვისიც არის” (კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. წერილები, სტატიები. გამოსაცემად მოამზადა ნატო ბუკიამ. თბ., 2006, გვ. 43). სწორედ “წერის ყაიდაზედ” მიხვდით, რომ აღნიშნული ნაშრომი ეპ. კირიონს ეკუთვნოდა. ამავე დროს, როგორც ირკვევა, ბროშურის გამოცემის თარიღად შეცდომით მივიჩნიეთ 1907 წელი (საპატრიარქოს უწყებანი, 2005, №26, გვ. 12, 13; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 13, 643-645; წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 53-56). ამიერიდან უდავოა, რომ ბროშურა “Абхазия” ეკუთვნის კირიონს და იგი 1906 წ. დაისტამბა. ამასვე ადასტურებს ბროშურის მოხსენიება 1906 წ. გამოქვეყნებულ ამბროსი ხელაიას წერილში (გვ. 447). ცხადი ხდება ისიც, რომ 1907 წ. დასაწყისში ეპ.

კირიონის მიერ პეტერბურგში მომზადებული “კარგა ვრცელი წიგნი” აფხაზეთზე (წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 240), აგრეთვე 1910 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში “Культурная роль Иверии в истории Руси” (გვ. 448) მითითებული გამოუქვეყნებელი ნაწარმოები “Абхазия (церковно-исторический очерк)” ავტორის დღემდე დაკარგული კიდევ ერთი ნარკვევია.

75. უნდა იყოს ის რაფიელ ჩქოტუა, რომელსაც 1918 წელს აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა ნ. ჟორდანიას მთავრობაში და თავისი მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე სოხუმში წარუმატებელი ანტიქართული (თეთრგვარდიელთა მხარდამჭერების) პუტჩის ორგანიზებით დაასრულა (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ. 85, 86 და სხვ.).

76. ოქმის ასლი მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათედრო საბჭოს 1918 წ. 8 იანვარს წარუდგინა.

77. მოკლე ცნობები დოკუმენტში მოხსენიებულ სასულიერო პირთა შესახებ იხ. ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (იხ. პირთა საძიებელი); წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი (იხ. პირთა საძიებელი).

78. ეპისკოპოს სერგის (სტეფანე ალექსანდრეს ძე პეტროვს) სოხუმის კათედრა 1913 წლის 22 დეკემბრიდან (ჩამოვიდა სოხუმში 1914 წ. 6 თებერვალს) 1919 წ. 1 სექტემბრამდე ეკავა; ატარებდა შოვინისტურ პილიტიკას, არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას.

79. გიორგი შერვაშიძე (1846-1918 წ.წ.), აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მიხეილ

შერვაშიძის შვილი, პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე; წერდა ქართულ და რუსულ ენებზე. იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა თანამოაზრე.

80. ვინმე თურქია უნდა იყოს ის პიროვნება, რომელსაც თავი შეუკავებია სოხუმში ქართული ეკლესიის აშენების მოთხოვნაზე ხელმოწერისაგან (გვ. 207-208).

81. დათარიღებულია შინაარსის მიხედვით.

82. იხ. პლატონი. ფედონი. თბ. 1966, გვ. 15 და სხვ.

83. იგულისხმება გოეთეს “ფაუსტის” რუსულ თარგმანზე (რომელიც მ. ვრონჩენკომ შეასრულა) რუსი მწერლის — ი.ს. ტურგენევის რეცენზია სათაურით — “ფაუსტი” (И.С. Тургенев. Собр. соч., т. VI. 1854-1860. М., 1955).

84. ეს მოსაზრება ამბროსი ხელაიამ ნაწილობრივ გაიმეორა ნაშრომის — “ბედია და ბედის ტაძარი” დასკვნით ნაწილში.

85. აღნიშნული საკითხი ეპ. გაბრიელმა 1873 წელს კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების წინაშე დასვა. საზოგადოება “თანაგრძნობით” მოეკიდა ამ წინადადებას, მაგრამ აფხაზურის მცოდნე, გამოცდილი პედაგოგების არყოლის, აფხაზურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის არარსებობის გამო და ფინანსური (900 მან. წელიწადში) მოსაზრებებით უარი თქვა მის განხორციელებაზე (Отчет общества восстановления православнаго христианства на Кавказе за 1873 г. Тифлис, 1875, с. 26-27).

86. ეპისკოპოს კირონამდე ყოფილი რუსი მღვდელმთავრებიდან (გენადი, ალექსანდრე, აგაფოდორი, პეტრე, არსენი – იხ. კომენტარები 13, 18, 20 – და სერაფიმე – 1905 წ. 27 მარტი — 1906 წ. 3 თებერვალი) მხოლოდ აგაფადორის დროს იყო საეკლესიო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნის მცდელობა. მუშაობის დაწყება ამ მიმართულებით უკავშირდება სოფ. ლიხნის მცხოვრებ ნიკოლოზ გუბლიას წერილს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის სახელზე (1891 წ. 16 დეკემბერი). ძალიან ჰგავს, რომ ეს იყო “ორგანიზებული” წერილი. პასუხი პეტერბურგიდან ორ კვირაში — 1892 წ. 2 იანვარს — სოხუმში მიიღეს. 1892 წ. 29 თებერვალს ეპ. აგაფოდორმა ყოველივე ამის შესახებ ეგზარქოს პალადის (1887-192 წ.წ.) შეატყობინა, ხოლო 26 მარტს საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხზე ობერ-პროკურორ კ. პობედონოსცევს წარუდგინა. 1892 წ. 16 მაისს აგაფოდორი ეგზარქოსს აცნობებდა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია დეკანოზ დავით მაჭავარიანის ხელმძღვანელობით განათლებული აფხაზებისაგან შემდგარი სპეციალური კომისიის შექმნა; მასში უნდა შესულიყვნენ გენერალი გ. ა. შერვაშიძე, კონსტანტინე მაჭავარიანი (სოხუმის მთიელთა სკოლის მაშინდელი მეთვალყურე), დავით აჯამოვი (იმავე სკოლის პედაგოგი), ლევან ავალიანი, ვიქტორ გვარცვია, კონსტანტინე ლადარია, დიმიტრი გულია (ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის პირველი კლასის მოსწავლე), ნიკოლოზ გუბლია (ობერ-პროკურორისადმი წერილის ავტორი). 1892 წლის 27 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ

ეპ. აგაფოდორის წინადადებები დაამტკიცა (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 43550, ფ. 2-10). ანტიქართული მიზნით დაწყებულ მთარგმნელობით მუშაობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია (იხ. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 670-672).

87. აფხაზურ ენაზე საეკლესიო წიგნების თარგმნისა და ღვთისმსახურების შემოღებისადმი ეპ. კირიონის მიდგომის შესახებ იხ. “წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი”, დოკ. №№65, 69, 82, 84, პ. 20; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 672-674.

88. 1918 წ. 16-20 თებერვალს ბოლშევიკებმა რუსი მატროსებისა და შეიარაღებული კრიმინალების, მათ შორის პატიმრების დახმარებით ხელში ჩაიგდეს ფაქტობრივი ძალაუფლება სოხუმში, შექმნეს ე.წ. რევოლუციური კომიტეტი.

89. არქიმანდრიტი ნაზარი — ერისკაცობაში ნესტორ ლეჟავა. კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში (1909 წ.); 1918 წ. ოქტომბრიდან ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოსი, 1919 წლიდან — მიტროპოლიტი; 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდმა მიტროპოლიტი ნაზარი წმინდანთა დასში შერაცხა.

90. ცნობილი აფხაზი პედაგოგი და სასულიერო მოღვაწე; 1894 წლიდან გუდაუთის უბნის ბლალოჩინი მღვდელია, 1898 წლიდან — ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის მღვდელი და უბნის ბლალოჩინი, 1908 წლიდან — დეკანოზი.

91. 1919 წ. 10 იანვარს სოხუმის ოლქის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ (თავ-რე ალ. გრიგოლია)კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მიმართა თხოვნით, რათა აფხაზეთის საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად სოხუმში ჩამოვიდეს საკათოლიკოსო საბჭოს რომელიმე წევრი. საკათოლიკოსო საბჭომ 1919 წლის 23 იანვარს იმსჯელა ამის თაობაზე და სოხუმში ნ. თალაკვაძის მივლინება გადაწყვიტა (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 21, 26). – იხ. კომენტ. 92.

92. 1919 წ. 19 მარტს ნ. თალაკვაძემ უარი თქვა სოხუმში გამგზავრებაზე (კომენტ. 91) იმ მოტივით, რომ ნ. დენიკინის მიერ სოჭის დაკავებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო საომარი მოქმედების დაწყება; გარდა ამისა, — წერდა ნ. თალაკვაძე, — “შარშან სამი კაცი (პ. გოთუა, მიხ. მაჩაბელი და გენერალი ვ. გაბაშვილი) გაიგზავნა სოხუმში საეკლესიო საკითხის სასინჯად, წელს კი ერთი კაცით ჰფიქრობს საბჭო იოლად წასვლას, რაცა მე შეუძლებლად მიმაჩნია ასეთ დროში”. 1919 წ. 30 აპრილს მიტროპოლიტ ამბროსის ეცნობა, რომ საკათოლიკოსო საბჭომ განიხილა ნ. თალაკვაძის განცხადება, ასევე კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს წინადადება (სოხუმში წარმომადგენლის მივლინების ან ამ თხოვნის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ) და განაჩინა – მან, მიტროპოლიტმა ამბროსიმ, თავად მოაწესრიგოს სოხუმის საეკლესიო საქმეები; საბჭოს წევრი კი სოხუმში გაემგზავრებოდა აფხაზეთში მეუფე ამბროსის ჩასვლის შემდეგ (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 28-30).



93. სოხუმის სასაფლაოს ეკლესია 1868წ. საკუთარი სახსრებით აღადგინა აფხაზეთის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე).

94. არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი (1874-1929 წ.წ.); 1910-1914 წლებში მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტია; ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, მათ შორის აფხაზეთშიც; 1921-1925 წლებში აფხაზეთის ეპისკოპოსი, 1923 წლიდან მიტროპოლიტი; შემდგომში იყო ალავერდის, ურბნისის, ბათუმ-შემოქმედის, ბოლოს კი ბოდბელი მიტროპოლიტი (ს. ვარდოსანიძე. ...კალისტრატე, გვ. 77-78).

95. საქართველოს მთავრობამ 1919 წლის 25 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სოხუმში გასამგზავრებლად 15 ათასი მანეთი გამოყო (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 808).

96. ეპისკოპოსი დიმიტრი (სპეროვსკი) სოხუმის ეპარქიაში დაინიშნა 1906 წ. 25 იანვარს და 1911 წლამდე მართავდა მას.

97. 1888 წლის 2დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე III განკარგულებით სოხუმის არქიელის სახლს ზემო წებელდაში — ლათაში გამოეყო 200 დესეტინა სახაზინო მიწის ნაკვეთი. 1900 წლის 10 ივნისს იმპერატორმა ნიკოლოზ II დააკმაყოფილა სოხუმის ეპარქიის თხოვნა და ლათაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთი გაუცვალა 470 დესეტინაზე დრანდასთან ახლოს. ამ მიწებს იჯარით ძირითადად მეგრელები ამუშავებდნენ. (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 555).

98. დოკუმენტი დათარიღებულია 1919 წლის 17 კვირიაკეთი, რაც შეესაბამება 1919 წლის 5 ოქტომბერს.

99. ქანანელმა დედაკაცმა იესოს მიმართა: “შემიწყალე, მე, უფალო, დავითის ძეო: ჩემი ასული საშინლად იტანჯება ეშმაკისაგან”. როცა უფალმა დაინახა, რომ იგი ჭეშმარიტი მორწმუნეა, “პასუხად მიუგო მას: ეჰა ქალო! დიდია შენი რწმენა, და შენი სურვილისამებრ მოგეგოს შენ! და განიკურნა მისი ასული იმავე წამს” (მათე, 15, 22-28).

100. უფალმა სარეცელიდან ააყენა დავრდომილი (განრღვეული), რომელსაც მიუტევა ცოდვები. ამის მნახველი განცვიფრებული ხალხი აღიდებდა უფალს (მათე, 9, 1-8)).

101. კაპერნაუმში მყოფ იესოს ასისტავმა სთხოვა მისი დავრდომილი მსახურის განკურნება — “მხოლოდ სიტყვა ბრძანე და განიკურნება ჩემი მსახური”; ამით მან ღრმა მორწმუნეობა გამოავლინა, რაზეც უფალმა თქვა: “ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას” (მათე, 8, 5-10).

102. ქალი, რომელიც 12 წელიწადი სისხლის დენით იტანჯებოდა, დარწმუნებული იყო, რომ თუ ქრისტეს სამოსს შეეხებოდა, მაშინვე განიკურნებოდა. ასეც მოხდა. უფალმა უთხრა მას: “გამხნევდი, შვილო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. და განიკურნა ქალი იმავე წამს” (მათე, 9, 20-22).

103. იესოსთან ერთად ჯვარცმული ორი ბოროტმოქმედიდან ერთმა აღიარა თავისი დანაშაული (“რაც დავთესეთ, იმას ვიმკით“-ო) და “უთხრა იესოს: მომიხსენე მე უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში, ხოლო იესომ მიუგო მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ:

დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში” (ლუკა, 23, 33, 41-43).

104. საეპარქიო ყრილობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარმა ნოე ჟორდანიას 100 ათასი მანეთის გამოყოფა სთხოვა (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 806).

105. დათარიღებულია ჩვენს მიერ; 7 ოქტომბერი არის საგანგებო კრების (ყრილობის) მოწვევის დღე.

106. იხ. კოლოსელთა მიმართ, 3. 11.

107. კიმვალი (КИМВАЛ) ძველებური საკრავი ინსტრუმენტი, სპილენძის ორი თევში, რომლებიც ერთმანეთზე დარტყმისას ხმამაღლა წკრიალებენ; გადატანითი მნიშვნელობით ასე უწოდებენ საზეიმო, მაღალფარდოვან, მაგრამ უშინაარსო და ცარიელი სიტყვების რახარუხს.

108. «Наше Слово» — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის გაზეთი (რედაქტორი დიმიტრი გულია); მისი სრული კომპლექტი ინახებოდა სოხუმში — ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, რომელიც 1992 წელს დაიწვა.

109. ოქმი არ არის შემონახული საქართველოს არქივებში, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების სულისკვეთება ისედაც ნათელია.

110. საგანგებო კრებამ დღის წესრიგის ყველა საკითხი განიხილა; მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი შემორჩენილი არ არის (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია), მაგრამ მათზე წარმოდგენას გვიქმნიან კრებულში შესული სხვა

მასალები (დოკ. №№79-82, 87-89, 95, 97, 100, 105 და ა.შ.). საკრებულო ტაძრის წინამძღვრად დეკ. ტროფიმე ჯოხთაბერიძე დამტკიცდა; ჩვენი მონაცემებით, ეპარქია დაიყო ოთხ ოლქად: გუდაუთის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს.

111. იმ დროისათვის რუსეთ-საქართველოს საზღვარი მდ. მებადირზე იყო დაფიქსირებული.

112. დოკუმენტს აქვს მინაწერი: “ასლი ესე წარედგინება საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს კეთილგანსახილველად. 1919 წ. 24 ოქტომბერი, №843”. ხელს აწერენ საეპარქიო საბჭოს წევრი ტროფიმე ჯოხთაბერიძე, მდივნის მაგიერ – ვლ. ხომტარია.

113. სოხუმში კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ჩასვლის თარიღი. დოკუმენტი კი 10 ოქტომბრითაა დათარიღებული. როგორც ჩანს, მიტროპოლიტმა ამბროსიმ წინასწარ შეადგინა თავისი გამოსვლის ტექსტი.

114. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ბოლო კათოლიკოსი, რომელიც XVIII ს. დასაწყისში ჩავიდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742 წ.წ.).

115. იგულისხმება 1810 წლიდან — რუსეთთან შეერთების დღიდან.

116. დათარიღებულია შინაარსის — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის თანამდებობაზე ამბროსი ხელაიას დამტკიცების დღის მიხედვით.

117. ოჩამჩირეში ფუნქციონირებდა 1879 წ. აგებული ალდგომის ეკლესია.

118. ქადაგება 87 ამბროსი ხელაიას ფონდში დაცული არ არის.

118<sup>ა</sup>. იხ. Творения святого отца нашего Иоанна Златоуста, архиепископа Константинопольскаго, т. 5, кн. II. СПб., 1899, с. 656.

119. წერილის გამოქვეყნების თარიღი. კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე სოხუმში 1919 წ. 17 ოქტომბერს ჩავიდა, რაც კარგად ჩანს წერილის შინაარსიდანაც.

120. მ.ნ. ანჩაბაძე – დადიანი (1857-1935წწ.), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე, მრავალი კულტურული წამოწყების ინიციატორი; პოდპოლკოვნიკ ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძის მეუღლე (Г. А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, с. 203, 243-244).

121. 1919 წლის 12 ოქტომბერს ჯარისკაცთა ტანსაცმელში გადაცმული ბოლშევიკ-აგიტატორების ხელმძღვანელობით ქ. სოხუმის მეორე ქვეითი რაზმის ჯარისკაცთა ჯგუფი იარაღის საწყობის გამარცვას შეეცადა. მთლიანობაში რაზმი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, წესრიგი დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი. დამნაშავეები შეიპყრეს და საქმე სასამართლოს გადაეცა. ამ ვითარებაში კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესა და მიტროპოლიტ ამბროსის შეხვედრას ჯარისკაცებთან დიდი მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

122. 23 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ფოთში გაემგზავრა (გემით), იქიდან კი მეორე დღეს — თბილისში.

123. ქადაგება, რომელიც სოხუმის საკათედრო ტაძარში უნდა იყოს ჩატარებული, ავტორის მიერ დათარიღებულია 1919 წლის 22 კვირიაკეთი; შეესაბამება 1919 წლის 9 ნოემბერს.

124. ავგუსტოსი იულიუს კეისარი ოქტავიანე (ძვ. წ. 43 — ახ. წ. 10 წ.წ.); ტიბერიუს I კლავდიუს ნერონი (14-37 წ.წ.).

125. მიტროპოლიტ ამბროსის მხედველობაში უნდა ჰქონდეს მოციქულ პავლეს შემდეგი სიტყვები: “ეჰა, უგონო გალატელნო, ვინ მოგნუსხათ ისე, რომ აღარ ემორჩილებით ჭეშმარიტებას? ნუთუ ისეთი უგუნურნი ხართ, რომ სულით დაიწყეთ და ახლა ხორციით ამთავრებთ” (გალატ. 3. 1,3); “მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გვათავისუფლა, და კვლავ ნულარ დაიდგამთ მონობის უღელს.

აჰა, მე, პავლე გეუბნებით თქვენ: ნუ წინადაიცივით, ვერაფერს ირგებთ ქრისტესაგან” (გალატ. 5. 1,2);

“ხორციით თავმოწონების მოსურნენი გაიძულებენ წინდაიცივითოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დევნილნი არ იქნენ ქრისტეს ჯვარისათვის” (გალატ. 6. 12), და ა.შ.

126. დოკუმენტები №№87, 88 საკათოლიკოსო საბჭომ იმავე დღეს — 17 ნოემბერს ცხუმ-აფხაზეთისა და ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოებსაც გაუგზავნა (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 553; 959, ფ. 6).

127. ქართული ეროვნული გვარდია 1917 წ. ნოემბერ-დეკემბერში ჩამოყალიბდა სოხუმელი ვალიკო ჯულელის ხელმძღვანელობით. 1917 წ. 29 ნოემბერს

თბილისის არსენალის ხელში ჩაგდების შემდეგ იგი მთავარ სამხედრო ძალად იქცა.

128. მოხალისეებში იგულისხმება გენერლების მ. ალექსეევისა და ნ. დენიკინის თეთრგვარდიელები, წითელ ლაშქარში — ბოლშევიკური წითელი არმია.

129. “სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს; მახვილებისაგან სახნისებს გამოჰქედავენ და შუბებისაგან — ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს” (ესაია, 2, 4). იგივეს ამბობდნენ წინასწარმეტყველნი იოველ (4, 10) და მიქა (4,3).

130. ფსალმუნნი, 151, 1-7.

131. მარაბდის ბრძოლა გაიმართა 1625 წ. 1 ივლისს ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლის დროსაც დაიღუპნენ რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები.

132. 1919 წლის 23 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდე მიტროპოლიტ ამბროსის 19 დეკემბრის წერილს ასეთი რეზოლუცია გაუკეთა: “სავსებით ვიზიარებ გამოთქმულ აზრს. მოხსენდეს საკათოლიკოზო საბჭოს”.

133. საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ამ დოკუმენტის წარდგენა განაპირობა აფხაზეთზე ქართული ეკლესიის იურისდიქციის აღდგენით უკმაყოფილო რუსი თეთრგვარდიელების (ნ. დენიკინი) მიმართვამ რუსეთის სამხრეთში ინგლისის სამხედრო მისიისათვის. საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო ამიერკავკასიაში ინგლისის უმაღლესი კომისრის ოლივერ უორდროპის წერილი; მასზე პასუხის

პროექტის მოსამზადებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით იგი გადაეგზავნა საკათოლიკოსო საბჭოს. ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი ეს დოკუმენტი მცირე ცვლილებებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის სამხედრო მისიას გაუგზავნა (იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ. 780; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 812-814; საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 61-62).

134. სოხუმის საკათედრო ტაძარმა ფუნქციონირება დაიწყო 1884 წ., როცა აფხაზეთის ეპარქიას იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი მართავდა.

135. თარიღი ძველი სტილით არის მითითებული; ახალი სტილით ეს არის 12 მარტი. 1919 წლის 14-16 თებერვალს არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა სწორედ 12 მარტს შედგა. მან დაამტკიცა 1918 წლის 26 მაისის აქტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და დეპუტატებმა მასზე ხელი მოაწერეს. ამ მოვლენის წლისთავს უკავშირდება მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა.

136. იგულისხმება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წ. 26 ნოემბრის კანონი “სადვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა”.

137. ალექსანდრე გრიგოლია (1873-1975 წ.წ.); 1904 წ. დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი; მუშაობდა ე. სოხუმის თვითმმართველობაში, ინფექციური საავადმყოფოს მთავარ ექიმად; 1920-1928 წ.წ. — სოხუმის მეორე საავადმყოფოს მთავარი ექიმია, 1928-1937 წ.წ. —



აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე; შემდგომში ათწლეულების მანძილზე იყო საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის (სოხუმში) უცვლელი დირექტორი, პროფესორი; 1918-1919 წლებში სათავეში ედგა ქართველთა ეროვნულ საბჭოს, აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო საკითხების მოგვარებაში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მიტროპოლიტ ამბროსისთან, რომელიც ამავე დროს მისი კარის მეზობელი იყო.

ალექსანდრე გრიგოლიას 8 წლის შვილის — ვახტანგის გარდაცვალებას დიდი რეზონანსი ჰქონდა ქ. სოხუმში და საქართველოშიც კი. როგორც საყმაწვილო ჟურნალი “ნაკადული” (1920, №5, გვ. 50-52) იუწყებოდა, გასვენებაზე დიდძალი ხალხი მოსულა. “აქ იყვნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, და მუსლიმანები... ყველა გლოვობდა ერთადერთ შვილს სოხუმში ცნობილი ექიმისა და ყველასაგან პატივცემულ საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ლუკას ძე გრიგოლიასი”. ჟურნალი იმასაც აღნიშნავდა, რომ პატარა ვახტანგი საკმაოდ სახელგანთქმული ყოფილა ქალაქში — “ის ტოლთან ტოლი იყო, პატარასთან — პატარა, დიდებთან — დიდი”; დაკრძალულია სოხუმის საკათედრო ტაძრის ეზოში. საქალაქო საბჭოს დაუდგენია, დაარსდეს სოხუმში ვახტანგ გრიგოლიას სახელობის გიმნაზია-სანატორიუმი სუსტ და ავადმყოფ ბავშვთათვის. (ეს ცნობები მოგვაწოდა ალ. გრიგოლიას შვილიშვილმა ვახტანგ ჯორჯიკიამ, რომელიც 1920წ. გარდაცვლილი ვახტანგის სახელს ატარებს).

138. არ არის დაცული ამბროსი ხელაიას ფონდში.

139. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში ფრანგული მოდელის მიუღებლობის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის შესახებ სახელმწიფოს განმტკიცების, ქართული მწიგნობრობის, ხელოვნების განვითარების საქმეში საუბარი იყო II საეკლესიო ყრილობის წინასწარი სათათბიროს IV სხდომაზე (1920 წ. მარტი-აპრილი) შემუშავებულ დოკუმენტში, რომელიც სამღვდელოების წინასაყრილობო პლატფორმას წარმოადგენდა.

140. 1917 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატსა და თურქეთის მთავრობას შორის მოხდა დაზავება კავკასიის ფრონტზე, რასაც რუსული ჯარის თვითდემობილიზაცია მოჰყვა. ბოლშევიკებმა 1918 წ. იანვარში სცადეს ამ ძალის გამოყენება თბილისში და სრულიად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიამ რუსის ჯარი თბილისში არ შეუშვეს და ბაქოს მიმართულებით გაატარეს, რითაც ბოლშევიკთა ავანტიურა ჩაიშალა.

141. 1918-1919 წ.წ. ბოლშევიკებმა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში — აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, სამაჩაბლოში, დუშეთში და სხვაგან სცადეს ამბოხების მოწყობა.

142. 1918 წ. გაზაფხულზე (აპრილ-მაისში) თურქეთმა აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიკავა. ოკუპირებული ტერიტორიის უმეტესობა თურქებმა პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ – 1918 წ. ოქტომბერში დატოვეს.

143. 1918 წ. 9 დეკემბერს სომხეთმა ძირძველი ქართული ტერიტორიების მითვისების მიზნით დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ. 1918 წ. 20 დეკემბერს ქართული შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადავიდნენ და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს სომხურ არმიას, რომელიც სრული კატასტროფისაგან ინგლისის ჩარევამ იხსნა. ეს ომი “ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გაჩაღდა ორ მეზობლურ ერს შორის, — ბრძანებდა მიტროპოლიტი ამბროსი ერთ-ერთი დაღუპული მეომრის ცხედართან. — ქართველ-სომეხთა შორის ამ XX საუკუნემდის არ ყოფილა ომის მაგალითი. იმის შემდეგ, რაც სომხებმა დაკარგეს ეროვნული თავისუფლება, მრავალ საუკუნის განმავლობაში ისინი — დევნილი მტერთაგან — მუდამ ხედავდნენ თავშესაფარს ჩვენს სამშობლოში. ჩვენი ერი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ შეემსუბუქებია მწარე ბედი, ენუგეშებია. უკანასკნელ უბედურობის დროსაც ჩვენმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ შეიფარა მრავალ დევნულ-გადმოხვეწილნი სომეხნი, რამდენადაც შეეძლო გაუწია დახმარება ზნეობრივად და მატერიალურად. ყველა ამისათვის მაღლობა გადაგვიხადა სომეხთა მთავრობამ იმით, რომ ზურგიდან ჩაგვცა მოულოდნელად მახვილი და გააჩაღა სისხლისღვრა. აი, ამ ვერაგობის მსხვერპლია ეს გულგანგმირული მამულიშვილი ანდრიაც. ეს გვამი და ეს ომი ჩვენი ეროვნულად გამოღვიძების დასაწყისია” (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 47).

144. მოხალისეთა არმიამ ნ. დენიკინის სარდლობით 1919 წ. 6 თებერვალს სოჭი და გაგრა

დაიკავა, მაგრამ იმავე წლის 12 აპრილს ქართულმა ჯარებმა მტერს მდ. მეხადირამდე დაახევინეს.

145. როცა მიტროპოლიტი ამბროსი ამბობს, “მოგვადგა დიდი გრიგალი ბოლშევიზმისა”, უნდა გულისხმობდეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩრდილოეთ კავკასიაში, სოჭის ოლქში და აზერბაიჯანში, რამაც დაძაბა ვითარება საქართველოშიც.

146. 1920 წ. აპრილის დამლევს აზერბაიჯანში რუსეთის XI არმიამ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. იმავე წლის 2 მაისს აღნიშნული არმიის (და არა აზერბაიჯანის) ნაწილებმა თბილისის აღების მიზნით საქართველოს საზღვარი გადმოლახეს. რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებულმა ხელშეკრულებამ და, რაც მთავარია, პოლონეთის ფრონტზე წარუმატებლობამ ხელი შეუშალა მაშინ საბჭოთა რუსეთს საქართველოს დაპყრობაში.

147. გალილეის ზღვას, სადაც იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები, მათ შორის პეტრე (რომელმაც მცირემორწმუნეობის გამო ზღვის ზედაპირზე ვერ გაიარა, “და ჩაძირვა იწყო”) გადაარჩინა, მიტროპოლიტი ამბროსი, ალბათ, იმიტომ მოიხსენიებს გენისარეთის სახელით, რომ მის გაღმა მდებარეობდა გენისარეთის მხარე (მათე, 14, 24-34; მარკოზი, 6, 47-51, 53). იხ. აგრეთვე ბიბლიის ატლასი, გვ. 39, 41.

148. მთავრობის ეს გადაწყვეტილება საკათოლიკოსო საბჭომ 1920 წლის 18 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო მმართველობას გადაუგზავნა (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1 მ ს. 463, ფ. 124).

149. ნადირ-შაჰი ირანს მართავდა 1736-1747 წ.წ.

150. ალბათ, მარტყოფის ველზე ირანელთა ჯარის განადგურება (1625 წ. 25 მარტი) აქვს მხედველობაში მიტროპოლიტ ამბროსის.

151. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1921 წ. 1 თებერვალს საკათოლიკოსო საბჭოს აცნობა, რომ სამინისტროს ბიუჯეტის 44-ე პარაგრაფის პირველი მუხლის (“საქართველოს საკათალიკოსოს პირადი შემადგენლობის შენახვა”) საფუძველზე მის (საბჭოს) განკარგულებაში გაიხსნა კრედიტი 25 ათასი მან. ყოველთვიურად 1920 წ. ოქტომბრიდან; თანხა ასიგნებულია მთავრობის 1920 წლის 30 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად “ცხუმის ეპარქიის შესანახად”. 4 თებერვალს საკათოლიკოსო საბჭომ სთხოვა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილს გადარიცხოს სოხუმის ხაზინაში ცხუმის ეპარქიის მმართველობის განკარგულებაში 1921 წ. თებერვლის ხარჯების დასაფარავად 25 ათასი მანეთი, რაც მოაკლდებოდა საკათოლიკოსო საბჭოს განკარგულებაში მყოფ კრედიტს (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 463, ფ. 140, 142).

152. მიტროპოლიტ ამბროსის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ფსალმუნნი 71, 14 (“... ძვირფასია მათი სისხლი მის თვალში”) ან 115 (116, 10-19), 6 (“მძიმეა უფლის თვალში სიკვდილი მისი წმინდანებისა”).

153. უფალი ბრძანებდა, რომ მოწყალება განდიდების მიზნით კი არ უნდა გასცე, როგორც თვალთმაქცები აკეთებენ, არამედ “ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა. რათა შენი მოწყალება დაფარული დარჩეს, და მამამან შენმა,

რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად” (მათე, 6, 2-4).

154. წმ. მამანტი კაპადოკიელი (ხსენების დღე 2 სექტემბერი). იხ. Творения иже во святых отца нашего Василия Великаго, архиепископа Кесарии Каппадокийския, ч. IV. М., 1892, с. 339-346. ბასილ დიდის საუბრები იმაზე, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ადამიანმა ქონება იხ. იქვე, გვ. 84, 85, 87, 308-309, 372 და ა.შ.

155. გულისხმობს 1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთის უკვე დაწყებულ ინტერვენციას.

156. პიროსი (ოქროპირიძე) — ალავერდელი ეპისკოპოსი (1874-1922 წ.წ.); 1900 წლიდან მღვდელმონაზონია, 1907 წლიდან — არქიმანდრიტი; 1909 წ. სინოდალური კანტორის წევრად (ამბროსი ხელაიას შემდეგ) დაინიშნა; 1916-1922 წ.წ. — ალავერდელი ეპისკოპოსი.

157. უფალმა მესათხველნი (მებადურები) სიმონი, პეტრედ წოდებული და ანდრია იხილა გალილეის ზღვაზე (მათე, 4, 18). გენისარეთი ზღვისპირა ქალაქის სახელია (მათე, 14, 34). — იხ. კომენტ. 147.

158. აქაბი — ისრაელის მეფე ძვ. წ. 917-895 წ.წ.; თავის სამეფოში წარმართ სემიტებში გავრცელებული ზაალისა და ასტარტის გარყვნილების კულტი დანერგა, დაიწყო დევნა წინასწარმეტყველთა, რომლებიც მეფეს მკაცრად აკრიტიკებდნენ; აქაბი დაიღუპა სირიასთან ომში.

159. იოანე მარგიშვილის არჩევა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად მოხდა სამღვდელოების

საოლქო კრებებზე. 1921 წ. 1 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭოში მღვდელ ალექსანდრე გვაზავას დეპეშა მოვიდა გუმისთის ოლქის დელეგატთა კრებაზე აფხაზეთის მღვდელმთავრად არქიმანდრიტ იოანეს არჩევის შესახებ. 1921 წ. 3 ოქტომბერს ილორში ჩატარებულმა კოდორისა და სამურზაყანოს ოლქების სამღვდელთაგან გაერთიანებულმა კრებამ 25 კაცის მონაწილეობით ასევე მხარი დაუჭირა იოანეს კანდიდატურას. საოლქო კრებებს წინ უძღოდა ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო სასამართლოს (თავ-რე დეკ. ტ. ჯოხთაბერიძე) 1921 წ. 21 სექტემბრის გადაწყვეტილება ახალ მღვდელმთავრად იოანეს დამტკიცების შესახებ (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ. 7, 8, 11, 15). საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ 1921 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე არქიმანდრიტი იოანე აღიარა “კანონიერად არჩეულ კანდიდატად ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრის ადგილზე” (ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წ.წ., გვ. 106).

160. დოკუმენტს აქვს ორი რეზოლუცია: “მიღებულ იქმნას ცნობად. თავმჯდომარე კათ. ამბროსი”; “მოხსენდეს საბჭოს. კათ. ამბროსი”. საკათოლიკოსო საბჭოში დოკუმენტი 1922 წლის 4 აპრილს შევიდა. საბჭოს წევრები გაეცნენ ეპ. იოანეს წერილს, რაც თავიანთი ხელმოწერებით დაადასტურეს.

161. 1922 წლის 27 ივლისს საკათოლიკოსო საბჭოში შემოვიდა ეპისკოპოს იოანეს დეპეშა თბილისში ჩამოსვლის აუცილებლობის შესახებ. იმავე დღეს მასზე დადებულია რეზოლუცია: “თუ საჭირო

არის მისთვის, მოზრძანდეს. კათ. ამბროსი” (საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ. 17).

162. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი დამატებით დაიკითხა 1922 წ. 20 იანვარსაც (ჯვარი ვაზისა, I. თბ., 1997, გვ. 119-120); 1922 წლის 22 ივნისს საგანგებო კომისიის (“ჩეკა”)საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის თანაშემწემ — ქავთარაძემ, რომელიც აწარმოებდა დაკითხვას, განიხილა ამბროსის მოწოდება გენუის კონფერენციისადმი, ასევე პატრიარქის ჩვენება და ცნო “მათში დანაშაული, რომელიც მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ”, რაც “გამოიხატა პროვოკაციით, კონტრევოლუციითა და საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციით”. იმ დროისათვის კათოლიკოს-პატრიარქი შინაპატიმრობაში აიყვანეს ღვთისმსახურების აკრძალვით, ციხეში ჩასვეს საკათოლიკოსო საბჭოს წევრები და ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი. მათ ბრალად ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, გაფლანგვა და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა; რამდენიმე მღვდელი დააპატიმრეს როგორც მენშევიკური პარტიისა და ედპ-ს აქტიური მუშაკები (იქვე, გვ. 120).

163. უნდა იგულისხმებოდეს კავკასიაში მეფისნაცვალის ნ.ნ. რომანოვი, რომელიც 1917 წ. მარტში რუსეთის დროებითმა მთავრობამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა.

163<sup>ა</sup>. კარლ კაუცკი (1854-1938წწ.) – გერმანიისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, 1889 წ. შექმნილი II ინტერნაციონალის (მისი სამართალმემკვიდრეა 1951 წლიდან არსებული



სოციალისტური ინტერნაციონალი) ლიდერი და მთავარი იდეოლოგი. 1921წ. სექტემბერში ევროპელ სოციალისტთა დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოში იმყოფებოდა. II ინტერნაციონალისა და კარლ კაუცკის კრიტიკა ეროვნულ საკითხში, რაზეც კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ისაუბრა, მოცემულია ი. სტალინის სტატიაში «К постановке национального вопроса», რომელიც გაზეთ “პრავდის” 1921 წ. 8 მაისის ნომერში იყო გამოქვეყნებული (იხ. И. Сталин. Сочинения, т. 5. М. 1953, გვ. 52-59).

164. პუციკოვიჩი თ.თ. იყო ავტორი მრავალი სახელმძღვანელოსი, მათ შორის: «Наша Родина», «Краткая русская история», «География для элементарных училищ». კათოლიკოს-პატრიარქი, ალბათ, ამ უკანასკნელ სახელმძღვანელოს გულისხმობდა.

165. სოფ. ბუგეულში (ამბროლაურის რ-ნი), სადაც XIV-XV ს.ს. ღვთისმშობლის ეკლესია ფუნქციონირებდა, ბოლშევიკების ანტირელიგიური კამპანიით უკმაყოფილო მოსახლეობამ 1923 წ. ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგემლებს; შეტაკებისას ერთი ქალი დაიღუპა (გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX ს.ს. თბ., 2002, გვ. 315).

166. შეგლოვიტოვი ი.გ. (1861-1918 წ.წ.) — 1903 წლიდან სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორი; ამბროსი ხელაიას გადასახლების პერიოდში იყო მოქმედი იუსტიციის მინისტრი (ეს თანამდებობა 1906-1915 წ.წ. ეკავა); უკიდურესი შავრაზმელი, ე.წ. “რუსი ხალხის კავშირის” მფარველი და მონარქისტული ყრილობის

Не подобным ли отношением к народной вере, его нравам и обычаям объясняется тот ужасный индефкрктизм и даже отвращение абхазцев к христианской вере, которую исповедывали их деды и прадеды?

Отделение Абхазии в церковном отношении от Грузии равносильно разрушению вросшаго в глубину народного сознания фундамента и стремлению “дерзкою рукою” повторить вековую работу человеческого духа для создания новаго фундамента единства по духу абхазцев с



нынешними насельниками Черноморской губернии, с которыми они ничего общего ни имеют ни в историческом, ни в лингвистическом отношениях... Но возможно-ли создать такой фундамент? Не будет-ли это уничтожением и той религиозной связи с христианской Грузиею, сознание которой ныне пока еще существует среди абхазцев, и не поведет-ли это к окончательному забвению той веры, которую исповедывали их предки?

По нашему мнению, отделение Абхазии от Самурзакани и вообще от Грузии неудобно и по другим, также чисто религиозным, соображениям. Как известно, абхазцы весьма уважают древне-христианские памятники. Храмы: Пицундский Псырцхский (в Н. Афоне), Драндский, Моквский, Илорский и др. составляют предмет общего достояния, почитания и гордости абхазцев и грузин с самурзаканцами. Не сочтут-ли каждая из этих народностей нарушением своих прав отнесение одних из святынь к Черноморской губернии, а других – к Мингрелий? Возьмем для примера Илорскую чудотворную икону Св. Великомученика Георгия. Илорский храм лежит на самой границе Самурзакани и Абхазии. Сюда стекаются и совершают свои полонничества из всей западной Грузии грузины и абхазцы, – даже и те из последних, которые считают себя приверженцами ислама. Не будет-ли оскорблением для грузин и самурзаканцев причисление Илори к Черноморской епархии и, наоборот, отнесение его к Мингрельской епархии – таковым же оскорблением для абхазцев? Не уничтожит-ли это благодетельных для веры любви и упования абхазцев по отношению к святыне? Не

потеряет-ли Илори своего религиозного значения для абхазцев, как потеряли его Пицунда, Дранда, Псырцха и Мокви?

Далее, отделение Абхазии от Грузинской Церкви является нарушением канонических установлений, на основании которых управляются епархии и приходы. По словам канониста Никодима, еп. Далматского (Милеш, XIXв. Черногория – Дж. Г.), «учреждение новой церковной области или возведение меньшей области на высшую степень, а также уничтожение или соединение двух областей в одну, - все это подлежит, главным образом, соборной власти известной поместной Церкви. Так, при основании новой епархии или возвышении ея на степень митрополии или самой митрополии на высшую степень и, вообще, при каждом изменении в церковном организме, каноны признают преимущественное право за соборами».

Поставляя поместным церквям пастырей, Апостолы предоставляли последним “устраивать религиозныя отношения по местным общественным условиям”. Первые Вселенские Соборы подтверждают законодательным порядком необходимость сохранения этих религиозных отношений “по местным общественным условиям”, - частных прав, обычвев и самостоятельности поместных церквей и, следовательно, сообщают законную силу тому, что “в течение нескольких веков утвердилось обычаем”. “Вот почему в этих канонах, - продолжает еп. Никодим, - об иерархических правах всегда говорится применительно к

национальному и политическому положению городов, в которых находились известные Церкви”.

Здесь никого не должен пугать то обстоятельство, что Церкви, об устройении которых “по местным общественным условиям” говорится в постановлениях соборов, названы поместными и не должно, на основании этого, думать, что это не приложимо к Абхазии и вообще к Грузинской Церкви, часть которой составляет Абхазия, - ибо теперь Грузинская Церковь не мыслится самостоятельной, а зависимою от Церкви Всероссийской. Но то обстоятельство, что Грузинская церковь управляется экзархом, местоблюстителем временно вдовствующаго патриаршаго престола, делает необходимым, чтобы экзархи Грузии заботились о сохранении Иверской Церкви в древних исторических ея границах. С другой стороны, нельзя думать, что вышесказанная практика Вселенской Церкви не приложима к такой маленькой церковной единице, каковой является Абхазия. Тот же самый канонист, выдержки из книги которого мы выше привели, к своим словам по данному вопросу присовокупляет, что все им сказанное “о больших церковных областях относится и к приходам в пределах известной епархии” и что “эта каноническая практика имеет важность в православной Церкви и в настоящее время”.

Отсюда ясно следует, что вопрос об устройении Абхазии в церковном отношении нужно передать на обсуждение собора иерархов Грузинской Церкви во главе с экзархом Грузии. Здесь не будет ничего необычного и с точки зрения Св. Синода, ибо, как уже

известно, в настоящее время идет вопрос о создании митрополичьих округов, в пределах каких подобных вопросы должны решаться на соборе иерархов каждого данного митрополичьяго округа.

Нам могут сказать, что в Абхазии живут не одни абхазцы и грузины, но и русские, и что интересы переселенцев русских требуют присоединения Абхазии к Черноморской губернии и назначения для них русского епископа. Но посмотрим, что нам скажет статистика. В данное время у нас нет статистических сведений за последние годы, и нам приходится пользоваться сведениями, приведенными в газ. "Сакартвело" из официального "Кавказского календаря" за 1910 год. По этим сведениям, православное население Сухумскаго округа представляется по национальностям в таком виде: русских – 3648 душ обоего пола, абхазцев – 37,976 душ, греков – 4,079 душ, сванов – 170 , самурзаканцев – 35,516, мингрельцев – 17,346 и грузин (карталины, имеретины и гурийцы) – 6,059 душ, всего 104,788 душ, из коих грузин, мингрельцев и самурзакан – 59,085 душ. Исключив из этого числа самурзаканцев, на долю, собственно, Абхазии придется 23,569 душ. грузин. Прибавить к этому и абхазцев, которые, как установливала лингвистика, родственны с грузинами, всех жителей, говорящих на грузинском, мингрельском и абхазском языках, не считая самурзаканцев, в 1910 году было – 61,545 душ.

Это – только по официальным сведениям, которые грешат против действительности; на самом деле говорящих на мингрельском наречии грузинского языка

в Абхазии будет несравненно больше. Для иллюстрации того, как оперируют иногда с наличною действительностью люди, желающие не видеть в Абхазии грузинского элемента, укажем на пример из деятельности покойного епископа Арсения. Когда он в 1897 году от синодальной конторы получил разъяснение, что в приходах с мингрельским населением нужно совершать богослужение на грузинском языке, то нашел во всей епархии только три мингрельских прихода (с. 63 – Дж.Г.) и в них великодушно разрешил служение на этом языке. Кроме этого, при составлении официальной статистики народонаселения в Абхазии бывают невольные, почему-то всегда невыгодные для грузин, ошибки. Принимая все это во внимание, мы придем к заключению, что общее число грузин-мингрельцев в Абхазии будет не менее 25-26 тысяч душ. И справедливо-ли будет не принять во внимание их при устройении Абхазии в церковном отношении? И справедливо-ли будет интересами 37,979 душ абхазцев и 25-26 тысяч грузин жертвовать ради интересов 3,648 душ русских переселенцев и всю Абхазию в церковном отношении присоединять к Черноморской губернии, с населением которой абхазцы и грузины не имеют ничего общего? И в Черноморской губернии число грузин в Адлере, Хоста, Сочи, Пластунке, Туапсе и в других местах, вероятно, будет несколько тысяч, но справедливо-ли было бы требовать из-за них всю губернию приписать к Грузинской Церкви?

Поэтому следовало бы грузинскому обществу собрать самые точные сведения о количестве грузинского населения в Абхазии.

Наконец, нужно упомянуть и о том, что казалось бы неканоничным - Пицунду, где до половины XVII века имели свое местопребывание грузинские католики, - которую и после XVII в. время от времени они посещали для временного там пребывания и духовного окормления окружающего населения, куда они считали своим священным долгом ездить на праздники для служения и хиротонии во епископа, так как каждый из поставляемых епископов считал для себя счастьем получить посвящение в этом св. месте, - эту, именно, священную Пицунду отрывать от Грузинской Церкви. Этого грузины не могут допустить и, если не удастся удержать священную и незабвенную для них Пицунду, то вечно будут оплакивать свою горе вследствие этой незаменимой утраты.

Что же нужно сделать для соблюдения справедливости, для предотвращения той боли, которую будет вечно чувствовать Грузия вследствие отхвата от ее живого организма такой чувствительной части, каковою является Абхазия с ее незабвенными для грузин святынями и историческими памятниками, - свидетелями их веры и христианской культуры, которыми справедливо может гордиться и действительно гордится православная Грузия ?

По нашему мнению, Сухумскую епархию нужно оставить для абхазцев и самурзаканцев, отделив от нее Черноморскую губернию. В Сухуме должен сидеть

Цхумели, как это было во дни самостоятельности Грузинской Церкви.

Скажут: “мала будет епархия”, но это не может служить основательным возражением именно теперь, когда в русской Церкви есть уже сильное стремление приблизиться в этом отношении к древней практике и сделать епархии маленькими. Это требуется для лучшего обслуживания религиозных интересов верующих, что особенно необходимо для такой епархии, как Сухумская-миссионерская. Абхазия и Самурзакань, в пределах которых в прежние века существовали четыре епархии, население которых духовно окормлялось епископами: Сухумским (Цхумели), Драндским (Драндели), Моквским (Моквели) и Бедийским (Бедиели)), заслуживают того, чтобы, находясь нераздельно в составе Грузинской Церкви, иметь самостоятельно одного епископа в Сухуме. Это нужно сделать возможно скорее, если только хотим, чтобы церковное дело в Абхазии было поставлено на надлежащей высоте. Только при соблюдении всего сказанного, дело религиозного просвящения абхазцев пойдет вперед быстрыми шагами, и поэтому надеемся, все это будет принято во внимание, и вопрос будет решен в духе справедливости на благо Церкви Христовой.

**Амбери.**

«Петроградские Ведомости», 1916, 23 апреля (6 мая), №88; 28 апреля (11 мая), №92; 6 (19) мая, №99.

## შემდგენელის კომენტარები

1. უწმინდესი სინოდის 1916 წ. 29 თებერვალ — 1 მარტის განჩინებით (№1463) და პეტერბურგის მიტროპოლიტ პიტირიმის თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელიც რუსეთში ეპარქიების რაოდენობის გაზრდისა და მათ შორის ახალი საზღვრების დადგენის საკითხებს იხილავდა. აღნიშნული კომისიის დღის წესრიგში იქნა შეტანილი საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის (სამურზაყანოს გარეშე) გამოყოფის საკითხიც (იხ. აგრეთვე გვ. 604, კომენტ. 4). პუბლიკაცია წერილისა «О Сухумской епархии» დროში ემთხვევა თბილისში აფხაზეთის დელეგაციის ჩამოსვლას, რომელმაც სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დატოვება მოითხოვა (ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 739-750); აღნიშნული წერილის ხელახლა გამოქვეყნებით ცხადი ხდება ამბროსი ხელაიას კიდევ ერთი დიდი დამსახურება და მნიშვნელოვანი წვლილი უწმინდესი სინოდის მზაკვრული გეგმის ჩაშლაში, ქართული ეკლესიის, თვით სოხუმის ეპარქიის ერთიანობის შენარჩუნებაში, აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების დასაბუთებაში.

2. 1914 წლის 26 ივნისს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა სამარის არქიეპისკოპოსი პიტირიმი (ოკნოვი), რომელმაც თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა. 1915 წ.



23 ნოემბერს იგი პეტერბურგის მიტროპოლიტი გახდა; მხარს უჭერდა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფას.

3. ბარტოლდი ვ.ვ. (1869-1930 წ.წ.) — ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე.

4. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 783-786; თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846 წ.წ.) წიგნი: “ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა”. სპბ., 1848, გვ. 23.

5. Шопен И. Новые заметки на древняя истории Кавказа и его обитателей. СПб., 1866, с. 282-283.

6. VI საუკუნის ავტორის — პროკოფი კესარიელის ცნობები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ლაზთა მკვიდრობის შესახებ იხ.: გეორგიკა, ტ. 2. თბ., 1965, с. 101, 136.

7. არაბი მოგზაურის — მასუდის (გარდ. 956 წ.) ცნობა ხაზრანთა შესახებ იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ. 195, 552-553.

8. მოტანილი ცნობები თურქი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ევლია ჩელებისა (1611-1682/3 წ.წ.), რომელმაც აფხაზეთში 1635 წ. იმოგზაურა, იხ.: Ф. Брун. География. Путешествие турецкаго туриста (1872 г.), с. 13-14; ევლია ჩელების “მოგზაურობის წიგნი” თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I. თბ., 1973, გვ. 100.

9. ჯეიმს სტანისლავ ბელი — ინგლისელი ვაჭარი, ჯაშუში, მოგზაური და მეცნიერი; 1837-1840 წ.წ. უბიძებსა და შაფსულებს შორის ცხოვრობდა, აქეზებდა მთიელებს რუსეთის წინააღმდეგ. სამშობლოში

დაბრუნების შემდეგ გამოსცა საკუთარი დღიურების ორტომეული (ლონდონი, 1840), რომელიც შეიცავს ცნობებს აფხაზეთის შესახებაც.

10. ტეცის ვინაობის დადგენა და მისი შრომების მოძიება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

11. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს, ქრისტიანულ სიწმინდეებს პ.ს. უვაროვა საქართველოს მიაკუთვნებდა (Материалы по археологии Кавказа, вып. II. Под ред. графини Уваровой. М., 1889, с. 35; იქვე, вып. III. М., 1893, с. 8-29; იქვე, вып. IV. М., 1894, с. 7-34); იხილე აგრეთვე: П.С. Уварова. Абхазия, Аджария, Шавшетия, ч II. М., 1891, გვ. 77, 85 და ა.შ.

12. იხ. Бакрадзе Д. История Грузии, с. 272-273; ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია, ტ. 1. თფილისი, 1906, გვ. 305-306, 319-320, 350-352; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I-II. თბ., 1913, გვ. 55.

13. პეტრე ჭარაიას ნაშრომი “Об отношении абхазского языка к яфетическим” 1912 წ. პეტერბურგში გამოვიდა. ქართულიდან ნასესხები 91 აფხაზური სიტყვის ანალიზის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს აფხაზური ენის კუთვნილებას იაფეტურისადმი, ქართულ ენასთან მის ნათესაობას (გვ. 16).

14. იხ. Н. Марр. Об отношении абхазского языка к яфетическим (материалы по яфетическому языкознанию, т. IV, 1912; К. вопросу о положении абхазского языка среди яфетических (там же, т. V, 1912); Яфетическое происхождение терминов родства (Известия Императорской Академии Наук, 1912, с. 423-432); История термина абхаз (там же, с. 697-706); Кавказоведение и абхазский язык. Петроград, 1916 и др.)

ნ. მარი, მართალია, ამტკიცებდა აფხაზურის ნათესაობას ქართულ ენასთან (განსაკუთრებით მეგრულ-სვანურთან), მაგრამ ამავე დროს ეწეოდა საქართველოს ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აფხაზური სეპარატიზმის გაღვივებაში.

15. ბესარიონ ბელინსკი (1811-1848 წ.წ.) — რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი.

## В ответ преосвященному Сергию

В «Петроградских Ведомостях» (№205)<sup>1</sup> помещена статья, в которой преосвященный автор говорит: «русские не раз выражали чувства негодования и скорби, что в «Петроградских Ведомостях», помещаются часто такие статьи, как статья Дурного «Еще о Грузинской церкви» - ему пишут ложь, а он верит своим корреспондентам».

Ввиду этого явления находим нужным сказать, что к статье преосв. Сергия необходимо отнестись с большою осторожностью; преосвященному его сотрудники, повидимому, доставляют заведимо ложные сведения, а он, в силу незнания языка паствы, принужден верить их сообщениям. Сделаем поэтому некоторые поправки к уверениям преосвященного, - чтобы не дать повода к обвинениям с противоположной стороны в нежелании указать на эти неверные сообщения. Этого требуют справедливость и стремление к истине.

Автор говорит, что «прихожане Илорской Церкви обращались» к нему «с прошением о назначении к ним священника-абхазца, так как *абхазцы, прихожане Илорской Церкви, не понимают грузинского языка*» (курсив везде наш). Не смеем подозревать преосв. автора в неточном уверении.

Вся тяжесть ответственности, по нашему мнению, в данном случае падает на тех его сотрудников, которые желают держать преосвященного в неведении истинного положения вещей в епархии. Здесь мы имеем настоящий трагизм положения епископа, не понимающего языка

своей паствы. Архипастырь не знает, на каком языке говорят его духовные дети! Ужасно положение его!.. Но почему он и подобные ему не понимают об этом, прежде чем согласиться на занятие кафедры в такой иноязычной епархии, - почему не зададут себе вопроса: полезны-ли они будут для такой паствы? Не будут-ли иноязычные пасомыя «овцы не свои»? Будут-ли они понимать и слушаться голоса его? Не истина-ли – слова Спасителя, что овцы бегут от такого пастыря, потому что «не знают чужого языка»? Наконец, спросил бы преосвященный того же священника М. Гвазава. Если он, свящ. Гвазава, против себя не мог свидетельствовать и сказать, что в его приходе умирали без исповеди и напутствия Св. Тайнами, то об илорцах, во всяком случае, мог бы сказать правду. Он письменно мог бы поведать своему владыке, что в Илорах нет ни одного семейства, где бы употреблялся абхазский язык. Следовательно, если имело место такое странное явление, что к преосвященному поступило прошение, в котором илорцы просили священника-абхазца, говорящего на абхазском, именно, языке, то это, нужно полагать, - такой же подлог, как возбуждение ходатайства от имени населения епархии о выделении Абхазии из состава экзархата. Кто мог сказать, что такое выделение есть желание всего народа, тот смело может высказать такой абсурд и заведомую ложь, что илорцы говорят на абхазском языке, и обманом заставить их подать вышесказанное прошение. В будущем такая лица могут уверить владыку и в том, что в Сухумской епархии нет ни одного грузина и что все население хорошо понимает

русский язык и прекрасно назидается его архипастырскими речами.

Во-вторых, преосвященный упоминает о предполагавшемся обращении сильно почитаемой во всей Грузии Илорской святыни в русский монастырь. История этого вопроса известна. Об этом писалось (с. 492-547 – Дж.Г.) достаточно (см. «Сотрудник Закавказской Миссии» за 1912 №№10 и 13 и «Закавказье» 1913 г. №№82, 83, 270, 271, 272, 274, 275 и 276), и нет необходимости повторяться. Говорят, этот вопрос еще не решен окончательно, но пусть сухумские «дельцы» не надеются, чтобы проснувшиеся у грузин (разумею и самурзаканцев с абхазцами) национально-религиозное самосознание уступило им в этом вопросе.

Далее, оказывается, как уверяет автор, грузины ходят в кафедральный собор и даже подходят под благословение к своему иноязычному архипастырю. Честь и хвала грузинскому долготерпению! Были и есть все условия для того, чтобы они отшатнулись от Сухумского собора, где не только не бывало служб на понятном им языке, но даже в Светлый день Пасхи не разрешалось читать евангелие по-грузински, хотя таковое читалось на греческом и мертвом латинском языках, как об этом сообщалось в печати (с. 446, 481, ком. 8 – Дж.Г.). Отрадно, что грузины помнят еще веру отцов и сохранилось у них влечение к посещению церковных служб. Но может-ли преосвященный поставить это в заслугу себе? Пытался-ли он поучиться служить для них по-грузински, может-ли преподавать им назидание на их родном языке? Ходят в собор десятки грузин, а тысячи

остаются без службы и удовлетворения религиозных нужд. Подумал-ли владыка принять меры, чтобы эти последние не одичали религиозно? Утруждать владыку не смеем, а желательно было бы получить ответы на все эти вопросы. Уверение, что в соборе имеется священник-грузин, что он исправляет требы, что без напутствия Тайнами люди не умирали и что об этом к владыке не поступало заявлений, ничего нам не докажет. Одним требоисправлением нельзя ограничиться: нужны для верующих храмы, церковные службы и назидательные проповеди на понятном для них языке, - иначе верующие могут дойти до того, что не будут чувствовать необходимости даже исповеди и Св. Причастия пред смертью: следовательно, об этом жалоб и заявлений не будет поступать, и с формальной стороны все будет благополучно... Опасно успокаивать себя этим!...

Есть в г. Сухуме Кладбищенская церковь, где священствует протоиерей Иванов, по происхождению грек. Не знаем, совершает-ли он там богослужение на греческом языке, но одно верно, что, до появления на Сухумской кафедре русских архиереев, эта церковь была приходскою для грузинского населения города. Она построена в 60-х годах приснопамятным Сухумским епископом Александром (Окропиридзе) на свои личные средства, потому что Сухумские грузины для него были «свои овцы». В 1887 году, по смерти священника Т. Сахокия, ревностного служителя религиозным интересам грузин и потому любимого народом, в видах, вероятно, увеличения доходов соборному причту,

приход был закрыт. Лет 10 тому назад опять открыли штат при Кладбищенской церкви, но трудно объяснить, почему туда назначили священником грека, а не грузина. Вероятно, этого требовали русификаторские стремления проповедников веры, но, во всяком случае, никак не интересы лучшего обслуживания религиозных нужд грузинского населения. В виду таких случаев грузины обыкновенно говорят, что «таков их удел, везде они должны быть ненавидимы и преследуемы, их интересы всегда должны страдать в явное попрание всякой справедливости и человечности». Не скажут-ли нам, почему доводят всегда верных общему для всех Отечеству грузин до сознания того, что к ним проповелники веры и христианской любви относятся с ненавистью? Полезна-ли такая политика в делах веры вообще? Пора, кажется, призадуматься над этим.

Наконец, нужно отметить и то, что владыка в области лингвистики совершенно не считается с современным положением науки кавказского языковедения. По его словам, «не верно утверждение, что языки абхазский и грузинский родственны: сходства между ними *столько же как между русским и английским*» (курсив наш). Автор весьма точен в определении различия между грузинским и абхазским языками, и, следовательно, напрасны труды академика Марра и знатока абхазского языка П. Чарая. Разубеждать преосвященного в его заблуждении относительно языков, на которых говорит его паства, не беремся: это будет напрасный труд, ибо слова сотрудников –



«дельцов», всегда для владыки будут более убедительны, чем самые неопровержимыя данныя истинной науки.

Следовало бы этим окончить ответ преосв. автору, но в его письме сделано одно очень любопытное разоблачение, которое способно навести на грустные размышления всякаго, у кого сердце способно болеть по поводу нынешняго печальнаго положения Грузии в церковно-религиозном отношении. Оказывается, дети свящ. М. Гвазава, долженствующаго назидать своих прихожан-грузин на грузинском языке, , не понимают грузинскаго языка. Гвазава священствует с 1897 года..., и дети его (вероятно, в юношеском возрасте) не знают роднаго языка?! Не позабыл ли сам священник Гвазава грузинскаго языка? И это могло случиться, если на протяжении почти двадцатилетняго священствования ему не давали служить и проповедывать по грузински. И такой священник при таком режиме пасет грузинское население гор. Сухума и его окрестностей!...

По последней однодневной переписи, всех постоянных жителей г. Сухума – 24072 души, из коих грузин – 16840 душ, и, кроме того, за чертою города на городских надельных землях грузин-арендаторов – до трех тысяч душ. Если прибавить к ним и арендаторов, и работающих на частновладельческих землях, а также и временных жителей города, то общее число грузин, нуждающихся в религиозном обслуживании, далеко должно превышать 20 тысяч душ. Священник Гвазава может гордиться тем, что его паства по количеству душ не уступает многим митрополиям в греческой восточной Церкви. Где же одному священнику добросовестно

обслуживать такую паству? Пусть бы сам свящ. Гвазава отозвался, совершал-ли он когда-либо при нынешнем епископе или вообще литургию и другия церковныя службы на родном языке своих прихожан и в какой церкви... Епархиальному начальству следовало бы обратить на все это внимание, а не заниматься политиканством и преследованием грузинскаго языка в целях обрусения грузин, каковой цели оно, смеем уверить, и не может достигнуть.

**Corenbedieli.**

**Петроградские Ведомости, 1916, 25 октября  
(7 ноября), №213.**

## **შემდგენელის კომენტარი**

1. გაზეთში “პეტროგრადსკიე ვედომოსტი” 1916 წლის 13(26) ოქტომბერს (№205) გამოქვეყნდა სოხუმის ეპისკოპოს სერგის “წერილი რედაქციაში”. მოგვყავს მისი სრული ტექსტი:

### **Письмо в редакцию**

Напечатана статья **Г. Н. Дурново** «Еще о Грузинской церкви». Г. Дурново говорит, что по моей просьбе «Илорская грузинская святыня изъята из рук

грузин». Я не возбуждал такой просьбы. И прихожане Илорской церкви обращались ко мне с прощением о назначении к ним священника-абхазца, так как абхазы прихожане Илорской церкви, не понимают грузинского языка. Несколько лет тому назад они просили об учреждении русского монастыря в Илори. Далее г.Дурново пишет:

В Сухуме грузины и греки не знают ни одного священника из шести, которые-все русские.

Между тем при Сухумском кафедральном соборе имеется священник- грузин о.Гвазава, псаломщик- также грузин, Ной Урушадзе, а при архиерейском домехиеромонах Теофил (Шавдия-Дж.Г.), родом также грузин.

Ко мне за два с половиною года моей службы в Сухуме ни разу не поступало жалоб на то, чтобы кто-нибудь из грузин умер без покаяния.

Есть также в Сухуме представители греческого духовенства: протоиерей Авраамий Иванов и священник Христофор Кофидис. Греки посещают больше раннюю литургию, и когда очередь служения такой литургии принадлежит о.Сергею Протопопову, то он служит по гречески. Всего в Сухуме-7 священников, в их числе русских всего трое, остальные греки и грузины. Глубоко прискорбно, что г.Дурново верит своим лживым корреспондентам. Неверно сообщили они ему, будто грузины не ходят в церковь, я вижу их во время службы, а по окончании богослужения они подходят, чтобы принять от меня благословение.

Неверно утверждение, что языки абхазский и грузинский родственны. Сходство между ними столько

же, как между русским и английским. Не только грузины и абхазцы не понимают друг-друга, но и мингрельцы. Дети грузина Ноя Урушадзе и священника о.Гвазава живут на одном соборном дворе в Сухуме, но друг-друга не понимают.Позволю себе для образца привести два слова на этих языках «Господи помилуй!» по абхаски «Игакуйту гарнухаша», а по грузински: «Уфало шегвицкален».

სოხუმის ეპისკოპოსის ამ პროვოკაციული წერილის პასუხად ამბროსი ხელაიამ მოგვიანებით მეორე წერილიც გამოაქვეყნა (გვ. 578-579).

## Из Сухумской епархии

В №205 Петроградские Ведомости напечатали письмо Сухумского епископа Сергия, из которого мы узнаем, что в г. Сухуме имеются священники грузины и греки, но, к сожалению, не сообщается, для чего они существуют, так как, по-видимому, совершение церковных служб на языке грузин и греков не составляет их прямой обязанности. Это видно из самого письма преосвященного. «Есть также, - говорится в письме, - в Сухуме представители греческого духовенства: протоиерей Авраамий Иванов и священник Христофор Кофидис. Греки посещают больше раннюю литургию и когда очередь служения такой литургии принадлежит Сергею Протопопову, то он служит по гречески». К сожалению, ничего сказано о том, служат ли по гречески сами представители греческого духовенства- протоиерей А. Иванов и священник Х. Кофидис. Но, спрашивается: не потому ли понадобилось служение о. С. Протопопова по греческому, что эти представители греческого духовенства, почему то не служат на этом языке? О. Кофидис, кажется, заштатный священник и не знаем, имеет ли он церковь, где бы служить, а протоиерей Иванов состоит настоятелем Кладбищенской церкви, которая прежде принадлежала грузинам г. Сухума, составляя для них приходскую церковь; бесцельно было бы там служить по гречески, потому что туда греки почти совсем не ходят. Получается впечатление, что в Сухуме, есть

представители греческого духовенства, которые существуют не для греков и которым не дано служить на их родном языке. Все же сухумским грекам можно не жаловаться на епархиальное начальство, когда они, имея не для них служащих своих пастырей, обслуживаются русским соборным священником. Хорошо было бы, если бы преосвященный сказал и о том, какой из русских священников служит в соборе по грузински, когда там бывают грузины. А что грузины ходят в собор, в этом нас убеждает письмо или может быть соборному священнику М. Гвазава теперь уже предоставлено право служить на этом языке для тех, религиозные интересы которых он призван обслуживать?

Весьма благодарны мы преосвященному Сергию, что он нашел необходимым постараться печатно успокоить тех, которые способны беспокоиться по поводу печального положения дела обслуживания религиозных интересов сухумских инородцев-особенно грузин, составляющих две трети всего городского населения, но для достижения этой цели требуется высказаться яснее-если греческий язык терпим в соборе и греки, благодаря любезности священника Протопопова, могут быть спокойными и довольными, то далеко нельзя сказать о грузинском языке и грузинах, ибо преосвященный вряд ли может заявить, что какой либо из русских священников совершает там церковные службы для грузин на их языке. А следовало бы успокоить и последних.

Самурзаканец.  
Петроградские Ведомости, 1916, 23 ноября (6  
декабря), №233.

## ილორის ბედი<sup>1</sup>

როგორც დანამდვილებით ვიცით, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ ყველა სამურზაყანოელი იცნო ქართველებად და, მაშასადამე, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წევრებათ, გარდა ორი სოფლისა: ბედიისა და ილორისა. პირველზე აქ არ ვიტყვით, ხოლო მეორე სოფლის შესახებ გაზ. “საქართველოში” სიტყვის ჩამოგდების სურვილი აღმიძრა და უფლებაც მომცა ბატ. ზ. ედილის წერილმა: “შავი ზღვის სანაპიროებზე” (მგზავრის მთაბეჭდილებანი).

ბატ. ზ. ედილი ილორს მიაწერს აფხაზეთს და არა სამურზაყანოს. ის ბრძანებს: “თავდება ილორის საზოგადოება და იწყება სამურზაყანო” (“საქართველო, №10) და, მაშასადამე, მისი აზრით, სამურზაყანო და აფხაზეთის შუა საზღვარს წარმოადგენს არა მდ. გალიძგა, არამედ მდ. ოხურე.

თუ მივიღებთ მხედველობაში აფხაზეთ-სამურზაყანოს აწინდელ ადმინისტრაციულად დაყოფას, მაშინ, რასაკვირველია, პატივცემული ავტორი სრული სიმართლეს ბრძანებს, მაგრამ იმაში ვერავის დავეთანხმებით, რომ ილორი სამურზაყანოს ორგანულ ნაწილს არ შეადგენდეს. ამაში ბ. ედილიც დაგვეთანხმება და დარწმუნებული ვართ, რომ ის, როგორც შეგნებული ქართველი, სხვანაირი აზრის არ იქნება ილორელების შესახებ, მაგრამ მისი ზემოხსენებული სიტყვები შეუძლიათ არა ჩვენთვის სასარგებლოდ გაიგონ იმათ, ვისთვისაც ეს საჭირო იქნება.



შარშან წინ სოხუმის ეპისკოპოს სერგიმ გამოილაშქრა ილორელების წინააღმდეგ, ამტკიცებდა, ისინი აფხაზები არიან და მათთვის საჭიროა აფხაზი მღვდელიო (Петрог. 15. №205), მაგრამ ვინმე კორენბედიელმა (ამბროსი ხელაიამ – გვ. 571-577 – ჯ. გ.) მისთვის გასაგებ ენით აუხსნა მას, რომ ილორში არ არის არც ერთი ოჯახი, რომელშიც ხმარებაში იყოს აფხაზური ენაო (II.B. №212). სამართალი მოითხოვდა, სოხუმის სასულიერო მთავრობას კორენბედიელის პასუხის სინამდვილე შეემოწმებინა. მაშინ, რასაკვირველია, თუ მას აინტერესებდა ხალხში სარწმუნოების განმტკიცების საქმე და არა პოლიტიკანობა, ამნაირად არ შეჰხედავდა ამ საკითხს და ილორს და მის დიდებულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ და ქართველთა ეროვნულ ნაშთებზე ნებით ხელს აიღებდა, როგორც საქართველოს ეკლესიის უტყუარ კითვნილებას. აი, ამისათვის მიგვაჩნია საჭიროდ ორიოდე სიტყვის თქმა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ დროის სამეგრელოს საზღვრების გამოკვლევას, როდესაც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე სამართლიანად ჰფიქრობს, მეგრელებს ეკავათ შავი ზღვის სანაპიროები ყუბანიდან ტრაპეზუნამდე<sup>2</sup> და არც იმ შემდეგ დროებისა, რომელსაც ეკუთვნის აღშენება იმისთანა დიდებულ ნაშთებისა, როგორნიც არიან: ლიხნი, პსირცხსა, დრანდა, მოქვი, ილორი და ბეღია, რადგანაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და დასასრულ საკითხის გამოსარკვევად არც იმდენად საჭიროა, ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ ყურადღებას XVII-XIX ს.ს-ის ისტორილ წყაროების ცნობას ამ კითხვის შესახებ.

რომის მისიონერების მოწმობით, ჩვენ ვიცით, რომ XVII საუკუნის განმავლობაში სამეგრელოს საზღვარს აფხაზეთის მხრით შეადგენდა მდ. კოდორი (გვ. 424, კომენტ. 5 – ჯ. გ.), ხოლო ვახუშტი ამნაირ საზღვრად სთვლის ანაკოფიას<sup>3</sup> (აწინდელი ახალი ათონი). ამ ისტორიულ ცნობებში ჩვენ წინააღმდეგობას არ ვხედავთ. თუმცა მართალია, რომ აფხაზეთმა XVII ს-ში სამეგრელოს ნაწილი კელასურამდის და შემდეგ კოდორამდისაც დაიპყრეს, მაგრამ, უეჭველია, დაპყრობილ ადგილების მკვიდრი მეგრელები ჯერ კიდევ არ იყვნენ გააფხაზებულნი. იმ ადგილს, სადაც მდ. კელასურა ერთვის შავ ზღვას, ბენინკაზის და ფრედრუჩეს რუკებით ერქვა მეგრელების ნავსადგური (Porto Mengrello)<sup>4</sup>. აქვე ბროსეს და ბრუნის თქმით, ახლაც მოსჩანს ნანგრევები წმ. გიორგის ციხისა, რომელიც აუშენებია ერთ-ერთ სამეგრელოს თავადთაგანსო. მხოლოდ<sup>5</sup> XVIII საუკუნის დასაწყისს მეგრელთა მოსახლეობას ისტორიულ გარემოებათა მდგომარეობამ დაახვეინა მდ. ღალიძგამდის. შეიძლება ღალიძგამაც ამ დროიდან მიიღო თავისი სახელი უწინდელი სახელწოდების ღალიწყალის ნაცვლად, როგორც სამეგრელოს მოსაზღვრე მდინარემ (ღალი-ღელე, მდინარე ძგა-კიდე, ნაპირი-სანაპირო, მოსაზღვრე მდინარე). ილორი კი მუდამ რჩებოდა სამეგრელოს ნაწილად. ამას ნათლად გვიმტკიცებენ ილორის ეკლესიაში დაცული ხატების წარწერანი. ამასავე გვეუბნებიან ზემოხსენებული წყაროების გარდა პატრიარქი დოსითეოზიც, რომელიც ჯერ კიდევ მთავარი დიაკვნის ხარისხში მყოფი ახლდა პატრიარქ პაასის მის საქართველოში ყოფნის დროს 1658 წ. და

პატრიარქი მაკარიც, რომელმაც 2 წელი დაჰყო საქართველოში (1664-1666)<sup>6</sup>.

სამეგრელოს მთავრისაგან დაყენებული სამურზაყანოს გამგე მანუჩარ შერვაშიძე 1805 წ. სთხოვდა ლიტვინოვს, რომ სამურზაყანოს საზღვრების აფხაზ-ოსმალეთისაგან დასაცავათ დაყენებული ყოფილიყო რამოდენიმე რუსის ჯართაგანი მდინარე ღალიძგის პირად და, როგორც ამისთვის საუკეთესო ადგილი მის სამფლობელოში, უჩვენა სოფ. ილორი, სადაც მართლაც დააყენეს დროებით რუსის ჯარისკაცნი<sup>7</sup>.

1839 წლიდან (1840 წლიდან ჯ. გ.) სამურზაყანო გადავიდა რუსეთის პირდაპირ მფლობელობაში. ამ დროიდან ილორში, როგორც სამურზაყანოს განაპირა სოფელში, დააყენეს გარნიზონი რუსის ჯარისა და აღაშენეს ციხე.

ცხადია, მთელი სამურზაყანო ილორითურთ შეადგენდა სამეგრელოს ნაწილს, მაგრამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსის ადგილობრივმა მთავრობამ ილორი მიაწერა კოდორის საადმინისტრაციო ნაწილს. რა იყო ამის მიზეზი, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ კოდორის საადმინისტრაციო ცენტრი — ოჩამჩირე იყო განაპირა ადგილი, რომელსაც მაშინ მოსახლეობა ძალიან ცოტა ჰყავდა და სამურზაყანოს მხრით, უნდოდათ მისთვის ზურგი გაემაგრებინათ ილორის მიწერთ და ამით ადმინისტრაციას გაემართლებინათ თავისი მოქმედება და ოჩამჩირის არჩევანი. შესაძლებელია ასევე ვიფიქროთ, რომ გარუსების

პოლიტიკის მწარმოებელთ სწადდათ სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი, როგორც არის ილორი, სამეგრელოსათვის მოეშორებინათ და ამით შეესუსტებინათ ილორის მნიშვნელობა ქართველობის გამაგრებისათვის აფხაზეთის სამზღვარზე. რომ ეს უკანასკნელი ჩვენი მოსაზრება მისაღებია, ამას ნათლად ამტკიცებს, ის, რომ ამ რამენიმე წლის წინადაც გამარუსებული პოლიტიკა ცდილობდა ილორი წაერთვა ქართველობისათვის და გაეკეთებინათ რუსის ქალების მონასტერად. მართლაც, ილორი იზიდავს მლოცველებს მთელი იმერეთ-სამეგრელოდან და ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთა ეროვნების განმტკიცებისათვის ამ მხარეში. ესმოდათ ეს პოლიტიკან ქრისტეს სჯულის ვითომდა მქადაგებლებს აფხაზეთში და ამისთვის ეპ. ანდრიამ, რომელსაც დამსახურებული ჰქონდა კაცთმოყვარე და სამართლიანი კაცის სახელი, დიდი შრომა გასწია, რომ დიდებული ილორი გადასულიყო რუსების ხელში (იხ. ამის შესახებ ეპ. ანდრიას და ამბერის შუა გამართული პოლემიკა – ჯ. გ. – ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში). სარწმუნოების საქმეში პოლიტიკანობას შესძლება ბუნებრივად კეთილ კაცსაც გამოუცვალოს ხასიათი და მიმართულება (გვ. 492-547 – ჯ. გ.).

ყოველ შემთხვევაში, ცხადია, თვით ილორის მცხოვრებლებს ეტნოგრაფიულად აქვთ მჭიდრო კავშირი არა აფხაზებთან, არამედ სამურზაყანოში მცხოვრებ მეგრელებთან და ერთად-ერთი ენა, რომელზედაც ილორელები საუბრობენ, არის მეგრული ენა. ამას XIX საუკუნეშიც გრძნობდნენ ისტორიის

მკვლევარნი და ამტკიცებდნენ, რომ ილორი ორგანული ნაწილია სამურზაყანოსი.

სელეზნევი, რომელმაც 1841 წელს ინახულა აფხაზეთი, ამბობს, რომ “მოქვის მონასტერი მდებარეობს 17 ვერსის მანძილზე **სამურზაყანოს სოფელ ილორიდან**”, ბერჟეს თქმით, “**სამურზაყანოში, სახელდობრ**, ილორში და ანაკლიაში იყო აშენებული ციხეებიო<sup>8</sup>”. ბროსეც, რომელმაც ინახულა ილორი 1849 წელს, გვეუბნება ამასვე<sup>9</sup>.

თვითონ ილორელებსაც არ მოსწონდათ მათი სოფლის ადმინისტრატიულად გამოთიშვა სამურზაყანოდან და აფხაზეთთან შეერთება. მათ კიდევაც აღძრეს შუამდგომლობა, ილორი უწინდებურად და ტოვებინათ სამურზაყანოში, მაგრამ მათი თხოვნა დატოვებულ იქნა უყურადღებოდ.

ილორს ძველად დიდი კავშირი ჰქონია ეგრის-ბედიასთან და ამის გამო მდ. ღალიძგას რქმევია ძველად ეგრის-წყალი (ვახუმტი)<sup>10</sup>, ხოლო, როდესაც ქალაქ ეგრისს შეეცვალა სახელი და ეწოდა ბედია, მდინარესაც მიუღია სახელწოდება ბედიის წყლისა (ბროსე)<sup>11</sup>. თვით ილორსაც საშუალო საუკუნოებში, როგორც ამას გვიმტკიცებენ XIV-XVI საუკუნეების რუქები (ვესკონტესი, ლუქსოროსი, უსახელო, პიციგანისა, კატალონისა, პასკვალინისა, ბიანკოსი, ბენინკაზსა, ფრედრუჩესი და მაიოლოსი),<sup>12</sup> ვენეციელები ემახდნენ კორენბედიას, ანუ კორენბედიის ციხეს (Castro Corenbedia), რომელშიც ბედიის სახელია და რომელიც უნდა ნიშნავდეს ბედიის დამცველ ციხეს. ილორის მჭიდრო კავშირს სამეგრელოსთან ისიც ადასტურებს, რომ ამ სახელით

სოფლები არიან სამეგრელოში, იმერეთში და აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

ილორი შედიოდა ბედიელების სამწყსოში, ხოლო როდესაც XVIII საუკუნეში მაჰმადიანობა გაძლიერდა და ბედიის კათედრა გაუქმდა, ილორი მთელ სამურზაყანოსთან ერთად დაექვემდებარა ცაიშელ მიტროპოლიტს. უკანასკნელ ცაიშელს გრიგოლს (+1823) დაუტოვებია ილორში კარგი სახელი და, როგორც გადმოცემით მოგვითხრობენ, ბევრი უშრომია ილორის ეკლესიის გამშვენიერებისათვის. ის მოხსენებულა ერთ პატარა ლითონის ბუშტის წარწერაში, რომელიც (ბუშტი) ახლა თბილისის საეკლესიო მუზეუმშია დაცული.

ყველა ეს ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ილორი ყოველთვის შეადგენდა სამურზაყანოს ნაწილს და, მაშასადამე, გვაქვს უფლება ილორელების ვინაობის გადაწყვეტის საქმეში არ მივსცეთ მნიშვნელობა მათი ძალადობით მიწერას კოდორის საადმინისტრაციო რაიონისთვის. ყოველ შემთხვევაში ეს არ უნდა მივიღოთ იმის მაჩვენებლად, რომ ილორელები არ შეადგენენ სამურზაყანოს მეგრელებთან ერთ ორგანულ განუყოფელ ნაწილს.

ამ — ბერი.

საქართველო, 1918, №25.

31 იანვარი.

### შემდგენელის კომენტარები

1. – რუსულ ენაზე ითარგმნა და მცირე შემოკლებებით ხელახლა გამოქვეყნდა (შესაბამისი კომენტარებით)

წიგნში: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ. 398-401, 743-744; კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა ი. გელენავამ (აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. თბ., 2003, გვ. 52-56).

2. იხ. Д. Бакрадзе. История Грузии на основании новых изысканий. СПб., 1873, с. 3.

3. ვახუშტის მიხედვით, სამეგრელოს დასავლეთით საზღვრავდა “ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდან ჩამოსული სამხრით ზღუამდე” — ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 776).

4. იხ. Бадри Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии. Географические карты свидетельствуют. Париж – Тбилиси, 2005, გვ. 21, 25-28.

5. თ. ბრუნი ამის შესახებ წერს მარი ბროსეზე დაყრდნობით. – იხ. Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия, გვ. 351.

6. იერუსალიმის პატრიარქი 1669-1707 წლებში დოსითეოსი, რომელიც 1658 წელს მთავარდიაკონის ხარისხში თან ახლდა პატრიარქ პაასს (1645-1660 წწ.), წერდა, რომ ისინი ჩამოვიდნენ სამეგრელოში 8 მაისს და ლუზა სქურჩაში ჩაუშვეს (Дж. Гамахария Б. Гогия. Абхазия, გვ. 263). ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1648-1672წწ.) ადასტურებს, რომ მისი აქ ყოფნის პერიოდში დრანდაც სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა (იქვე, გვ. 259).

7. იხ. Акты..., т. 2. Тифлис, 1868, с. 538.

8. А. Берже. Краткий обзор горских племен Кавказа. Тифлис, 1858, с. 7; М. Селезнев. Указ. соч., кн. I, с. 31.

9. მარი ბროსე საქართველოში 1847-1848 წწ. იმყოფებოდა. ილორის სამეგრელოში მდებარეობის

შესახებ იხილეთ: *Rapports sur un voyage archiologique dans la Georgie et dans l'Armenie execute en 1847-1848 par M. Brosset, livr, SPB., 1849, გვ. 94-95.*

10. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 779.

11. იხ. *Rapports*, გვ. 91.

12. ნაწილი ამ რუკებისა იხ.: Бадри Гогия. დასახ. ნაშრომი. აქვე მოგვაქვს რუსეთის იმპერიის რუკის ფრაგმენტი (1725 წ.) და დიეგო ომემის შავი ზღვის რუკის ფრაგმენტი (1559 წ.). ორივეზე საქართველოს ჩრდ. დას. საზღვარი აზოვის ზღვამდეა (იხ. გვ. 589).







## საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით<sup>1</sup>

საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა აიღო საუკეთესო ნაწილი შავი ზღვის სანაპიროებისა, განდევნა ამ ადგილებიდან რუსის ბოლშევიკები და ცოტა ხნით ქალაქ ტულაპსეც რესპუბლიკას დაუმორჩილა. ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის ქვეყნისთვის. დაპყრობილი მხარე გაუადვილებდა ცხოვრებას საქართველოს ზოგიერთი ნაწილების იმ მცხოვრებლებს, რომელნიც განიცდიან მიწის მეტის მეტ სივიწროვეს, ხოლო ტულაპსის ნავთსადგური და ჩრდილოეთისკენ მიმავალი რკინის გზა საქართველოს რესპუბლიკას მისცემდა საშუალებას ჰქონოდა ვაჭრული ურთიერთობა პურით მდიდარ ჩრდილო კავკასიასთან. ბატონი ნ. თავდგირიძე სამართლიანად ბრძანებს, რომ “ტულაპსე ჩვენი სანაპიროების და საზღვრების გასამაგრებლად ისეთივე აუცილებელია, როგორც დარიალის ხეობა: თუ ტულაპსე ჩვენს განკარგულებაში არ იქნება, ზღვის სანაპიროების დაცვას და შენარჩუნებას ჩვენ ვერ შევსძლებთ”<sup>2</sup> (საქართველო, №183).

რა თქმა უნდა, მტრებისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო საქართველოს გამარჯვება და გამლიერება და კიდევაც განაცხადეს უკმაყოფილება. ისინი საქართველოს ლაშქრის მოქმედებას ყველგან და განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპიროზე “განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობიან და გაფაციცებით” თვალ ყურს ადევნებენ. რუსული პრესა და აგრეთვე მოხალისეთა ლაშქრის სარდალი

ალექსეევი, რომელიც ამ ახლო ხანში ტულაფსეში შემოვიდა, სოხუმის ზემო ზღვის ნაპირებს სთვლის “ნამდვილ რუსულ ტერიტორიად”<sup>3</sup>.

მართლაც, რუსებს ბევრი შრომა მიუძღვით იმისათვის, რომ ეს მხარე გაეხადათ “რუსულ ტერიტორიად”. ამისათვის სამოციან წლებში რუსეთის მთავრობამ საარაკო ბოროტება ჩაიდინა, აქედან ძალით აჰყარა და ოსმალეთში გადაასახლა ადგილობრივი მკვიდრნი და მათ მაგივრად დაასახლა რუსები და სხვა ერების წარმომადგენელი, რასაკვირველია, გარდა ქართველებისა. ამისთვის დაარსეს ცალკე გუბერნია, ამავე მიზნის მისაღწევად აფხაზეთ-სამურზაყანო ეკლესიურად შეუერთეს ამ გუბერნიას, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ სამურზაყანოში მკვიდრი ქართველების გადარუსება ძალიან ძნელია და ხელს უშლის აფხაზეთის გადაგვარებასაც, გადაწყვიტეს სამურზაყანო გამოეყოთ აფხაზეთიდან და მიეწერათ სამეგრელოს ეპარქიისათვის, ხოლო აფხაზეთის და შავი ზღვის სანაპირო გუბერნიის მაშინდელ სასინოდო კანტორისაგან დამოუკიდებელ ეპარქიად გარდაქმნის პროექტი წამოაყენეს.. ამ პროექტის სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა “პეტროგრადის უწყებებში” მოთავსებულმა წერილებმა<sup>4</sup>.

მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ტულაჰსის აღების მესამე დღეს ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ წარმომადგენელს ანჯაფარიძეს საჯაროდ განუცხადებია, საქართველოს ჯარმა ტულაჰსე დაიჭირა არა იმისთვის, რომ შეიერთოს იგი, არამედ მხოლოდ წესრიგის დასამყარებლად<sup>5</sup> (გაზ. “ბორბა”, №148). გაზ. “სახალხო საქმე“-მაც (№297) გამოაცხადა, ”რომ ქალ.

ტულაჰსეს ქართველ ჯარის მიერ დაკავებას ის მიზანი აქვს, რომ გაუადვილოს მგზავრობა იმ პირებს, რომელნიც კავკასიას სტოვებენ და არა ქალაქის ანექსია”<sup>6</sup>. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს ჯარს მხოლოდ ამ მიზნით ეხელმძღვანელა, როდესაც ის ტვირთულობდა მძიმე მოვალეობას — დაეხსნა ეს მხარე მტრების ხელიდან. ჩვენი აზრით, გაზეთში მოყვანილ სიტყვებში გამოისმის იმ აზრის აღიარება, რომ თუ არა ამნაირი მიზანი, საქართველოს რესპუბლიკა არ დაარღვევდა რუსეთის უფლებებს. ამით ჩვენ ვბოდიშობთ იმათთან, ვინც შავი ზღვის სანაპიროებს და თვით მთლად საქართველოს თავის ტერიტორიად სთვლის.

რამ მისცა რუსეთს უფლება უწოდოს შავი ზღვის სანაპიროებს “ნამდვილი რუსული ტერიტორია”, თუ არა ომის წესით მისი დაპყრობამ? თუ რუსეთს ჰქონდა უფლება ამ წესით დაჰპატრონებოდა სხვა ხალხის ტერიტორიას, რისთვის საქართველოს არ უნდა ჰქონდეს უფლება იმავე წესით დაიბრუნოს უკანონო და ძალმომრეობით წართმეული ტერიტორია?

ამიტომაც საჭიროა წამოვაყენოთ კითხვა თუ სად იყო საქართველოს საზღვარი შავი ზღვის მხრით. ისტორიული უფლებების შეუგნებლად და გაუთვალისწინებლად კი ეკონომიკური, სტრატეგიული, ზნეობრივ-პოლიტიკური და სხვა მოსაზრებანი არ გაამართლებენ ჩვენს მოქმედებას. ამისათვის შეძლების და გვარად შევეცდებით ისტორიული საზღვრის გამოკვლევას ტულაჰის მხარეზე.

ჩვენს ისტორიაში საქართველოს საზღვრები ძალიან ბუნდოვნათ არის ნაჩვენები. ისტორიკოსი დ. ბაქრაძის თქმით, “არც ქართლის ცხოვრება, არც ვახუშტი, არ უჩვენებენ ცხოველად საქართველოს საზღვრებს”. ამისთვის, რომ ცხოველად წარმოვიდგინოთ საქართველოს საზღვრების მოხაზულობა სხვადასხვა ისტორიულ ხანაში, — რომ გავიგოთ სინამდვილით ქართლის ცხოვრების ბუნდოვნათ გამოთქმული აზრი ამის შესახებ, — საჭიროა დავიხმაროთ სხვა გარეშე წყაროები და გამოკვლევანიც.

დიმ. ბაქრაძე საქართველოს საზღვრების შესახებ ამბობს: “ნამდვილ მის გეოგრაფიულ საზღვრებად ჩვენ ისტორიის დასაწყისში უნდა აღვიაროთ ის საზღვრები, რომელთა შორის იმ დროს ყოფილა მოთავსებული ქართული ტომი, ესე იგი ზემო და შუა მტკვარი თავისი ღელე-მინდვრებით, ჩრდილოეთით არაგვი, სამხრეთით ხრამი ანუ ქცია, დებედა და ახსტაფა, დასავლეთით რიონი ვიდრე ბიჭვინთამდე. ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული ქართული ენის გვარი, რომელსაც შეადგენდნენ: აწინდელი ქართული, სვანური და ჭანური ანუ ლაზური მეგრელითურთ” (იქვე). მაგრამ იქვე ცოტა ქვემოთ ბაქრაძე თვითვე არღვევს ამ თავის მოსაზრებას, როდესაც ამბობს, რომ “ჭანურ ენას სჭერია მთელი აღმოსავლეთი პირი შავი ზღვისა ყუბანის მდინარიდამ ტრაპეზონის თემამდე და თვით ტრაპეზონიცა (ქართლის ცხოვრება, 1,17 და 42), ანუ მთელი ის სივრცე, სადაც შემდეგ ჩვენ დრომდე

სახლობდნენ ანუ სახლობენ — ჩერქეზნი, აფხაზნი და ჭანნი, რომელნიც, ქართლის ცხოვრების აზრით, ირიცხებიან მეგრელებათ” (ვახუშტის ისტორია, იქვე).

ეს უკანასკნელი მოსაზრება, რასაკვირველია, სრულიად მართლდება უძველესი დროების შესახებ ქართული ისტორიული წყაროების მოწმობითაც, მაგრამ ამ უძველეს დროებზე სიტყვის ჩამოგდება ახლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ამ ხელათ გვინდა მივაქციოდ მკითხველის ყურადღება მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძზე, რომელიც გარკვევით გვეუბნება, რომ მის მეფობის დროს საქართველოს საზღვარს აფხაზეთის მხრით შეადგენდა ქალაქი ნიკოპსია (“საქართველოს სამოთხე”, გვ. 513); მაგრამ ჩვენს “ისტორიულ ლიტერატურაში არ არის ნათლად გამორკვეული სად მდებარეობდა ეს დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებული ნიკოპსია. ჩვენი ისტორიკოსები ნიკოპსიას სთვლიან ანაკოფიას — აწინდელ პსირცხას — და ამისთვის, მათის აზრით, დავით მეფის დროის საქართველოს სამეფოს საზღვარი მიაღწევდა მხოლოდ იმ ადგილამდის”. პატივცემული მ. ჯანაშვილი ბრძანებს: “ცხომიდან ანაკოპიამდე (ნიკოპსიამდე) ორი საათის სავალია. ანაკოპია მდებარეობს მდინარე პსირტზე, აქ იყო ძველის ძველი ქალაქი. დავით აღმაშენებელი მას სთვლის თავის სამეფოს დასავლეთ მიჯნად” (ვახუშტის გეოგრაფია, ჯანაშვილის რედაქტორობით გამოცემული, გვ. 308, შენ. 511). ამავე აზრისანი არიან ბროსე, დიუბუა, შოპენი, პატრიარქი დოსითეოსი<sup>7</sup> და სხვანი. მაგრამ აქამდის მკვლევართა შორის დამკვიდრებული აზრი ნიკოპსიის მდებარეობაზე შემცდარათ უნდა ჩაითვალოს და ჩემის

აზრით, იმ ჭეშმარიტებას, რომ ანაკოფია და ნიკოპსია (ნიკოპსი) ერთი და იგივე ქალაქის სახელი არ არის, ქართლის ცხოვრებაც გვიჩვენებს, თუ მის ბუნდოვან მოწმობას რიგიანათ ჩაუკვირდებით.

ჩვენ ვიცით, რომ სოხუმი აფშილეთის ქალაქი იყო (ქართ. ცხ., 1174), აფშილები კი იყვნენ მეგრელები ანუ უწინდელი ეგრისელები (ზემოხს. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 255 და 310, შენ. 438 და 513 და ი. შოპენი, Новые заметки..., გვ. 282). ლეონ მეორე, აფხაზეთის მეფემ (+806), ეგრისს გამოუცვალა სახელი, უწოდა აფხაზეთი და დაჰყო რვა საერისთავოდ. პირველი საერისთაო შესდგებოდა აფხაზეთისა და ჯიქეთისაგან, რომელთა მოსახლეობა აღწევდა “ვიდრე ზღვადმდე და ხაზართა მდინარემდე”, ხოლო მეორე ერისთავი “დასვა ცხომს და მისცა ეგრისის იქით ანაკოფიაა ლანიურთ” (ქართ. ცხ., 1178). როდესაც მე-14 საუკუნეში მეფე გიორგი ბრწყინვალემ თავის სამეფოში დანიშნა დიდებულნი ერისთავებად, “მისცა ცხომის საერისთაო ბედიელს, ვითარცა პირველი ცხომისა იყო” (ibid 449). ამას ადასტურებს თვით სოხუმის ცხუმად სახელწოდება და ის გარემოებაც, სოხუმის ახლო მდებარე მდ. კილასურის შესართავი ბენინკაზის (1480 წ.) და ფრედრუჩუს (1497 წ.) რუქებით სახელწოდებულია Porto-Mengrello (იხ. Зап. Имп. Одесского Об-ва истории и древностей, ტ. 9 — რუქა) და ისიც, რომ აქ, ბროსეს თქმით, ახლაც მოსჩანს ნანგრევები წმ. გიორგის ციხისა, რომელიც აუშენებია ერთ-ერთ სამეგრელოს მთავართაგანს (ibid 414) და ხალკოხონდილას მოწმობით, მეთხუთმეტე საუკუნეში

სოხუმი ეკუთვნოდა მამია და შამადავლე დადიანებს (Brosset. Additions..., 106).

ვიციტ ისიც, რომ აფხაზეთი ერთ მეფობის დროს ყოველთვის შეადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს, ხოლო აფხაზები სახლობდნენ ანაკოფიის (პსირცხის) იქით შავი ზღვის სანაპირო ადგილებში.

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ დავით მეფის დროს არ შეიძლებოდა, რომ ანაკოფია ყოფილიყო სახელმწიფოს საზღვარი და თვით დავით აღმაშენებელი ვერ ჩასთვლიდა მას თავის სამეფოს დასავლეთ მიჯნად. ამას ცხადყოფს ქართლის ცხოვრების ის ადგილები, სადაც მოხსენებულია, რომ დავით მეფეს ჰქონდა “ჩვეულება, რამე თუ განგებულებათა გარდვიდეს აფხაზეთად” (ქართ. ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 303) და რომ ის “ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭვინტამდე” (ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, 1,248). ანაკოფია საქართველოს საზღვარი რომ ყოფილიყო, მეფე დავით აღმაშენებელს, რასაკვირველია, არ ექნებოდა არამც თუ ჩვეულება, არამედ შეძლებაც გადასულიყო აფხაზეთში საქმეების მოსაწესრიგებლად ბიჭვინტამდე, რადგან ბიჭვინტამდებარეობდა ანაკოფიის იქით სამოცი ვერსის მანძილზე. ცხადია, ნიკოპსია (ნიკოპი — ნიკოპსისი) და ანაკოფია სხვა და სხვა ქალაქების სახელები იყო ძველად და მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ქართლის ცხოვრება ამას ნათლად გვაგრძნობინებს. თუ ჩავუკვირდებით მის ცნობებს ამის შესახებ, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ის მკაფიოდ არჩევს ანაკოფიას ნიკოპსიიდან და როდესაც უნდა აღნიშნოს საქართველოს სამზღვარი ჯიქეთის მხრიდან, ამნაირ



სამზღვრად ყოველთვის იხსენიებს მხოლოდ ნიკოპსიას.

თამარ მეფის დროს ვარდან დადიანი, მსახურთ უხუცესი, იყო “პატრონი ორბეთისა, კაენისა და ლიხთ იქით ნიკოპსიამდე უცილობლად ქონებისა” (იქვე, 293). ნუქარდინის<sup>8</sup> წინააღმდეგ გალაშქრების დროს თამარ მეფის ბრძანებით, მოუწოდეს “სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოპსიით ვიდრე დარუბანდამდის (ibid. 320). ხვარასნიცკენ გალაშქრების წინ მეფე თამარს მოახსენეს, რომ მან უბრძანოს საქართველოს სპათა, “რათა ნიკოპსიით დარუბანდამდის აღიჭურნენ და მზად იყვნენ საომრად” (ibid, 390).

ამას ჩვენ ვხედავთ არა მარტო საქართველოს ძლიერების დროს, არამედ შემდეგაც. რუსუდანის მეფობის დროს საქართველოს სივრცე განისაზღვრება “ნიკოპსიით დარუბანდამდე” (ibid. 349). აგეთივე იყო საქართველოს საზღვრები XIII-XIV საუკუნეებშიც (ibid. 393, 425 და 451).

რუსუდან დედოფლის და ზოგიერთ სხვათა მეფედ კურთხევის აღწერას ქართლის ცხოვრება იწყებს ამ სიტყვებით: “შემოკრბენ ყოველნი დიდებულნი ქათალიკოზნი და ეპისკოპოსნი ნიკოპსიით დარუბანდამდე” (ibid. 349 და 451), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსის კათედრა XVII საუკუნის ნახევრამდე მუდამ ბიჭვინტაში იყო, და თუ საქართველოს სახელმწიფო სამზღვრად მივიღებთ ანაკოფიას, მაშინ ბიჭვინტაში მჯდომი კათალიკოსი საქართველოს გარეშე იქნებოდა, რაც მისაღები არ არის.

ყველა ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ ბაგრატ მესამე კურაპალატის დროს საქართველოს სამზღვრები

ნაჩვენებია სიტყვებით: “ჯიქეთიდან გურგენამდე” (ibid. 212), რაც სავსებით უდრის ქართლის ცხოვრების “ნიკოპსიიდან დარუბანდამდეს”, რადგანაც ნიკოპსია იყო სამზღვარი ჯიქთა და აფხაზთა შორის. ანაკოფია კი, როგორც დანამდვილებით ვიცით, არას დროს არ ყოფილა სამზღვარი აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის და ამ უკანასკნლთა მოსახლეობა XVII საუკუნის შემდეგაც არ გასცილებია მდ. კაპუეტის წყალს (ბზიბს), თვით ჯიქნიც ხანდისხან სჩანან ქართველ მეფეთა ქვეშევრდომებათ. მათ ჩვენ ვხედავთ საქართველოს ლაშქარში რუსუდან დედოფლის (ibid. 357) და მეფე ბაგრატის დროსაც XV საუკუნეში (ibid, 476). ვახუშტის თქმით, საქართველოს ლაშქარის მემარჯვენეს შეადგენდნენ “მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქითურთ” (Darec. peopr. de la Q., 34).

ყველა ამას უნდა დაუმატო ბრუნის მოსაზრებაც. მისი თქმით, ის ჭეშმარიტება, რომ ნიკოპსია ქართულ წყაროებისა არ იყო ანაკოფია, მტკიცდება იმით, რომ ნიკოპსია ეკუთვნოდა მზხიის სამწყსოს (ეპარქიას), ხოლო ანაკოფია მდებარეობდა სოხუმის და ბიჭვინტას შორის და ეკუთვნოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს (Путешествие И. Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 по 1427 г. См. Записки Имп. Новоросийскаго университета, ტ. 1, გვ. 129, შენ. ბრუნისა).

თუ ამნაირად მტკიცდება, რომ ნიკოპსია არ არის ანაკოპია, თუ ქართლის ცხოვრება ამას გვაგრძნობინებს იმით, რომ საზღვრების ჩვენების დროს ერთხელაც არ ასახელებს ამ უკანასკნელ ქალაქს და თუ ნიკოპსიას ისტორია გვიჩვენებს ჯიქ-აფხაზთა შორის მდებარე

ქალაქად, ხოლო ჯიქთა მოსახლეობას არას დროს არ მიულწევია ანაკოპიამდის, მაშინ ჩვენ თავის თავად გვებადება კითხვა: სად მდებარეობს ქალაქი ნიკოპსია-ნიკოპსი?

იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გამორკვეული, ცხადი უნდა იყვეს, რომ ქალაქი ნიკოფსია უნდა ვეძიოთ არამც თუ ანაკოფიის, არამედ ბიჭვინტის ჩრდილოეთით.

ქართული ისტორიული წყაროები, როგორც დავინახეთ, დაჟინებით გვეუბნებიან, რომ საქართველოს საზღვარი იყო არა ანაკოფია, არამედ ნიკოფსია და ცხადია, ამ წყაროებმა კარგად იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა ეს უკანასკნელი ქალაქი. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთლიანობა დაირღვა, ნიკოფსია აღარ ითვლებოდა საქართველოს საზღვრად და მისი სახელი ამ მიზეზისა გამო თანდათან დავიწყებას მიეცა და ქართულ ისტორიულ წყაროებშიც ამის შემდეგ არ გვხვდება. შემდეგ კი საქმე იქამდის მივიდა, რომ სრულიად დავიწყებულ იქმნა მისი ადგილმდებარეობა, თუმცა გრძნობდნენ, რომ ნიკოპსიათ არ უნდა იქნეს მიღებული ანაკოფია.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ბატონიშვილი ვახუშტი დარწმუნებული იყო, რომ ერთმანეთში უნდა ვარჩევდეთ ანაკოფიას და ნიკოპსიას, რომ უკანასკნელი უნდა ყოფილიყო პირველის ჩრდილოეთით. მაგრამ, რადგან დანამდვილებით არ იცოდა მისი მდებარეობა, ფიქრობდა, რომ ნიკოპსია არის ბიჭვინტის სახელი. “ამას ვპგონებ, შენიშნავს ის ბიჭვინტის აღწერის დროს, ნიკოპსიად, და ეკლესიასაც ამას ზედა აღშენებულსა

მისთვის, ვინაიდან ნიკოპსიას დაფლულ არს სვიმონ კანანელი” (Geogr, p. 405-407), მაგრამ მოყვანილი საბუთი არ ვარგა იმის დასამტკიცებლად, რომ ნიკოპსია ყოფილიყოს მეტი სახელი ბიჭვინტისა<sup>104</sup>.

ამ საკითხს ნათელს ჰყენს იმპერატორი კონსტანტინე მოწითმოსილი<sup>9</sup> (905-959). ის ამბობს, რომ ტამატარხიდან 18-20 მილის მანძილზე არის მდინარე უკრუხი, რომელიც ჰყოფს ზიხიას ტამარტახიდან<sup>105</sup>. ზიხიას უკავია 300 მილის მანძილი უკრუხიდან მდ. ნიკოპსამდე, რომელზედაც არის იმავე სახელის ქალაქი... ზიხიიდან, ე.ი. მდ. ნიკოპსიდან ქალაქ სოტირიოპოლამდის სამასი მილის მანძილზე მდებარეობს აბაზგია (იმპ. კონსტანტინე. “О фемах и народах”, მოსკოვი, 1899 წ., გვ. 154). მაშასადამე, უკრუხიდან სოტირიოპოლამდის ყოფილა 600 მილი, ხოლო ნიკოპსი ყოფილა შუა მანძილზე. მდ უკრუხი, პროფ. ბრუნის და ლასკანის აზრით, არის მდინარე კუბანი ანუ ერთი მისი შტოთაგანი (Путешествие Шильтбергера. Зап. Им.Новор. университета, ტ. 1, გვ. 58-59, შენ. ბრუნისი და «О Фемах и народах», 153, ლასკინის შენიშვნა), ზიგები არიან ჯიქები («О Фемах», იქვე), ხოლო სოტირიოპოლი არის მეტი სახელი ბიჭვინტისა. თუმცა ზოგიერთნი (მინერტი) ამბობენ, რომ სოტირიოპოლი იყო სევასტოპოლი (სოხუმი). მაგრამ მილლერის აზრით, ეს უსაფუძვლოა, ვინაიდან კოდინი პირდაპირ გვეუბნება, რომ Pythia, აწინდელი

---

<sup>104</sup> სვიმონ კანანელის საფლავი არის “ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა” (ქარლის ცხოვრება, 1,47; საქართ. სამოთხე, 36 და სხვა.)

<sup>105</sup> რუსების ტმუტარაკანი.

ბიჭვინთა, იწოდებოდა სოტირიოპოლად. ეს სახელი შეიძლება დარქმეოდეს ბერძენთა ლაზიკაში მომქმედ მთავარსარდლის სოტირიკისგან, რომელმაც აღადგინა სპარსთაგან დანგრეული ბიჭვინტა და რომელიც მოკლული იქნა მისიმიანებისაგან 556 წ. (Путешествие Шильтбергера, შენიშვნა ბრუნისა, გვ. 58-59). ამ მოსაზრების სიმართლეს ადასტურებს ისიც, რომ მე-XIV საუკუნეშიც ტრაპიზონის ბერძნები ბიჭვინტას იცნობდნენ სოტირიოპოლის სახელითაც (Учен. Зап. Имп. Ак. Наук, ტ. III, სტატია ვუნივირა ვალვის ბარბოლიაზე, გვ. 740). მამასადამე, ნიკოპსი ჩვენ უნდა ვეპიოთ ბიჭვინტიდან ჩრდილოეთ შავი ზღვის ნაპირებზე 300 მილის მისგან მოშორებით.

ძველი უსახელოდ წოდებულის (avoviums) რუქით ნიკოპსი მდებარეობდა მდინარე პრახატისის ახლო და აღსანიშნავია, რომ ამ ადგილის ნავსადგურს ბერძნები უძახოდნენ ძველი ლაზიკას (Tag Laziku, იხ. «Топографическая карта Восточного берега Черного моря по периплу Безыменного и по компасовым картам»). ბრიენის და მიულერის თქმით, მდ. პსახატირი არის შაბხუგის ხეობაში, ხოლო ქალაქი ნიკოპსისი მდებარეობდა ნეგოპსუხის ხეობაში, სადაც ეხლაც მოსჩანან მისი ნანგრევები 20 ვერსის მანძილზე ტულაპსიდან ჩრდილოეთით (Зап. Имп. Новоросийского Унив., ტ. 1, 58-60 და ტ. IX, 179-180 და 419-420). იმის დასამტკიცებლად, რომ XIV და XV საუკუნეებში საქართველოს ძველი სამზღვარი იყო აფხაზებ და ჯიქებ შორის, ბრუნი უჩვენებს იმ გარემოებას, რომ ამ დროის იტალიელთა რუქებში იქ, სადაც იყო ნიკოფსი, არიან ნაჩვენები Zichia და Sanna

(Зап. Од. Общ. истории и древностей, т. IX, 178-179), თუმცა იმ დროს ნიკოფსის თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა და რუქებზე არ არის მოხსენებული (Ibid, 420, ბრუნის სტატია: «Восточный берег Черного моря по древ. периплам и по компасовым картам»).

ამას ადასტურებს ოსმალელი ტურისტი ევლია ეფენდიც, რომელმან XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმოგზაურა და აღწერა შავი ზღვის სანაპირო ადგილები. ის ნათლად გვეუბნება, რომ უკანასკნელი მოსახლეობა აფხაზეთისა იყო ვოდომის (ტულაჰის) კონცხის ახლო და აქაური აფხაზთა სოფელს ანუ თემას მამინ სახელად ერქვა ქიუტასი. ამის იქით კი იწყებოდა ჯიქების სოფლები, რომლებთა პირველ თემას ევლია ეფენდი სახელდება **შანი**. ქიუტასებს შანებისაგან ყოფდა ერთი მთა და ერთი დღის სავალი მანძილი (Путешествие турецкого туриста Эвлия ефенди в доль по восточ. берегу Чер. Моря. сб. Записки Одесского Общ. Ист. и древ, т. IX, 178-179). ახლანდელის რუქით, იმ მდინარეს, რომელიც ამ ხეობაში ჩამოდის, ჰქვია ნეგიუბი, ხოლო იქ დაარსებულ რუსების სოფელს "ნეგუბსკაია". როგორც ამ სახელებში, ისე ჩერქეზების ნეგობსუხოში ისმის ძველი სახელწოდება მდინარისა და მასზე არსებული ქალაქის **ნიკოპსისა**. ეს ადგილი, მართალია, შუა ადგილია ყუბანის (უკრუხი) და ბიჭვინთის (სოტირიოპოლის) შორის, რაც სავსებით ეთანხმება იმპერ. კონსტანტინე მოწითმოსილის მოწმობას.

ამ საფუძველთა ძალით ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ ძველი ნიკოპსია მდებარეობდა ტულაჰის

ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზე იმ ადგილს, სადაც არის მდინარე ნეგუბი (უწინდელი ნეგობსუხო ანუ ძველი ნიკოპსი) და რომ აქ იყო ნამდვილი საზღვარი საქართველოს გაერთიანებულის სამეფოსი.

ამ შეხედულობას ჩვენი ისტორიკოსთა შორის, თუმცა მან არ იცოდა ადგილმდებარეობა ძველის ნიკოპსიისა, იზიარებდა განსვენებული თ. ჟორდანიას. ერთ თავის გამოკვლევაში მას მოჰყავს ჩვენი მატიანის სიტყვები, სადაც სწერია, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში “შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი, იმერნი და ამერნი, კათოლიკოზნი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსიით დარუბანდამდე” და სიტყვა “ნიკოფსიას” აძლევს ამაირ განმარტებას: “საზღვარი აფხაზეთისა და ხაზარეთის ქვეყნისა (Абхазские каталикосы, Ставрополь, 1893г.г. 11). მაშასადამე, მას სწამდა, რომ ნიკოფსი მდებარეობდა იქ, სადაც თავდებოდა აფხაზთა მოსახლეობა. ხსოვნას ამ ნიკოპსიაზე, როგორც საქართველოს სამეფოს ნაწილისა, XIX საუკუნის დასაწყისამდისაც მოუღწევია. 1808 წელს სამეგრელოს მთავრინა ნინო გიორგის ასული იმპერატორს სწერს სხვათა შორის შემდეგს: “თუმცაღა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლის უთანხმოებამან განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა აფხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოფსისა” (Акты арх. ком., т. II, 200-201). ეს უნდა იყოს მხოლოდ გამოძახილი იმ დროის სინამდვილისა, როდესაც ნიკოფსი, მდებარე აფხაზეთ-ჯიქეთ შორის იყო რეზიდენცია საერისთაოსი და აფხაზეთის სამთავროსთან ერთად შედიოდა საქართველოს სამეფოში.

ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება ამხელად მეტი უნდა იყოს, რადგან საკითხი გამორკვეულად მიმაჩნია. მხოლოდ შესაძლებელია, ამასთან დაკავშირებით აღიძრას კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეხედულების უნდა ვიყოთ აფხაზთა რეალურ მოსახლეობაზე მეჩვიდმეტე საუკუნემდის, მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდება სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ჩემის აზრით, ჯერჯერობით მოუხერხებელია.

თუ ახლანდელი ძალთა განწყობილება არ მოგვცემს საშუალებას ხმლით დაპყრობილი შავი ზღვის სანაპირო ადგილები შევინარჩუნოთ, - თუ ჩვენი შეუგნებლობა და მტერთა ძალმომრეობა წაგვართმევს იმ ადგილებს, რომლებიც ჩვენი მამაცი მხედრებმა მორწყეს უკვე სისხლით, - თუ ისტორიულ უფლებებით ახლა ვერ ვისარგებლებთ, მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შერჩეს, რომ მან გაადვიდოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება და მისცეს მას იმისი ცნობა მაინც, რომ საქართველოს ძლიერების დროს ჩვენი საზღვარი ტულაჰსესაც იქით სცილდებოდა. დასასრულ, თუ ამ, მოკლე შენიშვნამ გამოიწვია ჩვენი ისტორიკოსების უფრო დასაბუთებული წერილი დასმულ საკითხების შესახებ, ესეც საკმარისი იქნება, რომ გამართლებული იქნას ჩემი კადნიერება.

**ამბერი.**

**საქართველო, 1918 წლის 16 და 18 ოქტომბერი.**



## შემდგენელის კომენტარები

1. ხელახლა გამოქვეყნდა “საქართველოს ისტორიული საზღვარი...” ჟურნალში “აია”, 1998, (№6).
2. ამის შესახებ ნიკო თავდგირიძე წერდა წერილში “აფხაზეთისა და ჯიქეთის საკითხი” (საქართველო, 1918, 2 ოქტომბერი). სოჭისა და ტუაფსეს დროებით დაბრუნების საკითხებს მან მიუძღვნა ახალი წერილი: “შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბები” (საქართველო, 1918, 4, 5 ოქტომბერი); სოჭის ოლქის შენარჩუნების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე და ჩრდილოეთიდან (გენერალ ალექსეევისაგან) მოსალოდნელ საფრთხეზეა საუბარი ს. კაკაბაძის წერილში “შავი ზღვის სანაპიროებისათვის” (საქართველო, 1918, 10 ოქტომბერი). არსებითად ამ საკითხს ეხება გაზეთ “საქართველოში” 1918წ. 22 ოქტომბერს გამოქვეყნებული კიდევ ერთი წერილი “სოჭა-ტუაფსე” (ხელმოწერა – ა – ე); წერილში “სოჭის მხარე” კიდევ ერთხელ არის დდასტურებული საქართველოს უფლებები აღნიშნულ ტერიტორიაზე (საქართველო, 1919, 4 აპრილი).
3. 1918წ. 25 სექტემბერს საქართველოს დელეგაციისა (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) და მოხალისეთა არმიის სარდლობის შეხვედრაზე ყუბანში გენერალმა მ. ალექსეევმა სოჭისა და სოხუმის ოლქები რუსულ ტერიტორიებად გამოაცხადა; “დათმობა” მათი მხრიდან მდგომარეობდა იმაში, რომ საზღვარი ამ ეტაპზე მდ. ბზიფზე დაეფიქსირებინათ (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი, 1990, გვ. 81, 84, 101, 105, 109).

4. ამბროსი ხელაია გულისხმობს 1916 წელს შემუშავებულ პროექტს სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის შესახებ (იხ. აგრეთვე გვ. 567-568), რომელსაც საფუძვლად ედო ი. ვოსტორგოვის მიერ 1906 წ. 13 დეკემბერს წინასაყრილობო სათათბიროს II განყოფილების დასკვნით – მესამე სხდომაზე წარმოდგენილი კავკასიის საეკლესიო მოწყობის ერთ-ერთი პროექტი; იგი სამურზაყანოს სამეგრელოს ეპარქიასთან მიერთებას ითვალისწინებდა (წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 462-463). “პეტროგრადსკიე ვედომოსტში” 1916 წელს გამოქვეყნდა ამბროსი ხელაიას წერილები უწმ. სინოდის გეგმის წინააღმდეგ (გვ. 548-570); მაშინ გამოქვეყნდა ასევე ნ. დურნოვოს მძაფრი წერილი, რომელიც გაზეთმა “საქართველომ” (1916წ. 16 აპრილი) გადმობეჭდა (ჯ. გამახარია. მართლმადიდებლობა და აფხაზეთი, გვ. 740-744).

5. გაზეთში “ბორბა” (1918წ. 22 აგვისტო №148) გამოქვეყნებულია შ. ჩოჩიას ვრცელი წერილი «На Черноморском побережье», სადაც მოთხრობილია ქართული შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების – სოჭისა და ტუაფსეს ოლქების ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების, არმავირ-მაიკოპის მიმართულებით წინსვლის გაგრძელების შესახებ. 1918წ. 29 ივლისს – ტუაფსეს განთავისუფლების მესამე დღეს – ქალაქში მიტინგი ჩატარდა. სიტყვით გამოსულმა გ. ანჯაფარიძემ «подробно ознакомил граждан с историей последних месяцев Закавказья и Грузии и заявил, что в Туапсе грузинские войска явились не с аннексионистской

целью, а с целью установления порядка». ტუაფსეს ოლქის კომისრად მ. ხოფერია დაინიშნა. ნოვოროსიისკიდან “მშვიდობიანი მოლაპარაკების” მიზნით ჩამოსულ ბოლშევიკთა დელეგაციის წევრებს უარი ეთქვა მიღებაზე, როგორც “ბანდის წარმომადგენლებს”.

6. გაზეთმა “სახალხო საქმემ” 1918წ. 3 აგვისტოს (№297) ამ საკითხზე მხოლოდ ამბროსი ხელაიას მიერ ციტირებული მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა.

7. ანაკოფიას ნიკოფსიასთან აიგივებდნენ მ. ბროსე (იხ. გამოკვლევა, გვ. 85), დიუბუა (იხ. გამოკვლევა, გვ. 85), ი. შოპენი (Новые заметки на древняя истории Кавказа и его обитателей, 1866, გვ. 251, 329); კონსტანტინე პორფიროგენეტზე დაყრდნობით, პატრიარქი დოსითეოსი ახსენებს მდ. ნიკოფსიას, საიდანაც «к Сотериуполью (ბიჭვინთა – ჯ. გ.), на протяжении 300 миль лежит Абазгия» (М. Селезнев. დასახ. ნაშრომი, წ. I, გვ. 16). ამრიგად, ნიკოფსიას იგი ვერ გააიგივებდა ანაკოფიასთან.

8. იგულისხმება მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველი რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი (1196-1204წწ.), რომელიც ქართულმა ჯარმა ბასიანთან 1202 (თუ 1203) წელს დაამარცხა.

9. კონსტანტინე პორფიროგენეტი – ბიზანტიის კეისარი 912-959 წლებში.

## ბედია და ბედიის ტაძარი

(I)

ბედია მდებარეობს სამურზაყანოში, ერთ ღელეზე (ოხოჯე), რომელიც ერთვის მდ. ოქუმის წყალს. თვით ბედიის ეკლესია მაღალ ადგილზეა აშენებული. აქედან მშვენიერი სანახავია სამურზაყანოს ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ბედიის დასავლეთით შავ ზღვამდის.

სანამ რამეს ვიტყოდეთ დიდებულ ისტორიულ ნაშთზე, საჭიროთ მიმაჩნია ვსთქვა ორიოდ სიტყვა თვით ბედიაზე, რომელიც ოდესმე იყო შესანიშნავი და ვაჭრობით განთქმული ქალაქი.

ბედია ცნობილია უძველეს დროიდან, მისი დასაბამი იკარგება ისტორიის წინა ხანების სიღრმეში. ქართლის ცხოვრების გადმოცემით, ქართლოსის ძმას – ეგროსს ერგო “ქვეყანა ზღვის ყურისა”. მან აღაშენა ქალაქი და უწოდა მას სახელი თვისი ეგროსი (ქარ. ცხ., წ. 1, გვ. 17. ბროსეს გამოცემა<sup>106</sup>). ეგროსის შთამომავლობაში მემკვიდრეობით გადადიოდა ამ მხარის მართველობა, თუმცა დამოკიდებულნი იყვნენ მცხეთის მამასახლისისაგან. მართალია, მუდამ სცდილობდნენ მოეპოებიათ დამოუკიდებლობა, ხშირათ კიდევაც აღწევდნენ სურვილის აღსრულებას და სწყვეტდნენ მცხეთის მამასახლისთან კავშირს,

---

<sup>106</sup> ბ. მოსე ჯანაშვილის გამოანგარიშებით, ეს მოხდა მეოცდაერთე საუკუნეში ქრისტეს წინ (იხ. მისი საქარ. ისტორია ტ. 1, გვ. 2 და 371).

მაგრამ ბოლოს ამ უკანასკნელმა მაინც მოახერხა საფუძვლიანათ დაეპყრო ეგრისის ნაწილი მდინარე ეგრის წყლამდე (ღალიძგა). რაც შეეხება ეგრისის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობდა ეგრისის წყლის ჩრდილო-დასავლეთით,ის დროებით გადავიდა ბერძნების ხელში.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რა დროს უნდა მომხდარიყოს ეს ბერძნებისაგან პირველად დაპყრობა ეგრისის ნაწილის, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს უნდა მიეწეროს იმ დროებას, როდესაც გაჩნდნენ შავი ზღვის კიდეებზე ბერძნების ახალშენები. ცნობილია, რომ ჯერ ფინიკიელებს ჰქონდათ შავი ზღვის ნაპირებზე თავიანთი სავაჭრო ფაქტორები, მაგრამ VII-VI საუკუნეებში ქრისტეს წინეთ ფინიკიელების ადგილი დაიჭირეს ბერძნებმა. მაშასადამე, ბერძნებისაგან დროებითი პირველი დაპატრონება ეგრისის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილისა უნდა მომხდარიყოს დაახლოებით ამ დროებში.

უფრო ნამდვილი და ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული ცნობები ბედიის შესახებ იწყება მესამე საუკუნიდან ქრ. წინეთ. საქართველოს პირველი მეფე ფარნაოზმა (301-237 ქრ. წ.) დაიპყრო მთელი საქართველო ეგრისის წყლამდის და ეგრისში დასვა ერისთავადა ქუჯი, რომელსაც მიათხოვა ცოლად თავისი და (ibid. 1,31). ამ ერისთავმა ეგრისის ქალაქს უწოდა ბედია, ვინაიდან ჰპოვა ბედი (ibid. II, 177).

ქუჯის შემდეგ ბედიის ერისთავად იყო მისი შვილი, რომლის სახელი ქართლის ცხოვრებას მოხსენებული არა აქვს და რომელსაც მეფე საურმაგმა მიათხოვა თავისი ქალი (ibid. 1,33). შვილის შვილი ამ

ერისთავისა ადერკი არშაკის შემდეგ გახდა ქართლის მეფეთ (ibid. 37) და მეფობდა მეორე წლიდან ქრისტეს დაბადებამდე 55 წლამდის ქრ. შემდეგ. ამან განდევნა ბერძნები, დაიპყრო ეგრისის ის ნაწილი, რომელიც ბერძნების ხელში იყო დარჩენილი მცირე ხაზარეთის მდინარემდის. ამან აღმართა დევნულება იმ ქრისტიანე მეგრელების წინააღმდეგ, რომელნიც მოაქციეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა (ibid 46). ამ დევნულების დროს იწამა ეს უკანასკნელი, როგორც მოგვითხრობს გადმოცემა, ქალაქ ნიკოპსში, რომელიც მდებარეობდა “შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა” (ibid. 47), ჩრდილოეთით აწინდელ ტულაპსისა, ნეგოპრუხოს ხეობაში (კონსტანტინე მოწითმოსილი: «О Фемах и народах» გვ. 135).

უნდა ვიფიქროთ, რომ ადერკის გამეფებას ბედიის საერისთავოსთვის ბოლო არ მოუღია, თუმცა ქართლის ცხოვრება ამის თაობაზე არას გვეუბნება. მეფე ამხასპი II დროს (182-186) ქართლის ცხოვრება იხსენებს ორს ეგრისის ერისთავს(1,55), რომელთაგან ერთი, უეჭველია, იქნებოდა ბედიის ერისთავი. მაგრამ შემდეგ ამხასპისა აფხაზეთის მეფის ლეონ II დრომდე არა გვაქვს ბედიის საერისთავოზე არავითარი ცნობა. ამ ხნის განმავლობაში ქართლის ცხოვრებაში ხშირათ იხსენიება ეგრისი, როგორც ნაწილი საქართველოს სამეფოსი (ნაწ. 1, გვ. 61, 64, 106, 112, 150, 172, 174, 175, 180, 184 და სხ.), მაგრამ ის გარემოება, რომ არსად იხსენიება ბედიის ერისთავი, გვაფიქრებინებს, რომ ის, როგორც დამოუკიდებელი არ უნდა ყოფილიყო და დასავლეთ საქართველო ანუ ეგრისი იმ ადგილამდის,

“სადაც წარწუთების წვერი კავკასიისა”, ე.ი. მცირე ხაზარეთის მდინარემდის (ყუბანი), უნდა შესულიყო ქართლის მეფეების პირდაპირ მფლობელობაში.

ასე უნდა ყოფილიყოს ვახტანგ გორგასალის დრომდის, როდესაც “სიმცირესა შინა” მისსა მიუღეს საქართველოს ეს ნაწილი, “გარნა მერმე ვახტანგვე მიუღო მკლავითა თვისითა ბერძენთა ჯიქეთი აფხაზეთითურთ” (ქართლ. ცხ., II, 177).

ასევე მოხდა სტეფანოზის მეფობის დროსაც (634-663), როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ მოგლიჯა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდინარე ეგრისის წყლამდის (ibid. 178). რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველობამ ისევ დაიბრუნა ამ წართმეული ტერიტორიის ერთი ნაწილი და საქართველოს სამეფოს საზღვრათ ღალიძგის (ეგრისის წყლის) მაგიერათ ხდება მდ, კლისურსა (აწინდელი კილასურა — ibid. 1,180).

VII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის ერისთავები ხდებიან მემკვიდრეობით მმართველებად ამ მხარისა. მეფე არჩილი, დევნილი მურვან ყრუსაგან, თავს შეაფარებს ანაკოფიას, სადაც ამ დროს იყო რეზიდენცია აფხაზეთის ერისთავებისა, მიათხოვებს აფხაზეთის ერისთავს ლევან I-ს თავის ძმის მირის ქალიშვილს – გურანდუხტს, აღიარებს მას მემკვიდრეობით ერისთავად, უთმობს მას მთელს დასავლეთ საქართველოს ლიხის მთის იქით, რომ განაგოს იგი ქართლის მეფეების უფროსობით.

ლევან I-ის შემდეგ ერისთავდება მისი ძმისწული ლევან II (806). ის გამოაცხადებს თავის თავს დამოუკიდებელ მეფეთ მთელი დასავლეთი

საქართველოსი ლიხის მთიდან ხაზარეთის მდინარემდის, განკარგულებას ახდენს ამიერიტგან ამ მხარეს ეწოდებოდეს აფხაზეთი და არა ეგრისი (ibid. 47). ამ დროიდან ბედია სამუდამოთ ჰკარგავს თავის მთელ სახელწოდებას — ეგრისს და იხსენიება ყოველგან მხოლოდ ბედიის სახელით. ლევან II გაყო მთელი თავისი სახელმწიფო რვა საერისთავოდ, რომელთა შორის დაარსებულ იქნა: აფხაზეთის<sup>107</sup>, ცხომის<sup>108</sup> და ბედიის<sup>109</sup> საერისთაონი..

მეათე საუკუნის მიწურულში ბედიამ თავისი მდებარეობის სიმშვენიერით მიიქცია მეფე ბაგრატ მესამის ყურადღება. ის მან გახადა ერთ თავის რეზიდენციათაგანათ. აღაშენა იქ დიდებული ტაძარი, დანიშნა ის თავის სამარხ ადგილათ, დააწესა მღვდელმთავრის კათედრა და ამით აღამაღლა ბედიის მნიშვნელობა მთელ საქართველოში. შემდეგ მეფეების დროს ბედია ისევ ეცემა, რადგან რეზიდენცია გადატანილ იქნა ქუთაისში, ის რჩება მხოლოდ

---

<sup>107</sup> საერისთაოში შედიოდნენ აფხაზეთი და ჯიქეთი ხაზარეთის მდინარემდის 3 ქართლის ცხოვრება, 2, 178). რეზიდენცია ერისთავისა, უნდა ვიფიქროთ, იმყოფებოდა ქ. ნიკოპსში, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთით აწინდელის ტულაპსისა, აფხაზეთის და ჯიქეთის შუა (ibid. 1,47). აფხაზეთს მაშინ ეკავა შავი ზღვის პირი სოტირიოპოლიდან (ბიჭვინთა) ნიკოპსამდის (კოსტ. ძოწითმოსილი, მისი მოხს. თხზ., 153)

<sup>108</sup> რეზიდენცია ქ. ცხუმი (სოხუმი). ამ საერისთავოში შედიოდა აწინდელი აფხაზეთი ანაკოფიით და ალანეთით – მდ. ეგრის წყლიდან ბიჭვინთამდის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაგრამდის (იხ. ქართლის ცხოვრება, 11, 178)

<sup>109</sup> რეზიდენცია ქ. ბედია, სამზღვრები – მდინარენი ეგრის წყალი და ცხენის წყალი (Ibid.).



სამეგრელოს მთავართა რეზიდენციათ და სამღვდელმთავრო კათედრად.

ბედიის ერისთავები, როგორც მმართველნი მთელის ოდიშისა ანუ სამეგრელოს, იწოდებოდნენ ოდიშის ერისთავებათ (ვახუშტის ისტორია, ბაქრაძის გამოცემა — 197), მაგრამ თვითონ ბედიასაგანაც შეირჩინეს ტიტული — ბედიელი ან ბედიანი (საქ. ისტორია ბროსესი, ქართ. გამოცემა, ნაწ. 1, 163). თამარ მეფემ ოდიშის მმართველად დანიშნა დადიანი<sup>110</sup>, რომლის შთამომავალნი პირველად იყვნენ მემკვიდრეობითნი ერისთავნი, ხოლო შემდეგ კი, 1867 წლამდე იწოდებოდნენ სამეგრელოს მთავრებათ.

მიუხედავათ ამისა, ტიტული ბედიანი ანუ ბედიელი ამ ერისთავებს შერჩათ XV საუკუნემდის როგორც ამას ადასტურებენ ქართლის ცხოვრება და თამარის წინა დროებში დადიანები იყვნენ ყარსის მხარის მმართველნი (გეოგრაფია ვახუშტისა, გვ. 90)<sup>111</sup>.

ძველი წარწერა-მინაწერები<sup>112</sup> კათოლიკეთა მისიონერები (მღ. მ. თამარაშვილი. კათოლიკობა

---

<sup>110</sup> ვახუშტის გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 30. დადიანების გვარზე ცნობა არ არის შენახული. ბაქრაძის აზრით, ისინი მიმდინარეობდნენ ვარდანძეთა გვარიდან (Археологическое путешествие по Гурии и Адчаре М. Бакрадзе. СПб, 1878г.), გვ. 111-112 და 268 და 269). ვახუშტის თქმით, დადიანი გვარი არის “არამედ წესი ხელობისა”.

<sup>111</sup> ქართ. ცხოვ., 1,340,344,375 და 449. დავით ნარინის დროს ოდიშის ერისთავი იწოდებოდა ბედიელათ; ის “იყო კაცი კეთილი, დროსა ამისა არა იპოვებოდა მპარავ-ავაზაკი ოდიშს” (ვახუშტის ისტორია, მოხს. ზ. გვ. 244).

<sup>112</sup> კონდაკოვი და ბაქრაძე. Описание памятников древности, 78, 80-82 და 86; ბროსე. Bagage arch pad. VIII, 43-45 და 94; ჟორდანიას. ქრონ., II, 132 და სხვა.).

საქართველოში, (გვ. 51, 58 და 62) და ევროპიელი მოგზაურნი XVY საუკუნისა იოსებ ბარბარო<sup>113</sup> და ამბროსი კონტარინი<sup>114</sup>. განსხვავება ერისთავების ახალ დინასტიის ტიტულში იმაში მხოლოდ გამოიხატებოდა, რომ უწინდელ სახელწოდებას ემატება ახალი ტიტული ყარსისა და იწოდებიან ბედიან-დადიანებათ (ბროსეს ხსენ. ისტორია, გვ. 193).

როდის მიატოვეს ოდიშის დადიანებმა თავისი ძველი რეზიდენცია — ბედია და გადავიდნენ ზუგდიდში ძნელი სათქმელია. პლ. იოსელიანი გვარწმუნებს, რომ ბედია იყო რეზიდენცია სამეგრელოს მთავრებისა 1650 წლამდის და რომ ამ წლის ახლო დროებში სამეგრელოს მთავარი ლევან I გადავიდა საცხოვრებლად ზუგდიდში, რომელიც თან დააარსაო (Города существовавшие и существующие в Грузии, გვ. 35. სხოლიო). მაგრამ ამ სიტყვებში ცხადი ანაქრონიზმია, რადგან ამ დროს სამეგრელოში მთავრობდა არა ლევან I, არამედ ლევან მეორე (1611-1657). ჩვენ ვიცით, რომ ზუგდიდი დადიანების რეზიდენციათ იყო 1650 წლის ადრეც. ის მოხსენიებულია 1573 წელს (ქართლის ცხოვრება, II, 192). მაშასადამე, დადიანების რეზიდენციის გადატანა ბედიდან ზუგდიდში უნდა მომხდარიყოს 1573 წელზე

---

<sup>113</sup> ბარბაროს თქმით, შავი ზღვის პირად ბედიანებს ეკუთვნოდათ ორი დიდი ციხე-ქალაქი: ბათუ (ბათუმი) და საზასტოპოლი (სოხუმი). — Путешествие в Тому Иосифа Барбаро, Венецианскао дворянина, გვ. 46 და 69-70.

<sup>114</sup> Путешествие Амросия Контарини, посла Венецианской республики к персидскому государю группа Асаму, совершенное в 1473г., გვ. 30-36.

ადრე და არა მეჩვიდმეტე საუკუნეში. საფიქრებელია, რომ ეს მოხდა ლევან I დროს (1532-1572). ამ დროიდან იწყება ბედიის დაცალიერება, მისი მნიშვნელობის დაცემა. ამის შემდეგ მან დაიჭირა სამთავროში მეორე ხარისხოვანი ადგილი (Pap, VIII, 94).

ძველ დროებაში ბედია ითვლებოდა საბერძნეთის ახალშენათ<sup>115</sup> მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქი ეკუთვნებოდას ბერძნებს. ჩვენ ვიცით, რომ ეგრისის წყლის იქით მხარე არასდროს არ შედიოდა ბერძნების სამფლობელოში, გარდა ზოგიერთი ზღვის პირზე მდებარე სავაჭრო ადგილებისა. ბედია კი მდებარეობდა არა ზღვის პირად, არამედ შუაგულში მჭიდროდ დასახლებული კუთხისა ღალიძგის (ეგრისის წყლის) აღმოსავლეთით. ამის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბედია ბერძნების ქალაქად არასდროს ყოფილა. ის, როგორც რეზიდენცია ადგილობრივ მთავართა, მუდამ გვეკუთვნოდა ადგილობრივ მკვიდრ ხალხს, უხსოვარ დროიდან არსებული ბედიის ქალაქი მდებარეობდა შუაგულ იმ მხარისა, რომელიც განთქმული უნდა ყოფილიყო თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, მიწის სინოციერობით და მოსავლიანობით. ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ დროებაში. ამისთვის, უეჭველია, მოვაჭრე ბერძნებს ექნებოდათ ხშირი მიმოსვლა ამ მხარეში, ექნებოდათ ბედიაში თავისი საწყობები, სადაც ინახებოდა მათგან აქ ნაყიდი ქვეყნის სიმდიდრე და ნაწარმოები, სანამ არ დადგებოდა მოხსენებული დრო,

---

<sup>115</sup> ბერჟე. Кавказ в Археологич. отношении, გვ. 4; დ. ბაქრაძე. ვახუშტის ისტორია 33, სხოლო 2; მისივე – საქართველო, პირველი რვეული — 72; პლატ. იოსელიანი. მოხ. თხზ. და სხვა).

რომ გადაეზიდათ ნაყიდი ილორში, რომელიც იმყოფებოდა ზღვის პირად, და შემდეგ ზღვით საბერძნეთში.

როდის დაეცა ბედიის მნიშვნელობა, როგორც საჭირო ქალაქისა, დანამდვილებით არ შეგვიძლია თქმა, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ბერძნების შავი ზღვის პირზე არსებულ ახალშენე-ბის მნიშვნელობის დაცემისაგან საზოგადოთ და კერძოთ კი ქალაქ ილორისა. ბერძნების ვაჭრობა კლებულობს პირველ საუკუნიდან ქრისტეს წინ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ის ახალშენები დროებით ჩაუვარდა ხელში პონტის მეფე მითრიდატს<sup>116</sup> მიტრიდატის შემდეგ ამ მხარეში თანდათან ძლიერდება რომის იმპერიის გავლენა, ხოლო რომაელების შემდეგ ბიზანტიისა. ბიზანტიისა და სპარსეთის ხანგრძლივ ომების დროს ლაზეთში (განი. Известия Греч. и р. писателей о Кав., ч. II) ახალ შენების კეთილდღეობას ბოლო ედება, მათი სააღებ-მიცემო მნიშვნელობა ეცემა და ამას არ შეეძლო არ ჰქონოდა გავლენა ბედიის ჩამოქვეითებაზე. დაეცა ბედიის მნიშვნელობა როგორც სავაჭრო ქალაქისა არა სამუდამოდ, რადგანაც, როგორც ვიცით, საშუალ საუკუნოებში (XIV-XV საუკ.) აღებ

---

<sup>116</sup> ვესკონტეს რუკაში ილორი იწოდება *Castro corenbodia*, ლუქსორის რუკით (XIV საუკუნის დასაწყისი) – *Coronbedi*, უსახელოსი (1351 წ.) – *Coren bendina*, პიციგანისა (1367 წ.) – *Carbendia*, კატალონისაში (1375 წ.) – *Caponbidio*, პასკვალინისა (1408 წ.) – *Coren b dia*, ბიანკოსაში (1436 წ.) – *Conenbendina*, ბენინკაზისაში (1480 წ.) – *Chorenbendi*, ფრედრუჩესაში (1597 წ.) – *Corenbedi* და მალიორაში (1519 წ.) – *Correbendia* (Топографич. Таблица Вост. берега Черн. моря перепису Безыменнаго и по компас картам. сб. Зап. Од. Общ. Древ. Р. IX, 428).

მიცემობა შავი ზღვის პირებზე ეკუთვნოდათ გენუელებს (Записки Имп. Од, Общ. истории и древностей, ტ. IX, გვ. 158 და 413). ამას ჩვენ გვიმტკიცებენ საშუალო საუკუნის რუკები: ვესკონტისა, ლუქსორისი, უსახელო, პიციგანისა, ლატალანელი, პასკვალინისა, ბიანკოსი, ბენინკაზისა, ფრედრუჩესი და მაიოლოსი, რომელთაგან პირველი შედგენილია 1318 წ., ხოლო უკანასკნელი — 1519 წ. მართალია, ამ რუკებზე არ არის აღნიშნული ბედია, რადგანაც მათზე ნაჩვენებია მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ადგილები, მაგრამ ის გარემოება, რომ ილორის ზღვის პირად მდებარე ნაწილი ამ რუკებში იწოდება *Castro Carenbadia*, ანუ *Corenbadia*-ს სახელით, მოწმობს იმას, რომ ბედიას ჰქონდა დამოკიდებულება ილორთან და მის საშუალებით ვაჭრობა ჰქონდა გამართული გენუელებთან. ეს ბედიის ვაჭრული დამოკიდებულება ილორთან იყო, ალბათ, იმისი მიზეზი, რომ უკანასკნელის სახელწოდებაში გამოისმის სახელი ბედიისა<sup>117</sup>. ამისათვის სამართლიანია ა. ბერჟეს (ტექსტშია – დ. ბერაჟეს – ჯ.გ.) სურვილი, რომ ბედიის მიდამოები გამოკვლეულ იქნეს მიწის თხრით (ბერჟე, *Кавказ в археологич. отношении*, ст. 4). შესაძლებელია, რომ ამნაირ გამოკვლევას მოეცა ჩვენთვის ძვირფასი მასალა ბედიის და მთელი მხარის ისტორიისათვის.

შემდეგ დროის ისტორიიდან ბედიაზე გვაქვს ძალიანი ცოტა ცნობები, ეს არც საკვირველია, რადგანაც

---

<sup>117</sup> Известия греческих и римских писателей о Кавказе, ч. II, 65, 83, 94, 16(?)... Леонид, Абхазия и в ней Ново-Афонский Симонокананитский монастырь (1885)... (многоочиями обозначен поврежденный текст, которого не удалось прочесть – сост.).

XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით კი მისი იმ ნაწილისა, სადაც მდებარეობდა ბედია, წყვილია დით არის მოცული. დასავლეთი საქართველო ამ დროს განიცდიდა შინაურის აშლილობის, მეფე-მთავართა უთანხმოების და გარეშე მტრების მძლავრობის გამო დიდ უბედურებას. პირველათ სამურზაყანოში გაბატონდნენ ოსმალები და ყველაფერი თითქმის გაანადგურეს, რის მეოხებით მრავალი ისტორიული საბუთები მოისპო. უმთავრესი წყარო საქართველოს ისტორიისა “ქართლის ცხოვრება” თითქმის არას გვეუბნება ამ კუთხის შესახებ. რაოდენიმე ცნობებს ბედიის შესახებ გვაძლევენ კათოლიკე მისიონერები და რუსეთის დესპანი ელჩინის მოხსენება, მაგრამ მათი ცნობები უმთავრესად ეხება ბედიის ტაძარს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი ამ წყაროებიდან შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ ლამბერტის ერთის მოწმობით. ის იყო საქართველოში XVII საუკუნის პირველ ნახევარში და, როდესაც მოგვითხრობს იმ ბაზრობაზე, რომელიც იმართებოდა ილორში 10 გიორგობისთვის, შენიშნავს, რომ ილორის შემდეგ ბაზრობით ცნობილი იყო ბედიაცო (ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგ. ჭყონიასი, გვ. 169. XVIII საუკუნის ბოლოს ლევანი შერვაშიძე სწერს ტოტლებენს, რომ მის უფლებაში იმყოფება ციხე ბედია – ბუდაჩუყი (Бутков. Материалы по истории Кавказа, ნაწ. 1, გვ. 284, სხოლოი). ბედიის ციხე მოხსენებულია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც იბრაგიმ ხაშიმის ფირმანში (Аткы, ტ. II, გვ. 872).

ციხე, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, საკმაოდ მაგარი ყოფილა და იცავდა მტრის შემოსევიდან სამურზაყანოს. ეს ციხე და დიდებული ტაძარი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს იყვნენ ერთადერთი მოწმე ეგრისის ერისთავების და სამეგრელოს მთავრების ძველი დიდებისა.

XIX საუკუნის დასაწყისში ბედია მთლად ცარიელდება, ციხე მიწასთან სწორდება, ამაზე ჩვენ გვაქვს მოთხრობა ნ. დადიანისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სამეგრელოს მთავრის ექსპედიციაში ბედიის წინააღმდეგ. ეს ექსპედიცია გამოწვეულ იყო შემდეგი გარემოებით. 1811 წელს იმერეთს, სამეგრელოს და გურიას ეწვია საშინელი მომასრული სენი — ჟამი. ამასთან ერთად, ანუ შეიძლება, ამ სენის გამო, ჩამოვარდა საშინელი შიმშილობა. სენი, როგორც სჩანს სორის ერთ ხელნაწერის მინაწერიდან, გავრცელებულა აშტრახანიდან ლეხის (ალბათ ლეხის – ჯ. გ.) გზით. ამ უბედურების გამო დაიხოცა მრავალი ხალხი, ბევრი თავზარდაცემულნი სტოვებდნენ თავის სახლკარს, გარბოდნენ მთებში და ტყეებში, ბევრი გადაიხვეწა შორეულ ქვეყანაში — სამურზაყანო და აფხაზეთში, რადგანაც ეს მხარე გადაურჩა უბედურებას. ამნაირი უბედურება გაგრძელდა მთელი ორი წელიწადი და, ბერჟეს თქმით, მეტად შეარყია ხალხის მშვიდობა და კეთილდღეობა (Акты арх. к. т. V, Мгვ. III) . ხალხი იმდენად შეშინდა, რომ სენის შეწყვეტის შემდეგაც ვერ ბედავდა დაბრუნებოდა თავის კერას. ამას მიაქცია ყურადღება სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა და მოახდინა განკარგულება, რომ გამოერკვიათ და

მოყვანათ ცნობაში ვინ სად და რამდენი სამეგრელოს მკვიდრი იმყოფებოდა და ბევრიც დააბრუნა. მაგრამ, რადგან კიდევ ბევრი დარჩა სამურზაყანოში სამეგრელოს მკვიდრთაგანი, თვითონ განიზრახა გამგზავრება დარჩენილთა დაბრუნების საქმის საბოლოოდ მოსაწყობად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო ერთადერთი მიზეზი სამეგრელოს მთავრობის ექსპედიციისა: მას უნდა ჰქონოდა მისსიონერული ხასიათი.

საქმე იმაში იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მაჰმადიანობამ იწყო ფეხის მოკიდებ. სამურზაყანოშიც. მაჰმადიანთა მოძღვრების მომხრე-ნი იყვნენ ის თავად-აზნაურნი, რომელნიც შემოვიდნენ ამ მხარეში აფხაზეთიდან. თუმცა გლეხკაცობა მაგრათ იდგა თავის მამა-პაპის სარწმუნოებაზე, მაგრამ თავადაზნაურობის გავლენა მაინც დიდი იყო და არ შეეძლო არ ყოფილიყო, საშიში ხალხის ქრისტიანულ რწმენა-შეხედულებისათვის. ხალხში შედიოდა მაჰმადიანური ზნე-ჩვეულება, რომელსაც მისდევდა თავად-აზნაურნი. მეტადრე სავნო იყო სამეგრელოსათვის ის გარემოება, რომ მაჰმადიანთა გავლენით სამურზაყანო-აფხაზეთში მეტად გავრცელდა ტყვეთა გაყიდვა. ამ სენმა ბოლო დროს სამურზაყანოელ თავადაზნაურთა გავლენით და მონაწილეობით იჩინა თავი სამეგრელოშიც. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ორი სამეგრელოს ეკლესიის მიტროპოლიტი – ჭყონდიდისა ბესარიონი და ცაიშისა გრიგოლი.



ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ ამ ექსპედიციის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი უნდა ყოფილიყო მანუჩარ შარვაშიძისთვის დახმარების გაწევა, თუმცა ამის თაობაზედაც ნ. დადიანი არას გვეუბნება. მანუჩარი იყო სიძე ლევან დადიანისა და ამ უკანასკნელისაგან დაინიშნა სამურზაყანოს გამგედ. ბედია ამ დროს იყო ლევან ხუტუნias ძის შერვაშიძის ხელში, რომელიც იმ დროს სამურზაყანოში იყო ძლიერი და გავლენიანი პირი. ამ ლევანს, განსაკუთრებით კი მის შვილს ხუტუნias, ჰქონდა მტრობა მანუჩარ სოლომონის ძე შერვაშიძესთან და არ აძლევდნენ მას თავისუფლად განეგო სამურზაყანოს საქმეები.

პირველში ექსპედიციას ჰქონდა მშვიდობიანი და მარტო მისიონერული ხასიათი. მასში ზემოხსენებულ მეტროპოლიტებს გარდა იღებდნენ მონაწილეობას თვითონ მთავარი ლევან დადიანი, ნიკოლოზ დადიანი, მანუჩარ შერვაშიძე და სხვანი. ექსპედიცია დაბინავდა სოფ. სახახუბიოში (ნ. დადიანისით ხახუბისი), რომელიც იყო ბედიის საზოგადოებაში. აქ ხუტუნiam შეუჩინა კაცი მანუჩარ შერვაშიძეს, დასცეს მას მძინარეს ხანჯალი და მოკლეს “კაცი ღირსსახსოვარი და საქებელი, იმპერატორის პოლკოვნიკი და კავალერი” (ნ. დადიანი “ქართველთა ცხოვრება” — იხ. Описание рукоп. Общ. грам. თაყაიშვილისა, ტ. 1, ნაწ. 1, გვ. 43-44). ლევან შერვაშიძე და შვილი მისი ხუტუნია იყვნენ ოსმალეთის ბატონობის მომხრენი და ამისთვის მოჰკლეს მანუჩარი, რომელიც როგორც გენერალი სიმონოვიჩი<sup>1</sup> და მართებელი რტიშევი მოწმობენ, იყო

რუსების მეტად ერთგული (Акты арх. к., ტ. V, გვ. 480 და 499).

დამნაშავეთა დასასჯელად ლევან დადიანმა შეკრიბა ჯარი, გარემოიცვა ბედიის ციხე, მაგრამ მისი აღება არც ისე ადვილი იყო. ნ. დადიანის თქმით, „ციხე ბედიისა მაგარი (იყო) და ქებული და არავის აუღია იგი ძალისა შემოდგომითა და ლევანიცა იდგა მომზადებული მას შინა” (ibidem). მთავარმართებელიც ამ ციხეს იხსენიებს, — როგორც მაგარსა და დიდმნიშვნელოვანს (Акты, V, 499). ამისთვის ლევან დადიანიც რიგიანად მოემზადა ციხის ასაღებად. მან მოიწვია მოსახმარებლად იმერლები, გურულები და რაოდენიმე რუსის მხედრობათაგანნიც. იმერლების ჯარს წინაუძღოდნენ ზურაბ წერეთელი და სეხნია წულუკიძე, ხოლო გურულებს — გურიელის ბიძა დავითი და ვახტანგი როსტომის ძე ერისთავი. როდესაც ლევან დადიანის მხედრობა მიუახლოვდა ბედიის ციხეს, და დაიწყო საფრების ამართვა და ზარბაზნების დადგმა, ხუტუნია მიხვდა, რომ საქმე სახუმარო არ არის, არ ძალუძთ წინააღმდეგობა და გაიქცა წებელდაში, ხოლო ლევან შერვაშიძემ ციხე გადასცა სამეგრელოს მთავარს. მთავარმა შეიბრალა ლევან შერვაშიძე და მისი მეუღლე ინალიშვილის ქალი მოხუცებულობის გამო მათის და მისცა მათ სარჩოსაცხოვრებლათ სიკვდილამდე სოფ. ფახულანი. შემდეგში ხუტუნიაც იქნა დატყვევებული და დაპატიმრებული მურის ციხეში. ერთი წლის შემდეგ, ზურაბ წერეთელის თხოვნით, გათავისუფლებული იქნა ციხეში დამწყვდევისაგან, ორი წელიწადი სცხოვრობდა ზურაბ წერეთლის სახლში და შემდეგ,

ზურაბ წერეთელისვე თხოვნით, მთავარმა აპატია დანაშაული, დაბრუნდა სამურზაყანოში და მისცა მას და მის ძმებს ნახევარი ს. ბედიისა, ხოლო მეორე ნახევარი ზურაბი ბოლიხურუს (ბოშიხურე?) ძე შერვაშიძეს.

ბედიის ციხე, ლევან დადიანის ბრძანებით, ნ. დადიანმა განაახლა და ჩააყენა მაშინ მეციხოვნეთ თავადი გიორგი პეტრეს ძე მხეიძის უფროსობით (ნ. დადიანი, მოხ., გვ. 44-47). ამის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა გენ. სიმონოვიჩმა, რომელიც თავის მოხსენებაში 1814 წ. სწერდა მთავარმართებელს რტიშევს, რომ ბედიის ციხის აღება და დასჯა ბედიის ბატონ-პატრონთა ღირსშესამჩნევი ღვაწლია მთავრის ლევან დადიანისაო (Акты, т. V, 480). ამნაირივე დიდმნიშვნელოვან მოვლენათ მიაჩნია ლევანის გამარჯვება რტიშევსაც (ibid. 498).

ამით თავდება უკანასკნელი გვერდი ქალაქ ბედიის ისტორიისა, მისი თანდათანობით დაცემისა და დაცარიელებისა და ამის შემდეგ ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე ცნობებს ბედიის დიდებული ტაძრის ისტორიიდან.

## II

### ბედიის ტაძარი

ბედიის ტაძარი აშენებულია ვლადიკავრიის ღვთისმშობლის სახელზე მეათე საუკუნის მიწურულში

მეფე ბაგრატ მესამის მიერ<sup>118</sup>, რომელიც აქვე იქმნა დასაფლავებული ზვიად ერისთავისაგან. ქართლის ცხოვრების მოწმობა იმის შესახებ, რომ ტაძარი აშენებულია ბაგრატ მესამის მიერ, აკადემიკოს ბროსეს მიაჩნია საეჭვოთ და გვარწმუნებს, რომ ამის თაობაზე არას გვეუბნებიან უტყუარი საბუთებით (ბროსე. მოხს. მისი ისტორია საქართველოსი, I, 131). მაგრამ ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ ქართლის ცხოვრების ცნობები ღირსია ნდობისა, რადგან ქართლის მატთანეთა შედგენა მიეწერება თანამედროვე პირებს. ამ შემთხვევაშიაც ქართლის ცხოვრების ცნობა ბედიის ტაძრის აშენების დროზე მტკიცდება სხვა წყაროებითგანაც. დადიანების ქრონიკაში 999 წლის<sup>119</sup>

---

<sup>118</sup> ბაგრატ მფობდა 980-1014 წლებში. ბაგრატის მიცვალების თარიღად დ. ბაქრაძემ 1865 წ. შეცდომით მიიღო — 1008 წ. (Акты, т. V, 1007) და ამ შეცდომას იმეორებენ ის სიძველეთა მკვლევარნი, რომელნიც ვერ იცნობენ ქართულ წყაროებს (Павлинов. Материалы по арх. Кав., вып. III გვ, 26 და Ольга Ермакова. «О Бедийском храме», გამ. 1913 წ., გვ. 5). ბაგრატ III სიკვდილი, ვახუშტის მოწმობით, მოხდა 7 მაისს 1014 წლისა (ვახუშტის ისტორია, ბაქრაძის გამოცემა, გვ. 144). სხვა ცნობებით ის მიიცვალა ქორონიკონსა სლდ-სა, თვესა მაისის 8, დღესა პარასკევსა (ჟორდანია, ქრონიკები I, 150 და ქართლის ცხოვრება, დედოფალ მარიამის ვარიანტი, გვ. 246). ქორონიკონი სლდ უდრის 1014 წ., ხოლო ამ წელს 7 მაისი მართლაც პარასკევს მოდიოდა (ქრ. I, 150, სხოლიო 21). ამას ეთანხმება ბროსეც (ხსენ. მისი ისტორია, I, 132). ბაქრაძემაც თავის უნებლიეთი, ალბათ, შეცდომა შემდეგში შეასწორა (იხ. ვახუშტის ისტორიის დამატება, გვ. 236).

<sup>119</sup> Pპლ. იოსელიანი ამბობს, რომ ბედიის ტაძარი აშენებულია 1013 წელს (Города, суш. в Грузии, გვ. 35), ხოლო მღვდელი პ. კარბელაშვილი მის აშენებას დასდებს 1002-1012 წლებში (იერარქია საქ. ეკლესიისა, გვ. 60), მაგრამ არც ერთ მათგანს ამის

ქვეშ მოხსენებულია, რომ ეს ტაძარი აშენებულია ბაგრატ გურგენის ძისაგან (თ. ჟორდანია. ქრ. I, 137). ამასვე ამოწმებს ილორის ეკლესიაში, დაცულ ბედიის ბარძიმის წარწერაც, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბარძიმი შეუწირავს ბედიის ტაძრისათვის ბაგრატს და დედასა მისსა გურანდუხტს.

ბედიის ეკლესია ერთი უუმშვენიერესი ტაძართაგანი იყო მთელ საქართველოში, როგორც ამას გვეუბნება ბაქრაძეც (ვახუშტის ისტორია, 144-145, სხოლიო). ეკლესიის არ აღდგეს აღწერა ჩვენ გვაქვს მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების გამოცემებში. შრომა ეკუთვნის ა.მ. პავლენკოვს. მისი სიტყვით, ტაძარი წარმოადგენს ნიმუშს წმიდა ქართული არქიტექტურისას.

ამ ტაძრის გეგმა და მოხაზულობა, როგორც გვარწმუნებს პავლენკოვი, მან აღადგინა შეუცდომელად და ვისაც უნდა ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდეს ბედიის ტაძრის არქიტექტურულ სიმშვენიერეზე, შეუძლია მიმართოს ამ მეცნიერის შრომას (Материалы по археологии Кавказа, вып. III, გვ. 27-29).

ბაგრატ მესამემ განიზრახა ბედიის ტაძარი გაეხადა თავის სამარხ ადგილად და ამისათვის არ დაზოგა თავისი შრომა, რომ ის მდიდრულად შეემკო და ქონებრივათაც უზრუნველყო, ვახუშტი სწერს, რომ მეფემან ბაგრატ აღაშენა ბედიის “ეკლესია დიდი, დიდმშუენიერ, გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა

---

დამამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავს. დადიანთა ქრონიკის აღმოჩენის შემდეგ ბედიის ტაძრის აშენების დრო საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

დიდითა ფრიად” (გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 400). ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, რომ ბაგრატ მეფემ ბედიის ტაძარი “განასრულა ყოვლითა განგებითა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა” და იმდენათ მდიდრულათ იყო შემკული, რომ დასძენს: “უკეთუ ვინმეს ენებოს განცდად და გულის ხმის ყოფად სიმაღლისათვის და დიდებისა მეფობისა მისი, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულისხმა ჰყოს და ცნოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხვა მეფე მსგავსი მისსა ქვეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასაო” (ქარ. ცხ., 1,211). თვით XVII საუკუნეშიაც კი ბედიის ტაძარი ბრწყინავდა სილამაზით, კეთილშენობით და ძველებურის მოხატულობით, როგორც ამას გვეუბნება დომინიკელი პატრი იოანე, რომელმაც მოიარა შავი ზღვის სანაპიროები და 1629 წ. ინახულა ბედიაც (მღვდ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902 წ., ტფილ., გვ. 147). ბაგრატ მეფემ გააუქმა გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა და გადაიტანა იგი ბედიამი.<sup>120</sup> აქ იზადება კითხვა სად იყო ეს გუდაყვა, სადაც მეთუ საუკუნის ბოლომდის არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა? მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტი გუდაყვის სახელწოდებას გადმოგვცემს სიტყვით “გუდი~სი” (გვ. 245), რომელიც უქარაღმოდ უნდა იკითხებოდეს სიტყვით “გუდავისი”. სოფ. გუდავაში ოქუმ-წყალის მარცხენა ნაპირზე ზღვიდან ერთის ვერსის მოშორებით არის ნანგრევები

---

<sup>120</sup> ქართლის ცხ., 1, 211., აქ ნათქვამია: “მეფემან ბაგრატ ალაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საეპისკოპოზოდ, მოსცვალა მუნ გუდაყვის საეპისკოპოზო”.

ეკლესიისა და სხვა შენობებისაც, რომელთა შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი. ჩვენის აზრით, აქ უნდა ყოფილიყოს გუდაყვის კათედრა.

გუდაყვის კათედრის გადატანა ბედიამი უნდა ყოფილიყო შედეგი საქართველოს სამეფოს აღორძინებისა, რომელსაც მოყვა საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაცია. შავი ზღვის სანაპიროები მოფენილიყო ბერძნების ახალშენებით, რომელთა მეოხებით ბერძნები აწარმოებდნენ ალებ-მიცემას ქართველ ხალხთან. ზოგიერთ ამ ახალშენებში მათ დააარსეს სამღვდელმთავრო კათედრები — ახალშენებში მყოფ ბერძნების რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დასავლეთ საქართველოს ეკონომიურად დამოკიდებულებას მოყვა ის, რომ ბერძნებმა ეს მხარე დაიმორჩილეს ეკლესიურადაც. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთი საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. თუმცა ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთი ნაწილი სამეგრელოსი — აწინდელი იმერეთი და გურია — ეკლესიურად განთავისუფლდა თითქმის მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში, მაგრამ სამეგრელოსი იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობდა ზღვის პირად, ეს განთავისუფლება მოხდა უფრო გვიან. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ საქართველოს ნაწილებს ეპატრონებოდნენ ბერძნები. ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ აქ ეკლესიის ნაციონალიზაცია და გამოყოფა მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან მოხდა უფრო გვიან, — მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი საქართველო გაერთიანდა,

როდესაც დაეცნენ ბერძნების ახალშენები შავი ზღვის სანაპიროებზე. საქართველოს პოლიტიკურად აღორძინებას მოყვა საქართველოს ეკლესიის აღორძინებაც, მისი ნაციონალიზაცია. ამის შედეგი იყო ბერძენ ეპისკოპოსთა კათედრების გაუქმება და ახალი კათედრების დაარსება ქართველი ეპისკოპოსებით.

ბედიის მღვდელმთავარი ცნობილი იყო ბედიის და ოდიშის მიტროპოლიტის ანუ მოკლეთ ბედიელის სახელით. მის სამწყსოს შეადგენდა ის ნაწილი სამურზაყანოსა, რომელიც, ვახუშტის თქმით, მდებარეობდა დადის წყალის (ერიწყალი) და მოქვი წყალის შუა (გეოგრაფია — 400). ჩვენი აზრით, აქ ვახუშტი შემცდარი უნდა იყოს და ბედიელების **სამწყსოს** აღმოსავლეთის სამზღვარი უნდა ყოფილიყო მდ. ენგური. საქართველოს 40 მღვდელმთავართა შორის ბედიელს ეჭირა მე-26 ადგილი და მეფის კურთხევის დროს დგებოდა ცხუმელზე დაბლა (დ. ბაქრაძე *Кавказ в древних памятниках христианства*, გვ. 6).

ბედიის ტაძრის მამულების შესახებ არა გვაქვს ცნობები; მხოლოდ ქართლის ცხოვრებიდან (I, 211) ვიცით, რომ ბაგრატ მეფემ შესწირა მას “სოფელნი მრავალნი, ყოველთა ხევთა და ადგილთა” და აქედან ცხადია, რომ ტაძარი მდიდარი ყოფილა ადგილმამულით..

ა.მ. პავლენკოვი სამხრეთის კედელზე დარჩენილ ფრესკების მიხედვით დაასკვნის, რომ მთელი ტაძარი მოხატული იყო (Матер. по арх. Кавказа, III, 28). ამის მტკიცება მეცნიერისაგან ზედმეტიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დარჩენილი ფრესკების გარდა ამაზედვე



გვეუბნება დომინიკელი იოანე, რომელსაც ბედია დაუთვალა იერებია 1629 წელს. ის გვეუბნება, რომ ბედიაში არის მშვენიერი, ძველებური **მხატვრობით შემკობილი ეკლესია** (მღ. მ. თამარაშვილი. მოხსენებული თხზ., გვ. 147).

ტაძრის კედლებზე დარჩენილია შემდეგი წარწერები: ა) აღმოსავლეთის მხარეს კუთხის ერთ ქვაზე ხუცურად: “წო ღთის მშობელო მეზ ექმნ წა ამას საყდარ ამშენებელს გლტოზთა უზცს, სმწს”, რაც უქარადმოდ წაკითხული უნდა იქმნას ამნაირად:

“წმიდაო ღვთის მშობელო, მეოხ ექმენ ამის საყდრისა აღმშენებელს გალატოზთა უხუცესს სიმონს”.

ბროსეს აზრით, დასავლეთის კარის ბჭეზე უნდა ყოფილიყო წარწერა იმაზე, თუ ვისი ბრძანებით აღაშენა სვიმონმა დიდებული ტაძარი, მაგრამ დროთა განმავლობას წარუშლია ამნაირი წარწერა (Brosset. Rap. VIII, 91).

ბ) ტაძრის შიგნით სამხრეთის კედელზე ფრესკებით წარმოდგენილია დედაკაცი და მის მარცხნივ ახალგაზრდა მამა-კაცი. მათზე აწერია: “დეოფალთ დეოფალი მარის. ძე მათი ე`თ ე`თ (ერისთავთ ერისთავი) და მანდატურ უხუცესი დადიანი გ`ი (გიორგი)”. მარისის მარჯვნივ უნდა ყოფილიყო დახატული მისი ქმარი, მაგრამ წაშლილია. ამავე კედელზე აკად. ბროსეს უნახავს ფრესკები წმიდათა: მაკარის, თეოდორესი, თომასი და მელანიასი (ibid. 92).

ჩრდილოეთის კედელზედაც ზემოთხსენებულ ფრესკების პირდაპირ ბროსეს შეუნიშნავს ერთი ქალისა და ორი მისი ქალიშვილის (ერთი მცირეწლოვანი

ყოფილა) სახე, მაგრამ მათზე წარწერა ვერ ამოუკითხავს. იმავე კედელზე ყოფილა დახატული ქალი, რომელზედაც ხუცურად ეწერა: “ქორდაბ” (ibidem).

გავარჩიოთ ეს წარწერები. ისტორიული წყაროებიდან ჩვენ ვიცით სამი დადიანი გიორგის სახელით: გიორგი I, ცხოვრობდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია იმით, რომ ის სამეგრელოს მთავრებში პირველი განუდგა იმერეთის მეფეს, დაიმორჩილა ცხომის საერისთაოც და გახდა დამოუკიდებელი მთავარი ოდიშისა ანაკოფიამდე (ქართლის ცხ., II, 182), მიიცვალა 1323 წელს<sup>121</sup>.

გიორგი II ცხოვრობდა იმავე საუკუნეში, იყო შვილისშვილი გიორგი I-სა და დადგენილ იქნა დადიანად მეფე გიორგი ბრწყინვალის მიერ 1345 წ. მისი მამის-მამიას სიკვდილის შემდეგ (ქარ. ცხ., I, 450, II, 183, ქრონიკები, II, 181).

გიორგი III ცხოვრობდა XVI საუკუნეში და მიიცვალა 1584 წ. (ქ. ცხ., II, 245). ბროსეს აზრით, ეს უკანასკნელი დადიანი უნდა იყოს ბედიის წარწერის გიორგი (Rap., VIII, 92). დიმ. ბაქრაძე კი გვარწმუნებს, რომ წარწერის დადიანი გიორგი და მეფე კონსტანტინე

---

<sup>121</sup> ქ. ცხ. II, 237; თ. ჟორდანიას ქრ. II, 177 და ბროსე `Rap; VII, 91. თ. ჟორდანიას ცნობა, რომ ეს გიორგი იყო დადგენილი ერისთავად მეფე გიორგი ბრწყინვალისაგან (ქრ. II, 132), უნდა მივიღოთ, როგორც *Lapsus calami*, ვინაიდან ის ცხოვრობდა დავით ნარინის შვილის მეფე კონსტანტინეს დროს, ხოლო გიორგი ბრწყინვალემ დადიანობა უძღვნა გიორგი I-ს შვილისშვილს გიორგი II-ს, რაც მოხდა 1345 წ. (იხ. ვახუშტის ისტ., ბაქრაძის გამოცემა, გვ. 337.

ცხოვრობდნენ XIV საუკუნეში (Кавказ в древних памятниках христианства. сб. Акты, т. V, 1107).

იმისთვის, თუ არ გვექონოდა წარწერები ხობისა და მარტვილის ხატებისა, სადაც ნათქვამია, რომ ბედან დადიანს და მის მეუღლეს **ბესგაი** სურამელის ასულს — ხვაშაგს ჰყავდა შვილი გიორგი (ქრ., II, 130 და 131), თუ არა რწმუნება თ. ჟორდანიასი, რომ ეს გიორგი არის გიორგი I, რომელიც მიიღვალა 1323 წ. (ibid. 132) და რომ ბედის წარწერაში მოხსენებული მარეხი და შვილი მისი გიორგი გულისხმობენ გიორგი II-ს და მის დედას (ibid. 199-200), ჩვენ დავადგებოდით იმ აზრს, რომ მეფე კონსტანტინე და ერისთავთ ერისთავი გიორგი დადიანი იყვნენ თანამედროვენი. მაშინ ბედის ტაძრის რესტავრაციის ისტორია უფრო ადვილი წარმოსადგენი იქნებოდა, მაგრამ ახლა კი ჯერ ჯერობით იძულებული ვართ ბედის წარწერის გიორგი დადიანათ მივიღოთ გიორგი მეორე. ის იყო მძლავრი მფლობელი, მოხსენებულია ჯუმათის მთავარანგელოზ მიხაილ და გაბრიელის ხატის წარწერაში, რომელიც გვეუბნება, რომ გურიელი კახაბერი იყო მისი შვილი (ბაქრაძე. Археол. пут. по Гурии и Адж., გვ. 263 და 264). აქიდან ცხადია, გურია და სამეგრელო ანაკოფიამდე შეადგენდა მის სამფლობელოს. გურიის და სამეგრელოს ამნაირის შეერთებისა გამო დადიანების მფლობელობის ქვეშ გახდა შესაძლებელი ის გარემოება, რომ სამეგრელოს მთავრები წარწერებში, აქტებში და ქრონიკებში ხშირად იწოდებოდნენ დადიან-გურიელებად. ეს, ბაქრაძის აზრით, ამტკიცებს იმას, რომ “როგორც გურიელი, ისე დადიანების პირველი დინასტია წარმომდინარეობდნენ ერთი და იმავე ვარდანიძის გვარიდან, რომელთა

წინაპარნი ჯერ კიდევ მეფე გიორგი II დროს (1072-1089) იყვნენ სვანეთის მთავრებად” (ibid, 268 და 269).

ქორდაბის პიროვნებაზე არა გვაქვს საშუალება ვთქვათ რაიმე გარკვეული. უნდა ვიფიქროთ, რომ ქორდაბი და სხვა პირები, რომელთა ფრესკები იყო მოთავსებული ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე, ეკუთვნიან დადიანების გვარსვე. ამ დასკვნამდე მივყევართ იმ გარემოებას, რომ ბედიის ტაძარი და ვლაქერნის ღვთის მშობლის ხატი ითვლებოდნენ მათთვის საგვარეულო სიწმიდეებათ (ქრონიკები, II, 131-132). ამით, სხვათა შორის, აიხსნება ის გარემოებაც, რომ ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში არის ამნაირი ხსენება: თ`ა ივლისსა ბ. დადებაი სამოსლისაი ყ`დ წმიდისაი ვლაქერნას. ამას დღესა განუწესეთ აღაპი ვარდანს კონსტანტის ძესა და მეულლესა მისსა მარიამს და შვილსა მათსა გიორგის” (ათონის მონასტრის აღაპები 1074 წლის ხელთნაწერიდან, გამ. საეკლ. მუზეუმისა, გვ. 258). ეს ის ვარდან დადიანია, რომელიც ცხოვრობდა თამარ მეფის დროს (ქ. ცხ., I, 269 და 276-281)<sup>122</sup> და უ`დ წმიდა ღვთის მშობლისა სამოსლის დადების დღე “განგებ აღაპად განუწესებიათ მისთვის, ალბათ, როგორც დადიანისათვის” (ქრ., II, 132).

საგვარეულო ტაძრები ჩვეულებრივად შეიმკობოდნენ იმათი ფრესკებით, ვინც ითვლებოდნენ მათი აღმაშენებლად, ანუ განმაახლებლად და ვინც იყვნენ ღირსშესანიშნავნი წარმომდგენელნი მათის გვარისა. მეცნიერნი დაასკვნიან, რომ არსად არ არის

---

<sup>122</sup> 1074 წლის ხელთნაწერში ვარდანის ხსენება შეტანილია შემდეგში, რადგანაც სინოდის ივსებოდა თანდათანობით.

იმდენი სიმრავლე ამნაირის ფრესკებისა, რამდენიც საქართველოს ტაძრებშია (გაზ. «Закавказье», 1913 წ. №248). ამისთვის მისაღები უნდა იყოს ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის ჯგუფი სურათებისა, რომელიც იყო ბედიის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე, წარმოადგენდა დადიანთა გვარის შესანიშნავ პირებს. თუ ეს ნამდვილია, მაშინ ეჭვს გარეშე უნდა იყოს ისიც, რომ აქ იქნებოდნენ დახატულნი ის დადიანებიც, რომელნიც ისტორიაში ნაკლებად არიან ცნობილნი და სამწუხაროა, რომ ისინი თავის დროზე არ იქმნენ აღწერილნი და გადმოღებულნი. ეს აგვიხსნიდა ჩვენ ბევრ რამეს იმისთანას ამ მძლავრ და დასავლეთ საქართველოში დიდი გავლენის მექონე გვარეულობაზე, რაც, ახლა სამწუხაროდ ბურუსით არის დაფარული და უცნობია.

ბედიის ტაძრის ახლოს არის სამრეკლოს ნანგრევები, რომელიც, ბროსეს თქმით, დიდად დაზიანდა უკანასკნელი (ბროსე წერს 1848 წელს) ომის დროს ზარბაზნის ტყვიებისაგან (Rap., VIII, 93).

ამ სამრეკლოს კედელზე ბროსემ 1848 წ. ნახა შემდეგი ორი ხუცური წარწერა:

ა) “. . . . მშნბლისა ნკზ კზ

. . . . და სფრნ ბედიელისა

გნგლიას ძისა შნ ღ`ნ”

უქარაგმოდ: “. . . . მაშენბლისა ნიკოლაოზ კათალიკოზ ... და სოფრონ ბედიელისა გურგულიას ძისა შეუნდვენ ღმერთმან”.

ბ) “წ. ადიდენ მეფეთა მეფე კონსტანტინე ძე დავითისი ა`ნ”.

მეფეთა მეფე კონსტანტინე, იმერეთის მეფე დავითი ნარინის ძე, მეფობდა იმერეთში 1293 და 1327 წლებ შუა, ხოლო კათალიკოზი ნიკოლოზი, რომელმან ალაშენა სამრეკლო, და ბედიელი სოფრომ გურგულიას ძე, ბროსეს აზრით, იყვნენ თანამედროვენი მეფე კონსტანტინესიო (Rap., VIII, 93).

თ. ჟორდანია შესაძლებლად სცნობს კათოლიკოზობის არსებობას იმერეთში XIV საუკ. დასაწყისში და კათოლიკოზ ნიკოლოზის და ბედიელი სოფრომის ცხოვრებასაც დასდებს მეფე კონსტანტინეს დროს (Анх. Католикосы, გვ. 12). მაშასადამე, ყველა აქ მოხსენებული პირების ცხოვრება, გარდა გალატოზთ უხუცესის — სვიმონისა, შესაძლებელია მივაწეროთ XIV საუკ. პირველ ნახევარს და ეს რამოდენადმე გვიადვილებს ბედიის ტაძრის რესტავრაციის ისტორიის გაგებას.

რომ შეიძლებოდეს, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ერისთავთ ერისთავის გიორგის ცხოვრებაც მივაწეროთ ამ დროებს და ჩავთვალოთ თანამედროვეთ მეფე კონსტანტინესი, მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ სამრეკლოს აშენება და ტაძრის რესტავრაცია მომხდარიყო ერთ და იმავე დროს, ე.ი. XIV საუკუნის დასაწყისს, მაგრამ, რადგანაც ჩვენ უკვე მივიღეთ, რომ ბედიის ტაძარში დახატული გიორგი არის გიორგი მეორე დადიანი, რომელიც მართავდა ოდიშს 1345 და 1384 წლებ შუა, ტაძრის რესტავრაციის ისტორია ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ამნაირად. სამრეკლოს აშენება<sup>123</sup>

---

<sup>123</sup> ბროსე ამბობს: “თუ არ ვცდები, აქ არის ნათქვამი სამრეკლოს ან დაარსებაზე, ან რესტავრაციაზე” (Rap., VIII, 93). ჩვენის აზრით, XIV საუკ. მოხდა სამრეკლოს აშენება, ხოლო ტაძრის კი

დაწყებულია მეფე კონსტანტინეს დროს და გათავებულია ტაძრის განახლებით (მოხატვით) მამია პირველის (+1345) სიკვდილის შემდეგ დადიანი გიორგი მეორის დროს. სამრეკლოს წარწერა, რომელშიც მოხსენებულია მეფე კონსტანტინე, მარეხის და მისი შვილი გიორგის სურათებთან ერთად თვით ტაძრის კედელზე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უნდა ადასტურებდეს ჩვენგან გამოთქმულ აზრს. შესაძლებელია, განზრახულება აღმაშენებელთა და რესტავრატორთა იყო იმდენად დიდი, რომ ამის აღსრულებას მოანდომეს ოც წლამდის<sup>124</sup>. ანუ კიდევ უფრო ადვილი წარმოსადგენია, რომ მეფე კონსტანტინეს დროს დაწყებული მუშაობა შეჩერებულიყოს არეულობის გამო. საქმე იმაშია, რომ გიორგი პირველი, როგორც უკვე მოვიხსენეთ, განუდგა მეფე კონსტანტინეს, გამოაცხადა თავის თავი დამოუკიდებელ მთავრად და ამისათვის მეფე კონსტანტინეს არ შეეძლო ჰქონოდა გავლენა ბედიის ტაძრის რესტავრაციის გაგრძელებაზე, ხოლო თვით დადიანი გიორგი გართული იყო ომებში, ერთის მხრით, იმერეთის მეფესთან და, მეორეს მხრით, ცხუმის ერისთავთან, რომლის საერისთაო ანაკოფიამდე დაიჭირა მან. გიორგი I-ს შვილის – მამია პირველის დროსაც, ალბათ, არ მომხდარა, პირველ ხანებში მაინც, დამშვიდება და ამისთვის ტაძრის მოხატვა დასრულდა

---

რესტავრაცია. არა გვაქვს საფუძველი უარვევით პირდაპირი მნიშვნელობა სიტყვისა “აღმშენებელი”, და ვიგულისხმობთ, რომ კათ. ნიკოლოზი და ბედიელი სოფრომ არიან მხოლოდ განმაახლებელნი სამრეკლოსი.

<sup>124</sup> მეფე კონსტანტინეს სიკვდილიდან გიორგი მეორის გადადიანებაამდის გამოდის 18 წელიწადი.

გიორგი მეორის დადიანობის პირველ წლებში, რაც ცხადია იქიდან, რომ ეს უკანასკნელი დადიანი დახატულია ბედიის ტაძრის კედელზე ძალიან ახალგაზრდად.

სამრეკლოსთანვე არის ნანგრევები დიდის შენობისა, რომელსაც ბროსე უწოდებს “საკრებულოდ” (Rap., V III, 94), ხოლო წარწერაში მოხსენებულია “პალატის” სახელწოდებით. ზედა სართული შენობისა, ალბათ, წარმოადგენდა მიტროპოლიტის სადგომს. კარის ზემოთ ქვაზე არის ამნაირი ხუცური წარწერა:

“აღმშენებელი პალატისა ამის,  
ბედიელი მიტროპოლიტი ანტონი  
ჟვანის ძეს შეს . . . ნ”.

ამნაირი იყო წარწერა 1848 წ. ბროსეს ამოკითხვით. ჩვენ პირველად ვნახეთ ბედიის ნაგრევები 1900 წელს. მაშინ წარწერის ბოლო ამნაირად იკითხებოდა: “. . . ანტონი . . . ძეს შეს”. ე.ი. გვარის ამოკითხვა შეუძლებელი იყო. 1912 წელს, როგორც სჩანს იმ შენიშვნიდან, რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ “Сотрудник Закав. Миссии”-ში (№17, 1912 წელი), უკანასკნელი სიტყვის ნაწილებიც (“ . . . ძეს შეს”) ამოშლილია. 1920 წ. ჩემს ბედაში მეორეთ ყოფნის დროს წარწერა ვნახე კიდევ უფრო დაზიანებულად. ეს მოწმობს იმას, თუ როგორ მალე იშლებიან და ნადგურდებიან სიძველენი და ძველი წარწერანი ყოვლისფერის შემმუსვრელი დროის და ადამიანთა დაუდევრობა-შეუგნებლობისა გამო.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვეთქვა რამდენიმე სიტყვა საწინააღმდეგოდ “სოხუმელ არქეოლოგების” იმ აზრისა, რომლითაც ისინი ამტკიცებენ, რომ ცხოვრება



და მოქალაქეობა მიტროპოლიტი ანტონი ჟვანის ძისა ეკუთვნის ვითომ მეთოთხმეტე საუკუნეს (Сотрудник, 1912 წ., №20, გვ. 312 და 313), ვინაითგან ის ცნობილია ისტორიულ წყაროებში. გელათის პერგამენტის სახარებაში ის მოხსენებულია დადიანი მამია III დროს (ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე. Описание памятников древности в храмах и монастырях Грузии, გვ. 42), რომელიც მოკლული იქმნა ჯიქეთში 1532 წელს (ქ. ცხ., II, 188). ილორის კარებიანი ხატზე ის მოხსენებულია დადიანი ლევანი პირველის დროს (Rap., VIII, 96), რომელიც დადიანობდა 1532 და 1572 წლებ შუა (ქ. ცხ., II, 192). ილორის მეორე ხატზედაც იხსენიება ბედიელი მიტროპოლიტი ანტონი. ეს უკანასკნელი წარწერა აკად. ბროსეს ვერ შეუნიშნავს და პირველად ჩვენს მიერ იქმნა ამოკითხული 1900 წელს. აქ მიტროპ. ანტონი მოხსენებულია არა ჟვანის ძეს გვარით, არამედ ჟვანიასი, ამ წარწერაშიაც მოხსენებულია ლევანი დადიანი<sup>125</sup>. ამნაირათ მიტ. ანტონი ბედიის წარწერისა ცხოვრობდა ლევანი პირველის დროს, რომელიც მიიცვალა 1572 წ.<sup>126</sup>.

შეიძლება რამდენადმე მივუახლოვდეთ ამ მღვდელმთავრის სიკვდილის დროს. საქმე იმაშია, რომ

---

<sup>125</sup> აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ჩვენ არა ვართ საბოლოოთ დარწმუნებული, რომ აქ იგულისხმება ლევანი პირველი, ვინაითგან დადიანები ამ სახელით მის შემდეგ იყვნენ (ლევან II +1657, III +1680 და კიდევ ერთი, რომელიც მიიცვალა 1694 წ.). შეიძლება ანტონი ჟვანია იყოს სხვა პირი, რომელიც ცხოვრობდა ერთ ერთ ამ უკანასკნელ ლევან დადიანების დროს.

<sup>126</sup> ლევანი I, ვახუშტით, მიიცვალა 1572 წ. (ქარ. ცხ. II, 244), ხოლო სხვა წყაროებით – 1571 წ.. (ქრონ., II, 414).

ვახუშტის ცნობით (ქ. ცხ., II, 196), მიტროპოლიტი ანტონ ბედიელმა მიიღო მონაწილეობა იმ საეკლესიო კრებაში, რომელიც მოხდა 1565 და 1572 წლებ შუა. ამავე კრებას დაესწრო მისი ერთმოგვარე კირილე ცაიშელი, რომელმაც ანტონის შემდეგ დაიჭირა ბედიის კათედრა (თ. ჟორდანია. *Абхаз. Каталикосы*, გვ. 15-19). აქედან ცხადია, რომ ბედიელი ანტონი ცოცხალი იყო 1565-1572 წლებში, მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, რადგან დადიანი გიორგი III (+1582) დროს მოხსენებულია ბედიელად კირილე ჟვანის ძე (მიტრ. კირილეზე იხ. ქრ., II, 414 და ბროსე *Rep.*, VII, 22 და 28; VIII, 94).

ამნაირად, ბედიის ტაძრის და მის გარშემო არსებულ შენობების აშენების და რესტავრაციის ისტორიაში ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ ხანას: ა) ბაგრატი მესამე არის დამაარსებელი და აღმაშენებელი ტაძრისა, რომელიც მან დაამთავრა 999 წელს; ბ) XIV საუკუნის დასაწყისში მეფე კონსტანტინეს დროს კათალიკოზ ნიკოლოზმა დაიწყო სამრეკლო, რომელიც ტაძრის რესტავრაციასთან ერთად დამთავრდა დადიანი გიორგი მეორის დროს იმავე საუკუნის ნახევრის ახლო ხანებში და გ) ბედიელი მიტროპოლიტი ანტონი ჟვანის ძის დროს XVI საუკუნეში აშენებულია ის პალატი, რომელიც იყო, ბროსეს თქმით, შესაკრებელი ადგილი, ხოლო ბაქრამის აზრით, ტრაპეზი (*Опись памятн.*, 43), ანუ უკეთ ვსთქვათ, სამიტროპოლიტო სასახლე, რომლის დაბლა სართულში იყო სადგომი მიტროპოლიტთა კრებულისა.

ცნობილია ბედიის ტაძრის ერთი გულანი, რომელიც ახლა ინახება თბილისის საეკლესიო

მუზეუმში.<sup>127</sup> ხელნაწერი ქაღალდზე, in folio, 44X37 სანტიმეტრი შეიცავს 993 ფურცელს. ფურცლები შიგ და შიგ აკლია; გადაწერილია ძველი დაზიანებული დედნიდან ხუცურის ასოებით ორ სვეტად ცნობილი კალიგრაფების სიმონი და ამბროსი კარგარეთელთაგან და დიაკონის გაბრიელი ლომსიანიძისაგან XVI საუკუნის ბოლოს.

### გულანის შინაარსი

1. რიგის სახარება და სამოციქულო. თავები ნაჩვენებია იმ სახარებათა საჩვენებლების თანახმად, რომელნიც გადაწერილია მეათე საუკუნემდე.

2) სახარება-სამოციქულოთა საკითხავები დიდი მარხვისა.

3) იგივე საკითხავები დღესასწაულებისა.

4) “დასდებულნი აღდგომისანი რვათავე ხმათა ზედა უფალო ღალად ვყავსა”.

5) თუენი.

6) “სვინაქსარი, რომელ არიან კრებანი... და განგებანი წ“თა მღვდელთ მოძღვართა მიერ, რომელსა შინა წერილ არს ეკლესიის საწელიწადო განგება”.

7) მარხვანი.

8) “განგება საეკლესიო ბერძულსა წესსა ზედა, რომელსა შინა წერილ არს წელიწადისა ყოველთა დღეთა შაბათ-კვირიაკეთა საკითხავები”.

---

<sup>127</sup> გულანის აღწერა იხ. თ. ჟორდანი, Описание рукописей Тифл. Ц. Музея, №187.

9) ცხრილი მაჩვენებელი მთელი წლის საკითხავებისა.

10) “ტიბიკონი საეკლესიოსა კ~დ (კეთილად) განგებულთასაი და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა საბაი ლავრისაი, რომელი ესრეთვე იქნების სხვათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა”.

11) “მოთხრობა შემოკლებული საეკლესიოსა განწესებისა მონასტერთა იერუსალიმისათა”.

12) “საჰმელთათვის და სასუმელთა და ვითარებისა და რაოდენობისა და სატრაპეზოსა წესისაებრ შესვლასა ძმათასა”.

13) ზატიკნი.

### მინაწერნი

ა) 13 სექტემბრის ბოლოს: “ჩემსა შიხაულსა მაჭიხოლსა შეუნდოს ღმერთმან”.

ბ) პირველი ოქტომბერი საფარველი ღვთის მშობლისა არ იდღესასწაულების.

გ) რიგის სახარება – სამოციქულოთა ბოლოს: “დიდება ღ`ა ... და დიდება შენდა წ~ო ღ~თს მშ~ბლო ვლაქერნისაო”.

დ) მხედრულის ხელით: “ეჰა ... ვლაქერნისა ღვთის მშობელო, მარადის ქალწულო მარიამ, გევედრები მე ცვა-ფარვათა შენთა მინდობილი ბედიელ მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე კნინი და მცირე ესე შესაწირავი თავს უჟამიში ბოკუჩავა მისი ცოლშვილთა და ყმითა და რისაც მქონებული იყოს; ამის გარეთ ბაბუა ფელანგუა; ამას გარეთ ბაბაკოჩი დადალია; ამას გარეთ ერთი კარგი დახატული ჟამნი,

ერთი დავითი, ერთი კარგი კონდაკი, ერთი მეტაფრასი; ექვსი თოფები მისი არაღიანად; ოცდაორი ჯირკი სკა, სანთელს ხატს მოახმარებდნენ და თაფლს საკმეველშიდ გაყიდდენ. ამის გარეთ ერთი კვამლი კაცი ტყეიმ (ტყვიშს — ჯ.გ.) დაკარგული ამოვიღე შარია ხვიჩა შათი მისის ცოლშვილითა და სახლკარითა. მეორე კვამლი კაცი ატნია (ატონია — ჯ.გ.) მამულიში და ბაბაკოჩი მისი ცოლშვილითა; ერთი ცოლ-ქ...მარია კაცი გუდავას ბიძლუ ბაიღია შემომიწირავს სულის საოხად"... (ბოლო არ არის).

ე) დასდებლების მესამე ხმის შემდეგ ტექსტის ხელით: “პირველსა დედასა მშობელი ეწერა, დამბადებელი უნდოდა. მისთვის წარიშლია. დედანი ტყუა, მე უბრალო ვარ”.

ვ) “ამისა მწერალსა კარგარეთელსა ამბროსეს და დედაი-მამათა მისთა გაბრ~ლის და როხბაიგ~ლსაშეუნდოს ღ~ნ”.

ზ) “დედა აშლილი იყო, შემინდევით”.

ებ) თვენში 1 სექტემბრის ქვეში ტექსტში: “შენდობილმცა არს ამა ყ~ლთა წ~თაგან ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე”. იგივე მინაწერი სამი სექტემბრის ქვეშ.

10 ნოემბერს დადებულია წმ. გიორგის დღესასწაული.

თ) 14 ნოემბრის შემდეგ ტექსტის ხელით: “ამისა მწერალსა სნს (სიმონს) და მისთა დედა-მამათა შ~ნს ღ~ნ”.

ი) 17 დეკემბრის ქვეშ “ამისა მწერალსა ევფრატელსა ს~ნს გიორგიძესა შნს ღ~ნ, მისსა მეულლესა ელისაბედს შნს ღ~ნ ”.

ია) 1 იანვრის ქვეშ: “გერმანეს ბედიელს ჩხეტის ძესა შეუნდნეს ღ~ნ”.

გერმანე მოხსენებულია გულანი(ს) სხვა ადგილებშიაც.

იბ) 24 თებერვლის პირდაპირ არშიაზე ტექსტის ხელით: “ღ~ო და ვლაქერნისა ღ~თის მშობელო შ~ე ამისი მწერალი ფ~დ ცოდვილი გბრლ სულითა ამინ”.

ივ) 30 აპრილის ქვეშ მინაწერი ტექსტის ხელით: “ბედიელი მიტროპოლიტი მთავარ ეპისკოპოზი ჩხეტისძე გერმანე ადიდენ ღ~ნ შენ მიერთა დიდებითა ორთავე შინა ცხოვრებასა აქასა ამას ცხოვრებასა დღეგრძელობით და მერმესა მას ..., რომლისა ბრძანებით წამოველ თემით შავშეთით, დაბით, დიობნით, ძირით მთით კარჩხლთაით და ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მოვიწიე ოდიშს ბედიას ტაძარსა და საყდარსა ვლაქერნისა ღვთის მშობლისასა და შეწევნითა და წარმართებითა მისითა ვიწყე წერად წ~თა ამათ და სულთა განმანათლებელთა თუეთა იანვრით ერთგან ვიდრე(~ვე) აქამომდე ყოველითურთ სრულსა უკლებსა, ვითა უნდოდა ბევრისა წიგნისაგან, ვიდრე გავასრულე რაიცა უნდოდა და რისაცა დედა ვიშოვე, არა დამიკლია რა ღ~ი შეწევნითა.

ამისა მწერლისა ფ~დ ცოდვილისა კერძო — დიაკონს გაბრიელს ლომსიანიძესა და მისთა დედა-მამათა და ნათესავთა შეუნდოს ღ~ნ ... მისსა ამხანაგსა მწერალსა ს~მნ გიორგიძესა ... შეუნდოს ღ~ნ”.

იდ) 31 მაისის ქვეშ არშიაზე ტექსტისა ხელით: “ნაჭოფაძესა საბაისა შეუნდოს ღ~ნ. ამასა ჩემსა მახარობელსა შეუნდოს ღ~ნ”. ნაჭოფაძე საბა, როგორც

ერთი გადამწერთაგანი, მოხსენებულია გულანის სხვა ადგილებშიაც.

იე) 31 ივლისის ქვეშ “ამისა მწერალსა კარგარეთელსა ამბროსეს შეუნდოს ღ~ნ”. სხვა ხელით “ბახუტასა ხუარაიას შ~ს ღ~ნ. ჯვერგეში გაუზარდოს ღ~ნ”.

ივ) ხელთნაწერის ბოლოს ტექსტის ხელით: “ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ამინ, ბრძანებითა ბედიელი მიტროპოლიტისა გერმანე ჩხეტის ძისათა სრული იქმნეს წიგნი ესე, მარხვანი ყოვლითურთ სრული და უკლები, ვითარცა წესი არს, არა დამიკლია რა, ბევრის წიგნისაგან შევკრიბე და ღ~ნ უწყის დიდი ჭირი და სასჯელი ვნახე და აწ მამანო და ძმანო, ვინცა მიემთხვინეთ ამა ... წიგნსა კითხვად მე ცოდვილსა ამას მწერალსა გაბრიელს შენდობით მოიხსენებდეთ ... ”.

მიტროპოლიტები ნიკოლოზ მხეიძე და გერმანე ჩხეტის ძე და გულანის გადამწერნი ცხოვრობდნენ XVI საუკუნის მეორე ნახევარში (ქრონ., 1,138).

ბედიის ტადარი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, იყო მეტად მდიდარი საეკლესიო სამკაულებით. ამის დამადასტურებლად დარჩენილია ის ოქროს დიდი ბარძიმი, რომელიც ინახება ილორის ეკლესიაში. მას აქვს შემდეგი ხუცური წარწერები. ზემო ნაწილზე: “წმიდაო ღვთის მშობელო (ბედიისაო) მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა, და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა. ამინ”. ბარძიმის ფეხზე: “ყ~დ წ~ო დედოფალო, ვლახქერნისა ღვთის მშობელო, შემიწყალე მე ბედიელ

მიტროპოლოტი გერმანე ჩხეტი ძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად შემკობად<sup>128</sup> ფეხსა წისა ამის ბარძიმისა”.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბაქრაძეს 1865 წ. ილორის ეკლესიის სალაროში უნახავს ეს ბარძიმი ორივე ნაწილის ერთმანეთისაგან მოუცილებლად, ხოლო მეორეთ ილორში ყოფნის დროს 1883 წელს ბარძიმის ფეხი ვერ შეუნიშნავს. ის ამბობს: “ჩემდა სამწუხაროდ, ამ ბარძიმს, როგორც 1883 წ. ადგილობრივ დავრწმუნდი, ახლა ფეხი მოკვეთილი აქვს და მის წარწერაც დაკარგულია” (ისტორია ვახუშტისა. ბაქრაძის გამოც., გვ. 145, სქოლიო). დ. ბაქრაძის ამ სიტყვებს შეუმოწმებლად იმეორებენ შემდეგ დროის მესტორიენი და სიძველეთა მკვლევარნი, როდესაც ისინი მოგვითხრობდნენ ბედიის და ილორის სიძველეებზე<sup>129</sup>.

ჩვენდა სასიამოვნოთ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს მკვლევართა აზრი წარმოადგენს შეცდომას, ვინაითგან ბარძიმის ფეხი, თუმცა ის მოშორებულია ზემო ნაწილისგან, მაგრამ უვნებლად შენახულია ილორის ტაძრის სალაროში. ბაგრატის ბარძიმის<sup>130</sup> ფეხის შემკობი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე ცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში

---

<sup>128</sup> ეს სიტყვა თ. ჟორდანიას გამოტოვებული აქვს. (ქრ. 1, 138).

<sup>129</sup> ჟორდანიას. ქრონ., 1, 138; Материалы по арх. Кавказа, III, 18; Абхазия и в ней Ново –Аф. монастырь, გვ. 138; ერმოლოვისა. «О Бедийском храме», გვ. 5 და სხვა.

<sup>130</sup> ამ ბარძიმს ბ-ნი მოსე ჯანაშვილი, არ ვიცი რა საბუთით და მოსაზრებით, იხსენიებს კირასაულად (ვახუშტის გეოგრაფია გამ. ჯანაშვილის რედაქციით, გვ. 305, შენ. 506 და 507).



და, თუ ის ბაგრატის ბარძიმის ფეხის გამკეთებელია და არა მხოლოდ შემმკობი, როგორც წარწერაში თვითონ გვეუბნება, მაშინ ბაგრატის ბარძიმის პირვანდელი ფეხი, უეჭველია დაკარგული იქნება მიტროპოლიტი გერმანეს დრომდი.

თ. ჟორდანიას აზრით, პირი ბარძიმისა, რომელიც ილორის ეკლესიაში ინახება, უნდა ეკუთვნოდეს 999 წელს, ე.ი. იმ დროს, როდესაც დასრულდა ბედიის ტაძრის აშენება ბაგრატისაგან (ქრ., 1, 138).

1640 წლის 10 თებერვალს ნახეს ბედიის ტაძარი რუსეთის დესპანმა ელჩინმა და მისმა თანამგზავრმა მღვდელმა პავლე ზახარევმა. ბედიელმა აჩვენა მათ “სამღვდელმთავრო კვერთხი, რომლის თავი გადაკრული იყო შავი ხავერდით<sup>131</sup>. ამ ხავერდზე გამოქარგული იყო ჯვარცმა, ღვთის მშობელი, იოანე ნათლის მცემელი და ქრისტეს ჯვარი, რომელიც ეკავათ მეფე კონსტანტინეს და მის დედა ელენეს (Статейный список Федота Елчина об. Чтения в имп. обществе истории и древностей Российских при Моск. Университете, 1887 г., кн, 2, стр. 84). ხავერდის ქვეშ, ბედიელის სიტყვით, როგორც მოგვითხრობს მღვდელი პავლე ზახარიევი, ინახებოდა ეკლის გვირგვინი, ლურსმანი, რომლითაც ქრისტე შემსჭვალეს ჯვარზე და ბაწარი, რომლითაც შეკრეს იესო ქრისტე ჯვარცმის წინ (Стат. спис. свящ. П. Захарьева – Ibid. 355), ელჩინი კი ამ რელიკვიების გარდა იხსენიებს მაცხოვრის თმასაც (Ibid.

---

<sup>131</sup> ელჩინის მოხსენებაში სწერია ამნაირად: «А на верху посоха зделана что глава.» (Статейные списки свящ. П. Захарьева об. Чтение в имп. общ. ист. и древ. при Моск.унив.» წიგნი, 2, გვ. 355).

326).<sup>132</sup> ხავერდი კვერთხის თავზე იყო მიბეჭდილი სამეგრელოს მთავრის ბეჭდით და ამის გამო მთავრის ნებადაურთველად არავის აჩვენებდნენ.

ეს რელიკვიები, როგორც რუსეთის დესპანს მოახსენეს, უწინ ინახებოდნენ იმერეთში, მაგრამ ქართლის<sup>133</sup> მეფე სიმონმა იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ წაიღო ქართლში, საიდანაც ის ერგო დადიანი ლევან მეორეს, როგორც ნადავლი მისის გამარჯვებისა მეფე სიმონზე (ibid. 365).

მოგზაური შარდენი, რომელიც იყო სამეგრელოში 1672-1673 წლებში, ამბობს, რომ ბედიის ტაძარში ზემოაღნიშნული რელიკვიების გარდა ინახებოდნენ ჯვარ პატიოსანის ნაწილი და ტილონი, რომელშიაც ღვთის მშობელი ახვევდა ჩვილ ქრისტეს (Путешествие Шардена по Закавказью. ტფ., 1902 წ., გვ. 61).

ბედიის ტაძარი განთქმული იყო ქრისტიანული რელიკვიების სიმრავლით, მაგრამ მათ შესახებ ძალიანი ცოტა ცნობებია დარჩენილი. ამის გამო ზემოხსენებულს ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ ცნობები მხოლოდ ვლადიკავის ღვთის მშობლის ხატის და მასთან კონსტანტინოპოლიდან მოტანილ ღვთის მშობლის სარტყლის შესახებ.

---

<sup>132</sup> ელჩინის სიტყვები: «А тут де за царскою печатью гвоздя да связи и волосы бороды господа Н.И.. Христа. — ქრისტეს თმები («Волосы и Бороды Христовой»). მეთოთხმეტე საუკუნიდან ინახებოდნენ მოსკოვის ხარების ტაძარში (პროფ. კაპტუსევი. Характер отношении России прав. Востоку в XVI-XVII ст, გვ. 74. შენიშვნა.

<sup>133</sup> მღვდელი პ. ზახარევი, სიმონი იყო მეფე «Тбилисколатцкой» (ст. еп. свящ. Захарьева, ibid. 356), ე.ი. ტფილის ქალაქისა.

მართალია, რუსეთის დესპანი თ. ელჩინი და მისი თანამგზავრი მღვდელი ზახარიევი ამათს შესახებ არას გვეუბნებიან, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ვლადიკლავის ღვთის მშობლის ხატი მასთან დაცული ღვთის მშობლის სარტყელიანათ სამეგრელოს მთავრის რეზიდენციასთან ერთად გადატანილ იქნა ზუგდიდში, რაც, როგორც ზევეთაც მოვიხსენეთ, მოხდა მეთექვსმეტე საუკუნეში ლევან პირველის დადიანობის (1532-1572) დროს. მაშასადამე, რუსეთის დესპანს, ელჩინს, რომელიც იყო სამეგრელოში XVII საუკუნის პირველ ნახევარში, მათი ნახვა ბედიამი არ შეეძლო. როდესაც მაჰმადიანობამ შავი ზღვის სანაპიროებზე იწყო მძლავრობა და მეგრელობა იძულებული გახდა უკან დახეულ იყო მდინარე კოდორამდის, ვლადიკლავის ღვთისმშობლის ხატი მტერთაგან უვნებლად დასაცავად დროებით გადაუტანიათ მარტვილში (მურავიოვი. Грузия и Армения, ნაწ. II, 281), საიდანაც ისევ დააბრუნეს ზუგდიდში დადიანების სასახლის ეკლესიაში.

ყნდ წმიდა ღვთის მშობლის სარტყელზე გადმოცემა გვეუბნება შემდეგს: ღვთის მშობლის მიძინების შემდეგ მისი სარტყელი ჰქონია შენახული მოციქული თომას, ხოლო მის შემდეგ, როგორც მოგვითხრობს ნიკიფორე კალისტი, ის გადადიოდა მორწმუნეთა შორის მემკვიდრეობით (იხ. ეპ. ფილარეტი, გუმილევსკის ЖИТИЯ СВЯТЫХ, აგვისტოს 31 რიცხვი). ამ სარტყელის შემდეგი დროის ისტორია არქივს. სერგის ამნაირათ აქვს წარმოდგენილი: იმპერატორი არკადის დროს (V საუკუნე) ღვთის მშობლის სარტყელი გადატანილ იქმნა

იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში და იმპერატორი თეოდოსი მცირის (408-450) დის პულხერიასაგან დაცულ იქმნა მისგან ხალტოკრატიაში აშენებულ ვლადიკერნის ღვთის მშობლის ტაძარში. VI საუკუნის არეულობის დროს ის გადაიტანეს კაბადუკიის ქალაქ ზილაში, საიდანაც იმპ. იუსტინიანეს მიერ დაბრუნებულ იქმნა კონსტანტინოპოლში (არქიეპ. სერგი. Полный месяц. Востока, ტ. II, ნაწ. 1, გვ. 265 და ნაწ. II, 347).

მეათე საუკუნის დასაწყისს, როგორც მოგვითხრობენ, ღვთის მშობლის სარტყელმა მიიქცია მორწმუნეთა ყურადღება სასწაულით. მის შეხებით განიკურნა უკურნებელი სენით შეპყრობილი საბერძნეთის დედოფალი ზოია, იმპერატორი ლეონ ფილოსოფოსის (886-912) მეუღლე. ამ შემთხვევის გამო აურაცხელი ხალხის თანდასწრებით გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რის შემდეგ პატიოსანი სარტყელი ჩადებულ იქმნა იმ ლუსკუმაში, რომელშიაც ის დაცული იყო მეხუთე საუკუნიდან. ამ სასწაულის სახსოვრად ეკლესიამ დააწესა ყოველწლიური დღესასწაული 31 აგვისტოს ღვთის მშობლის პატიოსანის სარტყლის დადებისა (ეპ. ფილარეტი. მოხს. თხზ., აგვისტო, გვ. 303). ეპისკ. ფილარეტი (გუმილევსკი) გვარწმუნებს, რომ პატიოსანი სარტყელი კონსტანტინოპოლიდან გადმოტანილ იქმნა საქართველოში ბაგრატ კურაპალატის დროს მეათე საუკუნის მიწურულში (ფილარეტის მოხს. თხზ., გვ. 304). მურავიოვის სიტყვით: “იმპ. რომანოზ აგრირას ასული, რომელმაც მეათე საუკუნის ბოლოს მიიღო აგრეთვე განკურნება ამ სარტყლისაგან, მითხოვდა

ბაგრატ კურაპალატს. საქართველოში გამგზავრების წინ მან სთხოვა მამას, გაატანოს საქართველოში ნახევარი სასწაულმოქმედის სარტყლისა ვლახერნის ღვთის მშობლის ხატთან ერთად. ეს სიწმიდენი მან, ბაგრატ მესამის მეუღლემ, მოუვლინა კურთხევად თავის ახალ სახელმწიფოს, ხოლო კეთილმორწმუნე მეფე ბაგრატმა ხატი სარტყლითურთ დაასვენა მისგან აშენებულ ბედიის ტაძარში”, («Грузия и Армения», ნაწ. III, 280 და 281).

ჩვენ ვიცით, რომ ამავე იმპერ. რომანოზ აგრირამ, მარიამ დედოფლის — მეფე გიორგის ქვრივის — თხოვნით, მისცა ბაგრატ III შვილის შვილის ბაგრატ მეოთხესთვის ცოლად ელენე (ქარ. ცხ., 1,221 და მარიამ დედოფ. ვარიანტი ქართ. ცხოვრებისა, გვ. 256 და 257). ელენე იყო იმპ. რომანოზ აგრირას ძმის – ვასილის ასული (ქრონ., 1,145). ამას ისტორიკოსი კედრინი მოიხსენიებს ამ სიტყვებით: “გიორგი მეფის ქვრივმა დედოფალ მარიამმა გაგზავნა იმპერატორთან მოციქულები საჩუქრებით და სთხოვა შერთოს მის შვილს ქალი, რომელსაც აირჩევს თვით იმპერატორი და ამით აღადგინოს მშვიდობა. დესპანები იმპერატორმა კარგად მიიღო, დაამყარა მშვიდობა და ელენე – თავის ძმის ვასილის ქალი, გაგზავნა აბაზგიაში ბაგრატის საცოლედ, ხოლო თვით ბაგრატს უბოძა კურაპალატობა” (კედრინის ისტორია, ნაწ. II, ფურც. 151 და 152. მოსკოვი 1794 წ.<sup>134</sup> ეს უნდა მომხდარიყოს 1028

---

<sup>134</sup> სრული სათაური წიგნისა ამნაირია “Деяний Церковных и гражданских от Р. Хр.до половины пятого на десять столетия, собранных Георгием Кедриным и другие – история Нов. Завета Георгия Кедрина”.

და 1034 წლებს შუა, ანუ თუ თ. ჟორდანიას გაანგარიშებას მივიღებთ, 1028-1033 წლებში (ქრონ., 1, 162). დედოფალ ელენესაც წამოულია საბერძნეთიდან ქრისტეს სამსჭვალე და სასწაულმოქმედი ხატი, მაგრამ ეს იყო არა ვლადიკის, არამედ ოქონის ღვთის მშობლის ხატი (ისტორია ვახუშტისა, გამოც. ბაქრაძისა, გვ. 134, შენ. 1). ამისთვის ეს არ ეწინააღმდეგება იმ ცნობას, რომელიც გვეუბნება ვლადიკის ხატის ჩამოსვენების შესახებ და არც ისტორიულად არის შეუძლებელი, რომ ბაგრატ მესამეს ჰყოლოდეს ცოლად იმპ. რომანოზ აგრირას ასული, ხოლო ბაგრატ მესამის შვილის შვილს ბაგრატ მეოთხეს – რომანოზის ძმის ქალი ელენე.

ღვთის მშობლის სარტყელი მიმაგრებული იყო ვლადიკის ხატზე და ამ სახით დასვენებულ იქმნა ბედიის ტაძარში. ამისთვის მისი ისტორია შეკავშირებული იყო ამ ხატის ისტორიასთან.

ღვთის მშობლის სარტყლის სამეგრელოში არსებობის შესახებ, როგორც ეს ცხადათ სჩანს იმ ინსტრუქციიდან, რომელიც მისცეს დადიანის სამთავროში გამოგზავნილ დესპანს – ელჩინს, რუსეთში ჰქონიათ ცნობა. ელჩინს ამ ინსტრუქციით ვალად ედგინებოდა შეეკრიბა ცნობები სხვა და სხვა სარწმუნოებრივი რელიკვიებზე და განსაკუთრებით მათ შორის უფლის კვართზე და ღვთის მშობლის სარტყელზე. (იხ. მოხს. «Чтения в Имп. Общ. истории и древностей ...», წიგ. II, 285).

რადგანაც ვლადიკის ღვთის მშობლის ხატი იყო დადიანების საგვარეულო სიწმიდე და ხალხსაც დიდი სასოება ჰქონდა მისი, სამეგრელოს მთავრები დიდის მზრუნველობით ეკიდებოდნენ მას, არავის ანდობდნენ

და ინახავდნენ თავის სასახლეში. მთავარმართებელი ციციანოვი თავის უქვეშევრდომეს მოხსენებაში ამბობს: “როგორც ისტორიით და გადმოცემით, ისევე ჩემგან შეკრებილ სარწმუნო ცნობებით, ვლადიკერნის ხატი მუდამ ინახებოდა სამეგრელოს დადიანების სასახლეშიო” (Акты Арх. К., ტ. II, 513 და 514). როდესაც XIX საუკუნის დასაწყისში სამეგრელო შევიწროვებული იყო, როდესაც მას ემუქრებოდნენ ერთის მხრით შუერიგებელი მტერი, — იმერეთის მეფე სოლომონი, ხოლო მეორეს მხრით — აფხაზეთს მთავარი ქელემ-ბეი და ამის გამო სამეგრელოს მთავარი იძულებული გახდა მიემართა რუსეთის მფარველობისათვის, ამ დროს, რასაკვირველია, უნდა ეფიქრათ ხატის დაცვისათვის იმნაირ ადგილას, რომ ის მტრებს არ ჩავარდნოდათ ხელში. რადგან გრიგოლ დადიანს რუსეთის მთავრობასთან დადებული ტრაკტატისა გამო საქართველოს ტახტის მდგომარეობა მიაჩნდა უფრო უზრუნველყოფილად, მან ხატი გაგზავნა ქალ. ტფილისში და მისი შენახვა მიახლო თავის სიმამრს, მეფე გიორგი მეცამეტეს (Акты, ტ. II, 514). მაგრამ არც საქართველოს მდგომარეობა გამოდგა სანატრელი; პირიქით, ყველაზე უფრო ადრე მას ეწია უბედურობა და მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფოს ბოლო მოეღო და შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ვლადიკერნის ხატი მიისაკუთრა ბატონიშვილმა დავითმა და როდესაც ის გადაასახლეს რუსეთში, ხატიც თან წაიღო პეტრეს ქალაქში. მისი დის, გრიგოლ დადიანის ქვრივის — ნინოს წერილებმა და თხოვნამ სიწმიდეთა დაბრუნების შესახებ ვერ იქონია მასზე გავლენა. ბატონიშვილი სხვა და სხვა არაპატივსაღებ

გარემოებათა მომიზეზებით მუდამ უარს უთვლიდა. მაშინ მთავრინა ნინო და სამეგრელოს დიდებულნი იძულებულნი გახდნენ მიემართათ სხვა საშუალებებისათვის, ეხმარათ ხერხი. გადაწყვიტეს მართვან ხატი ხელმწიფე იმპერატორს იმ აზრით, რომ შემდეგ ეშუამდგომლათ მისი დაბრუნებისათვის სამეგრელოში. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბატონიშვილი იმპერატორისათვის ხატის მირთმევის წინააღმდეგი არ გახდებოდა და ხერხმა მართლაც გასჭრა, ბატონიშვილმა გადასცა ხატი დეპუტაციას, რომელიც ამისათვის გაგზავნილი იყო პეტერბურღში.

რომ ეს მოხერხებული იყო იმისთვის, რომ ამ საშუალებით დაებრუნებიათ ხატი, ცხადათ სჩანს ციციანოვის უქვეშევრდომესი მოხსენებიდან, რომელიც გაუგზავნა მან იმპერატორს იმ დეპუტაციასთან ერთად, რომელიც უნდა წარსდგომოდა რუსეთის ბრძანებელს და მიერთმია მისთვის ვლადიკავკასიის ხატი. ამ მოხსენებაშივე ციციანოვი შუამდგომლობს, დაუბრუნოს ხატი სამეგრელოს მკვიდრთ. აი, სხვათა შორის, რას ამბობს ციციანოვი იმ მოხსენებაში, რომლითაც შუამდგომლობდა მიეღო იმპერატორს დეპუტაცია და მისართმევად გამზადებული ხატი: “ამასთან ვბედავ დავსძინო ჩემი უქვეშევრდომიესი აზრი ამ ხატის შესახებ. როგორც ცნობილია, მეგრელები ძალიან გულმოდგინენი არიან ქრისტეს სარწმუნოებაში და სამეგრელოს უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნიათ ამ ხატის მათთვის დაბრუნება, რადგან მასზე ამყარებენ უღრმეს სასოებას. მათზე მოწვევულ ყველა უბედურებას აწერენ მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებას, რომ დაჰკარგეს ეს მფარველი მათის



ქვეყნისა და ამისთვის ამ დეპუტაციასთან მისი დაბრუნება აღავსებს გამოუთქმელის სიხარულით მთელს სამთავროს და მოახდენს მეგრელებში იმნაირსავე დიდ შთაბეჭდილებას, როგორც მოახდინა წმ. ნინოს ჯვარის საქართველოში დაბრუნებამ» (Акты, ტ. II, 513 და 514).

ამნაირად ერთ და იმავე მოხსენებაში ციციანოვი სთხოვს იმპერატორს მიიღოს დეპუტაციისაგან ხატი და ისევ გადასცეს მას სამეგრელოში დასაბრუნებლად. მიზანი მიღწეულ იქნა, იმპერატორმა მიიღო ხატი 1806 წელს და იმავე წლის 31 მაისს რესკრიპტით დაუბრუნა მთავრინა ნინას საჩუქრად სამეგრელოს მკვიდრთათვის. რესკრიპტში სწერია: “ვიცი რა, რომ მეგრელებს ძველითაგანვე აქვთ სასოება და რწმენა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისადმი, მე ვუბრუნებ მას საჩუქრად თქვენს ოჯახს და მთელს მეგრელობას” («Всему Мингр. народу». Акты, ტ. III, 177).

დეპუტაციაში იყვნენ ნიკოლოზ და ბეჟან დადიანები და დეკან. იოანე იოსელიანი. ისინი დარჩნენ პეტერბურღში მთელი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში, ნიკოლოზ დადიანის სიტყვით, “შეამკო (იმპერატორმან) უძვირფასესად ხატი ვლაქერნის ღვთის მშობლისა და წარგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენოს წინდად ჩემის (იმპერატორის) საფარველის დადებისა და თქვენის ჩემ ერთგულებისაო” (იხ. ექ. თაყაიშვილის «Описание рук. Общ. расп. грам. среди грузин», ტ. 1, წ. 1,32). ამ “უძვირფასესად” შემკობამ ვლაქერნის ხატს დაუკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა ისტორიისათვის, როგორც ძვირფასს ისტორიულს

განძს. ხატის დასასვენებლად იმპერატორის ბრძანებით უნდა აეშენებიათ ზუგდიდში ვლადიკლავის ღვთის მშობლის სახელზე ეკლესია და იმ ქალაქს, რომელიც გაშენდებოდა ამ ეკლესიის გარშემო, გრიგოლ დადიანის სახსოვრად უნდა დარქმეოდა სახელად გრიგორიოპოლი. (ibidem და Акты, ტ. III, 177).

პლ. იოსელიანი ღვთის მშობლის სარტყლის დაბრუნებას დასდებს 1810 წელს (“მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოს. ადგილთა ტიმოთესაგანქართლის მთავარეპ. 1852 წ., გვ. 61, შენიშვნა). რადგანაც პლ. იოსელიანი მგონიობით უჩვენებს ამ წელს, შეიძლება ეს შეცდომაც იყოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ხატის გადაკეთების დროს სარტყელი მოეცილებიოთ მისთვის, დარჩენილიყოს ის პეტრეს ქალაქში და შემდეგ 1810 წ. ცალკე გამოეგზავნოთ სამეგრელოში.

ღვთის მშობლის სახე ხატზე, მურავიოვის თქმით. “ძალიან ძველია, ხატზე მიმაგრებული სარტყელი წააგავს სამთავარდიაკონო გინგილას და დაკეცილია ოლარივით. ქვედა ნაწილი სარტყელისა მეტად დაძველებულია. სარტყელის ოქრომკედრის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტ-იაგუნდის ქვებით”. ეს, რასაკვირველია, “ერთი უუძველესი ნაშთთაგანია, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია ქრისტიანობის პირველის დროიდანო”, დასძენს მურავიოვი («Грузия и Армения», ნაწ. III, 282).

ვლადიკლავის ღვთის მშობლის ხატი ამ უკანასკნელ რევოლუცია-არეულობის დროს შენახული ყოფილა ზუგდიდში დადიანის სასახლის ეკლესიის კედლის სამალავში, რომლის კარი გამოეშენებიათ ქვით.ამ 1920 წელს ბ. ექვ. თაყაიშვილს ხატი წაუღია თფილისში და

დაუსვენებია, როგორც მითხრეს, არა ტაძარში, როგორც მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სიწმიდე, არამედ არ ვიცი, რა მოსაზრებით, სახელმწიფო ხაზინის სალაროში. როგორც გადმომცეს, ღვთისმშობლის სარტყელი ახლა ხატთან არ არის და ვის ხელში გადავიდა და ან სად ინახება ეს ძვირფასი სარწმუნოებრივი რელიკვია არ არის ცნობილი.

პატიოსანი სარტყელის იმ ნაწილის ბედი, რომელიც დარჩა კონსტანტინოპოლში, ამნაირია, ის დიდად პატივცემული ყოფილა მთელი საბერძნეთის მორწმუნეთაგან. ომების დროს მას ატარებდნენ იმპერატორებთან და ერთი ომის დროს ის ჩავარდნია ხელში ძღვევამოსილ ბულდართა მეფეს კოლომანს, შემდგომში ჩვენ ვხედავთ მას სერბეთის მთავრის ხელში, რომელსაც XIV საუკუნეში ის შეუწირავს ათონის ვატოპედის მონასტრისათვის (Жития святых еп. филиаретиса, აგვისტო, გვ. 304). აქ ეს სარტყელი უნახავს პლ. იოსელიანს, რომელიც მის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: “მონასტერსა მას შინა არს დაცული ძვირფასად საუნჯედ ნაწილი სარტყელისა ყ~დ წმიდისა ღვთის მშობლისა. იგი ჰსძევს ოქროს მშვენიერად ნაკეთს ყუთში ხავერდით შიგნიდან მოვლებულში. სიგრძე ამა სარტყელისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი” (ზემოხს. “მოხილვა”. . . მთავარეპ. ტიმოთესი, გვ. 61, შენიშვნა).

ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატიც ცნობილი იყო სასწაულმოქმედებით. VII საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლს დაეცნენ სპარსნი და სკვითნი “ესე იგი არს რუსნი” და გარემოიცივეს ქალაქი. ბერძნები ვერ ხედავდნენ სახსარს წინააღდგომოდნენ მტრებს და

ძალით ეხსნათ ქალაქი. ამისთვის მათ მიმართეს ღვთისმშობლის შუამდგომლობას და შემწეობა-მფარველობას. შეიკრიბნენ ვლადიმერის ტაძარში, გულმოდგინეთ ილოცეს ამ ხატის წინაშე, შემდეგ პატრ. სერგიმ და მორწმუნეებმა აღიღეს ხატი და ლიტანიით შემოუარეს ქალაქს. ამან გაამხნევა ხალხი, მედგრად ეკვეთნენ მტრებს. სტიქიონმაც ხელი შეუწყო, ავარდა საშინელი ზღვის ღელვა, რამაც შთანთქა მრავალი მტერთაგანი და ღვთის მშობელმა სასწაულებრივად იხსნა ქალაქი და მას შინა მკვიდრნი (იხ. 1042 წ. ხელნაწერი საეკ. წიგნისაცავისა (№471) და იქიდან მ. ჯანაშილისაგან გადმობეჭდილი და რუსულად გადათარგმნილი: «Осада Константинополя скифами, кои суть русские», გვ. 18-20).

ასეთი სასწაული განმეორდა მეათე საუკუნის დასაწყისს, როდესაც სარკინოზებმა მოიცვეს ქალაქი კონსტანტინოპოლი და ემუქრებოდნენ ქრისტიანთა ამოწყვეტას, ხოლო ქალაქის ხელში ჩაგდებას. მორწმუნენი, რადგან მათ ძალა არ შესწევდათ გამკლავებოდნენ მტრებს და ეხსნათ ქალაქი, მიმართეს ღვთის მშობლის მფარველობას და შემწეობას. გამართეს ღამის თევით ლოცვა ვედრებავალქერნის ღვთისმშობლის ტაძარში. მორწმუნეებთან ერთად ტაძარში ლოცულობდა წმ. ანდრია სალოსიც, და მან ტაძარშივე იხილა ჩვენება, ღვთის მშობელი თავის ომფორით ჰფარავდა მორწმუნეთ. გამხნედა ხალხი, მტრები გააქციეს და ამ სასწაულის აღსანიშნავად დააწესეს 1 ოქდომბერს ყოველწლიური დღესასწაულობა ღვთის მშობლის საფარველისა (იხ. Жития святых, ოქდომბერი).

კონსტანტინეპოლში დარჩენილი ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატი (ნამდვილი თუ პირი, ძნელი სათქმელია) 1653 წელს კონსტანტინეპოლელ ვაჭარს დიმიტრი ოსტაფიევს, ტომით ბერძენს, ჩამოუტანია მოსკოვში იერუსალიმის პროტოსინგელის გაბრიელის სახელით. კონსტანტინეპოლელი პატრიარქი პაისის ღრამატაში ამ ხატის ისტორია წარმოდგენილია ამნაირად. იხსენებს რა ამ ხატის სიძველეს და სასწაულებრივ შემწეობას და მფარველობას სპარს-სკვითების შემოსევის დროს VII საუკუნეში, გვეუბნება, რომ ოსმალთაგან კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, ვლადიმერის ტაძარი აკლებულ იქმნა მტერთაგან, ხოლო ვლადიმერის ხატი გადატანილ დედათა მონასტერში, რომელიც იმყოფებოდა იმ ადგილს, რომელსაც ახლა ეწოდება ზეგრევი. რადგანაც ეს მონასტერიც არ იყო უზრუნველყოფილი მტერთა მიერ განადგურებისაგან, ხატი შეასვენეს კედელში გაკეთებულ სამალავში, წინ დაუსვენეს საცეცხური და ვერცხლის სხვა საეკლესიო სამკაულები და გამოაშენეს. მონასტრის ტაძარი გადაქცეულ იქმნა მაჰმადიანთა სამლოცველოდ და, როდესაც სინათლის გასაძლიერებლად მოინდომეს ფანჯრის გამოჭრა, აღმოაჩინეს ხატი, გაცარცვეს ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტისაგან, ხოლო თვით ხატი მიყიდეს იქ ახლო მცხოვრებ ერთ დედაკაცს. ამ უკანასკნელისაგან ხატი შეიძინა პროტოსინგელ გაბრიელმაო (პროფ. ნ. კაპტერევი. «Характер отношений России к прав. Востоку в XVI и XVII столетиях», გვ. 85 და 86).

ეს ღრამატა პატრიარქმა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას იმ მიზნით, რომ ნდობა მოუპოვოს ვაჭარ

ოსტაფიევს და კარგ ფასში გააყიდვიოს ვლადიკერნის ხატი. XVI და XVII საუკუნეებში ბერძნებს ხშირად მოჰქონდათ რუსეთში ხატები, ნაწილები და სხვა და სხვა სარწმუნოებრივი რელიკვიები და ჰქონდათ გამართული ამ საგნებით ვაჭრობა. არც იშვიათად ხდებოდა ბოროტმოქმედებაც, ე.ი. არა ნამდვილ რელიკვიებსაც ასაღებდნენ მოტყუებით, როგორც ამას გვიდასტურებენ რუსეთის საეკლესიო მეისტორიენი (იხ. ზემოხს. თხზულ. კაპტერევისა). ამ გარემოებას შეუძლია ეჭვი დაგვიბადოს იმაში, რომ ოსტაფიევისაგან რუსეთში გასაყიდად წაღებული ხატი ყოფილიყოს ნამდვილად ვლადიკერნის ღვთის მშობლისა. ვლადიკერნის ხატად მისი სახელდება როგორც ვაჭრისთვის, ისე პატრიარქისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო, რადგან ეს ხატი ითვლებოდა დიდი სიწმიდით და დიდი ფასიც შეეძლოთ აეღოთ. ამ ეჭვს გვიორკვეებს ის გარემოებაც, რომ თვით ოსტაფიევისაგან გადმოცემული ისტორია ხატისა რამდენადმე განსხვავდება პატრიარქის ღრამატაში დახატული ისტორიისაგან.

ოსტაფიევის გადმოცემით, როდესაც ოსმალებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და ვლადიკერნის ტაძარი გახადეს ციგნების საკუთრებად, ბერძნებმა ხატი გადაიტანეს მაცხოვრის დედათა მონასტერში. როდესაც გაიგეს, რომ ეს პანტოკრატორის ტაძარიც გადაქცეულ იქნება მაჰმადიანთა სამლოცველოდ, ხატი შეინახეს კედელში და გამოაშენეს. ამ ტაძარს ჰქონდა ოთხი სამწირველო, სამი მათგანი მაჰმადიანებმა გახადეს თავისი სამლოცველოდ, ხოლო მეოთხე, სადაც ხატი იყო დამალული დაუთმეს ჰაბიზებს სკოლის

გასამართავად. რომ სკოლისთვის გაედიდებინათ სინათლე, გამოჭრეს ფანჯარა, აღმოაჩინეს ხატი, რომელიც გამარცვის შემდეგ მიყიდეს ერთ ახლო მცხოვრებ თერძს, რომლისგან შეუძენია პროტოსინგელ გაბრიელსაო (ibid, 87). იმის შესახებ თუ სად იმყოფება ეხლა ოსტაფიევისაგან მოსკოვში მიტანილი ვლაქერნის ხატი ჩვენ ამ ხელად არ გვაქვს არავითარი ცნობა.

ბედიელ მიტროპოლიტმა რუსეთის დესპანს ელჩინს და მღვდელ პ. ზახარიევს აჩვენა ძვირფასი ოქროს პანალია ქვაზე ამოჭრილი წმ. გიორგის ხატით და გძელი ჯაჭვით<sup>135</sup>..

ბროსეს 1848 წ. ბედიის ტაძრის საკურთხეველში უნახავს ვერცხლის სურა (un vase), რომელიც მისის აზრით, ხალხის ტაძრისადმი პატივისცემას შეუნახავს მცარცველებისგან ხელშეუხებლად, თუმცა ტაძრის კარები მუდამ ღია იყო და ყურის მგდებელიც არავინ ჰყავდა (Rap., VIII, 92 და 93).

დასასრულ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზუგდიდის ეკლესიაში დაცული ჯვარი, რომლის წარწერაში მოხსენებულია მეფე ბაგრატ კურაპალატი (Rap., VII, 28), უწინ, ალბათ, ეკუთვნოდა ბედიის ტაძარს და და წარწერაში იგულისხმება ამ ტაძრის აღმაშენებელი ბაგრატ მესამე.

ბედიელთაგან ცნობილნი არიან:

---

<sup>135</sup> მღვდელი ზახარიევი თავის მოხსენებაში სწერს ამნაირად: «Епископ Бедия показывал понагею-резь на яшме страстотерпца Георгия, а камень яшма сторон и с ысподи обложено золотом ... чепи подделаную панагей долги» (тохс. «Чтения в имп. общ. истории», გვ. 354 და 355.

1. მთავარეპისკოპოსი და სვინგელოზი იოანე. ის მოხსენებულია წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში და სხვათა შორის იგი გააყოლეს კონსტანტინეპოლში ბაგრატ მეოთხის (1027-1072) ასულს მართას, რომელიც მისთხოვდა იმპერ. კონსტანტინე დუკას (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწ. აღაპები, გამ. 1901 წ., გვ. 330 და 331 და ჟორდანიას ქრონიკები, ნაწ I, 211 და 212)..

2. ბედიელ-ალავერდელი მიტროპოლიტი სიმეონი. ის მოხსენებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომლითაც მეფე შიო მღვიმის მონასტერს ანდობს მის მზრუნველობას (Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио Мгвим. Лавре. ტფ., 1895 წ. გვ. 13). ანდერძი დაწერილია 1125 წელს და მამასადაძმე, მიტრ. სიმეონის ცხოვრება ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარს (უნდა იყოს XII ს. პირველი ნახევარი – ჯ. გ.). მიტრ. სიმეონს დავით აღმაშენებლის დროს ჰქონდა დაკისრებული სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობანი: მწიგნობართ უხუცესისა (Brosset. Histoire de la G., გვ. 1, 370), ჯვარმტვირთველისა და როგორც ამ თანამდებობაში მყოფი, ის იღებდა მონაწილეობას დავით აღმაშენებლის ყველა ომებში. შირვანის სამეფოს აღების შემდეგ (1123 წ.) მეფემ მას მიანდო ამ მხარის მთავარგამგეობა (Завещание ц. Давида, გვ. 29, შენიშვნა 86). პროფ. ჯავახიშვილის თქმით, მწიგნობართუხუცესობის თანამდებობა საქართველოში დაარსდა მეცხრე საუკუნეს და იარსება XV საუკუნემდე. ეს თანამდებობა ყოველთვის ეკავა სასულიერო პირს. მის მოვალეობას შეადგენდა სხვათა შორის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის შედგენა (გაზ.



«Закавказье» 1914 №6). ამნაირი პასუხსაგებ თანამდებობაზე, რასაკვირველია, ირჩევდნენ იმათ, ვინც განთქმულნი იყვნენ თავისი ნიჭით და განათლებით, რაც თავისთავათ გვიმტკიცებს მიტრ. სიმეონის განსაკუთრებულ ნიჭსა და განათლებასაც. თ. ჟორდანიას აზრით, ის უნდა იყოს მეფე დავით აღმაშენებლის ცხოვრების დამწერი (Завещание, გვ. 29, შენიშვნა 86. შეადარე ქრონ., 1, X2V) და მან დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ დაიჭირა ჭყონდიდის კათედრა. («Завещание», მოხს. ადგილი). იგივე, როგორც სჩანს ათონის აღაპებიდან, იყო აღმზრდელი ცნობილი მწერალი კათალიკოზ ნიკოლოზისა (“აღაპები...», გვ. 254, ქრონ., 1, 269 და 270 და «Завещание»..., 29, შენ. 86).

3) მთავარეპისკოპოსი ლაზარე, მოხსენებულია სინას მთის მონასტრის სადღესასწაულოს მინაწერში. პროფ. ცაგარელი ხელთნაწერს მიაწერს XIV-XVI საუკუნეებს. მინაწერი კი ტექსტის ხელითაა და აქიდან ცხადია მთავარეპისკოპ. ლაზარეც ამ საუკუნეში უნდა ცხოვრებულიყო (Православный палестинский сборник, ტ. IV, წ. 1. «Памятники груз. старины в св. земле и на Синае, გვ. 220).

4) ბედიელი ნიკოლოზ, რომელიც ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია ამნაირად: “ამასვე დღესა (6 დეკემბერი) წირვაი და აღაპი საუკუნოი ბედიელ ნიკოლოზ კათალიკოსისაი” (აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა გამ. პროფ. ნ. მარრისა, გვ. 24). შესამღებელია აქ იგულისხმებოდეს ის ნიკოლოზ კათალიკოზი, რომელიც მოხსენებულია ბედიის სამრეკლოს წარწერაზე (იხ. ზემოთ) და მაშინ

უნდა ვიფიქროთ, რომ ის ბედიელად ყოფილა სოფრომი გურგულიას ძის წინ.

5) სოფრომი გურგულიას ძე, მოხსენებული ბედიის სამრეკლოს წარწერაზე, უნდა ცხოვრებულ იყო XIV საუკუნის პირველ ნახევარში (იხ ზემოთ, აგრეთვე Brosset, Rap, VIII, 93 და თ. ჟორდანიას «Абхазские каталикосы», გვ. 12).

6) გრიგოლი სცხოვრობდა XV საუკუნის პირველ ნახევარში, მოხსენებულია მეფე ალექსანდრე I (1413-1444) სიგელში (საქართველოს სიძველენი, ტ. 1, 35-37, შეადარე ქრონ., 16. II, 232-234).

7) იოაკიმე, რომელიც იწოდებოდა ბედიელ-ცაიშელად. როდესაც იმერეთი გამოეყო აღმოსავლეთ საქართველოს და დაწესდა იქ ცალკე სამეფო, როდესაც იმერეთის სამეფოც დანაწილდა წვრილ-წვრილ სამთავროებად, დაიბადა აზრი ეკლესიურადაც განცალკევებისა. იმერეთის მეფე ბაგრატს (1455-1478) სურდა დაეწესებია იმერეთში ცალკე საკათალიკოზო. ამაში მას მხარს უჭერდა დადიან-გურიელი შემადავლევ (1470-1474). ამ მისწრაფებით ისარგებლა ანტიოქია- იერუსალიმის პატრიარქმა მიხაილმა, ჩამოვიდა იმერეთში და გააკათალიკოზა ბედიელ-ცაიშელი იოაკიმე. ამ საშვალეებით მას სურდა იერუსალიმის პატრიარქის გავლენა გაეზრცელებია იმერეთის ეკლესიაზე. პატრიარქი მიხაილი თავის სიგელში უბრძანებდა იმერეთის მკვიდრთ, დაემორჩილონ იოაკიმეს, რომელიც უნდა გახდეს “მარჯვენა იერუსალიმისა” და იმერეთის საქათალიკოზოს ეპისკოპოსნი “ამა იერუსალიმის” მარჯვენისაგან, კათალიკოზისაგან იკურთხებოდინ



აღაპი ცაიშელ-ბედიელის და აფხაზეთის კათალიკოზისა იოაკიმესი” (აღაპნი ჯვრის მონასტრისანი, გვ. 24). ილორის დიდ ჯვარზე დადიან-გურიელ შემადავლესთან ერთად მოხსენებული არქიეპ. ბედიელ-ცაიშელი, რომლის სახელი არ იკითხება, (Rap. VIII, 95), უნდა იყოს ეს იოაკიმე, რომელსაც იმ დროს ეჭირა ალბათ ცაიშის კათედრა.

8) გერმანე ჩხეტისძე, რომელიც მოხსენებულია იმ ბარძიმის ქვედა ნაწილის წარწერაში, რომელიც ინახება ილორის ეკლესიის სალაროში (იხ. ზემოთ). მისი ბრძანებით XVI საუკუნეში გადაწერილია ბედიის გულანი (თ. ჟორდანი. «Описание рук. Церк. Музея, ნაწ. 1, 207-209).

9) მიტრ, ნიკოლოზ მხეიძე, მოხსენებულია ბედიის გულანის მინაწერში (ibid. 206).

10) ბედიელი მიქელი, მოხსენებული ჯვარის მონასტრის აღაპებში (“აღაპნი”..., გვ. 3).

11) ბედიელი მარკოზი, მოხსენებული იმავე აღაპებში (“აღაპნი”..., გვ. 58).

12) ევტიხი, რომელსაც იხსენიებს რუსეთის დესპანი ელჩინი (იხ. ელჩინის მოხსენება ზემოხს., გვ. 326).

13) ანდრია, რომელსაც იხსენიებს ანტიოქიის პატრიარქი მაკარი XVII ს. მეორე ნახევარში (პ. ჟუზე «Грузия в XVII столетии по изображению патр. Макария», გვ. 32).

14) ნიკიფორე. ცნობილი მოღვაწე XVII საუკუნისა, ერის კაცობაში ნიკოლოზ, ომან ჩოლოყაშვილის და მისი მეუღლე ბარბარე არაგვის ერისთავის ასულის ძე, თავის დროის შესაფერად დიდი

ნასწავლი. ქართულის და მეგრულის გარდა იცოდა შვიდი სხვა და სხვა ენა და ბევრი იმოგზაურა ევროპაში და აზიაში. კახეთის მეფის თეიმურაზ I-ს (1605-1663) მონდობილობით სამჯერ იყო მოსკოვში და თხუთმეტოდეჯერ სხვა და სხვა ქვეყნებში: ვენეციაში, რომში, საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში და ბევრი იშრომა თავისი სამშობლოსათვის. ლევან II დადიანის დროს ცხოვრობდა სამეგრელოში, იყო წინამძღვარი კორცხელის მონასტრისა. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს ის უნახავს მოქვის მონასტერში და ქებით იხსენიებს მას. შემდეგ მას ჩვენ ვხედავთ იერუსალიმში წინამძღვრად ჯვარის მონასტრისა, სადაც მან ბევრი იშრომა მისი მატერიალურად უზრუნველყოფისათვის და გამშვენიერებისათვის. დადიანი ლევან II-ს საფასით მან მოახატვინა ჯვარის მონასტრის ტაძარი. 1635 წელს ნიკიფორე სახელდებულ იქმნა მიტროპოლიტად. იერუსალიმის პატრიარქ თეოფანემ ის დანიშნა თავის მემკვიდრეთ იერუსალიმის საპატრიარქო კათედრაზე, მაგრამ ამას ბერძნებმა არ თანაუგრძნეს და მათის მეოხებით პატრიარქ თეოფანეს განკარგულება არ იქმნა სისრულეში მოყვანილი.<sup>136</sup> მღვ. პ. ზახარიევი

---

<sup>136</sup> ლიტერატურა ნიკიფორეს შესახებ: პროფ. ცაგარელი Палестинский сборник, ტ. 4, გვ. 66-71; მღვ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 92-97, 105-107, 122, 126, 129, 173, 185-186 და 188; Путешествие патр. Досифея – Жур. М. Н. Пр., 1843 წ., ტ. 40; პლ. იოსელიანი. Род князей Чолокаевых, - 17; Путеш. Шардена, 48-49; გაზ. "სახალხო გაზეთი", 1912 წ., №553 არქივ. ტიმოთე. მიმოხილვა წმ. ადგილთა..., გვ. 159 და 165; ელჩინი და მღ. ზახარიევი — მოხს., თხზ., გვ. 374 და სხ.

მოგვიტხრობს, რომ ეს ერთ დროს იყო ხობის ეპისკოპოზად, მაგრამ იხსენიებს ერის კაცობის სახელით — ნიკოლოზად და დასძენს, რომ ის იერუსალიმში იყო 30 წელიწადი, საიდანაც მას უმოგზაურნია ევროპაში და რუსეთში (მღ. პ. ზახარიევის მოხსენება. – იხ. მოხს. თხზ., გვ. 374)<sup>137</sup>, ხოლო არქივპ. ტიმოთე მას სახელდებს ბედიელად და ჯვარის იერუსალიმის მონასტრის წინამძღვრად (“მოხილვა...”, 159). პროფ. ცაგარელის აზრით, ნიკიფორე მიცვალა 1658 წელს (Памятники груз. старины..., 66), მაგრამ მოგზაური შარდენის სიტყვებიდან სჩანს, რომ ეს ნიკიფორე, წოდებული ირზახად, მის სამეგრელოში ყოფნის დროს (1673-1674 წ.) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო<sup>3</sup> (Путешествие Шардена, გვ. 48 და 49). ამ მოგზაურის სიტყვით ქართული და მეგრულის გარდა მან იცოდა ბერძნული, ოსმალური, არაბული, რუსული, ფრანგული, ისპანური და იტალიური (ibidem).

15) მიტროპ. ანტონი ჟვანის ძე, აღმშენებელი სამღვდელმთავრო სახლისა ბედიასში, სცხოვრობდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში (იხ. ზემოთ). “ურბნისის” ოთხთავის მინაწერში მოხსენებული ანტონი ჟვანისძე უნდა იყოს ეს XVII საუკ. ანტონი და ამის გამო დ. ბაქრაძე შემცდარი უნდა იყოს, როდესაც ის ურბნისის მინაწერის ანტონის ცხოვრებას მიაწერს

---

<sup>137</sup> მღვ. ზახარიევის სიტყვები «...Был де он Николаз во Иерусалиме трицет лет и в Литовской земле и из Еросалима де был в немецких землях и из Литовской земли был он Николаз на Москве блаженные помети при великом государе Филарете потриархе Московском и всея Руси и великого праведного Государя царя и великого князя Михаила Федоровича»... გვ. 373.

მეათე საუკუნეს (ბაქრადე “საქართ. ისტორია, გვ. 174). ბაქრადის თქმით, ამ “ურბნისის” ოთხთავს ბევრი უმოგზავრია — სამეგრელოში, იმერეთში, ასტრახანში და იქიდან ურბნისში და მაშასადამე, მის მონასტერში ბედიელ ანტონის მოხსენიება იმას გვიდასტურებს, რომ ეს სახარება ერთ დროს ყოფილა ბედიის ტაძრის კუთვნილება.

16) მიტრ. კირილე ჟვანისძე იყო ბედიელად ანტონის შემდეგ (იხ. ზემოთ).

17) მაქსიმე. მან მიიღო მონაწილეობა მღვდელმთავართა იმ კრებაში, რომელიც მოხდა 1759 წელს (Акты арх. к., ტ. 1, 56-58). შესაძლებელია, რომ ეს მაქსიმე იყო უკანასკნელი მღვდელმთავარი ბედიის კათედრაზე.

ბედიელების სამწყსო, ანტიოქიის პატრიარქ მაკარის მოწმობით, უუდიდესი იყო სამეგრელოს სხვა ეპარქიათა შორის (“Грузия в XVII ст., გვ. 32). ამის გამო ბედიელები სამეგრელოს სხვა მღვდელმთავრებზე, გარდა ჭყონდიდელებისა, უფრო მდიდარნი უნდა ყოფილიყვნენ. ამ მხრივ ბედიელმა მართლაც მიიქცია რუსეთის დესპანის ელჩინის და მღვდელ ზახარიევის ყურადღება. მის ჩაცმულობას ისინი აგვიწერენ ამნაირად: მას ეცვა აბრეშუმის ძვირფასი კაბა<sup>138</sup> გაჭრილი შესაბნევებით. კაბას სამკაულად ჰქონდა გაკეთებული სპარსული ოქროს ნაქსოვი, შემორტყმული ჰქონდა აბრეშუმის სარტყელი, ხოლო კაბის ზევით ეცვა ხავედის ქურქი იმნაირათვე

---

<sup>138</sup> ზახარიევის მოხსენებაში: «Кавтан дорогилен» - აბრეშუმი (იხ. დალის ლექსიკონი) ორივე გვერდზე (ალბათ ილლიიდან ბირამდე).

გაჭრილი, როგორც კაბა, შესაბნელებით. მეორე ქურქი, რომელსაც ის ატარებდა, ალბათ, ზამთარში მოგზაურობის დროს, იყო ხავედის ცხვრის ტყავზე.<sup>139</sup> მარჯვენა ხელის ნეკზე ბედიელი ატარებდა ორი ოქროს ბეჭედს (მღვ. ზახარიევის მოხს., ნაჩვენები თხზ., გვ. 356).

ბედიელების მოღვაწეობის შესახებ ჩვენ გვაქვს ძალიანი ცოტა ცნობები, მაგრამ ეს ცოტაც გვეუბნება ბევრს რამეს. ის მოწმობს, რომ ბედიელ მამამთავარნი გამსჭვალულნი იყვნენ სურვილით გაემდიდრებიათ და გაემშვენებიათ ბედიის მონასტერი და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ეს თავისი მისწრაფება და სურვილი კიდევაც მოჰყავდათ სისრულეში. ზოგიერთ მათგანის მოღვაწეობაზე მონასტრის უზრუნველყოფისათვის, როგორც ზევითაც მოვიხსენეთ, მოგვითხრობენ ბედიის ნანგრევების წარწერები და ხელთნაწერების მინაწერები. მათგან ჩვენ ვიგებთ, რომ მიტრ. სოფრომ გურგულიას ძემ მიიღო მონაწილეობა ბედიის ტაძრის განახლებაში და სამრეკლოს აშენებაში, ხოლო ანტონი ჟვანის ძემ აღაშენა მშვენიერი ორსართულიანი ქვიტკირის სასახლე ბედიელ მიტროპოლიტათვის კრებულებით.

ბედიის მღვდელთ მთავარნი სწირავენ მონასტერს გლეხებს, ადგილ-მამულებს, სახნავ-სათესებს, სამღვდელმსახურო და საღვთისმეტყველო შინაარსის წიგნებს და სხვა მონასტერ-ტაძრისათვის

---

<sup>139</sup> მოგვყავს ზახარიევის სიტყვები: «... На епископе ж Бедии платье кавтан дорогилен с прорези, а на кавтане пашивка кизилбаская золотная; а опоясан епископ кушаком кашанским да поверх кавтан а шуба кунья-бархатом покрыта прорези и с проимы и з завяски, а другая шуба баранья под бархатом двоеличным» (გვ. 355).



საჭირო ნივთებს და სამკაულებს, მოჰყავთ თავის ხარჯით და საფასით გამოცდილი გადამწერები, რომ უზრუნველყვით მონასტერი საჭირო ხელთნაწერ წიგნებით, მდიდრათ ამკობენ ხატებს, ბარძიმებს და სხვა საეკლესიო ნივთებს და სამკაულებს და სხვა (იხ. ზევით).

ბედიის მიტროპოლიტები, როგორც ჭყონდიდელებიც, ხანდისხან გამოდიოდნენ მთელი საქართველოს ეკლესიის და სახელმწიფოსათვის მზრუნველებათ და ამნაირი მათი სამსახური იყო მისი მიზეზი, რომ ისინი ზოგჯერ ატარებდნენ სახელწოდებას, რომელიც აერთებდა საქართველოს სამეფოს ორ სხვა და სხვა განაპირა კუთხეების სამღვდელმთავრო კათედრებს. მაგ., მიტრ. სიმონს ჰქონდა ტიტული ბედიელ-ალავერდელისა. ზოგჯერ მათ ეკავათ დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები თანამდებობანი სახელმწიფოში, როგორც თანამდებობა მწიგნობართუხუცესისა, ჯვარი მტვირთველისა, ახლად დაპყრობილი კუთხის მართვა-გამგეობის მომწესრიგებლისა, სახელმწიფოს ხარჯთ აღრიცხვის შემდგენელისა და სხვა. ეს ამტკიცებს იმას, რომ ბედიელთა შორის იყვნენ იმისთანანი, რომელნიც თავის განათლებით და ნიჭით იქცევდნენ საზოგადო ყურადღებას. ცხადია, ამნაირი მდგომარეობა ბედიის კათედრისა მოწმობს იმას, რომ ერთ დროს ბედია იყო ცენტრი, სადაც ყვაოდა სასულიერო სწავლა-განათლება.

შეძლება გვეძლევა ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა ბედიის მონასტრის, შინაგან ცხოვრების შესახებაც. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გაავრცელეს თვით მოციქულებმა (ანდრია

პირველწოდებული და სიმონ კანანელი) და ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საქართველოს ეს ნაწილი ეკლესიურად დამოკიდებული იყო იერუსალიმისგან. ამის გამო მონასტრებში და ეკლესიებში მიღებული იყო იერუსალიმის ტიბიკონი. XI საუკუნიდან კი თანდათანობით შემოდის ათონის წესი. მიუხედავად ამისა, როგორც სჩანს, ბედიის გულანიდან, იერუსალიმის ეკლესიის წესი არ მოსპობილა და ბედიის მონასტერში ის მოქმედებდა XVI საუკუნეშიაც. უუძველეს წესს მღვდელთმსახურებისას დასავლეთ საქართველოში ბევრი მომხრე ჰყავდა. ამას გვიმტკიცებენ გელათის, მოქვის, მარტვილის, ცაიშის, ხობის, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის და გელათის წმ. გიორგის გულანები (ჟორდანიას, ქრონ. 1, 121). ბედიის გულანში მოთავსებულია იერუსალიმის წესი ამ სათაურით: “მოთხრობა შემოკრებილი საეკლესიოსა განწესებისა მონასტერთა იერუსალიმისათა” და საბას ტიბიკონი სათაურით “ტიბიკონი საეკლესიოსა კ~დ (კეთილად) განგებულთასაი და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა საბაი ლავრისაი, რომელი ესრეთვე იქნების სხვათაც ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა” (თ. ჟორდანიას. «Опись рукописей церковнаго музея», ნაწ. 1, 210).

